ნ. ხაზარაძე, ხ. თოდაძე,
მ. ქუთათელაძე, ნ. ჯორჯიკია

საქართველოს ისტორია

„ტექნიკური უნივერსიტეტი"

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნ. ხაზარაძე, ხ. თოდაძე,
მ. ქუთათელაძე, ნ. ჯორჯიკია

საქართველოს ისტორია

დამტკიცებულია სტუ-ს
სარედაქციო-საგამომცემლო
საბჭოს მიერ

თბილისი
2009

სახელმძღვანელოში მოთხრობილია ქართველი ხალხის თავგადასავალი უძველესი დროიდან XXI საუკუნის დასაწყისამდე. განხილულია საქართველოს ფიზიკური და ისტორიული გეოგრაფია, არქეოლოგიური კულტურები, ქართველი ხალხის ეთნოგენეზი, საქართველოს პოლიტიკური ისტორიისა და სახელმწიფოებრივი მოწყობის კარდინალური საკითხები და სხვა.

სახელმძღვანელო დაიწერა სპეციალურად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის.

რეცენზენტი ასოც. პროფ. გ. ძიძიგური

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი", 2009
ISBN 978-9941-14-536-0
http://www.gtu.ge/publishinghouse/

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

რედაქტორისაგან

„არაფერი რომ არ მომხდარიყო,
არ იქნებოდა წარსული, არც აწმყო და მომავალი.”
ნეტარი ავგუსტინე

საქართველოს ისტორიის წინამდებარე სახელმძღვანელო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის მიმართულების პროფესორების: ნანა ხაზარაძის, ხათუნა თოდაძის, მაია ქუთათელაძისა და ნათელა ჯორჯიკიას ავტორობით შესრულდა. სახელმძღვანელო ტექნიკური უნივერსიტეტის პირველკურსელთათვისაა განკუთვნილი. მისი მიზანია საშუალება მისცეს სტუდენტს (მომავალი პროფესიის მიუხედავად) მთლიანობაში გაიაზროს ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორია უძველესი დროიდან XX საუკუნის დასასრულამდე, ღრმად ჩასწვდეს საქართველოში ძველად და ახლა მიმდინარე ეთნოგენეტიკური, პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული პროცესების არსს, შეძლოს ობიექტურად შეაფასოს ქართველი ხალხის ისტორიის გაკვეთილები, მათი პოზიტიური და ნეგატიური მხარეები, გაითავისოს საკუთარი ისტორია, თავი იგრძნოს მის განუყოფელ ნაწილად, აიმაღლოს ეროვნული თვითშეგნება, უფრო ნათლად დაინახოს თავისი პატრიოტული და პროფესიული ვალი საკუთარი ერისა და ქვეყნის წინაშე.

სახელმძღვანელოში დიდი ადგილი ქართული კულტურის ისტორიის პრობლემატიკასაც ეთმობა. სტუდენტები გაეცნობიან საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ არქეოლოგიურ კულტურებს, მათ თავისებურებებს, გავრცელების არეალებს, ეთნიკურ ატრიბუციას; საქართველოში წარმართობის, ქრისტიანობისა და სხვა რელიგიების ისტორიას; ქართულ ენასთან, დამწერლობასთან და მწერლობასთან დაკავშირებულ საკითხებს; განათლების სისტემას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ კულტურის ცენტრებში; ქართული ხელოვნების ისტორიის ძირითად ეტაპებსა და სახეებს და ა.შ. ვიმედოვნებ, რომ სახელმძღვანელოს ეს ნაწილი მნიშვნელოვნად აამაღლებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირველკურსელთა ინტელექტუალურ დონეს, გაუღვიძებს ეროვნული სიამაყის გრძნობას, აჩვენებს ქართული კულტურის ადგილს მსოფლიო კულტურის დიდ საგანძურში.

წინამდებარე სახელმძღვანელო ქართული ისტორიოგრაფიის უახლეს მიღწევებს ეფუძნება. მასში ასევე ფართოდაა გამოყენებული ჩვენი კათედრის ყოფილი პროფესორის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატის, აწ განსვენებული ჯონდო გვასალიას ნაშრომები, რომლებიც თავის დროზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის იყო შექმნილი.

მჯერა, რომ სამშობლოს წარსულთან და აწმყოსთან ახალი შეხვედრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირველკურსელებს მომავლისკენ მიმავალი ნათელი გზების ძიებაში დიდ დახმარებას გაუწევს. სპეციალურად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის დაწერილი საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს უპირველესი მისია ხომ ისიცაა, რომ კიდევ ერთხელ შეახსენოს ახალგაზრდობას დიდი ილიას მარადიული სიტყვები: „დავიწყება ისტორიისა, თავის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაცა. წარსული – მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო – მომავლისა. ეს სამი სხადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეორეოდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია... ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდუვალი, როგორც ყოველივე ბუნებური კანონი“.

ნანა ხაზარაძე

თავი I

საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული და ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება

ადამიანთა საზოგადოების ისტორიის მთელ რიგ საკითხთა გასაგებად გასათვალისწინებელია კონკრეტული გეოგრაფიული გარემო, რომელიც ბუნებრივ პირობათა – რელიეფის, კლიმატის, წყლების, ნიადაგების ერთობლიობას წარმოადგენს. რადგან გეოგრაფიული გარემო ადამიანთა საზოგადოების ცხოვრების ბუნებრივი საფუძველია, ამიტომ ისტორიული მეცნიერება ამ ბუნებრივ საფუძვლებსა და იმ სახეცვლილებებს უნდა ითვალისწინებდეს, რომლებსაც იგი ისტორიის მსვლელობაში ადამიანთა მოღვაწეობის შედეგად განიცდის.

ქართველი ხალხის, ისევე როგორც ყველა ხალხის განვითარებაზე, მნიშვნელოვან გავლენას ის ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო ახდენდა, რომელშიც მას ათასწლეულთა განმავლობაში უხდებოდა ცხოვრება.

საქართველო ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარეობს. ერთ დროს კავკასიის მთელი ტერიტორია ზღვით იყო დაფარული. გეოგრაფიული მოვლენების შედეგად ხმელეთი რამდენჯერმე ამოიზიდა. იყო მძლავრი ვულკანური ამოფრქვევები. შემდეგ კი ტერიტორიის დიდ ნაწილს ისევ ზღვა ფარავდა. დაახლოებით 30 მილიონი წლის წინათ მთათა წარმომქმნელმა ძალამ კვლავ ხმელეთი ამოსწია, კასპიის ზღვა შავ ზღვას მოწყდა და მათ შორის კავკასიის ყელი გაჩნდა. როგორც ევროპაში, ისე აქაც დროდადრო ადგილი ჰქონდა გამყინვარებას, როდესაც კავკასიონის ქედიდან ბარისაკენ მყინვართა უზარმაზარი მასები მოემართებოდა, რასაც აცივება და ბუნებრივი პირობების შეცვლა მოჰყვებოდა ხოლმე. საბოლოოდ, რამდენიმე ათეული ათასი წლის წინ საქართველოს ის ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო ჩამოყალიბდა, რომელმაც ადამიანის ზემოქმედების წყალობით, რამდენადმე ცვლილებები განიცადა.

ფიზიკური გეოგრაფიის თვალსაზრისით, საქართველოს ტერიტორიას ჰყოფენ სამ მკვეთრად განსხვავებულ რეგიონად – ჩრდილოეთით მდებარე კავკასიონის ქედის მაღალმთიან მასივად, სამხრეთით – მცირე კავკასიონის (ანტიკავკასიონის) მთიანეთად და მთათა მასივებს შორის მოქცეულ რიონისა და მტკვრის დაბლობებად. კავკასიონიდან სამხრეთისაკენ რამდენიმე შედარებით მცირე სიმაღლის ქედი ეშვება, რომელთაგან ლიხის, ანუ სურამის ქედი საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად ჰყოფს.

კოლხეთის დაბლობი სამკუთხედის ფორმისაა. მისი ფუძე შავი ზღვისკენაა მიქცეული. ზღვისპირა ზოლი ძველად გაუვალი ჭაობით იყო დაფარული. აი, როგორ აგვიწერს მეცნიერული მედიცინის ფუძემდებელი ჰიპოკრატე (ძვ.წ. V-IV სს.) კოლხეთის დაბლობს: „ეს ქვეყანა ჭაობიანია, თბილი, წყლით მდიდარი და ხშირი ტყეებით დაფარული. წლის ყოველ დროს იქ ხშირი და ძლიერი წვიმები მოდის. ადამიანებს საცხოვრებელი ჭაობებში აქვთ და მათი ხისა და ლერწმის სახლები წყალზეა გამართული. ისინი იშვიათად დადიან ფეხით ქალაქებსა და ნავსადგურებში (სავაჭრო ადგილებში), სამაგიეროდ დაცურავენ აღმა-დაღმა ერთ ხეში ამოღებული ნავებით, რადგან არხები ბევრია. ისინი თბილსა და დამდგარ წყალს სვამენ".

იგივე ავტორი მიუთითებს ფაზისელთა ანუ კოლხთა კანის ყვითელ ფერზე, რაც ფართოდ გავრცელებული მალარიიის ნიშანი უნდა ყოფილიყო (კოლხეთის ჭაობთა უდიდესი ნაწილის დაშრობა და მოსახლეობაში მალარიის ლიკვიდაცია მხოლოდ XX ს-ში განხორციელდა).

მთების მიმართულებით კოლხეთის დაბლობი თანდათან მაღლდება და ზეგანში გადადის. ეს ადგილები დასასახლებლად და მეურნეობის წარმოებისათვის ხელსაყრელი იყო.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარიდან აღსანიშნავია ტირიფონისა და მუხრანის ველები, რომელთაც მცხეთიდან ქვემო ქართლის ბარი და ალაზნის ველი ებმის. ალაზანსა და მტკვარს შორის ივრის უწყლო ზეგანია, რომლის ერთ ბოლოზე სამგორის, ხოლო მეორეზე – შირაქ-ელდარის ველებია გადაჭიმული.

ამ ზოლში მრავალი სერი და ბორცვ-გორაკია, ხოლო მდინარეთა შესაყარში კონცხებია მოქცეული, რომლებიც ადამიანთა მიერ გამაგრებულ სამოსახლოთა მოსაწყობად ადრიდანვე ყოფილა გამოყენებული. ძირითადად, ამავე ზოლსა და ზეგანზეა გავრცელებული ბუნებრივი კარსტული მღვიმეები, რომელთა ნაწილი უძველეს ადამიანთა მიერ ჯერ კიდევ ქვედა პლეისტოცენის გასულიდან ჩანს ათვისებული. ძველი ქვის ხანის ადამიანი მუდმივ თუ დროებით სამოსახლოებს მდინარეთა გაყოლებაზე და ზღვისპირა ზოლში კარგად გამოკვეთილ ტერასებზე ირჩევდა.

საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული კომპლექსის მრავალფეროვნება ვერტიკალური ზონალობითაა განსაზღვრული. ეს ჯერ კიდევ XVIII საუკუნის პირველი ნახევრის დიდმა ისტორიკოსმა და გეოგრაფმა ვახუშტი ბაგრატიონმა შენიშნა. მისი გეობოტანიკური კონცეფცია ასეთია: საქართველოს ტერიტორიის დაყოფა მთისა და ბარის ზონებად, იმავე დროს, გულისხმობს მის დაყოფას ორ

სასოფლო-სამეურნეო არეალად, რომელთაგან ერთი – „მთა” მარცვლეულ კულტურათა მცირემოსავლიანობით, უვენახობით და საზაფხულო საძოვართა სიუხვით ხასიათდება; ხოლო მეორე – „ბარი”, ვენახიანობით, მარცვლეულ კულტურათა მაღალი მოსავლიანობით და საზამთრო საძოვართა სიუხვით.

ამდენად, ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორია მთისა და ბარის ეკონომიკური ურთიერთობის ნიშნით მიმდინარეობს. ეს ურთიერთობა, ძირითადად, შემდეგ საფუძველზე მყარდება: ბარელებს სჭირდებათ მთის საზაფხულო საძოვრები და სათიბები, ხოლო მთიელებს – ბარის საზამთრო საძოვრები.

საქართველოს ზონალურ დაყოფაში დიდ როლს თამაშობს, აგრეთვე, მთისწინეთი ანუ ზეგანი, რის გამოყოფასაც საფუძვლად ვაზის კულტურის გავრცელება უდევს: მთისწინეთში ხარობს და მწიფდება ყურძენი, მაგრამ მევენახეობა არაა მეურნეობის წამყვანი დარგი. ძალიან ხშირად ცალკეულ ხეობებში მთისწინეთის ხასიათი (სიფართოვე – სივიწროვე, სიდიდე – სიმცირე) მთისა და ბარის ურთიერთობის ინტენსიურობას, ეკონომიკასა და სოციალური განვითარების სპეციფიკას განსაზღვრავდა.

საქართველო მდინარეთა ფართო ქსელით ორადაა განაწილებული. დასავლეთ საქართველოს მდინარეები: რიონი, ბზიფი, კოდორი, ენგური, ცხენისწყალი, ყვირილა, ჭოროხი შავ ზღვას უერთდება, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს მდინარე მტკვარი და მისი შენაკადები: ფრონეები, დიდი და პატარა ლიახვი, ქსანი, არაგვი, ფოცხოვი, ძამა, ტანა, თეძამი, ალგეთი, ხრამი, იორი, ალაზანი – კასპიის ზღვას.

საქართველოს ჰავა, ისევე როგორც რელიეფი, დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. სურამისა და არსიანის მთები გზას უღობავს შავი ზღვიდან მომდინარე ტენიანი ჰაერის ნაკადებს და საქართველოს ორად ჰყოფს: დასავლეთ საქართველოს თბილი, ტენიანი ჰავისა და აღმოსავლეთ საქართველოს მშრალი, კონტინენტური ჰავის რეგიონებად. ამ მიზეზით, ქართლ-კახეთში სოფლის მეურნეობისათვის მორწყვას დიდი მნიშვნელობა აქვს.

აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეთა ზომიერი დაქანება სარწყავად მათი გამოყენებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. სარწყავი მიწათმოქმედება აქ ბრინჯაოს ხანიდან ფუნქციონირებს. ანტიკურ ხანაში უკვე მოქმედებს ქსანზე, ლეხურაზე, ლიახვზე შექმნილი დიდი სარწყავი სისტემები. შუა საუკუნეებში სარწყავად აღმოსავლეთ საქართველოს ყველა მდინარეა გამოყენებული. ფართოდ გაშლილი სარწყავი მიწათმოქმედება ინტენსიური მემინდვრეობისა და მებაღეობა-

მეევნახეობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო, რაც განსაზღვრავდა კიდეც ქვეყნის ეკონომიკურ სიმძლავრეს.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში უკვე ყალიბდება შემდეგში საქართველოში ყველაზე გავრცელებული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული – ხევი. ხევი წარმოადგენდა ცალკეულ სამოსახლოთა სისტემას, რომელთაგან ერთი მეწინავისა და ეკონომიკური ცენტრის როლს ასრულებდა.

VI-VIII საუკუნეებში ხევთა გაერთიანებისა და მათი მთური და ბარული ნაწილების შერწყმის შედეგად, ახალი ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულები წარმოიშვება, რომლებიც ტერმინით – „ქვეყანა" აღინიშნება, თუმცა მის პარალელურად „ხევი" აგრძელებს არსებობას.

საქართველოს მდინარეები ირიგაციის გარდა, ძველთაგანვე ხე-ტყის დასაცურებლად გამოიყენებოდა, ხოლო რიონი, ყვირილა და მტკვარი – სანაოსნოდაც.

ანტიკურ ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე დიდი სავაჭრო-სატრანზიტო გზა, ე.წ. „აბრეშუმის გზა" გადიოდა. ის ინდოეთიდან კასპიის ზღვამდე მიემართებოდა, იქედან სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე გავლით – მდინარე მტკვრით – სურამის გადასასვლელით – მდინარე ფასისით (რიონ-ყვირილას მაგისტრალი) შავი ზღვის სანაპიროებს აღწევდა (ქალაქ ფასისთან). შემდეგ იგი ზღვით მცირე აზიისა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებს უკავშირდებოდა.

შავ ზღვაზე ფასისის (დღევ. ფოთი) გარდა, ნავსადგურებად გამოყენებული იყო, აგრეთვე, დიოსკურია (იგივე სებასტოპოლისი, ცხუმი, სოხუმი) და პიტიუნტი (ბიჭვინთა). შავი ზღვის ყურეები და მდინარეთა შესართავები ოდითგანვე თევზის სარეწ ადგილებს წარმოადგენდა.

დიდი სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა ტბებსაც: ფარავანს, ტაბაწყურს, საღამოს, ჯანდარას, კუმისს, ბაზალეთს, პალიასტომს, რიწას.

კავკასიონის ქედზე, საქართველოს ფარგლებში უძველესი დროიდან საუღელტეხილო გზები: ქლუხორზე, მამისონზე, როკზე, სბაზე, ჯვარზე გადადიოდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამ უკანასკნელზე გამავალ დარიალის ანუ არაგვის გზას, რომელიც ჩრდილო კავკასიასა და სამხრეთ რუსეთს სამხრეთ კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთთან აკავშირებდა.

აღსანიშნავია, რომ საზაფხულო საძოვრების სიუხვე და სივრცე უმთავრესად საქართველოს სამხრეთ ნაწილისთვისაა დამახასიათებელი. ჩრდილოეთით მდებარე

საზაფხულო საძოვრებს კი, მიწისა და ფართო ვაკე ადგილების სიმცირის გამო, შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს.

სწორედ ამ ეკონომიკურ თავისებურებაშია იმის გასაღები, თუ მცხეთელ-მუხრანელნი და კახელნი რატომ სარგებლობდნენ ჯავახეთ-თრიალეთის მდიდარი საზაფხულო საძოვრებით.

ანტიკურ ხანაში პირველად, ხოლო შემდეგ – შუა საუკუნეებში მცხეთა-მუხრანის (ბარის) თრიალეთთან (მთა) კავშირმა ქართლის სამეფოს წარმოშობასა და შემდგომში საქართველოს გაერთიანებაში დიდი როლი ითამაშა.

მცენარეულ საფარს საქართველოს ტერიტორიის ერთ მესამედამდე უჭირავს. წინათ ტუფიან მასივებს გაცილებით მეტი ფართობი ეკავა. წერილობითი წყაროები ასახელებს გაუვალ ტყეებს კოლხეთში, აგრეთვე ტყეებს თბილისის შემოგარენსა და მუხრანში*. მდიდარი იყო საქართველოს ფაუნაც.

საქართველოს რელიეფი, ნიადაგები, ჰავა, წყალი, მდიდარი ფლორა და ფაუნა დიდად უწყობდა ხელს მეუნეობის ინტენსიურ სახეობათა ადრე ჩასახვასა და განვითარებას. საქართველოს მიწა-წყალი ხორბლეულისა და ვაზის ერთ-ერთ პირველ სამშობლოდ ითვლება, რაც ჩვენში დღემდე მრავლად შემორჩენილი სათანადო ველური მცენარეების არსებობით სავსებით დასტურდება.

საქართველო მდიდარია მადნეულითა და საშენი მასალით. სპილენძის, ანთიმონისა და რკინის საბადოებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აქ ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის ადრევე წარმოქმნისა და განვითარებისათვის. საქართველოში ბევრია ქვის ისეთი ჯიში (კაჟი, ოფსიდიანი), რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა უმარტივესი იარაღის დასამზადებლად.

საქართველო სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიული კუთხეების ან მხარეებისაგან, ძველქართული ტერმინოლოგიით – „ქვეყნებისაგან" შედგებოდა, რომელთა საზღვრები ისტორიულად იცვლებოდა: უფრო ვრცელი ხდებოდა ან პირიქით, მცირდებოდა. დროდადრო იცვლებოდა მათი სახელწოდებები და ცენტრები.

საქართველოს ისტორიაში მის ცენტრალურ მხარეს – ქართლს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ „ქართლს" უკავშირდება ტერმინები: „ქართველი" და „საქართველო". ისტორიული ქართლი გეოგრაფიული

* „მუხრანი" მომდინარეობს „მუხნარიდან". ძველად მუხრანი არაგვსა და ქსანს შორის მოქცეულ ბარის ტერიტორიას ეწოდებოდა, ხოლო XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან ეს სახელწოდება სოფელ შიოსუბანს დაუმკვიდრდა.

მდებარეობისა და უმთავრესი მდინარის – მტკვრის დინების მიხედვით ზემო, შუა (შიდა) და ქვემო ქართლად იყო დანაწილებული.

ზემო ქართლი, ანუ მესხეთი მტკვრის ხეობას სათავიდან ტაშისკარამდე და ჭოროხოს ხეობის ზემო წელს მოიცავდა. მტკვარზე კოლა, ერუშთი, არტაანი, ჯავახეთი, სამცხე მდებარეობს. ხოლო ჭოროხის აუზში – სპერი, ტაო, კლარჯეთი, შავშეთი. საუკუნეთა მანძილზე საქართველოს საზღვრებში მდინარე არაქსის ხეობის მიმდებარე მხარეები – ბასიანი და კარი შედიოდა.

შიდა ქართლის აღმოსავლეთი საზღვარი მდინარე არაგვი და არმაზის ციხე იყო, ჩრდილოეთი – კავკასიონის ქედი, დასავლეთი – ლიხის ანუ სურამის ქედი, ხოლო სამხრეთი – ფარავნის ტბა. შიდა ქართლის უფრო ძველი სახელწოდება „ზენა სოფელი" იყო. („სოფელი" ძველქართულში მხარეს, ქვეყანას აღნიშნავდა). ეს მნიშვნელობა დაცულია VII საუკუნის სომხურ გეოგრაფიაში, რომელიც „ზენა სოფელს" ანუ „შიდა ქართლს" „ქართველთა ზემო ქვეყანას" უწოდებს.

მას შემდეგ, რაც XVI საუკუნეში ოსმალეთმა ისტორიული ზემო ქართლი (გვიანდელი სამცხე-საათაბაგო) დაიპყრო, მისი სახელწოდება ქართლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილზე გადავიდა და მას „ზემო ქართლიც" ეწოდებოდა.

ქვემო ქართლი თრიალეთის ქედის სამხრეთით მდებარეობდა და ალგეთისა და ხრამის ხეობებს მოიცავდა. იგი დასავლეთით ჯავახეთის, ხოლო სამხრეთით ერევან-ბამბაკის ქედით იყო შემოსაზღვრული.

ქართლს აღმოსავლეთით კახეთი ესაზღვრება. მათ შორის საზღვარი ტრადიციულად არაგვზე გადიოდა, თუმცა პოლიტიკური საზღვარი ზოგჯერ იცვლებოდა. გვიან შუასაუკუნეების კახეთში საკუთრივ კახეთი, ჰერეთი და კუხეთი გაერთიანდა. კუხეთი ტერიტორიულად მდინარეების – არაგვისა და მტკვრის მარცხენა სანაპიროს მოიცავდა ჟინვალიდან გარეჯის უდაბნომდე. ცენტრი ქალაქი რუსთავი იყო. VIII საუკუნეში კუხეთი, როგორც საერისთავო, კახეთის სამთავროში შევიდა. კუხეთს, როგორც გეოგრაფიულ ცნებას, უკანასკნელად დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი (XII საუკუნე) იხსენიებს.

ადრე კახეთი მდინარე ივრისა და ალაზნის ზემო წელს მოიცავდა, ჰერეთი კი – ამ მდინარეების შუა და ქვემო წელს. XV საუკუნიდან კახეთი, კუხეთი და ჰერეთი ერთიანად „კახეთად" იწოდება. კახეთის აღმოსავლეთი საზღვარი ხშირად იცვლებოდა. დღევანდელი აზერბაიჯანის დასავლეთი ნაწილი გაღმა მხარე და ენისელი (გვიანდელი „საინგილო") ისტორიული კახეთის ფარგლებში შედიოდა, მაგრამ XVII-XVIII საუკუნეების ძნელბედობის დროს, აქ დაღესტნელი მთიელები

(„ლეკები”) ჩამოსახლდნენ და ეს ძირძველი ქართული მხარე საქართველოსაგან მოწყვეტილი აღმოჩნდა.

ქართლის მთიან ნაწილში, არაგვის ხეობაში მთიულეთი (ძველი „ხადა-ცხავატი”) და გუდამაყარი მდებარეობდა, ხოლო კავკასიონის წყალგამყოფი მთავარი ქედის ჩრდილოეთით – თრუსო და ხევი (მდინარე თერგის ზემო წელზე) და დვალეთი (ნარის ქვაბულში). კახეთის მთიანეთში თუშეთი და ფშავ-ხევსურეთი მდებარეობდა, რომელსაც XV საუკუნემდე ერთიანი სახელი – „ფხოვი” ეწოდებოდა.

დასავლეთ საქართველოს უძველეს ხანაში „ეგრისი” ერქვა, რომელსაც ბერძენი და რომაელი მწერლები „კოლხიდასა” და „ლაზიკას” უწოდებდნენ. XI-XIII საუკუნეებში ეგრისს „იმერეთი” დაერქვა. შემდგომში ეს სახელწოდება დასავლეთ საქართველოს ერთ ნაწილს ეწოდა. იგი მესხეთის, რაჭის, სურამის ქედებსა და მდინარე ცხენისწყალს შორის იყო მოქცეული. ცხენისწყლიდან ანაკოფიამდე ოდიში (სამეგრელო) მდებარეობდა, ხოლო ანაკოფიის ჩრდილო-დასავლეთით კი – აფხაზეთი. ოდიშ-აფხაზეთის საზღვარი ხშირად იცვლებოდა. XVIII საუკუნის დამდეგს მან ენგურამდე გადაიწია.

შავ ზღვას, მესხეთის ქედსა და მდინარე რიონს შორის გურია მდებარეობს, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით – აჭარა და ლაზეთი, ანუ ჭანეთი.

დასავლეთ საქართველოს მთიანეთი სვანეთს, ლეჩხუმსა და რაჭას უკავია. უძველეს ხანაში სვანეთი ლეჩხუმისა და მთიანი რაჭის ტერიტორიებსაც მოიცავდა. ძველი ქართული საისტორიო წყაროებით, რაჭას თავდაპირველად „თაკვერი” ეწოდებოდა, რომლის სახელწოდება შემდეგში ლეჩხუმზეც გავრცელდა (ბერძენი ავტორების „სკვიმნია”).

თავი II

არქეოლოგიური კულტურები საქართველოში

საქართველო და, საერთოდ, კავკასია თავისი მდიდარი ფლორითა და ფაუნით, თბილი კლიმატით, ხელსაყრელ გარემოს წარმოადგენდა უძველესი ადამიანის საცხოვრებლად. 1991 წელს, დმანისში ევროპასა და აზიაში უძველესი ადამიანის ძვლოვანი ნაშთი (ქვედა ყბა) აღმოჩნდა, რომელიც დაახლოებით მილიონ შვიდასი ათასი წლით თარიღდება. მასზე ძველი მხოლოდ ოლდუვეიში

(აფრიკა) აღმოჩენილი უძველესი ადამიანის ნაშთია. შელისა და განსაკუთრებით, აშელის ხანაში, საქართველოში ადამიანი კიდევ უფრო ინტენსიურად სახლდება. თბილი ჰავის პირობებში ბართან ერთად მთის ზოლიცაა ათვისებული. განსაკუთრებით მჭიდროდაა დასახლებული საქართველოს ზღვისპირეთი. ამ დროის იარაღი კარგადაა წარმოდგენილი იაშთხვარას ნაბინავარზე (სოხუმთან) და მდინარე ყვირილას აუზში.

აღსანიშნავია, წონის გამოქვაბული და კუდაროს მღვიმეთა ჯგუფი 2100 მ. სიმაღლეზე, მთიან რაჭაში, შიდა ქართლის მაღალმთიანი ზონის საზღვართან. აშელის ხანაში ჯავახეთის პლატოცაა ათვისებული. ამ პერიოდის ძეგლები კარგადაა წარმოდგენილი ბარშიც. ამ დროის ძირითადი იარაღი ქვის ხელნაჯახია. უკვე ამ დროს ადამიანს ცეცხლი უნდა „მოეთვინიერებინა".

ინტენსიურადაა დასახლებული საქართველოს ტერიტორია მუსტიეს ხანაში (40-100 ათასი წლის წინ). ფართოდაა ათვისებული დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლი და შიდა მხარეები. აღსანიშნავია მდინარე ყვირილას აუზში აღმოჩენილი ჯრუჭულას, საგვარჯილეს, ჭახათის გამოქვაბულები.

შიდა ქართლში პალეოლითის ძეგლები როგორც ბარშია მიკვლეული, ისე მთისწინეთშიც. ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია პალეოლითური იარაღები, რომლებიც შიდა ქართლის დასავლეთ ნაწილში, მდინარეების – კავთურასა და თეძმას შორისაა აღმოჩენილი. რამდენიმე ადგილას დადასტურდა მუსტიეს ხანის იარაღებიც. ისინი წარმოდგენილია აგრეთვე ქვემო ქართლისა და კახეთის ძეგლებზე. მუსტიეს ხანაში, ქვის ხელნაჯახის გვერდით, წვეტანები, სახვრეტები, საჭრისები, საფხეკები გვხვდება. ამ დროს მეურნეობის ძირითადი საქმიანობა კოლექტიური ნადირობა და შემგროვებლობა იყო. სამხრეთ კავკასიის ადრინდელი პალეოლითური კულტურა სიახლოვეს წინა აზიის სინქრონულ კულტურასთან ავლენს.

საქართველოში საზოგადოების განვითარების ადგილობრივი ტრადიციების საფუძველზე გვიანი ხანის პალეოლითური კულტურა ყალიბდება. აქ კარგადაა ცნობილი შუა პალეოლითიდან ზედაზე გარდამავალი ძეგლები.

ზედა პალეოლითის ხანაში კავკასიაში კლიმატი რამდენადმე იცვლება. ჰაერი ცივდება, რის გამოც მთა ცარიელდება. ადამიანი, ძირითადად, დაბლობსა და მთისწინა ზოლში სახლდება. ზედა პალეოლითის დროს განსაკუთრებით ინტენსიურადაა დასახლებული დასავლეთ საქართველო. ამ დროის ძეგლებიდან რიონის აუზში აღსანიშნავია – საგვარჯილე, დევისხვრელი, საკაჟია, სამერცხლე კლდე და სხვ.

ზედა პალეოლითში ახალ საფეხურზე ადის ქვის დამუშავების ტექნიკა: გვხვდება სხვადასხვა ფორმის საჭრისები, საფხეკები, დანები; ვრცელდება რქისა და ძვლის იარაღი; ვითარდება ნადირობა და შეგროვითი მეურნეობა; უმჯობესდება სანადირო იარაღი – შუბები, შუბსატყორცნები. საცხოვრებელ ადგილებში დიდი რაოდენობით ჩნდება ნანადირევ ცხოველთა ძვლები.

ზოგადად საქართველოსა და კავკასიის ზედა პალეოლითური კულტურა ერთგვაროვანია. ზედა პალეოლითისათვის მთელი კავკასია ადამიანის მიერ ათვისებული ჩანს.

გამყინვარების პროცესის დამთავრების შემდეგ, კავკასიაში მეზოლითური (შუა ქვის ხანა) კულტურის ლოკალური ვარიანტები ისახება. ამ პერიოდში თანდათან იწყება ერთიანი კულტურის რღვევის პროცესი. მეზოლითური კულტურა საფუძვლად ედება კავკასიურ ნეოლითს (ახალი ქვის ხანა). ნეოლითში მეურნეობის ახალი ფორმები – მიწათმოქმდება და მესაქონლეობა მკვიდრდება. პროგრესი ქვის დამუშავების ტექნიკაში შეინიშნება. რიყის ქვისაგან აკეთებენ მოზრდილ ცულებს. ამზადებენ თოხისმაგვარ იარაღს და ხელსაფქვავებს. ნადირობისათვის გამოიყენება შუბი და ისარი. ხმარებაში შემოდის თიხის ჭურჭელი (კერამიკული ნაწარმი).

მეურნეობის ახალ ფორმებზე გადასვლამ ადამიანთა საზოგადოების დამჯდარი, ბინადარი ცხოვრება, სოფლების გაჩენა განაპირობა. საქართველო-სამხრეთ კავკასია წინააზიური სამყაროს ის ორგანული ნაწილი იყო, სადაც ახალი სახის მეურნეობის ჩასახვისა და განვითარებისათვის ყველა პირობა არსებობდა. სამხრეთ კავკასიის ზომიერი ჰავა, რელიეფი და უაღრესად მდიდარი ველური საკვები (მცენარეულობა) იმ ბუნებრივი, ბიოლოგიური ლაბორატორიის ბაზას წარმოადგენდა, სადაც სელექციისა და მცენარეთა „გაკულტურების" გზით, მუხლმოუყრელი ქართველი და, საერთოდ, კავკასიელი მიწისმუშა და მევენახე წინა-აზია მახლობელ აღმოსავლეთს (და მათი გზით დანარჩენ მსოფლიოს) აწვდიდა კულტურული მემარცვლეობისა (ხორბალი, ქერი, სელი, ოსპი, კანაფი) და მევენახეობის ნიმუშებს. არსად მსოფლიოში არაა შემორჩენილი იმდენი ენდემური (ადგილობრივი) ველური, ნახევრადველური და კულტურული მარცვლეული და ვენახი, რამდენიც საქართველოში. ჩვენთანაა გამოყვანილი რბილი, მაგარი, საშემოდგომო, საგაზაფხულო ხორბლის 200-ზე მეტი სახეობა. ბოლო დრომდე საქართველოში შემორჩენილი იყო ყურძნის 500-ზე მეტი სახეობა, რომელიც ყოველ სოფელს გამოჰყავდა (ახმეტურა, წობნურა, ატენური, ოჯალეში, ხვანჭკარა, წინანდალი, გორული მწვანე და ვინ მოთვლის რამდენი).

ნეოლითის გვიანდელ საფეხურზე ამ კულტურაში უკვე ლოკალური ვარიანტები შეინიშნება. დასავლეთ საქართველოში ორი, ასევე განსხვავებული კულტურული წრე გამოიყოფა. ამ პერიოდში, კავკასიაში მკვეთრად იმატა მოსახლეობის რაოდენობამ. ხდება საცხოვრებლად როგორც ბარის, ისე მთისწინეთისა და მთის ზოლის ათვისება. დასავლეთ საქართველოში ღია ნამოსახლარზე ხის მსუბუქი კონსტრუქციების, ფაცხის მსგავსი სახლები უნდა ყოფილიყო გავრცელებული.

ნეოლითური კულტურის განვითარების და ეკონომიკის ახალი ფორმების დამკვიდრებას სამხრეთ კავკასიაში ახლო აღმოსავლეთის სამიწათმოქმედო ცენტრებთან კავშირი განაპირობებდა. საქართველოში დიდ ეკონომიკურ ნახტომს ადგილი ნეოლითის დასასრულსა და მომდევნო ენეოლითის (სპილენძ-ქვის) ხანაში ჰქონდა, რაც მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის მეურნეობის წამყვან დარგებად ჩამოყალიბებაში გამოიხატა.

საქართველოს ტერიტორიაზე კარგადაა ცნობილი ნეოლითის ბოლო ეტაპისა და ენეოლითის ხანის ძეგლები (ძვ.წ. VI-IV ათასწლეულები). აღმოსავლეთ საქართველოში ადრინდელი ნამოსახლარები შიდა ქართლში და განსაკუთრებით მრავლად ქვემო ქართლში, მდინარე მტკვრის შუაწელსა და მის მიმდებარე მხარეშია აღმოჩენილი. ამ ძველი ნასოფლარების ადგილას დღეს ხელოვნურ ბორცვებს ვხვდებით. საგვარეულო სოფელი მცირე მასშტაბის იყო. იგი ალიზით ნაგები მრგვალი შენობებისაგან შედგებოდა. საცხოვრებელი კომპლექსი წრიულ გუმბათურ შენობას, წრიული გეგმის რამდენიმე სამეურნეო დანიშნულების სათავსს და პატარა ეზოს მოიცავდა. ნამოსახლარზე, ძირითადად, ობსიდიანისა და გახეხილ-გაპრიალებული ქვის იარაღი, თიხის ჭურჭელი, ნამგლის ჩასართები, ძვლისა და რქის თოხები, ხელსაფქვავებია აღმოჩენილი, რაც მიწათმოქმედების გარკვეულ დონეზე მიუთითებს. მის გვერდით მესაქონლეობა ვითარდებოდა (ნაპოვნია შინაურ ცხოველთა, განსაკუთრებით მსხვილფეხა საქონლის მრავალრიცხოვანი ძვლები). აღსანიშნავია, თიხისაგან ნაძერწი ქალის ქანდაკებები, რომლებიც ნაყოფიერების ღვთაებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. დასავლეთ საქართველოში ადრესამიწათმოქმედო კულტურას ლოკალური ხასიათი ჰქონდა.

ძვ.წ. IV ათასწლეულის მიწურულსა და III ათასწლეულის დასაწყისში საფუძველი ჩაეყარა კულტურის განვითარებაში ახალ საფეხურს – ბრინჯაოს ხანას. აღმოსავლეთ საქართველოში ადრინდელ სამიწათმოქმედო კულტურას ე.წ. მტკვარ-არაქსის კულტურა ენაცვლება, რომელიც წინარე კულტურის საფუძველზე აღმოცენდა. ამ კულტურამ სახელწოდება მტკვრისა და არაქსის შუამდინარეთიდან

მიიღო, სადაც იგი პირველად იქნა აღმოჩენილი. მას ძველაღმოსავლურ სამყაროსთან ურთიერთობის აშკარა კვალი ემჩნევა. მტკვარ-არაქსის კულტურა მთელ სამხრეთ კავკასიაზე ვრცელდება, მისი ზღვისპირა ნაწილის გარდა, და ჩრდილო კავკასიაშიც საკმაოდ ღრმად იჭრება. სამხრეთით იგი თითქმის მთელ აღმოსავლეთ ანატოლიას, ჩრდილო-დასავლეთ ირანს იკავებს. მისი გავლენის ქვეშ სირია და პალესტინაც ექცევა.

რამდენადაც მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ძეგლები ქართლშია დადასტურებული, მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს უაღრესად საინტერესო და ფართოდ გავრცელებული კულტურა ქვემო და შიდა ქართლში ჩაისახა.

ორიგინალურია მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკა, რომელიც მიუხედავად ხელით ძერწვისა, დახვეწილი ფორმებით გამოირჩევა. დაწინაურებულია მეტალურგია. ლითონის ნივთების დასამზადებლად ადგილობრივ დარიშხნიან სპილენძს იყენებდნენ. მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში საფუძველი ჩაეყარა კავკასიურ მეტალურგიას, რითაც შემდეგში ასე განთქმულნი იყვნენ აქ მოსახლე ტომები. განსაკუთრებული აღმავლობა მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას ეტყობა. მეცნიერთა თვალსაზრისით, მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბებაში ქართველურმა ტომებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს.

ქართლში მტკვარ-არაქსის ტიპიური ძეგლები ურბნისთან (ხიზანაანთ გორა და ქვაცხელები) აღმოჩნდა. ქვაცხელების სახლების გეგმა წინასწარაა შემუშავებული. ოთახი დაახლოებით კვადრატულია, მაგრამ კუთხეები მომრგვალებული აქვს. შუაში ბოძი დგას, მის წინ კი კერაა განთავსებული. ოთახის წინ ტალანია. ოთახიცა და ტალანიც ბრტყელი ჭერითაა გადახურული. კედლები ან ალიზისა იყო, ან დაწნული, ხის სარებითა და ლასტით შექმნილი, რომელიც ორივე მხრიდან თიხით იყო შელესილი. მოსახლეობის ძირითადი სამეურნეო საქმიანობა მიწათმოქმედება იყო. მარცვლეული მრავალფეროვანი ასორტიმენტითაა წარმოდგენილი. შემოდის სახვნელი კავი და კევრი. განვითარებულია მესაქონლეობა და მეტალურგია. დაწინაურებულია კერამიკული წარმოება და ფეიქრობა. ხიზანაანთ გორაზე დადასტურებულია ყურძნის წიპწები. ამ პერიოდში ზოგიერთი სამოსახლოს გამსხვილება და თითქოს გარკვეული მიკრორაიონის ცენტრად გადაქცევის ტენდენცია შეიმჩნევა. ეს სამოსახლოები გარემოზე გაბატონებულ სტრატეგიულ ადგილებშია განლაგებული და თავდაცვითი სისტემით გამაგრებული. ამ პერიოდში სამოსახლო „გორაზე" პატრიარქალური გვარი სახლობს.

დასავლეთ საქართველოში მტკვარ-არაქსის კულტურა რიონ-ყვირილას აუზში ვრცელდება (უკიდურესი დასავლეთი პუნქტი – საჩხერეა). კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა ზოლში კი ნეოლითიდან გადმოყოლილი ტრადიციებით არსებობას ადრესამიწათმოქმედო კულტურა განაგრძობს. ამ კულტურას აფხაზეთის ადრინდელ დოლმენებში მოპოვებული მასალაც უკავშირდება.

ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოში მოსახლე ტომებში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება. მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარზე ცხოვრება ქრება, ბარში მოსახლეობა მნიშვნელოვნად თხელდება, უფრო ინტენსიურად მთისწინა და მთის ზოლს ითვისებენ. ცვლილებები მეურნეობის ხასიათშიც შეინიშნება: დაწინაურდა მესაქონლეობა, განსაკუთრებით, მეცხვარეობა, განვითარდა მეტალურგია და ხელოსნობის სხვადასხვა დარგი. გაძლიერდა ეთნოკულტურული კავშირები ძველაღმოსავლურ სამყაროსთან. განვითარების ამ ახალ საფეხურს „შუა ბრინჯაოს ხანა" ეწოდება. აღმოსავლეთ საქართველოსა და მის მიმდებარე მხარეებში თრიალეთის კულტურა ვრცელდება (პირველად ეს დიდი არქეოლოგიური კულტურა არქეოლოგმა ბორის კუფტინმა თრიალეთში აღმოაჩინა). ვრცელდება დაკრძალვის ახალი წესი: ჩნდება ინდივიდუალური ყორღანული სამარხები. ყორღანული სამარხები მთელი გვარისა თუ ტომის ძალებით შენდებოდა. იგი სოციალურად დაწინაურებული პიროვნების – ბელადისათვის იყო განკუთვნილი.

ადრინდელ ყორღანებში აღმოჩენილი კერამიკა გარკვეული ნიშნებით ახლო ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურის ჭურჭელთან დგას, რაც მათ გენეტიკურ კავშირზე მეტყველებს. ლითონის საგნებიდან გვხვდება მოკლე სატევრისპირები და პირამიდული ფორმის ისრისპირები.

ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის შუა ხანებში თრიალეთის ყორღანებში მიცვალებულს ოთხთვალა ეტლს ატანენ. ჩნდება ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული ნივთები. ლითონის იარაღიდან გვხვდება: სატეხები, ბრტყელი ცულები, სატევრისპირები. ძვირფასი ლითონისგან აღსანიშნავია: ოქროს ორვოლუტიანი საკინძები, მძივები, ხვიები. ალაზნის ველის ყორღანში ლომის ოქროს ცნობილი ქანდაკება აღმოჩნდა. განსაკუთრებით ვითარდება ოქრომჭედლობა. ყორღანების შემქმნელი საზოგადოება ეკონომიკურად დაწინაურებულია.

საზოგადოების განვითარებაში მომხდარი დიდი ცვლილებები ყველაზე უკეთ თრიალეთის კულტურის აყვავების ხანაში – ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში ჩანს. უკვე გამოყოფილია გვაროვნული არისტოკრატიის საკმაოდ

ძლიერი ფენა. თრიალეთის კულტურის მატარებელი საზოგადოება თავისი განვითარებით წინააზიურ ცივილიზაციას დაუახლოვდა. ზოგი მეცნიერის მოსაზრებით, ამ ეპოქაში კულტურის რადიაცია (პოლიქრომული ოქრომჭედლობა და მოხატული ჭურჭელი) თრიალეთიდან (სამხრეთ კავკასიიდან) სამხრეთით – მცირე აზიისკენაა მიმართული. არის შეხვედრები კრეტა-მიკენური სამყაროს კულტურასთან. სავარაუდოა, რომ თრიალეთის დიდ ყორღანებში დაკრძალულნი ტომთა კავშირების ბელადები იყვნენ. ამ პერიოდში შემდგომ აღმავლობას განიცდის მეტალურგია. ფართოდ გავრცელდა კალიანი ბრინჯაოსგან ნაკეთები ნივთები. სამარხებში დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი ბრინჯაოს იარაღი, თავისებური ფორმის ცულები, სატევრები, მასრიანი შუბისპირები, საძგერებელი მახვილები, სამკაულები. აყვავების ხანაში თრიალეთის კულტურა მთლიანად მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს, სამხრეთით არარატის ველზე ვრცელდება და ყარსის მხარეს აღწევს.

შუა ბრინჯაოს ხანაში დასავლეთ საქართველოში თრიალეთისაგან განსხვავებული არქეოლოგიური კულტურა დასტურდება. მას ზოგჯერ „პროტოკოლხურსაც" უწოდებენ. ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოს ეკონომიკა აღმავლობას განიცდის, რასაც მიწათმოქმედებისა და მეტალურგიის განვითარება განაპირობებს.

საზოგადოებრივ-კულტურული განვითარების ახალი საფეხური – გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა, მოიცავს ეპოქას ძვ.წ. II ათასწლეულის შუა პერიოდიდან ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებამდე. ამ ხანაში ძველაღმოსავლურ სამყაროსთან ურთიერთობა თანდათან სუსტდება. მნიშვნელოვნად იცვლება მეურნეობის ხასიათი, ვითარდება გუთნური მიწათმოქმედება, მეტალურგია. გვიანბრინჯაოს ხანაში დასავლეთ საქართველოში კოლხური კულტურა ჩამოყალიბდა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – აღმოსავლურ ქართული.

კოლხური კულტურა მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა მიმდებარე მხარეებითურთ (სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი, ჩრდილო კავკასია). სამხრეთით იგი აღმოსავლეთ ანატოლიის ტერიტორიაზე ვრცელდებოდა. აღმოსავლეთით მისი გავრცელების უკიდურესი ზონა მდინარე არაგვის ხეობაა.

კოლხური კულტურისათვის თავისებური კერამიკა და ბრინჯაოს მეტალურგიაა დამახასიათებელი (კოლხური ცული, თოხი, სეგმენტური იარაღი, წალდი, ბრტყელი ცული, ნამგალი). მტკვარ-არაქსის კულტურისა და თრიალეთის კულტურის ზოომორფული ორნამენტიდან საწყისს იღებს კოლხურ ცულსა და ბრინჯაოს ქართულ სარტყელებსა და ბალთებზე გამოსახული სემანტიკურად

რთული იდეოლოგიური სამყარო, რომელიც ცხოველთა სტილიზებული სხვადასხვა კომბინაციით არის წარმოდგენილი. კოლხური კულტურის „ცხოველურმა" რეპერტუარმა უდიდესი როლი ითამაშა კავკასიური და სკვითური კულტურის ორნამენტაციასა და იდეოლოგიაში, ე.წ . „ცხოველური სტილის" გაჩენა-ჩამოყალიბებაში.

კოლხური ტომების დაწინაურებას ხელი შეუწყო ადგილობრივი ბრინჯაოს კულტურის ბაზაზე აღმოცენებულმა რკინის მეტალურგიამ. კოლხურ კულტურაში რკინა ძვ.წ. XIII-XII საუკუნეებიდან ჩანს. ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან რკინის მეტალურგია ძლიერდება. ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებიდან მთელ კოლხეთში რკინის ფართო ათვისების ხანა დგება.

საქართველო და, საერთოდ, კავკასია მსოფლიოში მეტალურგიის ერთ-ერთ სამშობლოდ ითვლება, რასაც მდიდარ არქეოლოგიურ მონაპოვართან ერთად, წერილობითი წყაროების ცნობებიც მოწმობს.

ძველბერძნულ ენაში „ხალიფს" ფოლადს ნიშნავს, ხოლო გერმანულში „Messing" – თითბერს. ამ ტერმინს მეცნიერები სამართლიანად აკავშირებენ ქართველური ტომების – ხალიბებისა და მოსინიკების სახელთან, რომლებიც მეტალურგიით განთქმულნი იყვნენ.

ძვ.წ. VI საუკუნეში ტერმინში „კოლხეთი" დასავლეთი საქართველო იგულისხმება მდინარე აფსაროსიდან (ჭოროხი) ქალაქ დიოსკურიამდე (სოხუმი). ვერცხლის ფული – „კოლხური თეთრი" და ადგილობრივი ხელოსნური ნაწარმი – ოქრო-ვერცხლის სამკაულები მთელ კოლხეთშია გავრცელებული. საინტერესოა, რომ „კოლხური თეთრის" დიდი ნაწილი მდინარე რიონის აუზშია აღმოჩენილი, რაც კოლხეთის მთავარ სავაჭრო მაგისტრალზე მიუთითებს. აქ იყო განლაგებული კოლხეთის მნიშვნელოვანი ქალაქები – ფაზისი, ვანი, დაბლაგომი და დედაქალაქი ქუთათისი – ქუთაისი („კუტაია").

კოლხეთის სამეფოს ეკონომიკურ სიძლიერეს რკინის მეტალურგიის განვითარება განსაზღვრავდა, რაც მაგნეტიტურ ქვიშაზე იყო დამყარებული. ხელოსნობის, კერძოდ, ოქრომჭედლობის მაღალი დონე (ბერძნული წყაროები კოლხეთს „ოქრომრავალ" ქვეყანას უწოდებენ) და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა შავი და ხმელთაშუა ზღვების აუზის ქვეყნებთან კოლხეთის დაწინაურებას დიდად უწყობდა ხელს. რაც შეეხება არგონავტების მითში მოხსენიებულ „ოქროს საწმისს" (ვერძს), მას ჯერ კიდევ ძველი ავტორები სხვადასხვა ინტერპრეტაციას აძლევდნენ. ძვ.წ. IV საუკუნის ავტორი პალეფატე აღნიშავდა, რომ ეს იყო ცხვრის ტყავზე დაწერილი ქიმიის გზით ოქროს

მოპოვების წესი, ხოლო ძვ.წ. I-ახ.წ. I საუკუნეების დიდი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი სვანების შესახებ წერდა: „ამბობენ, რომ ზამთრის ნიაღვრებს ოქრო ჩამოაქვს, ხოლო ბარბაროსები აგროვებენ ოქროს დახვრეტილი ვარცლებით და ბანჯგვლიანი ტყავებით. აქედან მომდინარეობს მითი ოქროს საწმისიან ვერძზე". (საინტერესოა, რომ ბოლო ხანებამდე სვანეთში გავრცელებული იყო მდინარეების წყალში არსებული ოქროს წვრილი მარცვლების ცხვრის ტყავზე დალექვით მოპოვების წესი).

საერთოდ, ოქრომჭედლობა ქართული კულტურის ისტორიის უაღრესად დიდი ფენომენია. მას საქართველოში 5000 წლიანი ისტორია აქვს. ქართული ოქრომჭედლობის ძეგლებს ძვ.წ. III ათასწლეულიდან ახ.წ. IV საუკუნემდე განვითარების ერთიანი მაგისტრალური ხაზი ახასიათებს, რაც იმის მოწმობაა, რომ მათი შემოქმედი კულტურულ-ისტორიულად და, ალბათ, ეთნიკურად მონათესავე ტომები თუ ხალხი იყო. ქართულ ოქრომჭედლობას განვითარების მთელ სიგრძეზე ორი მხატვრული მიგნება ახასიათებს – გავარსის ტექნიკა (უწვრილესი ბურთულების მირჩილვა) და პოლიქრომია (მრავალფერადობა – ლითონთან ნახევრადძვირფასი ქვების ოსტატური შეხამება). ამ თვისებებმა ქართულ ქრისტიანულ ოქრომჭედლობაშიც ჰპოვა განვითარება.

გვიანი ბრინჯაოს ხანის აღმოსავლურ ქართული კულტურა თრიალეთის კულტურის საფუძველზე ჩანს აღმოცენებული. აღმოსავლეთ საქართველოში და მის მიმდებარე მხარეებში ძვ.წ. XV-XIV საუკუნეებში თავისებური კულტურა ყალიბდება. აღარ გვხვდება მდიდრულინვენტარიანი მოზრდილი ყორღანები, მცირდება ძვირფასი ლითონისაგან ნაკეთი ნივთები, იწყება ბარის ხელახალი ათვისება. მიწათმოქმედებაში სახვნელი იარაღის გამოყენებამ, ხელოვნურ მორწყვაზე გადასვლამ ხელი შეუწყო მეურნეობის ინტენსიფიკაციას. ათვისებულია მთისწინა და მთის ზოლი, მაგრამ ეკონომიკური ცხოვრების ცენტრი კვლავ ბარია – შიდა ქართლის ვაკე, ქვემო ქართლის ველი, იორ-ალაზნის შუამდინარეთი.

ამ ხანის აღმოსავლურ ქართულ კულტურაში განვითარების მაღალ დონეს ბრინჯაოს მეტალურგია აღწევს. ფართოდ ვრცელდება ცულები, მახვილები, სატევრები, შუბისა და ხელშუბისპირები, ღარიანი სატეხი, ხელეჩო, ნამგალი. ორიგინალურია ამ პერიოდის კერამიკა, რომელიც სამეურნეო ჩარხზეა დამზადებული. ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოდან რკინის მეტალურგია ვითარდება, ხოლო ძვ.წ. VIII საუკუნეში რკინის ფართო ათვისების ხანა დგება.

შიდა ქართლი კოლხური კულტურის გავლენას განიცდის. სწორედ შიდა ქართლში ხდებოდა აღმოსავლურ ქართულ და დასავლურ ქართულ კულტურათა

შეხვედრა. ამის დამადასტურებელ მასალებს გამდლისწყაროსა და რენეს არქეოლოგიური ძეგლები იძლევა.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში უკვე ყალიბდება შემდეგში საქართველოში ყველაზე გავრცელებული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული – ხევი. ხევებად ქვეყნის დაყოფას, რომელიც გეოგრაფიულ თავისებურებებზეა დამყარებული, საქართველოს ბარში სამეურნეო ფაქტორიც აპირობებდა. ხევი ცალკეულ სამოსახლო გორათა სისტემას წარმოადგენს, რომელთაგან ერთი მოწინავეობს და ეკონომიკურ-პოლიტიკური ცენტრის როლს ასრულებს. ნიმუშად შეიძლება დასახელდეს ქართლში, ხევხმელას ხეობაში მდებარე ხოვლეგორა, რომელიც ძვ.წ. XV საუკუნიდან გალავნით შემოზღუდული „გვარის" სამოსახლოდაა ქცეული. ძვ.წ. XII საუკუნიდან „გორა" მხოლოდ ბორცვს კი აღარ მოიცავდა, არამედ ამ უკანასკნელის ძირში გაჩენილ სოფელსაც, რომლისაგან ბორცვზე დარჩენილი მოსახლეობა საგანგებო თხრილითა და ქვებით ნაგები გალავნითაა გამოყოფილი. თვით ბორცვი საკულტო-თავდაცვით ნაგებობადაა ქცეული. ეს აქ მობინადრე გვარის გარკვეულ დიფერენციაციას უნდა მოწმობდეს, რომელიც ძვ.წ. IX-V საუკუნეებში უფრო ღრმავდება. ძვ.წ. VI-V საუკუნეებში ხოვლეგორის საზოგადოება სოციალურად მკვეთრადაა დიფერენცირებული. ამასვე მოწმობს წინწყაროს, საძეგურის („ახალგორის განძი"), ყანჩაეთის სინქრონული მდიდრული სამარხები და „ყაზბეგის განძი".

ხოვლეგორაზე მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და მევენახეობა იყო განვითარებული. აქ აღმოჩნდა პურის საცხობი ღუმელები, რომელთა მსგავსი ქართლის სხვა არქეოლოგიურ ძეგლებზეცაა დადასტურებული. მათი ცალკეული პარალელები სომხეთსა და ჩრდილო კავკასიაშიც მოწმდება.

ადრეანტიკური ხანის აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლში, ზენა სოფელში პირველად კლდეში გამოკვეთილი გრანდიოზული ციხე-ქალაქის მშენებლობა ძვ.წ. VI-V საუკუნეებში იწყება. უფლისციხის გარდა, ძველი ქართული ქრონიკა ამავე ხანის მნიშვნელოვან ცენტრებად ასახელებს სარკინეს თავისი „ციხე დიდით", ურბნისსა და ოძრხეს (დღევ. აბასთუმანი).

ძვ.წ. IV-III საუკუნეების მიჯნაზე წარმოიშვა იბერიის (ქართლის) ერთიანი სამეფო, ფარნავაზის მეთაურობით, ცენტრით მცხეთაში. ფარნავაზმა თავისი ხელისუფლება მთელს ქართლზე განავრცო და კოლხეთიც შეიერთა. ქართლის მთაზე ფარნავაზმა არმაზის კერპი აღმართა და მთა გალავნით შემოზღუდა. ფარნავაზის შთამომავლებმა განაგრძეს არმაზციხის მშენებლობა, რომელიც აკროპოლისად (დედაციხედ) და იბერიის რეზიდენციად იქცა. არქეოლოგიურმა

გათხრებმა არმაზციხეში (დღევ. ბაგინეთი) თავდაცვითი და სასახლის საზეიმო ნაგებობათა გრანდიოზული კომპლექსი გამოავლინა.

ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოში და ნაწილობრივ დასავლეთ საქართველოში აქემენიდური (ირანული) კულტურის გავლენა იგრძნობა, რაც მშენებლობასა და ნაწილობრივ ხელოსნობის ნიმუშებში გამოიხატა. ძვ.წ. IV-I საუკუნეებში საქართველოში ელინისტური კულტურის ზემოქმედებაც სახეზეა.

ძვ.წ. I – ახ.წ. III საუკუნეების კულტურის ისტორიის პერიოდს „რომაული" ანუ „გვიანანტიკური ხანა" ეწოდება. ზოგი მეცნიერისათვის ელინიზმი ახალ კულტურას აღნიშნავს, რომელიც ბერძნული და აღმოსავლური კულტურების ელემენტების შერწყმის შედეგად წარმოიქმნა.

კულტურულმა ურთიერთობამ ელინისტურ სამყაროსთან თავისი გავლენა მოახდინა იბერია-კოლხეთის პოლიტიკურ წყობასა და კულტურაზე. ელინისტურ ეპოქაში საქართველოზე აღმოსავლეთის ქვეყნების (ჩინეთი, ინდოეთი) ევროპასთან დამაკავშირებელი სავაჭრო-სატრანზიტო, ე.წ. „აბრეშუმის გზა" გადიოდა. ამ გზით საქართველოში ბერძნული ნაწარმი, კერძოდ, კერამიკა, ტორევტიკა, გლიპტიკა, მონეტები ვრცელდებოდა. გარე სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობის შედეგად, კოლხეთში ლისიმაქეს, ხოლო იბერიაში ალექსანდრე მაკედონელის სტატერების ოქროს მინაბაძების მოჭრა დაიწყეს. ქალაქებში (მცხეთა, ვანი) ფართოდ გავრცელდა ელინისტური სამშენებლო წესები, საფორტიფიკაციო სისტემა და საკულტო ნაგებობათა ზოგიერთი ტიპი, ქვისა და ბრინჯაოს ქანდაკებები, რელიეფები, ტერაკოტული პლასტიკა. მზადდებოდა ბერძნული ტიპის სავაჭრო-სატრანზიტო ჭურჭელი – ამფორები, აგრეთვე, სათევზე ლანგრები, სანელსაცხებლეები. ელინისტური ტრადიციები ისეთ დარგებში ინერგება, როგორიცაა საფეიქრო წარმოება (ვერტიკალური საქსოვი დაზგა). გავრცელდა ბერძნული რელიგიური კულტები (მაგალითად, დიონისეს კულტი). მიუხედავად ზემოთქმულისა, ელინისტური კულტურის გავლენა საქართველოში მაინც ზედაპირული იყო. იგი უპირატესად ქალაქებში და საზოგადოების ზედა ფენებში შეიმჩნევა. სწორედ ამ მიზნით, ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, შუა საუკუნეების ქართულ კულტურაში ელინისტური ტრადიციები არ აღორძინებულა და არ განვითარებულა.

ელინისტური კულტურის იმპულსები საქართველოში როგორც შავი ზღვით, ასევე სახმელეთო (წინა აზია) გზით შემოდიოდა. ადრეელინისტური ხანის მნიშვნელოვანი ქალაქური ტიპის დასახლებები სამდლოზე (სადგურ ქსნის პირდაპირ), ნასტაკისში, აღაიანში აღმოჩნდა. ურბანიზებულია კავთისხევის

ციხიაგორას დასახლება, სადაც კულტურული ფენები ადრებრინჯაოს ხანიდანაა დადასტურებული, ძვ.წ. IV-III საუკუნეებში ძლიერ სატაძრო ცენტრადაა ქცეული. ელინისტური ხანის ფენები სარკინეს, ურბნისის ნაქალაქარებზე და გორის ციხეზეა გამოვლენილი.

ანტიკური ხანის ქართლში რომ დიდადაა განვითარებული საქალაქო ცხოვრება, ამას არქეოლოგიურ გათხრებთან ერთად ბერძენი გეოგრაფი სტრაბონიც (ძვ.წ. I-ახ.წ. I სს.) მოწმობს, რომლის თანახმად: „იბერია, კარგადაა დასახლებული მეტწილად როგორც ქალაქებად, ისე დაბებად; ისე, რომ აქ გვხვდება კრამიტის სახურავები და ხუროთმოძღვრული წესით აგებული სახლები, ბაზრები და სხვა საზოგადოებრივი შენობები". ამაზევე უნდა მიუთითებდეს მცხეთაში არსებული ხუროთმოძღვრისა და მხატვართუხუცესის თანამდებობა, რომელიც დოკუმენტურადაა დადასტურებული (IVს.).

ახ.წ. I-III საუკუნეებში იბერიის სამეფო კიდევ უფრო გაძლიერდა. რომის იმპერატორები ცდილობდნენ ქართლის მეფეებთან „მეგობრობის" შენარჩუნებას. საამისოდ ისინი უხვ საჩუქრებსაც არ იშურებდნენ.

რომაული ხანის საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ბორი, კლდეეთის სამაროვნები, სოფელ არადეთთან დედოფლის მინდორზე აღმოჩენილი ძვ.წ. I საუკუნის გრანდიოზული სატაძრო კომპლექსი, რომელიც გარკვეულ ანალოგებს აქემენიდური და სელევკიდური ხანის პერსეპოლისის ტაძრებთან პოულობს, თუმცა რიგი თავისებურებებითაც ხასიათდება.

ციხიაგორასა და დედოფლის მინდორზე აღმოჩენილი ტაძრები მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ ძველი ქართული თემი სატაძრო იყო. ძველი ქართლის საზოგადოებრივი წყობილება ადრეულ ხანაში, სტრაბონის მიხედვით, ასევე მნიშვნელოვანწილად თეოკრატიულ ელფერს ატარებს.

ამ ხანის ყველაზე მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლებია მცხეთის სადგურთან აღმოჩენილი აკლდამა, არმაზისხევის პიტიახშთა სამარხები და საცხოვრებელ-კომუნალური ნაგებობანი, ზღუდერის მდიდრული სამარხები, ნაქალაქარი ძალისი, არაგვისპირის, ახალი ჟინვალის, თირის მდიდრული სამარხები. არმაზისხევში, ბაგინეთში, ძალისში, ვარდციხეში, შორაპანში აღმოჩენილი აბანოები, რომლებიც დაგეგმარებითა და აღნაგობით წინა აზიისა და ყირიმის გვიანანტიკური დროის აბანოების მსგავსია.

არმაზისხევში პიტიახშთა, ანუ ერისთავთა მდიდრული სამარხებია აღმოჩენილი. ამავე რანგისაა ზღუდერში მიკვლეული სამარხები. აქ ტორევტიკა,

ძირითადად, ვერცხლის ჭურჭლეულითაა წარმოდგენილი. იგი, უმთავრესად, გამორჩეულად მდიდარ სამარხებში გვხვდება. ტორევტიკის ნიმუშები იმპორტულია (იტალიური), თუმცა ადგილობრივ ნაწარმსაც ვხვდებით. ეს, განსაკუთრებით, სავარძელ-ტახტებისა თუ დასაკრძალავ სარეცელთა ფეხებს ეხება – ხისგან გამოჩარხულსა და ზედშემოწნული ვერცხლის გარსაკრავებით დამშვენებულს. აღსანიშნავია ცხენის გამოსახულებიანი ვერცხლის პინაკებიც, რომლებიც ადგილობრივი პროდუქცია უნდა იყოს და ქართლის არისტოკრატიაში მითრაიზმის გავრცელებაზე მიუთითებს. ნაქალაქარ ძალისში, რომელსაც გეოგრაფი კლავდიოს პტოლემაიოსი იხსენიებს, II საუკუნის ტაძარში დიონისესა და მის წრესთან დაკავშირებული მოზაიკური გამოსახულებანი მოწმდება. ისინი თავისი მხატვრული და ისტორიული მნიშვნელობით შეიძლება გვერდში ამოუდგეს რომის, სირიისა და პალესტინის მოზაიკებს. ნუმიზმატიკური და სხვა არქეოლოგიური მასალა გარე სამყაროსთან საქართველოს (იბერია-კოლხეთის) ინტენსიურ სავაჭრო ურთიერთობის არსებობაზე მიუთითებს. ამაზევე მეტყველებს საერთაშორისო სავაჭრო მიმოქცევაში გავრცელებული მონეტებისა და მათი ადგილობრივი მონაბაძების ფართო მოხმარება. ახ.წ. I საუკუნეში საქართველოში ფართოდ ვრცელდება რომაული და პართული ვერცხლის მონეტები – ავგუსტუსის დენარები, გოტარზეს დრაქმები და კესარიული ვერცხლის მონეტები. ნიშანდობლივია არქეოლოგიურ მასალაში იმპორტული სხვა საქონლის სიუხვეც. ჩანს, ქართლთან სავაჭრო ურთიერთობა ეგვიპტის სახელოსნო ცენტრებს (მძივები) ჰქონდათ. ადგილობრივი ოქრომჭედლები აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შემოტანილ ძვირფას ქვებს ფართოდ იყენებდნენ. იმპორტული – რომაული გლიპტიკური ძეგლები, სირიული მინის ჭურჭელი, იმპორტული საქონელი და მონეტები არა მხოლოდ დიდ ქალაქებსა და ადმინისტრაციულ ცენტრებში ვრცელდება, არამედ სოფლებშიც.

ანტიკურ ხანაში მთელ ქვეყანაში, ძირითადად, ერთგვაროვანი არქეოლოგიური კულტურაა გავრცელებული.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ტომები ათასწლეულთა მანძილზე ეზიარებოდნენ სხვადასხვა მხარეებიდან და ქვეყნებიდან შემოსულ კულტურულ ნაკადებს, მათ თვითმყოფადი, განუმეორებელი მხატვრული ღირებულების ძეგლები შექმნეს, რითაც დიდი წვლილი შეიტანეს კავკასიურ და საერთოდ, წინააზიურ ცივილიზაციაში.

თავი III

ქართველთა წარმომავლობისათვის

ყველა სხვა ეთნოსის (ხალხის) მსგავსად, ქართველთა წარმოშობა საკმაოდ რთული და ხანგძლივი ისტორიული პროცესია, რომლის საწყისები ათასწლეულებში ღრმად იჭრება. როგორც არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ლინგვისტური, ისტორიული თუ სხვა მასალის კომპლექსური ანალიზი გვიჩვენებს, ეს პროცესი უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა.

ანთროპოლოგიური მასალიდან ირკვევა, უძველესი ხანიდან თანამედროვე საქართველოს ტერიტორია დასახლებული იყო ტომებით, რომლებიც დიდი ევროპეიდური რასის სამხრეთ შტოს განეკუთვნებოდნენ. ყველაზე ადრეული პალეოანთროპოლოგიური მასალა, რომლის მიხედვითაც შეიძლება თვალი გავადევნოთ ქართველთა ფიზიკური ტიპის თავისებურებებს, ენეოლითის ხანას მიეკუთვნება. აქედან მოყოლებული საქართველოს მოსახლეობა დოლიქოკრანიით (გრძელთავიანობით), ვიწრო მაღალი სახით, მაღალი და ვიწრო, მკვეთრად გამოწეული ცხვირით, მაღალი ცხვირის ფუძით ხასიათდებოდა და ხმელთაშუაზღვისპირული ტიპის ვარიაციაში თავსდებოდა.

ძვ.წ. I ათასწლეულის დასასრულიდან საქართველოს ტერიტორიაზე უკვე საკმაოდ ფართოთავიანი და ფართოსახიანი ანთროპოლოგიური ტიპიც ჩნდება, რომელიც სხვადასხვა უცხო ელემენტთა არსებითი მონაწილეობის გარეშე ადგილობრივ საფუძველზე, შინაგანი განვითარების გზით ჩამოყალიბდა.

სხვადასხვა სოციალურ-საყოფაცხოვრებო, კულტურულ-ეკონომიკური და ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების მიზეზით თანამედროვე მოსახლეობის ერთმანეთისაგან განსხვავებული სხვადასხვა ლოკალური ვარიანტი წარმოიქმნებოდა. ეს ვარიანტები, მიუხედავად რეგიონალური განსხვავებებისა, მორფოლოგიური ერთიანობით ხასიათდებოდა, რაც მათი წარმოშობით იყო განპირობებული.

საქართველოში არსებულმა ხელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა, თავისებურმა ლანდშაფტმა, ბუნებრივი თავშესაფარი ადგილებისა და გამოქვაბულების სიმრავლემ, საკვები პროდუქტების სიუხვემ, ქვის იარაღის დასამზადებლად საჭირო ნედლეული მასალის სიმდიდრემ დიდად განსაზღვრა საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი ადამიანის (ჰომო ერექტიკუსის) ადრეული განსახლება. უკანასკნელი ხანის არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა სრულიად ახლებურად დააყენა საქართველოს მიწა-წყალზე პირველყოფილი ადამიანის

გამოჩენის საკითხი. დმანისის ფეოდალური ხანის ნაქალაქარის ტერიტორიაზე, ნამარხი ცხოველების ძვლებს შორის, უძველესი ადამიანის ქვედა ყბა და ორი თავის ქალა აღმოჩნდა. აქვეა ნაპოვნი ქვის პრიმიტიული იარაღები. დმანისელი ადამიანი დაახლოებით 1,7 მილიონ წელზე უფრო ადრე უნდა გამოჩენილიყო. იგი ცხელი სარტყლის გარეთ, ევრაზიის ერთ-ერთი უძველესი ბინადარი უნდა ყოფილიყო. მორფოლოგიური მონაცემებით, დმანისელი ადამიანი აფრიკის ადამიანის ფორმებს უახლოვდება. დაახლოებით ერთი მილიონი წლის წინათ, ძველი ქვის ხანის აშელის პერიოდის ადამიანი საქართველოში საკმაოდ მყარად მკვიდრდება. ინტენსიურადაა დასახლებული კოლხეთი, კარგადაა ათვისებული ამ ხანაში აღმოსავლეთ საქართველოს მთა და ბარი.

დაახლოებით 150 ათასი წლის წინათ აშელის ხანგძლივი პერიოდი დასრულდა. იგი თითქმის ნახევარ მილიონ წელს გაგრძელდა. პირველყოფილი ადამიანი საქართველოს ტერიტორიას კიდევ უფრო ფართოდ პალეოლითის გვიანდელ საფეხურზე, მუსტიეს ხანაში ითვისებს. როგორც ჩანს, ამ პერიოდში ადამიანის ცხოვრებისათვის საკმაოდ ხელსაყრელი ბუნებრივი გარემო არსებობდა. იმატა მოსახლეობის რიცხვმა. ადამიანი ფართოდ ეუფლება კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს.

დაახლოებით ძვ.წ. V ათასწლეულის ბოლოდან მაინც იწყება საერთო ქართველური ენობრივი სისტემისა და ეთნოსის ჩამოყალიბება.

ეთნიკური ერთობის შექმნის ძირითადი პირობა, უპირველეს ყოვლისა, საერთო ტერიტორია და საერთო ენაა, რაც ამ დროისათვის ქართველურ ტომებს უკვე ჰქონდათ. ამ ერთობის ეთნოგენეზის პროცესში ყალიბდებოდა ქართველური ეთნოსისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები, როგორც მატერიალურ და სულიერ კულტურაში, ისე ყოფასა და ფსიქიკაში. იქმნებოდა ***ეთნიკური თვითშეგნება*** (თვითშემეცნება), რომელიც გენეტიკური ერთიანობის მახსოვრობის ჩამოყალიბებას, ტომობრივი (ენობრივი) კუთვნილების გრძნობის გაჩენას ეფუძნებოდა.

მსოფლაღქმისა და თვითშეგნების არქეტიპულობა და ტრადიცია პირობებს ქმნიდა ქართველურ ტომებში ჩამოყალიბებულიყო ერთიანი სიმბოლური სისტემა, რომელსაც საფუძვლად ეთნოსის მიერ საუკუნეებით შექმნილი და მის ცნობიერებაში გაფორმებული ერთიანი მსოფლაღქმა ედო. საქართველოში უძველეს წარსულში ისახებოდა კოსმოლოგიური კონცეფცია და მისი გადმოცემის უმთავრესი სიმბოლიკა, რომელიც ხელს უწყობდა ხალხის მიერ სამყაროს გააზრებასა და შეცნობას, მისი სურათის წარმოსახვას.

ადამიანთა ერთობა – ეთნოსი მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც არა მხოლოდ თვითშეგნებაა ჩამოყალიბებული, არამედ წარმოქმნილია ეთნონიმი (***თვითსახელწოდება)***, როგორც ეთნიკური ფსიქოლოგიის, საერთოდ, ეთნიკური ერთობის ფორმირების საწყისი ეტაპი. როგორც ცნობილია, თვითსახელწოდების წარმოქმნის მოდელი დასაწყისში საკმაოდ პრიმიტიულია. იგი ეთნიკური ფსიქიკის ჩამოყალიბების სულ სხვადასხვა საფეხურს გამოხატავს. თვითსახელწოდების სახით ხშირად ფიგურირებს ისეთი ელემენტები, როგორიცაა პირის ნაცვალსახელები (პირველი პირის მხოლობით და მრავლობით რიცხვში), ზოგადად „ადამიანები“, ზოგჯერ დაპირისპირება „თავისიანი-უცხო, სხვა“, „ჩვენ-ისინი” და ა.შ.

მაგრამ მოგვიანებით მდგომარეობა იცვლება. ეთნოსის სახელწოდებად შეიძლებოდა გამხდარიყო რომელიმე ტოპონიმის, მონათესავე ტომთა და ა.შ. სახელწოდება. სწორედ ასეთ შემთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე ქართველთა თვითსახელწოდების „ქართველი” წარმოქმნასთან დაკავშირებითაც. ქართველ მეცნიერთა ნაწილი ქართველური ეთნოსის თვითსახელწოდებად „ქართლს“ მიიჩნევს, რომელიც „ქართ“ ტოპონიმისაგან უნდა იყოს წარმომდგარი. ზოგიერთ მკვლევარს საერთოქართველურის დონეზე აჰყავს ტერმინი „მოსხი”, რომელიც, როგორც ჩანს, ასევე ქართველთა თვითსახელწოდება იყო. ეს ტერმინი დოკუმენტურადაა დამოწმებული და წარმოადგენს ისტორიულად მოქმედ საკმაოდ ძველ ეთნონიმს („მუშქის“ ანუ „მოშქის“ სახით იგი წერილობით წყაროებში ძვ.წ. XII საუკუნიდან გვხვდება). ქართველთა თვითსახელწოდების დადგენასთან დაკავშირებით საინტერესოა მოსაზრება, რომლის მიხედვით საერთოქართველურ დონეზე შეიძლება აღდგეს სატომო თუ ტომთა გაერთიანების სახელები : „ქართ-ი” „თუშ-ი”, „სუან-ი”, „ლას-ხ-ი” („ალაზ-ი“?), „მ-ეგრ-ელ-ი//მ-ეგრ-ან-ი”, „წ-ენ-ი”. **რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა ეს ეთნონიმები ჯერ კიდევ საერთოქართველური ფუძე ენის ფუნქციონირების ბოლო პერიოდში უკვე არსებობდა, ხოლო ამ ენის დიფერენციაციის შემდეგ მათი სახელწოდებები საერთოქართველურ გაერთიანებაში შემავალ ცალკეული ეთნიკური ჯგუფების თვითსახელწოდებად გადაიქცა. არ არის გამორიცხული ვივარაუდოთ, რომ საერთოქართველური ეთნოსის თვითსახელწოდება შეიძლება ყოფილიყო „სუან-ი”, „ეგრ-ი” ან სხვა რომელიმე ქართული ეთნონიმი, რასაც მომავალი კვლევა-ძიება დაადგენს.**

როგორც ითქვა, ***დაახლოებით ძვ.წ. V ათასწლეულის*** ბოლოდან მაინც იწყება საერთოქართველური ენობრივი სისტემისა და ეთნოსის ჩამოყალიბება. საერთოქართველური (პროტოქართველური) წინაპარი ენა იყო იმ ენათათვის,

რომლებსაც ჩვენ დღეს ქართულს, სვანურს, მეგრულ-ჭანურს, ე.ი. „ქართველურ ენებს" ვუწოდებთ. ლინგვისტებმა აღადგინეს საერთო-ქართველური ფუძე-ენა, მისი უძველესი სტრუქტურა და ისტორიული განვითარების პროცესი. დადგენილია, რომ საერთო-ქართველური ფუძე-ენა არ მიეკუთვნება ისტორიულად დამოწმებული ენების რიცხვს. იგი წარმოადგენს ერთგვარ სტრუქტურულ-თეორიულ ენობრივ მოდელს, რომელიც აღდგენილია სხვადასხვა დონეებზე ისტორიულ ქართველურ ენებს შორის გარკვეული შესატყვისობის საფუძველზე. ტიპოლოგიურად მისი ენობრივი სისტემა აგლუტინაციური წყობის ენებს უახლოვდება.

ქართველური ფუძე-ენა კავკასიის ენების სამი ენობრივი ჯგუფის ერთ-ერთი წევრია, რომელიც ქმნის სამხრეთ-კავკასიურ ანუ ქართველურ ენათა ჯგუფს ჩრდილო-კავკასიურ, ე.ი. ჩრდილო-დასავლურ ანუ აფხაზურ-ადიღეურ და ჩრდილო-აღმოსავლურ ანუ ნახურ-დაღესტნურ ჯგუფებთან ერთად. ამ სამ ენობრივ ჯგუფს შორის ოდინდელი გენეტიკური ნათესაობის საკითხი მეცნიერთა შორის დღემდე კამათის საგანს წარმოადგენს.

საერთო-ქართველური ენის განვითარების ადრეულ ეტაპზე იგი სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ხასიათის დიდ მსგავსებას ინდოევროპული ფუძე ენის სტრუქტურასთან ავლენს, რაც ზოგიერთ მეცნიერს საერთო-ინდოევროპულთან საერთო-ქართველურის შორეულ ნათესაობას ავარაუდებინებს. საერთო-ქართველური ფუძე ენის ლექსიკაში ნასესხობანი საერთო-სემიტური ფუძე ენიდანაც დასტურდება. ყოველივე ეს მკვლევართ საერთოქართველურის, საერთოინდოევროპულისა და საერთოსემიტურის ფუძე ენების თანადროულ არსებობას აფიქრებინებს.

ქართველური ეთნოსის ოდითგანვე სამხრეთ კავკასიის ფარგლებში განსახლება ახლა უკვე ეჭვს აღარ იწვევს. მეცნიერთა ვარაუდით, საერთოქართველური ეთნოსის უძველესი საცხოვრებელი ტერიტორია მცირე კავკასიონის დასავლეთ და ცენტრალური ნაწილში – სამცხე-ჯავახეთის მთიანეთსა და ტაო-კლარჯეთშია მოსათავსებელი. იმასაც აღნიშნავენ, რომ აქედან ქართველური მიგრაციის პირველი ტალღა დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთისაკენ – კოლხეთის დაბლობისაკენ უნდა წარმართულიყო. ძვ.წ. III ათასწლეულში საერთოქართველურიდან მისი ერთ-ერთი დიალექტი გამოეყო და დასაბამი სვანური ენის წარმოშობას მისცა. მოგვიანებით, სვანური ენა სამხრეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილში გავრცელდა. აქედან სვანური ენა ჩრდილოეთისკენ, დიდი კავკასიონის ქედის მიმართულებით მომდევნო ქართულ მიგრაციულმა ტალღამ განდევნა, რომელმაც შავი ზღვის ნაპირებს მიაღწია. ამ ტალღიდან

ქართველურის დასავლური დიალექტი გამოეყო, რომელმაც „კოლხურ“ - „ზანურ“ ანუ მეგრულ-ლაზურ ენას მისცა დასაბამი.

ქართველური ტომების განსახლების ტერიტორია მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეზობელ ძველაღმოსავლურ ქვეყნებთან. ძვ.წ. III-II ათასწლეულებში ამ ტომებს ურთიერთობა ჰქონდათ ძველი აღმოსავლეთის ისეთ ცნობილ ეთნოსებთან, როგორიც იყვნენ შუმერები, სემიტები, ინდოევროპელები (განსაკუთრებით, ხეთები), ხათები (პროტოხეთები), ხურიტები და სხვანი. ამას ამ ეთნოსებიდან ქართველური ეთნოსის მიერ ნასესხები ლექსიკაც ადასტურებს და ძველაღმოსავლურ და ქართველურ ენათა მსგავსი სტრუქტურული დამახასიათებელი ნიშნებიც. ლექსიკური ნასესხობანი, ცხადია, თავისთავად მიგვანიშნებს იმ გეოგრაფიულ გარემოზე, რომლის საზღვრებშიც უნდა ეცხოვრათ ქართველურ ტომებს.

ქართველურ და ახლოაღმოსავლურ ეთნოსებს შორის არსებულ ურთიერთობებს დიდი გავლენა უნდა მოეხდინა ქართველურ ტომთა განვითარების პროცესზე. ძვ.წ. III-II ათასწლეულებში ქართველური ეთნოსი წარმოგვიდგება როგორც ერთ-ერთი დამოუკიდებელი და მყარად ჩამოყალიბებული ეთნიკურ-ენობრივი ერთობა, საკუთარი დამოუკიდებელი კულტურულ-ისტორიული ტერიტორიით. იგი არა იზოლირებული სახით არსებობდა, არამედ როგორც მის თანადროულ ცივილიზაციებთან მჭიდროდ დაკავშირებული ეთნიკური ერთობა. ზემოაღნიშნულ ურთიერთობებს, ბუნებრივია, ქართველურ ტომთა საზოგადოებრივი განვითარების პროცესი უნდა დაეჩქარებინა, რომელიც წინა აზიის დიდ ეთნოსებთან შედარებით, მაინც შენელებული ტემპით მიმდინარეობდა.

არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან მთელი დასავლეთ საქართველო მჭიდროდ იყო დასახლებული. საზოგადოებას რთული სოციალური სტრუქტურა გააჩნდა. ერთგვაროვანი კულტურის გავრცელებაში გარკვეული პოლიტიკური კონსოლიდაციაცაა ასახული. როგორც ვარაუდობენ, ძველკოლხურ ტომთა პირველი მსხვილი პოლიტიკური გაერთიანების ხანას განეკუთვნება სწორედ ბერძენ-აქეველთა პირველი მოგზაურობანი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებისაკენ.

ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულისათვის დიდი ძვრები შეინიშნება მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზეც, სადაც აქ მოსახლე ტომები აქტიურდებიან, რაც ხეთების სამეფოს დასუსტებით, ხოლო შემდეგ მისი დაცემით იყო გამოწვეული. მათ რიცხვს განეკუთვნებოდნენ ძვ.წ. XIII-XII საუკუნეებში ხეთურ და ასურულ ლურსმულ ტექსტებში მოხსენებული ქასქები (ქაშქები), ძვ.წ.

XII საუკუნის ასურული ლურსმული წარწერების აბეშლაელები, მუშქები (მუშქაია), დაიანელები და სხვანი. არ გამოირიცხება, რომ ყველა მათგანი ქართველური წარმოშობის ტომი იყო. ხეთურ ტექსტებში მოხსენებული ქასქების ქვეყნის ტოპონიმიკის, საკუთარი სახელებისა და ცალკეული სიტყვების ანალიზი აჩვენებს, რომ ქასქები კოლხური წარმოშობის უნდა ყოფილიყვნენ. აქედან გამომდინარე, კოლხური წარმოშობის ტომებად უნდა ჩავთვალოთ აბეშლაელებიც, რადგან ასურული წყაროების მიხედვით, „ქაშქა“ („ქაშქაია“) და „აბეშალა“ (აბეშლაია“) ტერმინები ან სინონიმები არიან, ან ისინი ორი სხვადასხვა მონათესავე ტომის (ამ შემთხვევაში, ქართველურის) აღმნიშვნელია. ასურული წყაროების მუშქები რომ ქართველური წარმოშობის ტომები (მესხები) იყვნენ, ამაში ახლა ეჭვი აღარავის ეპარება. დაიანელებს ხშირად აიგივებენ ურარტული წყაროების დიაოხელებთან (ტაოელებთან) –ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მცხოვრებლებთან, რომლებსაც, ასევე ქართველური წარმოშობის ტომებად მიიჩნევენ.

ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულს ქართველურ ტომთა აქტიურობა მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიაზე, რომელიც მესოპოტამიას ესაზღვრებოდა, ასურული წყაროების მონაცემებით დასტურდება. მუშქები (მესხების წინაპრები) სამხრეთით გაიჭრნენ, ალზის, ფურულუმზისა და ქათმუხის ქვეყნებს – ჩრდილოეთ მესოპოტამიის ცნობილ პოლიტიკურ გაერთიანებებს დაეპატრონენ, რომელთაც 50 წლის განმავლობაში მართავდნენ (ლუვიურ-იეროგლიფური წარწერების მონაცემთა გათვალისწინებით მუშქების – მოსხების, მესხები – პირველ გამოჩენას ცენტრალურ ანატოლიაში ძვ.წ. XIV -XIII სს-ით ათარიღებენ). როგორც ჩანს, მუშქების ტომები უკვე ადრესახელმწიფოებრივ პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ (ასურულ ტექსტებში მათი „ 5 მეფეა“ ნახსენები).

ქართველური ტომების შემდგომი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების პროცესში რკინის მეტალურგიის სწრაფმა აღმავლობამ დიდი როლი შეასრულა. სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოლქები ძვ.წ. IX-VII საუკუნეებში რკინის წარმოების ერთ-ერთ უძველეს ცენტრებს წარმოადგენდა. ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ტომებიდან ერთ-ერთი – დიაოხელები (ტაოელები) დიდ პოლიტიკურ გაერთიანებას ქმნიან, რომელიც ურარტუელთა არაერთი ლაშქრობის ობიექტი ხდება. აღნიშნულ ტერიტორიაზე ქართული სხვა ეთნოპოლიტიკური ერთეულებიც მოწმდება: ურარტული წარწერების ზაბახა (ჯავახეთი), ქათარზა (კლარჯეთი), ლუშა, ერიახი და სხვა.

ურარტულ ლურსმულ ტექსტებში დასავლეთქართველური სახელმწიფო კულხაც (კოლხა, კოლხეთი) იხსენიება, რომლის ძალაუფლება სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე ვრცელდებოდა.

ძვ.წ. VI-V საუკუნეებში კოლხეთი ეკონომიკურად და კულტურულად დიდად დაწინაურებულ სახელმწიფოდ წარმოგვიდგება (სახელმწიფოებრივი სტრუქტურით, ცენტრალური ხელისუფლებით, ინტენსიური საქალაქო ცხოვრებით, რთული საგადასახადო სისტემით და ა.შ.). დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე პირველი სახელმწიფოსა და ცივილიზაციის შემქმნელები ქართველური ტომები – კოლხები იყვნენ. კოლხთა სახელმწიფოს შექმნის ერთ-ერთი შედეგი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ერთიანი ეთნოკულტურული სისტემის ჩამოყალიბება იყო, სადაც წამყვან როლს კოლხური ეთნოსი ასრულებდა. მომავალში იგი ერთიანი ქართული ეთნოსის შემადგენელი ნაწილი გახდა.

აღმოსავლეთ ქართველურ ტომთა – იბერთა პოლიტიკური და ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესში ჰეგემონის როლში გარკვეული პერიოდიდან ქართის ტომი გამოდის. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პოლიტიკური გაერთიანებები (დიაოხი და სხვანი) იმ ბირთვად ვერ გადაიქცა, რომლის გარშემოც შესაძლებელი გახდებოდა ქართველ ტომთა კონსოლიდაცია. მართალია, ძვ.წ. IV საუკუნის ბოლო მეოთხედში ისტორიულ მესხეთ-ჯავახეთის რეგიონში (სამცხე, ჯავახეთი, კლარჯეთი, შავშეთი, ტაო, კოლა, არტაანი და სხვ.) მოსხებმა – მესხებმა ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება შექმნეს, რომელსაც უფრო გვიან სტრაბონი „მოსხების ქვეყანას“ („მოსხიკეს“) უწოდებდა, ხოლო „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორი, როგორც ახლა ვარაუდობენ, „არიან-ქართლის“ სახელით იცნობდა. მაგრამ ეს „ქვეყანაც“ ქართველ ტომთა ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესში ჰეგემონის როლში ვერ გამოვიდა.

ადრერკინის ხანიდან ქართის ტომის მეთაურობით ტომთა ძლიერი კავშირები იქმნება. ტომთაშორისი ბრძოლა ქართლის ტომთა პოლიტიკური და კულტურული ჰეგემონობით წარიმართა. სწორედ ქართლმა დაუდო საფუძველი ქართველი ხალხის საბოლოო ჩამოყალიბებას.

ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნა (ძვ.წ. IV-III საუკუნეების მიჯნა) მნიშვნელოვანი საფეხური იყო ქართველთა ეთნოგენეზში. იგი ტომობრივი ზღუდეების მოშლას, ტომთა კონსოლიდაციას, არაქართველი ტომების ასიმილაციას და ქართველურ ტომთა ინტეგრაციას ნიშნავდა. მომდევნო ხანებში ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი კიდევ უფრო შორს წავიდა და ეროვნულმა

თვითშეგნებამ მაღალ დონეს მიაღწია. დამთავრდა ერთიანი ქართული ეთნოსის ჩამოყალიბების პროცესი. დაიწყო მისი შემდგომი განვითარების ეტაპი.

თავი IV

ქართველ ტომთა ადრეკლასობრივი გაერთიანებები და უძველესი სახელმწიფოები საქართველოს ტერიტორიაზე

ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ რეგიონებში უკვე თრიალეთის კულტურის მატარებელ მოსახლეობაში არსებობდა ტომთა კავშირები. ქართველი ტომები წინა აზიის ასპარეზზე აქტიურად გამოჩნდნენ ძვ.წ. XIII საუკუნეში, როდესაც მათ სამხრეთით დაეცა ორი ძლევამოსილი სახელმწიფო – ხეთებისა და მითანის. ხეთები ეგეოსის ზღვიდან შემოჭრილმა ე.წ. „ზღვის ხალხებმა" გაანადგურეს, ხოლო მითანი – ასურელებმა.

ხეთების სახელმწიფოს დანგრევის შემდეგ, მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში დამკვიდრდნენ მუშქები – გვიანდელი ქართველი ტომების მესხების წინაპრები, რომლებმაც აქ ხეთური კულტურის ძლიერი გავლენა განიცადეს. მოგვიანებით, ძვ.წ. X-IX საუკუნეებში მდ. ღალისის სამხრეთ-აღმოსავლეთით მუშქებმა ძლიერი სახელმწიფო შექმნეს და თავიანთი ბატონობა მცირე აზიის მნიშვნელოვან ნაწილზე განავრცეს. განსაკუთრებით გაძლიერდა მუშქების სამეფო ძვ.წ. VIII საუკუნეში. ბერძნული წყაროები მას ფრიგიის სამეფოს უწოდებენ, ხოლო ასურული და ურარტული წყაროები – მუშქების.

ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულს სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა სახელმწიფოები: დიაოხი და კოლხა. მათ შესახებ ცნობები დაცულია ძვ.წ. XIII-VIII საუკუნეების ასურულ და ურარტულ ლურსმულ დამწერლობის ძეგლებში.

დიაოხი. იგი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ძირითადად მდ. ჭოროხის აუზში შეიქმნა. მისი სახელი შემდგომში საქართველოს ერთ-ერთ ოლქს, ტაოს შემორჩა. ტომთა ეს გაერთიანება ასურულ წყაროებში „დაიაენის" სახელით მოიხსენიება. ურარტული წყაროები მას „დიაოხის" სახელით იცნობენ. უფრო გვიან კი, ბერძნები აქაურებს „ტაოხებს" უწოდებდნენ.

დაიაენი ანუ დიაოხი უკვე ძველაღმოსავლური ტიპის სახელმწიფოებრივი გაერთიანება იყო. სამხრეთით მის საზღვრებში დღევანდელი ქ. არზრუმის

მიდამოებიც შედიოდა, ჩრდილოეთით ჯავახეთი ესაზღვრებოდა, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით მისი გავლენა შავ ზღვამდე აღწევდა. ძვ.წ. 1112 წელს ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ I-მა დიაოხში ილაშქრა. მის წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა დიაოხის მეფე სიენი, რომელსაც ეხმარებოდა მეზობელი ქვეყნების 60 „მეფის“ ლაშქარი. ეს „მეფეები“ ანუ ბელადები დიაოხის მეფეს ემორჩილებოდნენ. ტომთა კავშირების გაერთიანებული ლაშქარი შეებრძოლა ასურელებს, მაგრამ დამარცხდა. ტიგლათფილესერმა მეფე სიენი ტყვედ ჩაიგდო, ასურეთის სატახტო ქალაქ ასურში წაიყვანა, მთავარ ღვთაება ასურს ათაყვანა და მორჩილების აღიარების შემდეგ სამშობლოში გამოისტუმრა. ასურელებმა ერთგულებაზე დამარცხებული ტომთა ბელადებიც დააფიცეს. ტიგლათფილესერ I-ის შემდეგ ასურეთის ძლიერი სახელმწიფო თანდათან დასუსტდა და ჩრდილოეთის ქვეყნებზე მისი გავლენა შემცირდა. ძვ.წ. IX საუკუნის შუა წლებში ასურეთის მეფე სალმანასარ III-მ მეგობრული ურთიერთობა დაამყარა დიაოხის მეფე ასიასთან, მაგრამ მალე დიაოხის მეფე კვლავ აჯანყდა.

ასურეთის სახელმწიფო განსაკუთრებით ურარტუს ახალწარმოქმნილმა სამეფომ შეავიწროვა. ურარტუ ძვ.წ. IX საუკუნეში სამხრეთ ამიერკავკასიაში, ვანის ტბის მიდამოებში ჩამოყალიბდა. მისი დედაქალაქი ტუშპა იყო. ურარტუს მეფეები ცდას არ აკლებდნენ, ხელთ ეგდოთ ლითონითა და მადნეულით მდიდარი დიაოხის ქვეყანა.

ურარტუს მეფე მენუა, რომელიც ძვ.წ. IX ს-ის ბოლოს და VIII ს-ის დასაწყისში მეფობდა, კლდეზე ამოკვეთილ ერთ-ერთ თავის წარწერაში მოგვითხრობს დიაოხის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებზე. წარწერიდან ირკვევა, რომ მან დაარბია დაოხის ქვეყანა და მისი მეფე უტუფურსი დაიმორჩილა. მაგრამ დიაოხის მეფე კვლავ აჯანყდა და მენუას მემკვიდრეს, არგიშთი I-ს (ძვ.წ. 786-764 წწ.), ხელახლა მოუხდა უტუფურსის წინააღმდეგ გალაშქრება, თანაც არგიშთიმ დიაოხის სამეფო ქალაქი ზუა გადაწვა. ამ ომების შედეგად, ურარტუს მეფეებმა დიაოხს სამხრეთი ნაწილი წაართვეს და თავიანთი ბატონობის განსამტკიცებლად იქ ციხესიმაგრეები ააგეს. დიაოხი მაინც ძლიერ ქვეყნად ჩანს. ურარტუს მეფე მენუა თავის წარწერებში დიაოხს „ძლევამოსილ“ ქვეყანას უწოდებს. დიაოხის სიმდიდრეს მოწმობს ნადავლი, რომელიც დამპყრობლებს გაჰქონდათ ამ ქვეყნიდან, აგრეთვე ის დიდი რაოდენობის ხარკი, რასაც დიაოხი ურარტუს მეფეებს უხდიდა. ერთდროული ხარკის სახით ურარტუს მეფეებმა დამარცხებული დიაოხისგან მიიღეს: რამდენიმე ათეული კილოგრამი ოქრო-ვერცხლი, რამდენიმე ტონა სპილენძი, დიდძალი პირუტყვი: ცხენი, ძროხა, ხარი,

ცხვარი. წერილობითი წყაროების ანალიზიდან ირკვევა, რომ დიაოხში განვითარებული იყო მესაქონლეობა, მეტალურგია, ძვირფასი ლითონების დამუშავება. დიაოხის გაერთიანების სათავეში მეფე იდგა, რომელიც ქვეყნის უზენაესი ხელისუფალი იყო.

ურარტულ წარწერებში, ურარტუსთან ბრძოლაში დიაოხის დასახმარებლად მოსული, სამხრეთ ამიერკავკასიის ბევრი სხვა ტომიც მოიხსენიება. მათ შორისაა: „ქათარზა" (კალარჯა, კლარჯეთი), „ზაბახა" (ჯავახა, ჯავახეთი), „ვიტეროხი" (ვიძეროხი, ოძრხე), „ლუსა", იგივე „ლოსა" (მერმინდელი ლაზები), „იგანიეხი" (მერმინდელი ჰენიოხები), „ერიახი" (მერმინდელი ჰერები) და სხვ.

ურარტუს შემოსევებმა დაასუსტა დიაოხი, მაგრამ მის საბოლოო განადგურებაში მისმა ჩრდილოელმა მეზობელმა, დასავლეთ საქართველოს მეორე დიდმა სახელმწიფოებრივმა გაერთიანებამ – კოლხამ ითამაშა გადამწყვეტი როლი. ჩრდილოეთიდან კოლხას, ხოლო სამხრეთიდან ურარტუს შემოტევების შედეგად ძვ.წ. VIII საუკუნის 60-იან წლებში დიაოხის სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა. მისი ტერიტორიის სამხრეთი ნაწილი ურარტუელებმა დაიკავეს, ხოლო ქვეყნის ჩრდილოეთის რეგიონები კოლხას შემადგენლობაში შევიდა.

კოლხა. ქართული ტომების ეს დიდი გაერთიანება ძვ.წ. II ათასწლეული დასასრულს სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ჩამოყალიბდა. ასურულ ლურსმულ წარწერებში პირველი ცნობები კოლხური ტომების შესახებ ძვ.წ. XII საუკუნიდან ჩნდება. ამ დროს კოლხები ჯერ კიდევ პირველყოფილ-თემური წყობილების პირობებში ცხოვრობდნენ. ასურული წყაროები აქ ათეულობით „მეფეებს", ე.ი. ტომთა ბელადებს ასახელებენ, რომლებიც თანდათან გაერთიანდნენ და ტომთა მტკიცე კავშირად ჩამოყალიბდნენ. ამ რეგიონში ფართოდ განვითარდა მესაქონლეობა და მეტალურგია, განსაკუთრებით – რკინის წარმოება, რამაც საზოგადოებრივი განვითარება და სახელმწიფოს ჩამოყალიბება დააჩქარა. აქაური ქართული ტომები, მაგალითად, ხალიბები, სახელგანთქმულნი იყვნენ რკინის დამუშავებით. ძველი ბერძნები ამ ტერიტორიაზე მცხოვრებლებს „რკინის გამომგონებლებად" მიიჩნევდნენ. ამ ტომებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ წინა აზიის კულტურულ ცენტრებთან. სწორედ ამგვარ ვითარებაში ჩამოყალიბდა დასავლეთ-ქართული ძლიერი და მაღალკულტურული სახელმწიფო – კოლხეთის სამეფო.

ურარტული წერილობითი წყაროები კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე არაერთ სამეფო ქალაქს ასახელებენ. ამ წყაროებიდანვე ჩანს, რომ კოლხეთის სამეფოს ცალკეულ პროვინციებს მეფისნაცვლები განაგებდნენ. ძვ.წ. IX-VIII

საუკუნეებში კოლხეთის სამეფომ თავისი ბატონობა დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილზე გაავრცელა. მას ბრძოლები დიაოხსა და ურარტუსთან ჰქონდა. ძვ.წ. VIII საუკუნის შუა წლებში, ურარტუს სახელმწიფოსთან ერთად, კოლხამ დიაოხი გაანადგურა და მისი ჩრდილოეთი ტერიტორიებიც შეიერთა.

კოლხას სამეფოს შესახებ უძველესი ცნობები არგონავტების შესახებ ძველ ბერძნულ მითშია დაცული. კოლხეთში არგონავტების მოგზაურობის ისტორია ყველაზე სრულად ძვ.წ. III საუკუნის ბერძენი ავტორის აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკასა" და ძვ.წ. V საუკუნეში მოღვაწე ევრიპიდეს „მედეაშია" დაცული. ამ მითის თანახმად, კოლხეთი უძლიერესი სახელმწიფო იყო, რომლის სათავეში იდგა მეფე აიეტი – მზის ღმერთის, ჰელიოსის შვილი. კოლხთა მეფეს ცეცხლისა და მჭედლობის ღმერთმა – ჰეფესტომ სპილენძისჩლიქებიანი და ცეცხლისმფრქვეველი ხარები და მაგარი ფოლადის გუთანი გამოუჭედა. აიეტთან ინახებოდა მაგიური ოქროს საწმისი – ვერძის ოქროსმატყლიანი ტყავი, რომლის წასაღებად საბერძნეთიდან იაზონის მეთაურობით სახელგანთქმული გმირები გამოემგზავრნენ. მათ ხომალდს „არგო" ერქვა, ამიტომ ამ ექსპედიციის მონაწილეებს „არგონავტები" უწოდეს. არგონავტებმა რთული და ხიფათიანი მოგზაურობის შემდეგ, კოლხეთის სანაპიროს მიაღწიეს და მეფე აიეტს წარუდგნენ. კოლხეთის მეფემ იაზონს ოქროს საწმისის მიცემა იმ პირობით აღუთქვა, თუ იაზონი მისი ყველა დავალების შეასრულებას შეძლებდა. კოლხთა მეფის გრძნეული ქალიშვილი მედეა იაზონს ჯერ მეფის რთული დავალებების შესრულებაში, საბოლოოდ კი, ოქროს საწმისის მოტაცებაში დაეხმარა. არგონავტების მითში ლეგენდარულ ამბებთან ერთად, ისტორიული სინამდვილეც არის ასახული – კოლხეთის პოლიტიკური სიძლიერე, ქვეყანაში დაწინაურებული მეტალურგიული და სამიწათმოქმედო კულტურა.

ქართველი ტომების დამსახურებას მეტალურგიის დანერგვა-განვითარებაში ასევე ასახავს ძველი ბერძნული მითი პრომეთეს შესახებ. პრომეთემ ზევსს ცეცხლი მოსტაცა და ადამიანებს მისცა. ამ ცეცხლით კი, ადამიანებმა ლითონის გამოდნობა შეძლეს. პრომეთეს თქმულების საქართველოსთან კავშირზე მიუთითებს ისიც, რომ ზევსმა პრომეთე საქართველოში, კერძოდ, კავკასიონის ქედზე მიაჯაჭვა.

ძვ.წ. VIII საუკუნე კოლხეთის სამეფოს ძლიერების ხანაა. მან ხანგრძლივი ბრძოლებით ბოლო მოუღო დიაოხის სამეფოს და უშუალოდ გაუმეზობლდა ურარტუს. აქედან მოყოლებული ამ ორ სახელმწიფოს შორის ხანგრძლივი ბრძოლები იწყება. სარდურ II-მ ორგზის ილაშქრა კოლხეთში. პირველად, ძვ.წ. 750-748 წლებში, როდესაც ურარტუს მეფემ კოლხეთის სამხრეთი ტერიტორია

დალაშქრა და აქედან დატყვევებული მოსახლეობა თავის ქვეყანაში გადაასახლა. მეორედ, ურარტუელები ძვ.წ. 747-741 წლებში შემოიჭრნენ. მათ დაიკავეს კოლხეთის სამეფო ქალაქი ილდამუში, სადაც კოლხეთის მეფისნაცვალი იჯდა. თვითონ მეფე ბრძოლაში არ ჩაბმულა. როგორც ჩანს, ურარტუელებმა კოლხას ცენტრალური რეგიონების დალაშქვრა ვერ შეძლეს და მხოლოდ იმ ტერიტორიების დარბევით დაკმაყოფილდნენ, რომლებიც ადრე დიაოხის შემადგენლობაში შედიოდა.

ურარტუსთან ბრძოლებმა კოლხეთის სამეფო დაასუსტა, რასაც ჩრდილოეთ კავკასიიდან მომთაბარე ტომების – კიმერიელების შემოსევები დაერთო. ძვ.წ. VIII საუკუნის 20-იანი წლებიდან შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გავლით შემოჭრილმა კიმერიელების ცხენოსანმა ლაშქარმა გრიგალივით გადაუარა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიას. მოსახლეობის დიდი ნაწილი ბრძოლებში დაიღუპა, ნაწილი კი მეზობელ ოლქებში გაიხიზნა. კიმერიელებმა თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინეს მთელ წინა აზიაზე. ქართველი ხალხის მეტყველებაში მათი სახელი დაუმარცხებლის, გმირის მნიშვნელობისაა. ვარაუდობენ, რომ სიტყვა „გმირი“ კიმერიელთა სახელწოდებისგან „კიმირ” – „გიმირ“ მომდინარეობს.

ძვ.წ. VIII საუკუნის ბოლოს, ამჯერად კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროსა და დარიალის ხეობის გამოვლით, ამიერკავკასიასა და შემდეგ წინა აზიაში მეომარი ტომების ახალი დიდი ტალღა შემოიჭრა, რომელსაც სათავეში სკვითები ედგნენ. მათ ადგილობრივ მოსახლეობას საშინელი ნგრევა და განადგურება დაატეხეს თავს. კიმერიელები და სკვითები მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში დამკვიდრდნენ და აქედან დაიწყეს თავდასხმები ურარტუსა და მცირე აზიის მოსახლეობაზე. მათი ნაწილი ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, კერძოდ, ქვემო ქართლის, აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსაზღვრე ოლქებში დასახლდა. სკვითებმა და კიმერიელებმა დიდი როლი ითამაშეს მახლობელ აღმოსავლეთსა და ამიერკავკასიაში პოლიტიკური ვითარების შეცვლაში. მათ ზოგიერთი პოლიტიკური გაერთიანების გაძლიერებას, ზოგის დასუსტებას და ზოგიერთის განადგურებას შეუწყვეს ხელი. ძვ.წ. VII საუკუნის შუა ხანებში ჩრდილოეთიდან შემოსული სკვითები და კიმერიელები დასუსტდნენ. ამიერიდან ისინი დამოუკიდებელ ძალას აღარ წარმოადგენენ, არამედ, სხვადასხვა სახელმწიფოთა მოკავშირეებად, დამხმარე (დაქირავებულ) სამხედრო ძალად გვევლინებიან. თანდათანობით ისინი ადგილობრივი პოლიტიკური ერთეულების გავლენის სფეროში მოექცნენ. ჩრდილოკავკასიელი ნომადების ნაწილი ადგილობრივ მოსახლეობაში გაითქვიფა, ნაწილი კი კავკასიონის გადაღმა დაბრუნდა.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საქართველოს სამხრეთით. ძვ.წ. 590 წელს მიდიელებმა, სკვითებთან ერთად ურარტუს სამეფო გაანადგურეს. ურარტუს მოსახლეობის ნაწილი ჩრდილოეთით გადასახლდა და ქართველი ტომების ჰეგემონიის ქვეშ მოექცა. მოხდა მათი თანდათანობითი ასიმილაცია ქართველებთან. ურარტუელებმა ქართულ კულტურასა და მეტყველებაში ბევრი საგულისხმო ელემენტი შეიტანეს. ურარტუს სამეფოს განადგურების შემდეგ მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი სომეხი ტომების გაერთიანებებმა დაიკავეს, რომლებიც აქამდე მცირე აზიაში მოსახლეობდნენ. ამ რეგიონებში მცხოვრები ურარტუელების დიდი ნაწილი სომხებში ასიმილირდა. ამიერიდან ქართველების უშუალო მეზობლები სამხრეთით სომხები გახდნენ.

ამავე პერიოდს განეკუთვნება საქართველოში ებრაელი მოახალშენეების ჩამოსახლებაც. ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღების (ძვ.წ. 586 წ.) შემდეგ ებრაული მოსახლეობის ერთი ნაწილი საქართველოში შემოიხიზნა. „ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქვიან ზანავი და რომელი ქუეყანა აქუნდა მათ ხარკითა, აწ ჰქვიან ხერკ ხარკისა მისთვის“ – მოგვითხრობს ქართველი მემატიანე.

თავი V
დიდი ბერძნული კოლონიზაცია და კოლხეთის (ეგრისის) სამეფო

სასპერები. კიმერიელთა გამანადგურებელმა შემოსევამ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას დიდი ზიანი მიაყენა. მათი ნაწილი ამოწყდა, ნაწილი კი მეზობელ რეგიონებში გადასახლდა. ამით ისარგებლეს მთიელმა ტომებმა, რომლებიც პირველყოფილი-თემური წყობილების საფეხურზე იმყოფებოდნენ და კოლხეთის ბარში მასობრივად ჩამოსახლება დაიწყეს. ამან ქართველი ტომების განვითარება დროებით შეაფერხა. მათი ხელახალი აღმავლობა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქართული ტომის – კოლხების სახელთანაა დაკავშირებული. ქვეყანაში შემორჩენილი იყო ადგილობრივი მეფის ხელისუფლება. კოლხეთში კვლავ მეფობდნენ აიეტის შთამომავლები, რომლებიც ქვეყანას თავიანთი მოხელეების – სკეპტუხების (ე.ი. მეფისნაცვლების) მეშვეობით მართავდნენ.

ძვ.წ. V საუკუნის ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე სასპერებსა და კოლხებს მაშინდელი აღმოსავლეთის უძლიერესი სახელმწიფოების – მიდიისა და სპარსეთის გვერდით მოიხსენიებს.

სპარსელებმა აქემენიდური დინასტიის მეთაურობით ძლიერი სახელმწიფო შექმნეს. იგი ირანის, მცირე აზიის, სირიის, პალესტინის, ბაბილონისა და ეგვიპტის ტერიტორიებს მოიცავდა. სპარსელებმა თავიანთი ბატონობის ქვეშ მოაქციეს საქართველოს ტერიტორიის ნაწილიც, კერძოდ, კოლხეთისა და სასპერების სამხრეთით მდებარე ტერიტორიები. აქემენიდური სპარსეთის შემოსევებისაგან თავის არიდების მიზნით, კოლხეთის სამეფომ მათ სასარგებლოდ „ნებაყოფლობითი“ ხარკი იკისრა, რაც ხუთ წელიწადში ერთხელ ასი ქალწულისა და ასი ჭაბუკის გაგზავნას ითვალისწინებდა.

სპარსელებმა ვერც სასპერების სრული დაპყრობა შეძლეს. ისინი მხოლოდ მათი ტერიტორიის სამხრეთ ნაწილს დაეუფლნენ. სასპერები აღმოსავლეთ ქართული ტომების გაერთიანება იყო, რომლის შესახებაც შემორჩენილი წერილობითი ცნობები მწირია. ამ გაერთიანებამ განვითარების მწვერვალს ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში მიაღწია. სასპერებში იგულისხმება არა კონკრეტულად ერთი ტომი, არამედ აღმოსავლეთ ქართული და სამხრეთ ქართული ტომები. მათი ჰეგემონი, სავარაუდოდ, სასპერებია, რადგან სახელი „სასპერები” ყველაზე ვრცელდება. ეს სახელი შემორჩენილი აქვს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ძველ პროვინციას – სპერს, რომელიც დღეს თურქეთის ფარგლებშია (ქალაქი ისპირი). ვარაუდობენ, რომ დასახელება „სპერიდან” მომდინარეობს ქართლის სამეფოს ძველბერძნული სახელწოდება – იბერია (სპერი – ჰბერი – იბერი). აღნიშნული აღმოსავლურ ქართული გაერთიანების ერთ-ერთი ცენტრი კლდეში ნაკვეთი გრანდიოზული ციხე-ქალაქი უფლისციხე უნდა ყოფილიყო, რომლის მშენებლობის დაწყება ამავე ეპოქას ემთხვევა.

ძველი ბერძნების სახელთანაა დაკავშირებული მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა – „დიდი ბერძნული კოლონიზაცია”, რომელსაც ძვ.წ. VIII-V საუკუნეებში ჰქონდა ადგილი. შავი ზღვის ბერძნული კოლონიზაცია ძვ.წ. VII-VI საუკუნეებიდან იწყება. ბერძნებმა დასუსტებულ ეგრისს (კოლხეთს) სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დიდი ნაწილი წაართვეს, სადაც ბერძნული ახალშენები: ამისო, კერასუნტი, კოტიორა და ტრაპეზუნდი წარმოიქმნა. შემდეგ ბერძნებმა სავაჭრო ახალშენები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზეც შექმნეს: პიტიუნტი (ბიჭვინთა), ფაზისი (ფოთი), გიენოსი (ოჩამჩირე), დიოსკურია (სოხუმი). ამგვარი ბერძნული ახალშენი ქობულეთ-ფიჭვნარის ტერიტორიაზეც არსებობდა, რასაც აქ აღმოჩენილი

მდიდარი არქეოლოგიური მასალა ადასტურებს. ბერძნებმა ასეთივე ახალშენები ჩრდილო შავიზღვისპირეთშიც დააარსეს – პანტიკაპეიონი, ოლვია, ხერსონესი, ბოსფორი, ფანაგორია და სხვ.

შავიზღვისპირეთში დაარსებული ბერძნული ქალაქების ისტორია სხვადასხვაგვარად წარიმართა. კოლხებისთვის წართმეულ სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე დაარსებული ქალაქები, სხვა ბერძნული ქალაქ-კოლონიების მსგავსად, დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოებად – პოლისებად ჩამოყალიბდა. ყირიმსა და მის მომიჯნავე რეგიონებში აღმოცენებული ბერძნული ახალშენები ადგილობრივ მოსახლეობაზე გაბატონდნენ და თავიანთი დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფოები – პოლისები შექმნეს, რომლებიც უკვე ძვ.წ. V საუკუნეში ერთიანად ბოსფორის სამეფოში გაერთიანდნენ. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დაარსებულმა ბერძნულმა ახალშენებმა ვერ შეძლეს ადგილობრივ მოსახლეობაზე გაბატონება და პირიქით, თვითონ მოექცნენ კოლხეთის სამეფოს გავლენის ქვეშ. ამის მიზეზი კოლხეთის მოსახლეობის გაცილებით მაღალი სოციალ-ეკონომიკური და კულტურული დონე იყო, ვიდრე ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისა. კოლხეთის სამეფოც საკმაოდ ძლიერი იყო იმისათვის, რომ სანაპირო ქალაქები მორჩილებაში ჰყოლოდა და ბერძნული ახალშენებიც მხოლოდ თვითმმართველობით დაკმაყოფილდნენ.

კოლხეთი, როგორც ჩანს, ეწოდებოდა ტერიტორიას პიტიუნტიდან (ბიჭვინთა) აფსაროსამდე (ქალაქი მდ. ჭოროხის შესართავთან), დასავლეთით შავი ზღვიდან აღმოსავლეთით სარაპანისამდე (შორაპანი). ამ რეგიონში კოლხების გარდა სხვა ტომებიც სახლობდნენ, მაგრამ ჰეგემონი სწორედ კოლხები იყვნენ. ამ შემთხვევაში კოლხეთი პოლიტიკური მნიშვნელობით იხმარება და იმ ქვეყანას აღნიშნავს, რომელიც კოლხებს ემორჩილებოდა.

კოლხეთთან სავაჭრო ურთიერთობას ბერძნები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. საბერძნეთიდან შემოჰქონდათ: კერამიკული ნაწარმი, ქსოვილები, სამკაული, ჭურჭელი, მარილი, ზეითუნის ზეთი, ღვინო, ნელსაცხებლები და ფუფუნების სხვა საგნები. საქართველოდან გაჰქონდათ: სელის ნაწარმი, ბეწვეული, ტყავი, გემის საშენი ხე-ტყე, ხის ძვირფასი ჯიშები (მაგ., ბზა, ურთხმელი), ოქრო, რკინა და სხვა ლითონი. გაჰყავდათ აგრეთვე მონები.

ბერძნული კოლონიები დიდ გავლენას ახდენდნენ კოლხეთის კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე. მათი საშუალებით კოლხეთი დაუკავშირდა მაღალგანვითარებულ და მოწინავე ბერძნულ სამყაროს. ამ პერიოდში კოლხეთის სამეფოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთთან,

მცირე აზიის ქალაქებთან, ეგვიპტესა და სირიასთან ჰქონდა. ამაზე ნათლად მეტყველებს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა და აგრეთვე ყირიმსა და მცირე აზიის რეგიონში კოლხური თეთრის დადასტურების შემთხვევები.

ბერძენი ავტორების ცნობების კონტექსტში, კოლხეთი საკმაოდ დაწინაურებული ქვეყანა ჩანს. ქვეყანაში განვითარებული ყოფილა მარცვლეულის მეურნეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მესაქონლეობა. ტრადიციულად მაღალ დონეზე იდგა ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგია, ძვირფასი ლითონების დამუშავება, განსაკუთრებით დაწინაურებული ყოფილა ოქრომჭედლობა. ყოველივე ამას არქეოლოგიური მასალაც ადასტურებს.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ბერძნული ახალშენების გარდა, ადგილობრივი ქალაქებიცაა დადასტურებული. არქეოლოგებმა დღევანდელი დაბა ვანის, სამტრედიის რაიონის სოფ. დაბლაგომისა და საირხეს (საჩხერესთან) ტერიტორიაზე გათხარეს იმდროინდელი ნაქალაქარები, სადაც ბრწყინვალე არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდა. კოლხეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი იყო ბერძნულ წყაროებში მითითებული კუტაია ანუ დღევანდელი ქუთაისი, რომელიც უმნიშვნელოვანეს რელიგიურ-ადმინისტრაციულ და სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს წარმოადგენდა. ბერძენი ავტორის ქსენოფონტეს თანახმად, კოლხეთის პოლიტიკური ცენტრი მდ. რიონზე მდებარე ფაზისი იყო, თუმცა ქართული საისტორიო ტრადიცია ეგრისის დედაქალაქად ციხე-გოჯს ასახელებს. ციხე-გოჯი დღევანდელი ნოქალაქევის ადგილზე მდებარეობდა, სადაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად გრანდიოზული ციხე-ქალაქის ნანგრევებია გამოვლენილი.

კოლხეთის სამეფოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ დაწინაურებაზე მეტყველებს ადგილობრივად მოჭრილი ვერცხლის მონეტა, რომელიც ძვ.წ. VI-III საუკუნეებში აქტიურად მიმოიქცეოდა დასავლეთ საქართველოში. ეს ფულის ერთეული „კოლხური თეთრის" სახელითაა ცნობილი. კოლხური თეთრის აღმოჩენის შემთხვევები კოლხეთის ფარგლებს გარეთაც დაფიქსირდა, მაგ. ყირიმში, ტრაპიზონის მახლობლად, ფერგანის ველზე, რაც საერთაშორისო ვაჭრობაში მის გამოყენებაზე მიუთითებს.

ამრიგად, ძვ.წ. VI-V საუკუნეებში კოლხეთი ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელსაც გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა გარესამყაროსთან. ძვ.წ. IV საუკუნიდან კოლხეთის სამეფო თანდათანობით სუსტდება და მისი აღმოსავლეთი

რაიონები მეორე ქართული სამეფოს – ქართლის ანუ იბერის დაქვემდებარებაში ექცევა.

თავი VI
ქართლის (იბერიის) სამეფო

ჰეროდოტეს მიერ დასახელებული სასპერების გაერთიანება აღმოსავლეთ ქართულ ტომთა დიდ კავშირს წარმოადგენდა, რომელიც საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე იყო განთავსებული, მაგრამ სახელმწიფოდ ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. თითოეულ ასეთ ერთეულს სათავეში „მამასახლისი“ ედგა. მათ შორის მცხეთის მამასახლისი გამოირჩეოდა.

ძვ.წ. VII საუკუნეში, მცირე აზიაში მუშქების სახელმწიფოს გაანადგურების შემდეგ, მესხური ტომების ერთი ნაწილი დღევანდელი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილსა და მის მომიჯნავე ოლქებში განსახლდა. ამიერიდან ამ მხარეს „მესხეთი” ეწოდება. აქემენიდთა იმპერიის პერიოდში მესხებით, სასპერებითა და სხვა აღმოსავლეთ ქართული ტომებით დასახლებული საქართველოს სამხრეთი ოლქები ირანის სახელმწიფოს მფლობელობაში, კერძოდ, მე-19 სატრაპიაში მოექცა. უძველეს ქართულ საისტორიო ქრონიკაში „მოქცევაი ქართლისაი“ საქართველოს ეს ნაწილი „არიან-ქართლად” ანუ „ირანის ქართლად” იწოდება. ქვეყნის ჩრდილოეთ რეგიონებში – ქვემო და შიდა ქართლის ტერიტორიაზე – აქემენიდებმა თავიანთი ბატონობის გავრცელება ვერ შეძლეს.

ძვ.წ. IV საუკუნეში აქემენიანთა იმპერია ალექსანდრე მაკედონელმა გაანადგურა. „ქართლის მოქცევის” ქრონიკასა და ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“ დაცულია ცნობა საქართველოში ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის, მის მიერ ქართლის დაპყრობისა და აქ თავისი მმართველის – „არიან-ქართლის” მეფის ძის აზოს (აზონის) დანიშვნის შესახებ. აზომ არიან-ქართლიდან ჩამოასახლა 18 სახლი თავისი მამამძუძენი და წამოიღო წარმართული კერპები გაცი და გაიმი. „მოქცევაი ქართლისაის” ავტორი აზოს მემკვიდრედ მეფე ფარნავაზს აცხადებს. ლეონტი მროველი კი, ფარნავაზს აზონის მიერ მოკლული მცხეთის მამასახლისის, სამარას ძმისწულად წარმოგვიდგენს, რომელიც აუჯანყდა აზოს, დაამარცხა იგი და ასე მოიპოვა ქართლის მეფის ხელისუფლება.

ცნობილია, რომ ალექსანდრე მაკედონელს საქართველოსა და კავკასიაში არ ულაშქრია, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, ეს ბერძენ-მაკედონელთა რომელიმე სარდალს განეხორციელებინა. ამ მხრივ, ყველაზე შესაფერის დროდ მაკედონელის მემკვიდრეების, ე.წ. დიადოქოსების ხანაა მიჩნეული.

ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების (ძვ.წ. 323 წ.) შემდეგ მის მიერ შექმნილი უზარმაზარი იმპერია მისმა სარდლებმა, დიადოქოსებმა გაინაწილეს. მათ შორის ბრძოლების შედეგად ძვ.წ. III საუკუნის 80-იან წლებში სამი ელინისტური სახელმწიფო ჩამოყალიბდა: 1. თრაკიის სამეფო, რომელშიც მაკედონია, საბერძნეთი, შავიზღვისპირა ქვეყნები და მცირე აზიის ჩრდილოეთი ნაწილი შედიოდა. მისი მეფე იყო ლისიმაქე, რომელმაც თავისი სამფლობელობი აღმოსავლეთის მიმართულებით განავრცო. შესაძლებელია, სწორედ ლისიმაქე იგულისხმება იმ ბერძენ დამპყრობლად, რომელსაც ქართული წერილობითი წყაროები ალექსანდრე მაკედონელად მოიხსენიებენ; 2. სირიის სელევკიდების სამეფო, რომელიც მცირე აზიის დიდ ნაწილს, სირიას, მესოპოტამიასა და ბაბილონს მოიცავდა. მის სათავეში სელევკოსი იდგა, რომელიც ყველაზე ძლიერი მონარქი იყო; 3. პტოლემაიოსების ეგვიპტე.

ფარნავაზის აჯანყების შესახებ საინტერესო ცნობები დაცულია ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“. გადმოცემის თანახმად, ბერძენ-მაკედონელთა მიერ ქართლის დაპყრობის შემდეგ აქ სარდლად დატოვებული აზო მეტად მკაცრი მმართველი გამოდგა. მისი ბრძანებით, ყველა ქართველი, ვისაც იარაღის ტარება შეეძლო, უნდა მოეკლათ. შეშინებულმა ფარნავაზის დედამ თავისი შვილი კავკასიონის მთებში გადამალა, სადაც იგი გაიზარდა და შესანიშნავი ვაჟკაცი დადგა. მცხეთაში დაბრუნების შემდეგ ფარნავაზი აზოს ამალაში მოხვდა. ერთხელ ნადირობისას, ფარნავაზმა შემთხვევით ერთ გამოქვაბულში ურიცხვ განძს მიაგნო. ამ სიმდიდრის გამოყენებით, მან დამპყრობთა წინააღმდეგ აჯანყების მოწყობა გადაწყვიტა და დასავლეთ საქართველოს განმგებელს, ქუჯის დაუკავშირდა, რომელსაც სვანეთიც ექვემდებარებოდა. ამასთანავე, ქუჯი ამიერკავკასიიდან გადმოსასვლელებს აკონტროლებდა და კავკასიელ მთიელთა დამხმარე ან დაქირავებული ჯარის გადმოყვანის საშუალებაც ჰქონდა. მოლაპარაკებების შედეგად, ფარნავაზმა და ქუჯიმ აზოს წინააღმდეგ აჯანყების დაწყება განიზრახეს.

ფარნავაზს დამხმარე ჯარი როგორც ეგრისიდან, ისე ამიერკავკასიიდან მოუვიდა. მის მხარეს აზოს 1000 რჩეული მხედარიც გადავიდა. აზომ კლარჯეთს მიაშურა. ფარნავაზმა მცხეთა და ქართლის მთელი ტერიტორია დაიკავა. შემდეგ

მან სელევკიდების მმართველ ანტიოქოს I-თან ელჩობა გაგზავნა არა მარტო დახმარების სათხოვნელად, არამედ მეფედ აღიარების მიზნითაც. ანტიოქოსმა ფარნავაზს სამეფო გვირგვინი გამოუგზავნა და საქართველოს მოსაზღვრე სომხური სატრაპიების მმართველებს მისი დახმარება უბრძანა. კლარჯეთში გამაგრებულმა აზომ პონტოს სამეფოსგან დამხმარე ჯარი მიიღო. ფარნავაზსა და აზოს შორის შეტაკება არტაანის ნაქალაქართან მოხდა. აზო დამარცხდა და ბრძოლაში დაიღუპა. ფარნავაზმა პონტოს მოსაზღვრე ტერიტორია მოარბია და კლარჯეთი დაიკავა.

გამარჯვებელმა ფარნავაზმა თავი ქართლის მეფედ გამოაცხადა. „ქართლის ცხოვრების" თანახმად, მისი მეფობა 65 წელი გაგრძელდა. მეფემ ერთგულ მოკავშირეებს – ოვსთა მეფესა და ქუჯის – ცოლად თავისი დები მიათხოვა. ამასთან ერთად, ქუჯი ეგრისისა და სვანეთის ერისთავად „დაამტკიცა".

ფარნავაზმა ქართლის ქვეყანა 8 სამხედრო-ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულად – საერისთავოდ და 1 სასპასპეტოდ დაყო. საერისთავოს სათავეში მეფის მოხელე – ერისთავი ედგა. („ერისთავი" ძველი ქართული სიტყვაა და ერის, ანუ ჯარის უფროსს ნიშნავს). თავის მხრივ, ერისთავებს სპასალარნი და ათასისთავნი ექვემდებარებოდნენ, რომელთა მეშვეობითაც ქვეყანაში „ხარკი სამეუფო და საერისთავო" იკრიფებოდა. ტერიტორიას, საიდანაც ათასი მოლაშქრე გამოდიოდა, ათასისთავი განაგებდა. რამდენიმე ათასისთავი თავისი ლაშქრით სპასალარს ექვემდებარებოდა. (სპასალარი სპარსული სიტყვებისაგან „სპა" – ლაშქარი და „სარ" – თავი შედგება და მხედართმთავარს ნიშნავს). რამდენიმე სპასალარი თავისი ჯარით საერისთავო ლაშქარს ქმნიდა, რომელსაც უკვე ერისთავი ედგა სათავეში. სტრატეგიულად ყველაზე მნიშვნელოვანი შიდა ქართლის ტერიტორია დაექვემდებარა სპასპეტს, რომელიც ერისთავებზე მაღლა იდგა – „მთავრობით განაგების ყოველთა ერისთავთა ზედა" – მოგვითხრობს ლეონტი მროველი.

ფარნავაზის სახელს უკავშირდება მცხეთის გადაქცევა ქართლის სამეფოს დედაქალაქად. მან გაამაგრა მცხეთა და გააშენა სხვა ციხე ქალაქები. მანვე შემოიღო მთავარი ღვთაების – არმაზის კულტი, რომელშიც სინკრეტულად თავმოყრილი იყო რამდენიმე ძველი ადგილობრივი ღვთაების ნიშან-თვისება. არმაზის კერპი მცხეთის მოპირდაპირე მთაზე აღმართეს, სადაც მოგვიანებით მცხეთის აკროპოლისი (დედა ციხე) აიგო. მას „არმაზციხე" ეწოდა. არმაზთან ერთად, ფარნავაზმა დატოვა აზოს მიერ „არიან ქართლიდან" შემოტანილი გაცისა და გაიმის კერპებიც. ქართული საისტორიო ტრადიცია ფარნავაზს მიაწერს

ქართლში ერთიან სახელმწიფო ენად ქართულის შემოღებას და ქართული დამწერლობის შექმნასაც.

ქართლის სამეფომ დიდ სიძლიერეს ფარნავაზისა და მისი უშუალო მემკვიდრეების – საურმაგისა და მირიან I-ის დროს მიაღწია. ფარნავაზის პერიოდში, სამეფოს ფარგლებში ისტორიული ქართლის გარდა მოქცეული იყო: კახეთის დიდი ნაწილი, სამცხე, ჯავახეთი, კოლა-არტაანი, კლარჯეთი, აგრეთვე, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი რეგიონები – აჭარა, არგვეთი, ეგრისი, სვანეთი. პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, თავისი განმგებლობის ქვეშ ფარნავაზმა ქართული მიწების დიდი ნაწილი გააერთიანა. დასავლეთ საქართველოში თავისი პოზიციების განსამტკიცებლად მეფემ შორაპნისა და დიმნის ციხეები ააგო. ქართლის სამეფომ თავის გავლენა აღმოსავლეთის მიმართულებითაც განავრცო. ქართლის მეფეებმა კონტროლი დაამყარეს კავკასიონის ქედის უმნიშვნელოვანეს გადმოსასვლელებზე, საიდანაც მუდმივად არსებობდა მომთაბარე-მეომარი ტომების შემოსევების საფრთხე. ამ პოლიტიკურ ფაქტორს ქართლის მმართველები წარმატებით იყენებდნენ.

ქართლის სამეფოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობა.

ქართლის სამეფოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს ძველი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი (ძვ.წ. 64-ახ.წ. 24 წწ) გვაწვდის. სტრაბონის „გეოგრაფიაში" მოცემული აღწერილობით, „იბერია მეტწილად კარგად არის დასახლებული ქალაქებითა და დაბებით. ისე, რომ აქ არის კრამიტიანი სახურავები, სახლები არქიტექტურულად მოწყობილი, ბაზრები და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებანი". ქვეყანა აქტიურად იყო ჩაბმული აღებ-მიცემობაში და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ძველი საბერძნეთის ქალაქების აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობაში. სტრაბონის მონაცემებით, აქ გადიოდა დიდი სავაჭრო გზა (მდ. რიონი, მდ. მტკვარი, კასპიის ზღვა), რომლითაც ბერძნები ინდოეთს უკავშირდებოდნენ. როგორც ირკვევა, ძვ.წ. II საუკუნიდან იგივე გზა გამოიყენებოდა ჩინეთთან ევროპის დასაკავშირებლად, საიდანაც აბრეშუმი შემოჰქონდათ. ამდენად, გზა, რომელიც „აბრეშუმის დიდი გზის" სახელითაა ცნობილი, ქართლის სამეფოზე გადიოდა. აგრეთვე მრავალმხრივ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე მეტყველებს ამ პერიოდის რომაული, პართული, კოლხური მონეტების სიმრავლეც და მცხეთაში შემორჩენილი არამეული, ებრაული და ბერძნული წარწერებიც.

ქართლის სამეფოს სახელმწიფოებრივი წყობის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის, როგორც სტრაბონი, ისე ქართული წერილობითი წყაროები. ამ ინფორმაციის მიხედვით, ქართლი მონარქიულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ქვეყანას სათავეში ედგა მეფის საგვარეულო, რომელსაც ძველ საქართველოში „სეფე გვარი" ეწოდებოდა. ამ გვარიდან უფროსი „დიდი მეფის" ტიტულს ატარებდა. მისი რეზიდენცია მცხეთაში მდებარეობდა. მეფის ხელისუფლება მემკვიდრეობით – მამიდან შვილზე გადადიოდა. მეფის ხელთ იყო უმაღლესი სახელმწიფოებრივი ძალაუფლება, როგორც საგარეო პოლიტიკის, ისე საშინაო მმართველობის სფეროში. მას ემორჩილებოდნენ სამხედრო და სამოქალაქო დიდმოხელენი, ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულების გამგებლები – ერისთავები. ერისთავებად, ძირითადად, ადგილობრივი დაწინაურებული საგვარეულოების წარმომადგენლები ინიშნებოდნენ, რომელთა დამტკიცება ან შეცვლა მხოლოდ მეფეს შეეძლო.

ქვეყანაში მეორე პირი იყო სამეფო საგვარეულოს ანუ ფარნავაზიანთა საგვარეულოს წევრი – სპასპეტი. იგი უზენაესი მთავარსარდლისა და მსაჯულის მოვალეობას ასრულებდა. ამავე დროს, სპასპეტი განაგებდა სახელმწიფოს ცენტრალურ ოლქს – შიდა ქართლს. სამეფო საგვარეულოს წევრებს – სეფეწულებს მაღალი სახელმწიფოებრივი თანამდებობები ეკავათ. ისინი იყვნენ მეფისნაცვლები ცალკეულ ოლქებში, ზოგჯერ – ერისთავებიც. სამეფო საგვარეულო დიდ ტერიტორიას ფლობდა მასზე მცხოვრები მოსახლეობითურთ, რომელიც ძირითადად დაპყრობილი და ქართლის სამეფოს მიერ თანდათანობით დაქვემდებარებული მეთემეებისგან შედგებოდა. მათ სტრაბონი „ლაოებს" - „სამეფო მონებს" უწოდებს და აღნიშნავს, რომ ისინი აკეთებდნენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის იყო საჭირო.

ქართლის მოსახლეობის ძირითად ნაწილს თავისუფალი და ნახევრადთავისუფალი მეთემეები შეადგენდნენ, რომლის ქართული სახელია „ერი" და რომელიც ქვეყანაში მატერიალური დოვლათის ძირითადი მწარმოებელი იყო. მშვიდობიანობის დროს ისინი მიწათმოქმედებას ეწეოდნენ, ხოლო ომიანობის შემთხვევაში – სახალხო ლაშქარში მონაწილეობდნენ. ეს სოციალური კატეგორია სასოფლო თემებში იყო გაერთიანებული. მათ სტრაბონი მესამე გენოსში ანუ გვარში მოიხსენიებს, როგორც „მიწათმოქმედებსა და მეომრებს".

ქართლში საკმაო რაოდენობით იყვნენ მონებიც. მათი მოპოვების ძირითადი წყარო ომები იყო, რომლებსაც ქართლის მეფეები მრავლად აწარმოებდნენ. მონებს ყველაზე მძიმე სამუშაოებზე ასაქმებდნენ – ქალაქების, ციხეების, სასახლეების,

ტაძრების, საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობა, გზებისა და სარწყავ-საირიგაციო არხების გაყვანა, სამთამადნო წარმოება, სამეფო სახელოსნოები, გემებზე მენიჩბეობა და სხვ. მონები დიდი რაოდენობით პირად მომსახურებაში ჰყავდათ სამეფო საგვარეულოს წევრებს, მაღალი სამხედრო და არისტოკრატული ფენის წარმომადგენლებს.

ქვეყანაში გაბატონებული მდგომარეობა ქურუმებსაც ეკავათ. მათ განკარგულებაში იყო დიდი სატაძრო მამულები. სტრაბონი პირდაპირ მიუთითებს ქართლის სამეფოში ერთ-ერთი ასეთი მდიდარი ლევკოთეას ტაძრის არსებობაზე. არქეოლოგიური გათხრების შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე არაერთი წარმართული ტაძარია დადასტურებული. ქურუმები, კულტის მსახურების გარდა, დიპლომატიური საქმიანობითაც იყვნენ დაკავებულნი.

ქართლის საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ ხელოსნები და ვაჭრები, რომლებიც ქალაქის ტიპის დასახლებების მოსახლეობას განეკუთვნებოდნენ.

სახელმწიფო მმართველობას, სამეფოში, სამოხელეო აპარატი ახორციელებდა. მეფის კარზე ერთ-ერთი მაღალი სამოხელეო თანამდებობა ეზოსმოძღვრის თანამდებობა იყო. ეზოსმოძღვარი განაგებდა სახელმწიფო შემოსავალს, სახელმწიფო გადასახადების აკრეფას, სათავეში ედგა სამეფო მეურნეობას და ამასთან ერთად, ჩართული იყო სამხედრო საქმიანობაში. სავარაუდოდ, მას სამეფო მიწებიდან ლაშქრის გამოყვანა და ხელმძღვანელობა ევალებოდა. ამის შესახებ საგულისხმო ინფორმაციას შეიცავს არმაზის ბილინგვა, სადაც ხსეფარნუგ მეფის ეზოსმოძღვარს – იოდმანგანს „ძლევამოსილი და მრავალი გამარჯვების მომპოვებელი“ ეწოდება.

არმაზის ბილინგვაში მოხსენიებულია ქართლის სამეფოს კიდევ ერთი მაღალი სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატიის წარმომადგენელი – პიტიახში.

საინტერესოა, რომ ქართლის სამეფოში არსებობდა მხატვართუხუცესის, ანუ ქალაქის მთავარი არქიტექტორის თანამდებობა. ამის შესახებაც მცხეთაში ნაპოვნი ერთ-ერთი საფლავის ქვის წარწერა გვამცნობს.

პომპეუსის ლაშქრობა. რომის გავლენის დამყარება საქართველოში

ძვ.წ. II საუკუნიდან რომის იმპერიამ ექსპანსია აღმოსავლეთის მიმართულებით განავითარა. ძვ.წ. 190 წელს მცირე აზიაში, მაგნეზიასთან ბრძოლაში რომაელებმა სელევკიდები დაამარცხეს. ამით ისარგებლეს სომხეთის მმართველებმა, გათავისუფლდნენ სელევკიდების ბატონობისაგან და სომხეთის ტერიტორიაზე ორი

სახელმწიფო – დიდი და მცირე არმენია (სოფენე) შექმნეს. განსაკუთრებულად გაძლიერებულმა „დიდმა არმენიამ" საქართველოს სამხრეთი ტერიტორიები დროებით მიიტაცა.

ძვ.წ. II-I საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს მეზობლად პონტოს სამეფო გაძლიერდა. პონტოს ელინისტური სახელმწიფო, მცირე აზიაში, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მდებარეობდა და მისი მოსახლეობის დიდ ნაწილს ქართველური ტომები: ლაზები, ჭანები, ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები, ხალიბები და სხვ. შეადგენდნენ. ქვეყანაში გაბატონებული მდგომარეობა ბერძნულ-მაკედონურ არისტოკრატიას ეკავა. პონტოს სამეფომ თავისი ძლიერების ზენიტს მითრიდატე VI ევპატორის მეფობის ხანაში (ძვ.წ. 111-63 წწ.) მიაღწია. მან შავი ზღვის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ სანაპირო, კერძოდ, ბოსფორის სამეფო, კოლხეთი და მცირე არმენია დაიპყრო.

პონტოს ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა რომის სახელმწიფო, რომელიც აღმოსავლეთის მიმართულებით შეტევას განაგრძობდა. მითრიდატე VI-მ რომის ექსპანსიის წინააღმდეგ წინა აზიის ხალხების გაერთიანება სცადა. მან თავისი ქალიშვილი სომხეთის მეფე ტიგრან II-ს (ძვ.წ. 95-56 წწ.) ცოლად შერთო და სომხეთი თავის მოკავშირედ აქცია. პონტოსა და სომხეთს რომის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართლისა და ალბანეთის მეფეებიც შეუერთდნენ.

თავდაპირველად მოკავშირეებმა შეძლეს გარკვეული წარმატების მიღწევა, თუმცა რომაელებმა მოახერხეს საკუთარი ძალების კონცენტრაცია და მითრიდატეს ჯარებზე რამდენჯერმე გაიმარჯვეს. ძვ.წ. 66 წელს სენატმა რომის ჯარების სარდლად გნეუს პომპეუსი დანიშნა, რომელმაც აღმოსავლეთში შეუზღუდავი ძალაუფლება მიიღო. პომპეუსი სამხედრო მოქმედებასთან ერთად, ენერგიულ დიპლომატიურ საქმიანობას შეუდგა და მითრიდატეს ზოგიერთი მოკავშირე ჩამოაცილა. პომპეუსმა სასტიკად დაამარცხა პონტოს მეფე. იგი იძულებული გახდა, მცირერიცხოვანი მხედრობით ჯერ კოლხეთში გაქცეულიყო, იქიდან კი ბოსფორის სამეფოში. მითრიდატემ ვერ მოახერხა რომის წინააღმდეგ ძალების მობილიზაცია და ძვ.წ. 63 წელს თავი მოიკლა. რომაელმა სარდალმა პონტოში მეფობა გააუქმა და მითრიდატეს მოკავშირეებს მიუბრუნდა. პომპეუსმა დაამარცხა სომხეთის მეფე ტიგრან II, მას დაპყრობილი ბევრი ოლქი ჩამოართვა და ქვეყანა დახარკა. ამასთან ერთად, დამარცხებული სომხეთი რომის „მოკავშირედ და მეგობრად" გამოცხადდა. რომაელებმა თავიანთი ლეგიონები ახლა ალბანელების წინააღმდეგ მიმართეს, დაამარცხეს ისინი და ალბანეთის მეფე ორისესთან ზავი დადეს.

ძვ.წ. 65 წლის გაზაფხულზე რომაელები მტკვრის ხეობით ქართლში შემოვიდნენ. პომპეუსის ქართლში ლაშქრობის მიზანი პონტოს მეფის მითრიდატეს მოკავშირეების – იბერიისა და კოლხეთის განადგურება, საჭირო სამხედრო ძალის, ბუნებრივი რესურსებისა და კავკასიაში გასაბატრონებლად ძლიერი ზურგის მოპოვება იყო. ამ დროს ქართლში არტაგი (არტოკი) მეფობდა. მეფე კარგად ხედავდა, რომ ძალები არათანაბარი იყო, ამიტომ პომპეუსს დესპანი გაუგზავნა და ზავი შესთავაზა, პარალელურად კი ლაშქრის შეკრება განაგრძო. პომპეუსი მიუხვდა ჩანაფიქრს, შეწყვიტა მოლაპარაკება და ქართლის შუაგულისაკენ დაიძრა. არტაგი მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გადავიდა და ხიდი დაწვა. რომაელთა ჯარმა მცხეთის აკროპოლისი – არმაზციხე აიღო და მტკვრის სამხრეთით მდებარე ქართლის ტერიტორია დაიმორჩილა. არტაგმა კვლავ ელჩები გაუგზავნა პომპეუსს, მტკვარზე ხიდის აღდგენას და რომაელთა ჯარის სურსათით მომარაგებას შეჰპირდა. თუმცა რომაელთა სარდალს ქართლის სრული დამორჩილება სურდა. რომაელები მტკვრის მარცხენა ნაპირზე გადავიდნენ და იბერთა ლაშქარს არაგვის ხეობაში შეუტიეს. ქართველები დამარცხდნენ. ბრძოლაში 9 ათასი მეომარი დაიღუპა, ხოლო 10 ათასი ტყვედ ჩავარდა. არტაგმა პომპეუსს მძევლები და ძვირფასი საჩუქრები, მათ შორის ოქროს საწოლი, ტახტი და მაგიდა გაუგზავნა.

რომაელები სათანადოდ ითვალისწინებდნენ საქართველოს სტრატეგიულ და პოლიტიკურ მნიშვნელობას. ამიტომ პომპეუსი დათანხმდა დაზავებაზე, რომლის თანახმად, იბერიაში მეფობა ძალაში რჩებოდა. სამაგიეროდ, რომაელებმა ქართლის მეფეს რომის პოლიტიკური „მეგობრობა“ და სამხედრო „მოკავშირეობა” მოახვიეს თავს, ისევე, როგორც სომეხთა მეფესა და ზოგიერთ სხვა გავლენიან მმართველს. არტაგი იძულებული გახდა რომაელებისათვის შვილები მძევლად მიეცა. ქართლის მეფეს კავკასიონის უღელტეხილების შეკვრა და იმიერკავკასიიდან მომთაბარე მეომარი ტომების შეკავებაც დაეკისრა.

იბერიიდან პომპეუსი კოლხეთში გადავიდა. ამ დროისათვის ეგრისში ცენტრალური ხელისუფლება უკვე აღარ არსებობდა. აქედან გამომდინარე, პომპეუსს წინააღმდეგობა მხოლოდ ცალკეულმა ერისთავებმა გაუწიეს. ერთ-ერთი ასეთი სკეპტუხი ოლთაკე იყო. იგი რომაელებმა დაატყვევეს, რომში წაიყვანეს და გამარჯვების აღსანიშნავად გამართულ ტრიუმფზე ჩამოატარეს. კოლხეთის დაკავების შემდეგ პომპეუსმა კოლხეთის მმართველად ადგილობრივი წარჩინებული – არისტარქე დანიშნა. ჩვენამდე მოაღწია არისტარქეს მიერ მოჭრილმა მონეტებმა, რომლებზედაც ამოკვეთილია წარწერა: „არისტარქე, კოლხეთის მბრძანებელი“. არისტარქე რომისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. მისი

სამფლობელო, ძირითადად, კოლხეთის ცენტრალურ რეგიონებს მოიცავდა, ხოლო რეზიდენცია ქ. ფაზისში (ფოთში) მდებარეობდა.

თავი VII
ქართული სახელმწიფოები I-II საუკუნეებში

ქართლი. ახალი წელთაღრიცხვის დამდეგიდან ქართლის სამეფოს გაძლიერებისათვის ხელსაყრელი საერთაშორისო გარემო შეიქმნა. ამ დროისათვის დასუსტებული იყო სომხეთი. ამ ქვეყნის დასაუფლებლად რომსა და პართიას შორის ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა. აღნიშნულ დაპირისპირებაში აქტიურად ჩაება ქართლის სამეფო, რომელმაც არა მარტო დაიბრუნა სომხეთის მიერ მიტაცებული მიწები, არამედ სომხეთის დაკავებაც სცადა.

პართიის ელინისტური სახელმწიფო ძვ.წ. 247 წელს სელევკიდების სამეფოს გამოეყო. მას სათავეში არშაკიდების დინასტია ედგა. წარმატებული დაპყრობითი ომების შედეგად, პართიის მმართველებმა თავიანთი სამფლობელოები მდ. ამუდარიიდან მდ. ევფრატამდე განავრცეს. პართიის მეფე არტაბანი თავს დაესხა სომხეთს, მოშალა რომაული ადმინისტრაცია და სომხეთში თავისი შვილი არშაკი გაამეფა. 35 წელს პართიაში შაჰის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. ამით ისარგებლეს რომაელებმა და პართიის ტახტზე თავიანთი ორიენტაციის პართიელი უფლისწული დასვეს, რომლის გამეფება იბერთა ხელშეწყობით განხორციელდა. ამ დახმარების სანაცვლოდ, რომის იმპერატორმა ტიბერიუსმა ქართლის მეფე მითრიდატეს სომხეთიდან პართიელების განდევნა დაავალა და იქ თავისი ვაჟის გამეფების ნება დართო. ქართლის ტახტის მემკვიდრე ფარსმანი შეიჭრა სომხეთში, დაიკავა დედაქალაქი არტაშატი, წარმატებით მოიგერია სომხეთში შემოჭრილი პართიელი უფლისწულის ოროდის ლაშქარი, განდევნა ქვეყნიდან პართიელები და სომხეთის ტახტზე თავისი ძმა მითრიდატე დასვა.

ქართლის გაძლიერებულმა მეფემ, ფარსმან I-მა, დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება დაიწყო. მან სომხეთის დაუფლება და თავისი ძმის, მითრიდატეს (მიჰრდატის), ტახტიდან ჩამოგდება განიზრახა. მიზნის მისაღწევად ფარსმანმა თავისი ვაჟი რადამისტი გამოიყენა და ამისთვის გარკვეული გეგმაც შეიმუშავა. რადამისტმა მოკლა საკუთარი ბიძა – სომხეთის მეფე მითრიდატე და ტახტი დაიკავა. რადამისტი მკაცრი და დესპოტი მმართველი გამოდგა, ამიტომ მას ხალხი აუმხედრდა. ქალაქ გარნისის (იქ მდებარეობდა რადამისტის რეზიდენცია)

აუჯანყებულმა მოსახლეობამ ალყა შემოარტყა ციხეს. რადამისტი იძულებული გახდა გაქცეულიყო. მის წინააღმდეგ პართიის ჯარიც დაიძრა. პართიელებმა დაამარცხეს რადამისტი და სომხეთის ტახტიც მათ დარჩათ. საბოლოოდ, ფარსმანის ქმედებებმა რომს სომხეთი დააკარგვინა.

63 წელს რომსა და პართიას შორის დადებული ზავის თანახმად, სომხეთი ორმაგი დაქვემდებარების ქვეშ მოექცა. ერთის მხრივ, სომხეთის ტახტს პართიელი არშაკიდების უმცროსი ხაზის წარმომადგენლები იკავებდნენ. ამავე დროს, ისინი რომის ვასალებად ცხადდებოდნენ და სამეფო გვირგვინსაც რომაელებისაგან იღებდნენ. ამ ხელშეკრულებით, სომხეთი ფაქტობრივად, პართიის ხელში გადავიდა. პართიელებმა ალბანეთის მეფის გადაბირებაც მოახერხეს, რომელიც აქამდე ქართლის მოკავშირე იყო.

ქართლის სამეფო თავის სიძლიერეს ფარსმანის მემკვიდრის, მითრიდატეს, მეფობის პერიოდშიც ინარჩუნებს და აქტიურ მონაწილეობას იღებს წინა აზიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. რომი იძულებულია ანგარიში გაუწიოს ქართლის გაძლიერებასა და მის ტერიტორიულ გაფართოებას. ამის დასტურია მცხეთაში აღმოჩენილი, 75 წლით დათარიღებული, რომის იმპერატორ ვესპასიანეს სტელა, რომელშიც საუბარია ვესპასიანეს სახელით მცხეთის ზღუდის გამაგრების შესახებ. ამასთან, ქართლის მეფე და მისი მოსახლეობა კეისრისა და რომაელი ხალხის მეგობრადაა მოხსენიებული.

I საუკუნის ებრაელ ისტორიკოსს იოსებ ფლავიუსს აღწერილი აქვს ამავე საუკუნის 70-იან წლებში ამიერკავკასიაში ჩრდილო კავკასიიდან ალანთა დიდი ლაშქრის შემოჭრის ისტორია. წყაროს თანახმად, ალანები შეუთანხმდნენ ქართლის მეფეს, სავარაუდოდ, მითრიდატეს, რომელმაც გახსნა კავკასიონის გადმოსასვლელები, გადმოიყვანა ისინი და სომხეთსა და პართიას შეუსია. ამ ფაქტთან უნდა იყოს დაკავშირებული მცხეთის ნეკროპოლზე აღმოჩენილ არამეულ წარწერაში დაცული ინფორმაცია – ქართლის მეფის მითრიდატეს მიერ სომხეთში მოპოვებული გამარჯვების შესახებ, რომელიც მითრიდატეს ერისთავს შარაგასს ეკუთვნის.

ქართლი აძლიერებს ექსპანსიას აღმოსავლეთით, ალბანეთის სახელმწიფოს წინააღმდეგაც, სადაც პართიის გავლენა მნიშვნელოვანი იყო. ამ პერიოდში რომაელთა და იბერთა ერთობლივი ლაშქრობების შედეგად უნდა გადასულიყო ქართლის სამეფოს შემადგენლობაში ალბანეთის დასავლეთი ნაწილი – მდ. ივრისა და ალაზნის ზემო წელი, რომელიც ქართულ წყაროებში „ჰერეთის" სახელითაა ცნობილი.

I-II საუკუნეების მიჯნაზე ქართლის შემდგომი დაწინაურება რომის იმპერიის აღმოსავლური პოლიტიკის გააქტიურებასთანაა დაკავშირებული. ქართლი აფართოვებს საზღვრებს სამხრეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. I საუკუნის ბოლოსა და II საუკუნის დასაწყისში ქართლის მეფემ დაიმორჩილა ძიდრიტების ტომით დასახლებული დღევანდელი აჭარის ტერიტორია, ანუ ქართლის სამეფომ თავისი საზღვრები შავ ზღვამდე გადასწია. ამგვარად, ქართლი რომის სამფლობელოებში შეიჭრა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაელთა დაქვემდებარებაში არსებული ტერიტორიები ერთმანეთისაგან გათიშა. ამან, ბუნებრივია, რომისა და ქართლის სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები დაძაბა.

ამ დროს, ქართლში ფარსმან II მეფობდა. ქართული საისტორიო ტრადიცია მას „ქველს“ უწოდებს. ეს ქართლის სამეფოს განსაკუთრებული ძლიერების ხანაა. ფარსმანი რომთან მიმართებით საკმაოდ დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა. რომის აღმოსავლეთ პროვინციების მონახულების მიზნით, მცირე აზიაში მოგზაურობისას, იმპერატორმა ადრიანემ ადგილობრივი მმართველები და მეფეები თავისთან დაიბარა, თანაც მოწვეულნი უხვად დაასაჩუქრა. მიწვეულ სტუმართა შორის იბერთა მეფეც იყო. კეისარმა მას ძვირფასი საჩუქრების გარდა, საომარი სპილო და 50-კაციანი კოჰორტა (სამხედრო რაზმი) გაუგზავნა. ფარსმან II იმპერატორთან არ გამოცხადდა. სამაგიეროდ, დიდძალი საჩუქრები გაუგზავნა, მათ შორის, მოოქვრილი წამოსასხამები. განაწყენებულმა ადრიანემ, ქართლის მეფის დამცირების მიზნით, ცირკის არენაზე მის მიერ საჩუქრად გაგზავნილი წამოსასხამებით შემოსილი 300 გლადიატორი გამოუშვა.

რომის იმპერატორთან ქართლის მეფის შეურიგებელი დამოკიდებულების მიზეზი ქართლის მიერ შავიზღვისპირეთის მიმართულებით გაფართოება გახდა, რასაც ადრიანე არ ცნობდა. ამას გარდა, ლიხის გადაღმა, არგვეთში (ზემო იმერეთი), უკვე არსებობდა ქართლის საერისთავო. იქ ქართლის მეფის მოხელე ერისთავ-პიტიახში იჯდა. გაძლიერებული ფარსმანი პრეტენზიას დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ტერიტორიის მიმართაც აცხადებდა. საამისო ძალა ქართლის მეფეს გააჩნდა. საკუთარი ძალის სადემონსტრაციოდ, 134 წელს მან კავკასიონის გადმოსასვლელები გახსნა და რომის აღმოსავლეთ პროვინციებსა და პართიის სამფლობელოებს ალანები შეუსია. ქართლის მეფესთან ურთიერთობის მოგვარება ადრიანემ დიპლომატიური საშუალებებით სცადა, თუმცა წარუმატებლად.

რომსა და ქართლს შორის ურთიერთობა მხოლოდ მომდევნო იმპერატორის, ანტონინე პიუსის (138-161 წწ.), დროს გამოსწორდა. საგარეო პოლიტიკაში ანტონინე პიუსი აღმოსავლეთის მეზობლებთან მშვიდობის შენარჩუნებას ცდილობდა. ასეთი საგარეო პოლიტიკური კურსის წარმართვაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმპერატორი იბერიის მეფესთან კარგ ურთიერთობას ანიჭებდა. აქედან გამომდინარე, ანტონინე პიუსმა ცნო ქართლის ტერიტორიული გაფართოება. მან მეფე ფარსმან II თავისი ცოლ-შვილითა და ამალით სტუმრად მიიწვია რომში. ქართლის მეფის ეს ვიზიტი აღწერილი აქვს რომაელ ისტორიკოსს დიონ კასიუსს. იგი მოგვითხრობს: „როცა ფარსმანე იბერიელი მეუღლესთან ერთად რომში ჩავიდა, (ანტონინე პიუსმა) გაუდიდა მას სამფლობელო, ნება დართო კაპიტოლიუმში მსხვერპლი შეეწირა, მისი ცხენოსანი ქანდაკება ენიალიონზე (ომის ღმერთის – მარსის ტაძარში) დაადგმევინა და უყურებდა (ფარსმანეს), მისი ვაჟის და სხვა წარჩინებულ იბერთა სამხედრო ვარჯიშობას“. ქართლის მეფის რომში სტუმრობის აღსანიშნავად, გაკეთდა სპეციალური წარწერა მარმარილოს ფირფიტაზე, ე.წ. ფასტიაზე, რომელიც რომის ფორუმის მოედანზე იყო გამოფენილი.

მეფე ფარსმან II მოიხსენიება არმაზის ერისთავთა ნეკროპოლზე აღმოჩენილ ორენოვან წარწერაში, ე.წ. არმაზის ბილინგვაში, რომელიც ამ პერიოდის ქართლის ისტორიისათვის არაერთი საყურადღებო ინფორმაციის შემცველია. მისი მეფობა ასახულია XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის, ლეონტი მროველის, თხზულებაში „მეფეთა ცხოვრება“.

ფარსმან II-ის შემდეგ ქართლის მეფედ ჩანს ხსეფარნუგი, რომელიც ქვეყანას II საუკუნის II ნახევარში წარმატებით განაგებდა. მის შესახებ ცნობები მხოლოდ არმაზის პიტიახშთა სამაროვანზე აღმოჩენილმა ეპიგრაფიკულმა წარწერამ, ე.წ. „არმაზის ბილინგვამ” შემოგვინახა. ამ ეპიტაფიაში (საფლავის ქვის წარწერა) ხსეფარნუგი „დიდი მეფის“ ტიტულით არის მოხსენიებული, მისი უმაღლესი მოხელე „ეზოსმოძღვარი“ იოდმანგანი კი – „ძლევამოსილად და მრავალ გამარჯვებათა მომპოვებლად“. როგორც ჩანს, ხსეფარნუგის დროსაც იბერია წარმატებულ საგარეო ომებს აწარმოებდა. ქართლის სამეფოს ძირითად მიზანს თავისი ძლიერებისა და გაფართოებული ტერიტორიული საზღვრების შენარჩუნება წარმოადგენდა. დასუსტებულ რომსა და პართიას კი, ქართლზე შეტევის განხორციელების ძალა არ შესწევდათ.

დასავლეთ საქართველო. პომპეუსის ლაშქრობების შემდეგ, კოლხეთი (ეგრისი) რომისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი პონტოს სამეფოს შემადგენლობაში იქნა შეყვანილი. 63 წელს რომსა და პართიას შორის დადებული

ზავის შემდეგ, იმპერატორმა ნერონმა გააუქმა პონტოს სამეფო და კოლხეთის ტერიტორია უშუალოდ დაიქვემდებარა, როგორც რიგითი პროვინცია. აქ მმართველიც თავად დანიშნა. რომაელებმა დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირა ციხე-ქალაქებში: ფაზისში, სებასტოპოლისში, აფსაროსსა და პიტიუნტში რომაული გარნიზონები ჩააყენეს, სანაპიროს კი, რომაელთა ფლოტი იცავდა. რომაული გარნიზონის გაზრდას პარალელურად, ადგილობრივი მოსახლეობის ჩაგვრა-შევიწროება მოჰყვა. ეს საბოლოოდ დიდი ანტირომაული აჯანყების მიზეზი გახდა.

69 წელს კოლხეთში დაწყებულ აჯანყებას სათავეში ერთ დროს პონტოს სამეფოს ფლოტის მეთაური, ყოფილი მონა, ანიკეტი, ჩაუდგა. ანიკეტმა გადაიბირა შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ხალხები, ძირითადად, დასავლეთ ქართული მოდგმის ტომები. აჯანყებულთა ჯარით იგი ტრაპიზონში შეიჭრა, გაანადგურა რომაელთა „კოჰორტა“ და ფლოტსაც ცეცხლი წაუკიდა. იმპერატორმა ვესპასიანემ ამბოხებულთა წინააღმდეგ გასაგზავნი ლეგიონების მეთაურად გამოცდილი სარდალი ვირდიუს გემინიუსი დანიშნა. რომაელებმა ადვილად დაამარცხეს აჯანყებულები. გაქცეულმა ანიკეტმა ადგილობრივ მთავარს – „სედოხეზების მეფეს“ შეაფარა თავი. ამ უკანასკნელმა შეიპყრო იგი და რომაელებს გადასცა.

ანიკეტის აჯანყების შემდეგ რომაელებმა კიდევ უფრო გააძლიერეს თავიანთი გარნიზონები და საფორტიფიკაციო ნაგებობები კოლხეთის ზღვისპირა ციხეებში, მაგრამ მოსახლეობის დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის შეჩერება შეუძლებელი გახდა. ამასთან ერთად, ეგრისის ცენტრალურ რეგიონებში გახშირდა მთაში მცხოვრები, განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომი ტომების თავდასხმები და მასობრივი ჩამოსახლების შეუქცევადი პროცესი. ისინი თავს ესხმოდნენ კოლხეთის დასახლებულ პუნქტებს, ქალაქებს, ძარცვავდნენ და იტაცებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. მაგ., მათ გაძარცვეს პიტიუნტი, დააცარიელეს დიოსკურია და სხვ. ეგრისის მოსახლეობის უკმაყოფილებას ისიც იწვევდა, რომ რომაელები არა თუ ებრძოდნენ ბარში ჩამოწოლილ მთიელებს, არამედ აქეზებდნენ კიდეც მათ. ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოს შემოერთებას ქართლის (იბერიის) გაძლიერებული სამეფოც ცდილობდა.

შექმნილ ვითარებაში რომაელები იძულებული გახდნენ, დათმობაზე წასულიყვნენ, ეცნოთ ადგილობრივი ხელისუფლება და თუნდაც ვასალური ქვეშევრდომობით შეენარჩუნებინა ეს მნიშვნელოვანი რეგიონი. II საუკუნისათვის, კოლხეთის ცენტრალურ ნაწილში ჩამოყალიბდა: ლაზების, აბშილების, აბაზგებისა და სანიგების ადგილობრივი სამეფო-სამთავროები, რომლებიც უკვე

ადრეფეოდალური ტიპის პოლიტიკური ერთეულებს წარმოადგენენ. მათ შორის ყველაზე ძლიერია ლაზიკის სამეფო, რომელიც იწყებს ბრძოლას რომის ბატონობისაგან თავის დასაღწევად და მთელი დასავლეთ საქართველოს გასაერთიანებლად. II საუკუნის დასაწყისისათვის რომაელი ავტორები უკვე მოიხსენიებენ კოლხეთის მეფეს. ახლად აღდგენილ დასავლეთ ქართულ სამეფოს ქართველები და სომხები „ეგრისს" უწოდებენ, ბერძნები და რომაელები ძველებურად „კოლხეთს" ან ახალ სახელს – „ლაზიკას", ხოლო მის მცხოვრებლებს „ლაზებს". კოლხეთის სამეფოს უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთში ლაზეთი ცალკე საერისთავოს წარმოადგენდა. სწორედ ლაზეთის ერისთავები ჩაუდგნენ სათავეში ახლად აღდგენილ ეგრისის სამეფოს. ეგრისის, იგივე ლაზთა სამეფოს დედაქალაქი მდ. ტეხურის პირას მდებარე ციხე-გოჯი იყო. ბერძნულ-რომაულ წყაროებში მას არქეოპოლისი ანუ ძველი ქალაქი ეწოდება.

134 წელს დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთში ინსპექციის მიზნით იმოგზაურა რომის კაპადოკიის პროვინციის მმართველმა ფლავიუს არიანემ. მან იმპერატორ ადრიანეს დაწვრილებითი ანგარიში წარუდგინა იქ მცხოვრები მოსახლეობისა და საფორტიფიკაციო ნაგებობების შესახებ. შავიზღვისპირეთში განსახლებულ მრავალრიცხოვან ტომთა შორის არიანე ასახელებს როგორც ქართველურ ტომებს: სანიგებს, ჰენიოხებს, სვანებს, მაკრონებს, ძიდრიტებს (რომლებიც მისი სიტყვებით, ქართლის მეფის ფარსმანის დაქვემდებარებაში არიან), ლაზებს, აფშილებსა და აბაზგებს, ისე კავკასიური მოდგმის ჯიქების ადიღეურ ტომებს, რომლებიც კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში დამკვიდრდნენ და იქედან განდევნეს ძველი მკვიდრი, მშვიდობიანი მოსახლეობა.

თავი VIII

საგარეო-პოლიტიკური ვითარება III-IV საუკუნეებში. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება

III საუკუნიდან მოყოლებული, ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკური ვითარება მკვეთრად გართულდა, რაც, პირველ რიგში, მის მეზობლად ახალი სახელმწიფოს – სასანური ირანის ჩამოყალიბებას უკავშირდება. 224 წელს ირანში პართიის სამეფოს, არშაკიდების დინასტიით სათავეში, ბოლო სასანიანებმა მოუღეს. მათი პირველი შაჰი არდაშირი იყო. ფეოდალიზაციის გზაზე მდგარ

ირანში დაგმეს არშაკიდების ელინისტური მისწრაფებები, სახელმწიფო რელიგიის რანგში აიყვანეს, ააღორძინეს და სრულქმნეს მაზდეანური რელიგია (ზოროასტრიზმი), რომელიც ძლიერ იდეოლოგიურ იარაღად იქცა ქვეყნის ცენტრალიზაციის პროცესში. მკვეთრად გაიზარდა ირანის სამხედრო პოტენციალიც. სასანიდების არსებობის მთელ მანძილზე (III-VII საუკუნეები) არ შეწყვეტილა ქართველი და კავკასიის ხალხების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, სასანიანთა ირანის შაჰები რომის იმპერიის წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდნენ. ბრძოლები გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. 298 წელს რომსა და ირანს შორის, ქალაქ ნისიბინში, გაფორმდა ზავი, რომლის თანახმად, ირანმა ქართლი და სომხეთი რომის გავლენის სფეროებად ცნო. ზავის მიხედვით, სამეფო ნიშნები ქართლის მეფეს რომის იმპერატორისაგან უნდა მიეღო, ანუ ქართლი რომის ვასალურ ქვეყნად ცხადდებოდა. მიუხედავად ამისა, რომის გავლენა ნომინალური იყო და ქართლის სამეფო დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა. ნისიბინის ზავის შემდეგაც ქართლის მიწა-წყალი სპარსელების შემოტევის ასპარეზად რჩებოდა.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის მხრიდანაც. 330 წელს საიმპერატორო ტახტი რომიდან ბალკანეთის ბოსფორზე, კარგად დაცული ძველბერძნული პოლისის – ბიზანტიონის ადგილას გადაიტანეს. ქალაქს, მისი აღმშენებელი იმპერატორის, კონსტანტინე დიდის საპატივცემულოდ, კონსტანტინოპოლი ეწოდა. ერთიანი რომის უკანასკნელი იმპერატორის, თეოდოსიუს I-ის, გარდაცვალების შემდეგ იმპერია საბოლოოდ გაიყო დასავლეთ რომისა და აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) იმპერიებად. ძველი იმპერიიდან მან მემკვიდრეობით მიიღო აღმოსავლური პროვინციები – ბალკანეთი, მცირე აზია, სირია და შეიქმნა „აღმოსავლეთ რომის იმპერია", რომელსაც მოგვიანებით „ბიზანტიის იმპერია" ეწოდა. ბიზანტიელები საკუთარ ქვეყანას რომეების იმპერიად, თავს რომაელებად – ღვთის რჩეულ ხალხად, ხოლო იმპერატორს სრულიად საქრისტიანოს მეთაურად მიიჩნევდნენ. ძველი რომიდან კონსტანტინოპოლში გადმოსულ საიმპერატორო სახლს გადმოჰყვა მართვა-გამგეობის ზოგიერთი ტრადიცია, ლათინური ენა და ა.შ., თუმცა ელინისტური კულტურის გავლენაც საკმაოდ დიდი იყო. ამ ქვეყანას ძველ საქართველოში „საბერძნეთი" ეწოდებოდა, ხოლო მის მოსახლეობას – „ბერძენნი", „იონნი", „ჰრომნი". ძალიან მალე იმპერიის ხელისუფლებამ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. ბიზანტიაში ერთმანეთს შეერწყა ქრისტიანობა, ელინური კულტურა და რომაული სახელმწიფოებრიობა.

ირანსა და რომს შორის პოლიტიკური არჩევანი, ქართლის მმართველმა წრეებმა, რომის სასარგებლოდ გააკეთეს. ამის ერთ-ერთი გამოხატულება ქართლში სახელმწიფო სარწმუნოებად ქრისტიანობის გამოცხადება იყო.

. . . . . .

ქრისტიანობა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მონოთეისტური ანუ ერთღმერთიანი რელიგიაა (ბერძნულად „მონო" – ერთს, ხოლო „თეოს" – „ღმერთს" ნიშნავს). მსოფლიოში სამი მონოთეისტური რელიგიაა: იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი. ქრისტიანული რელიგია რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციაში, პალესტინაში, ებრაელთა მიწაზე ახ.წ. I საუკუნეში წარმოიქმნა და ღვთის ძის, იესო ქრისტეს მოღვაწეობას უკავშირდება. ქრისტეს ცხოვრება აღწერილია „სახარებაში", რომელიც ოთხი თავისაგან შედგება, ამიტომ მას „ოთხთავიც" ეწოდება, ხოლო თითოეული თავის ავტორს მახარობელი. ესენი არიან – მათე, მარკოზი, ლუკა და იოანე. ქრისტიანობის წმინდა წიგნია ბიბლია, რომელიც ძველი და ახალი აღთქმისაგან შედგება. „სახარება", „საქმე მოციქულთა" და „მოციქულთა ეპისტოლეები" (წერილები) ბიბლიის მეორე ნაწილს შეადგენს, რომელსაც „ახალი აღთქმა" ეწოდება.

ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით, ქრისტეს ჯვარცმას ელიოზ მცხეთელი, ლონგინოზ კარსნელი და სხვ. მცხეთელი ებრაელები ესწრებოდნენ. ჯვარცმის შემდეგ ელიოზმა რომაელი ჯარისკაცისაგან უფლის კვართი (უკერავი პერანგი, რომელიც თავად ღვთისმშობელმა მოუქსოვა თავის ძეს) შეისყიდა და სამშობლოში წამოიღო. საეკლესიო ტრადიციით, ქრისტეს კვართი დღეს სვეტიცხოვლის ტაძარშია დაკრძალული. საეკლესიო სწავლების თანახმად, ქრისტეს ზეცაში ამაღლების დღეს, მოციქულებმა კენჭი ჰყარეს, თუ რომელ მათგანს რომელ ქვეყანაში უნდა ექადაგა ქრისტეს სჯული. საქართველო მარიამ ღვთისმშობელს ხვდა წილად, ამიტომ ვუწოდებთ ჩვენს ქვეყანას „ღვთისმშობლის წილხვედრს". ღვთისმშობელი საქართველოში არ ყოფილა. იესოს ნების თანახმად, საქართველოს გაქრისტიანების მისია ანდრია პირველწოდებულს დაეკისრა. მას თან ახლდნენ ქრისტეს სხვა მოციქულები – სვიმონ კანანელი და მატათა. მოციქულთა ქადაგების შედეგად, დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ნაწილი ახალ სარწმუნოებაზე მოექცა. ანდრია პირველწოდებულმა დატოვა საქართველო, ხოლო ორი სხვა მოციქული საქართველოში გარდაიცვალა და აქვე დაკრძალეს: მატათა აფსაროსში (გონიოში) განისვენებს, ხოლო სვიმონ კანანელი – ანაკოფიაში (დღევანდელი ახალი ათონი). მოციქულთა ქადაგებას საქართველოში იმხანად სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადება არ

მოჰყოლია, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში მოციქულთა მოღვაწეობის ფაქტმა დიდად შეუწყო ხელი მართლმადიდებელ სამყაროში ქართული ეკლესიის ავტორიტეტს და მისი ავტოკეფალიის (დამოუკიდებლობის) საფუძველი გახდა.

უძველესი ცნობები ქართველთა გაქრისტიანების შესახებ შემონახული აქვს ბერძნულ-ლათინურ მწერლობას. ყველაზე ადრინდელი ცნობა დაცული ყოფილა გელასი კესარიელის „საეკლესიო ისტორიაში“, რომელიც IV საუკუნის ბოლოს დაიწერა. თვით გელასი კესარიელის თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ მისი მოთხრობა იბერთა გაქრისტიანების შესახებ უშუალოდ მომდევნო ხანის ავტორებთან – რუფინუსთან, თეოდორიტე კვირელთან, სოზომენესთან, გელასი კვიზიკელთან არის დაცული. გადმოცემის შინაარსი ასეთია: იბერებთან მოხვდა ვინმე ქრისტიანი ტყვე ქალი, რომელიც ქადაგებდა ქრისტიანობას და ქრისტეს ძალით კურნავდა ადამიანებს. მან განკურნა მძიმედ დაავადებული იბერთა დედოფალიც. ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იბერთა მეფეზე, მაგრამ ქრისტიანობის მიღების გადაწყვეტილება მას იმ სასწაულმა მიაღებინა, რომელიც ნადირობისას გადახდა. შინ დაბრუნებულმა მეფემ იხმო ტყვე ქალი და დაწვრილებით გამოჰკითხა ყოველივე, ახალი სარწმუნოების შესახებ. ამის შემდეგ იბერთა მეფემ ეკლესიის მშენებლობა დაიწყო. ხალხში ქრისტიანული რწმენის განსამტკიცებლად მშენებლობის დროს ღმერთმა სასწაული მოავლინა: ერთ-ერთი სვეტი მშენებლებმა ვერაფრით დააყენეს თავის ადგილას. ღამით, ტყვე ქალის ვედრების შემდეგ, ეს სვეტი შვეულად გაჩერდა ჰაერში თავისი ადგილის ზემოთ. როდესაც დილით ხალხი ისევ შეგროვდა, განათებული სვეტი თავისით დაეშვა საფუძველზე. ეკლესიის აშენების შემდეგ იბერთა მეფემ რომის იმპერატორ კონსტანტინეს ელჩობა გაუგზავნა თხოვნით: გამოეგზავნა მღვდელმთავრები ეკლესიის კურთხევისა და ხალხის მონათვლისათვის. კონსტანტინემ ეს თხოვნა სიხარულით აასრულა. საინტერესოა, გელასი კესარიელის ცნობა იმის შესახებ, რომ ეს ყველაფერი მან იბერთა სამეფო სახლის ერთ-ერთი წარმომადგენლის, ბაკურისაგან შეიტყო.

ასეთივე შინაარსის გადმოცემა აქვს შემონახული ძველ სომეხ ისტორიკოსს მოვსეს ხორენაცის. მის მოთხრობაში საყურადღებოა ის, რომ ავტორი ახსენებს ტყვე ქალისა და მეფის სახელებს – ნუნე და მიჰრანი.

ქართლის გაქრისტიანების ამბავი ყველაზე სრულადაა მოთხრობილი ქართულ საისტორიო წყაროებში: „მოქცევაი ქართლისაი“-ს მატიანესა და „ნინოს ცხოვრებაში“. მაგრამ ყველაზე გავრცელებული და პოპულარულია ის რედაქცია,

რომელიც „ქართლის ცხოვრებაშია“ წარმოდგენილი და რომელიც ლეონტი მროველს მიეწერება.

ქართული ტრადიცია ქართლის გაქრისტიანების შესახებ ასეთია: სახელგანთქმულ კაპადოკიელ სარდალს, ქრისტიანობის გამავრცელებელ ზაბილონსა და იერუსალიმის პატრიარქის იუბენალის დას სუსანას ჰყავდათ ასული ნინო. როდესაც ნინო 12 წლის გახდა, მშობლებმა გაყიდეს თავიანთი ქონება, ყველაფერი გლახაკებს დაურიგეს, თვითონ კი საერო ცხოვრება მიატოვეს და ღმერთის სამსახურში ჩადგნენ. იერუსალიმში ნინო ორი წლის განმავლობაში დვინელ სომეხ ქალთან, ტაძრის მეთვალყურე სარა ნიაფორთან იზრდებოდა, რომელიც მას ქრისტეს სჯულს ასწავლიდა. ნინომ მისგან შეიტყო, რომ ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ მისი სამოსელი – კვართი წილად ხვდათ მცხეთელ მოქალაქეებს, რომლებმაც იგი საქართველოში წააბრძანეს და მცხეთაშია დაფლული. მოგვიანებით ნინო დაუახლოვდა სამეფო წარმოშობის ქალს, რიფსიმეს. რიფსიმეზე დაქორწინება გადაწყვიტა რომის იმპერატორმა დიოკლიტიანემ, რომელიც ქრისტიანების მიმართ შეუბრალებელი მოპყრობით იყო ცნობილი. უბიწოებააღქმადადებულმა რიფსიმემ და მასთან ერთად ორმოცმა ქალწულმა, რომელთა შორის ნინოც იყო, თავი სომხეთს შეაფარეს. სომხეთის წარმართმა მეფე თრდატმა რიფსიმე და მისი თანმხლები ქალწულები, ქრისტიანობის ერთგულებისათვის, სიკვდილით დასაჯა. ნინო სასწაულებრივად გადარჩა. იგი ღმერთის ჩაგონებით ჩრდილოეთით წავიდა, ჯავახეთში გადავიდა და იქედან გაჭირვებით მიაღწია ქალაქ ურბნისს. შემდეგ კი, ურბნისიდან მცხეთისაკენ სალოცავად და სავაჭროდ მიმავალ ხალხს გაჰყვა და ქართლის სამეფოს დედაქალაქში ჩავიდა. არმაზობის დღესასწაულზე მცხეთაში მოხვედრილმა ნინომ ნახა, თუ როგორ ემსახურებოდა ხალხი წარმართ კერპებს: არმაზს, გაცსა და გაიმს. ქალწულის ვედრების შედეგად, ღმერთმა საშინელი ავდარი მოაწია და სეტყვამ მთლიანად დაამსხვრია კერპები. მცხეთაში ნინო ცხრა თვე სამეფო ბაღის მცველთან ცხოვრობდა (ეს ბაღი იქ ყოფილა, სადაც ეხლა სვეტიცხოვლის ტაძარია). მოგვიანებით, მან ვაზის ნასხლევისაგან ჯვარი გააკეთა, მაყვლის ბუჩქზე დადგა და თვითონაც იქ დასახლდა (დღევანდელი სამთავროს ტაძრის ტერიტორია). ექვსი წელი დაჰყო აქ ნინომ, თან სხვადასხვა სენისაგან კურნავდა ავადმყოფებს, თან ქრისტიანობასაც ქადაგებდა. მისი პირველი მოწაფეები და მიმდევრები მცხეთელი ებრაელები იყვნენ. წმინდა ნინომ მძიმე სენით დაავადებული ქართლის დედოფალი ნანა მოარჩინა, რომელმაც ნინოს გავლენით ქრისტე იწამა. მეფე მირიანის გაქრისტიანება ერთმა შემთხვევამ განაპირობა. მცხეთის ახლოს თხოთის

მთაზე სანადიროდ წასულ მეფეს მზის დაბნელებამ მოუსწრო. უკუნი სიბნელე მხოლოდ მას შემდეგ განათდა, რაც მირიანმა დახმარებისათვის ნინოს ღმერთს უხმო. ამის შემდეგ მეფე მირიანმა ქრისტიანობა ქართლის სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. წმინდა ნინომ და მეფე მირიანმა იმპერატორ კონსტანტინესა და მის დედას, დედოფალ ელენეს, აცნობეს თავიანთი გადაწყვეტილების შესახებ და მოსახლეობის ნათლისღებისათვის სამღვდელო პირების გამოგზავნა ითხოვეს. თავად მეფე, სამეფო ბაღში, ხის ეკლესიის მშენებლობას შეუდგა, რომელსაც „სვეტიცხოველი" (ცოცხალი სვეტი) ეწოდა. ეკლესიის მშენებლობას სასწაული უკავშირდება, რომელიც მოსახლეობაში რწმენის განმტკიცებას ემსახურებოდა. იმპერატორმა კონსტანტინემ სიხარულით მიიღო მათი თხოვნა და ქართლის სამეფოში რამდენიმე მღვდელი და დიაკონი გამოაგზავნა, რომელთაც სათავეში ეპისკოპოსი იოანე ედგა. იოანე ეპისკოპოსმა და მღვდლებმა მონათლეს მეფე, მისი ოჯახი, დიდებულები და უბრალო ხალხი, რისთვისაც წინასწარ აკურთხეს მდ. მტკვარი. ღვთის მითითებით, სამი ჯვარი იქნა აღმართული: ერთი იმ ბორცვზე, სადაც დღეს მცხეთის ჯვრის მონასტერი დგას, მეორე – თხოთის მთაზე, სადაც მირიანმა პირველად იწამა ქრისტე და მესამე – ქალაქ უჯარმაში. ამის შემდეგ წმინდა ნინო ეპისკოპოს იოანესთან ერთად ქრისტეს სჯულის საქადაგებლად გადავიდა ქართლის მთიანეთში – წობენს, შემდეგ ერწო-თიანეთში. მეფე მირიანმა მათ ერისთავი გააყოლა ლაშქრით, რათა დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, მთის მოსახლეობა ძალით მოექციათ. ქართული წერილობითი წყაროების თანახმად, თავდაპირველად მდინარე არაგვის ხეობაში „მთიულთა, ჭართელთა, ფხოელთა და წილკანელთა" უარი თქვეს სჯულის შეცვლაზე, მაშინ მეფის ერისთავმა „მცირედ წარმართა მახვილი მათ ზედა და ძლევით შემუსრნა კერპნი მათნი". მთიელთა ნაწილმა მაინც არ მიიღო ახალი რწმენა და კავკასიონის გადაღმა გაიხიზნა. დანარჩენებს კი, მეფე მირიანმა ხარკი გაუდიდა. ქრისტიანობას მოწინააღმდეგეები თვით გაბატონებულ ფენებშიც ჰყავდა. მაგ., ქრისტიანობა არ მიიღო თავად მირიან მეფის სიძემ, ფეროზმა. ჟალეთიდან წმინდა ნინო კუხეთში გადავიდა, სადაც დასნეულდა, გარდაიცვალა და დაბა ბოდბეში დაკრძალეს. მართლმადიდებლური ეკლესია წმინდა ნინოს ხსენების დღეს 14(27) იანვარს აღნიშნავს.

ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად 326 წელს გამოცხადდა.

დასავლეთ საქართველოში სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადება IV საუკუნეში უნდა მომხდარიყო, დაახლოებით იმავე ხანებში, როდესაც ეს იბერიაში მოხდა. 325 წელს ნიკეაში გამართული I მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილეებს შორის მოიხსენიება პიტიუნტის (ბიჭვინთის)

ეპისკოპოსი სტრატოფილე. ის ფაქტი, რომ IV საუკუნის დასაწყისში ბიჭვინთაში უკვე საეპისკოპოსო კათედრა ყოფილა და მისი მღვდელმთავარი მსოფლიო საეკლესიო კრებაში მონაწილეობდა, იმას მოწმობს, რომ ეგრისის სამეფოში ქრისტიანობა უკვე მყარად ფეხმოკიდებული და საკმაოდ გავრცელებული იყო.

ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად აღიარებას ძალზე მრალმხრივი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი აჩქარებდა ქვეყნის ფეოდალიზაციას, აძლიერებდა ქვეყნის ცენტრალიზაციასა და კონსოლიდაციას, ხელს უწყობდა ერთიანი ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესს. ქრისტიანობის მიღებით ქართლი აშკარად დაუპირისპირდა მაზდეანურ ირანს და ქრისტიანული რომის პოლიტიკური ორიენტაცია აირჩია. ქრისტიანობა წიგნიერი რელიგია იყო და ხელს უწყობდა საქართველოში ქართული ენისა და ლიტერატურის, ზოგადად, ქრისტიანული კულტურის დანერგვა-განვითარებას. ქრისტიანობამ განამტკიცა კულტურული კავშირები ევროპის ქვეყნებთან. ქრისტიანობა იყო ის საფუძველი, რომელმაც გააერთიანა საქართველოში მცხოვრები ყველა კუთხის მოსახლეობა და ნიადაგი მოუმზადა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობის – ქართველი ერის შექმნას. ქრისტიანობამ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიის მთელი შუა საუკუნეების მანძილზე. ასეთ ადრეულ ეტაპზე ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადება ქართლის საზოგადოების მაღალი განვითარების მაჩვენებელია.

. . . . . .

ირანის შაჰმა შაბურ II-მ რომის წინააღმდეგ საომარი მოქმედებები ნისიბინის ზავის ვადის დასრულებამდე განაახლა. შაბურის მმართველობის ეპოქაში ირანელთა აგრესია ამიერკავკასიაში განსაკუთრებით გაძლიერდა. ისინი ჯერ სომხეთში შეიჭრნენ და დაამარცხეს იგი, ხოლო IV საუკუნის 70-იანი წლებში მთელი ქართლი დაიმორჩილეს. იმავე პერიოდში ქართლში გამოჩნდა ირანელთა მოხელე – პიტიახში, რომელსაც ქართლის მეფის მოქმედებების გაკონტროლება და ხარკის აკრეფის ხელმძღვანელობა დაევალა. ირანელთა საბოლოო მიზანს ამიერკავკასიის ქვეყნების – ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის დამოუკიდებლობის საბოლოო მოსპობა და ამ ქვეყნების ირანის პროვინციად გადაქცევა წარმოადგენდა. მიზნის მისაღწევად სასანიანებმა მძიმე სამხედრო ბეგარა და ახალი საგადასახადო სისტემა შემოიღეს. გადამხდელთა კატეგორიაში ქრისტიანული ეკლესიაც შევიდა. ირანელებმა გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადეს ქრისტიანობას და მისი ჩანაცვლება მაზდეანობით სცადეს. თავიანთი გეგმების განსახორციელებლად სასანიანი შაჰები წარმატებით იყენებდნენ ქართლსა და

ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებში არსებულ შინაგან წინააღმდეგობებს. ფეოდალიზაციის პროცესში დაიწყო განხეთქილება მეფის ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ წარჩინებულებს შორის. დაწინაურებულ აზნაურთა ფენა ცდილობდა მემკვიდრეობით დაემტკიცებინა სამოხელეო თანამდებობები და მეფის მიერ სამხედრო ვალდებულების სანაცვლოდ დროებით მფლობელობაში გადაცემული მიწები. ირანის შაჰი პოლიტიკური მოსაზრებით, სარგებლობდა შექმნილი სიტუაციით, თავისკენ იბირებდა ადგილობრივ ფეოდალებს და უხვად ანიჭებდა თავის წარჩინებულთ პრივილეგიებს. ასე გააძლიერა მან ქართლის პიტიახში. ამგვარი პოლიტიკის წყალობით, ირანელებმა მეფობა ჯერ სომხეთში გააუქმეს 428 წელს, ხოლო 463 წელს ალბანეთში. ვითარება ქართლში კიდევ უფრო დამძიმდა.

თავი IX

ქართლი V საუკუნეში. ვახტანგ გორგასალი

ქართლის სამეფოს მდგომარეობა საგრძნობლად გართულდა შაჰ იეზდიგერდ II-ის (438-457 წწ.) აგრესიული რელიგიური პოლიტიკის გატარების შედეგად, რაც ქართლში, სომხეთსა და ალბანეთში მაზდეანობის გავრცელებას გულისხმობდა. ამ მიზნით, ირანის სატახტო ქალაქ ქტეზიფონში დაბარებულ ამიერკავკასიის სამივე ქვეყნის დიდაზნაურებს ქრისტიანობის უარყოფა და ცეცხლთაყვანისმცემლობის მიღება მოსთხოვეს. მათ შორის ქართლის პიტიახში არშუშაც იყო. აშკარა ურჩობა ვერავინ გაბედა. ისინი იძულებული გახდნენ შაჰის პირობა მიეღოთ. სამშობლოში უკან დაბრუნებულ წარჩინებულებს შაჰმა მოგვები (ცეცხლთაყვანისმცემლობის ქურუმები) გამოაყოლა, რომელთაც ქვეყანაში მაზდეანობის ქადაგება, ეკლესიების დახურვა, ქრისტიანული ღვთისმსახურების განდევნა, ირანული წეს-ჩვეულების გავრცელება უნდა დაეწყოთ. ამიერკავკასიის ქვეყნებს სერიოზული საფრთხე დაემუქრათ.

451 წელს გაიმართა ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელმაც მიიღო განსაკუთრებული დოგმატი – „ქრისტეს ორბუნებიანობისა და ერთსახეობის შესახებ", დაგმო მონოფიზიტობა (ერთბუნებიანობა) და აღიარა დიოფიზიტობა (ორბუნებიანობა). აღმოსავლეთ რომის იმპერიამ (ბიზანტიამ) და ქართლმა მხარი დიოფიზიტობას დაუჭირა. სომხეთმა და ალბანეთმა მონოფიზიტობა არჩია. ამის

შემდეგ ირანის შაჰები მფარველობდნენ თავიანთი მთავარი პოლიტიკური მოწინააღმდეგის – ბიზანტიის იმპერიის მიერ დევნილ მიმდინარეობებს, უპირველეს ყოვლისა მონოფიზიტობას.

ქართლის სამეფო ტახტზე ვახტანგ გორგასალს ასეთ რთულ ვითარებაში მოუხდა ასვლა. ვახტანგი 7 წლის იყო, როდესაც მისი მამა, მეფე მირდატი, გარდაიცვალა. მცირეწლოვანი ვახტანგი მეფედ დასვეს, თუმცა მას სპარსელთა მხრიდან დამტკიცება სჭირდებოდა. ასეთ მძიმე პერიოდში ვახტანგის დედამ, დედოფალმა საგდუხტმა, თავის მამას, ამიერკავკასიის მარზპანს – ბარზაბოდს დახმარებისათვის მიმართა და შვილის ტახტზე დამტკიცება სთხოვა. მარზპანმა დახმარებასთან ერთად ქართლში მობედან-მობედი ანუ მაზდეანთა მთავარეპისკოპოსი, „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ბინქარანი მოავლინა, რომელსაც მეფის მცირეწლოვანებისას ქართლის სამეფოსა და ქართლზე დაქვემდებარებული ჰერეთის გამგებლობა დაევალა. ბინქარანს ქართლში მოგვთა ახალი ნაკადი შემოჰყვა, რომლებმაც წარმატებით იწყეს მაზდეანობის ქადაგება.

შუა აზიაში ომების გამო, ირანელებმა კავკასიონის გადმოსასვლელების კონტროლი შეასუსტეს. ამას ქართლში ალან-ოსებისა და ჰუნ-თურქების ლაშქრობები მოჰყვა. ერთ-ერთი ასეთი ლაშქრობის დროს ალან-ოსებმა ქალაქი კასპი აიღეს და იქ მყოფი ვახტანგის უმცროსი და, მირანდუხტი, დაატყვევეს. ამას ემატებოდა ქართლის დიდაზნაურთა სეპარატისტული განწყობილება. ისინი პრაქტიკულად აღარ ემორჩილებოდნენ სამეფო ხელისუფლებას. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენდა ქვემო ქართლის პიტიახშის, ვარსქენის, ქმედებები, რომლის შეუზღუდავი ძალაუფლება ირანელთა მხარდაჭერით იყო განპირობებული. ქართლის მეფეს სწორედ ირანელები უპირისპირებდნენ ვარსქენს და მის მსგავს ქართლის ფეოდალურ არისტოკრატიას. ქვეყანას მძიმე ტვირთად სპარსელთა სასარგებლო ხარკი და სამხედრო ბეგარაც აწვა. ქვეყნაში შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად წინდახედული მოქმედება იყო საჭირო. მეფე ვახტანგმა წარმატებით შესძლო ამ ამოცანის გადაჭრა.

ქართლის სამეფოს წინაშე წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად მეფემ ირანელები გამოიყენა. სპარსეთის სამხედრო ძალის დახმარებით მან ილაშქრა ჩრდილო კავკასიაში და თერგის პირას დაამარცხა ოსები. ამ გამარჯვების შემდეგ ქართლის მეფემ მთელი ოსეთი დაარბია და მათი მოკავშირე ჰუნებიც დალაშქრა. ვახტანგმა გაათავისუფლა ქართლიდან ოსთა მიერ წაყვანილი ტყვეები, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, თავისი და მირანდუხტი. მეფემ გაამაგრა კავკასიონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გადმოსასვლელი – დარიალის კარი, ხეობაში თავისი

მეციხოვნეები ჩააყენა და განამტკიცა ქართლის სამეფოს გავლენა ჩრდილო კავკასიის მოსახლეობაზე.

ამ პერიოდში ირანსა და ბიზანტიას შორის მორიგი ომი მიმდინარეობდა. ვახტანგმა რეალურად შეაფასა შექმნილი საერთაშორისო ვითარება და მიიღო გადაწყვეტილება, რომ ბიზანტიის მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნება მხოლოდ სპარსელთა სამხედრო ძალის დახმარებით გახდებოდა შესაძლებელი. ამიტომ დასავლეთ საქართველოში ბიზანტიელთა წინააღმდეგ ლაშქრობისას, ვახტანგ გორგასალი ირანის სახელით მოქმედებდა, თუმცა თავისი ქვეყნის ინტერესებს ახორციელებდა. ამ ლაშქრობებით, მან დაიქვემდებარა სვანეთი და ეგრისის დიდი ნაწილი, ხოლო ბიზანტიას წაართვა კლარჯეთი და იქ შექმნა საერისთავო, რომლის ცენტრად მის მიერ აგებული ციხე-ქალაქი არტანუჯი აქცია. სპარსელების დახმარებით მეფემ ქართლის სამეფოს საზღვრები აღმოსავლეთითაც განავრცო. მან შემოიერთა ალბანეთის დასავლეთი ნაწილი – ჰერეთი, სადაც ცალკე ადმინისტრაციული ერთეული – ჰერეთის საერისთავო შექმნა, დაიქვემდებარა აგრეთვე ჰერეთის ჩრდილოეთით მდებარე დაღესტნის მთიანი ნაწილი – წუქეთი და იქაც ცალკე საერისთავო ჩამოაყალიბა.

საქართველოს მიმართ ირანის დათმობანი და ბიზანტიის შედარებით პასიურობა – ამ ქვეყნების გართულებული საშინაო და საგარეო ვითარებით იყო განპირობებული. ბიზანტიაში დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის გამუდმებული რელიგიური ბრძოლები მიმდინარეობდა. ამასთან, იმპერიას გოთები და ვანდალები ესხმოდნენ თავს. ხოლო ირანს გამუდმებული ომები ჰქონდა ჰუნებთან.

V საუკუნის 60-იან წლებში ირანის შაჰმა, პეროზმა (459-484 წწ.), ქართლის მეფე ქართველთა ლაშქრით ჰუნების წინააღმდეგ საბრძოლველად შუა აზიაში გაიწვია. ვახტანგი მხოლოდ 7 წლის შემდეგ დაბრუნდა ქვეყანაში. სამშობლოში დაბრუნებულ მეფეს ქვეყნის საშინაო ვითარება რადიკალურად შეცვლილი დახვდა. დიდაზნაურები აღარ ემორჩილებოდნენ სამეფო ხელისუფლებას და ზოგი მათგანი აშკარა ღალატსაც არ ერიდებოდა. ამ მხრივ, საგულისხმოა ქვემო ქართლის პიტიახშის ვარსქენის საქციელი. იგი გაემგზავრა ირანის შაჰ პეროზთან, მისი გულის მოგების მიზნით უარყო ქრისტიანობა და მაზდეანობა მიიღო. ამ გზით ვარსქენს ქართლის მეფის ქვეშევრდომობისაგან თავის დაღწევა და ირანელთა მხარდაჭერით თავის სამფლობელოში უფრო მეტი უფლებების მოპოვება სურდა.

ქართლში დაბრუნებულმა ვახტანგმა სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყების გადაწყვეტილება მიიღო. ხანგრძლივი ომისათვის მეფე საფუძვლიანად

მოემზადა და მრავალმხრივი მოღვაწეობა გააჩაღა. პირველ რიგში, იგი ბიზანტიას დაუახლოვდა და მასთან კავშირის განსამტკიცებლად იმპერატორის ასული ელენე ცოლად მოიყვანა. ამ დროიდან იწყება ქართლის მეფის გადამწყვეტი მოქმედებები, რომელთა მთავარი მიზანი სახელმწიფოს ცენტრალიზაციისა და ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა გახდა. ვახტანგი მეფის ხელისუფლების განმტკიცებას შეუდგა. თავდაპირველად, მან ეკლესიის რეორგანიზაცია მოახერხა. მეფემ ურჩი და უღირსი ეპისკოპოსების გადაყენება, მათ მაგივრად კი საკუთარი მომხრეებისა და პირადი ღირსებებით გამორჩეული პირების დანიშვნა დაიწყო. ამასთან ერთად, იგი ახალ საეპისკოპოსოებს აარსებდა და უკვე არსებულებს უფრო წვრილ ერთეულებად ჰყოფდა. მეფე თვით მიქაელ მთავარეპისკოპოსის გადაყენებას აპირებდა. ამით აღშფოთებულმა მიქაელმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მეფეს, დაწყევლა იგი და მისი ლაშქარი. ვახტანგმა მთავარეპისკოპოსი მიქაელი საქართველოდან გააძევა. ამავე დროს, მან ბიზანტიას მიმართა თხოვნით, რათა ქართული ეკლესიის სათავეში კათალიკოსის ჩაყენების ნებართვა მიეღო, რომელიც თვითმწყემსობის ე.ი. ავტოკეფალიის უფლებით იქნებოდა აღჭურვილი. კონსტანტინოპოლმა დააკმაყოფილა ვახტანგის მოთხოვნები და საქართველოს კათალიკოსად (რაც ბერძნულად „საყოველთაოს" ნიშნავს) გამოაგზავნა პეტრე, რომლის „ხელდასხმაც" ანტიოქიის პატრიარქმა განახორციელა. პეტრესთან ერთად ქართლში თორმეტი ეპისკოპოსიც ჩამოვიდა. ამიერიდან საქართველოს ეკლესია ქართველ მეფესა და მსოფლიო საეკლესიო კრებებს ექვემდებარებოდა. კათალიკოსობის შემოღება ქართლის ეკლესიის განმტკიცებას მოასწავებდა. ქვეყანაში საეპისკოპოსოების რიცხვი გაიზარდა. ამ რეორგანიზაციის შემდეგ ქართლში ოცამდე საეპისკოპოსო ჩანს.

ვახტანგმა ქართლში ფართო საქალაქო და საფორტიფიკაციო მშენებლობა წამოიწყო, რაც ქვეყნის საქალაქო ცხოვრების და პოლიტიკურ წინსვლას მოწმობს. ეს ფართო აღმშენებლობა, უპირველეს ყოვლისა, მეფის ხელისუფლების გაძლიერების და დიდაზნაურთა გავლენის შესუსტების მიზანს ემსახურებოდა. ვახტანგმა დაარსა ქალაქი თბილისი და დასაბამი მისცა მას, როგორც სატახტო ქალაქს, ქართლის პოლიტიკურ ცენტრს. მისი მმართველობის პერიოდში დაიწყო აქ სამეფო სასახლისა და ციხის მშენებლობა. ვახტანგის დაწყებული საქმე, მისმა ძემ დაჩიმ დაასრულა და მამის ანდერძის თანახმად, დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში გადაიტანა. ვახტანგმა ივრის ხეობაში ააგო უჯარმის ციხე-ქალაქი, რომელიც გარდა იმისა, რომ იორ-ალაზნის მხარეს საზღვრის გამაგრებას უწყობდა ხელს, ერთხანს მეფის რეზიდენციის ფუნქციასაც ასრულებდა. ვახტანგ

გორგასლის აგებულად ითვლება ციხე-ქალაქები: ხორნაბუჯი (ჰერეთი), ჭერემი (კახეთი) და არტანუჯი (კლარჯეთი). მისი მმართველობის პერიოდში აიგო: უჯარმის მახლობლად ნინოწმინდასთან დიდი საეპისკოპოსო საყდარი, ივრის ზემო დინებაში საეპისკოპოსო საყდარი ჟალეთს, საეპისკოპოსო საყდარი ჭერემში. საეპისკოპოსო ცენტრები აშენდა ხორნაბუჯსა და რუსთავში. მეფის გადაწყვეტილებით, სატახტო ქალაქ მცხეთაში, „სვეტიცხოვლის" ხის ძელური ეკლესიის ადგილას იმავე სახელობის ქვის დიდი ტაძარი აიგო. სვეტიცხოველი მცხეთის კათალიკოსის საკათედრო ტაძარი გახდა. ვახტანგის მეფობისას აშენდა ბოლნისის სიონის შესანიშნავი ტაძარი (თავისი უძველესი წარწერით, რომელიც 493-494 წწ-ით თარიღდება), ლიახვის ხეობაში აღიმართა ახალი საეპისკოპოსო ცენტრი – ნიქოზის ეკლესია.

უშუალოდ აჯანყების დაწყების წინ ვახტანგმა სპარსელთა სამსახურში ჩამდგარ და მის მოწინააღმდეგე დიდაზნაურებს შეუტია. 482 წელს მან მოაკვლევინა მოღალატე ვარსქენ პიტიახში, რაც სპარსელთა წინააღმდეგ აჯანყებას ნიშნავდა. აჯანყების დრო კარგად იყო შერჩეული. ირანი ცენტრალურ აზიაში ჰუნების წინააღმდეგ ბრძოლით იყო დაკავებული და ამიერკავკასიაში მცირე რაოდენობის სამხედრო კონტინგენტი ჰყავდა. მეზობელ ალბანეთში უკვე დაწყებულიყო ანტიირანული აჯანყება. საერთო მტრის წინააღმდეგ გამოსასვლელად ემზადებოდა სომხეთიც. ვახტანგს მოკავშირედ ბიზანტიაც ეგულებოდა. აჯანყების პირველსავე წელს მეფემ დაამარცხა ირანელთა ჯარები და ისინი ქართლიდან განდევნა.

483 წელს ირანელებმა დიდი ლაშქარი გამოგზავნეს ქართლსა და სომხეთში. ვახტანგმა სომხეთის მთებისაკენ უკან დაიხია, რადგან მარტო თავისი ძალებით მტერთან შებმა არ შეეძლო. მის დასახმარებლად მოვიდა სომეხთა სამხედრო ძალა ვაჰან მამიკონიანის სარდლობით. ჰუნებისაგან შეპირებული ჯარის ნაცვლად მხოლოდ 300 კაციანი რაზმი გამოცხადდა. ქართველ-სომეხთა შეერთებული ლაშქარი გარდაბნის ველზე დაბანაკდა. ქართველთა მოკავშირე სომეხთა ჯარში ერთიანობა არ იყო. ბრძოლის დაწყების წინ სომეხი ნახარარების ნაწილმა ბრძოლის ველი მიატოვა და მტრის მხარეს გადასვლა არჩია. ყოველივე ამან ქართველ-სომეხ მოკავშირეთა მარცხი განაპირობა.

484 წელს ჰაზარავუხტის სარდლობით ქართლსა და სომხეთში ირანელთა დიდი ჯარი შემოიჭრა. ვახტანგი იძულებული გახდა დასავლეთ საქართველოში გადასულიყო, თუმცა მალე მოვიდა ცნობა შაჰ პეროზის ჰუნებთან ბრძოლაში დაღუპვის შესახებ და სპარსელთა სარდალი ირანში გაბრუნდა. მძიმე ვითარებაში

აღმოჩენილი ირანელები იძულებულები გახდნენ ამიერკავკასიაში მნიშვნელოვან დათმობებზე წასულიყვნენ: სომხეთში მარზპანად ადგილობრივი ნახარარი, ცნობილი სარდალი ვაჰან მამიკონიანი დასვეს, აღადგინეს ადგილობრივი მეფის ხელისუფლება ალბანეთში, შეწყვიტეს ქრისტიანთა დევნა. ვახტანგიც დაბრუნდა აღმოსავლეთ საქართველოში, თუმცა სპარსელებთან მისი შერიგება ვერ მოხერხდა. მეფე კვლავაც აგრძელებდა წინააღმდეგობას. ივრის პირას, სამგორის ველზე 502 წელს ირანელებთან შებრძოლება დიდაზნაურთა ღალატის გამო ვახტანგისათვის უკანასკნელი აღმოჩნდა. სასიკვდილოდ დაჭრილი მეფე უჯარმის ციხეში გადაიყვანეს, სადაც გარდაიცვალა კიდეც. დიდი მეფე მის მიერვე აგებულ სვეტიცხოვლის ტაძარში დაკრძალეს. გადმოცემით, საფლავის ქვაზე ვახტანგ გორგასალი მთელი ტანით იყო გამოსახული. საუკუნეების მანძილზე ქართველები სამეფო დროშას „ვახტანგიანსა" და „გორგასლიანსაც" უწოდებდნენ. ქართულმა ეკლესიამ ვახტანგ გორგასალი წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ 30 ნოემბერი (13 დეკემბერი) დააწესა. როგორც ვახტანგის ისტორიკოსი, XI საუკუნის ავტორი ჯუანშერი მოგვითხრობს, ამ დროს მეფე სამოცი წლისა ყოფილა.

თავი X
საქართველო VI საუკუნეში

ქართლი VI საუკუნის I ნახევარში. მეფობის გაუქმება

ვახტანგ გორგასლის დაღუპვის შემდეგ მისი მემკვიდრეები – დაჩი და გურგენი განაგრძობდნენ სასანური ირანის აგრესიის წინააღმდეგ შეუერიგებელ ბრძოლას, მაგრამ შეცვლილი საგარეო და საშინაო ვითარება ქართლის მდგომარეობას უაღრესად ართულებდა.

VI საუკუნის დასაწყისისათვის ბიზანტიამ და ირანმა ახალი ძალით განაახლა ერთმანეთს შორის ომი, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი კვლავ ამიერკავკასიის დაუფლება იყო. ამ მიზნით, ირანელებმა ჯერ სომხეთში გააუქმეს მეფობა 428 წელს, ხოლო 510 წელს საბოლოოდ გააუქმეს მეფობა ალბანეთში. დღის წესრიგში ქართლში მეფობის გაუქმების საკითხიც დადგა.

ირანის შაჰმა უფრო მეტად გააძლიერა ზეწოლა ქართლის სამეფოზე. ირანელებმა გაიხსენეს თავიანთი ძველი პოლიტიკა და ქართლში მაზდეანობის ძალით დანერგვა მოინდომეს. ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის თანახმად, 523 წელს ირანის შაჰმა კავად I-მა (488-531 წწ.) ქართლის მეფე გურგენს

შემოუთვალა, რომ მიცვალებულები ქრისტიანული ტრადიციისამებრ მიწაში კი არ დაემარხათ, არამედ ზოროასტრული წესის თანახმად, მტაცებელი ფრინველებისა და ძაღლებისთვის გადაეგდოთ. გურგენ მეფე არ აპირებდა ქართლში მაზდეანური წესების დანერგვას. მან საიდუმლო მოლაპარაკება გამართა ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე I-თან (518-527 წწ.) და მისგან დახმარების მიღების იმედით ირანის წინააღმდეგ აჯანყება წამოიწყო. ქართლში ირანელთა დიდძალი ჯარი შემოიჭრა. ბიზანტიელებმა მხოლოდ მცირერიცხოვანი რაზმი მიაშველეს მეფეს. გურგენს სხვა არაფერი დარჩენოდა, რომ თავისი ოჯახითა და მომხრე დიდებულებით ჯერ ეგრისისათვის, შემდეგ კი ბიზანტიისათვის შეეფარებინა თავი. გაქცეულ ქართლის მეფეს ირანელები დაედევნენ, ქართლის საზღვართან მდებარე ეგრისის ციხეები – სკანდა და შორაპანი ხელში ჩაიგდეს, თუმცა ქართლის მეფე და მისი გარემოცვა ვერ შეიპყრეს. საბოლოოდ ირანმა ქართლი მტკიცედ დაიკავა. ეს 523 წელს მოხდა.

532 წელს ირანსა და ბიზანტიას შორის ე.წ. „უვადო ზავი" გაფორმდა, რომლის თანახმად, ბიზანტიამ სცნო აღმოსავლეთ საქართველოზე ირანის ბატონობა. მეფე გურგენმა ქართლში დაბრუნება ვერ შეძლო. ირანელებმა არც სხვას მისცეს მეფედ კურთხევის უფლება. ქართლში მეფობა გაუქმდა. ქვეყანაში ირანის უშუალო მმართველობა დამყარდა. ქართლს მათი მოხელე მარზპანი – ერისთავი განაგებდა, რომლის რეზიდენცია თბილისში მდებარეობდა. მარზპანი ადმინისტრაციული და სასამართლო უფლებებით იყო აღჭურვილი. ამასთანავე, მას ქართლის ციხე-სიმაგრეებში ჩაყენებული სპარსული გარნიზონების ციხისთავები ემორჩილებოდნენ. ირანელებმა განსაკუთრებული ყურადღება კავკასიონის გადმოსასვლელებს მიაქციეს. თავიანთ ხელში აიღეს მათი დაცვა-გამაგრება და იქ ახალი ციხე-სიმაგრეებიც ააშენეს. ამით ირანელებმა ქართველებს ჩრდილო კავკასიის ვრცელ ველებში მომთაბარე ტომებთან დაკავშირებისა და მათგან დახმარების მიღების საშუალება მოუსპეს.

ქართლში ირანის ბატონობის უზრუნველსაყოფად მარტო სამხედრო ძალა არ იყო საკმარისი. ამიტომ შაჰის კარი ცდილობდა ფართოდ მოეზიდა ადგილობრივი დიდებულები და მათი სახით დასაყრდენი ეპოვა. როგორც აღნიშნული იყო, ქართლის სამეფო ხელისუფლებასა და დიდაზნაურებს შორის დაპირისპირების ძირითადი მიზეზი იყო ამ უკანასკნელთა მისწრაფება, უმაღლესი სამოხელეო თანამდებობანი, მაგალითად, ერისთავობა, ხელშეუხებლად ჰქონოდათ და მემკვიდრეობითად ექციათ. ირანელებმა ქართლის ერისთავებს ასეთი უფლება მიანიჭეს და სათანადო სიგელებით დაუმტკიცეს კიდეც. მათ ასევე შეცვალეს დამოკიდებულება ქართული ეკლესიისადმი. ირანელთა ხელშეწყობითა და

მხარდაჭერით ქართულ ეკლესიაში გაძლიერდა ბიზანტიური ორთოდოქსალური (დიოფიზიტურ-ქალკედონისტური) მრწამსის საწინააღმდეგო (მონოფიზიტურ-ანტიქალკედონისტური) მიმდინარეობა. ამის შემდეგ შაჰებმა არა მარტო შეწყვიტეს ქრისტიანობის დევნა, არამედ საქართველოს ეკლესია-მონასტრებს ფართო უფლებები და შეღავათები მიანიჭეს. ასეთი ქმედებებით ირანელებმა ქართლის სამეფოს გავლენიანი წრეები მოიმადლიერეს და ქართველი დიდაზნაურებისა და ქართული ეკლესიის ლოიალობასაც მიაღწიეს. VI საუკუნეში უცნობი ავტორის მიერ დაწერილი ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებიდან – „ევსტათი მცხეთელის წამება" კარგად ჩანს, რომ ქართლის მარზპანი ქვეყნის მმართველობას ქართლის დიდაზნაურებისა და უმაღლესი საეკლესიო პირების დახმარებით ახორციელებდა. სპარსელების სამსახურში დგანან, მაგალითად, ქართლის პიტიახში, ქართლის მამასახლისი, ქართლის ერისთავნი და თვით ქართლის კათალიკოსიც კი. ქვეყნის მოსახლეობის ფართო ფენებს კი, მძიმე ტვირთად აწვა დიდი ხარკი და სამხედრო ბეგარა. ამიტომ ირანელთა ბატონობით უაღრესად შევიწროვებულ ამ სოციალურ კატეგორიას დამპყრობელთა მიმართ წინააღმდეგობა არასდროს შეუწყვეტია.

ირანელთა აგრესიის შედეგად ქართლისათვის ასეთ მძიმე ვითარებაში, VI საუკუნის 30-იან წლებში, სირიიდან მოვიდნენ საეკლესიო მოღვაწეები, რომლებსაც „ასურელი მამები" ეწოდათ. ესენი იყვნენ: იოანე ზედაზნელი, დავით გარეჯელი, შიო მღვიმელი, ისე წილკნელი, აბიბოს ნეკრესელი, თადეოზ სტეფანწმინდელი, ანტონ მარტყოფელი, იოსებ ალავერდელი, პიროს ბრეთელი, სტეფანე ხირსელი, მიქაელ ულუმბოელი, ისიდორე სამთავროელი და ელია დიაკონი. მათ მიზანს ქართლში ქრისტიანობის განმტკიცება და გაძლიერება წარმოადგენდა. ასურელმა მამებმა საქართველოში სამონასტრო ცხოვრებას ჩაუყარეს საფუძველი. ამასთანავე, მათ მიერ დაარსებული ეკლესია-მონასტრები ქართული კულტურისა და მწიგნობრობის მძლავრ კერებად იქცა.

დიდი ომიანობა ეგრისში

V საუკუნის II ნახევარში დასავლეთ საქართველო ირანის ქვეშევრდომობაში იმყოფებოდა. ბიზანტია ყოველანაირად ცდილობდა აქ თავისი ბატონობა აღედგინა, თუმცა უშედეგოდ. 506 წელს დადებული ზავის მიხედვით, ირანმა კვლავ შეინარჩუნა თავისი პოლიტიკური გავლენა მთელ საქართველოზე. VI საუკუნის ბიზანტიელი ქრონოგრაფის იოანე მალალას ცნობით, ლაზთა მეფე წათე I სპარსეთის შაჰის კავადის მოთხოვნით წარმართობაზე გადავიდა. ეს კი იმას

ნიშნავდა, რომ ლაზიკა კვლავ ირანის ქვეშევრდომი ხდებოდა. თუმცა ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა.

იმავე 523 წელს, როდესაც ქართლის მეფე გურგენი ირანელებს აუჯანყდა, წათე კონსტანტინოპოლში ჩავიდა და იმპერატორისაგან ქრისტიანული წესით მეფედ კურთხევა ითხოვა. ეს ბიზანტიის პროტექტორატის ქვეშ დაბრუნებას ნიშნავდა. იმპერატორმა ეგრისის მეფე ხელახლა მონათლა, მეფედ აკურთხა და ცოლად ბიზანტიელი დიდებულის ასულიც შერთო. სპარსელებმა წათეს დასჯა გადაწყვიტეს. ამ მიზნით 528 წელს დასავლეთ საქართველოში სპარსელთა ჯარი შეიჭრა. ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანე I-მა (527-565 წწ.) ეგრისის მეფეს ლაშქარი მიაშველა. სპარსელები დამარცხდნენ. ამას ირან-ბიზანტიას შორის ე.წ. „უვადო ზავი" ე.ი. მუდმივი, საუკუნო მშვიდობის ჩამოგდების ხელშეკრულება მოჰყვა. საზავო მოლაპარაკების დროს მწვავედ დადგა ირანელთა მიერ დაკავებული სკანდისა და შორაპნის ციხეების საკითხები. საბოლოოდ მხარეები შეთანხმდნენ, რომ ერთმანეთისათვის ომში დაპყრობილი ტერიტორიები გაეცვალათ. ირანელები იძულებულნი გახდნენ, ეგრისის დასახელებული ციხეები დაეცალათ. ამრიგად, „უვადო ზავის" ძალით, დასავლეთ საქართველო მთლიანად ბიზანტიელთა სუვერენიტეტის ქვეშ გადავიდა, ხოლო კონსტანტინოპოლმა აღიარა ირანის ბატონობა აღმოსავლეთ საქართველოზე.

„უვადო ზავის" დადების შემდეგ ირანის შაჰი ხოსრო I ანუშირვანი და ბიზანტიის კეისარი იუსტინიანე I კვლავ ერთმანეთის წინააღმდეგ ომისათვის მზადებას შეუდგნენ. ეგრისში თავიანთი პოზიციების განმტკიცების მიზნით, ბიზანტიელებმა დამატებითი ძალები შეიყვანეს დასავლეთ საქართველოში და თავიანთი გარნიზონები ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ციხე-სიმაგრეებში ჩააყენეს, რითაც ადგილობრივი მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვიეს. ეგრისზე საზღვაო ვაჭრობის კონტროლის მიზნით, ქვეყნის სამხრეთ საზღვარზე, დღევანდელი ციხისძირის ადგილას, იუსტინიანეს ბრძანებით, ციხე-ქალაქი პეტრა (რაც ბერძნულად „კლდეს" ნიშნავს) იქნა აგებული. აქ იუსტინიანემ მთავარი გარნიზონი ჩააყენა. პეტრა ეგრისში განლაგებული ბიზანტიელთა ჯარების სარდლის – სტრატეგოსის რეზიდენციად იქცა, რომელსაც ეგრისში მდგომი მთელი ბიზანტიური სამხედრო კონტინგენტი ექვემდებარებოდა. ამასთან, სტრატეგოსს ეგრისის მეფის ქმედებებისათვის თვალყურის დევნებაც ევალებოდა.

ბიზანტიელი მოხელენი ცნობილნი იყვნენ თავიანთი სიხარბითა და მომხვეჭელობით. უცხო ქვეყნების მოსახლეობას ისინი დაუნდობლად ძარცვავდნენ. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ეგრისში ჩაყენებული ბიზანტიელი

ჯარის სარდალმა და იმპერატორის წარმომადგენელმა, სტრატეგოსმა იოანე ციბემ. ეგრისის მოსახლეობისაგან ფულის გამოძალვის მიზნით, ბიზანტიელმა დიდმოხელემ სავაჭრო მონოპოლია დააწესა. მისი ნებართვის გარეშე ეგრისელებს საქონლის არც შემოტანის და არც უცხოეთში გატანის უფლება ჰქონდათ. მათზე ფასს თავად იოანე ციბე აწესებდა. მის მიერ შემოღებულმა სავაჭრო მონოპოლიამ შეავიწროვა ეგრისის მეფე და დიდებულები. ბიზანტიელები თავიანთი აღვირახსნილი თვითნებობითაც დიდად აწუხებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. ეგრისის მეფეს დამოუკიდებელი მოქმედების საშუალება წართმეული ჰქონდა, რაც შეურაცხყოფდა ლაზებს და მათ ბიზანტიელთა წინააღმდეგ განაწყობდა.

ამ დროს ეგრისის მეფე გუბაზ II იყო, რომელმაც ეგრისიდან ბიზანტიელთა გასადევნად ირანელების გამოეყენება გადაწყვიტა. ამიტომ გუბაზმა ირანის შაჰს ხოსრო I ანუშირვანს (531-579 წწ.) ელჩები გაუგზავნა და შემწეობა სთხოვა. ამ დახმარების სანაცვლოდ, მეფე ირანელებს შავ ზღვაზე თავისუფალი გასასვლელის მიცემას დაჰპირდა. დასავლეთ საქართველოში ირანელთა გაბატონება, ერთის მხრივ, ზურგს მოუშლიდა ქართლს, მეორე მხრივ, საშუალებას მისცემდა ირანს უფრო აქტიურად შეეტია ბიზანტიისათვის და მათ დედაქალაქს ზღვიდანაც დამუქრებოდა. ირანის შაჰი ხოსრო კმაყოფილებით შეხვდა ეგრისელთა წინადადებას.

542 წელს ხოსრო ანუშირვანი ჯარით ქართლში შემოვიდა. შაჰი ხმას ავრცელებდა, თითქოს ჰუნებთან სალაშქროდ მიეშურებოდა. სპარსელებმა სწრაფად გაიარეს ქართლი. ეგრისის საზღვრიდან მათ უკვე ლაზები მეგზურობდნენ. კოლხეთში ირანის შაჰს ეგრისელთა ჯარით გუბაზ მეფეც შეხვდა. სპარსელ-ეგრისელთა გაერთიანებულმა ძალებმა პირველი იერიში ციხე-ქალაქ პეტრაზე მიიტანეს და სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ აიღეს კიდეც. პეტრაში სპარსელთა გარნიზონი განლაგდა. ბრძოლაში თვით ბიზანტიელთა სტრატეგოსი, ეგრისელთათვის საძულველი, იოანე ციბე დაიღუპა. ირანელებმა სხვა ციხეებიც დაიკავეს. ამასობაში მოვიდა ცნობა, რომ ბიზანტიელთა სარდალი ველისარი ირანში შეჭრილიყო. შაჰი ხოსრო I იძულებული გახდა სასწრაფოდ უკან გაბრუნებულიყო. 545 წელს ირანსა და ბიზანტიას შორის 5 წლიანი ზავი დაიდო.

ბიზანტიასთან ზავი ხოსრო ანუშირვანმა დასავლეთ საქართველოში საბოლოო დამკვიდრებისათვის გამოიყენა. ირანის შაჰს ეგრისში თავისი გეგმები ჰქონდა. მისი მიზანი იყო, მთლიანად აეყარა ეგრისის მოსახლეობა და იქ ირანული ტომები დაესახლებინა. ამისთვის კი, გუბაზ მეფის თავიდან მოცილება იყო აუცილებელი. ეს საქმე მან თავის სარდალს დაავალა. სარდალმა კი, თავის მხრივ,

ერთი ლაზი წარჩინებულის, ფარსანსის გამოყენება სცადა, რომელსაც მეფე გუბაზთან დიდი მტრობა ჰქონდა. სპარსელების ვერაგული განზრახვის შეტყობისთანავე, ლაზმა დიდკაცმა დაივიწყა პირადი მტრობა, სამშობლოს ინტერესი თავის პირად ამბიციაზე მაღლა დააყენა და ყველაფერი მეფეს შეატყობინა. ირანის მხარეს ეგრისელთა დარჩენა უკვე შეუძლებელი გახდა. ამიტომ მეფე გუბაზმა ისევ ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე I-ს მიმართა და მოკავშირეობა შესთავაზა. საქმის ამგვარი შემობრუნებით კმაყოფილმა იუსტინიანემ ეგრისში ახალი ჯარების გაგზავნის ბრძანება გასცა. 549 წელს ირანსა და ბიზანიას შორის ეგრისისთვის ომი ახალი ძალით გაჩაღდა. ამჯერად წარმატება უკვე ბიზანტიელების მხარეს იყო, რადგან მათთან ერთად ეგრისელებიც იბრძოდნენ.

550 წელს ხოსრო ანუშირვანმა ეგრისში ახალი დიდი ჯარი გაგზავნა, მაგრამ ეგრისელთა და ბიზანტიელთა გაერთიანებულმა ლაშქარმა ირანელები სასტიკად დაამარცხა. ბრძოლაში მოკლეს ირანელთა სარდალი და ათასობით მეომარი, სხვებმა კი გაქცევით უშველეს თავს. სპარსელების ჯარი მხოლოდ პეტრაში იყო დარჩენილი. ეგრისის მოსახლეობა მოითხოვდა, რომ ციხისთვის დაუყოვნებლივ შეეტიათ, მაგრამ ბიზანტიელთა სარდალი დაგისთე ამაზე არ თანხმდებოდა. ლაზთა მოთხოვნით, იმპერატორმა დაგისთე კონსტანტინოპოლში გაიწვია, ხოლო მის ნაცვლად დასავლეთ საქართველოში ახალი სარდალი ბესსა გამოაგზავნა.

გუბაზის მიერ ბიზანტიელთა ეგრისში შემოყვანით მდგომარეობა აბაზგიასა და აფშილეთშიც გართულდა. ჯერ კიდევ V საუკუნიდან აბაზგია უშუალოდ ბიზანტიის სამფლობელოდ ითვლებოდა. ბიზანტიელი მოხელეების ძალადობით ადგილობრივი მოსახლეობა იმდენად იყო შეწუხებული, რომ აჯანყებას აპირებდა და ირანელებთან დაკავშირებას ცდილობდა. იმპერატორის ბრძანებით, ბიზანტიელთა სარდალი ბესსა აბაზგიაში შეიჭრა და ბრძოლით აიღო ტრაქეას ციხე (ახლანდელი გაგრა), გალავანი მიწასთან გაასწორა და მთელი მიწა-წყალი უდაბნოდ აქცია. ამასობაში სპარსელები აბაზგიის მეზობელ აფშილეთში გამაგრებას ცდილობდნენ. მათ წებელდას ციხეც კი ჩაიგდეს ხელთ. თუმცა საბოლოოდ, ბიზანტიელთა ჯარმა აფშილეთისა და აბაზგიის დამორჩილება შეძლო და კვლავ მეფე გუბაზს დაუქვემდებარა.

551 წელს სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ ბიზანტიელებმა აიღეს პეტრას ციხე-სიმაგრე და სპარსელებს რომ ხელში არ ჩავარდნოდათ, მიწასთან გაასწორეს. ამის საპასუხოდ სპარსეთის ლაშქარმა მერმეროეს სარდლობით ალყა შემოარტყა ეგრისის დედაქალაქ ციხე-გოჯს, მაგრამ ქალაქში მყოფმა ბიზანტიელთა ჯარმა

ისინი სასტიკად დაამარცხა. სპარსელებმა ამ ბრძოლაში 4000 ჯარისკაცი და 3 სარდალი დაკარგეს. დიდი დანაკლისის მიუხედავად, სპარსელები ბრძოლას მაინც განაგრძობდნენ, რასაც, ბუნებრივია, ქვეყნის აოხრება და განადგურება მოსდევდა. მტრის ხელში ეგრისის ერთი ნაწილი – თაკვერი და სვანეთი რჩებოდა.

ბიზანტიელთა სარდლები უაღრესად უნიათოდ მოქმედებდნენ. ისინი უფრო ნადავლის შოვნასა და გამდიდრებაზე ფიქრობდნენ, ვიდრე ომის საბოლოო გამარჯვებით დამთავრებაზე. ომის გაჭიანურებას გუბაზ მეფე ბიზანტიელთა სარდლობას აბრალებდა და იმპერატორისაგან მათ დასჯას ითხოვდა. საპასუხოდ, 554 წელს ბიზანტიელმა სარდლებმა რუსტიკემ და იოანემ თავისთან მიიწვიეს ქართველი მეფე, თითქოსდა ონოგურისის ციხის აღებასთან დაკავშირებით სათათბიროდ და მდინარე ხობის პირას ღალატით მოკლეს.

მეფე გუბაზის ვერაგულმა მკვლელობამ მთელი ლაზიკა აღაშფოთა. ლაზი დიდებულები საგანგებოდ შეიყარნენ მოსალაპარაკებლად და ქვეყნის სამომავლო პოლიტიკური ორიენტაციის გასარკვევად. შეკრებაზე ორი თვალსაზრისი გამოიკვეთა, რომელიც ლაზმა წარჩინებულებმა აიეტმა და ფარტაძემ გაახმოვანეს. მათ მიერ წარმოთქმული სიტყვები ბიზანტიელ ისტორიკოსთან აგათია სქოლასტიკოსთანაა დაცული. კოლხი დიდებული აიეტი სპარსელების მომხრე იყო და ბიზანტიელებზე შურისძიების მიზნით მათ მხარეს გადასვლას ითხოვდა. ფარტაძე კი, ერთმორწმუნე ბიზანტიელების მხარეს დარჩენას ურჩევდა თავის თანამემამულეებს, თუმცა იმ პირობით, თუ ბიზანტიის იმპერატორი სათანადოდ დასჯიდა გუბაზის მკვლელებს და ეგრისის ტახტზე მოკლული მეფის ძმას წათეს დაამტკიცებდა. საბოლოოდ, ფარტაძის აზრმა გაიმარჯვა. იუსტინიანესთან გაიგზავნა ლაზი დიდებულების დელეგაცია, რომელმაც ბიზანტიის იმპერატორს ეს მოთხოვნები გადასცა. იუსტინიანემ ეგრისელთა ყველა მოთხოვნა შეასრულა: წათე II ეგრისის მეფედ დაამტკიცა და სამშობლოში გამოისტუმრა, ხოლო გუბაზის მკვლელები გაასამართლა და სიკვდილით დასაჯა.

555 წელს სპარსელებმა ფაზისის (ფოთის) აღების მიზნით ეგრისში დამატებით დიდი ლაშქარი შეიყვანეს. ამით ისარგებლეს კოდორის ხეობაში მოსახლე მისიმიელებმა (სვანური ერთ-ერთი ტომის სახელია) და ბიზანტიელებს აუჯანყდნენ. სპარსელები ფაზისთან დამარცხდნენ, ხოლო ბიზანტიელებმა ხელახლა დაიმორჩილეს მისიმიელები. ლაზებთან ერთად ბიზანტიელებმა არაერთხელ დაამარცხეს სპარსელები, რითაც აიძულეს ხოსრო I ანუშირვანი, საბოლოოდ დაეთმო ეგრისი და 562 წელს ქ. დარაში ბიზანტიელებთან 50-წლიანი ზავი დაედო. ზავის თანახმად, ირანი ხელს იღებდა ეგრისის სამეფოს დიდ ნაწილზე და

ბიზანტიის კეისარს უთმობდა. სადავოდ რჩებოდა მხოლოდ სვანეთის საკითხი, თუმცა მოგვიანებით, VI საუკუნიის 70-იან წლებში ირანს სვანეთის დათმობაც მოუხდა. ამრიგად, ლაზების ოცწლიანი ბრძოლის მიუხედავად, ეგრისის სამეფომ სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება ვერ შეძლო.

ქართლი VI საუკუნის II ნახევარში. ერისმთავრობის შემოღება

ეგრისში განცდილი მარცხის შემდეგ შესუსტდა ირანელთა პოზიციები აღმოსავლეთ საქართველოში და მათ წინააღმდეგ ბრძოლა გააქტიურდა. 571 წელს ირანის წინააღმდეგ აჯანყება სომხეთში დაიწყო. 572 წელს ქართველები ადგილობრივი ერისთავის გურგენის (გუარამის) მეთაურობით სომხებს მიეშველნენ. აჯანყებულებს ესმოდათ, რომ მხოლოდ საკუთარი ძალებით ირანელების საბოლოო დამარცხებას ვერ შესძლებდნენ, ამიტომ დახმარების თხოვნით ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე II-ს (565-578 წწ.) მიმართეს. კეისარი აჯანყებულთა თხოვნას კმაყოფილებით შეხვდა და დახმარება აღუთქვა. მართლაც, ბიზანტიელთა თანადგომით, აჯანყება დიდ სახალხო მოძრაობად გადაიქცა და ამიერკავკასიის ხალხებისათვის წარმატებით განვითარდა. ქართლი თანდათან გათავისუფლდა სპარსელთა ბატონობისაგან. ადგილობრივი ერისთავები, თავისი შეხედულებებით და წესით, ქვეყნის მართვა-გამგეობის მოწყობას შეუდგნენ. ძველებური მეფობის აღდგენა მათ აღარ სურდათ. ამიტომ ერისთავებმა და დიდაზნაურებმა ქართლის უმაღლეს ხელისუფლად – ერისმთავრად, ანტიირანული აჯანყების მეთაური, ქართლის ძველი სამეფო გვარის შთამომავალი, გურგენი, ძველი ქართული წყაროებით გუარამი აირჩიეს. ბიზანტიის იმპერატორმაც ცნო გურგენის ერისმთავრობა და თავისი საკარისკაცო ტიტული, კურაპალატობა მიანიჭა. ერისმთავარი იყო „პირველი თანასწორთა შორის", მაგრამ მისი ხელისუფლება მხოლოდ სიმბოლურად ითვლებოდა უზენაესად. ერისმთავრის უფლებები ქვეყნის შიდა მმართველობაშიც საკმაოდ შეზღუდული იყო. ერისმთავარი ცნობდა საერისთავოების მემკვიდრეობით მართვის უფლებას, არ შეეძლო ურჩი ერისთავების გადაყენება, დასჯა და მათთვის ამ მემკვიდრეობის ჩამორთმევა. ამრიგად, ქართლის ერისმთავარი იყო ქართლის მეფის გაუქმებული ხელისუფლების სამართალმემკვიდრე, თუმცა მისგან განსხვავებით, შეზღუდული უფლებების მქონე სუვერენი, მხოლოდ ერისთავთა მეთაური, რომელთა ხელისუფლებას საერისთავოებში არ ზღუდავდა.

ქართლში შექმნილ ვითარებას საკმაოდ ზუსტად აღწერს ქართველი მემატიანე: ქართლის პირველივე ერისმთავარმა გურგენმა (გუარამმა) „ერისთავნი ქართლისანი

ვერ სცვალნა საერისთავოთაგან მათთა, რამეთუ სპარსთა მეფისგან და ბერძენთა მეფისგან ჰქონდეს სიგელნი მემკვიდრობისათვის საერისთავოთა მათთა, არამედ იყვნეს მორჩილებასა გუარამ კურაპალატისასა“. მოგვიანებით ირანის შაჰიც იძულებული გახდა, რათა ადგილობრივ დიდაზნაურთა მიერ გაჩენილი ერისმთავრის ხელისუფლება ეცნო. ქართლის ერისმთავარი ირანის შაჰის ვასალი გახდა. ამას ქართლში მოჭრილი მონეტებიც ადასტურებს, რომლებზეც ერთდროულადაა გამოსახული, ერთი მხრივ, შაჰი ჰორმიზდ IV და მაზდეანური სიმბოლო – ცეცხლი და მეორე მხრივ, ქრისტიანული ჯვარი და ქართული ასოებით შესრულებული გურგენის სახელი.

ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება კიდევ უფრო ჩამოყალიბებულ სახეს გურგენის მემკვიდრის სტეფანოზ I-ის დროს იღებს. მას მავრიკე კეისრისაგან (582-602 წწ.) პატრიკიოსის ტიტული ებოძა, ხოლო მის ძმას დემეტრესა და შვილს ადარნესეს – ვიპატოსის ტიტულები. 591 წელს ირანის შაჰმა ხოსრო II-მ ბიზანტიის იმპერატორ მავრიკეს დახმარებით დაიბრუნა ტახტი, რომელიც მის სარდალს ბაჰრამ ჩუბინს ჰქონდა მიტაცებული. ამ შემწეობის სანაცვლოდ, შაჰმა ბიზანტიას დაუთმო სომხეთის დიდი ნაწილი და ქართლი თბილისამდე. ქართლმა, ფაქტობრივად, დამოუკიდებლობა აღიდგინა. სტეფანოზ I-ის ერისმთავრობის პერიოდში აიგო მცხეთის ჯვრის ტაძარი, როგორც ირანის ბატონობისაგან გათავისუფლების სიმბოლო.

თავი XI

საქართველო VII საუკუნეში. არაბთა ბატონობის დამყარება

საქართველო VII საუკუნის I ნახევარში

604 წელს ბიზანტიასა და ირანს შორის დაიწყო ახალი ომი, რომელშიც ბიზანტიამ მარცხი განიცადა და ქართლი ისევ ირანის ხელში გადავიდა. ამის მიუხედავად, ქართლმა შეინარჩუნა ფართო შიდა თვითმმართველობა და სარწმუნოებრივი თავისუფლება. სომხეთისგან განსხვავებით, სადაც მონოფიზიტური მრწამსი იყო გავრცელებული, ქართლი მტკიცედ დადგა დიოფიზიტურ ქრისტიანობაზე, რაც ქართველებსა და სომხებს შორის სარწმუნოებრივი განხეთქილების მიზეზად იქცა.

ამ დროს ქართლის კათალიკოსი კირიონი I იყო, რომელმაც ქართლი მტკიცედ დააყენა დიოფიზიტურ მრწამსზე. ამასთან ერთად, ქვეყანაში არც სხვა სექტები

იდევნებოდა. ქართლში რჩებოდნენ მონოფიზიტი ეპისკოპოსები და საეპისკოპოსოებიც, ასევე ნესტორიანელები. ქართლის კათალიკოსი უაღრესად ტოლერანტული იყო სხვადასხვა სექტებისა თუ მიმდინარეობების მიმართ. ამასთან ერთად, კირიონმა ქართლის ტერიტორიაზე მღვდელმსახურების სავალდებულო ენად ქართული გამოაცხადა. ამის საფუძველზე წარმოიშვა კონფლიქტი მასსა და ცურტავის ეპისკოპოს მოსეს შორის.

605 წელს ცურტავის ეპისკოპოსმა მოსემ, რომელიც წარმოშობით სომეხი იყო, სომხეთის ეკლესიის წაქეზებით ანტიქალკედონური ქადაგება და დიოფიზიტი ქართველების მხილება წამოიწყო. მოსეს ქადაგება სრული მარცხით დამთავრდა. იგი იძულებული გახდა სომხეთში გაქცეულიყო. კირიონ კათალიკოსმა მოსეს ნაცვლად ცურტავის ეპისკოპოსად სხვა დაადგინა. ამის გარდა, ცურტავის თემში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას სომხები შეადგენდნენ, მღვდელმსახურების ქართულ ენაზე აღსრულება სავალდებულო გახდა. ამ მიზეზით, სომხეთის ეკლესიის მესვეურებმა ქართულ ეკლესიასთან წერილობითი პოლემიკა წამოიწყეს. სომხებს მხარს უჭერდა შაჰის ხელისუფლება, რომელიც ამიერკავკასიაში ბიზანტიის საწინააღმდეგო ქრისტიანობის მიმართულების დამკვიდრებით იყო დაინტერესებული. კათალიკოსი კირიონი მტკიცედ იცავდა დიოფიზიტურ მრწამსს. 608 წელს სომეხთა კათალიკოსმა აბრამმა გამოსცა „საყოველთაო ეპისტოლე“, რომლითაც თავის ქვეშევრდომ სომხებს აუკრძალა ქართველებთან და ალბანელებთან ყოველგვარი კავშირი, გარდა ყიდვა-გაყიდვისა. ამით გაფორმდა საბოლოო განხეთქილება ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის.

მალე ირანის სარწმუნოებრივი ლმობიერების პოლიტიკაც შეიცვალა. ირანის შაჰმა ხოსრო II-მ (591-628 წწ.) დაადგინა, რომ ირანის ქვეშევრდომობაში მყოფ ყველა ქრისტიანს ანტიქალკედონისტური ანუ მონოფიზიტური სარწმუნოება უნდა მიეღო. ამის შემდეგ კათალიკოს კირიონს ქართლში აღარ დაედგომებოდა. იგი იძულებული გახდა დასავლეთ საქართველოში გადასულიყო. ქართლის ერისმთავარმა ადარნესემ კი კახეთს შეაფარა თავი. სპარსელებმა მის ნაცვლად ვარსამუსე დანიშნეს.

ბიზანტიისათვის ასეთ მძიმე ვითარებაში ტახტი ენერგიულმა ჰერაკლემ (610-641 წწ.) დაიკავა. საშინაო პრობლემების მოგვარების შემდეგ იგი ირანის წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა და 623 წელს უკვე ამიერკავკასიაში შემოიჭრა. იმპერატორის მოკავშირეები იბერიელები, ეგრისელები და აბაზგები იყვნენ. ამიერკავკასიის ხალხები თავიანთ პოლიტიკურ არჩევანში მერყეობდნენ, ისინი ხან მხარს უჭერდნენ კეისარს და ხანაც დახმარებაზე უარს ეუბნებოდნენ.

ამიერკავკასიაში პირველი ლაშქრობის შედეგებმა ჰერაკლე ახალი, უფრო საიმედო და ძლიერი მოკავშირის მოძებნის აუცილებლობაში დაარწმუნა. ამიტომ კეისარმა დახმარებისათვის ხაზართა ხაკანს მიმართა. ხაზარებმა გაანადგურეს დარუბანდი და ალბანეთში შეიჭრნენ. იქედან კი თბილისისაკენ დაიძრნენ და 627 წელს დედაქალაქს ალყა შემოარტყეს. თბილისთან ხაზარებს ლაზიკიდან დიდი ჯარით გადმოსული ჰერაკლე კეისარი შეხვდა. მოკავშირეებმა გაერთიანებული ძალებით შეუტიეს თბილისს, რომელსაც ქართლის ერისმთავარი ვარსამუსე და ირანული გარნიზონი იცავდა. ქალაქის დამცველებმა ხაზარებსა და ბიზანტიელებს შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს. მომხვდურები იძულებული გახდნენ ქალაქისათვის ალყა მოეხსნათ. ჰერაკლე კეისარი ხაზარებს შეუთანხმდა, რომ ერთი წლის შემდეგ უფრო დიდი ძალით ხელმეორედ გამოილაშქრებდა თბილისზე. ჰერაკლემ ირანთან ბრძოლა შუამდინარეთში განაგრძო და ნინევიასთან სასტიკად დაამარცხა მოწინააღმდეგე. ამასობაში ირანში სამხედრო გადატრიალება განხორციელდა. ახალმა შაჰმა კავადმა 628 წელს ბიზანტიასთან მოლაპარაკებები ზავით დაასრულა, რომლის თანახმადაც, ბიზანტიამ სომხეთი, სირია, მესოპოტამია, ეგვიპტე და ქართლი დაიბრუნა. ჰერაკლე კეისარი საქართველოსკენ გამოეშურა. ამასობაში, ორი თვის ალყის შემდეგ, ხაზარებმა თბილისი აიღეს. სომეხი ისტორიკოსის მოვსეს კალაკანტუაცის მიხედვით, მათ ქალაქი საშინლად ააოხრეს, მცხოვრებნი შეუბრალებლად გაჟლიტეს და უთვალავი სიმდიდრე იგდეს ხელთ.

ამიერიდან ამიერკავკასიაში ბიზანტიის ნახევარსაუკუნოვანი გავლენა დამყარდა. ჰერაკლე კეისარმა ქართლში სასტიკი რეპრესიები განახორციელა. მისი ბრძანებით შეუბრალებლად დასაჯეს წარმართები და ცეცხლმსახურები, რომლებმაც ქრისტიანობა არ მიიღეს. არ დაინდეს არც მონოფიზიტი ქრისტიანები. ქართლის სათავეში კვლავ ბიზანტიური ორიენტაციის ერისმთავარი ადარნესე დააბრუნეს. ბიზანტიის იმპერატორი მისგან მხოლოდ ერთგულებასა და სამხედრო სამსახურს ითხოვდა, ხოლო ქვეყნის საშინაო საქმეებში არ ერეოდა. ერისმთავრის უფლებები თვით ქართლის აზნაურების მხრიდან იყო შეზღუდული.

ბიზანტიის იმპერიის გავლენა უფრო ძლიერი დასავლეთ საქართველოში, ეგრისში იყო. ბიზანტიელებმა აქ თანდათანობით გააუქმეს ადგილობრივი მეფის ხელისუფლება. VII საუკუნის ბოლოს ლაზიკის მეფე აღარც იხსენიება და ქვეყნის მმართველი უკვე „პატრიკიოსის" ბიზანტიურ ტიტულს ატარებს. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ქვეყანას დამოუკიდებლობა დაკარგული აქვს, ხოლო მისი მმართველის უფლებები შეზღუდულია.

არაბთა ბატონობა საქართველოში

VII საუკუნის 30-იან წლებში საქართველოს საზღვრებთან არაბები გამოჩნდნენ. ამ დროისათვის ირანი და ბიზანტია ერთმანეთთან ხანგრძლივი ბრძოლებით იყო დასუსტებული. ამით ისარგებლეს არაბებმა, დაამარცხეს ირანი და ამიერკავკასიას მოადგნენ.

არაბთა სამშობლო არაბეთის ნახევარკუნძულია. არაბები პატრიარქალურ-თემური წყობილებით ცხოვრობდნენ და მომთაბარე მესაქონლეობას მისდევდნენ. არაბეთის ნახევარკუნძულის ზღვისპირა ზოლში, სავაჭრო-საქარავნო გზაზე დაწინაურებული ქალაქები – მექა და მედინა მდებარეობდა.

არაბი ტომების გამაერთიანებლად, არაბული სახელმწიფოს დამაარსებლად, ახალი მონოთეისტური რელიგიის – ისლამის ფუძემდებელად და მუსლიმთა ღმერთის – ალაჰის მოციქულად მექელი ვაჭარი მუჰამედია მიჩნეული. იგი წარმოშობით კურაიშის ტომის ჰაშიმის ღარიბი საგვარეულოდან იყო. ისლამის პრინციპები ჩამოყალიბებულია „წმინდა წიგნში“ – „ყურანი”. მუჰამედის გარდაცვალების (632 წ.) შემდეგ მისი საქმე მისმა მოადგილეებმა – ხალიფებმა განაგრძეს, რომლებმაც ფართო დაპყრობითი ომები დაიწყეს. უკვე მეორე ხალიფა ომარის დროს (634-644 წწ.) არაბებმა დაიმორჩილეს სირია, პალესტინა, მთელი შუამდინარეთი, ეგვიპტე და ირანის დიდი ნაწილი. არაბებმა უზარმაზარი იმპერია – სახალიფო შექმნეს, რომელიც პირინეის ნახევარკუნძულიდან ინდოეთამდე გადაიჭიმა. არაბთა მიერ შექმნილი ქვეყანა თეოკრატიული (ბერძნულად „თეო” ღმერთს, ხოლო „კრატია” მართვას, გამგებლობას ნიშნავს) სახელმწიფო იყო. მისი მმართველის ხელში თავმოყრილი იყო, როგორც უმაღლესი სასულიერო, ისე უმაღლესი საერო ხელისუფლება. არაბთა მიერ დაპყრობილ ხალხებში ისლამი გავრცელდა და ერთ-ერთ მსოფლიო რელიგიად გადაიქცა. VII საუკუნის 30-50-იან წლებში არაბებმა მთელი სპარსეთი დაიპყრეს.

არაბები ამიერკავკასიაში პირველად 640 წელს გამოჩნდნენ. ისინი სომხეთში შევიდნენ და დედაქალაქი დვინი დაიკავეს. 642-643 წლებში არაბები ქართლსაც მოადგნენ, მაგრამ ქართველებმა ისინი დაამარცხეს და ქვეყნის საზღვრებიდან უკუაქციეს. არაბთა ეს გამოჩენა დაპყრობას არ ისახავდა მიზნად. ეს იყო ჩვეულებრივი მარბიელი ლაშქრობა, რომელიც ქვეყნის დაზვერვის მიზნით განხორციელდა. 654 წელს არაბებმა მთელი სომხეთი დაიკავეს, სასტიკად დაამარცხეს ბიზანტიელი სარდალი მავრიანოსი, რომელმაც ქართლს შეაფარა თავი. არაბები გაქცეულ მტერს დაედევნენ და ქართლში შემოვიდნენ.

ქართლის ერისმთავარმა სტეფანოზ II-მ, რომელიც პატრიკიოსის ტიტულს ატარებდა, სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო. მან არაბებს თავისი ელჩები საჩუქრებით მიაგება და მათგან ზავი და მშვიდობა ითხოვა. არაბთა სარდალმა ჰაბიბ იბნ-მასლამამ ქართლის ერისმთავარის საქციელი მოიწონა, მირთმეული საჩუქრები მომავალი ხარკის ანგარიშში ჩაუთვალა და მისცა მას ე.წ. „დაცვის სიგელი“, რომელშიც განსაზღვრული იყო, როგორც ქართველთა, ისე არაბთა უფლება-მოვალეობანი. კერძოდ, არაბები ჰპირდებოდნენ ქართველებს სარწმუნოებრივ და ქონებრივ ხელშეუხებლობას იმ პირობით, თუ ქართველები არაბთა სასარგებლოდ გადაიხდიდნენ ხარკს – ჯიზიას – ყოველ კომლზე ერთი დინარის რაოდენობით. ამასთანავე, ქართველებს ეკრძალებოდათ კომლების გაერთიანება ჯიზიას შესამცირებლად, ხოლო არაბებს – კომლების ხელოვნური გაყოფა გადასახადის გაზრდის მიზნით. ქართველებს ევალებოდათ არაბთა ჯარისა და საერთოდ, მაჰმადიანთა დახმარება. ამ დოკუმენტის თანახმად, არაბები დაიცავდნენ ქართლის მოსახლეობას სხვა შემოსევებისაგან, ხოლო თუ არაბთა არყოფნის დროს ქართველები ვინმეს დაემორჩილებოდნენ, ეს მათ დანაშაულად არ ჩაეთვლებოდათ. თუ ქართველი ისლამს მიიღებდა, არაბთა ძმად გამოცხადდებოდა და „ჯიზიას” გადასახადისაგან გათავისუფლდებოდა, ხოლო ის, ვინც უარს იტყოდა მშვიდობაზე, ისლამსა და ჯიზიაზე, ალაჰის მტრად იქნებოდა მიჩნეული.

არაბთა სახალიფოში არეულობა და შინაური ომი დაიწყო. აქედან გამომდინარე, თავდაპირველად არაბებმა ქართლში მხოლოდ ორი წელი დაჰყვეს. ამ ეტაპზე მათ ამიერკავკასიისათვის არ ეცალათ. ქართველები, სომხები და ალბანელები არაბებს გადაუდგნენ და ხარკის მიცემა შეუწყვიტეს. ქართლის ერისმთავარმა ნერსემ არათუ ქართლიდან განდევნა არაბები, არამედ დაამარცხა სომხეთში მდგარი არაბთა ჯარის სარდალი ბარაბა და სომხეთიდანაც გააქცია ისინი. ამჯერად თავი კვლავ ბიზანტიამ წამოჰყო, მორჩილება და ხარკი მოითხოვა. იმპერატორმა იუსტინიანე II-მ (685-694 წწ.) ამიერკავკასიაში ჯერ თავისი სარდალი ლეონტი გამოაგზავნა, შემდეგ თვითონაც ილაშქრა, ეს ქვეყნები აიკლო და მძიმედ დახარკა. ქართლის მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ხაზარები ქართლის მძიმე მდგომარეობით სარგებლობდნენ და გასაძარცვავად მას ჩრდილოეთიდან თავს ესხმოდნენ. არაბებს ხაზარებთან მუდმივი ომი ჰქონდათ. ამის გამო საქართველო და ალბანეთი უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ტერიტორიას წარმოადგენდა. არაბები ცდილობდნენ მტკიცედ დაეკავებინათ დარუბანდისა და დარიალის გადასასვლელები, ამიტომ ჯარებს აქეთკენ გამუდმებით აგზავნიდნენ.

ქართველებს „სამი მხრით ხმლის ქნევა” უხდებოდათ. სამი მხრიდან მტრის შემოტევებმა დაასუსტა ქართლი.

VII საუკუნის ბოლოს არაბები დასავლეთ საქართველოშიც გადავიდნენ. ეგრისელებმა ნაცად ხერხს მიმართეს და ერთი მტრის წინააღმდეგ მეორე მტრის გამოყენება სცადეს. 697 წელს ბიზანტიელთა ძალმომრეობით შევიწროვებულმა ადგილობრივმა პატრიკიოსმა სერგი ბარნუკისძემ არაბები ეგრისში მიიწვია. VIII საუკუნის დასაწყისისათვის არაბთა მეციხოვნე ჯარი ეგრისის დედაქალაქ ციხე-გოჯსა და კოდორის ხეობის ზოგიერთ ციხე-სიმაგრეში იდგა. ბიზანტიელებმა მხოლოდ ფოთი და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი ზღვისპირა პუნქტი შეინარჩუნეს. მაგრამ ამჯერად არაბებმა დასავლეთ საქართველოში, ისევე როგორც მთელს ამიერკავკასიაში, ფეხი ვერ მოიკიდეს.

ამიერკავკასიაში არაბების წინააღმდეგ აჯანყებები გრძელდებოდა. არაბები იძულებული იყვნენ ქართველთა ურჩობის გასატეხად ახალ-ახალი ჯარები გამოეგზავნათ. VIII საუკუნის 20-იან წლებში ქართლში არაბი სარდალი ჯარაჰი შემოვიდა. მის მთავარ მიზანს ხაზართა დამორჩილება წარმოადგენდა. ჯარაჰმა ქართლის მოსახლეობას ჰაბიბ იბნ-მასლამას „დაცვის სიგელი” განუახლა. მან ახალი საადგილმამულო გადასახადი შემოიღო, რომელსაც „ხარაჯა” ეწოდებოდა. ამასთანავე, მოსახლეობას დაუმძიმა საკომლო გადასახადი „ჯიზია”, რომელიც სულადობრივად დაუწესა.

ქართლი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდა. არაბთა ხალიფამ ქართველთა დასასჯელად და ხაზართა დასამორჩილებლად ამიერკავკასიაში თავისი ბიძაშვილი, უსასტიკესი სარდალი მერვან იბნ-მუჰამედი, იგივე მურვან ყრუ გამოაგზავნა.

735 წელს მურვან ყრუ საქართველოში 120 ათასიანი ლაშქრით შემოვიდა. მან დაიპყრო მთელი კავკასია დარუბანდიდან აფხაზეთამდე. ქართლში მურვანმა დაანგრია ძველი დედაქალაქის, მცხეთის აკროპოლისი – არმაზციხე. შემდეგ დასავლეთ საქართველოში გადავიდა. არაბ სარდალს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს არგვეთის მთავრებმა დავით და კონსტანტინე მხეიძეებმა, მაგრამ დამარცხდნენ. ტყვედ ჩავარდნილ ძმებს ისლამზე გადასვლა მოსთხოვეს. რწმენის ღალატს მათ მოწამეობრივი სიკვდილი არჩიეს. ქართულმა ეკლესიამ ქრისტიანობისათვის თავდადებული დავითი და კონსტანტინე წმინდანებად შერაცხა. ამის შემდეგ მურვან ყრუს ლაშქარმა აიღო და დაანგრია ეგრისის სამგალავნიანი დედაქალაქი ციხე-გოჯი, გადალახა კლისურის კედელი, დაანგრია ქალაქი ცხუმი (სოხუმი) და მიადგა ანაკოფიის ციხეს, სადაც ქართლიდან

გამოძევებული ერისმთავრის სტეფანოზ III-ის შვილები მიჰრი და არჩილი იყვნენ გამაგრებულნი. ქართლის ერისმთავრებს აფხაზეთის ერისთავი ლეონიც ეხმარებოდა. ქართველი მემატიანის ცნობით, გაერთიანებული ძალით ქართველებმა ანაკოფიასთან სასტიკად დაამარცხეს არაბები. ბრძოლაში მიჰრი სასიკვდილოდ დაიჭრა და გარდაიცვალა. საბოლოოდ მომხდურნი იძულებულნი გახდნენ დასავლეთ საქართველოდან გასულიყვნენ. ამჯერად მათ მახვილი სამხრეთ კავკასიისაკენ მიმართეს. საქართველოს დალაშქვრის შემდეგ არაბთა ჯარი მურვან ყრუს მეთაურობით, ხაზარეთისაკენ დარიალისა და დარუბანდის გზებით ერთდროულად დაიძრა. ამ ბრძოლაში ხაზარები დამარცხდნენ, დამორჩილდნენ არაბებს და ისლამიც მიიღეს. მურვან ყრუ დამასკოში დაბრუნდა, სადაც მალე მერვან II-ის სახელით სახალიფოს ტახტი დაიკავა. 750 წელს მისი მკვლელობით არაბთა სახელმწიფოში დასრულდა ომეიანთა დინასტიის მმართველობა. სახალიფოს ტახტზე ომეიანები აბასიანებმა შეცვალეს.

მურვან ყრუს გამანადგურებელი ლაშქრობები საქართველოში სამი წელი გაგრძელდა. არაბებმა დასავლეთ საქართველოში დამკვიდრება ვერ მოახერხეს. სამაგიეროდ, მათ მყარად მოიკიდეს ფეხი ქართლში. არაბებმა შეცვალეს ქართლის მმართველობის ფორმა. იგი ცალკე საამიროდ გამოჰყვეს. ამიერიდან ქვეყანას მათი მოხელე – ამირა ედგა სათავეში, რომლის რეზიდენცია თბილისში მდებარეობდა. არაბებმა გარნიზონები ჩააყენეს თბილისში, რუსთავში, დმანისსა და სხვა ქალაქებში. ამირას ხელში თავმოყრილი იყო სამხედრო, ადმინისტრაციული და სასამართლო ხელისუფლება. არაბებმა ქართლის ერისმთავრის თანამდებობა არ გააუქმეს, არამედ იგი არაბთა ამირას დაუქვემდებარეს და საამიროს ხარკის აკრეფა და ადგილობრივი ჯარის გამოყვანა დაავალეს. არაბთა ძირითად ინტერესს ხარკი და სამხედრო სამსახური წარმოადგენდა.

მურვან-ყრუს ლაშქრობების შემდეგ საქართველოში ერთხანს მშვიდობა დამყარდა და ქვეყანას ჭრილობების მოშუშების საშუალება მიეცა. თუმცა ვითარება შეიცვალა 750 წელს, სახალიფოში ახალი, აბასიანების დინასტიის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე. კიდევ უფრო გაიზარდა არაბთა ხარკი, რაც მოსახლეობას უმძიმეს მდგომარეობაში აყენებდა. ქვეყანაში სულ უფრო იზრდებოდა არაბებისადმი გულისწყრომა და სიძულვილი, არ წყდებოდა მათ წინააღმდეგ მიმართული აჯანყებები. დამპყრობლებმა ქართული საზოგადოების ვერც ერთ ფენაში მნიშვნელოვანი დასაყრდენი ვერ გაიჩინეს, ამიტომ თავიანთი ბატონობის განხორციელება შიშველი ძალით უხდებოდათ. ამით იყო გამოწვეული ის სისასტიკე, რომლითაც არაბები ქართველი ხალხის წინააღმდეგობის გატეხვასა

და დამორჩილებას ცდილობდნენ. მიუხედავად დიდი მცდელობისა, არაბებმა მთელი საქართველოს დაპყრობა ვერ მოახერხეს. მათი სამხედრო ძალა მხოლოდ ქართლის შიდა ოლქების გაკონტროლებას ახერხებდა. რაც შეეხება ქვეყნის განაპირა რეგიონებს, იქ არაბები პერიოდულად მარბიელობდნენ, მაგრამ მოსახლეობისაგან საკადრის პასუხსაც ღებულობდნენ. ასეთი ვითარება იყო კახეთ-თიანეთში, დასავლეთსა და სამხრეთ საქართველოში.

არაბებისათვის გადაუჭრელ პრობლემად ხაზარებიც იქცნენ. ხაზარები არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს ბუნებრივი მოკავშირენი იყვნენ, თუმცა ეს მოკავშირეობა ქვეყანას ძვირად უჯდებოდა. ხაზარები არც საქართველოს ინდობდნენ, ძარცვავდნენ და არბევდნენ „მოკავშირის“ მოსახლეობასაც. 764 წელს მათ მცირე ხნით თბილისიც დაიკავეს.

არაბების წინააღმდეგ მოძრაობას ქართლში თავისი მქადაგებლები და იდეოლოგები ჰყავდა. VIII საუკუნის მწერალმა იოანე საბანისძემ აგიოგრაფიულ თზულებაში არაბი ჭაბუკის აბოს ცხოვრება აღწერა. 772-773 წლებში ქართლის ერისმთავარი ნერსე ხალიფა ალ-მანსურმა ბაღდადში დაიბარა და იქ სამ წელიწადს პატიმრად ამყოფა. ამის მიზეზი ქართველების მხრიდან აჯანყებული სომხების დახმარება გახდა. ხალიფას კარზე ყოფნისას, ერისმთავარ ნერსეს დაუახლოვდა წარმოშობით არაბი, 18 წლის მენელსაცხებლე აბო, რომელიც ქართლში დაბრუნებულ ერისმთავარს სამშობლოში გამოჰყვა. ქრისტიანული სარწმუნოების გაცნობის შემდეგ, აბომ უარყო ისლამი და გაქრისტიანდა. ამის გამო თბილისის ამირას ბრძანებით, იგი ჯერ აწამეს, შემდეგ კი სიკვდილით დასაჯეს. იოანე საბანისძემ აბოს წამების ისტორია გამოიყენა თანამემამულეებში ეროვნული სიამაყის გრძნობის გასაღვივებლად, მერყევთა და სუსტთა გასამხნევებლად, რომლებიც არაბთა ძალმომრეობის გამო „ირწევიან ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა”. ქრისტიანულმა ეკლესიამ აბო თბილელი წმინდანად შერაცხა. ასევე წმინდანებად აღიარეს არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპული არგვეთელი მთავრები დავითი და კონსტანტინე, ქართლის ერისმთავარი არჩილი.

თავი XII

ახალი ქართული სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბება

VIII-IX საუკუების მიჯნაზე საქართველოს ტერიტორიაზე ერთმანეთის მიყოლებით იწყება ახალი სამეფო-სამთავროების: კახეთის, ჰერეთის, აფხაზეთის, ტაო-კლარჯეთის ჩამოყალიბება, რომლებიც წარმოქმნისთანავე იწყებენ ბრძოლას „ქართლსა ზედა", ე.ი. უფრო მაღალი გაერთიანებისათვის.

კახეთი. ქართლის განაპირა თემებში ყველაზე ადრე კახეთი გაძლიერდა. კახეთის სამთავროს ჩამოყალიბება წანარებთანაა დაკავშირებული. წანარები აღმოსავლეთ საქართველოს მთიან ნაწილში მცხოვრებ მთიელებს – მოხევეებს, მთიულებს, ფხოველებს ეწოდებოდათ. ისინი მდინარეების თერგის, ივრისა და არაგვის ხეობის ზემო წელზე სახლობდნენ. კახეთის დამოუკიდებელი სამთავრო VIII საუკუნის 80-იან წლებში მდინარე არაგვისა და ივრის ხეობების ზემო წელში შეიქმნა. სამთავრო სამ ისტორიულ თემს: კახეთს, კუხეთსა და გარდაბანს მოიცავდა. მის ცენტრს თიანეთი წარმოადგენდა. სამთავროს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჰერეთის სამეფო ესაზღვრებოდა, ხოლო დასავლეთიდან – მდინარე არაგვი და თბილისის საამირო. კახეთის მთავრები ქორეპისკოპოსის ტიტულს ატარებდნენ. კახეთის პირველი მთავარი გრიგოლი იყო. ჩამოყალიბებისთანავე კახეთის სამთავრო აქტიური პოლიტიკის გატარებას იწყებს: იბრძვის არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ, მონაწილეობს საქართველოს გაერთიანებისათვის წარმოებულ ბრძოლაში და აფართოებს თავის საზღვრებს.

ჰერეთი. კახეთის აღმოსავლეთით, მდინარეების ივრისა და ალაზნის შუა და ზემო წელზე ჩამოყალიბდა ჰერეთის სამთავრო. სახელწოდება „ჰერეთი" ჰერების ტომიდან მომდინარეობს. ჰერები ისტორიული ალბანეთის მრავალი ტომიდან ერთ-ერთს წარმოადგენდნენ. ვახტანგ გორგასლიდან მოყოლებული ჰერეთი ქართლის სამეფოს ერთ-ერთ საერისთავოდ მოიხსენიება. შემდეგ იგი ქართლის საერისმთავროს შემადგენლობაში შედიოდა. ჰერეთის დიდი ნაწილი სამეფო დომენს წარმოადგენდა. ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ აქ დამკვიდრდნენ სამეფო საგვარეულოს შთამომავლები, როგორც ამ კუთხის ერისთავები. მათი მემკვიდრეები იყვნენ ქართლის ერისმთავრის ადარნესეს შვილები – არჩილი და მიჰრი. ცალკე სამთავროდ ჰერეთის ჩამოყალიბება VIII საუკუნის 80-იან წლებში განხორციელდა. მთავრები აქ დამკვიდრებული ბაგრატიონთა საგვარეულოს ერთ-ერთი შტოს წარმომადგენლები გახდნენ. ქართველები ჰერეთს „რანსაც" ეძახდნენ.

ჰერეთის მმართველები „არანშაჰის” ტიტულს ატარებდნენ. სამეფოს ცენტრი შაქი იყო. ამრიგად, VIII საუკუნის ბოლოს შექმნილი ჰერეთის სამთავრო IX საუკუნის ბოლოს უკვე სამეფოდ მოიხსენიება და მეტოქეობას მეზობელ კახეთის საქორეპისკოპოსოს უწევს.

აფხაზეთი. განსხვავებულ ვითარებში ჩამოყალიბდა აფხაზეთის სამეფო. საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთში არაბთა ბატონობა თითქმის არ დამყარებულა. თვით მურვან ყრუმ ანაკოფიის იქით წასვლა ვერ მოახერხა. დასავლეთ საქართველოზე თანდათან სუსტდებოდა ბიზანტიელთა ბატონობაც. ეგრისში მეფობის გაუქმების შემდეგ დასავლეთ საქართველოს სამთავროებს შორის განსაკუთრებით აბაზგიის ყოფილი საერისთავო დაწინაურდა, რომელიც ქართულ წყაროებში „აფხაზეთად” მოიხსენიება. თავდაპირველად აფხაზეთის საერისთავოს გაძლიერებას ხელს ბიზანტიაც უწყობდა, რათა გაძლიერებული პოლიტიკური ერთეული არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოეყენებინა.

VIII საუკუნის ბოლოსათვის აფხაზთა მთავარმა ლეონ II-მ ისარგებლა ბიზანტიაში არსებული შინაარეულობით, დაიხმარა ხაზართა ხაკანი, რომელიც სიმამრად ეკუთვნოდა, აღიდგინა პოლიტიკური დამოუკიდებლობა და მთელი დასავლეთ საქართველო დაიმორჩილა. რადგან ლეონის წინაპრები აფხაზთა ერისთავები იყვნენ, ახლად შექმნილი სამეფოს მმართველმა აფხაზთა მეფის ტიტული მიიღო. მან სამეფო ტახტი ქუთაისში დაიდგა. მკვეთრად ცენტრალიზებული აფხაზთა სამეფო საერისთაოებად იყო დაყოფილი. აფხაზეთის სამეფოს სახელმწიფო და კულტურულ-სალიტერატურო, მოგვიანებით კი, საეკლესიო ენა ქართული იყო. აფხაზთა მეფეების დიდი ძალისხმევით, IX-X საუკუნეების მიჯნაზე დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოები კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნაცვლად, მცხეთის საკათალიკოსოს დაექვემდებარა. ამიერიდან აფხაზეთის სამეფოში მღვდელმსახურების ენა ბერძნულის ნაცვლად ქართული გახდა. ბიზანტიის ქვეშევრდომობისაგან განთავისუფლებული აფხაზეთის მეფეები ზოგად ქართულ პოლიტიკას ატარებდნენ, აქტიურად იბრძოდნენ საქართველოს გაერთიანებისათვის და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევდნენ.

ტაო-კლარჯეთის სამთავრო (ქართველთა საკურაპალატო). ახალი ფეოდალური სამთავრო ყველაზე გვიან სამხრეთ საქართველოში ჩამოყალიბდა. მის დამაარსებლად ქართლის უკანასკნელი ერისმთავარი აშოტ I ბაგრატიონი ითვლება. არაბთა ბატონობის მთელი სიმძიმე ძირითადად ქართლის ცენტრალურ რეგიონებზე მოდიოდა. IX საუკუნის დასაწყისიდან არაბთა სახალიფოში

მოახლოვებული პოლიტიკური კრიზისის პირველი ნიშნები გამოჩნდა, რაც განსაკუთრებით ნათლად ამიერკავკასიაში გამოვლინდა. ქართლში გრძელდება ანტიარაბული აჯანყებები, რომელთა ორგანიზატორი ქართლის ერისმთავარი აშოტ ბაგრატიონი იყო.

ბაგრატიონთა საგვარეულო წარმოშობით ძველისძველი ქართული თემიდან – სპერიდან (მდინარე ჭოროხის ხეობა, ახლანდელი ისპირი – თურქეთში) იყო. ოფიციალური ვერსიით, რომელიც ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე პორფიროგენეტის (Xს.) ნაშრომშია დაფიქსირებული, ბაგრატიონები დავით წინასწარმეტყველის შთამომავალნი არიან, ამიტომ ენათესავებიან თვით მარიამ ღვთისმშობელს. აქედან გამომდინარე, საქართველოს მეფეები თავიანთ თავს „იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატიონებს“ უწოდებდნენ. XI საუკუნეში იქმნება ისტორიკოს სუმბატ დავითის ძის საგანგებო თხზულება „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა” – ბაგრატიონთა სრული გენეალოგიითა და მათი ღვთიური წარმოშობის ვრცელი დასაბუთებით.

აშოტ I ბაგრატიონი ქართლის ერისმთავარი VIII-IX საუკუნის მიჯნაზე იყო. თავდაპირველად მან წარმატებები მოიპოვა და თავისი ძალაუფლება თბილისიდან ბარდავამდე განავრცო. შემდეგ არაბებთან ბძოლაში დამარცხდა და იძულებული გახდა თავისი ოჯახითა და მომხრეებით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კლარჯეთში გადახვეწილიყო. ეს ტერიტორია უშუალოდ ბიზანტიის იმპერიას ესაზღვრებოდა და ბიზანტიელები მასზე ოფიციალურად აცხადებდნენ პრეტენზიას. ბიზანტიის ხელისუფლებმა მფარველობაში მიიღეს ქართლის ერისმთავარი, ხელი შეუწყვეს მის გაძლიერებას და ბიზანტიის უმაღლესი საკარისკაცო ტიტული – კურაპალატობაც მიანიჭეს. ეს ვითარება აშოტმა თავისი სამთავროს შესაქმნელად გამოიყენა. იქაური ტერიტორიის დიდი ნაწილი არაბთა შემოსევების შედეგად აოხრებული, მოსახლეობა კი უკიდურესად შემცირებული იყო. აშოტმა ამ მიწების სხვადასხვა გზით დაუფლება დაიწყო: ზოგი სოფელი იყიდა, ზოგი ახლად ააშენა, ზოგი კი ძალით დაიკავა, ადგილობრივ ფეოდალთა – მთავართა და აზნაურთა დიდი ნაწილი ყმობის პირობით დაიქვემდებარა. ამგვარად, აშოტმა დიდი სამთავრო შექმნა, რომლის შემადგენლობაშიც ძველი ქართული პროვინციები: შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, ნიგალი, აჭარა, სპერი, სამცხე, ჯავახეთი და არტაანი შევიდა. მან თავის რეზიდენციად ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასლის დროს აშენებული ციხე-ქალაქი არტანუჯი აქცია, რომელიც არაბთა შემოსევების შედეგად დანგრეული იყო. აშოტმა არტანუჯის ციხე განაახლა და ქალაქის მშენებლობა დაიწყო. დიდი მნიშვნელობის სავაჭრო გზების შესაყარზე დაარსებული არტანუჯი მალე

დაწინაურდა და სამხრეთ-საქართველოს უმნიშვნელოვანეს ქალაქად იქცა. აშოტამდე ცოტა ხნით ადრე ამ ტერიტორიაზე მოღვაწეობა უდიდესმა სასულიერო მოღვაწემ გრიგოლ ხანძთელმა დაიწყო. ამ ორი დიდი ქართველის საქმიანობამ ტაო-კლარჯეთის სამთავროს გაძლიერებას მყარი საფუძველი ჩაუყარა.

აშოტი განაგრძობდა არაბების წინააღმდეგ ბრძოლას და ქართლის კვლავ დაუფლებას ცდილობდა. 826 წელს მას არაბები დაესხნენ თავს და ნიგალის ხევის ერთ-ერთ ეკლესიაში ღალატით მოკლეს. ამით ისარგებლეს არაბებმა და კვლავ დაიკავეს ქართლი. აშოტს სამი მცირეწლოვანი ვაჟიშვილი: ადარნესე, ბაგრატი და გუარამი დარჩა. კურაპალატობა და სამთავროს მმართველობა ბაგრატს ერგო. აშოტის გარდაცვალების შემდეგ სამთავრო დასუსტდა და ტერიტორიების ნაწილი დაკარგა. მისმა მემკვიდრეებმა თავიანთი სამთავროს სიძლიერის აღდგენა მხოლოდ მოგვიანებით შეძლეს. 888 წელს აშოტ I-ის შთამომავალმა, (მისი ვაჟის, ბაგრატის შვილისშვილმა) ადარნესემ „ქართველთა მეფის" ტიტული მიიღო. ამიერიდან ამ პოლიტიკურ ერთეულს „ქართველთა სამეფოს" სახელით მოიხსენიებენ.

თბილისის საამირო. აშოტ ბაგრატიონის აჯანყებისა და ქართლიდან გადახვეწის შემდეგ, არაბებმა ქართლის ერისმთავრად არავინ დანიშნეს. ამიერიდან ქართლის გამგებლობას სრულად ფლობდა თბილისის ამირა. საქართველოში დაწყებულმა ანტიარაბულმა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, დამოუკიდებელი ქართული სამეფო-სამთავროების წარმოქმნამ და არაბთა სახალიფოში დაწყებულმა დაშლის პროცესმა მკვეთრად შეცვალა სახალიფოს ცენტრისადმი თბილისის ამირების დამოკიდებულება. ამირებმა განდგომა იწყეს, ყურადღებას აღარ აქცევდნენ ცენტრალური ხელისუფლების განკარგულებებს, ქვეყანაში აკრეფილ ხარკს სახალიფოში აღარ აგზავნიდნენ და თვითონ ითვისებდნენ. მათ სეპარატიზმს ქართველი დიდებულებიც უჭერდნენ მხარს. შემცირდა თბილისის საამიროს ტერიტორიაც, რომელიც მთელ ქართლს არ მოიცავდა და ძირითადად, თბილისით, მისი შემოგარენითა და ქვემო ქართლით იფარგლებოდა. არაბი ხალიფები სტრატეგიულად და ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ქართლის დაკარგვას ვერ ეგუებოდნენ და საპასუხოდ დამსჯელ ექსპედიციებს აგზავნიდნენ.

IX საუკუნის 20-იანი წლებიდან თბილისის ამირა ხალიფას განუდგა. განსაკუთრებით ძლიერი აღმოჩნდა შემდგომი ამირა საჰაკი, რომელსაც ზურგს კახელები უმაგებდნენ. 15-წლიანი ურჩობის შემდეგ არაბებმა მის წინააღმდეგ ცნობილი სარდალი ბუღა თურქი გამოგზავნეს. არაბი სარდალი თბილისს 853 წლის აგვისტოში მოადგა. ქალაქის დამცველების მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად, ბუღა თურქმა, რომელსაც ზოგიერთი ქართველი დიდებულიც

ეხმარებოდა, დაამარცხა საჰაკი და მისი მოკავშირეები, აიღო ქალაქი, გადაწვა და მოსახლეობა ამოჟლიტა. თავად ამირა შეიპყრო და სიკვდილით დასაჯა. არაბი ისტორიკოსის ტაბარის ცნობით, ამ ბრძოლის დროს თბილისში 50 ათასი კაცი დაიღუპა. ბუღა თურქის ლაშქრობისა და თბილისის აღების ისტორია უცნობი ავტორის „მატიანე ქართლისაის" თხზულებასა და ატენის სიონის კედლის წარწერაშია მოთხრობილი. წარწერა გვამცნობს, რომ არაბმა სარდალმა ზირაქმა შეიპყრო ქართველი ფეოდალი კახა და ისლამის მიღებაზე უარის თქმის გამო, იგი სიკვდილით დასაჯა. ქართულმა ეკლესიამ კონსტანტი-კახა წმინდანად შერაცხა, ხოლო მის მოწამეობრივ ცხოვრებას უცნობმა ავტორმა ჰაგიოგრაფიული თხზულება „კონსტანტი-კახას მარტვილობა" უძღვნა.

ამგვარი რეპრესიების მიუხედავად, თბილისის ამირები IX საუკუნის დასასრულიდან, ფაქტობრივად, აღარ ემორჩილებოდნენ ხალიფებს. გარეგნული მორჩილება მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ ამირები ერთ ხანს კიდევ ჭრიდნენ ფულს ხალიფას სახელით. უკანასკნელად ამიერკავკასიის დამორჩილება არაბებმა X საუკუნის დასაწყისში სცადეს. ამ მიზნით, 914 წელს საქართველოში დიდი ჯარით სამხრეთ ადარბადაგანის ამირა აბულ კასიმი შემოიჭრა. მან აიღო უჯარმისა და ბოჭორმის ციხეები, მოაოხრა სამცხე და ჯავახეთი. არაბებმა კარგად გამაგრებული თმოგვის ციხის აღება ვერ მოახერხეს და შემდეგ ყველის ციხეს შემოარტყეს ალყა. ორასმა ქართველმა ციხისთავ მიქელ-გობრონის მეთაურობით ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია მტერს, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდა. აბულ კასიმმა გობრონს გამაჰმადიანება მოსთხოვა. გობრონმა უარყო სარდლის წინადადება, რისთვისაც სიკვდილით დაისაჯა. ქართველი ციხისთავის გმირობა აღწერილია სტეფანე მტბევარის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „მიქელ-გობრონის მარტვილობა". არაბთა შერყეული ხელისუფლების განმტკიცებას ვერც ამ ლაშქრობამ უშველა. ხალიფების გავლენა ამიერკავკასიაზე X საუკუნის შუა წლებიდან საერთოდ გადავარდა. დარჩნენ მხოლოდ ადგილობრივი ამირები, მათ შორის თბილისის ამირაც, რომელიც არაფრით გამოირჩეოდა ადგილობრივი დიდი ფეოდალებისაგან.

თავი XIII

ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის. ბაგრატ III. გიორგი I. ბაგრატ IV

საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა ხანგრძლივი პროცესი იყო, რომელიც IX საუკუნის დამდეგიდან დაიწყო და მასში ქართველი მთავრების გარდა, თბილისის ამირაც მონაწილეობდა. ხშირად ერეოდნენ ხოლმე ამ საქმეში სომხეთის მთავრებიც. საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტერიტორია შიდა ქართლი იყო. ამდენად გაერთიანების მსურველი ყოველი პრეტენდენტი უპირველეს მიზნად ამ რეგიონის დაუფლებას მიიჩნევდა. ქართლისათვის ბრძოლა კახეთის მთავარმა დაიწყო, რომელმაც IX საუკუნის დასაწყისში მისი ერთი ნაწილი დაიკავა, მაგრამ კლარჯეთის მფლობელმა აშოტ ბაგრატიონმა სძლია კახელებს და ქართლი თვითონ მიისაკუთრა. 888 წელს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლმა მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტი განახორციელა – აშოტ კურაპალატის შვილიშვილმა ადარნესემ „ქართველთა მეფის" ტიტული მიიღო. უპირველეს ყოვლისა, ეს ბაგრატიონთა სამეფო სახლის ბიზანტიის კეისრისაგან პოლიტიკური დამოუკიდებლობის დეკლარაციას წარმოადგენდა. ამასთანავე, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონები თავის ერთადერთ უფლებას აცხადებდნენ ქართლზე და ამდენად, ეწინააღმდეგებოდნენ სხვა ქართველ თუ არაქართველ პრეტენდენტთა უფლებას საქართველოს ამ ცენტრალურ რეგიონზე.

X საუკუნის დასაწყისისათვის ისტორიული საქართველოს უდიდესი ნაწილი აფხაზთა, ქართველთა, ჰერთა სამეფოსა და კახეთის საქორეპისკოპოსოს შორის იყო განაწილებული. თბილისს, მის შემოგარენსა და ქვემო ქართლის ერთ ნაწილს თბილისის ამირა ფლობდა. ამავე საუკუნის II ნახევარში სომხური ექსპანსიის შედეგად, ქვემო ქართლის ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე ტაშირ-ძორაგეტის, იგივე ლორე-ტაშირის სომხური სამეფო ჩამოყალიბდა, რომლის ცენტრი სამშვილდე იყო.

X საუკუნეში ქართულ სამეფო სამთავროებს შორის საქართველოში პირველობისათვის ბრძოლა უფრო მეტად გამწვავდა. თავდაპირველად აშკარა იყო ეგრის-აფხაზეთის სამეფოს უპირატესობა, რომლის მეფეები უკვე ფლობდნენ შიდა ქართლს და მისი მმართველობის მიზნით აქ თავისი ერისთავი ჰყავდათ დასმული. 70-იანი წლებიდან ვითარება შეიცვალა. აფხაზთა სამეფო შედარებით დასუსტდა, რითაც ისარგებლა ტაო-კლარჯეთის, იგივე ქართველთა სამეფომ.

ტაო-კლარჯეთის სამეფო განსაკუთრებით X საუკუნის II ნახევარში, დავით III კურაპალატის დროს გაძლიერდა. მას ბიზანტიის იმპერატორისაგან „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატის" ტიტული ჰქონდა მინიჭებული. სწორედ დავით კურაპალატმა ითამაშა უმნიშვნელოვანესი როლი ქართული მიწა-წყალის გაერთიანებისა და ქართული სახელმწიფოს შექმნის საქმეში. დავით III ტაოელ ბაგრატიონთა შტოს განეკუთვნებოდა. ამ პერიოდში მოღვაწე ქართველ მეფე-მთავრებს შორის ის ყველაზე ძლიერ, ენერგიულ და ჭკვიან მმართველად ითვლებოდა. ნომინალურად, ტაო-კლარჯეთის უპირველესი ხელისუფალი ქართველთა მეფის ტიტულის მქონე ბაგრატ II (ბაგრატ III-ის ბაბუა) იყო, რეალურად კი, მისი ბიძაშვილი დავით კურაპალატი. მას დიდი სახელი ჰქონდა მოპოვებული არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ წინა აზიაში. სწორედ ამიტომ, როდესაც 976 წელს მცირეწლოვან იმპერატორ ბასილ II-ს მცირეაზიელი ფეოდალი, სარდალი ბარდა სკლიაროსი აუჯანყდა, ბიზანტიის საიმპერატორო კარმა დავით კურაპალატს სთხოვა დახმარება. დავითმა კეისრის დასახმარებლად თორმეტათასიანი ლაშქარი გაგზავნა ცნობილი ქართველი სარდლების თორნიკე ერისთავისა და ჯოჯიკის მეთაურობით. ქართველთა და ბიზანტიელთა სამხედრო ძალებით ბარდა სკლიაროსის დამარცხება და იმპერატორისათვის ტახტის შენარჩუნება მოხერხდა. გაწეული დახმარების სანაცვლოდ, ბასილი კეისარმა დავით კურაპალატს ბიზანტიის ტერიტორია „ზემო ქვეყნები" გადასცა, რომელშიც ბასიანი, კარნუქალაქი და უფრო სამხრეთით, მდ. არაქსისა და მდ. ევფრატის სათავეები შედიოდა. აღნიშნული მიწები დავით III-ს დროებით, თავის სიცოცხლეში საგანმგებლოდ გადაეცა და არა მემკვიდრეობით მფლობელობაში. ანუ მისი გარდაცვალების შემდეგ ტერიტორიები ბიზანტიას უნდა დაბრუნებოდა.

დავით კურაპალატს შვილი არ ჰყავდა და მის შვილობილად, „ქართველთა მეფის" გურგენის ვაჟი ბაგრატი ითვლებოდა. ამავე დროს, ბაგრატი აფხაზთა მეფის უსინათლო თეოდოსის დისწული იყო და მის ერთადერთ მემკვიდრედ სახელდებოდა. ამგვარად, ბაგრატ გურგენის ძე ბაგრატიონი ამ სამი დიდი ხელისუფლის ტახტის მემკვიდრედ გვევლინებოდა და ამიტომ სწორედ მასზე შეაჩერეს არჩევანი საქართველოს გაერთიანებით დაინტერესებულმა ქართველმა პატრიოტებმა. ერთიანობისთვის მებრძოლ ქართველ დიდებულებს სათავეში შიდა ქართლში აფხაზთა მეფის ერისთავი იოანე მარუშისძე ედგა. თანამოაზრედ მან დავით III კურაპალატი მიიჩნია, საქართველოს გაერთიანების გეგმა გაუზიარა და შვილობილთან ერთად შიდა ქართლში მიიწვია.

975 წელს დავით კურაპალატი, გურგენთან და მცირეწლოვან ბაგრატთან ერთად, ქართლში გამოცხადდა და იოანე მარუშისძისაგან უფლისციხე ჩაიბარა, რომელიც ქართლის პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა. 978 წელს, დავით კურაპალატის თანხმობით, იოანე მარუშისძემ და სხვა ქართველმა დიდებულებმა ბაგრატი დასავლეთ საქართველოში გადაიყვანეს, უსინათლო თეოდოსი მეფობიდან გადააყენეს და ბაგრატი ქუთაისში აფხაზთა სამეფო ტახტზე აიყვანეს. ასე ჩაეყარა საფუძველი საქართველოს გაერთიანებას. 980 წლიდან უკვე სრულწლოვანი ბაგრატი მეფობას დამოუკიდებლად შეუდგა.

ბაგრატის მეფობის დასაწყისშივე მეფესა და ქართლის დიდგვაროვან აზნაურებს შორის უთანხმოებამ იჩინა თავი. ქართლის დიდაზნაურები შიშობდნენ, რომ სამეფო ხელისუფლების გაძლიერება მათი მამულების შეუვალობისათვის (იმუნიტეტი) საფრთხეს წარმოადგენდა და თანაც, მეფე მათ მიერ მიტაცებული მიწების უკან დაბრუნებას მოითხოვდა. ამის გამო, როდესაც ბაგრატ მეფემ დასავლეთ საქართველოდან ქართლში გადმოსვლა მოინდომა, მას საზღვართან ქავთარ ტბელის მეთაურობით ქართლის დიდაზნაურები დახვდნენ და ბრძოლა გაუმართეს. ბაგრატმა დაამარცხა ისინი, ქართლში შემოვიდა, უფლისციხე დაიკავა და ქვეყნის მართვა-გამგეობას თვითონ შეუდგა. დამარცხებული დიდგვაროვნები გადაიხვეწნენ, მხოლოდ თრიალეთის პატრონი და კლდეკარის ერისთავი რატი ბაღვაში არ ემორჩილებოდა მეფეს. 989 წელს ბაგრატმა ისიც დაამარცხა. რატი ბაღვაშმა თავისი სამფლობელო თრიალეთი კლდეკარის ციხითურთ მეფეს გადასცა, თვითონ კი არგვეთში, მამაპაპისეულ მამულში გადასახლდა. მეფემ რატი ბაღვაშის ძე – ლიპარიტი კლდეკარის ერისთავად დასვა და ეს ქვეყანა ამ გზით დაიმორჩილა. ქართლში საქმეების მოგვარების შემდეგ, ბაგრატი დასავლეთ საქართველოში გადავიდა და მტკიცე ადმინისტრაციული ღონისძიებებით მთელს ქვეყანაში წესრიგი დაამყარა.

1001 წელს დავით III კურაპალატი გარდაიცვალა. ბიზანტიის იმპერატორი ბასილ II ჯარით დაუყოვნებლივ გამოეშურა ტაოსკენ, რათა მის მემკვიდრეობას დაუფლებოდა. აქვე გამოცხადდნენ ქართველთა ჯარით მეფე ბაგრატ III და მისი მამა გურგენი. ნათელი იყო, რომ ქართველები ტერიტორიის უბრძოლველად დათმობას არ აპირებდნენ. იმჟამად ბასილი ომს აწარმოებდა ბულგარელებთან და ახალი ომისათვის მზად არ იყო. ამიტომ მან დავით კურაპალატის საგანმგებლო ტერიტორიებიდან ბიზანტიის კუთვნილი „ზემო ქვეყნების" გარდა, მხოლოდ ერთი ნაწილი – იმიერ ტაო დაიჭირა თავისთვის და დანარჩენი ქართველებს დაუტოვა.

ამასთან, ბასილმა მამა-შვილს ბიზანტიური ტიტულები მიანიჭა: კურაპალატობა – ბაგრატს და მაგისტროსობა – გურგენს.

1008 წელს ბაგრატის მამა, გურგენ მეფე გარდაიცვალა და მის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი შავშეთი, კლარჯეთი, სამცხე, ჯავახეთი და ამიერ ტაო ბაგრატ III-ის სამფლობელოებს შემოუერთდა. თუმცა ტაო-კლარჯეთის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი, ქალაქი არტანუჯი კვლავ ბაგრატიონთა კლარჯული შტოს წარმომადგენელთა ხელში რჩებოდა. ისინი ბაგრატის ხელისუფლებას არ ცნობდნენ. ბაგრატმა მამამისის დისწულნი, „კლარჯნი ხელმწიფენი", ძმები სუმბატი და გურგენი ფანასკერტის ციხეში სადარბაზოდ მიიწვია, დაატყვევა, ციხეში ჩაყარა და არტანუჯი და დანარჩენი კლარჯეთიც შემოიმტკიცა. კლარჯი ბაგრატიონების მემკვიდრეები ბიზანტიაში გადაიხვეწნენ, იმპერატორის კალთას შეაფარეს თავი და მათი დახმარებით ცდილობდნენ მამაპაპისეული სამფლობელოების დაბრუნებას.

კახეთისა და ჰერეთის შემოერთება ბაგრატს ბრძოლით მოუხდა. 1010 წელს მეფემ დალაშქრა ჯერ ჰერეთი, მერე კახეთი და ქვეყნის შემოსაერთებლად გადამწყვეტი ღონისძიებები განახორციელა. მან ძალით დაიკავა ჰერეთისა და კახეთის ციხეები, აიღო ბოჭორმის ციხე, სადაც კახეთის მთავარი, ქორეპისკოპოსი კვირიკე III (1010-1037 წწ.) იყო თავშეფარებული. ორწლიანი ბრძოლის შემდეგ „დაიპყრა სრულიად ჰერეთი და კახეთი, წამოიყვანა კვირიკე და დაიჭირა თვისსა კარსა ზედა". ახლად შემოერთებულ კახეთ-ჰერეთში ბაგრატმა თავისი ხელისუფლების გასამტკიცებლად ისეთივე ღონისძიებები განახორციელა, როგორც ადრე დასავლეთ საქართველოში, სადაც „ურჩნი თვისნი შეცვალა დიდებისაგან და ადგილთა მათთა დაადგინა ერთგულნი და მოსწრაფედ მორჩილნი ბრძანებათა მისთა". აქ საუბარია მეფის მიერ დანიშნულ ახალ ერისთავებზე. ამიერიდან ერისთავობა თავის ძველ შინაარს, ე.ი. მოხელეობას უბრუნდება. ბაგრატ მეფის მიერ დანიშნული ერისთავები საერისთავოთა განმგებელი მოხელეები (მოსაკარგავენი) იყვნენ და არა სენიორი-მფლობელები (მთავრები).

ასე, თანდათან ისტორიული საქართველოს უდიდესი ნაწილი ბაგრატ III-ის ტახტის ქვეშ გაერთიანდა. ქართული მიწებიდან საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში მხოლოდ თბილისის საამირო და ქვემო ქართლში არსებული ტაშირ-ძორაგეტის, იგივე ლორე-ტაშირის სამეფო არ შედიოდა.

საქართველოს გაერთიანება-გაძლიერება არ მოსწონდათ არაბ დამპყრობთა დარჩენილ ხელისუფალთ ამიერკავკასიაში. მაგალითად, განძის შედადიანი ამირა ფადლონი კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ დაუპირისპირდა ბაგრატს,

განუწყვეტლივ ესხმოდა თავს, არბევდა და აოხრებდა კახეთ-ჰერეთის განაპირა რეგიონებს და აქედან ბაგრატის განდევნას ცდილობდა. ბაგრატ მეფემ ანისის მეფე გაგიკ I (991-1020 წწ.) დაიხმარა და ფადლონის წინააღმდეგ ერთობლივი ლაშქრობა მოაწყო. 1011 წელს მოკავშირეები საამიროში შეიჭრნენ, ქვეყანა დაარბიეს და ქალაქი შამქორი აიღეს. 1012 წელს ამირა ფადლონი იძულებული გახდა, ყმადნაფიცობის პირობით, ზავი ეთხოვა. საქართველოს მეფემ განძის ამირას ყოველწლიური ხარკის გადახდა დააკისრა და, საჭიროების შემთხვევაში, ქართველთა სასარგებლოდ ლაშქრობა დაავალა.

ქვეყნის გაერთიანებას, მნიშვნელოვანი ტერიტორიების შემოერთებას, საქართველოს ეკონომიკური დაწინაურება მოჰყვა. ბაგრატის დროსაა აგებული ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლები, საეპისკოპოსო ტაძრები ბედიასა და ქუთაისში.

ერთიანი საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III 1014 წელს გარდაიცვალა. იგი იწოდებოდა „მეფედ აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა, კურაპალატი“. მეფე ბაგრატი მის მიერვე აგებულ ბედიის ტაძარში დაკრძალეს.

ბაგრატ III-მ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა საქართველოს გაერთიანებას. თუმცა, თბილისის საამიროს ტერიტორია ჯერ კიდევ საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ რჩებოდა. ბაგრატის შემდეგ ტახტზე მისი მემკვიდრე, მცირეწლოვანი გიორგი I (1014-1027 წწ.) ავიდა. მთელი ყურადღება მან ბიზანტიის მიერ მიტაცებული დავით კურაპალატის სამფლობელოების დაბრუნებაზე გადაიტანა, მაგრამ ვერც ეს შეძლო და შემოერთებული კახეთ-ჰერეთიც დაკარგა. კახეთ-ჰერეთის დიდაზნაურებმა შეიპყრეს ბაგრატის მიერ დანიშნული ერისთავები და გიორგი I აიძულეს კახეთის დატყვევებული მეფე კვირიკე გაეთავისუფლებინა. ამრიგად, კახეთ-ჰერეთი ერთიან საქართველოს კვლავ ჩამოშორდა და იქ კვირიკე III (1010-1037 წწ.) გამეფდა.

ბიზანტიის იმპერატორი ბასილი II 1014-1016 წლებში ბულგარელებთან ომით იყო დაკავებული. ამით გიორგი I-მა ისარგებლა და ტაო დაიკავა. ბასილმა დაამარცხა ბულგარელები, სასტიკად გაუსწორდა მათ (სწორედ ამისთვის მას „ბულგართმჟლეტელი” უწოდეს) და მთელი ძალებით საქართველოსკენ დაიძრა. 1021 წელს სოფ. შირიმთან გადამწყვეტ ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ. 1022 წელს გიორგი მეფე იძულებული გახდა ზავის მძიმე პირობები მიეღო. ზავის თანახმად, საქართველოს მეფე დავით კურაპალატის სამფლობელოებს – ტაოში, კოლა-არტაანსა და ჯავახეთში – ბიზანტიას უბრუნებდა და 3 წლით

კონსტანტინოპოლში მძევლად თავის მცირეწლოვან შვილს ბაგრატს აგზავნიდა. 1027 წელს გიორგი I მოულოდნელად გარდაიცვალა. იგი ქუთაისში დაკრძალეს.

საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა XI საუკუნეში. ბაგრატ IV

გიორგი I-ის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს სამეფო ტახტი მცირეწლოვანმა ბაგრატ IV-მ (1027-1072 წწ.) დაიკავა. ტახტთან ერთად მემკვიდრეობით ბაგრატს ბიზანტიასთან უკიდურესად გართულებული ურთიერთობაც ერგო. ბიზანტიის კეისარმა კონსტანტინემ საქართველოში მრავალრიცხოვანი ჯარი გამოგზავნა. მათ საქართველოს სამხრეთი მხარეები კიდევ ერთხელ მოაოხრეს და შიდა ქართლისაკენ დაიძრნენ. ქართველებმა რატი ბაღვაშის მეთაურობით კლდეკარის ციხესთან მტერს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და უკან დახევა აიძულეს. ბიზანტიელთა მხარეს ტაო-კლარჯეთის უკმაყოფილო დიდაზნაურობა გადავიდა, რითაც მომხდურებს საქმე გაუადვილდათ. თუმცა იყვნენ ქვეყნის გაერთიანება-გაძლიერების მომხრენიც, ვინც წინ აღუდგნენ მოღალატეთა ძირგამომთხრელ საქმიანობას. მათ შორის განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ტბეთის (შავშეთში) ეპისკოპოსმა საბა მტბევარმა, რომელმაც ტბეთის ტაძრის მიდამოებში ციხე ააგო, ადგილობრივი მოსახლეობისაგან ჯარი შექმნა და მეფის ერთგულ აზნაურთა ლაშქართან ერთად ბიზანტიელებს სძლია. ქართველების თავგანწირულმა წინააღმდეგობამ მტერს ქვეყნის სიღრმეში შეჭრის განზრახვაზე ხელი ააღებინა. ამასობაში იმპერატორი კონსტანტინე გარდაიცვალა და ბიზანტიის ჯარმა უკან დახევის ბრძანება მიიღო.

ბიზანტიის საიმპერატორო კარმა აღმოსავლეთში მშვიდობის ჩამოგდება მიიჩნია საჭიროდ. საქართველოს მხრიდან სამშვიდობო მოლაპარაკებებში მონაწილეობის მისაღებად და ზავის გასაფორმებლად 1030 წელს დედოფალი მარიამი და კათალიკოსი მელქისედეკი კონსტანტინოპოლში გაემგზავრნენ. ქართული დელეგაცია პატივით მიიღეს, ბაგრატს კურაპალატობა უბოძეს და იმიერ ტაოს გარდა, დანარჩენი მიტაცებული ტერიტორიები დაუბრუნეს. ქვეყნებს შორის გაფორმებული მშვიდობა პოლიტიკური ქორწინებითაც განმტკიცდა. მეფე ბაგრატს კეისარ რომანოზის ძმისშვილი ელენე შეროეს ცოლად. მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეები ერთმანეთს დაუზავდნენ, ზავი არამყარი იყო. ბიზანტია ხელსაყრელ მომენტს ელოდა, რომ საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევისა და თავის სასარგებლოდ გამოყენების საშუალება მისცემოდა. ასეთი მომენტიც დადგა.

ბაგრატ IV-ს ჰყავდა ნახევარძმა დემეტრე, რომელსაც მამისაგან, მეფე გიორგი I-ისგან საუფლისწულოდ ანაკოფია და მისი ოლქი ჰქონდა მიღებული. აფხაზეთში

მრავლად იყვნენ დიდაზნაურები, რომელთაც დემეტრე უფლისწულის გამეფება და ბაგრატისათვის მისი დაპირისპირება უნდოდათ. ამავე მიზნით, დემეტრეს ბიზანტიის იმპერატორიც მფარველობდა. რაკი უფლისწულის გამეფების მცდელობა მარცხით დასრულდა, დემეტრე ბიზანტიაში გაიქცა, კეისრისაგან მფარველობა მიიღო და ანაკოფიის ციხე მას გადასცა. ამგვარად, საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი გაერთიანებულ საქართველოს კვლავ ჩამოშორდა.

საქართველოს მდგომარეობა აღმოსავლეთის მხრიდანაც გაურთულდა. ბაგრატ მეფის მცირეწლოვანებით განძის ამირა ფადლონმა ისარგებლა, საქართველოს ყმადნაფიცობიდან გამოვიდა და მეზობელი ქვეყნების რბევას მიჰყო ხელი. ქართული ჯარი კლდეკარის ერისთავის ლიპარიტ ბაღვაშისა და ქართლის ერისთავის ივანე აბაზას ძის მეთაურობით განძისკენ დაიძრა. ფადლონის წინააღმდეგ გამოვიდნენ აგრეთვე, კახეთ-ჰერეთის მეფე კვირიკე, სომეხთა მეფე დავითი და თბილისის ამირა ჯაფარი. განძის ამირა ბრძოლაში დამარცხდა და უკუიქცა.

XI საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო ბრძოლა თბილისის საამიროს შემოერთებისათვის. ამით განსაკუთრებით დაინტერესებული კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში იყო, რომლის სამფლობელოები თბილისის ამირას ტერიტორიას უშუალოდ ესაზღვრებოდა. ლიპარიტი იმედოვნებდა, რომ თბილისის საამიროს გაუქმების შემდეგ საამიროს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს თავის საგანმგებლოს შეუერთებდა.

1032 წელს ლიპარიტ ბაღვაშმა და ივანე აბაზას ძემ თბილისის ამირა ჯაფარი შეიპყრეს, მეფეს მიჰგვარეს და თბილისის შემოერთება შესთავაზეს. მცირეწლოვან ბაგრატს ქართველმა დიდგვაროვნებმა ამ ეტაპზე საამიროს დაკავება არ ურჩიეს, რადგან თბილისის საამიროს ტერიტორიების მიერთებას ლიპარიტი გეგმავდა, რაც ისედაც გავლენიან ერისთავს უფრო მეტად გააძლიერებდა და სამეფო ხელისუფლებისათვის კიდევ უფრო საშიშს გახდიდა. მეფემ ამირა ჯაფარი შეიწყალა და თბილისში დააბრუნა. ამ ფაქტმა მეფესა და კლდეკარის ერისთავს შორის ურთიერთობა გაამწვავა. რამდენიმე წლის შემდეგ, იმავე ლიპარიტის რჩევით, საქართველოს მეფემ თბილისის შემოერთება განიზრახა. 1037 წელს ბაგრატი და კახეთის მეფე გაგიკი სამხედრო ძალით თბილისს შემოერტყნენ. კარგად გამაგრებული ქალაქის ალყამ ორ წელიწადს გასტანა. თბილისის ამირამ ადარბადაგანში თავისი წარმომადგენლები გაგზავნა და საქართველოს მეფის წინააღმდეგ დახმარება ითხოვა. აღმოსავლეთის მაჰმადიანურ ქვეყნებს თბილისთან გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდათ, ამიტომ ისინი

მაშინვე გამოეხმაურნენ ამ თხოვნას. ამირას მაშველი ჯარის გამოგზავნის იმედი გაუჩნდა. გაჭიანურებული ალყისგან შეწუხებული თბილისის მოსახლეობა დანებებისათვის მზად იყო, თავად ამირა ქალაქის დატოვებასა და განძაში გაპარვას გეგმავდა. ასეთ ვითარებაში, საქართველოს სამეფო კარზე აზრი ორად გაიყო: დიდგვაროვანთა ნაწილი მაჰმადიანურ სამყაროსთან დაპირისპირებისა და ლიპარიტის კიდევ მეტად აღზევების წინააღმდეგ გამოდიოდა, ხოლო კლდეკარის ერისთავი განზრახვის ბოლომდე მიყვანის აუცილებლობაში არწმუნებდა მეფეს. ბაგრატმა, ლიპარიტ ერისთავთან შეუთანხმებლად, 1040 წელს თბილისს ალყა მოხსნა, ამირას დაუზავდა და მას მხოლოდ ალგეთის ხეობაში მდებარე ორბეთისა და ფარცხისის ციხეები ჩამოართვა. ქართველი ფეოდალი საბოლოოდ გაუორგულდა მეფეს და დახმარებისათვის ბიზანტიის იმპერატორს მიმართა.

თბილისის ალყას ბაგრატ IV-ის კახეთში ლაშქრობა მოჰყვა. კახეთის დიდებულების ნაწილი მეფეს მიემხრო. კახეთის შემოერთების საქმე წარმატებით მიდიოდა, თუმცა ლიპარიტის მიზეზით საბოლოოდ ჩაიშალა. ბიზანტიის იმპერატორმა მოღალატე დიდებულს დიდძალი ჯარი და ტახტის მაძიებელი ქართველი უფლისწული, გიორგი I-ის ვაჟი დემეტრე გამოაყოლა. ქვეყანას ბიზანტიასთან ომის საფრთხე დაემუქრა. მეფემ ლიპარიტთან შემორიგების მიზნით, მას ქართლის ერისთაობა უბოძა. სანაცვლოდ, ლიპარიტმა დემეტრე უფლისწული და ბიზანტიის ლაშქარი უკან გააბრუნა.

1045 წელს ბიზანტიელებმა ანისის სომხური სამეფო გააუქმეს და ქვეყანა ბიზანტიას შეუერთეს. შეშფოთებულმა სომხებმა ანისი ბაგრატის დედას დედოფალ მარიამს გადასცეს. ჯერ ერთი, ამ დროისათვის საქართველო ერთადერთი ქრისტიანი ქვეყანა იყო წინა აზიაში, რომელსაც შესწევდა ძალა დაპირისპირებოდა ბიზანტიას. ამასთან, ბაგრატის დედა დედოფალი მარიამი სომეხთა სამეფო საგვარეულოების – არწრუნებისა და ბაგრატუნების შთამომავალი იყო. მისი მამა სენექერიმი ვასპურაკანის უკანასკნელი მეფე იყო. ბაგრატის მეციხოვნეები და მოხელეები ანისში დედოფალ მარიამთან ერთად შევიდნენ. ეს ფაქტი აღმოსავლეთში ბიზანტიური პოლიტიკის სერიოზული მარცხი იყო. ამავე დროს, ბაგრატ მეფემ ბიზანტიელებს შეუტია აფხაზეთში მდებარე ანაკოფიისა და ზღვისპირა კლარჯეთში მდებარე ხუფათის ციხეების გათავისუფლებისა და იქედან მათი განდევნის მიზნით. ამავე პერიოდში გარდაიცვალა თბილისის ამირა ჯაფარი. ქალაქ თბილისის თავკაცების – „თბილელი ბერების" წინადადებით, ჯაფარის მემკვიდრეები განდევნეს და ქალაქის საქართველოს მეფისათვის გადაცემა გადაწყვიტეს. მეფემ დაიკავა თბილისი და ქალაქის გამგებლობა ჩაიბარა.

თბილისში მდგომ ბაგრატს კახეთის მეფე გაგიკი ეახლა და მორჩილება გამოუცხადა.

სამწუხაროდ, ბაგრატ IV-მ ვერც თბილისი შეინარჩუნა და ვერც ანისი. ამის მიზეზი კლდეკარის ერისთავის ლიპარიტ ბაღვაშის ღალატი გახდა, რომელიც ბიზანტიის საიმპერატორო კარის დაკვეთით მოქმედებდა. ლიპარიტმა ღალატით შეიპყრო ანისის მმართველად დატოვებული მეციხოვნეები, რის შემდეგაც სომხეთის კათალიკოსმა პეტროსმა ქალაქი ბიზანტიელებს გადასცა. ბაგრატი იძულებული გახდა დაეტოვებინა თბილისი და ურჩი ქვეშევრდომის წინააღმდეგ საბრძოლველად გაეშურა. მეფესა და გაორგულებულ დიდებულს შორის დაპირისპირებამ ათი წელი გასტანა. ლიპარიტს კვლავ ბიზანტია უმაგრებდა ზურგს. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ბაგრატ მეფესთან ბრძოლებში ძირითადად მისი ურჩი ყმა იმარჯვებდა. ბაგრატს სხვა გამოსავალი არ დარჩა, იგი ბიზანტიაში ჩავიდა და იმპერატორს ლიპარიტთან შერიგების მიზნით შუამდგომლობა სთხოვა. იმპერატორმა დაპირისპირებული მხარეები დააზავა, ბაგრატ IV ფორმალურად საქართველოს მეფედ აღიარა, ხოლო სამხრეთ საქართველოს მმართველად ლიპარიტი დანიშნა. ბიზანტიამ თავის მიზანს მიაღწია: საქართველო ფაქტობრივად, ორ ნაწილად გაიყო. ლიპარიტმა ისარგებლა საქართველოში მეფის არყოფნით, მისი მცირეწლოვანი მემკვიდრე გიორგი მეფედ აკურთხა და თავი მის მეურვედ გამოაცხადა.

კლდეკარის ერისთავის ასეთი გაძლიერება დანარჩენ ქართველ დიდაზნაურებს, ბუნებრივია, არ მოეწონათ. 1058 წელს ლიპარიტის თვითნებობით შეწუხებულმა მესხმა აზნაურებმა, სულა კალმახელის მეთაურობით, შეიპყრეს იგი და მეფეს მიჰგვარეს. ბაგრატ IV აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა და ქვეყნის ერთიანობა აღადგინა. მან ლიპარიტი იძულებით აღკვეცა ბერად და საქართველოდან გააძევა, მის ვაჟს ივანეს კლდეკარის საერისთავო ჩამოართვა და საგვარეულო მამული მხოლოდ არგვეთში დაუტოვა. ლიპარიტის დასჯა საქართველოს სამეფო ხელისუფლების დიდი გამარჯვება და ამავე დროს, ბიზანტიის პოლიტიკის სერიოზული მარცხი იყო. მეფე ბაგრატს საქართველოს გაერთიანების შესაძლებლობა მიეცა. ამ დროისათვის თბილისის მოქალაქეებს ქალაქი კახეთის მეფე აღსართანისთვის ჰქონდათ გადაცემული. 1062 წელს ბაგრატმა კახთა მეფისაგან გამოისყიდა თბილისი და იქ თავისი მეციხოვნეები ჩააყენა. შემდეგ კახეთის სამეფოს შემოერთებას შეუდგა და კახეთ-ჰერეთის ციხეები დაიკავა. ამჯერად, საქართველოს საბოლოო გამთლიანების საქმეს თურქ-სელჩუკთა გამოჩენამ შეუშალა ხელი.

თავი XIV

თურქ-სელჩუკთა შემოსევები. „დიდი თურქობა”

XI საუკუნეში ახლო აღმოსავლეთის კულტურული ქვეყნებისაკენ შუა აზიიდან მომთაბარე თურქული მოდგმის ტომების მიგრაციის პროცესი დაიწყო. თურქთა ამ ტალღას სათავეში სელჩუკთა დინასტია ედგა, ამიტომ მათ „თურქ-სელჩუკების” სახელით მოიხსენიებენ. თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს დამაარსებელად თორღულ ბეგი ითვლება. ძლიერების მწვერვალს ქვეყანამ სულტნების ალ-ფარსლანისა და მალიქ-შაჰის მმართველობისას მიაღწია. XI საუკუნის 50-იანი წლებისათვის სელჩუკებმა დაიპყრეს: ირანი, შუამდინარეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, აიღეს არაბთა სახალიფოს ცენტრი ბაღდადი. სახელმწიფოს ცენტრად მათ სპარსული ქალაქი ისპაჰანი აქციეს. თურქებმა ბიზანტიურ-ქრისტიანულ სამყაროსაც შეუტიეს. 1071 წელს სულტან ალ-ფარსლანის ხელმძღვანელობით მათ მანასკერტთან ბრძოლაში დაამარცხეს ბიზანტიის ლაშქარი, თვით იმპერატორი რომანოზი ტყვედ იგდეს, რითაც მცირე აზიის ბიზანტიური სამფლობელოებისაკენ გზა გაეხსნათ. 1074 წელს ბიზანტიასა და სელჩუკებს შორის გაფორმებული ზავის თანახმად, ბიზანტიის იმპერიამ თავისი აღმოსავლეთის პროვინციების დიდი ნაწილი თურქებს დაუთმო.

თურქ-სელჩუკებმა საქართველოს პირველად 1064 წელს სულთან ალ-ფარსლანის მეთაურობით შემოუტიეს. თურქთა მარბიელმა ჯარებმა ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, თრიალეთი მოაოხრეს, ხოლო ძირითადმა ლაშქარმა ალ-ფარსლანის მეთაურობით ჯავახეთის ახალქალაქი დაიკავა, მოსახლეობას სასტიკად გაუსწორდა და დიდძალი ნადავლი მოიპოვა. ახალქალაქიდან ალ-ფარსლანმა საქართველოს მეფესთან ელჩები გაგზავნა და მასთან დამოყვრების სურვილი გამოთქვა. ბაგრატმა სულთანს თავისი დისწული მიათხოვა, თავისი ქალიშვილი მარიამი კი, ბიზანტიის იმპერატორს შერთო ცოლად.

სელჩუკები საქართველოში მეორედ 1068 წელს აღმოსავლეთის მხრიდან შემოიჭრნენ, მაშინ როდესაც მეფე ბაგრატი კახეთის შემოსაერთებლად აწარმოებდა ბრძოლებს. თურქთა სულთანს მორჩილებით ეახლნენ კახეთის გამაჰმადიანებული მეფე აღსართანი, სომეხთა მეფე კვირიკე, შარვანის მმართველი და თბილისის ამირა. ამჯერად მტერმა სასტიკად მოარბია ქართლი და არგვეთი. ზამთრის სიცივემ აიძულა ალ-ფარსლანი ზავის დაუდებლად დატოვებინა

საქართველო. მან თბილისი და რუსთავი საგამგებლოდ განძის ამირა ფადლონს გადასცა. თურქთა გასვლისთანავე, მეფე ბაგრატმა თავისი ცოლისძმა – ოვსთა მეფე დორღოლელი დაიხმარა, შეუტია განძას, დაამარცხა ფადლონი და შეიპყრო კიდეც. შემდეგ ბრძოლა თბილისის ამირას გაუმართა, დაამარცხა, ციხეები ჩამოართვა და ყმადნაფიცობის პირობით დაიქვემდებარა. პარალელურად სულთანი ალ-ფარსლანი მოციქულებსა და ძღვენს უგზავნიდა საქართველოს მეფეს და ხარკს ითხოვდა. ბაგრატი დიპლომატიურად იქცეოდა, საპასუხო ძღვენსა და ელჩებს აგზავნიდა, მაგრამ ხარკის გადახდაზე არ თანხმდებოდა. საბოლოოდ, თურქ-სელჩუკებთან დაპირისპირებაში ბაგრატმა გარკვეულ წარმატებას მიაღწია – ქვეყანამ შეინარჩუნა თავისი ტერიტორიები და დამოუკიდებლობა. თუმცა, ამავე დროს, საქართველოს ტერიტორიაზე თურქული ელემენტის დამკვიდრება დაიწყო, რაც თურქთა მიერ ანატოლიის დაპყრობითა და იქ მათი დასახლებით იყო განპირობებული. 1072 წელს მეფე ბაგრატ IV გარდაიცვალა. იმავე წელს შეთქმულებმა სულთანი ალ-ფარსლანიც მოკლეს.

საქართველოს სამეფო ტახტი გიორგი II-მ დაიკავა. გამეფებისთანავე, მეფეს აუჯანყდნენ დიდგვაროვანი აზნაურები – ნიანია ქვაბულის ძე, ვარდან სვანთა ერისთავი, ივანე ლიპარიტის ძე და „აუშალეს ქვეყანა". დასჯის ნაცვლად, მეფემ განდგომილი წარჩინებულები წყალობით აავსო. გამწვავებულ საშინაო ვითარებას მძიმე საგარეო ფაქტორებიც დაერთო. საქართველოს მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა სულტან მალიქ-შაჰის მმართველობის ხანაში. მეფე გიორგი II მედგარ წინააღმდეგობას უწევდა მტერს და ფარცხისთან ბრძოლაში დაამარცხა კიდეც განძის გამგებელად დანიშნული თურქთა სარდალი.

გიორგიმ ისარგებლა ბიზანტიის დასუსტებით და მათ მიერ მიტაცებული სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს მიწების დაბრუნება სცადა. მეფემ ბრძოლით წაართვა ბიზანტიელებს ანაკოფია, აგრეთვე ციხეები შავშეთში, კლარჯეთსა და არტაანში. ამავე პერიოდში შემოუერთა მან საქართველოს კარის ციხე და ვანანდის მხარის სიმაგრეები. სამაგიეროდ, საქართველოს მეფის ძალები აშკარად არათანაბარი იყო თურქ-სელჩუკებთან შედარებით, განსაკუთრებით, თურქებსა და ბიზანტიას შორის გაფორმებული ზავის შემდეგ. ამიერიდან სელჩუკებს საშუალება მიეცათ მთელი ძალებით გადმოსულიყვნენ შეტევაზე.

1080 წელს საქართველოში თურქთა დიდი შემოსევები დაიწყო, რომელსაც ქართულ წყაროებში „დიდი თურქობა" ეწოდება, რაც მომთაბარე თურქთა ურდოების ჩამოსახლებასა და აქ დასახლებას გულისხმობდა. თურქებმა აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს სამეურნეოდ ვარგისი მიწები საძოვრებად

გადაქციეს. დაიწყო საუკუნოვანი ტრადიციების მქონე ინტენსიური მეურნეობის განადგურება. ქვეყანაში შექმნილმა გაუსაძლისმა ვითარებამ მეფე გიორგი II აიძულა თავი დამარცხებულად ეცნო. 1083 წელს იგი სელჩუკთა სულთანს ისპაჰანში ეახლა, მორჩილება გამოუცხადა და ყოველწლიური ხარკის სანაცვლოდ ზავი და მშვიდობა ითხოვა. ამგვარი შეთავაზებით კმაყოფილი მალიქ-შაჰი საქართველოს მეფეს მშვიდობასა და ქვეყნის რბევის შეწყვეტას დაჰპირდა. თურქთა მბრძანებელმა გიორგის კახეთის სამეფოც გადასცა, რომლის ასაღებად დიდძალი ჯარი გამოაყოლა. მეფემ კახეთის შემოერთება ვერ შეძლო, ხოლო თურქთა ჯარმა ივრისპირეთი მოაოხრა. მალე სელჩუკთა სულთანს კახთა მეფე აღსართანიც ეახლა, მორჩილება გამოუცხადა, ისლამზე გადავიდა და მისი მფარველობა მიიღო. თურქებთან გაფორმებულმა ზავმა ქვეყანას მშვიდობა ვერ მოუტანა. გრძელდებოდა თურქთა ჩამოსახლებისა და ქართული მიწების რბევა-აოხრების პროცესი, რაც იმის აშკარა დასტურია, რომ სელჩუკთა სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლება ვეღარ აკონტროლებდა ცალკეული მომთაბარე ტომების მოქმედებას. ამიერიდან საქართველოს მეფის ხელისუფლება დასავლეთ საქართველოს ფარგლებს აღარ სცილდებოდა. ამას 1089 წელს საშინელი მიწისძვრაც დაერთო, რომელიც რამდენჯერმე განმეორდა და დიდძალი ზარალი მიაყენა ქვეყანას. ამგვარ ვითარებაში გიორგი II ქვეყნის მართვა-გამგეობას ჩამოსცილდა და ტახტი თავის 16 წლის ვაჟს დავითს დაუთმო.

თავი XV

ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა. დავით IV აღმაშენებელი

1089 წელს საქართველოს ტახტზე ასულ დავით IV-ს მძიმე მემკვიდრეობა ხვდა წილად - ქვეყანა დანგრეული, მოსახლეობა ამოწყვეტილი ან გახიზნული. მეფის ხელისუფლება დასავლეთ საქართველოს არ სცილდებოდა. არც ქვეყნის გარეთ იყო სახარბიელო მდგომარეობა. თურქ-სელჩუკებმა მთლიანად დაიპყრეს რან-შარვანი. დამოუკიდებელი სომხეთი აღარ არსებობდა. ბიზანტია სელჩუკებთან ბრძოლაში იყო დამარცხებული.

დავითმა თავის გარშემო ერთგული, საქვეყნო საქმისთვის თავდადებული ხალხი შემოიკრიბა და მეფის ხელისუფლების განმტკიცებას შეუდგა. მან გამდგარ

ფეოდალებს ბრძოლა გამოუცხადა. 1093 წელს დავითმა კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში შეიპყრო. ურჩმა დიდებულმა ცოდვები მოინანია და მეფემაც აპატია. 1095 წელს მეფეს ისევ მოუხდა ლიპარიტის შეპყრობა. ორი წლის პატიმრობის შემდეგ კი, იგი ბიზანტიაში გააძევა. 1103 წელს, როდესაც ლიპარიტის ვაჟი გარდაიცვალა, მეფემ კლდეკარის საერისთავო სამეფო კუთვნილებად გამოაცხადა. კლდეკარის საერისთავოს ტერიტორიას სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. აქ გადიოდა უმოკლესი გზა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთთან აკავშირებდა. ბაღვაშთა მსგავსად, დავითმა მამულები აბულეთისძეთა ფეოდალურ სახლსაც ჩამოართვა. ამის შემდეგ, დიდგვაროვანთათვის ნათელი გახდა, რომ მეფე ურჩებს არ ასაჩუქრებდა.

დავითის მიერ გატარებულ საეკლესიო რეფორმას ქვეყნისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: მეფეს ეკლესია თავის მოკავშირედ სჭირდებოდა. 1103 წელს აღმაშენებელმა რუის-ურბნისის საეკლესიო კრება მოიწვია. კრების დადგენილების თანახმად, მეფის პოლიტიკის მოწინააღმდეგე დასი ეკლესიიდან განიდევნა და უმაღლეს საეკლესიო თანამდებობებზე ცენტრალური ხელისუფლების მომხრეები დაინიშნენ. ამას გარდა, მეფემ მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის თანამდებობები გააერთიანა. ეს თანამდებობა ერთიანი ფეოდალური მონარქიის არსებობის მანძილზე უცვლელად არსებობდა.

სახელმწიფო მართვის ცენტრალიზაციის ხაზი ჭყონდიდელისა და მწიგნობართუხუცესის „სახელოს" გაერთიანებით არ დასრულებულა. დავითმა სახელმწიფო მმართველობის ერთიანი სისტემა შექმნა. ქართული სახელმწიფოებრივი წყობილების სამოხელეო აპარატის განვითარება დავით IV-ის სახელს უკავშირდება. ამ პროცესის ნაწილია „ვაზირობის" შემოღებაც. „ვაზირი" არაბულ-სპარსული სიტყვაა და ირანის სახელმწიფო კარზე უძველესი დროიდან არსებობდა. მეფემ სახელმწიფო მმართველობის ძირითადი უწყებები – საშინაო, ფინანსთა, სამხედრო – სხვა დარგებისაგან გამოყო და უშუალოდ მწიგნობართუხუცესს დაუქვემდებარა. მწიგნობართუხუცესი ვაზირთა შორის უპირველესი იყო. სხვა ვაზირებისაგან განსხვავებით, ამ სახელოს მფლობელი ბერი უნდა ყოფილიყო, რადგან იგი არც მიწისმფლობელობით იქნებოდა დაინტერესებული და არც თანამდებობის მემკვიდრეობით გადაცემით. მწიგნობართუხუცესი მეფის უერთგულესი და მის სიძლიერეზე დამოკიდებული მოხელე იყო.

სამხედრო საქმეს ამირსპასალარი განაგებდა. ხელმწიფის კარზე მიღებული წესრიგის დაცვა და სხვა ადმინისტრაციული ფუნქციები მანდატურთუხუცესის ხელში იყო. სახელმწიფო ფინანსები მეჭურჭლეთუხუცესს ეხებოდა.

თამარის დროს, ხელმწიფის კარის ვაზირებს ათაბაგი მიემატა. რუსუდანის დროს მსახურთუხუცესი გავაზირდა. „ათაბაგი" თურქული სიტყვაა და ტახტის მემკვიდრის აღმზრდელს და მის უახლოეს მრჩეველს ეწოდებოდა. მსახურთუხუცესს სამეფო სახლის მომსახურება და მეურნეობის წარმართვა ევალებოდა. ვაზირებს თავისი სამოხელეო აპარატი ჰყავდათ.

საქართველოს სახელმწიფო წეს-წყობილებაში მნიშვნელოვანი ადგილი „დარბაზს" ეჭირა. დარბაზი დარბაზის ერისაგან შედგებოდა (აქედანაა სიტყვა „დარბაისელი"). იგი გულისხმობდა ყველა ვაზირს და მათ ხელქვეითებს, ქვეყნის გამრიგე მოხელეებს და მაღალი რანგის სასულიერო პირებს. ქვეყნის ყველა მნიშვნელოვან საკითხს დარბაზი წყვეტდა.

დავით აღმაშენებლის დროიდან, როდესაც მეფის ძალაუფლება ძლიერდება, დარბაზის მნიშვნელობა ფორმალურ ხასიათს ატარებს. მაგრამ დიდგვაროვანი აზნაურები გამუდმებით იბრძოდნენ საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად. თამარის დროს დარბაზი მეფის თანამდგომელის სტატუსს იღებს. მეფე გადაწყვეტილებას დარბაზის ერის „თანადგომითა და ერთნებობით" იღებს.

1118 წელს, გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის გარდაცვალების შემდეგ, დავითმა „ვაზირთა შორის უპირველესის" თანამდებობა გიორგის დისშვილს სვიმონ ბედიელ-ალავერდელს გადასცა. 1125 წელს მას ჭყონდიდელობაც დაუმატა. დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველოს საეკლესიო კათედრები ერთი პირის ხელში მოექცა. ეს საქართველოს კიდევ უფრო აერთიანებდა.

მეფემ სასამართლო საქმე, ე.წ. „სააჯო კარი" მწიგნობართუხუცესს დაუქვემდებარა.

დავითმა განსაკუთრებული სამეთვალყურეო აპარატი „მსტოვართა ინსტიტუტი" შექმნა. სავარაუდოდ, ეს აპარატი ქვეყნის გარეთაც მოქმედებდა და მეზობლებისა თუ მტრების ქმედებას თვალყურს ადევნებდა. დავითის დროს უნდა შექმნილიყო მონაპირე-მოსაზღვრე ქვეყნების საგანგებო ერთეულებიც.

ბუნებრივია, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამხედრო რეფორმა იყო. დავითმა სამხედრო ნაწილები ნელ-ნელა შეაგროვა, გაწვრთნა და აღჭურვა. ქართული ლაშქარი სამ ნაწილად იყოფოდა. ერთს – მეფის გვარდია ანუ მონასპა (5000 მებრძოლი) შეადგენდა, მეორეს – მეცხოვნენი, მესამეს კი, მოლაშქრენი, რომლებიც მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ. ქართული მხედრობით მეფემ

ჩამოსახლებულ თურქთაგან თითქმის მთელი საქართველოს გაწმენდა შეძლო. შემდეგი ეტაპი მუდმივი ლაშქრის შექმნა იყო. 1118 წელს დავით IV-მ საქართველოში 40 000 ყივჩაყის ოჯახი ჩამოიყვანა და დაასახლა. გაძლიერებული კიევის რუსეთი ყივჩაყებს ჩრდილო კავკასიის ველებიდან დევნიდა. ამიტომ საქართველოს მეფის წინადადება მათთვის სასურველი უნდა ყოფილიყო (დავითს ცოლად ყივჩაყთა მთავრის ასული ჰყავდა). ყივჩაყები კარგი მეომრები იყვნენ. გარდა ამისა, ისინი განვითარების დაბალ საფეხურზე იდგნენ და მათი მატერიალური უზრუნველყოფა ადვილი უნდა ყოფილიყო. მაღალგანვითარებულ ქართულ მოსახლეობასთან მათი ასიმილაციაც ადვილად მოხდებოდა. თითოეულ ოჯახს 1 მოლაშქრის გამოყვანა დაევალა. ამრიგად, მეფეს 40000-იანი ყივჩაყთა და 20000-იანი ქართველთა მუდმივი ლაშქარი ჰყავდა. საჭიროების შემთხვევაში, ქართველთა რიგებში დაქირავებულნიც იბრძოდნენ. დავითმა ლაშქარი ანაზღაურების ახალ წესზე გადაიყვანა. ადრე ლაშქარი სამხედრო ნადავლს იყოფდა. მეფემ ეს აკრძალა და მოლაშქრეებს ულუფა და სარგო (ჯამაგირი) დაუნიშნა.

დავითმა უპირველეს ამოცანად თურქ-სელჩუკთაგან ქართლის გაწმენდა და გახიზნული მოსახლეობის დაბრუნება დაისახა. მან ნელ-ნელა შეადგინა სამხედრო რაზმები, რომლებიც თურქებს ქართლიდან ერეკებოდნენ და მოსახლეობას შინ დაბრუნების საშუალებას აძლევდნენ.

1092 წელს თურქ-სელჩუკთა სულთანი მალიქ შაჰ I საიდუმლო ვითარებაში გარდაიცვალა. სელჩუკიანთა სახელმწიფოში არეულობა დაიწყო. ეს საქართველოსათვის ხელსაყრელი იყო. ამას გარდა, 1095 წელს კლერმონში (სამხრეთ საფრანგეთი) პაპმა ურბან II-მ ჯვაროსნული ომების დაწყება გამოაცხადა. 1097 წელს ჯვაროსნებმა აზიას მიაღწიეს. მათ 1098 წელს თურქთაგან ანტიოქია გაათავისუფლეს, 1099 წელს – იერუსალიმი. 1097 წელს დავითმა შექმნილი საერთაშორისო ვითარებით ისარგებლა და თურქებს ხარკის გადახდა შეუწყვიტა. ეს, ფაქტობრივად, აჯანყებას უდრიდა. მაგრამ სულთანმა ხარკის შეწყვეტის ფაქტი უპასუხოდ დატოვა. საქართველოს საფრთხე არც ბიზანტიისაგან ელოდა. სელჩუკებისა და ჯვაროსნებისაგან შევიწროებულ იმპერიას საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა აღარ შეეძლო. XII საუკუნის დასაწყისიდან დავითმა ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულები, როგორც მისი მდგომარეობისათვის დამამცირებელი – უარყო.

დავითმა საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა კახეთიდან დაიწყო. მან კახთა მეფე კვირიკეს ზედაზნის ციხე წაართვა. ერთი წლის შემდეგ, კვირიკეს

ნაცვლად ტახტზე ასული მისი ძმისშვილი კახელმა დიდებულებმა შეიპყრეს და მეფეს გადასცეს. დავითმა კახეთ-ჰერეთი დაიკავა. განძის ათაბაგმა და მეფის მოწინააღმდეგე კახელებმა ლაშქარი შეკრიბეს. 1104-1105 წლებში ბრძოლა ერწუხის ველზე მოხდა. დავით IV-მ მოწინააღმდეგე სასტიკად დაამარცხა.

კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ, მეფემ თურქებს მათ მიერ დაკავებული ციხეები ზედიზედ წაართვა: 1110 წელს სამშვილდე, 1115 წელს რუსთავი. 1116 წელს თურქები ტაოდანაც განდევნა. 1117 წელს მეფემ გიში აიღო. 1118 წელს თურქებს ლორე და აგარანი „წარტაცა". 1120 წელს 14 თებერვალს მეფემ შარვანის ქალაქი ყაბალა აიღო. 1120 წლიდან კი, თურქთა წინააღმდეგ შეუსვენებელი ბრძოლა დაიწყო. 1120 წლის თებერვლიდან 1121 წლის ივნისამდე დავითმა სომხეთი, რანი და შარვანი დალაშქრა. იგი თურქებს საქართველოს მისადგომებიდან ერეკებოდა. ამასთანავე, მეფე თბილისს უტევდა. (უკვე ოთხი საუკუნე საქართველოს დედაქალაქი მაჰმადიანთა ხელში იყო). თბილისელი მოქალაქეები იძულებულნი გახდნენ საქართველოს მეფისათვის ყოველწლიურად 20 000 დინარი ეხადათ და ქალაქში მეფის გაგზავნილი ციხისთავისა და 10 მხედრის ყოფნას დათანხმებოდნენ. შევიწროვებულმა მაჰმადიანმა ვაჭრებმა და თურქმანებმა დახმარება სულთანს სთხოვეს. მანაც არ დააყოვნა, 300 ათასიანი კოალიციური ლაშქარი ნეჯმ ედ-დინ-ილ-ღაზის მეთაურობით 1121 წელს 10 აგვისტოს მანგლის-დიდგორში დაბანაკდა. დიდგორში მეფის ერთ-ერთი რეზიდენცია იყო. აქედან ქართლის შიდა რაიონებისაკენ გზა იკეტებოდა. ქართველთა ლაშქარში 40 000 ქართველი, 15 000 ყივჩაყი, 500 დაქირავებული ოსი და 200-მდე „ფრანგი" (ჯვაროსანი) იყო. ბრძოლა 12 აგვისტოს მოხდა. დავითის მაღალი სამხედრო ტაქტიკის წყალობით, ქართველებმა მინიმალური დანაკარგით დაამარცხეს მტერი. ეს ბრწყინვალე გამარჯვება იყო. ახლო აღმოსავლეთის მაჰმადიანურმა სამყარომ სერიოზული ძალა დაინახა. ამის შემდეგ, 1122 წელს დავითმა ერთი შეტევით აიღო თბილისი და სატახტო ქალაქი ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა. 1123 წელს მეფემ დმანისი აიღო, 1124 წლის მაისში სომხეთის უდიდესი ნაწილი გაათავისუფლა, 1124 წლის 20 აგვისტოს კი, სომეხთა სატახტო ქალაქი ანისი დაიკავა.

გათავისუფლებულ ტერიტორიებს დავითი საქართველოს უშუალოდ უერთებდა. რაც შეეხება ჩრდილო კავკასიის მოსახლეობას, საქართველო კულტურულ გავლენას ამ რეგიონზე ადრეული ხანიდან ახდენდა. ამჯერად დავითმა ისინი ყმადნაფიცობის პრინციპით დაიქვემდებარა. დავითმა კეთილმეზობლური ურთიერთობა ჩრდილოეთით მდებარე ქრისტიანულ

სახელმწიფოსთან – კიევის რუსეთთანაც დაამყარა. კიევის მთავრის იაროსლავ მსტისლავის ძე დავითის შვილიშვილზე, დემეტრეს ასულზე დაქორწინდა. საქართველო ჯვაროსნებს შორისაც ავტორიტეტით სარგებლობდა. XII საუკუნის დასაწყისიდან ქვეყნის საზღვრები „ნიკოფსიიდან (დღევანდელი ტუაფსე) დარუბანდამდე (დღევანდელი დერბენდი) და ოვსეთიდან (ე.წ. ჩრდილო ოსეთი) არეგაწამდე (სომხეთი)" გადაიჭიმა. საქართველო წინა აზიაში ბიზანტიის მეტოქე და მემკვიდრე გახდა. დავითი „მეფედ აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა" იწოდებოდა.

გამუდმებული ბრძოლების მიუხედავად, დავით IV ახერხებდა სათანადო ყურადღება ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული განვითარებისთვისაც მიექცია: იგებოდა გზები, შენდებოდა საგზაო სადგურები, ქარვასლები, ხიდები. ქვეყნის აღორძინებისათვის სამეფო კარმა ეკლესიასა და ვაჭრებს სპეციალური სესხი დააკისრა. ვაჭრობის განვითარების მიზნით, საგანგებოდ არაბულწარწერიანი მონეტა მოიჭრა. მეფე განსაკუთრებული ყურადღებით სწავლა-აღზრდის საქმეს ეკიდებოდა. მის მიერ აგებულ გელათის მონასტერთან აკადემია – უმაღლესი სამეცნიერო-საღვთისმეტყველო დაწესებულება დააარსა. იქვე სასნეულოც არსებობდა (სადაც, სავარაუდოდ, მედიცინა ისწავლებოდა).

მეფე დავითი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, არაჩვეულებრივად განათლებული პიროვნებაც იყო. მას კარგი ქრისტიანული აღზრდა ჰქონდა მიღებული. ამას გარდა, იცოდა არაბული და სპარსული ენები, კარგად იცნობდა ისლამს. მისი ინტერესის სფეროში ვარსკვლათმრიცხველობაც კი შედიოდა. მეფე წიგნთსაცავს მრავალრიცხოვან ლაშქრობებში თან ატარებდა. მისი საყვარელი დარგი ისტორიული მწერლობა ყოფილა. დავითის შესახებ ცნობები დაცულია მისი თანამედროვე უცნობი ისტორიკოსის თხზულებაში „ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისა".

1125 წლის 24 იანვარს დავით IV გარდაიცვალა. მადლიერმა შთამომავლობამ მას „აღმაშენებელი" უწოდა. ქართულმა ეკლესიამ მეფე დავითი წმინდანად შერაცხა. მისი ხსენების დღე 8 თებერვალია.

დავითის შემდეგ ტახტზე მისი ვაჟი **დემეტრე I** ავიდა (1125-1156 წწ.). დემეტრეს გამეფებისთანავე თურქების წინააღმდეგ გალაშქრება მოუხდა. 1125 წელს მეფემ დმანისი დალაშქრა, 1128 წელს კი, ხუნანი. 1126 წელს საქართველოს მეფე იძულებული გახდა ანისი უწინდელი მფლობელის შვილისათვის ყმადნაფიცობის პირობით დაებრუნებინა. 1138 წელს ქართველებმა განძა

დალაშქრეს და გამარჯვების ნიშნად ქალაქის ჭიშკარი გელათს შესწირეს. საბოლოოდ დემეტრემ განძა ვერ შეინარჩუნა.

დავითის გარდაცვალებისთანავე, შევიწროებულმა დიდგვაროვნებმა თავი წამოყვეს. მათი მხარდაჭერით, დემეტრეს ტახტს ჯერ ძმა ვახტანგი, შემდეგ უფროსი შვილი დავითი ეცილებოდნენ. 1155 წელს დემეტრე ტახტიდან გადადგა და ბერად შედგა.

ტატხზე ასულმა დავით V-მ მხოლოდ ექვსი თვე იმეფა. მისი გარდაცვალების შემდეგ დემეტრე ისევ გამეფდა, 1156 წელს კი, ტახტზე საყვარელი შვილი გიორგი (1156-1184 წწ.) აიყვანა.

გიორგი III-მ თურქებს ენერგიულად შეუტია. 1161 წელს მან ანისზე გაილაშქრა, მაჰმადიანთა მმართველობა მოსპო და ქალაქი ივანე ორბელს ჩააბარა. 1162 წელს ქართველებმა არარატის მხარეში სომხეთის ძველი დედაქალაქი დვინი აიღეს. საპასუხოდ თურქებმა კოალიციური ლაშქარი გამოგზავნეს. მაგრამ მათმა ლაშქრობებმა უშედეგოდ ჩაიარა. 1173 წლიდან ანისი და მისი მახლობელი მხარეები საქართველოს შემადგენლობაში შევიდა.

დავითის გარდაცვალების შემდეგ, ქართველებს უშუალოდ შემოერთებული შარვანის საკითხის მოგვარებაც მოუხდათ. გიორგიმ შარვანი ორად გაყო. ბიზანტიის პოლიტიკური მემკვიდრე – საქართველო, ქრისტიან მოსახლეობას ერთ სახელმწიფოში კრებდა. ამიტომ დასავლეთი, ქრისტიანული ნაწილი, ჰერეთს შეუერთა. მაჰმადიანურ ნაწილში კი, შარვან-შაჰი აღადგინა და ყმადნაფიცობის პირობით დაიმორჩილა. 1167 წელს გიორგი III-მ ქალაქები შაბურანი და დარუბანდი აიღო და შარვან-შაჰს დაუბრუნა. შარვანი აბრეშუმით მდიდარი იყო, თან იქედან, თურქთა მთავარ დასაყრდენს – განძას საფრთხე ექმნებოდა. ამდენად, საქართველოსთვის შარვანს ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. გიორგი III „შარვან-შაჰისა და შაჰან-შაჰის" ტიტულებს ატარებდა.

მეფის წინააღმდეგ დიდგვაროვანთა ბრძოლა არ წყდებოდა. ივანე ორბელი, დავით V-ის ვაჟის - დემნას ანუ დემეტრეს გამზრდელი და სიმამრი, მის გამეფებას აპირებდა. აჯანყება 1177 წელს დაიწყო. ორბელს მხარს დიდგვაროვანთა დიდი ნაწილი უჭერდა. მეფე თბილისის ახლოს ისვენებდა, როცა კოჯორში მყოფმა ივანე ორბელმა მისი შეპყრობა გადაწყვიტა. გიორგი ერთგულ ხალხთან ერთად თბილისში გამაგრდა. შემდეგ, აჯანყებულები კოჯრიდან განდევნა, სამშვილდე წაართვა და ლორეს ციხეში თავშეფარებულებს ალყა შემოარტყა. აჯანყებულები გატყდნენ, ბევრი მათგანი პატიების სათხოვნელად მეფესთან გამოცხადდა. უფლისწული დემნა და ივანე ორბელიც მორჩილების ნიშნად მეფეს ეახლნენ. ეს

უკანასკნელნი მეფემ არ შეიწყალა. დემნას თვალები დათხარეს და დაასაჭურისეს. იგი სასჯელს გადაყვა. თვალები დათხარეს ორბელსაც. მეფემ ორბელთა სრული ამოწყვეტა ბრძანა. საგვარეულოდან მხოლოდ ის გადარჩა, ვინც ამ დროს საქართველოში არ იმყოფებოდა. ეკლესიამ მეფეს გამარჯვება მიულოცა, შექმნილი ვითარებით ისარგებლა და ეკლესიის შეუვალობის აღდგენა მოსთხოვა. მეფე დათანხმდა. ამბოხის ჩახშობის შემდეგ, გიორგი III-მ თავისი ერთგულები დააწინაურა: საქართველოს ლაშქრის მთავარსარდლად ნაყივჩაყარი ყუბასარი დანიშნა, მსახურთუხუცესობა უგვარო აფრიდონს მისცა. ეს პოლიტიკური აქტი დიდგვაროვანთა წინააღმდეგ იყო მიმართული.

გიორგი III-ს ვაჟი არ ჰყავდა. ამიტომ გადაწყვიტა ქალიშვილი თამარი, მისივე სიცოცხლეში, 1178 წელს ტახტზე თანამოსაყდრედ აეყვანა. მამა-შვილის მეფობის პერიოდში დარბაზმა მეკობრეობის წინააღმდეგ მოქმედი კანონი შეიმუშავა. კანონის მიხედვით, მეკობრეებს, სადაც იჭერდნენ, იქვე, გზაჯვარედინებზე აღმართულ სახრჩობელებზე კიდებდნენ.

თავი XVI.

საქართველოს ოქროს ხანა. თამარის მეფობა.

1184 წელს გიორგი III გარდაიცვალა. ქვეყნის ერთპიროვნული მმართველი მისი ასული გახდა. დიდებულებმა თავიანთი უფლებების ხაზგასმის მიზნით, 1184 წელს თამარი მეფედ ხელმეორედ აკურთხეს. შემდეგ მეფის უერთგულესი პირის ანტონ გნოლისთავისძის ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობიდან გადაყენებაც შეძლეს. მისი ადგილი დიდგვაროვანი წარმოშობის მიქაელ კათალიკოსმა დაიკავა. დიდებულები არც ამაზე შეჩერდნენ და თამარს გიორგი III-ის დროს დაწინაურებულ „უგვაროთა" გადაყენება მოთხოვეს. მეფე იძულებული გახდა ყუბასარი და აფრიდონი თანამდებობებიდან გადაეყენებინა. გათავისუფლებული ადგილებისთვის დიდებულებს შორის ბრძოლა ატყდა. მეჭურჭლეთუხუცეს ყუთლუ-არსლანს ამირსპასალარობა მოუნდა. მან თავისი პოლიტიკური პროგრამა წარმოადგინა. იგი ისანში (დღევანდელი ავლაბარი) „კარვის" დაარსებას ითხოვდა. ფაქტობრივად, „კარავი" საკანონმდებლო ხელისუფლების მქონე ორგანო უნდა გამხდარიყო. მას მართლმსაჯულების და უმაღლეს მოხელეთა დანიშვნა-გადაყენების უფლება უნდა ჰქონოდა. მეფე

სხდომებს არ უნდა დასწრებოდა. მას მხოლოდ „კარვის" გადაწყვეტილებები უნდა აღესრულებინა. ეს მეფის ხელისუფლების დასასრულს ნიშნავდა. თამარმა ყუთლუ-არსლანი დააპატიმრა. „კარვის" მომხრეებმა მისი გათავისუფლება მოითხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სასახლეზე გალაშქრებით იმუქრებოდნენ. გაფიცულებთან მოსალაპარაკებლად თამარმა ორი წარჩინებული მანდილოსანი – კრავაი ჯაყელი და ხვაშაქ ცოქალი გაგზავნა. მოლაპარაკებამ შედეგი გამოიღო. გაფიცულებმა მეფეს ერთგულება შეჰფიცეს. მეფემაც მათი დაუსჯელობის პირობა დადო. ჩანს, არც ყუთლუ-არსლანი დასჯილა. მეფე დათმობაზე წავიდა: ამიერიდან მნიშვნელოვან საკითხებს იგი მხოლოდ დარბაზის წევრთა თანადგომით გადაწყვეტდა. თუმცა, ამის შემდეგ თამარმა შეძლო მწიგნობართუხუცესის თანამდებობაზე ანტონ გნოლისთავისძე დაებრუნებინა. მეფემ თავისი ერთგული პირები სხვა თანამდებობებზეც დანიშნა. ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგეებმა იმედი მეფის ქორწინებაზე დაამყარეს. მათ სასურველი კანდიდატიც მოძებნეს – ვლადიმერ სუზდალის მთავრის ანდრია ბოგოლიუბსკის ძე იური ანუ გიორგი. შინაფეოდალურ ომში მამის დაღუპვის შემდეგ იგი ყივჩაყებთან აფარებდა თავს. თამარს ეს ქორწინება არ სურდა, მაგრამ დათანხმდა. 1185 წელს ქორწინება შედგა. ორი წლის შემდეგ, სამეფო კარისთვის შეუფერებელ გიორგის თამარი გაეყარა და თანამეცხედრე ბიზანტიაში განდევნა. 1188 წელს თამარმა ხელმეორედ იქორწინა. მისი მეუღლე საქართველოს სამეფო კარზე აღზრდილი დავით სოსლანი გახდა. იგი მამის ხაზით ბაგრატიონთა, ხოლო დედით – ოვსთა სამეფო კარის შთამომავალი იყო. თამარს დავითთან ორი შვილი შეეძინა: გიორგი-ლაშა და რუსუდანი.

გიორგი რუსი და მისი მომხრეები შექმნილ ვითარებას ვერ შეურიგდნენ. მათ ორჯერ – 1191 და 1193 წლებში სცადეს ტახტზე გიორგის დაბრუნება, მაგრამ თამარის ერთგულმა მხედრობამ ისინი ორჯერვე დაამარცხა.

თამარის მეფობაში კიდევ ერთი ამბოხი მოხდა. XIII საუკუნის 10-იანი წლების დამდეგს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი აჯანყდა. სამი თვის შემდეგ სამეფო ლაშქარმა აჯანყება სასტიკად ჩაახშო.

თამარის კარზე დიდებულთა გარკვეულმა განდიდებამ თავი საგარეო პოლიტიკაშიც იჩინა. თამარი დავით IV-ისგან განსხვავებით, დაპყრობილ ტერიტორიებს საქართველოს უშუალოდ არ უერთებდა, არამედ ყმადნაფიცობის პირობით იტოვებდა. სამეფო ხელისუფლებას ერჩია ძველ მფლობელს ხარკი ეკისრა, ვიდრე ახლად დაპყრობილი ტერიტორია დიდგვაროვან ფეოდალს

გადასცემოდა. ამ გზით კიდევ უფრო გაძლიერებული ფეოდალი შეიძლება მეფეს დაპირისპირებოდა.

შემოსევებისგან დასვენებული ქვეყანა მეზობელ მხარეებში თავად აწყობდა ლაშქრობებს. 1185-1186 წლებში ქართველებმა კარი, კარნიფორი, დვინი, გელაქუნი და სხვა რეგიონები დალაშქრეს. 1192-1193 წლებში ლაშქრობები მოეწყო ბარდავს, მომდევნო წელს რახსის პირას. ასეთი ლაშქრობების შედეგად საქართველოს განაპირა ტერიტორიებზე დარჩენილი თურქებიც იძულებული გახდნენ გაქცეულიყვნენ.

საქართველო ვალდებული იყო ყმადნაფიც ქვეყნებს დახმარებოდა. შარვან-შაჰის კარზე აზერბაიჯანის მმართველი დინასტიის ერთ-ერთი წარმომადგენელი ამირ-მირანი აფარებდა თავს. იგი საქართველოს მეფისაგან დახმარებას ითხოვდა. საქართველოს აზერბაიჯანზე ძალაუფლების გავრცელების საშუალება ეძლეოდა. მადლიერი ამირ-მირანი საქართველოს ყმადნაფიცი გახდებოდა.

ამირ-მირანის მოწინააღმდეგე აბუ-ბექრმა, თავის მხრივ, დახმარებისათვის ბაღდადის ხალიფას მიმართა. ხალიფამ საქართველოს დასასჯელად უზარმაზარი თანხა გაიღო. 1195 წელს ციხე-ქალაქ შამქორთან გამართულ ბრძოლაში ქართველებმა მუსლიმები სასტიკად დაამარცხეს. აბუ-ბექრი ტყვეობას შემთხვევით გადაურჩა. შალვა ახალციხელს ხელთ ხალიფას დროშაც კი ჩაუვარდა. შამქორის მცხოვრებლებმა საქართველოს მეფეს მორჩილება გამოუცხადეს. ქართველებმა განძაც დალაშქრეს და შამქორთან ერთად ისიც ამირ-მირანს გადასცეს. ამირ-მირანი საქართველოს მოხარკე გახდა. იგი განძის გამგებელი მხოლოდ 22 დღე იყო. აბუ-ბექრმა მოკლა იგი და განძას თვითონ დაეპატრონა. ქართველები მის დასასჯელად ინტენსიურ სამხედრო ექსპედიციებს აწყობდნენ. 1199 წელს სამეფო კარმა ანისი კვლავ შემოიერთა, 1201 წელს ბიჯნისი, 1203 წელს დვინი. ამ ლაშქრობებით საქართველოს სამხედრო და პოლიტიკური გავლენა აზერბაიჯანის მხარეში აშკარა გახდა.

საქართველოს სამეფო კარს სამხრეთ სომხეთის შემოერთება და ტრაპიზონის გავლენის სფეროში მოქცევა სურდა. ამ მიზანს მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფო ეღობებოდა. სელჩუკიანთა სახელმწიფო რუქნ ად-დინ სულეიმან-შაჰის დროს განსაკუთრებით გაძლიერდა. იგი თამარს წლების განმავლობაში საჩუქრებს უგზავნიდა და გამარჯვებებს ულოცავდა. თუმცა სინამდვილეში საქართველოს წინააღმდეგ გალაშქრებას გეგმავდა. 1202 წელს რუქნ ად-დინი კოალიციური 400 ათასიანი მხედრობით მზად იყო საქართველოს საზღვრები გადაელახა. სელჩუკიანთა მხედრობა ბასიანის ველზე დაბანაკდა. რუქნ-

ად-დინმა მუქარით სავსე, შეურაცხმყოფელი წერილი გაუგზავნა თამარს. ელჩმა მეფეს სულთნის უხამსი სიტყვიერი დანაბარებიც გადასცა. ამის გამო, ამირსპასალარმა ზაქარია მხარგრძელმა რუქნ ად-დინის დესპანს ისეთი სილა გააწნა, რომ გონდაკარგული იქვე დასცა.

სასწრაფოდ შეკრებილი ქართველთა მხედრობა მეფემ სამცხემდე მიაცილა. სამ ნაწილად გაყოფილი სამეფო ლაშქარი მტერს თავს მოულოდნელად დაესხა. წინამძღოლებად ზაქარია მხარგრძელი, შალვა ახალციხელი და ივანე თორელი იყვნენ. ერთ ფრთას დასავლეთ საქართველოს მხედრობა შეადგენდა, მეორეს – აღმოსავლეთ საქართველოსი. სელჩუკიანები სასტიკად დამარცხდნენ. რუქნ ად-დინი და რამდენიმე ემირი ერზრუმში გაიქცნენ. ქართველებს ხელთ აურაცხელი განძი და ზოგიერთი მაჰმადიანი გამგებელი ჩაუვარდათ. ბასიანის ბრძოლაში გამარჯვებამ საქართველოს სამეფო კარს საშუალება მისცა შავი ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე თავისი გავლენა განევრცო. 1204 წელს ქართველებმა ტრაპიზონი, სამსუნი, კერასუნტი, კოტიორა და ჰერაკლეა დაიკავეს. დაპყრობილი ქვეყნებიდან თამარმა ცალკე სახელმწიფო – ტრაპიზონის საკეისრო შექმნა. მმართველად საქართველოს სამეფო კარზე გაზრდილი ალექსი კომნენოსი დასვა. ტრაპიზონის საკეისროს მოსახლეობის ძირითად ნაწილს ქართველები – ლაზები და ჭანები შეადგენდნენ.

1204 წელს ქართველებმა კარი ანუ ყარსი აიღეს. ის ამიერკავკასიაში თურქთა უკანასკნელი დასაყრდენი იყო. კარი დიდ სავაჭრო გზაზე მდებარეობდა, ამიტომ მის აღებას დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. თამარმა კარი უშუალოდ სამეფო ტახტს დაუმორჩილა. ამის გარდა, ქართველებმა აიღეს კარნიფორი, ვანანდი და რახსის პირის ციხეები.

1208-1209 წლებში ქართველებმა დალაშქრეს არჭეში, გაანადგურეს იგი და ხლათისკენ დაიძრნენ. მიუხედავად იმისა, რომ ხლათი ვერ აიღეს, ხლათის სულთანთან 30 წლიანი ზავი დაიდო. ამის შემდეგ, ჩრდილოეთ სომხეთის სამეფოები – ანისის, ტაშირ-ძორაგეტისა და სიუნიკის – საქართველოს შემადგენლობაში შევიდა.

ქართველებს ლაშქრობა არდებილშიც მოუხდათ. არდებილის სულთანი ანისს მოულოდნელად დაესხა თავს, მოსახლეობა დახოცა და ირანში დაბრუნდა. ქართველთა მხედრობამ მაჰმადიანი სულთანი სიკვდილით დასაჯა. სამეფო კარმა გადაწყვიტა ირანი დაელაშქრა. 1210-1211 წლებში ქართველებმა აიღეს მარანდი, თავრიზი, ზენჯანი, მიანა, ყაზვინი, მაზანდარანი, ხორასანი. ქართველ მხედრობას

იმდენად დიდი ნადავლი დაუგროვდა, რომ ლაშქრობის გაგრძელება ვეღარ შეძლო და სამშობლოში დაბრუნდა.

XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს ტერიტორია და მისი გავლენის სფეროები კიდევ უფრო გაიზარდა. თამარი იწოდებოდა მეფედ „აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა მეფე და დედოფალი, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თვითმპყრობელი". საქართველოზე სხვადასხვა ფორმით დამოკიდებული იყო აღმოსავლეთ ამიერკავკასია, ირანის აზერბაიჯანი, მთელი სომხეთი, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო. თამარს ეპყრა ტერიტორია შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, სპერიდან დარუბანდამდე, კავკასიის მთიანეთი ხაზარეთამდე.

ძლევამოსილი მეფე-თამარი ქრისტიანულად ცხოვრობდა, მუდმივად ლოცულობდა და მარხულობდა, მოწყალებას მხოლოდ საკუთარი ხელსაქმიდან შემოსული თანხით გასცემდა. თამარი, სავარაუდოდ, 1213 წელს გარდაიცვალა. ქართულმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა. მისი ხსენების დღედ 14 მაისია დაწესებული. თამარის მეფობის შესახებ ორი ქართული საისტორიო თხზულება მოგვითხრობს: უცნობი ავტორის „ისტორიანი და აზმანნი შარავანდედთანი" და ბასილ ეზოსმოძღვრის „ცხოვრება მეფეთ-მეფე თამარისა".

თავი XVII.

საქართველო XIII საუკუნეში. მონღოლთა ბატონობა

თამარის გარდაცვალების შემდეგ, ტახტზე მისი ძე – გიორგი IV, „ლაშად" წოდებული (1213-1223 წწ.) ავიდა. ლაშა – საალერსო სახელია და აფსართა – (აფხაზურ-ჩერქეზული ტომი) ენაზე „განმანათლებელს სოფლისა" ნიშნავს. ჯერ კიდევ 1206 წელს, თამარმა ლაშა თანამოსაყდრედ გაიხადა.

ტახტზე ლაშა-გიორგის ასვლისთანავე ყმადნაფიცმა ქვეყნებმა დამოუკიდებლობა მოინდომეს. პირველად ხარკის გადახდა განძამ შეწყვიტა. ქართველებმა ქალაქს ალყა შემოარტყეს. ახალგაზრდა მეფემ, ამირსპასალართან შეუთანხმებლად 4000 კაციანი რაზმით ქალაქის გარშემოვლა დაიწყო. განძელებმა მოულოდნელად კარი გახსნეს და 10 000 მხედრით მეფესა და მის მხლებლებს ბრძოლა გაუმართეს. ქართველებმა გაიმარჯვეს, მაგრამ სარდლობამ მეფეს მაინც უსაყვედურა. გიორგი IV ცხენიდან ჩამოხტა და შენდობა ითხოვა. ხანგრძლივი

ალეის შემდეგ, განძის ათაბაგმა ყმადნაფიცობის პირობა ისევ დადო და ხარკიც იკისრა. მიუხედავად ამისა, განძელების საქციელი გადამდები აღმოჩნდა. 1219 წელს ქართველებს სხვა ყმადნაფიცი ქვეყნების ხელახლა დალაშქვრა მოუხდათ.

ლაშა-გიორგისა და დიდებულების დაპირისპირება განძასთან მომხდარი უთანხმოებით არ დასრულებულა. ლაშა-გიორგის მეფის ხელისუფლების განმტკიცება და დიდგვაროვანთა უფლებების შეზღუდვა სურდა. თამარის დროს, დიდებულებმა მეფესთან ერთად ქვეყნის მართვა-გამგეობაში მონაწილეობის უფლებას მიაღწიეს და ახლა ეს პოლიტიკური წარმატება აღარ დათმეს. გარდა ამისა, ლაშა თავისუფალი აზროვნების ადამიანი აღმოჩნდა. მან დიდებულთა მიერ შემოთავაზებულ ქორწინებაზე უარი თქვა და სიცოცხლის ბოლომდე იმ ქალის ერთგული დარჩა, ვინც უყვარდა. ეს ფეოდალური სახელმწიფოს როგორც სამართლებრივი, ისე მორალური ნორმებისათვის აბსოლუტურად მიუღებელი იყო.

ლაშა-გიორგის მეფობისას საქართველოს საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. რომის პაპი ჰონორიუს III აღმოსავლეთის ძლიერ ქრისტიანულ ქვეყანას ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებას სთხოვდა. ქართველები დათანხმდნენ და მზადებაც დაიწყეს. მაგრამ ლაშქრობა არ შედგა.

1220 წელს საქართველოს საზღვრებს აქამდე უცნობი მტერი – მონღოლები მოადგნენ.

მონღოლები. XI საუკუნეში თანამედროვე მონღოლეთის ტერიტორიაზე მონღოლურ ენაზე მოლაპარაკე ტომები მომთაბარეობდნენ. XIII საუკუნის დასაწყისში მათ ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება შეძლეს და სახელწოდება „მონღოლი" ყველა ტომის აღმნიშვნელი სახელი გახდა. 1206 წელს მონღოლთა გაერთიანებას სათავეში თემუჩინი ანუ ჩინგიზ-ხანი ჩაუდგა. მონღოლებმა დაპყრობითი ომები დაიწყეს. ისინი განვითარების დაბალ საფეხურზე იდგნენ, მაგრამ მათ მტკიცე და დისციპლინირებული ლაშქარი ჰყავდათ. მონღოლური ლაშქარი ათეულებად, ასეულებად, ათასეულებად და ათიათასეულებად (დუმნებად) იყოფოდა. სამხედრო ერთეულებს სათავეში არისტოკრატიის წარმომადგენლები ან უფლისწულები ედგნენ. მონღოლები, ძირითადად, ცხენის ხორცითა და რძით იკვებებოდნენ, შეიარაღებაში კი, მშვილდი ჰქონდათ. ამიტომ, მძიმე აღალის თან ტარება არ უხდებოდათ. ეს მათი ლაშქრის სწრაფ გადაადგილებას უწყობდა ხელს.

1211-1215 წლებში მონღოლებმა ორგზის დალაშქრეს ჩინეთი და თავის სახელმწიფოს შეუერთეს. ჩინეთიდან მონღოლებმა იმ დროისათვის კარგი სამხედრო ტექნიკა წამოიღეს. XIII საუკუნეში მუსლიმურ აღმოსავლეთში ყველაზე

ძლიერი ხორეზმშაჰების სახელმწიფო იყო. მის შემადგენლობაში შუა აზია, თითქმის მთელი ირანი და ავღანეთის ნაწილი შედიოდა. 1220 წლისათვის მონღოლებმა შუა აზია დაიპყრეს. ხორეზმშაჰი მუჰამედი დამარცხდა და გაიქცა. ჩინგიზ-ხანმა ორი საუკეთესო სარდალი – ჯებე და სუბუდაი მის შესაპყრობად გაგზავნა, თან ამ ტერიტორიების დაზვერვა დაავალა. დევნილი მუჰამედი კასპიის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე გარდაიცვალა. მისმა მდევარმა მონღოლმა სარდლებმა გამოსაზამთრებლად აზერბაიჯანს მიაშურეს. აზერბაიჯანის ათაბაგმა დიდძალი ფულით და საქონლით დაიხსნა თავი. მონღოლები ჩრდილოეთისაკენ გაემართნენ. გზად საქართველოს საზღვრის გადაკვეთა მოუხდათ, რომელიც იმ დროს, მდინარე არაქსს გასდევდა. ქართველებს ორჯერ მოუხდათ მონღოლებთან შებრძოლება და ორჯერვე დამარცხდნენ. მონღოლებმა საქართველო დატოვეს და დარუბანდისაკენ გაემართნენ. 1223 წელს მათ მდინარე კალკასთან რუს-ყივჩაყთა გაერთიანებული ლაშქარი დაამარცხეს და ჩინგიზ-ხანს ეახლნენ. ალბათ, მონღოლების წასვლამ აფიქრებინა ქართველებს, რომ მტერი დაამარცხეს. ლაშა-გიორგი დის, რუსუდანის ქორწილისთვის ემზადებოდა, როდესაც 1223 წლის 18 იანვარს ბაგავანში, მონღოლებთან ბრძოლებში მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა.

საქართველოს ტახტზე თამარის ასული რუსუდანი (1223-1245 წწ.) ავიდა. რუსუდანის მეფობის დასაწყისში საქართველო ჯერ მონღოლებისაგან დევნილმა ყივჩაყებმა დალაშქრეს, შემდეგ ხორეზმშაჰ მუჰამედის მემკვიდრე ჯალალ-ად-დინმა. ხორეზმშაჰ მუჰამედმა უფროსი ვაჟი ჯალალ ად-დინი, ფაქტობრივად, არარსებული სახელმწიფოს მემკვიდრედ დაამტკიცა. ხორეზმის ახალ მბრძანებელს არისტოკრატია მტრულად შეხვდა. ჯალალ-ად-დინი საუფლისწულო მამულში დაბრუნდა და მონღოლთა წინააღმდეგ მრავალრიცხოვანი ლაშქარი შეკრიბა. ბრძოლა დღევანდელი ქაბულის მახლობლად გაიმართა. მონღოლები დამარცხდნენ. მაგრამ ჩინგიზ-ხანმა შეცდომა მალევე გამოასწორა. სასტიკ ბრძოლაში დამარცხებულმა ხორეზმშაჰმა ინდოეთს მიაშურა. 1225 წელს ჩინგიზ-ხანი მონღოლეთში გაბრუნდა, ხოლო ჯალალ-ად-დინს ირანში დაბრუნების შესაძლებლობა მიეცა. მან თითქმის მთელი აზერბაიჯანი სერიოზული წინააღმდეგობის გარეშე დაიკავა. ჯერი საქართველოზე მიდგა. 1225 წლის აგვისტოში, სომხეთში, სოფელ გარნისთან ქართველებსა და ხორეზმშაჰის ლაშქარს შორის ბრძოლა გაიმართა. ქართველები, შესაძლოა, ივანე ათაბაგის ორჭოფული მოქმედების შედეგად დამარცხდნენ. 20000 მეომარი ბრძოლის ველზე დაეცა. მეწინავე ჯარის სარდალი ივანე ახალციხელი ბრძოლაში დაიღუპა, მისი ძმა შალვა კი, ტყვედ ჩავარდა. ხორეზმშაჰი თბილისზე გალაშქრებას აპირებდა,

მაგრამ თავრიზიდან მოსალოდნელი აჯანყების შესახებ წერილი მიიღო და აზერბაიჯანში დაბრუნდა. საქართველოში დარჩენილი მისი რაზმები სამი თვის განმავლობაში არბევდნენ მოსახლეობას. ჯალალ ად-დინმა მალე მოაგვარა საქმეები და შემოდგომაზე კვლავ საქართველოს მოაშურა. მეფე რუსუდანი ქუთაისს გადავიდა. თბილისის დასაცავად ლაშქარი და მემნა და ბოცო ბოცოს ძენი დატოვა. 1226 წლის დასაწყისში ჯალალ-ად-დინი თბილისს მოადგა. ქალაქი კარგად იყო გამაგრებული, ამიტომ, ხორეზმშაჰმა ქალაქისათვის ბრძოლა მხოლოდ მარტში დაიწყო. მოღალატე თბილისელი მაჰმადიანების წყალობით, მტერმა ქალაქი აიღო. მემნა ერთ-ერთმა თბილისელმა მაჰმადიანმა მოკლა. ბოცომ, როცა წინააღმდეგობა უიმედოდ ჩათვალა, ქალაქი დატოვა. ხორეზმელებმა ენით აუწერელი სისასტიკე გამოიჩინეს. თბილისი საშინლად ააოხრეს და გაძარცვეს. 100 ათასმა კაცმა უარი თქვა შეურაცხეყო ხატები და მოწამეობრივად აღესრულა. მტერი მთელ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოედო და ააოხრა. ჯალალ ად-დინმა მცირე ხნით დატოვა საქართველო. სექტემბერში იგი კვლავ დაბრუნდა და ქვეყანა კიდევ ერთხელ ააოხრა. შემდეგ ხლათის ასაღებად გაემართა. ქართველებმა ამით ისარგებლეს და 1227 წლის თებერვალში თბილისი დაიბრუნეს. ხორეზმშაჰი სასწრაფოდ უკან დაბრუნდა. ქართველებმა ქალაქი გადაწვეს. რუსუდანმა ჩრდილოკავკასიელი ხალხების მონაწილეობით კოალიციური ლაშქარი შეკრიბა. ბრძოლა ბოლნისის მახლობლად მოხდა. ჯალალ ად-დინმა გაიმარჯვა და კიდევ ერთხელ მოითარეშა საქართველო. მალე მონღოლთა ახალი მმართველის – უგუდეი-ყაენის გამოგზავნილმა რაზმებმა აიძულეს იგი გაქცეულიყო. 1231 წელს ხორეზმშაჰის სასტიკი მბრძანებელი ქურთმა მწყემსებმა მთაში მოკლეს.

მონღოლებმა მთელი ირანი დაიპყრეს და ამიერკავკასიაში შემოიჭრნენ. ეს უკვე აღარ იყო მარბიელი ლაშქარი. ამჯერად მონღოლები დასაპყრობად მოვიდნენ. 1235 წელს მათ განძა აიღეს და შამქორს მიადგნენ. შამქორი საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა და ვარამ გაგელს ეკუთვნოდა. გაგელმა ბრძოლას თავი აარიდა და დასავლეთ საქართველოში გაიპარა. ქალაქის მცხოვრებნი გმირულად იბრძოდნენ, მაგრამ დამარცხდნენ. მეფე რუსუდანი ახალი დაბრუნებული იყო ქუთაისიდან. მტრის მოახლოების ამბავი რომ შეიტყო, კვლავ ქუთაისში დაბრუნება გადაწყვიტა. თბილისის დასაცავად დატოვებულ მუხას ძეს კი, უბრძანა, ქალაქი გადაეწვა. საქართველოს სამეფო კარის ვაზირები და გამოჩენილი სარდლები თავიანთ ციხეებში ჩაიკეტნენ. მონღოლებმაც თავისი ლაშქარი დაანაწილეს და მთელ აღმოსავლეთ საქართველოს შეუსიეს. მათ რიგრიგობით აიღეს ციხე-სიმაგრეები. ივანე ყვარყვარე ჯაყელ-ციხისჯვარელი მარტო აგრძელებდა ბრძოლას

და მხოლოდ მაშინ ეახლა მონღოლებს, როცა წინააღმდეგობის გაწევას აზრი აღარ ჰქონდა. მონღოლებმა ისე დაიპყრეს აღმოსავლეთი და სამხრეთი საქართველო, რომ სამეფოს ლაშქართან ბრძოლა არ გაუმართავთ. დასავლეთ საქართველოში შეჭრა მათ ვერ შეძლეს. რუსუდანი დახმარებას რომის პაპს თხოვდა. 1240 წელს გამოგზავნილ საპასუხო წერილში პაპი სინანულს გამოთქვამდა, რადგან ქართველების დახმარება არ შეეძლო. რუსუდანის ბოლო იმედი რუმის სასულთნო იყო. თუმცა მონღოლებთან ისიც უძლური აღმოჩნდა. რუსუდანს სხვა გზა აღარ ჰქონდა და მონღოლებს დაზავებაზე შეუთანხმდა. 1242 წლის ზავის თანახმად, მონღოლთა მიერ დაპყრობილ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქართულ ხელისუფლებასთან ერთად მონღოლი მოხელეები და ლაშქარიც უნდა ყოფილიყო განლაგებული. რაკი დასავლეთ საქართველოში მტერი ვერ შევიდა, იქ მონღოლური ლაშქარი არ უნდა მდგარიყო. საქართველოს ყოველწლიურად 50 000 პერპერა (ოქროს ფული) უნდა ეხადა, ხოლო ქართველებს მონღოლთა ლაშქრობებში მონაწილეობა მიეღოთ. ქართველ მთავრებს თავიანთი მამულები დაუტოვეს და მონღოლთა სამხედრო არისტოკრატიის წრეში ჩარიცხეს. სამეფო კარი თბილისში დაბრუნდა. ყაენი საქართველოს მეფედ რუსუდანის ძეს ცნობდა. 1242-1243 წლებში დავით რუსუდანის ძე მეფედ დასამტკიცებლად ყარაყორუმს ყაენის კარზე გაემართა.

მონღოლთა ბატონობა საქართველოს მძიმე ტვირთად დააწვა. მონღოლთა სახელმწიფოში, საქართველო ამიერკავკასიის ქრისტიანული გაერთიანება – „გურჯისტანის ვილაიეთი" – იყო. სომხური თემები კვლავ საქართველოს შემადგენლობაში დარჩა, მაგრამ რანი, შარვანი და სხვა ვასალური მუსლიმური ქვეყნები საქართველოს ჩამოაცილეს. 1245 წელს რუსუდანი გარდაიცვალა. მისი ძე ჯერ კიდევ ყაენის კარზე იმყოფებოდა. მონღოლებმა საქართველოს მმართველობა მონღოლურ წესზე მოაწყვეს და მთელი ტერიტორია რვა დუმნად – ათიათასეულად (ორი დასავლეთ საქართველოსა და ექვსი აღმოსავლეთ საქართველოში) დაყვეს. ეს სამხედრო ერთეულები იყო. დუმნის მმართველებს სამოქალაქო ხელისუფლებაც ეპყრათ. ლაშქარი და ხარკი დუმნების მიხედვით უნდა შეკრებილიყო. მართალია, დუმნების სათავეში ქართველი ფეოდალები იდგნენ, მაგრამ ისინი მონღოლ ნოინებს ექვემდებარებოდნენ. საქართველოში უმაღლესი მმართველობა სამოქალაქო უწყების, მაგალითად, მწიგნობართუხუცესის ხელში იყო. მმართველობის მონღოლური წესი საქართველოს სახელმწიფოებრივ სისტემას მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა. ქართველებმა აჯანყება გადაწყვიტეს. მის მოსამზადებლად ქართველი დიდებულები კოხტასთავს (ჯავახეთში) შეიკრიბნენ.

შეთქმულება გასცეს. მონღოლები ისე სწრაფად მივიდნენ ქართველების შეკრების ადგილას, რომ ცოტნე დადიანის და რაჭის ერისთავის გარდა, ყველა შეთქმული ადგილზე დახვდათ. შეპყრობილები ქალაქ ანისში წაიყვანეს და ისინი სიკვდილისაგან მხოლოდ ცოტნე დადიანის თავგანწირვამ იხსნა. (ცოტნე მონღოლებთან თავის ფეხით მივიდა და თანამოძმეებთან ერთად დასჯა მოითხოვა).

უმეფობამ ზოგიერთ ქართველ დიდებულს მეფობის სურვილი აღუძრა. მონღოლები მიხვდნენ, რომ ფეოდალთა შორის პირველობისათვის ბრძოლას შეიძლებოდა მუდმივი ხასიათი მიეღო, ამიტომ, ურდოდან მეფის გამოგზავნა დააჩქარეს. ქართველ ფეოდალთა ერთმა ნაწილმა ლაშა-გიორგის უკანონო შვილი დავითი შირვანიდან (ის თავის მამიდაშვილთან იმყოფებოდა) ჩამოიყვანა და მეფედ დასამტკიცებლად ყარაყორუმში გაგზავნა. მათ საქმის განხილვა მონღოლური სამართლით მოითხოვეს. (მონღოლური სამართლით, ყველა შვილი კანონიერი იყო). ეს ყაენსაც აწყობდა. მონღოლებმა საკითხი თავის სასარგებლოდ გადაწყვიტეს და 1246 წელს ტახტზე ორივე პრეტენდენტი დაამტკიცეს. ყაენმა დავით ლაშას ძე VII-ს ულუ – უფროსი (1246-1270 წწ.) უწოდა, ხოლო დავით VI რუსუდანის ძეს (1246-1293წწ.) ნარინი – უმცროსი, რომელიც ულუს დაუქვემდებარა. მონღოლური სამართლით, რამდენიმე მეფეც მისაღები იყო. 1248 წელს დუმნები გაუქმდა. 1249 წელს ქართველებმა კიდევ ერთხელ სცადეს აჯანყება, მაგრამ უშედეგოდ.

XIII საუკუნის 50-იანი წლებიდან მონღოლთა სახელმწიფოში ახალი ხანა დაიწყო. დაპყრობითი ომები შეწყდა. ალაფით მიღებულმა შემოსავალმა იკლო. დაპყრობილი ტერიტორიებიდან აკრეფილი ხარკის გაზრდა და სამხედრო საქმის ორგანიზაციის მოწესრიგება აუცილებელი გახდა. ამ მიზნით, მონღოლებმა დაქვემდებარებული ქვეყნების აღწერა გადაწყვიტეს.

მონღოლური გადასახადები. 1254 წელს მონღოლებმა ყველაფერი აღწერეს (ადამიანი, პირუტყვი, ხე, მიწა, ყანა, ბაღ-ბოსტანი, მდინარე, ტბა, ზღვა და ა.შ.) და 40-მდე სახეობის გადასახადი დააწესეს. გადასახადები როგორც ნატურით, ისე შრომითი ვალდებულებით იყო. გადასახადებისაგან მხოლოდ მოხუცები, ქალები, ბავშვები და რელიგიის მსახურნი, ეკლესია და მისი მიწა-წყალი გაათავისუფლეს. მონღოლებმა დავთარში 15-დან 60 წლამდე ასაკის ყველა მამაკაცი შეიტანეს. ისინი მოლაშქრეებად სჭირდებოდათ. XIII საუკუნის ბოლოს, ყაზან ყაენის (1295-1304 წწ.) მმართველობისას, მონღოლებმა ისლამი მიიღეს და არამუსლიმ მოსახლეობას სულადობრივი გადასახადი – ჯიზიაც – დაუწესეს.

მონღოლური გადასახადები ქვეყნის განვითარებას აფერხებდა. ქართული ფეოდალური გადასახდების ზრდა იშვიათად ხდებოდა, ამიტომ გლეხს მისი

გადახდა დარეგულირებული ჰქონდა. მონღოლთა გადასახადები, გარდა სიდიდისა, მოუწესრიგებელიც იყო. ხარბი ბასკაკები (გადასახადის მონღოლი ამკრეფები) ხშირად ერთსა და იმავე გადასახადს რამდენჯერმე კრებდნენ. გარდა ამისა, მამაკაცების დიდი ნაწილი მეურნეობას მოწყვეტილი იყო. აღწერის მიხედვით, საქართველოდან მონღოლთა ომებში 90 000 მოლაშქრე გადიოდა. ქართველების რაზმი მონღოლთა ლაშქარში სერიოზულ სამხედრო ძალას წარმოადგენდა. ისინი შეტევისას წინა რიგებში იბრძოდნენ, უკან დახევისას კი, ძირითად ლაშქარს იცავდნენ. ავანგარდსა და არიერგარდში ბრძოლას ქართველთა სიცოცხლე ეწირებოდა. ხალხი მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ ამხედრდა.

1259 წელს დავით ნარინის მეთაურობით დიდი აჯანყება დაიწყო. ჰულაგუ ყაენმა აჯანყების ჩასახშობად არღუნის სარდლობით დიდი ლაშქარი გამოგზავნა. ქართველთა დიდი ნაწილი დაიხოცა, ნაწილი ტყვედ ჩავარდა, მაგრამ მტერმა ვერ გაიმარჯვა. არღუნი თავრიზს გაბრუნდა. დავით ნარინმა ბრძოლა აღარ გააგრძელა და დასავლეთ საქართველოში გადავიდა, სადაც ის მეფედ დაადგინეს. 1260 წელს 20 ათასი მოლაშქრით საქართველოში დაბრუნებულ არღუნს დავით ულუც აჯანყებული დახვდა. აჯანყების საბაბი ეგვიპტეში სალაშქროდ წასვლის ბრძანება იყო. თუმცა დიდებულთა ნაწილი ყაენთან გაემგზავრა, დავითი და მისი მომხრეები, მათ შორის სარგის ჯაყელი ბრძოლისთვის მოემზადნენ. აჯანყებულებს მხოლოდ 8000 მეომარი ჰყავდათ, ამიტომ გორის მიდამოებში გაშლილ ველზე ბრძოლაში დამარცხდნენ. მონღოლთა ბანაკში მყოფი კახა თორელი ქართველთა წინააღმდეგ მტერს რჩევა-დარიგებებს აძლევდა. უფრო ადრე, მონღოლებმა დედოფალი გვანცა და დავითის ძე დიმიტრი დააპატიმრეს და ურდოში გაგზავნეს. თბილისი კი, სამმართველოდ სომეხ ვაჭარს ჩააბარეს. 1261 წელს არღუნ-აღა კვლავ შემოვიდა საქართველოში, 20 დღე სამცხეში ითარეშა, მაგრამ ვერც დავითი შეიპყრო და ვერც ციხისჯვრის ციხე აიღო. მონღოლებმა ჯავრი დედოფალზე იყარეს და სიკვდილით დასაჯეს. აჯანყების მონაწილენი დარწმუნდნენ, რომ ბრძოლის გაგრძელება უიმედო იყო. დავით ულუ დასავლეთში გადავიდა.

ქართველთა დამარცხებას ბევრი მიზეზი ჰქონდა. მეფეების შეუთანხმებელი მოქმედება, მცდარი საომარი გეგმა, ქართველ დიდებულთა მოღალატური საქციელი. მაგრამ, მიუხედავად მარცხისა, ამ აჯანყებებს მაინც გარკვეული შედეგი ჰქონდა. ჯერ ერთი, მონღოლებმა აჯანყების ბოლომდე ჩახშობა ვერ მოახერხეს. მეორე, დასავლეთ საქართველო, ფაქტობრივად, მონღოლებს აღარ ემორჩილებოდა. ის ხარკს აღარ იხდიდა. მონღოლებიც ვერ ბედავდნენ ლიხს იქით გადასვლას. დავით ნარინი აღმოსავლეთ საქართველოში აღარ გადმოსულა.

აჯანყებული დავით ულუ მონღოლებმა დაუსჯელად შეირიგეს, რადგან უმეფოდ დარჩენილი ქვეყანა მათთვის ხელსაყრელი არ იყო. იმასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ ვის მიემხრობოდნენ ქართველები ილხანებისა და ოქროს ურდოს დაპირისპირებისას. 1264 წელს ყაენი მასთან გამოცხადებულ დავით ულუსა და სარგის ჯაყელთან აჯანყების მიზეზებს იძიებდა, როდესაც ოქროს ურდოს მბრძანებლის ბერქა ყაენის გამოლაშქრების შესახებ მოახსენეს. უკმაყოფილო ქართველებს დარიალი ბერქასთვის რომ არ დაეთმოთ, ილხანთა ყაენმა სასამართლო სასწრაფოდ შეწყვიტა და ქართველ მოლაშქრეებს კვლავ წინა რიგებში ჩადგომა უბრძანა. ჩანს, მონღოლები ქართველებთან ურთიერთობას უფრთხილდებოდნენ. სამწუხაროდ, ქართველები თავისი ძალების მობილიზებას ვერ ახერხებდნენ.

ოქროს ურდო საქართველოს ჩრდილოეთით ჩამოყალიბდა, ილხანთა საყაენო კი – სამხრეთით. ჩრდილოელი ყაენები სამხრეთის ტერიტორიების დაკავებას ცდილობდნენ. დაპირისპირება ნოყიერი საძოვრებისა და სავაჭრო-საქარავნო გზებზე კონტროლისათვის წარმოებდა. ბრძოლის ასპარეზი ძალიან ხშირად საქართველოს ტერიტორია იყო. გარდა ამისა, საქართველო-აზერბაიჯაინის საზღვარზე ჰულაგუ ყაენმა სიბა (მონღოლური სიტყვაა და სანგარს ნიშნავს) გაათხრევინა, სადაც გაზაფხულიდან შემოდგომამდე ქართველ-მონღოლთა გაერთიანებული ლაშქარი უნდა მდგარიყო. მრავალრიცხოვან მებრძოლთა მუდმივი თავშეყრა ეპიდემიებს იწვევდა. მუცლის ტიფით გარდაიცვალა ჯერ ტახტის მემკვიდრე უფლისწული, ხოლო 1270 წელს დავით ულუ. სიბამ საქართველოს სასაზღვრო ზოლს დიდი ზიანი მიაყენა. იქ, ნელ-ნელა მონღოლი ტომის მეთაურები ჩასახლდნენ. მიუხედავად ამისა, 1264-1265 წლებში ოქროს ურდოს ყაენი ბერქა ორჯერ შემოიჭრა საქართველოში. ლაშქრობათა შედეგად მრავალი სოფელი და ქალაქი მოისპო. მათ შორის: რუსთავი, ხორნაბუჯი, უფლისციხე, ხუნანი.

მონღოლთა ბატონობის პერიოდში, საქართველოს ტერიტორიაზე ჩრდილო კავკასიელმა ტომებმა დაიწყეს ჩამოსახლება. ილხანები მათ თავიანთ სამსახურში იღებდნენ. დავით ულუს მეფობის დროს ბერქა ყაენისაგან ლტოლვილი ოსების ერთი ნაწილი დარუბანდის გზით საქართველოში შემოვიდა. ყაენმა ისინი მოლაშქრეებად შეიწყნარა. ყაენისავე ბრძანებით, მეფე დავითმა ოსებს თბილისში, ჟინვანში, დმანისსა და მათ მიდამოებში მუდმივი საცხოვრებელი ადგილები მიუჩინა. სამივე ქალაქი სამეფო საკუთრება იყო და იქ ოსების ჩასახლება მეფის ხელისუფლების შესუსტებას ისახავდა მიზნად. მოღოლთა მხარდაჭერით, ოსები სამფლობელო ტერიტორიებს და უფლებებს იფართოვებდნენ.

მონღოლთა ბატონობის ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები საქართველოსათვის უმძიმესი იყო. ქვეყნის ეკონომიკურ გაჩანაგებას პოლიტიკური დაშლაც ერთვოდა. ყაენი მეფის ინტერესების საწინააღმდეგოდ მთავრებს განადიდებდა და ყმა-მამულით აჯილდოვებდა. მაგალითად, 1266 წელს სამცხის სამთავრო „ხასინჯად" შეიწყალა. სარგის ჯაყელი მეფეს პატრონად აღარ თვლიდა და უშუალოდ ყაენს ემორჩილებოდა. სამცხე საქართველოს ერთიან სამეფოს ჩამოშორდა. ასეთივე „წყალობა" რამდენიმე სხვა მთავარმა და დიდმა ვაჭარმა მიიღო.

დასავლეთ საქართველოში გამეფებული დავით ნარინი მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლას ყველანაირი ხერხით ცდილობდა. საყაენოების დასუსტების მიზნით, მათ შორის ამტყდარ ბრძოლებში აქტიურად ერეოდა. მონღოლებმა რამდენჯერმე მოღალატის ხელით სცადეს მეფის შეპყრობა, მაგრამ უშედეგოდ. დავით ნარინი ცდილობდა ტრაპიზონის სამეფოში ქართული გავლენა აღედგინა. ამ მიზნით, მან სამეფო დალაშქრა და ქალაქ ტრაპიზონამდე ტერიტორიები დაიპყრო, მაგრამ ქალაქი ვერ აიღო და უკან გაბრუნდა. მიუხედავად ამისა, ტრაპიზონის სამეფოში ქართველთა გავლენისათვის ბრძოლა არ შეწყვეტილა.

1270 წელს აღმოსავლეთ საქართველოს ტახტზე ყაენმა დავით ულუს ვაჟი, 12 წლის დემეტრე II (1270-1289 წწ.) დაამტკიცა. დემეტრეს გამეფებისას, აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი საზღვარი დარუბანდამდე აღარ აღწევდა. სამცხე ილხანთა ყაენს ემორჩილებოდა. სამხრეთი საზღვარი ჯერჯერობით უცვლელი რჩებოდა. საქართველოს ანისი და კარი კვლავ ეკუთვნოდა. მცირეწლოვან დემეტრეს ყაენმა მზრუნველად მედროვე სადუნ მანკაბერდელი დაუნიშნა. სადუნი მხარგრძელების ყოფილი ყმა იყო, მაგრამ მონღოლებთან თარჯიმნობით დიდი ქონება დააგროვა. იგი ერთდროულად ათაბაგიც იყო და ამირსპასალარიც. მეფემ სრულწლოვანების დროსაც ვერ გაითავისუფლა თავი „მზრუნველისაგან". მას ხშირად უხდებოდა მონღოლთა ლაშქარში მონაწილეობა. ამიტომ, ქვეყნის მმართველობა სადუნ მანკაბერდელის ხელში იყო. სადუნის გარდაცვალების შემდეგ, მეფემ ათაბაგობა მის შვილს ხუტლუ-ბუღას აღარ მისცა და მხოლოდ ამირსპასალარობა დაუტოვა. ხუტლუ-ბუღამ მეფეს ეს საქციელი არ აპატია.

საქართველო საილხანოში ატეხილ შინაომებში უნებურად იყო ჩართული. ქართულ ლაშქარს ყაენის ან რომელიმე პრეტენდენტის მხარეს უნდა ებრძოლა. დემეტრე II საყაენოს კარზე განვითარებულ ასეთ დაპირისპირებას შეეწირა. არღუნ-ყაენის წინააღმდეგ შეთქმულებაში მხილებული ემირი ბუღა სიკვდილით დასაჯეს. დემეტრე მასთან დაახლოებული პირი იყო, ამიტომ ყაენის კარზე

დაიბარეს. მეფის თავგანწირვამ ქვეყანა აოხრებისაგან იხსნა. ყაენს მეფის სიკვდილი არ უნდოდა, რადგან საქართველის სამეფო ტახტზე სხვა კანდიდატი არ ეგულებოდა. მაგრამ მეფეზე ნაწყენმა ხუტლუ-ბუღამ დააიმედა, დავით ნარინის შვილს გავამეფებთ და ორივე სამეფო დაგვემორჩილებაო. 1289 წლის 12 მარტს, დილის 10 საათზე მოვაკანში დემეტრე II-ს თავი მოჰკვეთეს. ხალხმა მას „თავდადებული" უწოდა. ქართულმა ეკლესიამ მეფე წმინდანად შერაცხა. მისი ხსენების დღე 25 მარტია.

1289 წელს აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე ვახტანგ II დავით ნარინის ძე დასვეს, რომელიც 1292 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა. შემდეგ დავით VIII (1292-1311 წწ.) დემეტრეს ძე გამეფდა. 1293 წელს დავით ნარინი გარდაიცვალა და დასავლეთ საქართველოს ტახტზე მისი ძე კონსტანტინე ავიდა.

1297 წელს შინაფეოდალურ ბრძოლაში გამარჯვებულმა ყაენმა დავით VIII ურდოში დაიბარა, რადგან დავითი ახალი ყაენის მოწინააღმდეგის მხარეს იყო. დავით VIII-მ წასვლა ვერ გაბედა. ამის გამო, მონღოლები საქართველოს 12 წლის განმავლობაში არბევდნენ. მეფე რომ ვერ შეიპყრო, ყაენმა ტახტზე მისი ძმები დაამტკიცა: 1299 წელს გიორგი, 1302 წელს ვახტანგ III. ვახტანგ III 1308 წელს გარდაიცვალა, დავით VIII კი – 1311 წელს. 1308 წელს მონღოლებმა დავითის ვაჟი გიორგი VI მცირე გაამეფეს. იგი 1314 წელს გარდაიცვალა. აღმოსავლეთ საქართველოს მეფე გიორგი V დემეტრეს ძე (1314-1346წწ.) გახდა.

თავი XVIII.

საქართველო XIV საუკუნეში. გიორგი V ბრწყინვალე. თემურ-ლენგის შემოსევები

XIV საუკუნის დასაწყისისათვის საქართველო პოლიტიკურად დაშლილი და ეკონომიკურად გაჩანაგებული იყო, მოსახლეობა – საგრძნობლად შემცირებული. ქალაქი გორი ოსებს ჰქონდათ დასაკუთრებული. ქართველებთან ბრძოლის შემთხვევაში, მათ მონღოლები მფარველებად ევლინებოდნენ. 1314 წელს ტახტზე ასულმა გიორგი V-მ შეძლო ილხანთა სახელმწიფოში ატეხილი შინაომები საქართველოს სასარგებლოდ გამოეყენებინა. საილხანოში გახშირებული აჯანყებებისა და შეთქმულებების ჩასახშობად, ქართული ლაშქარი საიმედო დასაყრდენი იყო. გიორგიმ პირველი ემირის ჩობანის ნდობა დაიმსახურა. საყაენოს

დაშლილი საქართველო არ აწყობდა, რადგან ხარკის აკრეფა და ლაშქრის გამოყვანა გაძნელდებოდა. ამიტომ ყაენმა გიორგის მთელი საქართველო დაუმტკიცა და ხარკის აკრეფის უფლებაც მას დააკისრა. რაკი ყაენმა ქვეყნის გაერთიანების ნება დართო, გიორგიმ გამდგარი დიდგვაროვნების დამორჩილება დაიწყო. ბევრი, ალბათ, ნებით დამორჩილდა, ურჩები კი, კახეთს დარბაზობაზე მიიწვია და ამოწყვიტა. შემდეგ მეფემ ოსებს შეუტია. სამი წელი მოანდომა გიორგი V-მ ოსთა ქართლიდან განდევნას. მან საქართველოში ჩრდილო კავკასიიდან გადმოსასვლელი გზებიც დაიკავა. XIII საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს საქართველომ მონღოლებს ხარკი შეუწყვიტა. ილხანთა საყაენოში ატეხილი შინაომის გამო, მონღოლებს საქართველოზე კონტროლი აღარ შეეძლოთ. გიორგიმ ამით ისარგებლა და მონღოლები საქართველოდან განდევნა. დასრულდა მონღოლთა თითქმის ასწლოვანი ბატონობა. (საქართველოში მონღოლთა ფორმალური მფლობელობის დასასრულად შეიძლება 1357 წელი ჩაითვალოს, როცა ქვეყანაში ილხანურ-მუსლიმური მონეტების მოჭრა საბოლოოდ შეწყდა).

ჯერი დასავლეთ საქართველოს შემოერთებაზე მიდგა. აქ 1327 წელს მიქაელ დავით ნარინის ძე გამეფდა. 1329 წელს იგი გარდაიცვალა. გიორგიმ ამით ისარგებლა და ქუთაისი დაიკავა. 1334 წელს კი, სამცხეში ჩავიდა და მთავრად სარგისის შვილი ყვარყვარე დანიშნა. ეს აქტი სამცხეში მეფის ხელისუფლების აღდგენას ნიშნავდა. ასე გაერთიანდა იმერ-ამერი და გიორგი V სრულიად საქართველოს მეფე გახდა. საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური საზღვრები აღმოსავლეთით, დასავლეთითა და ჩრდილოეთით ძველ ფარგლებში აღდგა: ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობა (ოსნი, დურძუკნი) და რანი, ყარაბაღი და შარვანი ლეკებითურთ ისევ საქართველოს მოხარკენი გახდნენ. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით საზღვარი სპერამდე მიდიოდა. მის ფარგლებში ისევ შედიოდა სომხეთი ანისითა და დვინით. გავლენის სფეროში რჩებოდა ტრაპიზონის იმპერია და შაჰარმენის სასულთნო.

ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების მიზნით, მეფემ საქართველოს მთიანეთი მოიარა და მთიელთათვის საგანგებო კანონთა კრებული „ძეგლის დადება" შექმნა. ქართული პოლიტიკური მმართველობის აღსადგენად კი, „ხელმწიფის კარის გარიგება" შეადგინა. სამართლის ეს ძეგლი ცენტრალური სამმართველო დაწესებულებების დანიშნულებასა და მოხელეთა უფლება-მოვალეობის აღწერა-განმარტებას მოიცავდა. გიორგი V-მ საკუთარი ვერცხლის ფულიც მოჭრა, რომელსაც „გიორგაული" ეწოდა.

უცხოელები საქართველოს ძლიერ სახელმწიფოდ აღიარებდნენ. საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა რომის პაპთან, ბიზანტიასთან, ტრაპიზონის საკეისროსთან, ეგვიპტის მამლუქთა სასულთნოსთან და სხვა სახელმწიფოებთან ჰქონდა. საქართველომ სავაჭრო ურთიერთობა დაამყარა იტალიის ქალაქებთან ვენეციასა და გენუასთან. ქართველებმა იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, მართალია დავით VIII-ის დროს დაიბრუნეს, მაგრამ „ქრისტეს საფლავის კლიტენი" ქართველთა ხელში სწორედ გიორგის დროს დაბრუნდა. გიორგი V-მ ეგვიპტის სულთანთან ორჯერ გააგზავნა ელჩობა და ქრისტიანთა დამამცირებლად შემოღებული წესის გაუქმება სთხოვა. სულთანმა ქართველთა მეფის პატივისცემის ნიშნად, ქრისტიანებს ნება დართო ცხენზე ჩვეულებრივ მჯდარიყვნენ, ქართველებს კი, უფლება ეძლეოდათ იერუსალიმში ცხენზე ამხედრებულები და გაშლილი დროშებით შესულიყვნენ. მათ არც ხარკის გადახდა ევალებოდათ. საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტზე მეტყველებს კათოლიკური სამისიონერო ცენტრის სმირნიდან თბილისში გადმოტანაც.

ქვეყნის ძველი დიდების აღდგენა რთული იყო. საქართველოს დალაშქვრას მონღოლები პერიოდულად მაინც ახერხებდნენ. გიორგის მემკვიდრის – დავით IX-ის დროს (1348-1360 წწ.) მოსახლეობის დიდი ნაწილი შავმა ჭირმა იმსხვერპლა. გიორგი V-ის რეფორმებმა საბოლოო მტკიცე შედეგს ვერ მიაღწიეს. მაგრამ ქვეყანა გადაშენება-გადაგვარების საფრთხეს გადაურჩა. მადლიერმა შთამომავლობამ მეფე გიორგი V-ს „ბრწყინვალე" უწოდა.

თემურ-ლენგის შემოსევები. საქართველოს განვითარება თემურ-ლენგის შემოსევებმა კვლავ შეაფერხა. 1360 წელს საქართველოს სამეფო ტახტზე დავით IX-ის ვაჟი ბაგრატ V (1360-1393 წწ.) ავიდა. საქართველოში თემურ-ლენგი პირველად მისი მეფობის დროს გამოჩნდა.

თემურ-ლენგი გათურქებული მონღოლური ტომიდან იყო. მან ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში შემოიკრიბა თანატოლები და ყაჩაღობა-მეკობრეობა დაიწყო. თემური არც გასამრჯელოს საფასურად ბრძოლას თაკილობდა. ერთ-ერთი ასეთი ბრძოლის დროს იგი დაიჭრა და სამუდამოდ დაკოჭლდა. (ამიტომაც „ლენგი", ტაჯიკურად „კოჭლი" შეარქვეს). XIV საუკუნის 70-იანი წლებისთვის თემურ-ლენგი მავერანნაჰრის (ახლანდელი უზბეკეთისა და ტაჯიკეთის სახელმწიფოები) მბრძანებელი გახდა. შემდეგ, მთელი შუა აზია დაიპყრო. თემურ-ლენგს ჩინგიზ ყაენის დროინდელი მონღოლთა იმპერიის აღდგენა სურდა. მის სურვილს წინ ოქროს ურდოს ახალი მბრძანებელი თოხთამიშ-ხანი აღუდგა. თოხთამიშ-ხანსა და თემურ-ლენგს შორის ბრძოლები 15 წელი გაგრძელდა. ბრძოლაში

წარმატებისათვის რომ მიეღწია, თემურ-ლენგს კავკასიონის გადმოსასვლელები თვითონ უნდა დაეჭირა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი მფლობელები მოკავშირეებად ან ყმადნაფიცებად ექცია. ამ მიზნით, 1386 წელს თემური საქართველოში შემოიჭრა. მძიმე ბრძოლების შემდეგ, მან თბილისის აღება შეძლო და მეფე ბაგრატი, დედოფალი ანა, უფლისწული დავითი ტყვედ აიყვანა. შემდეგ თავისი რაზმები სხვადასხვა მიმართულებით გაგზავნა. მეფის დატყვევების მიუხედავად, ქართველები მტერს არ ნებდებოდნენ. თემურ-ლენგმა მოსახლეობა ამოხოცა და აურაცხელი სიმდიდრე მიიტაცა. ამ ლაშქრობისას მან უმდიდრესი სამეფო ბიბლიოთეკაც წაიღო. დამპყრობელმა ყარაბაღში გამოიზამთრა. ჩანს, ბაგრატმა ტყვეობიდან თავის დასაღწევად, მოჩვენებით ისლამი მიიღო. თემურმა მას სამეფო ტახტი დაუბრუნა და სამფლობელოც დაუმტკიცა. ბაგრატმა შვილებს გზიდანვე შეუთვალა, რომ ტყვეობიდან დაეხსნათ. უფლისწული გიორგი ბაგრატის თანმხლები მტრის მხედრობას მოხერხებულ ადგილას ჩაუსაფრდა და ამოხოცა. ცხადია, თემურ-ლენგი ამას არ მოითმენდა. 1387 წლის გაზაფხულზე იგი საქართველოს მეორედ შემოესია. ბაგრატი და გიორგი მტერს მომზადებულნი დახვდნენ, მაგრამ თემურ-ლენგის ლაშქრის მრავალრიცხოვნების გამო დამარცხდნენ, ციხეებსა და მთებში გამაგრდნენ. თემურ-ლენგს უამრავი ციხის დაპყრობა სჭირდებოდა. ამისთვის კი სათანადო დრო აღარ ჰქონდა, რადგან ამიერკავკასიაში თოხთამიში შემოვიდა. თემურმა საქართველოს რბევა დროებით შეწყვიტა და აქაურობას გაეცალა.

1394 წლის შემოდგომაზე თემურ-ლენგი საქართველოში კვლავ გამოჩნდა. მანამდე მისმა სარდლებმა სამცხე მოითარეშეს. თემურმა არაგვის ხეობა დალაშქრა, შემდეგ თბილისზე გავლით შაქისკენ გაემართა. ამ დროს, საქართველოში ბაგრატ V-ის ვაჟი გიორგი VII (1393-1407 წწ.) მეფობდა. თემურ-ლენგს თოხთამიშის შიში ისევ ჰქონდა, ამიტომ 1395 წლის გაზაფხულზე ოქროს ურდოს დედაქალაქი დალაშქრა. უკან დაბრუნებისას კი, ჩრდილო კავკასიის მოსახლეობა იძულებით გაამაჰმადიანა. თემურმა საქართველო თავის შვილს დაუმტკიცა. მის სამფლობელოში საქართველოს გარდა, ორივე ერაყი, აზერბაიჯანი, არმენია და ქურთისტანი შედიოდა. თვითონ თემურ-ლენგი 1398 წელს ინდოეთის დასალაშქრად გაემგზავრა. გიორგი VII-მ ამით ისარგებლა და მტრის ბატონობისაგან თავის დახსნა გადაწყვიტა. საქართველოს მეფემ ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებში თემურ-ლენგის ბატონობით უკმაყოფილო ხალხი გააერთიანა. კოალიციურმა ლაშქარმა თემურ-ლენგის ვაჟის ლაშქარი დაამარცხა. თემურმა გადაწყვიტა საქართველოს პრობლემა საბოლოოდ გადაეჭრა – მოსახლეობა ან

გაემაჰმადიანებინა, ან ამოეწყვიტა, ხოლო საქართველო სხვადასხვა მხრიდან მორეკილი მუსლიმებით დაესახლებინა. 1399 წლის ზამთარში, ის დაახლოებით 100 ათასიანი მხედრობით კახეთ-ჰერეთს მოადგა. მტრის თარეში თითქმის ერთ თვეს გაგრძელდა. მონღოლმა მეომრებმა ყველაფერი გაანადგურეს, რაც გადარჩა, ნადავლად წაიღეს.

1400 წელს თემურ-ლენგი საქართველოში ისევ შემოიჭრა. ბრძოლა გოგჩის ტბის მიდამოებში მოხდა. ქართველებმა შეძლეს მტრისთვის დიდი ზიანი მიეყენებინათ, მაგრამ მტრის მრავალრიცხოვნების გამო დამარცხდნენ

. თემურ-ლენგმა მთელი ქართლი მოაოხრა. გიორგი VII დასავლეთ საქართველოში გადავიდა. თემურმა სამხრეთ საქართველოც მოითარეშა, გადარჩენილი მოსახლეობის ნაწილი გაამაჰმადიანა და ტყვედ წაიყვანა. გიორგი VII აღმოსავლეთ საქართველოში დაბრუნდა და ქვეყნის საქმეების მოწესრიგება დაიწყო. მეფემ დვალეთიც კი დალაშქრა და ალაფი წამოიღო. 1401 წელს თემურ-ლენგის სარდლები საქართველოს ისევ მოადგნენ. გიორგიმ დაზავების პირობით მოციქულები შეაგება. თემურ-ლენგთან მოსალაპარაკებლად მეფის ძმა კონსტანტინე წავიდა. 1401 წელს დადებული შამქორის ზავის თანახმად: საქართველო ყოველ წელს ხარკს გადაიხდიდა, გამოიყვანდა დადგენილი რაოდენობის ჯარს, არ ჩაკეტავდა სამიმოსვლო გზებს, ქართველები თავის ქვეყანაში არ შეავიწროვებდნენ მუსლიმებს. ამასთან, თემურ-ლენგი საქართველოს ხელშეუხებლობასა და უსაფრთხოებას დაპირდა, თუმცა პირობა არ შეასრულა, 1402 წელს თორთუმის ციხე აიღო და დაანგრია.

ამის შემდეგ, თემურ-ლენგი ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად გაემართა. ოსმალთა ძლიერი სახელმწიფო თემურის მიზნებს ეწინააღმდეგებოდა. ამიერკავკასიაში მეტოქე არც ოსმალებს სურდათ. თემურ-ლენგმა ოსმალეთის სულთანი დაამარცხა და 1403 წელს მერვედ მოადგა საქართველოს. მან აქამდე დაუმარცხებელი ბირთვისის ციხე აიღო და დასავლეთ საქართველოში გადავიდა. ზამთარი ახლოვდებოდა. დასავლეთ საქართველოს დაპყრობა გაჭიანურდა. თემურ-ლენგი საქართველოს მეფესთან ახალი ზავის დასადებად მზად იყო, მაგრამ გიორგი VII არსად ჩანდა. მრისხანე დამპყრობელი იძულებული გახდა დაზავება თვითონ ეთხოვა. ეს ზავის პირობებშიც აისახა. თემურ-ლენგი საქართველოს ქრისტიანულ სახელმწიფოდ ცნობდა, რაც ქართველი ხალხის უდიდესი გამარჯვება იყო. ზავის მიუხედავად, მან თბილისი და მისი შემოგარენი ისევ

ააოხრა და საქართველოდან ისე წავიდა. 1405 წელს თემურ-ლენგი ჩინეთის დასალაშქრად გაემართა, მაგრამ გზაში გარდაიცვალა.

თემურ-ლენგის სიკვდილის შემდეგ, მის მემკვიდრეებს შორის პირველობისათვის ბრძოლა გაჩაღდა. ამით ისარგებლა გიორგი VII-მ და დამოუკიდებლობის აღდგენა სცადა. მან თემურ-ლენგის მემკვიდრე რამდენჯერმე დაამარცხა, მაგრამ საქართველოს მდგომარეობა კვლავ მძიმე რჩებოდა. ამიერკავკასიაში დამკვიდრებას ახლა შავბატკნიანი თურქმანები ცდილობდნენ. მათი სახელმწიფოს შემქმნელი ყარა-იუსუფი იყო. 1407 წელს გიორგი VII ამირკავკასიაში შემოჭრილ შავბატკნიან თურქმანებთან ბრძოლას შეეწირა. საქართველოს სამეფო ტახტზე მისი ძმა კონსტანტინე I ავიდა.

1411 წელს მეფე კონსტანტინე თურქმანებთან ერთ-ერთი ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდა. ტყვეობაში მას თავი ამაყად ეჭირა. ამით გაღიზიანებული ყარა-იუსუფის ბრძანებით, მეფესა და ქართველ ტყვეებს თავები მოჰკვეთეს.

თემურ-ლენგის შემოსევები საქართველოსათვის დამანგრეველი აღმოჩნდა. ამ ლაშქრობათა შედეგად ქართულ ენაში დამკვიდრდა სიტყვები: „ნაქალაქარი", „ნასოფლარი", „ნასახლარი", „ნავენახარი", „ნატაძრალი" და ა.შ. მოსახლეობა განახევრდა. საქართველოს მეზობელი და მოკავშირე ქვეყნები ან განადგურდა ან დასუსტდა. ჩრდილო კავკასიის მთიანეთი კი, რომლის ქრისტიან მცხოვრებლებსაც საქართველოს მეფეები სამხედრო თვალსაზრისით იყენებდნენ, გამაჰმადიანდა. საქართველო, ფაქტობრივად, მაჰმადიანურ გარემოცვაში მოექცა.

თავი XIX.

საქართველო XV საუკუნეში. ერთიანი სახელმწიფოს დაშლა სამეფო სამთავროებად

ალექსანდრე I დიდი. 1412 წელს საქართველოს სამეფო ტახტზე ალექსანდრე I ავიდა. იგი სრულიად საქართველოს მეფედ იწოდებოდა, თუმცა საქართველოს ტერიტორია ამ დროისათვის საკმაოდ შემცირებული იყო. აღმოსავლეთით ხაჩენი იყო დაკარგული, სამხრეთით – ანისი და ლორე. 1431 წელს ალექსანდრე მეფემ ლორეს ველი დაიკავა. შემდეგ სივნიეთიც (დღევანდელი ყარაბაღი და მისი მიმდებარე რაიონები) დაიბრუნა. სტრატეგიული თვალსაზრისით, ამ ტერიტორიებს

საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამასთან, ამ თემების შემოერთებით ქვეყანას დაახლოებით 60 ათასი ქრისტიანი შეემატა.

დანგრეული ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეების აღსადგენად, 1425 წელს მეფემ საგანგებო გადასახადი დააწესა – კომლზე 40 თეთრის ოდენობით. ეს სამშენებლო გადასახადი 1440 წელს გაუქმდა. ამ შემოსავლების წყალობით სამეფო კარმა სვეტიცხოვლისა და რუისის საკათედრო ტაძრები, გარეჯის სამონასტრო კომპლექსი შეაკეთებინა და განაახლებინა. საქართველოში შეკრებილი თანხით ალექსანდრე საზღვარგარეთ არსებულ ქართულ მონასტრებსაც დაეხმარა. ბუნებრივია, ეს ღონისძიება დანგრეული საქართველოს აღსადგენად საკმარისი არ იყო, მაგრამ მოსახლეობის სიმცირე და გაჭირვება მეტის საშუალებას არ იძლეოდა.

1440 წელს საქართველოს ჯაჰან-შაჰის მეთაურობით შავბატკნიანი თურქმანები მოადგნენ. მათ ქალაქები სამშვილდე და თბილისი აიღეს, მოსახლეობის ნაწილი გაჟლიტეს, ნაწილი კი, ტყვედ წაიყვანეს.

ალექსანდრემ ეკლესიის გაძლიერება სცადა. ამით მას ქვეყნის ერთიანობის განმტკიცება და ძლიერი მოკავშირის შეძენა სურდა. მეფემ ბრძოლა ერისთავებსაც გამოუცხადა. მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. მეფის ხელისუფლება შესუსტდა. ქვეყნის მართვაში სამეფო ოჯახის წევრები სულ უფრო აქტიურად ერეოდნენ. ფეოდალთა დაპირისპირება სისტემატიურ ხასიათს იძენდა. ალბათ ამიტომაც, 1442 წელს ალექსანდრე ტახტიდან გადადგა და ბერად შედგა. ტახტი მისმა ვაუმა ვახტანგ IV-მ დაიკავა. მან მხოლოდ 4 წელი იცოცხლა. 1446 წელს საქართველოს სამეფო ტახტზე მისი ძმა გიორგი VIII ავიდა.

გიორგი VIII. გიორგის მეფობისას თავადთა თვითნებობა გახშირდა. სამცხის მთავრის ყვარყვარე ჯაყელის გეგმით, სამცხის ეკლესიის მეთაური მაწყვერელი (ე.ი. აწყურის ეპისკოპოსი) უნდა გამხდარიყო, რომელიც მცხეთის კათალიკოსს არ უნდა დამორჩილებოდა. ეკლესიასთან ბრძოლაში ყვარყვარე დამარცხდა. თუმცა საქართველოს ერთიანობას საფრთხე ისევ ემუქრებოდა, რადგან სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან ახალი, საშიში სახელმწიფო – ოსმალეთი გაუმეზობლდა.

ოსმალო-თურქების წინაპრები შუა აზიიდან მცირე აზიაში XIII საუკუნეში მოვიდნენ. ოსმალეთის სახელმწიფო XIV საუკუნეში შეიქმნა. მის დამაარსებლად ოსმანი ითვლება. ქვეყანა დაპყრობით ომებში ჩამოყალიბდა. შემოსავლის წყარო ხარკი და ნადავლი იყო, ამიტომ ოსმალები ახალ-ახალ ომებს აწარმოებდნენ. უკვე დაუძლურებულ ბიზანტიას ოსმალებმა საკმაოდ მოზრდილი ტერიტორიები წაართვეს. 1453 წელს ოსმალეთის სულთანმა მეჰმედ II-მ კონსტანტინოპოლიც

აიღო. ბრძოლაში იმპერატორი კონსტანტინე XI დაიღუპა. თურქებმა ქრისტიანული ბიზანტიის იმპერიას ბოლო მოუღეს. საქართველო აგრესიული მაჰმადიანური სახელმწიფოს პირისპირ აღმოჩნდა.

ბიზანტიის დაცემამ ევროპა შეაშფოთა. შავ ზღვაზე თურქების გაბატონება მათ ეკონომიკურ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ევროპულმა სახელმწიფოებმა თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად გაერთიანება გადაწყვიტეს. ამ წამოწყების ინიციატორი რომის პაპი გახდა. 1459 წელს მისი ელჩები საქართველოში ჩამოვიდნენ. გიორგი VIIII-მ და ქართველმა მთავრებმა სიხარულით გაიზიარეს ჯვაროსნული ომის იდეა. ქართველებმა ურთიერთშორის უთანხმოებაც კი დაივიწყეს და დაზავდნენ. მათ სურდათ, ამ გზით მცირე აზიაში თურქთა ბატონობა მოესპოთ. კოალიციას ტრაპიზონის კეისარი და მცირე სომხეთის მმართველიც შეუერთდნენ. თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას ირანის მბრძანებელი, თეთრბატკნიან თურქმანთა ტომების მეთაური უზუნ-ჰასანიც დათანხმდა. მოკავშირეებს უკვე სერიოზული სამხედრო ძალა გააჩნდათ: 70 ათასი კაცი საქართველოდან, 30 ათასი ჯარისკაცი და 30 კატარდა ტრაპიზონის საკეისროდან, 20 ათასი მოლაშქრე – მცირე სომხეთიდან. ამას უზუნ-ჰასანის მებრძოლებიც ემატებოდნენ. 1460 წელს გიორგი VIII-ის ელჩი ნიკოლოზ ტფილელი, მოკავშირეთა წარმომადგენლები და უზუნ-ჰასანის დესპანი რომში ჩავიდნენ. ევროპელი მეფე-მთავრები ვერ შეთანხმდნენ. ომის დაწყება შეუძლებელი აღმოჩნდა. რომის პაპის თხოვნით, საქართველოს დესპანები საფრანგეთის მეფეს კარლოს VII-ის შემდეგ მის შვილს, ლუდოვიკოსაც შეხვდნენ. თუმცა ამაოდ. ანტიოსმალური კოალიცია ჩაიშალა. საქართველოს შემდგომი ისტორიისათვის ეს დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო.

1459 წელს საქართველოს მეფე-მთავრებს შორის დადებული ზავი ხანმოკლე გამოდგა. სამცხის მთავარი ყვარყვარე გიორგი VIII-ის წინააღმდეგ საბრძოლველად უზუნ-ჰასანს დაუკავშირდა. მათ 1462 წელს გიორგი VIII დაამარცხეს. მეფის მარცხს სხვა ერისთავთა ურჩობა მოჰყვა. ყველაზე აქტიური სამოქალაქოს (ქუთაისის ოლქი) ერისთავი ბაგრატი იყო. მეფემ მას ქუთაისი წაართვა. ბაგრატი აჯანყდა. 1463 წელს ჩიხორთან (იმერეთში, ჩხართან ახლოს) მეფესა და ურჩ ერისთავს შორის ბრძოლა გაიმართა. მეფე დამარცხდა. მაგრამ ბაგრატმა ქუთაისი ვერ დაიბრუნა. 1465 წელს, ფარავნის ტბასთან ბრძოლაში, ყვარყვარე ათაბაგმა მეფე დაატყვევა. სამცხე-საათაბაგო დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბდა. მისი ტერიტორია ბორჯომის ხეობიდან ჭოროხის ხეობამდე და არზრუმამდე ვრცელდებოდა. საქართველოს მეფის დატყვევებით ბაგრატმა ისარგებლა და 1466

წელს თავი მეფედ გამოაცხადა. ყვარყვარეს ეს უკვე აღარ მოეწონა და გიორგი VIII ტყვეობიდან გაათავისუფლა. მეფე ბაგრატთან ბრძოლაში კვლავ დამარცხდა, ბედს შეურიგდა და კახეთში გადავიდა. გიორგი VIII კახეთის მეფე გიორგი I (1466-1476 წწ.) გახდა. ასე ჩაეყარა საფუძველი კახეთის ბაგრატიონთა სამეფო შტოს. ბაგრატ VI-ს საბრძანებლად ქართლი და დასავლეთ საქართველო დარჩა. დასავლეთ საქართველოს დიდი სამთავრო საბედიანო ბაგრატს ჯერჯერობით ფორმალურად ემორჩილებოდა. საბედიანოში აფხაზეთი, სამეგრელო და გურია შედიოდა. მასვე ეკუთვნოდა ბათუმიც. 1478 წელს ბაგრატ VI გარდაიცვალა. ტახტზე მისი შვილი ალექსანდრე ავიდა, მაგრამ მეფობა ვერ შეინარჩუნა და რაჭა-ლეჩხუმში გადავიდა. ქართლისა და დასავლეთ საქართველოს ტახტი ალექსანდრე I-ის შვილიშვილმა კონსტანტინე II-მ დაიკავა. ყვარყვარე ათაბაგმა ახლა კონსტანტინეს აუტეხა ბრძოლა. 1483 წელს არადეთთან შეტაკებაში კონსტანტინე დამარცხდა. ამით რაჭა-ლეჩხუმში გამაგრებულმა ალექსანდრე ბაგრატის ძემ ისარგებლა და ქუთაისი ხელში ჩაიგდო. ეს ქართლის სამეფოდან იმერეთის ჩამოცილებას ნიშნავდა. კონსტანტინე II იძულებული გახდა მდგომარეობას შეგუებოდა. 1490 წლის ბოლოს საქართველოს დაშლა ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხის სამთავროდ იურიდიულადაც გაფორმდა.

დაშლილი ქვეყანა აგრესიული მეზობლების გარემოცვაში იმყოფებოდა. კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ თურქებმა თანდათანობით დაიკავეს ჩრდილოეთ და სამხრეთ შავიზღვისპირეთი და საქართველოს საზღვრებს მოუახლოვდნენ. თემურ-ლენგის იმპერიის დაშლის შემდეგ, ირანის ტერიტორიაზე თეთრბატკნიან და შავბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოები ჩამოყალიბდა. XV საუკუნის ბოლოს თეთრბატკნიანი თურქმანული სახელმწიფო განსაკუთრებით გაძლიერდა. მისმა მმართველებმა საქართველო არაერთხელ დაარბიეს. ქართულმა საზოგადოებამ ერთმორწმუნე რუსეთთან დაახლოება გადაწყვიტა. 1483 და 1491 წლებში კახთა მეფე ალექსანდრე გიორგის ძემ მოსკოვის დიდ მთავართან – ივანე III-თან ელჩები გაგზავნა. უცხოელი მოკავშირეების ძებნა ქართლის მეფე კონსტანტინემაც დაიწყო. 1492-1496 წლებში მან ელჩები ეგვიპტის მბრძანებელთან ქაიროში გაგზავნა. ეგვიპტის მმართველები ქართველებს ჯერ კიდევ დიდი პატივით ეპყრობოდნენ. კონსტანტინემ ელჩები ესპანეთის დედოფალ იზაბელასთანაც მიავლინა. ქართველი მეფე თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას ითხოვდა. ესპანეთის დედოფალს ასეთი შორეული ლაშქრობის ძალა არ შესწევდა. გარდა ამისა, იმ ეტაპზე საქართველო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ინტერესების სფეროში ვერ მოექცა.

თავი XX

ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XVI საუკუნეში

1461 წელს ოსმალებმა ტრაპიზონის იმპერია დაიპყრეს და საქართველოს უშუალოდ გაუმეზობლდნენ. ოსმალეთის დაპყრობით გეგმაში ამიერკავკასიას, კერძოდ, საქართველოს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა.

საქართველოზე პრეტენზიას მეორე მაჰმადიანური სახელმწიფოც აცხადებდა. XVI საუკუნის დასაწყისში თეთრბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოს ნაცვლად ახალი, უფრო აგრესიული ყიზილბაშური ირანი ჩამოყალიბდა. მისი პირველი შაჰი არდებილის შეიხის სეფი-ედ-დინის ჩამომავალი – ისმაილი იყო. ამიტომ დინასტიას სეფიანთა ეწოდა. ისმაილის ძირითად დასაყრდენს შვიდი ძლიერი მეომარი თურქმანული ტომი შეადგენდა. ისინი თეთრი დოლბანდებით შემოვლებულ წითელ თავსაბურავებს ატარებდნენ, ამიტომ „ყიზილბაშებს" ანუ „წითელთავიანებს" ეძახდნენ. აქედან, სახელმწიფოსაც ყიზილბაშური ეწოდა. სეფიანები თავს ილხანების პოლიტიკურ მემკვიდრეებად თვლიდნენ, ამიტომ ქართლს, კახეთსა და სამცხე-საათაბაგოს თავისად მიიჩნევდნენ და საქართველოს დასაპყრობად ემზადებოდნენ.

XVI საუკუნის I ნახევარში ირანმა შეძლო შაქი და შარვანი თავის პროვინციებად ექცია. სომხეთი XVI საუკუნის II ნახევრისათვის არაფრით განსხვავდებოდა ყიზილბაშური სახელმწიფოსაგან. (თურქმანებმა ის ჯერ კიდევ XV საუკუნეში დაიპყრეს). საქართველოს ჩრდილოეთით მდებარე პოლიტიკური გაერთიანებები – დაღესტანი, ყაბარდო და ოსეთი ოსმალეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. მათი მეკობრული თავდასხმები საქართველოს მოსახლეობას მოსვენებას არ აძლევდა.

XV საუკუნეში დაწყებული საქართველოს დაშლა XVI საუკუნეშიც გაგრძელდა. იმერეთის სამეფო რამდენიმე დამოუკიდებელ ერთეულად დაიყო. XVI საუკუნის შუა წლებიდან სამეგრელოს მთავარი დადიანი იმერეთის მეფეს აღარ ემორჩილებოდა. სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში შემავალმა აფხაზეთის ფეოდალებმაც შერვაშიძეების მეთაურობით განცალკევებისათვის დაიწყეს ბრძოლა. უკვე XVII საუკუნის დასაწყისში აფხაზეთიც ცალკე სამთავროდ ჩამოყალიბდა. XVI საუკუნის შუა ხანებიდან გურიის მთავარიც დამოუკიდებელ ხელისუფლად იქცა. ასეთმა დანაწილებამ ფეოდალური შინაომები გაამწვავა.

1505-1525 წლებში ქართლში დავით X კონსტანტინეს ძე მეფობდა. (1512 წელს მეფის ძმამ ბაგრატმა მუხრანი საუფლისწულოდ მოითხოვა. ასე მიეცა დასაბამი ბაგრატიონთა მუხრანბატონების შტოს). დავითს ქართლ-კახეთის გაერთიანება სურდა. ამ მიზნით, კახეთის მეფე „ავგიორგი" შეიპყრო, მოკლა და კახეთი ორჯერ დაიჭირა. მაგრამ კახეთის შემოერთების ცდები უშედეგოდ დასრულდა. კახელმა დიდებულებმა „ავგიორგის" შვილის – ლევანის გადარჩენა შეძლეს და კახეთის მეფედ გამოაცხადეს (1520-1574 წწ.).

დაშლილი ქვეყნის გაერთიანებისათვის იმერეთის მეფე ბაგრატიც (1510-1565 წწ.) იბრძოდა. მან ჯერ დადიანს გამოუცხადა ბრძოლა, შემდეგ – გურიელს, მაგრამ მთავრებმა ოსმალეთის სულთანს შეავედრეს თავი და ბაგრატი იძულებული გახდა რეალურ მდგომარეობას შერიგებოდა. 1535 წელს ბაგრატმა სამცხეში ილაშქრა, სამცხის მთავარი ყვარყვარე დაატყვევა და სამცხე დაიკავა, მაგრამ მისი შენარჩუნება მხოლოდ რამდენიმე წლით შეძლო. მთავრები დამოუკიდებლობისათვის ყველა ღონეს ხმარობდნენ.

დანაწევრებულ ქვეყანაში, რასაკვირველია, სამხედრო სისტემაც მოშლილი იყო. ქართლის მეფე დავით X-მ სამხედრო წყობის რეორგანიზაცია ჩაატარა. მან ქართლი ოთხ სამხედრო ერთეულად ანუ „სადროშოდ" დაყო. სადროშოების სარდლობა თავადებს ევალებოდათ. კახეთის სამეფო ხელისუფალმაც კახეთი ოთხ სადროშოდ დაყო, იმ განსხვავებით, რომ სათავეში ეპისკოპოსები ჩაუყენა. კახეთში ამ რეფორმამ ძლიერი ფეოდალები შეასუსტა და მეფის ხელისუფლება განამტკიცა. კახეთის მეფეები – ლევანი და მისი ძე ალექსანდრე II (1574-1605 წწ.) ხარკითა და ფორმალური ყმობის გამოცხადებით ცდილობდნენ ყიზილბაშების გულის მოგებას და სამეფოში მშვიდობის შენარჩუნებას. ქართლი კი, ყიზილბაშთა წინააღმდეგ თავდაუზოგავად იბრძოდა.

ირანელებმა ქართლის დასაპყრობად ლაშქრობები ჯერ კიდევ შაჰ ისმაილის დროს დაიწყეს. ამან თანდათანობით სისტემატური ხასიათი მიიღო. ირანის შაჰი თამაზი 1541-1554 წლებში 4-ჯერ შემოესია აღმოსავლეთ საქართველოს. ქართლში ამ დროს ლუარსაბ I (1530-1556 წწ.) მეფობდა. შაჰმა ქართლის რამდენიმე ციხე დაიპყრო და შიგ მეციხოვნეები ჩააყენა, ტყვედ მეფის დედაც კი ჩაიგდო, მაგრამ ლუარსაბის დამორჩილება მაინც ვერ შეძლო.

XVI საუკუნის დასაწყისში ირან-ოსმალეთს შორის დაწყებული ომი 1555 წლის ამასიის ზავით დასრულდა. ზავის მიხედვით, ირანმა და ოსმალეთმა საქართველო შუაზე გაიყვეს. ქართლი, კახეთი და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი ყიზილბაშებს ერგო. იმერეთის სამეფო თავის

სამთავროებითა და სამცხის დასავლეთი ნაწილი – ოსმალებს. ამ ზავმა დამპყრობელთა შემოსევები კიდევ უფრო გააძლიერა. ამასთან, ოსმალები და ირანელები ცდილობდნენ მოკავშირეები ქართველ მთავრებსა და თავადებს შორის ეპოვნათ.

1556 წელს სოფელ გარისთან ლუარსაბ I ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლას შეეწირა. ტახტზე მისი ვაჟი სიმონ I ავიდა. სიმონი მტრის წინააღმდეგ ბრძოლას აგრძელებდა. 1569 წელს სოფელ ფარცხისთან მოღალატე ფეოდალთა დახმარებით ირანელებმა მეფე დაატყვევეს. შაჰი ბევრს ეცადა სიმონი გაემაჰმადიანებინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და გაბრაზებულმა ქართველი მეფე ალამუთის ციხეში გამოკეტა. ქართლის მმართველად კი, მისი გამაჰმადიანებული ძმა დაუდ-ხანი დასვა. ქართლი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. უკეთეს დღეში არც დანარჩენი საქართველო იყო.

XVI საუკუნის დასაწყისიდან სამცხე ოსმალეთის ვასალი გახდა. ეს ოსმალთა ჯარს მესხეთის ტერიტორიაზე თავისუფალი მოძრაობის უფლებას ანიჭებდა. მესხებს ოსმალთა ლაშქრისათვის სურსათის მიწოდებაც ევალებოდათ. ოსმალებმა გამოიყენეს მათი გავლენის ქვეშ მოქცეული ჯიქები, ჩერქეზები, ადიღელები, რომლებიც სამეგრელოსა და აფხაზეთში ლაშქრობებს აწყობდნენ და აფხაზეთში დამკვიდრებას ცდილობდნენ. ოსმალებმა ჭანეთიც (ლაზეთი) მიიტაცეს და დასავლეთ საქართველოს გურიის მხრიდანაც შემოუტიეს.

1510 წელს ოსმალთა დიდი ლაშქარი სამცხე-საათაბაგოდან დასავლეთ საქართველოში შეიჭრა. მტერმა ააოხრა ქალაქები და სოფლები, შემდეგ უკან დაიხია. 1533 წელს იმერეთის მეფე ბაგრატმა, დადიანმა და გურიელმა ჯიქეთი დალაშქრეს, თუმცა უშედეგოდ. 1535 წელს კი, სამცხის ათაბაგის წინააღმდეგ გაილაშქრეს. იმერეთის მეფემ სამცხე-საათაბაგო თავის სამეფოს შემოუერთა. ოსმალეთმა სამცხე-საათაბაგოში ლაშქრობები და მიწების მიტაცება გააქტიურა. 1545 წელს შემოჭრილ ოსმალებს სოხოისტასთან ქართლ-იმერეთის გაერთიანებული ლაშქარი დახვდა. ღალატის გამო ქართველები დამარცხდნენ. ამასიის ზავის შემდეგ ოსმალეთი ქართული მიწების საბოლოო დაკავებას შეუდგა.

1578 წელს ირან-ოსმალეთის ახალი ომი დაიწყო. დაუდ-ხანი ოსმალების მხარეზე გადავიდა და ციხეები ოსმალებს ჩააბარა, თვითონ კი, სტამბულში გაიქცა. შექმნილ ვითარებაში, ირანის შაჰმა სიმონ I ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად სამშობლოში დააბრუნა. ქართლის მეფეს ანტიოსმალური კოალიციის შექმნა სურდა და ამ მიზნით, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას ცდილობდა. ევროპას თავისი

ინტერესები ჰქონდა და საქართველოსათვის რეალური დახმარების აღმოჩენას არ ჩქარობდა.

1590 წელს ირან-ოსმალეთის ომი დასრულდა. სტამბულში დადებული ზავის თანახმად, ირანის შაჰი აბას I იძულებული გახდა მთელი ამიერკავკასია – საქართველო, აღმოსავლეთ სომხეთი, ჩრდილოეთ და სამხრეთ აზერბაიჯანი – ოსმალეთისთვის დაეთმო. სიმონ I თავს ვალდებულად არ თვლიდა, ზავის პირობები შეესრულებინა და ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლას აგრძელებდა. ოსმალები იძულებული გახდნენ ქრისტიანი სიმონი მეფედ ეცნოთ. 1599 წელს ქართველები აჯანყდნენ და 9-თვიანი ალყის შემდეგ გორის ციხე დაიბრუნეს. ოსმალებმა იცოდნენ, რომ ქართველები დიდმარხვაში ომს ერიდებოდნენ. სიმონმა სწორედ ამაზე ააგო ციხის აღების გეგმა. სულთანმა ქართლში აჯანყების ჩასახშობად თავრიზის ბეგლარ-ბეგი ჯაფარ-ფაშა გამოგზავნა. სოფელ ნახიდურთან უთანასწორო ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ და უკან დაიხიეს. სოფელ ფარცხისთან, ისევ მოღალატეთა დახმარებით, ჯაფარ-ფაშამ მეფე დაატყვევა და სტამბულში გაგზავნა. იედიყულეს ციხეში გამოკეტილი სიმონ მეფე 1611 წელს გარდაიცვალა. ქართველებმა გმირი მეფე დიდი პატივით ჩამოასვენეს და სვეტიცხოველში მამის – ლუარსაბ I-ის გვერდით დაკრძალეს. ტახტზე სიმონ I-ის ვაჟი გიორგი X (1600-1605 წწ.) ავიდა.

სიმონ I-ის თავგანწირულ ბრძოლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ოსმალები ქართლში ვერ გაბატონდნენ, სამცხე-საათაბაგოს გაოსმალებას კი, ენერგიულად შეუდგნენ. 1595 წელს მათ სამცხე-საათაბაგო აღწერეს და „გურჯისტანის ვილაიეთის (საქართველოს გუბერნიის) დიდი დავთარი" შეადგინეს. სამცხის მიწების დიდი ნაწილი ოსმალების ხელში გადავიდა. მიწისმფლობელობის უფლება მხოლოდ მას ჰქონდა, ვინც სამხედრო პირი იყო. სამხედრო სამსახურში შესვლა კი, მხოლოდ მაჰმადიანს შეეძლო. ქართველ ფეოდალებს ან მიწა უნდა დაეკარგათ, ან ქრისტიანობაზე უარი ეთქვათ. ქართველი ხალხი ოსმალთა წინააღმდეგ გმირულად იბრძოდა. XVI საუკუნის ბოლოს დაწყებული საქმე – ქართული მიწების მიტაცებისა და სამცხის გამუსულმანების პროცესი – ოსმალებმა მხოლოდ XVII საუკუნეში დაასრულეს. 1628 წელს ათაბაგის ადგილი ახალციხის ფაშამ დაიკავა. ახალციხის პირველი ფაშა ანუ ჩილდირის ბეგლარ-ბეგი ბექა (საფარ-ფაშა) ჯაყელი იყო. ახალციხის ფაშა მხოლოდ ჯაყელთა გამაჰმადიანებული წარმომადგენელი შეიძლებოდა გამხდარიყო. ოსმალებმა მათთვის გამონაკლისიც დაუშვეს – ოსმალური წესისაგან განსხვავებით, აქ თანამდებობა მემკვიდრეობით გადადიოდა. ოსმალთა მფლობელობაში აჭარაც მოექცა. XVII საუკუნის II

ნახევრიდან ლაზეთი და აჭარა ოსმალების ადმინისტრაციულ ერთეულებს შეადგენდა. ლაზეთი ტრაპიზონის ვილაიეთში შედიოდა. ოსმალთა სულთანი ცდილობდა აჭარა ახალციხის ფაშების მეშვეობით დაემორჩილებინა. ამიტომ ეს მხარე ჩილდირის ვილაიეთში შეიყვანა. ახალციხის ფაშები და აჭარელი ბეგები – ხიმშიაშვილები ერთმანეთს საუკუნეების განმავლობაში ებრძოდნენ. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილი სამშობლოს დიდი ხნით მოწყდა.

ამიერკავკასიაში ოსმალეთის გაბატონება განვითარების გზაზე დამდგარ რუსეთს არ აწყობდა. XVI საუკუნის შუა წლებში რუსებმა ყაზანის და ასტრახანის სახანოები შემოიერთეს და ვოლგა-ასტრახანის სავაჭრო გზაზე გაბატონდნენ. გარდა ამისა, რუსეთის მეფე ივანე IV-მ ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე თერგისა და სუნჯის შესართავთან ციხე ააგო და ჯარი ჩააყენა. ამიერკავკასიაში ოსმალთა გაბატონების შემდეგ, რუსეთს ირანთან და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან დამაკავშირებელი ვოლგა-ასტრახანის სავაჭრო გზა გადაეკეტა. XVI საუკუნის 80-იან წლებში რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა განსაკუთრებით გამწვავდა. ოსმალეთმა ჩრდილო კავკასიის დაპყრობაც სცადა. რუსეთი ამიერკავკასიაში მოკავშირეს ეძებდა. ქართველები პოლიტიკურ სიტუაციას კარგად აფასებდნენ. ჯერ კიდევ 1564 წელს ლევან კახთა მეფემ მოსკოვში ელჩები გაგზავნა. რუსეთში ქართველთა ელჩობის ჩასვლა სასარგებლოდ მიიჩნიეს. ივანე IV-მ ლევანს მფარველობა შესთავაზა და ჯარიც მისცა კახეთის ციხეებში ჩასაყენებლად. ირანისა და ოსმალეთის მოთხოვნით, ეს ურთიერთობა მალე შეწყდა.

XVI საუკუნის 80-იან წლებში რუსეთის და კახეთის ინტერესები ისევ გადაიკვეთა. სავაჭრო გზის უსაფრთხოების მიზნით, რუსეთი იძულებული გახდა დაღესტნელი ფეოდალების თარეში აელაგმა. ეს კახეთსაც სჭირდებოდა. 1585 წელს მოსკოვმა ალექსანდრე კახთა მეფეს კავშირი და მფარველობა შესთავაზა. 1586 წელს მოსკოვში საპასუხო ელჩობა გაიგზავნა. ალექსანდრე II რუსთა მეფისგან ჯარით დახმარებას, მეზარბაზნე ოსტატებსა და დანგრეული ეკლესიების აღსადგენად მხატვრებს ითხოვდა. რუსეთის მეფე თეოდორემ არც ერთი პირობა არ შეასრულა. მიუხედავად ამისა, 1587 წელს ალექსანდრესა და მოსკოვის ხელმწიფეს შორის „ფიცის წიგნი" გაფორმდა. კახთა მეფემ ერთგულების ფიცზე ხელი მოაწერა. სანაცვლოდ, 2 წლის შემდეგ, „წყალობის სიგელი" მიიღო. რუსეთს შორს მიმავალი მიზნები ჰქონდა. კახეთის სამეფოსთან მოკავშირეობას იგი არ აპირებდა.

კახეთი XVI საუკუნის ბოლოსათვის, ფაქტობრივად, სამი დიდი სახელმწიფოს – ირანის, ოსმალეთისა და რუსეთის – ვასალი გახდა.

თავი XXI
საქართველო XVII საუკუნეში

აღმოსავლეთ საქართველო. ირანის შაჰს აბას I-ს ოსმალეთთან 1590 წელს დადებული ზავი არ აკმაყოფილებდა და მის დასარღვევად ემზადებოდა. შაჰს არც კახეთ-რუსეთის ურთიერთობა სიამოვნებდა. ამიტომ საქართველოს საბოლოოდ განადგურება გადაწყვიტა. 1603 წელს აბას I-მა ოსმალების წინააღმდეგ ომი დაიწყო და ქართლ-კახეთის მეფეებს ერევნისათვის ბრძოლაში მონაწილეობა მოსთხოვა. ქართლის მეფე გიორგი შაჰს ეახლა, ალექსანდრე II-მ დააგვიანა. იგი შაჰის კარზე გამოცხადებას ყოყმანობდა, რითაც შაჰის გულისწყრომა დაიმსახურა. ირანის მბრძანებელმა ბრძოლაში დახმარებისათვის ქართველი მეფეები „უხვად დაასაჩუქრა". ირანში სოფლები უწყალობა და ჯამაგირი დაუნიშნა. სანაცვლოდ, ქართლის მეფეს ლორეს ციხე და დებედას ხეობა მოსთხოვა, კახეთის მეფეს კი, კაკ-ენისელის მხარე (საინგილო). შაჰ აბასმა ეს მხარეები საქართველოს ჩამოაცილა, ყიზილბაშური სახანოები შექმნა და თავის მოხელეებს (სულთნებს) დაუქვემდებარა. ამასთანავე, აქ თურქმანული ტომები ჩამოასახლა. ქართლმა სამხრეთის, კახეთმა კი, აღმოსავლეთის მხრიდან ტერიტორიები დაკარგა.

ირანის შაჰი სრულად ფლობდა ინფორმაციას რუსეთთან კახეთის მეფის ურთიერთობის შესახებ. ეს ურთიერთობა 1602 და 1604 წლებშიც გაგრძელდა. კახეთში ჩამოსული რუსთა ელჩობა დამოყვრებას ითხოვდა. ამავე მიზნით კახეთში ირანის ელჩიც იყო მოსული. შაჰმა ალექსანდრეს შირვანიდან ოსმალების განდევნა დაავალა. კახეთის მეფე თავს იკავებდა, არ იცოდა, ირან-ოსმალეთის ომში ვინ გაიმარჯვებდა, თან რუსეთი დაღესტანზე გალაშქრებას ჰპირდებოდა.

1605 წლის 12 მარტს, შაჰის დავალებით, ძეგამში სამხედრო თათბირზე ალექსანდრე II გამაჰმადიანებულმა შვილმა კონსტანტინემ მოკლა. თათბირს რუსეთის ელჩებიც ესწრებოდნენ. კონსტანტინე შაჰის კარზე მძევალი იყო და იქ გაიზარდა. მან არც ძმა გიორგი და არც კახელი დიდებულები დაინდო. შაჰმა კონსტანტინე კახეთის მეფედ გამოაცხადა. მაგრამ შეცდა. მამისმკვლელი კახელებმა მეფედ არ ცნეს და აჯანყდნენ. აჯანყებას სათავეში ქეთევან დედოფალი ჩაუდგა. ქეთევანი ალექსანდრე II-ის უფროსი ვაჟის დავითის თანამეცხედრე იყო. დავითმა მამა აიძულა ტახტიდან გადამდგარიყო და თვითონ გამეფდა, მაგრამ რამდენიმე თვეში გარდაიცვალა და ტახტზე კვლავ ალექსანდრე II დაბრუნდა. აჯანყებულ კახელებს ქართლის ლაშქარიც მიეშველა. კონსტანტინე

და მისი მცველი ყიზილბაშები ქართველებმა ამოხოცეს. ალექსანდრე მეფის ძმისწული ბაგრატ ბატონიშვილი კი, რუსეთს გაამგზავრეს.

1606 წელს შაჰი აბას I იძულებული გახდა ქართლისა და კახეთის ტახტზე ქრისტიანი მეფეები – 16 წლის თეიმურაზ I (დავითის ძე) და 14 წლის ლუარსაბ II (გიორგის ძე) დაემტკიცებინა. (ამავე პერიოდში ქართლის მეფე გიორგი მოულოდნელად გარდაიცვალა). ქვეყნის მდგომარეობა უცვლელი რჩებოდა – ქართლ-კახეთის ციხეებში მაჰმადიანები იდგნენ. 1612 წელს ირან-ოსმალეთის ომი დროებითი ზავით დამთავრდა. ეს შეთანხმება 1555 წლის ამასიის ზავის პირობებს იმეორებდა, იმ განსხვავებით, რომ სამცხე მთლიანად ოსმალეთს ჰქონდა მისაკუთრებული. აღმოსავლეთ საქართველო ირანს ერგო. შაჰმა ქართლ-კახეთისათვის მოიცალა. მას უნდოდა ეს სამეფოები მთლიანად მოესპო და აქ მუსლიმი მოსახლეობა ჩამოესახლებინა. ამასთან, აბას I-მა ქართლისა და კახეთის ბევრი სახელმწიფო მოღვაწე ირანში წაიყვანა. დარჩენილებს შორის კი, ინტრიგების ხლართვა დაიწყო.

1612 წელს ირანის მმართველმა თეიმურაზ I და ლუარსაბ II ირანში „სანადიროდ" დაიბარა. მეფეები არ წავიდნენ. ეს აჯანყებას უდრიდა. 1613 წელს შაჰი ოსმალეთზე გალაშქრების საბაბით ირანიდან დაიძრა, სინამდვილეში კი, კახეთის აოხრებას გეგმავდა. საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, თეიმურაზმა დედა და შვილები შაჰს მძევლად გაუგზავნა. აბასმა მძევლები ირანში გაისტუმრა და 1614 წელს კახეთში მაინც შემოიჭრა. ბრძოლაში კახელები დამარცხდნენ. წინააღმდეგობის გაწევის უნარი არც ქართლს შესწევდა. ქართლისა და კახეთის მეფეები დასავლეთ საქართველოში გადავიდნენ. შაჰმა კახეთიდან 30 ათასი ტყვე წაიყვანა და თან სამეფო განძეულობაც წაიღო. კახეთის მმართველად ირანში გაზრდილი ისა-ხანი (გიორგი, ალექსანდრეს II-ის ძის ვაჟი) დატოვა.

შემდეგ ირანის შაჰი ქართლში გადავიდა და იმერეთის მეფე გიორგის მასთან მყოფი თეიმურაზი და ლუარსაბი მოსთხოვა. გიორგიმ უარით უპასუხა. ქართლის დიდმა ფეოდალმა შადიმან ბარათაშვილმა შეძლო ლუარსაბი დაერწმუნებინა, შაჰს ხლებოდა. ლუარსაბი II ჯერ საპატიო ტყვე იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც გამაჰმადიანებაზე უარი განაცხადა, ირანელებმა გულაბის ციხეში გამოკეტეს.

თეიმურაზისა და ლუარსაბის ოსმალებთან დახმარების სათხოვნელად მიწერილი წერილების პასუხად, ოსმალეთის ლაშქარი 1615 წელს ირანის საზღვარს მიადგა. დავით ჯანდიერის მეთაურობით კახეთში აჯანყება დაიწყო. ჯანდიერი ისა-ხანის მოადგილედ იყო დანიშნული. კახელებმა ჯერ ალავერდის

ყიზილბაშური გარნიზონი ამოწყვიტეს, შემდეგ ირანიდან გამოგზავნილი 15 ათასიანი ლაშქარიც.

განრისხებული ირანის შაჰი 1616 წლის გაზაფხულზე საქართველოს კვლავ შემოესია. ქართლში დაუდ-ხანის შვილი ბაგრატ-ხანი (1616-1619წწ.) დატოვა, თვითონ კახეთში შეიჭრა და სასტიკად ააოხრა. აბას I-მა წლის ბოლოს კახეთი კიდევ დალაშქრა. მან იგივე 1617 წლის გაზაფხულზეც გაიმეორა. კახეთმა უდიდესი ზარალი ნახა. შაჰ აბასმა 200 ათასი კაცი ირანში გადაასახლა. მათი შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ფერეიდანსა და ირანის სხვა პროვინციებში. 1619 წელს შაჰ-აბასმა ქართლში მეფედ ბაგრატ ხანის შვილი სიმონი დასვა. დამხმარედ კი, ქართლის ყოფილი მოურავი გიორგი სააკაძე დაუნიშნა.

გიორგი სააკაძე და მისი წინაპრები სამეფო ტახტის აზნაურები იყვნენ. წყაროებში ეს გვარი XII-XIII საუკუნეებიდან ჩნდება. სააკაძეები XVI საუკუნის II ნახევარში განსაკუთრებით დაწინაურდნენ. გიორგის მამა სიაუშ სააკაძე სიმონ I-ის დროს თბილისის მოურავი იყო, ბიძა – სახლთუხუცესი. მათი საგვარეულო ციხეები ატენისა და თეძმის ხეობებში მდებარეობდა. გიორგი სააკაძე ჯერ ქართლის მეფე სიმონ I-თან, შემდეგ გიორგი X-თან ერთად იბრძოდა. ლუარსაბ II-ის მეფობის დროს იგი უკვე თბილისის მოურავად იხსენიება.

გიორგი სააკაძემ თავი 1609 წელს ტაშისკარის ბრძოლაში გამოიჩინა. 1608 წელს სამცხის ათაბაგის ქვრივი, სიმონ I-ის ასული ელენე შვილთან – მანუჩართან ერთად შაჰ აბას I-ს ეახლა და ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება სთხოვა. შაჰმა მათ მხოლოდ მცირე რაზმი გაუგზავნა. ლაშქრის ძირითად ნაწილს ქართველები შეადგენდნენ. ელენემ ოსმალებისაგან ახალციხის გათავისუფლება დროებით მოახერხა. ოსმალებმა სამცხე კვლავ დაიპყრეს და ქართლის დასჯა გადაწყვიტეს. 1609 წელს ოსმალთა მრავალათასიანი არმია ქართლში შემოიჭრა. ლუარსაბ II ცხირეთის ციხეში იყო გამაგრებული. მტერს გზა მღვდელმა თევდორემ შეცდომით მიასწავლა და ციხისაგან შორს წაიყვანა. ოსმალებმა ხუცესი წამებით მოკლეს. ქართველებმა დრო მოიგეს და ოსმალები სასტიკად დაამარცხეს. ბრძოლას გიორგი სააკაძე სარდლობდა. ოსმალთა ლაშქრის 2 სარდალი ტყვედ ჩავარდა.

გიორგი სააკაძეს საქართველოს გაერთიანება აზნაურებზე დაყრდნობით სურდა. მას მომხრეები თავადებს შორისაც ჰყავდა. აზნაურთა სურვილი თავადთა ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. თავადებს საქართველოს გაერთიანება მეფე-მთავართა კავშირად ჰქონდათ წარმოდგენილი. ამიტომ ორი ჯგუფი ერთმანეთს დაუპირისპირდა. 1611 წელს ლუარსაბ II-მ ცოლად სააკაძის და შეირთო. თავადებსა

და გიორგი სააკაძეს შორის ურთიერთობა გამწვავდა. თავადებმა შეძლეს, მეფე სააკაძის დალატში დაერწმუნებინათ. ლუარსაბი დედოფალს გაშორდა და დიდებულებს სააკაძის მოკვლის დასტური მისცა. 1612 წელს შეთქმულებმა მოურავი წავკისს დაიბარეს, რათა მოტყუებით მოეკლათ. სააკაძე მისმა ერთ-ერთმა მომხრემ გააფრთხილა. ქართლისა და დვალეთის მოურავი იძულებული გახდა ირანში გადახვეწილიყო. 1619 წელს სააკაძე, ფაქტობრივად, ქართლის გამგებელი გახდა.

კახეთს ყიზილბაში ფეიქარ-ხანი მართავდა. თეიმურაზ I ოსმალეთში იმყოფებოდა. იგი ყოველმხრივ ცდილობდა კახეთიდან ირანელების განდევნას. პარალელურად შემწეობას რუსეთსაც სთხოვდა. ოსმალებმა გამარჯვებას ვერ მიაღწიეს, არც რუსეთს ეცალა თეიმურაზის დასახმარებლად. კახეთის მეფის კავშირებმა შაჰი უკიდურესად განარისხა. მან ჯავრი მეფის ოჯახის წევრებზე იყარა. 1620 წელს თეიმურაზის შვილები ლევანი და ალექსანდრე დაასაჭურისა. უმცროსი ვაჟი გარდაიცვალა, უფროსი კი – ჭკუიდან შეიშალა. შაჰ აბასმა ქეთევან დედოფალს გამაჰმადიანება მოსთხოვა. ქეთევანი კახეთის აჯანყების მეთაური იყო. ქართველთა შორის ავტორიტეტი ჰქონდა. მისი გამაჰმადიანება ქართველების სულიერ გატეხვას მოასწავებდა. 1624 წლის სექტემბერში ქეთევანი ირანში სასტიკად აწამეს. იგი ხალხის თვალწინ გააშიშვლეს და ცხელი შანთებით დადაღეს, შემდეგ მკერდი დააგლიჯეს, თავზე ცხელი ლურსმნებით სავსე ქვაბი დაახურეს, ბოლოს ნაკვერჩხალები დააყარეს და დაწვეს. დედოფალმა ქრისტე არ უარყო. ქართულმა ეკლესიამ ქრისტიანობისათვის და სამშობლოსათვის წამებული დედოფალი წმინდანად შერაცხა (მისი ხსენების დღე 26 სექტემბერია). ქართველი დედოფლის წამებას ირანში მყოფი ევროპელი ელჩებიც ესწრებოდნენ. ქეთევანის სახელი მთელ მსოფლიოს მოედო. 1622 წელს შაჰის ბრძანებით მშვილდის საბელით დაახრჩვეს ქართლის მეფე ლუარსაბ II, რომელმაც გამაჰმადიანებაზე უარი განაცხადა. ქართულმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა.

ჯერ მეფე ლუარსაბის, შემდეგ ქეთევანის გმირობამ ქართველებს ძალა შეჰმატა. ფეიქარ-ხანმა შაჰს კახელების აჯანყებისათვის მზადების შესახებ შეატყობინა. არც ქართლი იყო მშვიდად. 1624 წლის ბოლოს ირანის შაჰმა გიორგი სააკაძე და მისი ცოლის ძმა ზურაბ არაგვის ერისთავი ირანში გაიწვია.

1625 წელს ირანელთა ჯარი ყარჩიხა-ხანის სარდლობით საქართველოსაკენ გამოეშურა. მათ სიმონ-ხანისათვის საცოლე მოჰყავდათ. სინამდვილეში, ყარჩიხა-ხანს ქართველების გაწყვეტა, გადარჩენილების კი, ირანში ჩარეკვა ევალებოდა. ყარჩიხა-ხანის მრჩევლად გიორგი სააკაძე იყო დანიშნული. მას ზურაბ ერისთავიც

ახლდა. როგორც ჩანს, შაჰი ქართველებს ბოლომდე არ ენდობოდა, ამიტომ ირანში გიორგის უმცროსი ვაჟი პაატა და ზურაბის მეუღლე მძევლებად დაიტოვა. შაჰის საიდუმლო განზრახვა გამჟღავნდა. ქართლ-კახეთი აჯანყდა. 1625 წლის ხარება დღეს, ძვ. სტილით 25 მარტს, მარტყოფის ველზე დაბანაკებულ მტერს ქართველთა რაზმები მიუახლოვდა. ირანელთა სარდლობამ თავი სასწრაფოდ მთავარსარდლის ბანაკში მოიყარა, სააკაძესაც უხმეს. გიორგი სააკაძემ და მისმა თანამებრძოლებმა მტრის ჯარის მეთაურები გაწყვიტეს. უსარდლოდ დარჩენილ ყიზილბაშებს ქართველები ადვილად გაუსწორდნენ. 30 ათასი ყიზილბაშიდან მხოლოდ 3 ათასმა მოასწრო გაქცევა. აჯანყებულებმა ქართლ-კახეთი ყიზილბაშებისაგან თითქმის მთლიანად გაწმინდეს. თეიმურაზი, რომელიც გონიოს ციხეში იმყოფებოდა და რუსეთში წასასვლელად ემზადებოდა, მოიწვიეს და გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფოს ტახტზე დასვეს. აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ამოწყვეტას გადაურჩა. განრისხებულმა შაჰმა მძევლები დაახოცინა. პაატა წამებით მოკლეს. მისი მოკვეთილი თავი მამას გამოუგზავნეს საქართველოში.

სააკაძე ოსმალთა დახმარებით ირანში შეჭრას და იმპერიის დამხობას აპირებდა. ოსმალებმა მის გეგმას მხარი არ დაუჭირეს. შაჰმა უზარმაზარი არმია შეკრიბა და თავისი სიძის, ისა-ხან ყორჩიბაშის მეთაურობით ქართველების დასასჯელად გამოგზავნა. 1625 წლის ივნისის ბოლოს მტერი მარაბდის ველზე დაბანაკდა. გიორგი სააკაძის გეგმით, ქართველებს ბრძოლა კოჯორ-ტაბახმელას ვიწროებში უნდა გაემართათ. მაგრამ სამხედრო თათბირზე მას მხარი არ დაუჭირეს. ბრძოლა 1 ივლისს მარაბდის ველზე მოხდა. სიცხემ და მტრის რიცხობრივმა უპირატესობამ გაშლილ ველზე ყიზილბაშების სასარგებლოდ იმოქმედა. ქართველები დამარცხდნენ. ბრძოლაში 10 ათასი ქართველი დაიღუპა. თუმცა, 14 ათასი ყიზილბაშიც განადგურდა. ბრძოლაში ცხრა ძმა ხერხეულიძე, ცხრა მაჩაბელი, შვიდი ჩოლოყაშვილი, თეიმურაზ მუხრანბატონი და სხვები გმირულად დაეცნენ. ქართველებმა იარაღი არ დაყარეს და მტერს პარტიზანული ბრძოლები გაუმართეს. 30 000-მდე ყიზილაბაში ამოწყვიტეს. სულ 1625 წელს ირანელებმა საქართველოში 60 000 მეომარი დაკარგეს. ეს შაჰ აბას I-ის ლაშქრის ნახევარი იყო. მთელი ირანის მხედრობა 120 000 მეომარს ითვლიდა. შაჰს გამარჯვება ძვირად დაუჯდა. იგი იძულებული გახდა გეგმის განხორციელებაზე ხელი აეღო და აღმოსავლეთ საქართველოს შესანარჩუნებლად მოღალატე თავადებს დაკავშირებოდა. საჩუქრებსა და თანამდებობებს დახარბებულმა ქართველებმა შაჰის მხარე დაიკავეს. თეიმურაზი იმერეთში გადავიდა. გიორგი

სააკაძე – სამცხეში, საიდანაც ოსმალებთან, იმერეთის მეფე გიორგისთან და სამეგრელოს მთავარ ლევან დადიანთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა.

1626 წელს თეიმურაზ I-მა და გიორგი სააკაძემ ქართლ-კახეთის ციხეებიდან ყიზილბაშების განდევნა ისევ შეძლეს. მხოლოდ თბილისის ციხე და ქვემო ქართლი რჩებოდა მტრის ხელში. მაგრამ სააკაძის მოწინააღმდეგე თავადებმა შეძლეს ეჭვიანი თეიმურაზი მოურავის ღალატში დაერწმუნებინათ. 1626 წელს ბაზალეთის ტბასთან სამარცხვინო ძმათაშორისი ბრძოლა გაიმართა. სააკაძე და მისი მომხრეები დამარცხდნენ და ოსმალეთში გადაიხვეწნენ.

1629 წლის ოქტომბერში გიორგი სააკაძე და მისი მხლებლები ოსმალებმა მოღალატურად დახოცეს. იმავე წელს გარდაიცვალა შაჰი აბას I. ირანის ტახტზე შაჰ-სეფი I ავიდა. 1631 წელს თეიმურაზ I-მა ზურაბ ერისთავს სიმონ-ხანი მოაკვლევინა. შემდეგ ურჩი ფეოდალის თავიდან მოცილება გადაწყვიტა და ზურაბის მოკვეთილი თავი შაჰს გაუგზავნა. ვითომ სიმონ-ხანის სიკვდილის გამო დასაჯა. მაგრამ შაჰის ნდობა მაინც ვერ დაიმსახურა, რადგან მხარს შაჰის აჯანყებულ მოხელეს უჭერდა. 1632 წელს ირანის ახალმა მბრძანებელმა ქართლის მეფედ გამაჰმადიანებული ქართველი ქაიხოსრო ბატონიშვილი (ირანში ხოსრო-მირზა) ანუ როსტომ-ხანი (1632-1658წწ.) დანიშნა. თეიმურაზი იმერეთში გადავიდა.

როსტომ-ხანი სიმონ I-ის ძმის – დაუდ-ხანის უკანონო შვილი იყო. ქართლში გამეფებისას იგი 67 წლის ყოფილა. როსტომ-ხანი მამაცი მებრძოლი და ჭკვიანი მმართველი გამოდგა. არც ქრისტიანობის დევნა დაუწყია. მან ცოლად სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის და მარიამი მოიყვანა და თეიმურაზთანაც მოახერხა შერიგება. შაჰმა ქრისტიანი თეიმურაზი კახეთის მეფედ ცნო. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. თეიმურაზი ქართლიდან როსტომის გაძევებას ცდილობდა, თან რუსეთს სამხედრო დახმარებას სთხოვდა. 1639 წელს მან რუსეთის მეფის ერთგულებაზეც კი დაიფიცა. თეიმურაზის ყველა ცდა მარცხით დამთავრდა.

1603 წელს დაწყებული ირან-ოსმალეთის ომი 1639 წელს 1555 წლის ზავის პირობებით დასრულდა. დასავლეთ საქართველო ოსმალებს, აღმოსავლეთ საქართველო – ირანს ერგო, იმ განსხვავებით, რომ სამცხეს მთლიანად ოსმალეთი დაეპატრონა. შაჰმა კახეთიც როსტომ ხანს უბოძა. როსტომს რამდენჯერმე ჰქონდა თეიმურაზის დატყვევებისა და დასჯის საშუალება. მაგრამ თეიმურაზის ბრძოლა ირანს აიძულებდა როსტომისადმი დამთმობი ყოფილიყო. ქართლ-კახეთში მშვიდობა დამყარდა. თეიმურაზის ერთადერთ იმედად რუსეთი რჩებოდა. თუმცა, მის ელჩობებს რუსთა მხრიდან რეალური დახმარება არ მოჰყოლია. 1653 წელს თეიმურაზმა შვილიშვილი ერეკლე რუსეთში გაგზავნა. 1658 წელს კი თვითონაც

გაემგზავრა. ეს ვიზიტიც უშედეგოდ დასრულდა. 1661 წელს იმერეთში დაბრუნებული თეიმურაზი ბერად აღიკვეცა. მალე იგი დიდი ამალით ირანში გაემგზავრა, სადაც 1663 წელს ასტრაბადის ციხეში გარდაიცვალა.

1653 წელს უშვილო როსტომმა მემკვიდრედ ბაგრატიონების გვერდითი შტოს – მუხრანბატონების წარმომადგენელი ვახტანგი აირჩია. 1658 წელს როსტომი გარდაიცვალა. ირანის შაჰმა მეფობა ვახტანგს V შაჰნავაზს უბოძა.

ბახტრიონის აჯანყება. 1642 წელს ირანის ტახტზე შაჰი აბას II (1642-1666 წწ.) ავიდა. მან შაჰ-აბას I-ის გეგმის განხორციელება გადაწყვიტა. 1656 წელს კახეთი როსტომს ჩამოართვა და განჯის ხანს დაუქვემდებარა. კახეთში თურქმანთა 15 000 ოჯახი ჩამოასახლა. მათ დასაცავად ირანელებმა ალავერდის მონასტერი ციხესიმაგრედ გადააკეთეს და ყიზილბაშთა გარნიზონი ჩააყენეს. სოფელ ბახტრიონში კი, ახალი ციხე ააგეს. ეს ციხე კახეთის მთიანეთიდან ბარში ჩამოსასვლელ გზებს აკონტროლებდა. მესამე ციხე ყიზილბაში ხანების რეზიდენცია – ყარაღაჯი უნდა ყოფილიყო. ჩამოსახლებული თურქმანები, ძირითადად, მესაქონლეობას მისდევდნენ. კახეთის მთასა და ბარს გადაშენების საფრთხე დაემუქრა. 1660 წელს კახეთში აჯანყება დაიწყო. აჯანყების ხელმძღვანელი ზაალ არაგვის ერისთავი იყო. უშუალო მეთაურები კი ბიძინა ჩოლოყაშვილი, ალავერდელი ეპისკოპოსი, ქართლიდან – შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები იყვნენ. კახეთის მთიანეთის მოსახლეობას თუში ზეზვა გაფრინდაული, ხევსური ნადირა ხოშარაული და ფშავი გოგოლაური ხელმძღვანელობდნენ.

აჯანყებულებმა ბახტრიონისა და ალავერდის ციხეებს ერთდროულად შეუტიეს. მათ 80 ათასი თურქმანი და ყიზილბაშთა გარნიზონი გაწყვიტეს. შაჰს დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნის თავი არ ჰქონდა. აჯანყების მიზანი მიღწეული იყო. კახეთის მოსახლეობა ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა. ირანის შაჰმა წყენა არ დაივიწყა. მისი ბრძანებით ზაალ არაგვის ერისთავი მოკლეს. ზაალის შვილები კი შაჰს გაუგზავნეს. ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებიც შაჰს ეახლნენ და პატიება სთხოვეს. აბას II-მ ისინი თურქმანთა იმ ტომებს გადასცა, რომელთა, ასე ვთქვათ, ნათესავები ბახტრიონის აჯანყების დროს ამოწყდნენ. თურქმანებმა ქართველი გმირები საშინელი წამებით ამოხოცეს. საქართველოს ეკლესიამ ისინი წმინდანებად შერაცხა.

ქართლის მეფე ვახტანგ V შაჰნავაზს აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია. იგი როსტომის პოლიტიკას აგრძელებდა და ქართლ-კახეთის გაერთიანებას მშვიდობიანი გზით ცდილობდა. მეფემ შაჰის ბრძანებით, მეორე ცოლად როსტომის

ქვრივი შეირთო. შაჰნავაზი როსტომ-ხანივით მაჰმადიანი იყო, მაგრამ რეალურად ქართლის ეკლესიის განმტკიცებას უწყობდა ხელს. ვახტანგი იმერეთის სამეფოს შემოერთებასაც ცდილობდა. დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებთან ბრძოლის შემდეგ, მან 1661 წელს ვაჟი, 14 წლის არჩილი, იმერეთის მეფედ გამოაცხადა. ფაქტობრივად, ვახტანგს მთელი დასავლეთ საქართველო ემორჩილებოდა. მაგრამ ეს ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა. 1639 წლის ზავის თანახმად, დასავლეთ საქართველო ოსმალეთს ეკუთვნოდა. ამიტომ შაჰის მოთხოვნით, არჩილი იმერეთიდან ირანში გაგზავნეს. შაჰმა არჩილი გაამაჰმადიანა, შაჰ ნაზარ-ხანი უწოდა, შემდეგ კი კახეთის მეფობაც უბოძა. კახეთში გამეფებას თეიმურაზ I-ის შვილიშვილი, 1662 წელს რუსეთიდან ჩამოსული ერეკლე ბატონიშვილი ცდილობდა. იგი ვახტანგისა და არჩილის წინააღმდეგ ბრძოლებში დამარცხდა და 1666 წელს ისევ რუსეთში წავიდა. არჩილმა ცოლად თეიმურაზ I-ის შვილიშვილი ქეთევანი შეირთო, მეფედ მისი ყოფნა კახელებისათვის უფრო მისაღები რომ ყოფილიყო. ვახტანგ V და მისი ძე არჩილი ცდილობდნენ ქვეყანა ეკონომიკურად განევითარებინათ. ამ კუთხით გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს. ქართლ-კახეთის მოდონიერება ირანს არ მოეწონა. ახალმა შაჰმა სულეიმანმა (1666-1694 წწ.) რუსეთიდან ერეკლე ბატონიშვილი მოიწვია. არჩილმა კახელებს თავი დაანება და იმერეთში გამეფება ოთხჯერ (1678-1679, 1690-1691, 1695-1696, 1698 წწ.) სცადა, თუმცა ოთხივეჯერ გამოძევებულ იქნა. დახმარებისათვის მან რამდენჯერმე რუსეთს მიმართა, მაგრამ უშედეგოდ. 1699 წელს არჩილი რუსეთში გადასახლდა, სადაც მოსკოვის გარეუბანში, სოფელ ვსეხსვიატსკოეში სამეცნიერო და ლიტერატურულ მოღვაწეობას მიჰყო ხელი. არჩილი 1713 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია მოსკოვის დონის მონასტერში. მისი ვაჟი ალექსანდრე რუსეთის იმპერატორ პეტრე I-ის უახლოესი მეგობარი და რუსეთის პირველი ფელდცხმაისტერი (არტილერიის გენერალი) გახდა.

კახეთი ისევ ვახტანგ V-ს ემორჩილებოდა. 1675 წელს ირანში მიმავალი, იგი გზაში გარდაიცვალა. მის ნაცვლად ქართლის გამგებლად დანიშნული მეორე ვაჟი – გიორგი XI ირანელებმა გაამაჰმადიანეს, შაჰ-ნაზარ ხანი უწოდეს და 1677 წელს ქართლის ტახტი ისევ დაუმტკიცეს. იმავე წელს, კახეთში ყიზილბაში მმართველი დასვეს. გიორგი კახეთის დაპყრობას და დამოუკიდებლობას ესწრაფვოდა. ამიტომ შაჰმა იგი ტახტიდან გადააყენა და ქართლის მეფედ თეიმურაზ I-ის შვილიშვილი, გამაჰმადიანებული ერეკლე I ნაზარალი-ხანი (1688-1703 წწ.) დაამტკიცა. ერეკლემ მეფობა ვერ შეძლო.

1703 წელს შაჰმა ქართლის მეფედ ისევ გიორგი XI დაამტკიცა, მაგრამ ირანში დატოვა და ავღანელთა წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნა. გიორგის თხოვნით, ქართლში მის მოადგილედ ვახტანგ ლევანის ძე გამოგზავნეს.

იმავე წელს, ერეკლე I ირანში გაიწვიეს და კახეთის მეფობა უბოძეს. თუმცა, ისიც ირანში დატოვეს. კახეთში კი, მის მოადგილედ მისივე ვაჟი დავითი – იმამ ყული-ხანი გამოგზავნეს.

დასავლეთი საქართველო. XVII საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები ოსმალთა აგრესიის წინააღმდეგ შეთანხმებულად მოქმედებდნენ. ამავე მიზნით, ისინი უკრაინელ კაზაკებსაც დაუკავშირდნენ. მაგრამ ანტიოსმალური კოალიციის მოწყობის ცდებს რეალური შედეგი არ მოჰყვა. ოსმალეთმა გურიისა და სამეგრელოს დამორჩილების მიზნით, შავი ზღვის სანაპიროების ბლოკადა მოაწყო: შეწყდა მარილისა და რკინის შემოზიდვა. გურიელმა და დადიანმა ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ ოსმალებთან ზავს ხელი მოაწერეს და ხარკი იკისრეს. სულთნის მოხარკე იყო იმერეთის სამეფოც. მიუხედავად ამისა, სამეფო-სამთავროები დამოუკიდებელ საშინაო პოლიტიკას ატარებდნენ და აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს განმათავისუფლებელ ბრძოლებს მხარს უჭერდნენ.

მალე დასავლეთ საქართველოში ატეხილმა ფეოდალურმა შინაომებმა ქვეყანა საგრძნობლად დაასუსტა. ერთ მხარეს – იმერეთის მეფე იდგა, მეორე მხარეს – დადიანი, გურიელი და შერვაშიძე. ამასთან, ეს მთავრები ერთმანეთსაც გაუთავებელად ებრძოდნენ. სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა (1611-1657 წწ.) შეძლო გურია და აფხაზეთი დაემორჩილებინა. მისი გარდაცვალების შემდეგ ოდიშის (ანუ სამეგრელოს) მდგომარეობა გაუარესდა. გაძლიერებული გურიელი და შერვაშიძე სამეგრელოს სამთავროს თავს ესხმოდნენ. 1694 წელს დადიანთა მმართველობა დამთავრდა. 1704 წლიდან ოდიშის სამთავროს ტახტზე ჩიქოვანები დამკვიდრდნენ. აფხაზეთის ფეოდალებმა ოდიშის დასუსტებით ისარგებლეს და თანდათანობით მდინარე კოდორიდან მდინარე ენგურამდე ტერიტორია დაიკავეს. იმერეთის ტახტისათვის ხანგრძლივმა ბრძოლამ დასავლეთ საქართველო გაჩანაგების პირას მიიყვანა – განადგურდა სოფლები და ქალაქები, შემცირდა მოსახლეობა, შეირყა ქრისტიანული სარწმუნოება. მაგრამ ყველაზე დიდი ეროვნული უბედურება ტყვეთა გაყიდვა იყო. საქართველოს მოსახლეობის საუკეთესო ნაწილი უცხოეთის ბაზრებზე მონებად იყიდებოდა. ოსმალები „ტყვის სყიდვას" ყველანაირად ხელს უწყობდნენ და აქეზებდნენ კიდეც. მრავალი ნივთი, რომლის შეძენაც ფეოდალებს სურდათ, თურქ ვაჭრებთან მხოლოდ ტყვეებზე

იცვლებოდა. ტყვეებით ვაჭრობამ დასავლეთ საქართველოში ოსმალთა გაბატონება დააჩქარა. 1609 წელს ოსმალებმა ქუთაისის ციხე დაიკავეს. XVII საუკუნის ბოლოს კი, საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს თითქმის ყველა ციხე მათ ხელში იყო.

სამცხე-საათაბაგო უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ირან-ოსმალეთის 1605-1619 წლების ომი 1619 წელს ზავით დამთავრდა. ირანმა ოსმალეთს სამცხე დაუთმო. მაგრამ ეს დროებითი უკანდახევა იყო. 1626 წელს შაჰმა ახალციხის გამგებლად საკუთარი მოხელე დანიშნა. მანუჩარ ათაბაგი სტამბოლს გაემგზავრა. სულთანს ახალციხეში ირანის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მეთაური სჭირდებოდა. ქრისტიან მანუჩარს მან ათაბაგობა უბოძა. უკან დაბრუნებული მანუჩარი ბიძამ, ბექამ მოწამლა. ბექა, იგივე საფარ-ფაშა, ჩილდირის (ახალციხის) გამგებელი გახდა (1628-1651 წწ.).

XVII საუკუნის დასასრულისათვის საქართველოს ტერიტორიის მესამედი დაკარგული ჰქონდა. მოსახლეობა განახევრდა. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოებრიობა შენარჩუნებული იყო. ხალხი თავისუფლებისათვის ბრძოლას აგრძელებდა.

თავი XXII

საქართველო XVIII საუკუნის I ნახევარში

გიორგი XI ყანდაარის მბრძანებელი და ირანის ჯარების მთავარსარდალი გახდა. შაჰმა იგი ავღანეთის მმართველად დატოვა. მასთან ერთად ავღანეთში 20 ათასამდე ქართველი მოლაშქრე იყო. ქართველებმა ირანზე ავღანელთა თავდასხმები შეაჩერეს, სანაცვლოდ ავღანელთა სიძულვილი დაიმსახურეს. ყანდაარელთა განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური მირ-ვეისი გიორგიმ შეიპყრო და შაჰს გაუგზავნა. შაჰის კარზე ტყვეობა ავღანელმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა: გიორგი XI-სა და ისპაჰანში ჩასული რუსეთის ელჩის ურთიერთობაზე ხმებს ავრცელებდა. როგორც ჩანს, ამან შაჰზე გავლენა იქონია და ცბიერი ავღანელი ყანდაარში დააბრუნეს. 1709 წელს მირ-ვეისმა გიორგი XI-ს თავის ქალიშვილზე დაქორწინება შესთავაზა და ნადიმზე მიიპატიჟა. მეფე და მასთან მყოფი ქართველი მეომრები მუხანათურად ამოხოცეს. მირ-ვეისმა გიორგის მკერდზე ჯვარი ახსნა და მეფის ორგულობის ნიშნად შაჰს გაუგზავნა.

ქართლის ახალი მეფე ქაიხოსრო (1709-1711წწ.) შაჰმა ირანს გაიწვია და მხედართმთავრობა ჩააბარა. ქართლის გამგებლად კვლავ ბატონიშვილი ვახტანგი დარჩა.

1711 წელს მეფე ქაიხოსრო-ხანიც ავღანელთა წინააღმდეგ ბრძოლას შეეწირა.

ქართლის ჯანიშინი ეროვნულ პოლიტიკას ატარებდა. ეს, რასაკვირველია, ირანის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. მაგრამ ქართლის მეფე ავღანელთა ტომებს ებრძოდა და შაჰი იძულებული იყო ვახტანგისათვის ხელი არ შეეშალა. ვახტანგმა სამეფო კარზე განათლებული და ერთგული ადამიანები შემოიკრიბა. მან მოახერხა, რომ 1705 წელს საეკლესიო კრებას ქართლის კათალიკოსად მისი ძმა დომენტი აერჩია. ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების მიზნით, ვახტანგმა ე.წ. „მცველთა ჯარი" შექმნა. ამ ჯარს ჯამაგირი სახელმწიფო ხაზინიდან ეძლეოდა და დიდი უფლებები ჰქონდა. ფაქტობრივად, ეს დიდგვაროვანი ფეოდალების წინააღმდეგ იყო მიმართული, რამაც, ბუნებრივია, ფეოდალთა გულისწყრომა გამოიწვია.

ვახტანგმა ქართლის ჩრდილოეთი საზღვარიც გაამაგრა. 1707 და 1711 წლებში მან ოსეთი დალაშქრა და ეს მხარე შემოიმტკიცა.

გარდა ამისა, ვახტანგმა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები გაატარა. მაგალითად, 1709 წელს თბილისში სტამბა დააარსა. 1709-1712 წლებში სტამბაში 14 წიგნი დაიბეჭდა – 11 სასულიერო, 2 სასწავლო სახელმძღვანელო და „ვეფხისტყაოსანი".

XVIIII საუკუნის დასაწყისში „გურჯისტანის ვალის" ერთგულებას ირანის შაჰებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ვალი ანუ ქართლის მეფე, ამავე დროს, ირანის მთავარსარდალი და ავღანეთის მბრძანებელიც იყო. ქაიხოსროს გარდაცვალების შემდეგ, შაჰის არჩევანი ჯანიშინზე შეჩერდა. 1712 წელს ვახტანგი ტახტზე დასამტკიცებლად ირანში გაიწვიეს. მან თან დიდი ამალა წაიყვანა. მათ შორის სულხან-საბა ორბელიანიც იყო. ვახტანგმა იცოდა, რომ გამეფების სანაცვლოდ, შაჰი გამაჰმადიანებას მოსთხოვდა. შაჰისათვის „გურჯისტანის ვალის" მიერ ირანის ოფიციალური რელიგიის აღიარება ბევრს ნიშნავდა. ამით ირანი რუსეთისა და ოსმალეთის წინაშე თავის უპირატესობას ხაზს უსვამდა. თავდაპირველად, ვახტანგი მაჰმადიანობის მიღებაზე უარს აცხადებდა. ქართლის გამგებლად მან თავისი უმცროსი ძმა სიმონი დატოვა. ახალი გამგებელი ვახტანგს მალე განუდგა. კათალიკოს დომენტის კი, მეფობა „მოუნდა". ქართლი საშინლად აირია. შაჰმა მეფობა ვახტანგის ძმას – იესე ალი-ყული ხანს უბოძა. ანტიქართული პოლიტიკით იესემ ირანელ მოხელეებს გადააჭარბა. მას ვახტანგის უფროსი ვაჟი

ბაქარი დაუპირისპირდა. იესეს თხოვნით, იგი ირანელებმა დააპატიმრეს. ვახტანგს მაინც არ უნდოდა შაჰის სურვილს დამორჩილებოდა.

ქართველებმა მფარველის მოძებნა ევროპის ქვეყნებში სცადეს. სულხან-საბა ორბელიანი ჯერ რომის პაპ კლიმენტი XI-ს ეწვია. პაპმა სულხან-საბას მხარი დაუჭირა და საფრანგეთის იმპერატორ ლუი XIV-თან უშუამდგომლა. მანამდე, ჯერ კიდევ 1708 წელს ირანმა და საფრანგეთმა სავაჭრო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. საფრანგეთი ქართველი მეფის გულის მოსაგებად ირანის შაჰს, რასაკვირველია, არ დაუპირისპირდებოდა. 1715 წელს სულხან-საბა ორბელიანი უშედეგო ელჩობიდან დაბრუნდა.

1716 წელს ვახტანგმა მაჰმადიანობა „აღიარა". ჩვეულებისამებრ, შაჰმა მეფე ირანში დატოვა. ქართლი კი, გამაჰმადიანებულ ბაქარს – შაჰ ნავაზ-ხანს გადასცა საგამგებლოდ. მალე ირანის შაჰი იძულებული გახდა ვახტანგ VI საქართველოში დაებრუნებინა. ირანში დიდი ვაზირი ფათალი ხანი მოკლეს. იგი წარმოშობით დაღესტნიდან იყო და სამშობლოში ავტორიტეტით სარგებლობდა. მისი სიკვდილით უკმაყოფილო დაღესტნელთა მოთარეშე რაზმები ირანის პროვინციებს – განჯას, დარუბანდს, შემახიასა და ქართლ-კახეთს შეესივნენ. 1719 წელს შაჰმა ვახტანგი ლეკთა თარეშის ასალაგმად საქართველოში დააბრუნა. იმავე წლის დეკემბერში ვახტანგი კახეთის მეფეს შეხვდა. ქართველმა მეფეებმა დაღესტნელთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივი გეგმა შეიმუშავეს. 1720 წელს კახეთში ქართლის მოწინავე სადროშოს – საბარათიანოს ლაშქარიც გაიგზავნა. დავით-იმამყული ხანმა ჭარ-ბელაქანზე გალაშქრება მაინც ვერ გაბედა. ქართლის ლაშქარი უკან დაბრუნდა. ლეკების წინააღმდეგ საბრძოლველად შირვანის, ყარაბაღის, შემახიასა და ერევნის სახანოებიც მზად იყო. ვახტანგი აქტიური ქმედებისგან ჯერ-ჯერობით თავს იკავებდა. 1721 წელს შაჰმა ვახტანგი სამხრეთ აზერბაიჯანის სპასალარად დანიშნა. ქართველი მეფე ირანის იმპერიის ჩრდილოეთი ნაწილის სამხედრო ხელისუფალი გახდა. ვახტანგმა ლეკებს დიდი ლაშქრით შეუტია და აზერბაიჯანული პროვინციებიდან განდევნა. ლეკები ჭარ-ბელაქანში გამაგრდნენ და ვახტანგს შაჰის მორჩილება აღუთქვეს. ვახტანგმა გადაწყვიტა, საბოლოოდ გაენადგურებინა ლეკები: მათი პლაცდარმი – ჭარ-ბელაქანი მოესპო. მთავარსარდლის ამ სურვილმა შაჰი შეაშფოთა. ქართლის მეფის ასეთი გაძლიერება მის ინტერესებში არ შედიოდა. შაჰმა ვახტანგს ლაშქრობის შეწყვეტა უბრძანა. განრისხებულმა მეფემ საჯაროდ დაიფიცა, აღარასოდეს შეესრულებინა შაჰის ბრძანება. ირანის მბრძანებლის ამ გადაწყვეტილებამ სომეხთა გულისტკივილიც გამოიწვია. XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე სომეხმა

მოღვაწეებმა ტიგრან მინასიანმა და ისრაელ ორიმ სომხეთის გათავისუფლების საკითხი კვლავ წამოსწიეს. მათ სურდათ ქართულ-სომხური თანასწორუფლებიანი სამეფო შექმნილიყო ქართველი მეფით სათავეში.

XVIII საუკუნის დასაწყისში ამ იდეის მოთავე ჰასან ჯალალიანი გახდა. გაძლიერებული საქართველო სომეხ საზოგადო მოღვაწეებს საკუთარი სამშობლოს გადარჩენის ერთადერთ გზად ესახებოდათ.

XVIII საუკუნის 20-იან წლებში საქართველოსთან ურთიერთობა კიდევ ერთი ქრისტიანული სახელმწიფოს ინტერესებში შედიოდა. ეს რუსეთი იყო. ქვეყნის სამხედრო და ეკონომიკური ინტერესებისათვის, პეტრე I-ს კასპიის ზღვის სანაპიროებიდან გილანამდე ტერიტორიების დაპყრობა სურდა. 1715 წელს მან ირანში არტემ ვოლინსკი ელჩად გაგზავნა. ელჩს პარალელურად, ირანის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესწავლა ევალებოდა. ვოლინსკიმ იმპერატორს შეატყობინა, რომ ირანის ლაშქრის უდიდეს ნაწილს ქართველები შეადგენდნენ და ყველა დიდი სამხედრო თანამდებობა მათ ეკავათ. ვოლინსკი რამდენჯერმე ვახტანგთან დაახლოებულ ფარსადან-ბეგსაც შეხვდა. პარალელურად, რუსეთის ელჩმა ირანთან სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმებაც შეძლო.

1719 წელს ვოლინსკი ასტრახანის გუბერნატორად დაინიშნა. პეტრე I-ის დავალებით მან ქართლში დაბრუნებულ ვახტანგთან მოლაპარაკება დაიწყო. რუსეთს ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ ომებში საქართველოსა და სომხეთის გამოყენების განზრახვა ამოძრავებდა. ვახტანგი თვლიდა, რომ რუსეთის აღმოსავლეთში დამკვიდრების სურვილი, საქართველოს განთავისუფლებას ხელს შეუწყობდა. მეფის გეგმა სამეფო დარბაზმა არ გაიზიარა. დარბაზის წევრები მეფეს ურჩევდნენ, ფარულად, მხოლოდ მცირერიცხოვანი ჯარით მიმხრობოდნენ რუსეთის იმპერატორს. ვახტანგმა პეტრე I-ს წერილობით თანმხობა მაინც შეუთვალა. თუმცა, ხელშეკრულება იურიდიულად არ გაფორმებულა. პეტრე შიშობდა, ეს ამბავი შაჰის ყურამდე არ მისულიყო. ვახტანგ VI ლაშქრობის მოსამზადებლად სომეხთა ჯარის ორგანიზაციასაც შეუდგა. 1722 წლის მაისში თბილისში ჩამოსულ სომხებს ვახტანგმა ლაშქრის მოსამზადებლად სამხედრო საქმის სპეციალისტები გააყოლა. ხელსაყრელი დროც დადგა. ლეკებმა ირანის შაჰის წინააღმდეგ გაილაშქრეს და შამახია დაიკავეს. შამახიაში ლეკებმა რუსი ვაჭრებიც დახოცეს. კასპიის ზღვის სანაპიროების დაკავებას თურქეთიც ცდილობდა. ლეკები სულთნის წაქეზებით მოქმედებდნენ. ამავე დროს, ირანის დედაქალაქ ისპაჰანს ავღანელებმა ალყა შემოარტყეს. პეტრემ ამით ისარგებლა და ლეკების დასჯის მიზნით, კასპიისპირეთში გალაშქრება გადაწყვიტა.

1722 წლის 2 ივლისს პეტრე I-მა ვახტანგს აცნობა, რუსთა ჯარი მალე კასპიის ზღვის სანაპიროზე გამოჩნდებაო. 3 აგვისტოს კი, ატყობინებდა, ჯარმა მოქმედება უკვე დაიწყოო. იმავე ხანებში, თურქეთის სულთანმა ვახტანგს ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ მოკავშირეობა სთხოვა, სანაცვლოდ კი, მთელ საქართველოს დაჰპირდა. ვახტანგმა მისი წინადადება უარყო და ყველაფერი პეტრე I-ს შეატყობინა. ვოლინსკიმ საქმე ისე წარმართა, თითქოს პეტრე I-ს ვახტანგის მდგომარეობა გაეგო და მის დასახმარებლად ირანს ომს უცხადებდა. აგვისტოსთვის ვახტანგი განჯაში ჩავიდა. ერთობლივი გეგმის შესაბამისად, ქართველ-სომეხთა და რუსთა ჯარი დარუბანდსა და ბაქოს შორის უნდა შეერთებულიყო. პეტრე I-მა დარუბანდს მიაღწია, შემდეგ კი, ვითომდა სურსათის, სატრანსპორტო საშუალებების ნაკლებობისა და რუსთა ჯარში გავრცელებული ეპიდემიის გამო ასტრახანში გაბრუნდა. ვახტანგი 40 ათასი კაცით განჯაში სამი თვე – აგვისტოდან ნოემბრის შუა რიცხვებამდე იდგა. რუსეთის იმპერატორმა ქართლის მეფეს პოდპორუჩიკი ტოლსტოი გაუგზავნა და საომარი მოქმედების განახლება 1723 წლისთვის შესთავაზა. ვახტანგი კვლავ დათანხმდა. ქართველ მეფეს ვერც კი წარმოედგინა, რომ ქრისტიანი ხელმწიფე იცრუებდა. არადა, პეტრეს კასპიისპირეთში ლაშქრობას სულ სხვა მიზანი ჰქონდა. პეტრე I შიშობდა, დასუსტებული ირანი ოსმალეთს არ დაეპყრო. მის პოლიტიკას აყოლილი ვახტანგ VI განრისხებული ირანისა და ოსმალეთის პირისპირ მარტო აღმოჩნდა. ვახტანგი იმპერატორს რუსთა ჯარის ნაწილის ქართლში გამოგზავნას სთხოვდა. პეტრეს შესაბამისი ბრძანება ქაღალდზე დარჩა. ქართლში რუსეთის ჯარი არ შემოსულა. ვახტანგი მიხვდა, რომ სამეფო დარბაზისათვის უნდა დაეჯერებინა და რუსეთის იმპერატორს არ მინდობოდა.

ირანის ახალმა შაჰმა თამაზმა მხარი კახეთის მეფეს კონსტანტინეს დაუჭირა. მისი დახმარებით, კახთა მეფემ სამთვიანი ბრძოლის შემდეგ თბილისი აიღო. ვახტანგი ცხინვალში გაიხიზნა. არზრუმის ფაშამ კიდევ ერთხელ შემოუთვალა მეფეს სულთნის ძალაუფლება ეცნო და ქართლის ტახტი დაებრუნებინა. სამეფო დარბაზი თურქთა წინადადების მიღებას ითხოვდა. მეფე და მასთან მყოფი რუსეთის ელჩები – ტოლსტოი და თერქესტანიშვილი რუსთა ჯარის ჩამოსვლას ელოდნენ.

1723 წლის ივნისში თურქებმა თბილისი აიღეს და ქართლი დაიპყრეს. ქართლში „ოსმალობა" ანუ ოსმალთა ბატონობა დამყარდა.

რუსეთის იმპერატორმა 1724 წლის 12 ივლისს კონსტანტინოპოლში თურქეთთან ზავს ხელი მოაწერა. ზავის თანახმად, თურქეთი რუსეთთან

კასპიისპირეთის შეერთებას ცნობდა. სანაცვლოდ, სომხეთისა და ირანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს ითხოვდა. პეტრე I-მა ქრისტიანული სახელმწიფოები ადვილად გაწირა.

ვახტანგ VI-მ თურქებს ძმისა და შვილის ხელით ძვირფასი განძი გაუგზავნა. თურქებმა ვახტანგს სულთნის კარზე გამოცხადება მოთხოვეს. მეფემ უარი განაცხადა. მაშინ, თურქებმა ქართლის ტახტზე მისი ძმა იასე დასვეს. ვახტანგი იძულებული გახდა 1200 კაციანი ამალით რუსეთს გამგზავრებულიყო. ამალაში საქართველოს განათლებული საზოგადოების ბრწყინვალე წარმომადგენლები იყვნენ. რუსეთში მყოფი ვახტანგი რუსეთის იმპერატორისაგან ჯარით დახმარებას ამაოდ ელოდა. 1737 წელს იგი ასტრახანში გარდაიცვალა. მეფე მიძინების ტაძარში დაკრძალეს.

ვახტანგ VI-ის რუსეთში ჩასვლის შემდეგ მოსკოვის ქართული კოლონია უფრო მრავალრიცხოვანი გახდა. მოსკოვში ახალი ქუჩა-მოედნები გაჩნდა: „ბოლშაია გრუზინსკაია", „მალაია გრუზინსკაია", „გრუზინსკი ვალ" და სხვა.

ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ ქართველ ემიგრანტთა დიდმა ნაწილმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო. რუსეთის არმიაში „ქართველთა ასეული" შეიქმნა. შემდეგ ეს ასეული „ქართველთა პოლკად" გადაკეთდა და 1769 წლამდე იარსება.

ქართველები რუსეთის სულიერ და ინტელექტუალურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდნენ. მათ წვლილი მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსებაშიც შეიტანეს.

თავის მხრივ, მეფის რუსეთი მის სამსახურში შესული ქართველებით კარგად სარგებლობდა, მათ პროპაგანდისა და პოლიტიკური ინტრიგებისათვის იყენებდა. რუსეთის სამეფო კარზე გაიზარდნენ ქართლის სამეფო ტახტის მაძიებლები და პოლიტიკური ემისრები. რუსეთის გუბერნიად საქართველოს გადაქცევის შემდეგ კი, ისინი რუსეთის ერთგული მოხელეები გახდნენ.

ქართლ-კახეთის ტრაგედია მხოლოდ „ოსმალობით" არ დამთავრებულა. ოსმალების მხარდაჭერით გათამამებულმა ჭარ-ბელაქნელმა ლეკებმა აღმოსავლეთ კახეთში (საინგილო) სახელმწიფო ჩამოაყალიბეს. 1727 წელს ოსმალეთის სულთანმა მიტაცებული მიწები მათ საგანგებო ფირმანით დაუმტკიცა.

. . . . . .

მძიმე ვითარება იყო ქართლის მთიანეთშიც. აქ ოსური ახალშენები XVII საუკუნის დასაწყისისათვის ჩანს. რუსეთის ელჩის ტატიშჩევის ცნობით, მდინარე ლიახვის სათავეში 200-მდე ოსი ცხოვრობდა. საქართველოსკენ ოსების ლტოლვას თავისი მიზეზები ჰქონდა. განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ოსი მოსახლეობა სოციალურ-ეკონომიკურად მაღალ დონეზე მყოფ ქვეყანაში არჩევდა

ცხოვრებას. სარჩოს საძებნელად საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული ოსები ფეოდალთა მიწებზე ხიზნებად სახლდებოდნენ. ხშირად მათი ზედაფენის ინიციატივითაც, ქართლის სოფლებს ესხმოდნენ თავს და ძალით იკავებდნენ დასახლებულ ადგილებს. „ასეთი თავდასხმები საერთოდ დამახასიათებელი იყო ფეოდალურ ფორმაციაზე გარდამავალი საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის, როგორც მაშინ მთიანეთში მოსახლე ტომებს ჰქონდათ".

ჩამოსახლებული ოსები, როგორც წესი, ქრისტიანულ სარწმუნოებას ღებულობდნენ, ითვისებდნენ ქართულ კულტურასა და დამწერლობას.

მას შემდეგ, რაც XVIII საუკუნის 40-50-იანი წლებიდან ოს ახალმოსახლეთა რიცხვი გაიზარდა, ოსების კულტურული ცხოვრება მოწინავე ქართველ მოღვაწეთა ზრუნვის საგანი გახდა. ქართული ანბანის საფუძველზე შემუშავდა ოსური ანბანი. ქართველები ჩრდილო კავკასიაში მოსახლე ოსებზეც ზრუნავდნენ. 1745 წელს რუსეთში მცხოვრებ ქართველ სასულიერო პირთა ინიციატივით შეიქმნა ე.წ. „ოსეთის სასულიერო კომისია", რომელიც თავდაპირველად მხოლოდ ქართველებისაგან შედგებოდა. ამ საქმეში რუსეთი არ ერეოდა. ქართველმა მისიონერებმა ოსთა შორის ქრისტიანობის გავრცელება დაიწყეს. „ოსეთის კომისიამ" ოსეთში წერა-კითხვისა და განათლების შეტანაც სცადა. 1751 წელს ქართველმა მოღვაწეებმა რუსეთის მთავრობას ოსეთში სკოლების გახსნის პროექტი წარუდგინეს. პროექტის თანახმად, 30 ბავშვისათვის გახსნილ სკოლაში სწავლა ქართულ ენაზე წარიმართებოდა, რადგან სახელმძღვანელოები ოსურ ენაზე არ არსებობდა. სინოდის დავალებით, ქართველებმა სასულიერო წიგნები ოსურ ენაზე თარგმნეს. 1764 წელს ქართველმა მისიონერებმა ოსი ბავშვებისათვის ქალაქ მოზდოკში პირველი სკოლა დააფუძნეს.

ოსეთის კომისიის საქმიანობას ქართველი მეფეები თეიმურაზ II, ერეკლე II და კათალიკოსი ანტონი დიდ დახმარებას უწევდნენ. ერეკლე II-ის მიერ გააზნაურებულმა ოსმა იოანე იალღიზიძემ გარეჯის სამონასტრო სკოლასა და თბილისის სასულიერო სემინარიაში საფუძვლიანი განათლება მიიღო. მის მიერ ქართულიდან ოსურ ენაზე თარგმნილმა და ქართული ანბანით დაწერილმა წიგნებმა დასაბამი მისცა ოსურ დამწერლობასა და ლიტერატურას.

. . . . . .

XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან სპარსეთმა ძალა მოიკრიბა და რუსეთსა და ოსმალეთს შეუტია. 1734 წელს ირანელებმა ქალაქი შემახა დაიკავეს. 1735 წელს განჯის ტრაქტატით, რუსეთმა ბაქო-დარუბანდზე ხელი აიღო. ქართლში ოსმალთა

წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. ირანელებმა ქართველთა დახმარებით ქართლ-კახეთიდან ოსმალები განდევნეს. ქართლში „ყიზილბაშობა" დამყარდა.

1732 წელს კახეთის მეფე კონსტანტინე ღალატით მოკლეს. ტახტის მემკვიდრედ მისი ძმა თეიმურაზი ითვლებოდა. მაგრამ ირანელებმა ქართლ-კახეთის მმართველად დავითის (იმამ ყული-ხანის) ძე ალექსანდრე დანიშნეს.

1736 წელს ყიზილბაშთა ჯარის სარდალმა თამაზ ყული-ხანმა „მაღალი საზოგადოება" და ამიერკავკასიელი ყმები იხმო. შეკრებილებს თავი ირანის შაჰად აარჩევინა. თამაზ ყული-ხანი ნადირ-შაჰი გახდა.

„ყიზილბაშობის" პერიოდში ქართლ-კახეთში შემოღებული გადასახადები ქართველებისთვის ძალიან მძიმე იყო. თავადთა ნაწილი ყიზილბაშთა ბატონობის წინააღმდეგ აჯანყდა. ამბოხების ჩასახშობად გამოგზავნილმა სეფი-ხანმა თეიმურაზისა და დიდებულების შეპყრობა შეძლო. აჯანყება დამარცხდა. ქართველთა ბრძოლამ ნადირ-შაჰი აიძულა პოლიტიკა შეეცვალა. მან გადაწყვიტა ქართველები დაეახლოვებინა. დატყვევებული თეიმურაზი და დიდებულები აღმოსავლეთის ლაშქრობაში თან იახლა. თეიმურაზის ასული ცოლად თავის ძმისშვილს შერთო. მალევე თეიმურაზს კახეთის მმართველობა უბოძა. მისი ვაჟი – ერეკლე კი თან წაიყვანა ინდოეთში სალაშქროდ.

აღმოსავლეთში ლაშქრობების შემდეგ, შაჰმა დაღესტნის დამორჩილება გადაწყვიტა. ბრძოლა ხანგრძლივი გამოდგა. ირანის მმართველი სურსათს ქართველებისგან ითხოვდა. ამან მოსახლეობა წელში საბოლოოდ გატეხა. დაღესტნელებთან ბრძოლაში ნადირ-შაჰი დამარცხდა. ირანს მდგომარეობა სხვაგანაც გაურთულდა. ირანის ზოგიერთი პროვინცია, მაგალითად, შირვანი და ქურთისტანი აჯანყდა. დაცარიელებული ხაზინის შევსება ნადირ შაჰმა დაპყრობილ ქვეყნებში გადასახადების გაზრდით სცადა. ყიზილბაშებმა მთელი ქართლი დეტალურად აღწერეს. ქართველებს სამხედრო სამსახურიც დაევალათ. ქართლში აჯანყებები არ ცხრებოდა. ქართველებმა დახმარებისათვის ოსმალებსაც კი მიმართეს. ნადირ-შაჰი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. 1745 წელს ქართლის აჯანყების მეთაური გივი ამილახვარი თეიმურაზის მეუღლეს, ვახტანგ VI-ის ქალიშვილს – თამარს ჩაბარდა. ქართველი დიდებული თეიმურაზმა და თამარმა შაჰს გაუგზავნეს. ნადირ-შაჰმა თეიმურაზს ქრისტიანული წესით მეფედ კურთხევის ნება დართო. ეს ქართველთა დიდი გამარჯვება იყო.

1745 წლის 1 ოქტომბერს თეიმურაზ II ქართლის ტახტზე ავიდა. თითქმის 150 წლის განმავლობაში ქართველებს ქრისტიანი მეფე არ ჰყოლიათ. კახეთის მეფე მისი ვაჟი ერეკლე II გახდა.

დასავლეთ საქართველო. XVIII საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველო პოლიტიკურად კვლავ დაშლილი იყო. სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის მთავრები იმერეთის მეფეს არ ემორჩილებოდნენ. მეფის უზენაესობას არც იმერელი თავადი აბაშიძე და რაჭის ერისთავი აღიარებდნენ. დაქუცმაცებული ქვეყანა თურქეთის ექსპანსიას სერიოზულ წინააღმდეგობას ვერ უწევდა. თურქეთი დასავლეთ საქართველოს თავის ვასალად თვლიდა. მეფეს და მთავრებს ტახტზე ოსმალეთის სულთანი ამტკიცებდა. ქუთაისისა და სოხუმის ციხეებში თურქთა გარნიზონები იდგა. მიუხედავად ამისა, ქართველები თურქთა ბატონობისაგან თავის დასაღწევად ხელსაყრელ მომენტს არ უშვებდნენ. 1703 წელს დასავლეთ საქართველოში ერთიანი ანტიოსმალური აჯანყება დაიწყო. ქართველებს ამ გადაწყვეტილების მიღებისკენ რუსეთის პოლიტიკამ უბიძგა. პეტრე I-ს შავ ზღვაზე გაბატონება სურდა. 1696 წელს მან თურქებს აზოვის ციხე წაართვა. ეს რუსეთს საშუალებას აძლევდა, თურქეთს დამუქრებოდა. 1701 წელს რუსეთის 100-მდე დიდი და პატარა ხომალდისაგან შემდგარი ფლოტი შეტევისათვის მზად იყო. 1703 წელს რუსეთის ელჩმა კონსტანტინოპოლში, პეტრე ტოლსტოიმ, იმპერატორს მოახსენა, რომ რუსეთის ფლოტის შავ ზღვაზე გამოჩენის შემთხვევაში, ქართველები თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მზად იყვნენ.

1703 წლის დასაწყისში დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებმა თურქეთს ხარკის მიცემა შეუწყვიტეს. თურქებმა გადაწყვიტეს, დასავლეთ საქართველო საბოლოოდ დაეპყროთ და ამიერკავკასიაში რუსეთისათვის დასაყრდენი მოესპოთ. 1703 წლის ზაფხულში თურქთა ლაშქარი დასავლეთ საქართველოში სამი მხრიდან შემოიჭრა: ჭოროხის ხეობიდან გურიაში, ახალციხის მხრიდან ზეკარის გადასასვლელით იმერეთში, თურქეთის ფლოტმა კი ჯარები სამეგრელოში გადმოსხა. აფხაზეთის მთავარი თურქებს შეუერთდა. გეგმის თანახმად, თურქეთის ჯარები ერთმანეთს არგვეთში უნდა შეხვედროდა. ქართველები შემოსეულ მტერს მედგრად დახვდნენ. თურქები ყოველ სოფელსა და ციხეს ბრძოლით იღებდნენ. რუსეთი არსად ჩანდა. ბრძოლა გაჭიანურდა. სტამბულში ახალი ლაშქარის შეკრება დაიწყეს. საბედნიეროდ, ეს ლაშქარი ჯამაგირის მიუღებლობის გამო აჯანყდა, რასაც თურქეთში ხელისუფლების შეცვლა მოჰყვა. დასავლეთ საქართველო განადგურებას გადაურჩა. საგარეო მტრის მოგერიებას სიმშვიდე არ მოჰყოლია. ქვეყანა აოხრდა. სამეფო ტახტისათვის ბრძოლა დაიწყო. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში იმერეთის ტახტს დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები მონაცვლეობით იკავებდნენ. 1752 წლის მარტში მეფე ალექსანდრე V გარდაიცვალა და იმერეთის ტახტზე მისი ვაჟი სოლომონ I ავიდა.

თურქებმა დასავლეთ საქართველოს გაოსმალება ვერ მოახერხეს. ყველა სამეფო-სამთავროში ადგილობრივი საერო თუ სასულიერო ხელისუფლება დარჩა. თურქებისადმი მორჩილება მხოლოდ ყოველწლიური „ძღვენით" გამოიხატებოდა. თურქთა გავლენა ყველაზე ძლიერი აფხაზეთის სამთავროში იყო. XV-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე აფხაზეთის სამთავრო შარვაშიძის შვილებმა პატარ-პატარა სამფლობელოებად დაინაწილეს, რამაც აფხაზეთის თავდაცვისუნარიანობა შეასუსტა. 1723 წელს თურქებმა შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო დაიპყრეს და აფხაზეთის მოსახლეობას ზღვა ჩაუკეტეს, რასაც 1725, 1728, 1730 წლების აჯანყებები მოჰყვა. თურქებმა აფხაზეთისა და ჯიქეთის დამორჩილება მოახერხეს. შარვაშიძეებს ჯერ მაჰმადიანობა მიაღებინეს, შემდეგ შეიპყრეს და თურქეთში წაიყვანეს. აფხაზეთის გამგებლობა შარვაშიძეთა მეტოქეების – თავად ძიაპშიპების და ჯიქი ასლან ბეი გეჩის ხელში გადავიდა. მალე შარვაშიძეებმა აფხაზეთი დაიბრუნეს, მაგრამ ოსმალების განდევნა მაინც ვერ შეძლეს. ქრისტიანობა შესუსტდა. ისევ ძველი, წარმართული სარწმუნოება გავრცელდა. საქალაქო ცხოვრება დაკნინდა. აფხაზეთში სოციალური და კულტურული განვითარების დაბალ დონეზე მყოფი მთიელი მოსახლეობა მომრავლდა.

დასავლეთ საქართველოს გადასარჩენად უდიდესი როლი ქართულმა ეკლესიამ შეასრულა. იგი ხელს უწყობდა იმერეთის მეფეებს აფხაზეთის ანუ დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო ქვეყნის გამთლიანებისათვის ბრძოლაში. ფეოდალები კათალიკოსის წინაშე ფიცს დებდნენ, ხელი აეღოთ ტყვის სყიდვაზე და მთელი ძალ-ღონე თურქების განდევნისათვის მოეხმარათ. კათალიკოსი კავკასიის მთიან მოსახლეობაშიც ცდილობდა ქრისტიანობის აღდგენას.

რაც შეეხება **სამხრეთ საქართველოს**, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში თურქეთის ხელში მყოფი მიწები ოთხ ეიალებს (საბეგლარბეგოს) შეადგენდა: 1. ჩილდირის ანუ ახალციხის; 2. ტრაპიზონის; 3. ერზერუმის (ნაწილობრივ) და 4. ყარსის (ნაწილობრივ). ეს ტერიტორიები ძველქართულ ადმინისტრაციულ დაყოფას ეფეძნებოდა. ოსმალური მიწისმფლობელობის წესის დამყარების მიუხედავად, თურქებმა მამულის მემკვიდრეობით გადაცემის ქართული ტრადიცია ვერ მოსპეს. თურქები სამხრეთ საქართველოს ადგილობრივ მაჰმადიან გამგებლებსაც არ ენდობოდნენ. 1710 წელს რომის პაპმა ახალციხის კათოლიკური მისია დააარსა. მისიამ პრაქტიკული საქმიანობა 1733 წლიდან დაიწყო. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესია მოიშალა, მაგრამ მღვდელმსახურება აქა-იქ მაინც შემორჩა. ქართველი ქალები ქრისტიანობას მტკიცედ იცავდნენ. თვით რენეგატი ფაშებისა და სხვა გამგებლის ოჯახებში ქალები კვლავ ქრისტიანულ რწმენას აღიარებდნენ.

ქართული ყველგან იყო შემორჩენილი და ხალხის ერთადერთ სალაპარაკო ენას წარმოადგენდა. გამაჰმადიანებული ქართველი ფეოდალებიც სახლში მშობლიურ ენაზე საუბრობდნენ და საქართველოს სხვა მხარეების მფლობელებთანაც მიმოწერას ქართულად აწარმოებდნენ.

თავი XXIII

საქართველო XVIII საუკუნის II ნახევარში

თეიმურაზისა და ერეკლეს მეფობის დასაწყისში ქართლ-კახეთს ესაზღვრებოდა: ქართლს სამხრეთით ერევნისა და ნახჩევანის, აღმოსავლეთით – განჯის სახანო. კახეთს აღმოსავლეთიდან ჭარ-ბელაქანი და შაქის ანუ ნუხის სახანო საზღვრავდა. ჩრდილოეთიდან – ჩეჩნეთი და დაღესტანი ემიჯნებოდა. დასავლეთისა და სამხრეთის მხრიდან ქართლ-კახეთს დასავლეთ საქართველო და ახალციხის საფაშო ეკრა. ქართლს თათრული ელის ტომებით დასახლებული ყაზახ-შამშადილუ და ბამბაკის ოლქები ეკუთვნოდა. თეიმურაზს ქართლში განლაგებული ირანელთა ჯარები ექვემდებარებოდნენ. მათი საშუალებით ქართლის მეფე დაღესტნელ მომთაბარეებს წარმატებით ებრძოდა. ნადირ შაჰმა ირანელები გაიწვია და მათ ნაცვლად უფრო სანდო ავღანელთა 1000 კაციანი ლაშქარი გამოგზავნა. ირანში აჯანყებები არ ცხრებოდა, შაჰი კი ქართველებს ბოლომდე არ ენდობოდა. 1747 წელს ნადირ შაჰმა ერეკლე II თავისთან დაიბარა. როგორც ჩანს, ქართლ-კახეთის ერთგულებაში სურდა დარწმუნება. თეიმურაზმა გადაწყვიტა შაჰს თვითონ ხლებოდა, ერეკლე კი მას ზურგს გაუმაგრებდა. ერეკლეს სამხედრო ნიჭსა და უნარს ნადირ-შაჰიც მშვენივრად იცნობდა. თეიმურაზი ჯერ კიდევ გზაში იყო, როცა შაჰი მოკლეს. ტახტზე მისი ძმისშვილი, თეიმურაზის სიძე ადილ შაჰი ავიდა. ირანის ახალ მბრძანებელს მომხრეები სჭირდებოდა, ამიტომ სიმამრი კარგად მიიღო.

ირანში თეიმურაზის ყოფნისას ერეკლეს გამაჰმადიანებული აბდულა-ბეგი (ვახტანგ VI-ის ძმის, იესეს შვილი) აუჯანყდა. მან დაღესტნელი ფეოდალები, ოსმალები და ნადირ-შაჰის უკმაყოფილო, ირანის ტახტის მაძიებელი ყიზილბაშები მიიმხრო. აბდულა-ბეგი ერეკლესაგან ქართლის ტახტის დატოვებას მოითხოვდა. შაჰის „ერთგულების ნიშნად", ერეკლემ ჯერ შაჰობის მაძიებელი ყიზილბაშები გაანადგურა, შემდეგ აბდულა-ბეგის მომხრე ხანები და დაღესტნელი ფეოდალები

დასაჯა. ერეკლე II ქართლის ტახტს მტკიცედ დაეპატრონა. თბილისის ციხეები ყიზილბაშებისგან გაათავისუფლა. სომხეთისა და აზერბაიჯანის სახანოების მბრძანებლებმა ერეკლეს ქედი მოუხარეს და ძღვენი მიართვეს. ერეკლეს გამარჯვება შაქის მმართველმა აჯი ჩელებმაც მიულოცა. შინაომებით დასუსტებულ ირანს ქართლ-კახეთის დამორჩილება აღარ შეეძლო. 1748 წელს ერეკლემ ირანის შაჰს ხარკი (ასი მეომარი და რამდენიმე ქალი) უკანასკნელად გაუგზავნა. ქართლ-კახეთის ირანისადმი ვასალობა ფორმალურ ხასიათს ატარებდა. 1749 წლის მარტში თეიმურაზი სამშობლოში დაბრუნდა, თან შაჰის სიგელი ჩამოიტანა. ირანის მმართველმა ყაზახახ-ბორჩალო ქართლ-კახეთს დაუმტკიცა. სამეფოს საზღვარი სამხრეთ-აღმოსავლეთით გაფართოვდა. შემოდგომაზე ერევნისა და ნახიჩევანის სახანოებმა ერეკლეს მფარველობა აღიარეს. სომეხთა კათალიკოსი ერეკლეს „საქართველოს და სომხეთის მეფედ" მოიხსენიებდა.

1750 წელს ერეკლე-თეიმურაზისა და ქართლ-კახეთის მფარველობაში მყოფი მაჰმადიანური სახანოების ჯარებმა ყარაბაღის წინააღმდეგ გაილაშქრა და მისი მმართველი ფანა-ხანი დაამარცხა. მდინარე არაქსამდე ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გავლენა დამყარდა. განჯის ხანმა ლაშქრობის ხარჯები ვერ დაფარა, ამიტომ მას შამშადილუს მხარე ჩამოაცილეს. ქართლ-კახეთის საზღვარმა აღმოსავლეთით მდინარე ძეგამზე გადაინაცვლა. ფანა-ხანმა ამიერკავკასიაში ერეკლეს უპირატესობა აღიარა. ამიერკავკასიაში ქართლ-კახეთის მეფეების პირველობა ირანის ახალმა მბრძანებელმა შაჰ-როჰმაც დაადასტურა. მან თეიმურაზს „ერანისა და აზერბაიჯანის" სპასალარობა უბოძა, ერეკლე კი, მის ნაიბად (მოადგილედ) აღიარა.

ქართლ-კახეთის გაძლიერება ოსმალეთს მოსვენებას არ აძლევდა. მისი ხელშეწყობით დაღესტნელმა ფეოდალებმა XVIII საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში საქართველოზე თავდასხმები გაახშირეს. ერეკლე და თეიმურაზი ჭარ-ბელაქნის საბოლოო დაპყრობისათვის ემზადებოდნენ. ლეკებმა დასწრება გადაწყვიტეს. 1750 წელს ლეკთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი კახეთს შეესია. იორ-ალაზნის შესართავთან ქართველებმა მტერზე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. 1751 წელს თეიმურაზი და ერეკლე ჭარის დასაპყრობად გაეშურნენ. ბრძოლა 15 თებერვალს მდინარე აგრი-ჩაის ნაპირზე გაიმართა. ქართველები დამარცხდნენ. ჭარელების მხარეს ერეკლეს ვასალი, შაქის ხანი აღმოჩნდა. ქართველ მეფეებს განჯის ხანმაც უღალატა. ერეკლე ტყვეობას ძლივს გადაურჩა.

იმავე წლის ივლისში ქართველებს ბრძოლა სამხრეთ ადარბაგანის მმართველთან აზატ-ხანთანაც მოუხდათ. აზატ-ხანმა ავღანელთა და უზბეკთა

ჯარებით ირანის ნაწილი დაიმორჩილა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გაბატონება მოისურვა. 1751 წელს ყირბულახთან 3 თუ 4 ათასი კაცით ერეკლემ აზატ-ხანის 18 ათასკაციანი კორპუსი სასტიკად დაამარცხა. ეს იშვიათი და ბრწყინვალე გამარჯვება ერეკლეს დიდ სამხედრო ტალანტზე მეტყველებდა. დადებული ზავის მიხედვით, ქართლ-კახეთის ბატონობა ისევ მდინარე არაქსამდე გავრცელდა. ამიერკავკასიის მაჰმადიანი ხანები პირველობისათვის ბრძოლას არ წყვეტდნენ. ერეკლეს მიმართ პოზიციებს პერიოდულად იცვლიდნენ. თეიმურაზის სურვილი, ირანის ტახტზე სასურველი კანდიდატი აეყვანა, ჯერჯერობით სურვილად რჩებოდა. შაქი-შარვანის მმართველის აჯი ჩელების წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელი გახდა. 1752 წლის აპრილში ბრძოლა განჯასთან გაიმართა. ქართველებს მაჰმადიანმა ვასალებმა ისევ უღალატეს. აჯი ჩელებმა გაიმარჯვა. „ქართველთა ზარალი აურაცხელი იყო".

ქართველმა მეფეებმა დახმარება რუსეთს თხოვეს, მაგრამ უშედეგოდ. 1752 წლის 1 სექტემბერს ერეკლე-თეიმურაზმა საკუთარი ძალებითა და ჩრდილო კავკასიაში დაქირავებული მეომრებით თულქითაფასთან ბრძოლაში შაქის ხანის ჯარი ერთიანად გაჟლიტეს. ერეკლე II-ის ავტორიტეტი ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში საოცრად გაიზარდა. 1755 წელს გერმანიაში გამოქვეყნდა წიგნი, რომელიც ერეკლეს ახასიათებდა, როგორც დიდ სარდალსა და სახელმწიფო მოღვაწეს. ერთი გერმანული პიესის მიხედვით კი, გერმანელი რაინდები ერეკლეს მეთაურობით თურქთა წინააღმდეგ გალაშქრებაზე ოცნებობდნენ.

დაღესტნელი ფეოდალები ქართლ-კახეთზე თავდასხმებს არ წყვეტდნენ. 1754-1755 წლებში მჭადიჯვრისა და ყვარლის ციხეებთან ერეკლემ ხუნძახის (ავარიის) მფლობელი ნურსალ-ბეგი ორჯერ დაამარცხა. 1757-1769 წლებში დაღესტნელთა მარბიელი ლაშქარი ქართველებმა ისევ დაამარცხეს და სამშობლოში გადარეკეს. 1757 წლის ბრძოლაში იმერეთის მეფე სოლომონიც მონაწილეობდა.

1762 წელს თეიმურაზ II რუსეთს გაემგზავრა და დახმარების მოლოდინში პეტერბურგში გარდაიცვალა. იგი ასტრახანის მიძინების ტაძარში ვახტანგ VI-ის გვერდით დაკრძალეს. ერეკლე ქართლ-კახეთის ერთპიროვნული მმართველი გახდა.

ირანში მდგომარეობა შეიცვალა. 1762 წელს ირანის ახალმა მბრძანებელმა ქერიმ-ხანმა თითქმის მთელი ირანი გააერთიანა. ერეკლემ მას ირანის ტახტის მაძიებელი აზატ-ხანი შეპყრობილი გაუგზავნა. მადლიერმა ირანის შაჰმა ერეკლე ქართლ-კახეთის მეფედ აღიარა.

ქართლის მოღალატე ფეოდალები ქართლის ტახტზე „კახელ" ბაგრატიონებს ვერ ეგუებოდნენ. ისინი რუსეთში გაზრდილ ვახტანგ VI-ის უკანონო შვილს –

პაატა ბატონიშვილს დაუკავშირდნენ. შეთქმულების მონაწილენი ერეკლეს ნაცვლად ტახტზე პაატას აყვანას გეგმავდნენ. 1765 წელს შეთქმულება გამჟღავნდა. შეთქმულთა გასასამართლებლად ერეკლემ დარბაზის საჯარო სხდომა მოიწვია. გადაწყდა მონაწილენი სასტიკად დაესაჯათ. ერეკლეს სამეფო ხელისუფლება გაძლიერდა.

ქართველი მეფის გაძლიერებას ახლო აღმოსავლეთის დაჩაგრული ქრისტიანებიც (სომხები, აისორები, ქურთთა ზოგიერთი ტომი, ანატოლიელი ბერძნები და სხვები) იმედით შეჰყურებდნენ. ისინი მფარველობას ერეკლეს სთხოვდნენ და თავისუფლების მოპოვებას მისი დახმარებით ფიქრობდნენ.

ერეკლეს სანუკვარი ოცნება ოსმალეთის მიერ მიტაცებული სამცხე-საათაბაგოს დაბრუნება იყო. თითქოს საამისო პირობებიც შეიქმნა. 1768 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო. რუსეთს მეორე ფრონტი და ქართველი მეფეების დახმარება სჭირდებოდა.

სოლომონ I იმერეთში გამეფებისთანავე ანტითურქულ პოლიტიკას ატარებდა. მან „ტყვეთა სყიდვა" აკრძალა. ეს კი თურქეთის წინააღმდეგ გალაშქრებას ნიშნავდა. ამ ბრძანებით სოლომონმა ფეოდალებიც აიმხედრა. „ტყვეთა სყიდვა" დასავლეთ საქართველოს ფეოდალთა შემოსავლის წყარო იყო. ისინი იმერეთში მყოფ თურქულ გარნიზონებთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი. ამიტომ სოლომონის უპირველეს ამოცანად იმერეთიდან თურქთა განდევნა იქცა. 1757 წლის 14 დეკემბერს მეფის ლაშქარი ხრესილის მინდორზე მდგარ თურქებს თავს დაესხა და სრული გამარჯვება მოიპოვა. შემდგომი ბრძოლისათვის 1758 წელს სოლომონმა თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-თან გორში მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება გააფორმა. 1759 წელს იმერეთის მეფემ, ეკლესიის დახმარებით, თავადებს მეფის მორჩილებისა და „ტყვის სყიდვის" აკრძალვის პირობა დაადებინა. ამას 1760 და 1763 წლებში თურქთა ორი ლაშქრობა მოჰყვა. თურქების მხარეს სოლომონის ბიძაშვილი თეიმურაზ მამუკას ძე იბრძოდა. გამეფების შემთხვევაში იგი ოსმალებს „ტყვის სყიდვის" აღდგენას ჰპირდებოდა. სოლომონმა მტერი ორჯერვე დაამარცხა. 1764 წელს თურქები იმერეთში ისევ შემოვიდნენ, ქვეყანა დაარბიეს და 4000 მოლაშქრე დატოვეს. თურქებს სოლომონის წინააღმდეგ ბრძოლა გაუძნელდათ. ისინი წინააღმდეგი არ იყვნენ, რომ სოლომონთან საზავო მოლაპარაკება დაეწყოთ. 1767 წელს სტამბოლში სოლომონისა და ერეკლეს ელჩები ჩავიდნენ. საზავო ხელშეკრულებით, თურქეთი იმერეთს არა ვასალურ, არამედ მფარველობაში მყოფ სახელმწიფოდ ცნობდა. ეს, რასაკვირველია, დიდი გამარჯვება იყო. მაგრამ სოლომონ I-ს თურქეთისგან სრულად განთავისუფლება

სურდა. სოლომონ I-ისა და რუსეთის საიმპერატორო კარის ინტერესები დაემთხვა. რუსეთს შავი ზღვის სანაპიროს დაპყრობა და თავისუფალი ნაოსნობა სურდა. ქრისტიანი მოსახლეობის ომში ჩასაბმელად კი აცხადებდა, თითქოს თურქებს ქრისტიანული სარწმუნოებისათვის ებრძოდა.

1769 წელს სოლომონ I-თან რუსეთის ელჩი, პორუჩიკი ქობულაშვილი გამოცხადდა. სოლომონი რუსეთს 20 ათასი კაცის გამოყვანას დაჰპირდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი დამხმარე ჯარს გამოუგზავნიდა. ქობულაშვილი ერეკლესაც ეახლა. ქართლ-კახეთის მეფემ მასთან მყოფი სულთნის დესპანები უარით გაისტუმრა და რუსეთის ელჩს ომში მონაწილეობაზე თანხმობა განუცხადა. 1769 წლის მაისში სოლომონ I თბილისში ჩამოვიდა. ქართველი მეფეები ერთობლივ სამხედრო მოქმედებაზე შეთანხმდნენ.

სოლომონი იმედოვნებდა, რომ რუსეთის ჯარის დახმარებით იმერეთის ურჩი თავადები დაემორჩილებინა, თურქების მიერ მიტაცებული მიწები დაებრუნებინა და ოსმალები დასავლეთ საქრთველოდან საბოლოოდ განედევნა.

ერეკლე II რუსეთის დახმარებით ოსმალეთის მიერ მიტაცებული სამცხე-საათაბაგოს დაბრუნებასა და ჭარ-ბელაქნის დამორჩილებას ფიქრობდა. აგვისტოში რუსეთის მთავრობამ საქართველოში გენერალ ტოტლებენის მეთაურობით, ერთი ქვეითი პოლკი, 4 ასეული ცხენოსანი, 200 დონის კაზაკი, 300 ყალმუხი და 12 საველე ზარბაზანი გამოგზავნა. 1770 წლის თებერვალში საქართველოში რუსეთის ჯარები დამატებით შემოვიდა. ერეკლემ თავისი ოცნების ასრულება რეალურად მიიჩნია. მისი სამხედრო გეგმით, გაერთიანებულ ძალებს თურქთა მთავარ დასაყრდენზე – ახალციხეზე უნდა მიეტანა იერიში. ქართველთა და რუსთა ლაშქარი აწყურის ციხეს მიადგა. ტოტლებენმა აწყურისაკენ მიმავალი გზა არ ჩაკეტა, შემდეგ ბრძოლა მოულოდნელად შეწყვიტა და ერეკლე მიატოვა. ერეკლემ ციხეს ალყა მოხსნა და ასპინძისაკენ გაემართა. ახალციხის ფაშამ 1500 კაცით ქართველებს გზა გადაუღობა. 1770 წლის 20 აპრილს ცნობილი ასპინძის ბრძოლა გაიმართა. ერეკლე II-ის ბრწყინვალე სამხედრო ნიჭის წყალობით, ქართველებმა მცირე დანაკარგით გაიმარჯვეს.

ამ დროს გენერალი ტოტლებენი ქართლის ტახტის ხელში ჩაგდებას ცდილობდა. იგი რუსეთის ჯარით ქართლის ციხე-ქალაქებს იკავებდა და მოსახლეობას რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე ძალით აფიცებდა. სავარაუდოდ, ტოტლებენს რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-ის ნებართვა უნდა ჰქონოდა. რუსმა გენერალმა თავი იმერეთშიც „გამოიჩინა".

სოლომონმა ერეკლეს გამარჯვებით ისარგებლა და ცუცხვათისა და შორაპნის ციხეები თურქებისაგან გაათავისუფლა. მეფემ ქუთაისიც დაიკავა და ქალაქის ციხეს ალყა შემოარტყა. ტოტლებენმა თურქ მეციხოვნეებს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ციხის დატოვების საშუალება მისცა. შემდეგ სოლომონის მოწინააღმდეგე თავადებს დაუკავშირდა. გენერალი იმპერატორის ინსტრუქციებს უნიჭოდ ასრულებდა, რაც რუსეთს სახელს უტეხდა. გენერალი საქართველოდან გაიწვიეს. რუსეთის საიმპერატორო კარმა ყველაფერი ქართველ მეფეებს გადააბრალა: ტოტლებენის გეგმის შესაბამისად არ მოქმედებდნენო. სახელგატეხილი გენერლის „საქმიანობის" გაგრძელება მის შემცვლელს – გენერალ სუხოტინს დაევალა. ქართველ მეფეებთან ურთიერთობა ვერც სუხოტინმა მოახერხა. 1772 წელს რუსეთის ჯარმა საქართველო დატოვა. ამით ისარგებლეს თურქებმა და გურიის ნაწილი მიიტაცეს. მდინარე ჩოლოქის სამხრეთით მდებარე ქვემო გურია ოსმალებმა ტრაპიზონის ვილაიეთს შეუერთეს. მაგრამ ქვემო გურიას საქართველოს რაიონებთან ურთიერთობა არ შეუწყვეტია.

ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის ომის მსვლელობისას, 1772 წელს ერეკლემ პეტერბურგში საგანგებო ელჩობა გაგზავნა. ელჩობაში კათალიკოსი ანტონ I და ერეკლეს ვაჟი ლევან ბატონიშვილი მონაწილეობდნენ. ერეკლე რუსეთის მფარველობას ითხოვდა. ქართლ-კახეთის მეფე რუსეთის საიმპერატორო კარს თავის პირობებს სთავაზობდა: რუსეთს ქართლ-კახეთში 4 ათასიანი ჯარი უნდა გამოეგზავნა, სარდლები ერეკლეს უნდა დამორჩილებოდნენ, ტახტი ერეკლეს შთამომავლებს უნდა დარჩენოდათ, ეკლესიის სათავეში კათალიკოსი უნდა მდგარიყო, ყირიმის აღებისას განთავისუფლებული ქართველები ეკატერინე II-ს საქართველოში უნდა დაებრუნებინა. ქართლ-კახეთის მეფე ფულად დახმარებასაც ითხოვდა. თავის მხრივ, ერეკლე რუსეთში თავის რომელიმე შვილს, თავადსა და აზნაურს მძევლად გააგზავნიდა. ახალციხის შემოერთების შემთხვევაში კი გადასახადების აკრეფის ვალდებულებას იღებდა. ქართლ-კახეთის სასარგებლო წიაღისეულიდან შემოსავლის ნახევარს რუსეთს გადაუხდიდა და მის სასარგებლოდ გადასახადს დააწესებდა (კომლზე 14 შაური). ყოველწლიურად რუსეთში 14 ცხენსა და დიდი რაოდენობით ღვინოს გააგზავნიდა.

ერეკლე რუსეთის იმპერატორისაგან თურქებისაგან ახალციხის განთავისუფლებას მოითხოვდა. ახალციხის საკითხი რუსეთ-ოსმალეთის ზავში უნდა ასახულიყო. რუსეთი ერეკლეს წინადადებით არ დაინტერესდა. 1774 წლის ივლისში რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადებული ქუჩუკ-კაინარჯის ზავის თანახმად, რუსეთმა დასავლეთ საქართველოზე ოსმალეთის ნომინალური

უფლებები ცნო. ოსმალეთს ხარკის აკრეფა, ვაჭრობა და ქრისტიანების დევნა აეკრძალა. თურქებმა ვერც იმერეთის ციხეები დაიკავეს. ეს ყველაფერი სოლომონის ბრძოლის შედეგად უკვე მოპოვებული იყო. უბრალოდ, ახლა საერთაშორისო ხელშეკრულებით მტკიცდებოდა. გურიის სამთავროს ნაწილი კვლავ ოსმალებს დარჩათ. თურქებმა აქ ახალი ციხე-სიმაგრეების აგება და მომთაბარეების ჩამოსახლება დაიწყეს.

ზავის შემდეგ, სოლომონმა მოღალატე ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლა უფრო აქტიურად დაიწყო. მეფისადმი მტრულად განწყობილმა თავად-აზნაურებმა 1778 წელს სოლომონს შვილიც კი აუჯანყეს. მეფემ აჯანყება ჩაახშო და ალექსანდრეს მომხრეები სასტიკად დასაჯა. სოლომონ I-ს ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეუწყვეტია. იგი ქვემო გურიის გათავისუფლებას ცდილობდა. 1784 წლის 9 მარტს ციხისძირთან მეფე ღალატის გამო დამარცხდა. სოლომონს 620 მეომარი მოუკლეს, 200 ტყვედ ჩავარდა. ტყვეები თურქებმა მონებად გაყიდეს. გურიის განთავისუფლება ერთი საუკუნით გადაიდო. სოლომონმა მარცხი მძიმედ გადაიტანა. 1784 წლის 23 აპრილს, 49 წლის ასაკში, მეფე მოულოდნელად გარდაიცვალა. სოლომონის გარდაცვალებას ოსმალეთში ზარ-ზეიმით შეხვდნენ. სასიხარულო ამბის მიმტანს სულთანმა ხალათი უბოძა. სოლომონმა დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი თურქებისგან განთავისუფლებული დატოვა. სახელოვანმა სარდალმა მთელი ცხოვრება ბრძოლას შეალია. იგი მეფურ სამოსს იშვიათად იცვამდა, რიგითი მოლაშქრესავით თოფს, დამბაჩასა და ხანჯალს ატარებდა. სოლომონ I-მა საქართველოს ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა.

გეორგიევსკის ტრაქტატი. ქუჩუკ-კაინარჯის ზავით, ქართლ-კახეთმა ვერაფერი მიიღო. პირიქით, ერეკლემ ირანიც გადაიმტერა და ოსმალეთიც, თანაც ამიერკავკასიელი ხანების ნდობა დაკარგა. მეფეს სამეფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება სჭირდებოდა.

1774 წელს მეფემ „მორიგე ჯარი" ანუ მორიგეობის პრინციპზე დამყარებული მუდმივი ჯარი შექმნა. ლაშქრობის შემძლე ყველა მამაკაცი ვალდებული იყო წელიწადში ერთხელ 1 თვით ჯარში თავისი ხარჯით და იარაღით გასულიყო. 1774 წლიდან ქართლ-კახეთს საომრად გამზადებული 5000 კაცი მუდმივად ჰყავდა. მორიგე ჯარს ლევან ბატონიშვილი ხელმძღვანელობდა. მისი საშუალებით ლეკთა თარეში ქართლ-კახეთში თითქმის შეწყდა. 1782 წელს ლევან ბატონიშვილი კახეთში, საიდუმლო ვითარებაში გარდაიცვალა. „მორიგე ჯარი" მალე მოიშალა.

მუდმივი ჯარის შესაქმნელად ერეკლეს ქართლ-კახეთში ჩერქეზ-ყაბარდოელთა გადმოსახლება უნდოდა. რუსეთის იმპერიამ ეს გეგმა ჩაშალა.

გაძლიერებული ქართლ-კახეთი რუსეთის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ერეკლე არც სამცხე-ჯავახეთს ივიწყებდა. საქართველოს ტერიტორიების დასაბრუნებლად მეფე მოლაპარაკებებს ხან ირანთან, ხან ოსმალეთთან აწარმოებდა. ერეკლე ურთიერთობის დამყარებას ევროპის სახელმწიფოებთანაც ცდილობდა. XVIII საუკუნის 80-იან წლებში მან კათოლიკე მისიონერებს ვენეციის სენატთან და ავსტრიის იმპერატორთან წერილები გაატანა. ევროპის დახმარებით, ერეკლეს მუდმივი ჯარის შექმნა სურდა. ორივე ელჩი გზაში გარდაიცვალა. ასეთივე თხოვნა ერეკლემ საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XVI-საც გაუგზავნა.

რუსეთი აღშფოთებას არ მალავდა. 1780 წელს ქართლის ტახტის დასაბრუნებლად რუსეთიდან ალექსანდრე ბაქარის ძე ჩამოვიდა. მის მოკავშირედ რუსეთმა, ერეკლეს მტერი, ფათალი-ხანი შეარჩია. 1779 წელს ირანის შაჰი ქერიმ-ხანი გარდაიცვალა. ირანში არეულობა დაიწყო. რუსეთისათვის ამიერკავკასიაში დამკვიდრება გადაუდებელ საქმედ იქცა. რუსეთის პოლიტიკის წარმატება კი, ერეკლე II-ზე იყო დამოკიდებული. სომხური ეკლესიის მეთაური რუსეთის წარმომადგენელს უხსნიდა, რომ ერეკლეს გადაბირებით რუსეთს თავრიზამდე მოწინააღმდეგე არ ეყოლებოდა. ამიერკავკასიის საქმეების მოსაგვარებლად დანიშნულმა გრიგოლ პოტიომკინმა ერეკლესთან მოლაპარაკება დაიწყო. ეკატერინე II-ს სურდა საქართველოს მფარველობაში მიღების აქტი ერეკლეს მოთხოვნის საფუძველზე გაფორმებულიყო.

ერეკლე კარგად ხედავდა, რომ ამიერკავკასიაში ბატონობას ერთმანეთს სამი დიდი იმპერია ეცილებოდა. ასეთ ვითარებაში, საქართველო დამოუკიდებელი ვერ დარჩებოდა. ამიტომ, გადაწყვიტა ის გზა აერჩია, რომელიც ქვეყანას მშვიდობას მოუტანდა და ევროპული განვითარების გზით წაიყვანდა.

1782 წლის 21 დეკემბერს ერეკლე II-მ რუსეთის მფარველობა ოფიციალურად ითხოვა.

1783 წლის 24 ივლისს ჩრდილო კავკასიის ციხე-სიმაგრე გეორგიევსკში ტრაქტატზე ხელი მოაწერეს: ქართლ-კახეთის მხრიდან იოანე მუხრანბატონმა და თავადმა გარსევან ჭავჭავაძემ, რუსეთის მხრიდან კავკასიის ხაზის გენერალმა, პავლე პოტიომკინმა.

ტრაქტატს „მეგობრობითი პირობა" ეწოდებოდა. 1784 წლის 22 იანვარს ერეკლე II-მ ეკატერინე II-საგან სარატიფიკაციო სიგელი მიიღო. ქართლ-კახეთის მეფემ ასეთივე სიგელს 24 იანვარს მოაწერა ხელი.

ხელშეკრულების I და II პუნქტებით, ერეკლე II იმპერატორ ეკატერინე II-ის მფარველობას აღიარებდა, რუსეთის მთავრობა ერეკლესა და მისი მემკვიდრეების

უფლებებს იცავდა და საქართველოს ისტორიულ საზღვრებში აღდგენის დაპირებას იძლეოდა. ქართლ-კახეთის მეფე რუსეთის იმპერატორს უნდა დაემტკიცებინა და სამეფო ნიშნები გამოეგზავნა. ამის შემდეგ, მეფე იმპერატორის ერთგულებაზე დაიფიცებდა. ერეკლეს დამოუკიდებელი საგარეო ურთიერთობების დამყარების უფლება აღარ ჰქონდა. საგარეო მტრის წინააღმდეგ რუსეთსა და ქართლ-კახეთს ერთობლივად უნდა ემოქმედათ. საშინაო საქმეებში რუსეთი არ ჩაერეოდა და ა.შ. ერეკლემ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა სია წარადგინა, რათა რუსეთში ჩასვლის შემთხვევაში, მათ რუს დიდებულებთან გათანაბრებული პრივილეგიები ჰქონოდათ. ამ დოკუმენტის მიხედვით, ქართლ-კახეთის სუვერენული სახელმწიფო რუსეთის მფარველობაში შევიდა. თბილისში რუსთა ჯარის 2 ბატალიონი შემოვიდა.

ევროპის სახელმწიფოები, კერძოდ, ინგლისი და საფრანგეთი „გეორგიევსკის ტრაქტატს" აღმოსავლეთში რუსეთის პოლიტიკის ტრიუმფად მიიჩნევდნენ.

ოსმალეთის იმპერია შეშფოთდა. რუსეთმა კავკასიონი უომრად გადმოლახა. ოსმალეთი საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლას ახალციხის ფაშასა და ჭარ-ბელაქანის საშუალებით აგრძელებდა. საქართველოზე მათი თავდასხმები ორგანიზებული და სისტემატური გახდა. ერეკლემ რუსეთს საქართველოს გაძლიერების გეგმა წარუდგინა. მაგრამ ამ გეგმას განხორციელება არ ეწერა. რუსეთს დასუსტებული საქართველოს მშვიდობიანად დაპყრობა სურდა.

ირანის ტახტისათვის ბრძოლაში რუსეთი ალი მურად-ხანს „ეხმარებოდა", სანაცვლოდ ხანი კასპიის ზღვის სანაპიროს თმობდა. 1788 წლის დასაწყისისათვის ალი მურად-ხანი გარდაიცვალა და გამარჯვების სასწორი მისი მოწინააღმდეგის აღა-მაჰმად ხანის მხარეზე გადაიხარა. ქართლ-კახეთის მდგომარეობა დღითი-დღე უარესდებოდა. ერეკლე რუსეთს დამატებითი ჯარის გამოგზავნას თხოვდა. მაგრამ ამაოდ. 1785-1787 წლებში სულთნის დავალებით, ავარიის ბატონმა ომარ-ხანმა და დაღესტნელებმა ქართლ-კახეთი რამდენჯერმე დალაშქრეს. მტერმა ალავერდისა და ახტალის საბადოებიც დაანგრია, თან უამრავი ტყვე და განძი გაიტაცა.

რუსეთს ერეკლეს დახმარება ევალებოდა, მაგრამ „მფარველი" მოვალეობას არ ასრულებდა.

ერეკლემ ირანთან და ოსმალეთთან მოლაპარაკებები განაახლა. ქართლ-კახეთმა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა წამოიწყო.

1789 წელს ერეკლე აზერბაიჯანის ერთ-ერთ უძლიერეს მფლობელს ფათალი ხანს შეხვდა. ორმა ძლიერმა ხელისუფალმა გავლენის სფეროები გაინაწილა. ერეკლეს – ამიერკავკასია, ფათალი ხანს კი, სამხრეთ აზერბაიჯანი ერგო.

მოკავშირეები ირანის ახალი შაჰის, აღა-მაჰმად ხანის მოსალოდნელი შემოსევის წინააღმდეგ ემზადებოდნენ. ფათალი ხანი მოულოდნელად გარდაიცვალა. ამიერკავკასიის გაერთიანების მცდელობა ჩაიშალა.

სამწუხაროდ, საქართველოს გაერთიანების საქმესაც იგივე ბედი ეწია. 1790 წელს ერეკლემ უარი თქვა იმერეთის შემოერთებაზე და იქ თავისი შვილიშვილი დავით არჩილის ძე (სოლომონ II) გაამეფა.

1790 წლის ივნისში სოლომონ ლიონიძის ინიციატივით, ქართლ-კახეთისა და დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებმა სამხედრო კავშირი გააფორმეს. მოკავშირეებმა ერეკლეს რუსეთთან მათი ურთიერთობის დამყარება მიანდეს.

1787 წელს დაწყებული რუსეთ-ოსმალეთის ომი 1791 წელს იასის ზავით დასრულდა. ერეკლე II ოსმალეთისაგან მიტაცებული სამცხე-საათაბაგოს დაბრუნებასა და აზერბაიჯანზე ხელის აღებას მოითხოვდა. იასის ზავში ქართველ მეფეთა მოთხოვნები არ ასახულა. ახალი ზავი, ფაქტობრივად, 1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ზავის პირობებს იმეორებდა.

1791 წელს აღა-მაჰმად ხანმა თითქმის მთელი აზერბაიჯანი დაიპყრო და ქართლ-კახეთზე ბატონობის აღდგენა გადაწყვიტა. იგი ერეკლესაგან რუსეთთან კავშირის გაწყვეტას მოითხოვდა. ირანელთა ლაშქრობა გარდაუვალი იყო. 1784 წელს საქართველოში შემოყვანილი 2 ბატალიონი რუსეთის იმპერტორმა ოსმალეთის მოთხოვნით, 1787 წელს უკან გაიყვანა. ერეკლემ რუსეთს ჯარი სთხოვა. რუსეთი დიპლომატიური დახმარებით შემოიფარგლა – აღა-მაჰმად ხანი გააფრთხილა, რომ საქართველოზე მისი გალაშქრების შემთხვევაში, შესაბამის ზომებს მიიღებდა. ერეკლე ტრაქტატით გათვალისწინებული 3 ათასი კაცის გამოგზავნას დაჟინებით ითხოვდა. რუსეთი კი, ისეთ დროს ელოდა, როცა საქართველოს საქმეებში უფრო ადვილად ჩაერეოდა.

1795 წლის სექტემბერში აღა-მაჰმად ხანი თბილისისაკენ დაიძრა. მტერს 35 ათასი მოლაშქრე ჰყავდა, 75 წლის ერეკლეს – 5 ათასი მეომარი. კრწანისის ველზე, ბრძოლის პირველი დღე ქართველთა უპირატესობით წარიმართა, მაგრამ მეორე დღეს, უთანასწორო ბრძოლაში ისინი დამარცხდნენ. 11 სექტემბერს თბილისი ცეცხლში გაეხვია. დამპყრობელი ქართლის ქალაქებსა და სოფლებს მოედო და 10 დღის განმავლობაში აოხრებდა. ერეკლემ თავი მთიულეთს შეაფარა. 21 სექტემბერს 15 ათასი დატყვევებული ქართველითა და უხვი ნადავლით აღა-მაჰმად ხანი თბილისს გაეცალა.

1795 წლის 4 სექტემბერს რუსეთმა გადაწყვეტილება მიიღო, „მოვალეობა შეესრულებინა". ეს განკარგულება კავკასიის ხაზის გენერალმა გუდოვიჩმა 1

ოქტომბერს მიიღო, როცა თბილისი მტრის მიერ უკვე დანგრეული იყო. 1795 წლის 14 სექტემბერს ერეკლე გენერალ გუდოვიჩს წერდა: „რუსეთისგან დაიმედებული რომ არ ვყოფილიყავი, მოვემზადებოდი, არ დავმარცხდებოდი და სამეფოს შევინარჩუნებდიო".

1795 წლის დეკემბერში რუსეთმა გადაწყვიტა, აღა-მაჰმად ხანი „დაესაჯა" და ირანში ლაშქრობა მოეწყო. რეალურად, რუსეთს ირანსა და ინდოეთში თავისი სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესების დაცვა სურდა. ამ ლაშქრობის შედეგად, ამიერკავკასიიდან ირანის განდევნასა და ბაქო-დარუბანდის დაპყრობას აპირებდა. 1796 წელს ერეკლემ რუსეთს დახმარება ისევ სთხოვა. ამასთან, ის ზარბაზნებიც მოითხოვა, რომელიც ეკატერინე II-მ ქართლ-კახეთს ჯერ კიდევ XVIII საუკუნის 80-იან წლებში აჩუქა. იმპერატორმა მეფეს არც ჯარი მიაშველა, არც ფულადი სესხი მისცა და სხვა სახელმწიფოებიდან დახმარების მიღებასაც ხელი შეუშალა. რუს გენერლებს ერეკლეს დახმარების ნაცვლად, მხოლოდ მისი დაიმედება ევალებოდათ. რუსეთის „მფარველობამდე" აღმოსავლეთ საქართველოში 350 ათასი კაცი ცხოვრობდა, საუკუნის ბოლოს კი, მათი რიცხვი 200 ათასამდე შემცირდა.

გულმოკლული ერეკლე II 1798 წლის 11 იანვარს, 78 წლის ასაკში გარდაიცვალა. გმირი მეფე სვეტიცხოველში დაკრძალეს. 15 წლის იყო ერეკლე, როდესაც საბრძოლო ნათლობა მიიღო. აქედან მოყოლებული სიცოცხლის უმეტესი ნაწილი მან ლაშქრობებში გაატარა, მაგრამ საქართველოს სანატრელი ერთიანობა და თავისუფლება ვერ მოუტანა. XVIII საუკუნის საერთაშორისო ვითარება ამის საშუალებას არ იძლეოდა.

თავი XXIV

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დაპყრობა რუსეთის მიერ. ეროვნულ–განმათავისუფლებელი ბრძოლის დასაწყისი

1798 წელს, ერეკლე მეორეს გარდაცვალების შემდეგ, ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე მისი უფროსი შვილი გიორგი XII ავიდა. ის კარგად ხედავდა, რომ გეორგიევსკის ტრაქტატმა ქვეყანას მშვიდობის ნაცვლად მაჰმადიან მეზობლებთან კიდევ უფრო გახშირებული ომიანობა და ნგრევა მოუტანა. მდგომარეობას სამეფო ოჯახის შიდადინასტიური ბრძოლაც ართულებდა. გიორგი XII-მ შინაგანი წესრიგის აღდგენისა და საგარეო უშიშროების უზრუნველყოფის მთელი იმედი

რუსეთზე დაამყარა. რუსეთის უფრო მეტად დაინტერესების მიზნით კი, გადაწყვიტა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებაში არსებითი ხასიათის კორექტირება შეეტანა. 1800 წლის ივნისში ხელშეკრულების ახალი პროექტი შედგა. პროექტის მიხედვით, ქართლ-კახეთი რუსეთის იმპერიის ნაწილი ხდებოდა, იმპერატორის ხელში საკანონმდებლო ხელისუფლება გადადიოდა. ქართლ-კახეთის მეფე მხოლოდ აღმასრულებელ ხელისუფლებას იტოვებდა. იგი პირობას დებდა, რომ სამეფოს შიდა მართვა-გამგეობას რუსული კანონების საფუძველზე განახორციელებდა. ამრიგად, ამ პროექტით აღმოსავლეთ საქართველო რუსეთის შემადგენლობაში შეზღუდული ავტონომიის სახით უნდა შესულიყო.

იმპერატორმა პავლე I-მა მოიწონა პროექტი, რომელიც ორი ქვეყნის ორმხრივი შეთანხმების საფუძვლად მიიჩნია. ამავე დროს, კავკასიის საკითხი ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაშიც გააქტიურდა. ეს ქვეყნები ირან-ოსმალეთის მეშვეობით კავკასიიდან რუსეთის განდევნას და იქ გაბატონებას ცდილობდნენ. ამიტომ იმპერატორმა აღარ დაუცადა ორმხრივი აქტის გაფორმებას. 1800 წლის 18 დეკემბერს მან რუსეთთან აღმოსავლეთ საქართველოს შეერთების მანიფესტს ხელი მოაწერა. თუმცა ეს მანიფესტი არ განხორციელდა. მომდევნო წლის გაზაფხულზე პავლე I შეთქმულების მსხვერპლი გახდა.

1800 წლის 28 დეკემბერს ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII გარდაიცვალა. საიმპერატორო კარმა ტახტის მემკვიდრის გამეფება აღარ დაუშვა. შეიქმნა ქართლ-კახეთის დროებითი მმართველობა. ასე გაუქმდა საქართველოში ბაგრატიონთა დინასტიის მრავალსაუკუნოვანი მეფობა.

1801 წლის 12 სექტემბერს პეტერბურგში გამოქვეყნდა ახალი იმპერატორის, ალექსანდრე I-ის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთთან შეერთების შესახებ. ერთდროულად დამტკიცდა ქართლ-კახეთის მმართველობის დებულება. კავკასიაში განლაგებული რუსთა ჯარის სარდალი გენერალი კნორინგი ახალშეერთებული ტერიტორიების მთავარმართებლად დაინიშნა. მას საქართველოს მმართველი და უზენაესი მთავრობა ექვემდებარებოდა, რომელიც ოთხი ექსპედიციისაგან შედგებოდა: აღმასრულებელი, სამოქალაქო, სისხლის სამართლის და სახაზინო საქმეთა. მათ სათავეში რუსი მოხელეები დაინიშნენ, ხოლო მრჩევლებად – ქართველი თავადები. აღმოსავლეთ საქართველო, ფაქტობრივად, რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიად იქცა.

პეტერბუგში მყოფი ქართველი ელჩები მდგომარეობის გამოსწორებისათვის იბრძოდნენ. გარსევან ჭავჭავაძემ 1802 წლის 27 იანვარს იმპერატორ ალექსანდრეს სპეციალური ნოტა წარუდგინა. იგი ქართლ-კახეთის სამეფოდან რუსი მოხელეების

გაწვევას და იქ ადგილობრივი მმართველობის აღდგენას მოითხოვდა. სახელმწიფო საბჭომ 1802 წლის 6 თებერვალს გარსევან ჭავჭავაძის ნოტა განიხილა და უარყო. ქართველ ელჩებს შეახსენეს, რომ მათ რწმუნების ვადა გაუვიდათ და პეტერბურგი უნდა დაეტოვებინათ.

1802 წლის 9 აპრილს გენერალი კნორინგი რამდენიმე ათეული რუსი მოხელითურთ თბილისში ჩამოვიდა. ახალმა მთავრობამ სიონის ტაძარი ალყაში წინასწარ მოაქცია. იქ მიწვეულ ქართველ თავადაზნაურობას აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტი წაუკითხა და რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე ფიცის დადება მოსთხოვა. თავადთა ნაწილმა აღშფოთება გამოხატა: ისინი მყისვე დააპატიმრეს. საქართველოში რუსთა ბატონობა რეპრესიებით დაიწყო.

რუსულ მმართველობას ოპოზიციაში ყველაზე ადრე ქართველი თავადაზნაურობა ჩაუდგა. ქვეყნის მართვა-გამგეობაში მომხდარ უჩვეულო ცვლილებებს გლეხობაც შიშით უცქერდა და ქართული მონარქიის აღდგენის სურვილს გამოთქვამდა. ასეთი განწყობა აიმედებდა ბაგრატიონთა საგვარეულოს, რომელიც ეროვნული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის სათავეში რჩებოდა.

კახეთის 1802 წლის შეთქმულება. კახეთი 1802 წლის ივლის-აგვისტოში ეროვნული მოძრაობის ძირითადი კერა იყო. ქელმენჩურის მიდამოებში ქიზიყის მამაკაცთა დიდი ნაწილი – რამდენიმე ათასი კაცი შეიკრიბა. აჯანყებულებმა მათ დასაშლელად გამოგზავნილი რუსთა ბატალიონი დაამარცხეს და იულონ ერეკლეს ძის ერთგულებაზე ფიცი დადეს. მალე აჯანყება მთელ კახეთს მოედო. მოძრაობის მეთაურებმა იმპერატორის სახელზე თხოვნა შეადგინეს, რომლის არსი ორმხრივი ხელშეკრულების განახლება და ქართლ-კახეთის ავტონომიური სამეფოს აღდგენა იყო. პასუხად რეგიონში მრავალრიცხოვანი დამსჯელი ჯარი შევიდა, აჯანყებულთა შეიარაღებული რაზმები დაშალეს და რუსული ხელისუფლების მორჩილების აღიარება აიძულეს.

რუსეთის უმაღლესმა ხელისუფლებამ საქართველოში შექმნილი მდგომარეობა აქაურ მმართველებს გადააბრალა და სასწრაფოდ გადააყენა. 1802 წლის სექტემბერში კავკასიაში განლაგებულ რუსეთის არმიის მთავარსარდლად და საქართველოს მთავარმართებლად გარუსებული ქართველი თავადი გენერალი პავლე ციციანოვი დაინიშნა. მას საქართველოში წესრიგის დამყარება და კავკასიაში რუსეთის სამფლობელოების გაფართოება დაეკისრა.

ბაგრატიონთა სამეფო კარის წარმომადგენელთა დიდი და აშკარა წინააღმდეგობის მიუხედავად, ციციანოვმა ბევრი მათგანი რუსეთში გადაასახლა, მათ შორის: დავით და ვახტანგ ბატონიშვილები, ერეკლე II-ის ქვრივი დარეჯან დედოფალი და გიორგი XII-ის ქვრივი – მარიამი შვილებითურთ. რუსეთის მთავრობა იმედოვნებდა, რომ ამ გზით ბოლოს მოუღებდა ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის მცდელობას. ამაოდ, საქართველოში ანტირუსული ბრძოლის ცეცხლი არ ნელდებოდა.

1804 წლის აჯანყება მთიანეთში. ოთხ წელიწადში ქართველმა ხალხმა კარგად გაიგო, რას წარმოადგენდა რუსული მართვა-გამგეობა. მოსახლეობის ძირითადი ნაწილის უკმაყოფილების მიზეზი მძიმე სახელმწიფო გადასახადები, ე.წ. საერობო პოლიციის და სასამართლო მოხელეთა თვითნებობა-განუკითხაობა და აუტანელი საგზაო-სატრანსპორტო ბეგარა იყო. ეს უკანასკნელი ვალდებულება განსაკუთრებით მძიმე ტვირთად საქართველოს სამხედრო გზის პირას მცხოვრებ მთიელებს აწვა. ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა 1804 წელს რუსეთ-ირანის ომის დაწყებასთან დაკავშირებით. ამავე წლის ზაფხულში მთიულებმა ანტირუსული აჯანყების დროშა აღმართეს. აჯანყებულებმა სტეფანწმინდა, დუშეთი, ლარსი, ანანური, ჟინვალი აიღეს, სამხედრო გზა დაიკავეს და რუსთა ჯარის კომუნიკაციები შუაზე გაკვეთეს. ანტირუსული მოძრაობის მეთაურებმა იმერეთში გახიზნული იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები აჯანყების ხელმძღვანელებად მოიწვიეს, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ მთიანეთის მოსახლეობამ რუსული მართვა-გამგეობის სისტემა დაგმო და უპირატესობა გაუქმებულ ქართულ მმართველობას მიანიჭა. იულონი და ფარნაოზი აჯანყებული არაგვის ხეობისაკენ მყისვე დაიძრნენ. რუსთა სარდლობამ იულონის დატყვევება შეძლო, ფარნაოზ ბატონიშვილმა კი ბრძოლა ქსნის ხეობაში გადაიტანა, რითაც ანტირუსული მოძრაობის გეოგრაფიული არეალი საკმაოდ გააფართოვა. შეშფოთებულმა მთავარმართებელმა ციციანოვმა ერევანს ალყა მოხსნა და არაგვის ხეობისაკენ დაიძრა. მას ჩრდილოეთ კავკასიიდან წამოსული რუსთა ჯარიც წამოეშველა. აჯანყებულებმა პოზიციები თანდათანობით დათმეს. ფარნაოზ ბატონიშვილი ყაზახის მიდამოებში დაატყვევეს.

აჯანყება სისხლში იქნა ჩახშობილი, მაგრამ ბრძოლას უკვალოდ არ ჩაუვლია. ქართველმა ხალხმა დამპყრობლებს დაუმტკიცა, რომ ანგარიშგასაწევი ძალა იყო. პავლე ციციანოვი იძულებული გახდა მთიელებისათვის მკაცრი წერილობითი განაწესი მიეცა, განესაზღვრა მათი უფლება-მოვალეობები. ნაწილობრივ შეიზღუდა რუს მოხელეთა თვითნებობაც.

რუსეთის მიერ დასავლეთ საქართველოს დაპყრობა. XIX საუკუნის დამდეგს იმერეთის სამეფო საქართველოს სხვა მხარეებთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყო. იმერეთმა თურქეთის ბატონობასაც დააღწია თავი. მას არც ლეკთა თარეში აწუხებდა. აღმოსავლეთ საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა იმერეთის მეფე სოლომონ II ძლიერ შეაშფოთა. მან ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენა რუსეთის ხელისუფლებას არაერთხელ მოსთხოვა. სოლომონ II დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისთვისაც იბრძოდა, მაგრამ უშედეგოდ. მეფესა და მთავრებს შორის ერთიანობა და თანხმობა არ არსებობდა.

დასავლეთ საქართველოს პირველი სამთავრო, რომელზედაც რუსეთის ხელისუფლება გავრცელდა, სამეგრელო იყო. 1803 წელს სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა რუსეთის მფარველობაში შესვლის ხელშეკრულებას ხელი მოაწერა. ქვეშევრდომობის სიგელის მიხედვით, სამეგრელოში რუსთა ჯარი უნდა მდგარიყო, რუს მოხელეებს სამთავროს საშინაო საქმეებში ჩარევის უფლებაც ეძლეოდათ. ამრიგად, სამეგრელოს სამთავრო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საშინაო თვითმმართველობის (ავტონომიის) უფლების შენარჩუნებით შევიდა. ეს ციციანოვის მიერ მოხერხებულად განხორციელებული რეგიონის ფაქტობრივი დაპყრობა იყო. შემდეგ იგივე ნაბიჯი გურიის მთავარმაც გადადგა.

მარტო დარჩენილი იმერეთის მეფე სოლომონი იძულებული გახდა რუსეთის ქვეშევრდომობაზე თავადაც დათანხმებულიყო. 1804 წელს სოფ. ელაზნაურში სოლომონ II-სა და პავლე ციციანოვს შორის ტრაქტატი დაიდო. ტრაქტატის თანახმად, იმერეთის მეფე რუსეთის სამუდამო ქვეშევრდომი უნდა გამხდარიყო. რუსეთი იმერეთის სამეფო ტახტზე სოლომონისა და მისი მემკვიდრეების უფლებას აღიარებდა. იმერეთის მეფის ტახტზე ასვლა რუსეთის იმპერატორის სიგელით უნდა დამტკიცებულიყო. ქვეყნის ადმინისტრაცია და სამართალი ქართველი მეფის ხელში რჩებოდა, თუმცა სისხლის სამართლის საქმეებში მას რუსული კანონებით უნდა ესარგებლა. დადებული შეთანხმებით სოლომონ II პირობას დებდა, რომ საქართველოს მთავარმართებელს დაემორჩილებოდა. ამიერიდან იმერეთის სამეფოში რუსეთის ჯარი უნდა მდგარიყო.

ამასობაში ციციანოვი აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაპყრობას აგრძელებდა, რასაც შეეწირა კიდეც. მალე ახალმა მთავარსარდალმა გენერალმა გუდოვიჩმა თითქმის მთელი ამიერკავკასია რუსეთს დაუმორჩილა.

სოლომონ II შეეცადა ახალ მთავარმართებლებთან – გუდოვიჩთან, შემდეგ ტორმასოვთან – საერთო ენა გამოენახა, მაგრამ ამაოდ. მას არც 1806 წელს დაწყებული რუსეთ-თურქეთის ომის ვითარებაში, ოსმალეთის სულთანისაგან

პოლიტიკური დახმარების მიღების მცდელობამ გაუმართლა. იმერეთის მეფე ახალი ხელშეკრულების გაფორმებას მოითხოვდა, რაც მეფის უფლებების პატივისცემას და იმერეთის ავტონომიის გაფართოებას გულისხმობდა. როცა ცხადი გახდა, რომ ამ მოთხოვნებს რუსეთის იმპერიის წარმომადგენლები მხოლოდ იარაღის ძალით პასუხობდნენ, სოლომონმა ქუთაისი დატოვა და ვარციხეში გამაგრდა. მიუხედავად ამისა, მას თავის მოთხოვნებზე ხელი არ აუღია. 1810 წლის თებერვალ-მარტში რუსთა ჯარებმა ბრძოლით აიღეს ვარციხე და ბაღდათი. სოლომონ მეფე 4 ათასიანი ლაშქრით ხანისწყლის ხეობაში დაბანაკდა. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, რუსებმა მეფის დატყვევება მოტყუებით მოახერხეს. სოლომონმა ერთგულ ქვეშევრდომთა დახმარებით ტყვეობიდან თავი დაიხსნა და ახალციხეს ჩავიდა, საიდანაც იმერეთის მოსახლეობას სამეფო ტახტის დაბრუნებისა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლაში დახმარება სთხოვა. იმერეთში საყოველთაო აჯანყება დაიწყო, რომელსაც სათავეში ახალციხიდან დაბრუნებული სოლომონი ჩაუდგა.

მეფე სოლომონი იმედოვნებდა, რომ ოსმალეთთან ომში ჩაბმული რუსეთის მთავრობა იძულებული გახდებოდა აჯანყებული იმერეთისათვის დაეთმო და ავტონომია მიენიჭებინა. ამასთანავე, მეფეს კარგად ესმოდა რუსეთთან შეიარაღებული ბრძოლის უპერსპექტივობა, ამიტომ მორიგებას რუსეთის მთავრობასთანაც ცდილობდა და ირან-ოსმალეთთანაც. მეფე აჯანყებულთა ბრძოლას ირან-ოსმალეთის სამხედრო ოპერაციებთან ათანხმებდა.

რუსეთის ცარიზმმა იმერეთის ავტონომიის იდეას მხარი არ დაუჭირა. უფრო მეტიც, აჯანყების ჩასახშობად მათ დასავლეთ საქართველოში ირანისა და ოსმალეთის ფრონტებიდან რამდენიმე ბატალიონი და კაზაკთა რაზმები გადმოისროლა.

1810 წლის ივლისის შუა რიცხვებში აჯანყებულებმა სოფ. საკაროსთან გამარჯვება მოიპოვეს და თვის ბოლომდე პოზიციები შეინარჩუნეს. ამის შემდეგ იმერლები პარტიზანულ ბრძოლაზე გადავიდნენ. სოლომონ II მთელი აგვისტოს განმავლობაში სამხედრო ოპერაციებს მოხერხებულად წარმართავდა, მაგრამ 5 სექტემბერს ახალქალაქთან ბრძოლაში რუსეთის მიერ თურქთა ლაშქრის სასტიკად დამარცხების შემდეგ, გარედან დახმარების იმედი გადაეწურა. ახალციხეში გადასული მეფე მაინც ცდილობდა ვითარება ქვეყნის სასიკეთოდ შემოებრუნებინა და იმერეთის მოსახლეობა ახალი აჯანყებისათვის მოემზადებინა. ამასობაში იმერეთში საოკუპაციო რეჟიმი გამკაცრდა და ანტირუსული აჯანყების განახლება შეუძლებელი გახდა. რუსეთმა 1812 წელს ოსმალეთთან და 1813 წელს

ირანთან საზავო ხელშეკრულებები გააფორმა. ამ შეთანხმებების თანახმად, ირანმა და ოსმალეთმა საქართველოზე რუსეთის ბატონობა აღიარა. სოლომონს უიმედობა დაეუფლა. იმერეთის უკანასკნელი მეფე თურქეთში გაიხიზნა. იმერეთის სამეფო რუსეთის ხელში გადავიდა. 1815 წელს სოლომონ II ტრაპიზონში გარდაიცვალა. 1990 წელს მეფის ცხედარი საქართველოში გადმოასვენეს და გელათის მონასტერში დაკრძალეს.

კოლონიური პოლიტიკის I ეტაპი. რუსეთ-თურქეთის ომის დროს გურიის სამთავროს პოლიტიკური სტატუსი შეიცვალა. 1828 წლის ოქტომბერში რუსთა რაზმებმა მისი ოკუპაცია განახორციელეს. 1829 წელს გურიის ავტონომიური სამთავრო გაუქმდა. რეგიონი უშუალოდ რუსულ მმართველობას დაექვემდებარა.

ამიერკავკასიაში პოზიციების განმტკიცებისთანავე, რუსეთის მთავრობის კავკასიურ ადმინისტრაციას საშუალება მიეცა მართვა-გამგეობის სისტემის ეფექტურობის ამაღლებისა და შინაგანი წესრიგის დაცვისათვის მეტი ყურადღება მიექცია.

დაპყრობილ ხალხთა წინააღმდეგობის აღმოსაფხვრელად რუსეთის მთავრობამ უკვე XIX საუკუნის პირველ ოცეულში კავკასიის კოლონიზაციის მზაკვრული გეგმა შეიმუშავა და ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგა: საქართველოში რუსებისა და გერმანელების რამდენიმე ასეული ოჯახი ჩამოასახლა. 1826-1830 წლებში კი, ირან-ოსმალეთიდან ათი ათას კომლამდე სომეხი და ბერძენი იქნა ჩამოსახლებული. ამგვარი პოლიტიკის შედეგად, საქართველოს ზოგიერთ რეგიონში დემოგრაფიული სიტუაცია საგრძნობლად შეიცვალა.

კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულება ისიც იყო, რომ საქართველოს სამეფო და საუფლისწულო მიწები, აგრეთვე, ანტირუსულ აჯანყებაში მონაწილე ქართველ თავადაზნაურთა მამულები რუსეთის სახელმწიფო ხაზინის საკუთრებად გამოცხადდა. რუსეთის ხაზინის ხელში საქართველოს მიწების ფონდის მესამედი აღმოჩნდა.

1811 წელს რუსეთის მთავრობამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა. კათალიკოს-პატრიარქი ანტონ II გადააყენეს და რუსეთს გადაასახლეს. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სათავეში რუსი ეგზარქოსი ჩააყენეს და რუსეთის სინოდს დაუქვემდებარეს.

რუსეთის ამგვარი ქმედებები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დამატებით ფაქტორად იქცა.

კახეთის 1812 წლის აჯანყება. კახეთის მოსახლეობის აჯანყების მიზეზი სოფლებში ეგზეკუციების ჩაყენება, ხალხის ძარცვა და დამცირება იყო. 1812 წლის

თებერვალში კახელთა სახალხო ლაშქარმა რამდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტი დაიკავა. აჯანყება ფშავ-ხევსურეთსაც მოედო, შემდეგ მასში ხევის მოსახლეობაც ჩაება და სამხედრო გზა ფაქტობრივად ჩაიკეტა.

ანტირუსული მოძრაობა გაძლიერდა, აჯანყებულებმა მეთაურად და კახეთის მეფედ ბატონიშვილი გრიგოლ იოანეს ძე მოიწვიეს. ბრძოლის ველზე ქართველი მეფის გამოჩენა აჯანყების პოლიტიკური მიზნის გამოცხადებას ნიშნავდა. კახეთის მოსახლეობას მიაჩნდა, რომ ბაგრატიონთათვის ტახტის ჩამორთმევა და ქართული სახელმწიფოს მოსპობა უსამართლო იყო.

აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში გენერალი პაულიჩი ჩაუდგა. სოფ. ჩუმლაყთან უთანასწორო ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ. გრიგოლ ბატონიშვილი დაატყვევეს. ხელისუფლებამ აჯანყებულები დასაჯა, თუმცა საქართველოს მთავარმართებელი იძულებული გახდა გარკვეულ დათმობებზე წასულიყო. კახეთში კაპიტან-ისპრავნიკების თანამდებობა გაუქმდა, მოურავობა აღდგა, რუსული სასამართლო გაუქმდა და მის ნაცვლად შერეული სასამართლო შეიქმნა, სადაც სამოქალაქო საქმეების გარჩევა ქართული კანონების საფუძველზე მიმდინარეობდა. ქართველთა წინააღმდეგობა დროებით შეწყდა.

1812 წლის ზაფხულში საერთაშორისო მდგომარეობა შეიცვალა. რუსეთის სახელმწიფოს სერიოზული საფრთხე დაემუქრა. რუსეთში ნაპოლეონის არმია შეიჭრა. ქართველებმა ჩათვალეს, რომ აჯანყების გასაახლებლად ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა. ისინი ალექსანდრე ბატონიშვილს დაუკავშირდნენ, რომელიც მოვლენებს თვალყურს ირანიდან ადევნებდა.

ალექსანდრე კახეთში ჩამოვიდა და შეიარაღებულ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა. აჯანყებულებმა რუსთა ჯარი რამდენჯერმე დაამარცხეს და დიდი ზარალი მიაყენეს. ამასთან ერთად, ალექსანდრე ბატონიშვილი აბას მირზას წარმატებებზეც დიდ იმედებს ამყარებდა. ირანს რუსეთთან საბრძოლო მოქმედებები ჯერაც არ დაესრულებინა. ირანელთა ჯარი აბას მირზას სარდლობით თბილისისკენ დაიძრა, მაგრამ რუსებმა დაასწრეს და მტერი სასტიკად დაამარცხეს. ირანელთა წარუმატებლობამ აჯანყებულები მძიმე დღეში ჩააგდო. ხელისუფლებამ კახეთში დამატებითი ძალები შემოიყვანა. გადამწყვეტ ბრძოლებში – შილდასა და მანავთან – ალექსანდრე ბატონიშვილი დამარცხდა და იძულებული გახდა კახეთს გასცლოდა. მან თავი შატილს შეაფარა. ბატონიშვილი იმედოვნებდა, რომ იმ ბრძოლების შემდეგ, რომელიც ქართველმა ხალხმა მისი მეთაურობით რუსეთის ჯარებს გაუმართა, რუსთა მხრიდან კომპრომისი შესაძლებელი გახდებოდა: რუსეთის მთავრობა 1783 წლის ტრაქტატის პირობებს შეასრულებდა და ქართლ-

კახეთს დამოუკიდებელ სამეფოდ გამოაცხადებდა. იმპერია უკანდახევას არ აპირებდა. 1813 წლის მაისში რუსთა ჯარები შატილში შეიჭრა. ბრძოლის ველზე 600 ხევსური გმირულად დაეცა, რუსებმა ციხე-სოფელი აიღეს, მაგრამ მთავარი ამოცანა ვერ შეასრულეს: ალექსანდრე ბატონიშვილი ვერ შეიპყრეს. იგი ჯერ დაღესტანში გადავიდა, იქედან კი, ირანს შეაფარა თავი.

დასავლეთ საქართველოს 1819–1820 წლების აჯანყება. 1819 წლის მაისში ეგზარქოსი თეოფილაქტე რუსანოვი იმერეთში ჩავიდა და ე.წ. საეკლესიო რეფორმის გატარება – საქართველოს საეკლესიო მამულების აღწერა დაიწყო. ეგზარქოსის უკანონო ქმედება მოსახლეობის აჯანყების დაწყების მიზეზი გახდა. მალე მღელვარება რაჭასა და გურია-სამეგრელოსაც მოედო.

კავკასიის მთავარმართებელმა, გენერალმა ერმოლოვმა სიტუაციის გამწვავებაში ეგზარქოსი თეოფილაქტე დაადანაშაულა, იმერეთიდან გაიწვია და საეკლესიო რეფორმა შეაჩერა. მაგრამ აჯანყებულთა დასამშვიდებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ქართველებმა ფეოდალური მონარქიის აღდგენა განიზრახეს და მეფედ ალექსანდრე ბატონიშვილი მოიწვიეს. აჯანყებულები კავშირის დამყარებას დაღესტანთან ცდილობდნენ და ირან-ოსმალეთის ანტირუსული განწყობის გამოყენებასაც იმედოვნებდნენ.

აჯანყებას სათავეში ჩაუდგნენ: სოლომონ I-ის ასული დარეჯანი და შვილიშვილი ივანე აბაშიძე, მიტროპოლიტები დოსითეოზ ქუთათელი და ექვთიმე გენათელი, არქიმანდრიტი გრიგოლი, სეხნია წულუკიძე, ბეჟან წერეთელი და სხვ. ერმოლოვმა მათი დაპატიმრების ბრძანება გასცა. მაგრამ ვიდრე ამას განახორციელებდა, აჯანყებამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. იგი მთელ დასავლეთ საქართველოს მოედო.

1820 წლის აპრილში გენერალ ერმოლოვის მიერ გაგზავნილი დამსჯელი ექსპედიცია იმერეთში შეიჭრა. ქუთაისის აღების შემდეგ, რუსებმა აჯანყების კერები მთელ დასავლეთ საქართველოში ცალ-ცალკე გაანადგურეს.

1932 წლის შეთქმულება. 1832 წლის შეთქმულება, XIX საუკუნის სხვა ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყებებისაგან თვისებრივად განსხვავდებოდა. ეს შეთქმულება არა სტიქიური მოვლენა, არამედ ხანგრძლივი განსჯის, ფიქრისა და მოღვაწეობის შედეგი იყო. ამასთან, ეს იყო არა ლოკალური, არამედ საერთო-ქართული მოვლენა. და ბოლოს, შეთქმულებს საკუთარი პროგრამა და სამოქმედო გეგმა ჰქონდათ შემუშავებული.

XIX საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს განთავისუფლებისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლას სათავეში რუსეთში

მცხოვრები ბატონიშვილები – ოქროპირ გიორგის ძე და დიმიტრი იულონის ძე ჩაუდგნენ. ისინი მიიჩნევდნენ, რომ რუსეთის იმპერატორმა საერთაშორისო სამართლის ნორმები უხეშად დაარღვია: 1783 წლის მფარველობით-სამოკავშირეო ტრაქტატი საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტით შეცვალა და ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო მოსპო. მათი თვალსაზრისით, რუსეთის წინააღმდეგ ქართველი ხალხის შეიარაღებული ბრძოლის პარალელურად საგარეო ძალის გამოყენებაც იყო საჭირო. სჯეროდათ, რომ ინგლისის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების მთავრობებს შეეძლოთ აეძულებინათ რუსეთი აღედგინა საქართველოს სახელმწიფოებრიობა.

1825 წელს პეტერბურგში და 1826 წელს მოსკოვში ბატონიშვილების დიმიტრისა და ოქროპირის თაოსნობით ფარული საზოგადოებები – წრეები დაარსდა, რომლებშიც მათ გარდა აქტიურად მონაწილეობდნენ სხვა ქართველი ბატონიშვილები: დავით გიორგის ძე, ფარნაოზ ერეკლეს ძე, თამარი. ორი წლის შემდეგ ფარული საზოგადოება თბილისშიც ჩამოყალიბდა. 1830-1832 წლებში თბილისის ორგანიზაციაში ხელმძღვანელ როლს ალექსანდრე ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი და სოლომონ დოდაშვილი ასრულებდნენ. შეთქმულებაში მონაწილეობდნენ: გიორგი ერისთავი, დიმიტრი ერისთავი, სოლომონ რაზმაძე, ალექსანდრე ჭავჭავაძე, დავით ორბელიანი, დიმიტრი ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, გრიგოლ ორბელიანი, ლუარსაბ ორბელიანი, ალექსანდრე ორბელიანი, მამუკა ორბელიანი, ალექსანდრე ჩოლოყაშვილი, ზაქარია ჩოლოყაშვილი, დავით ჯორჯაძე, დიმიტრი ყიფიანი, ფილადელფოს კიკნაძე და სხვები. შეთქმულებას თანაუგრძნობდნენ სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავრის მემკვიდრეები: დავით დადიანი და კონსტანტინე შერვაშიძე.

1830 წელს შეთქმულებმა შეადგინეს ფარული ორგანიზაციის წესდება სახელწოდებით „აქტი გონიური". აღნიშნული წესდება განსაზღვრავდა ფარული საზოგადოების წევრად მიღების პირობებს, წევრთა უფლებებსა და მოვალეობებს. 1832 წელს მოხდა ფარული საზოგადოების წევრთა დაფიცება „აქტი გონიურის" ერთგულებაზე.

1832 წლის შეთქმულთა უმთავრესი საპროგრამო მოთხოვნა იყო – „საქართველო ქართველებისთვის", რაც საქართველოს რუსეთის ბატონობისაგან საბოლოო განთავისუფლებას გულისხმობდა. ერთიანი პოზიცია საქართველოს რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფლების გზების შესახებ შეთქმულებმა ვერ შეიმუშავეს. შეთქმულთა ერთი ნაწილი შეგუებული იყო საქართველოს დაპყრობას და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებას შორეულ პერსპექტივად მიიჩნევდა.

მეორე ნაწილი რუსეთის წინააღმდეგ აჯანყების დაწყების მომხრე იყო და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა-შენარჩუნება რეალურად ესახებოდა. მესამე ნაწილი თვლიდა, რომ მშვიდობიანი გზით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიური სამეფოს შექმნა შესაძლებელი იყო.

განთავისუფლებული საქართველოს სახელმწიფო წყობილების შესახებ ფარული საზოგადოების წევრთა პოზიციები გაიყო. მათი აბსოლუტური უმრავლესობა მონარქიასა და კონსტიტუციურ მონარქიას შორის აკეთებდა არჩევანს. უმცირესობა უპირატესობას რესპუბლიკურ წყობილებას ანიჭებდა. შეთქმულთა შორის არსებული უთანხმოების მიუხედავად, სავარაუდოდ, 1832 წლის ბოლოსათვის უმრავლესობის მოსაზრებით, ქვეყანა კონსტიტუციურ-მონარქიული სახელმწიფოს სახით უნდა ჩამოყალიბებულიყო. უნდა შექმნილიყო ორპალატიანი პარლამენტი. ზედა პალატის თავმჯდომარე მეფე იქნებოდა, მისი წევრები – მინისტრები. ქვედა პალატაში დეპუტატები იქნებოდნენ წარმოდგენილნი. შეთქმულების მონაწილეები მეფედ ალექსანდრე ბატონიშვილის მოწვევას გეგმავდნენ. მათ მინისტრთა კანდიდატურებიც შერჩეული ჰქონდათ.

შეთქმულების ორგანიზატორები შეთქმულებაში მოსახლეობის ყველა ფენის ჩაბმას, აგრეთვე, რუსეთის იმპერიის სხვა ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებთან დაკავშირებას ცდილობდნენ.

ფარულმა საზოგადოებამ კავშირი ირანში გადახვეწილ ალექსანდრე ბატონიშვილთან დაამყარა და აჯანყების ხელმძღვანელობაც მას შესთავაზა. ირანსა და ოსმალეთზე შეთქმულები იმედს არ ამყარებდნენ. ამ ქვეყნებმა რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებებში ქართველებს რეალური დახმარება არ გაუწიეს. რამდენჯერმე სპარსელებისგან შემწეობის მოლოდინში ალექსანდრე ბატონიშვილი იმედგაცრუებული დარჩა. თანაც, რუსეთთან ბრძოლებში ირანი და ოსმალეთი დამარცხდა და ამიერკავკასიაში რუსეთის გაბატონება აღიარა. შეთქმულებს იმედი ჰქონდათ, რომ რუსების გაძლიერებით შეშფოთებული ინგლისი და საფრანგეთი სპარსეთის ყურეში დესანტს გადმოსხამდა და მათ ამიერკავკასიას დაატოვებინებდა.

1830 წელს პოლონეთში ანტირუსულმა აჯანყებამ იფეთქა. ქართველმა შეთქმულებმა თავიანთი სამოქმედო გეგმა პოლონელთა სამხედრო წარმატებებს დაუკავშირეს. 1831 წელს აჯანყების დაწყებისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა, მაგრამ მოულოდნელად პოლონელები დამარცხდნენ. ასეთ ვითარებაში კი ბრძოლის დაწყება უკვე მიზანშეწონილი აღარ იყო. 1832 წელს რუსეთს ჩრდილო კავკასიაში მდგომარეობა გაურთულდა და საქართველოს მთავარმართებელი

ბარონი როზენი რუსთა ჯარით საბრძოლველად იქ გაემართა. ჩეჩნები და დაღესტნელები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს. რუსები იძულებული გახდნენ ჩრდილო კავკასიაში თბილისიდან დამატებითი სამხედრო ძალა გაეყვანათ. შეთქმულებმა ეს აჯანყების დაწყებისათვის შესაფერის მომენტად მიიჩნიეს, თუმცა იმედი გაუცრუვდათ. რუსებმა ჩრდილო კავკასიაში წესრიგის დამყარება შეძლეს და ჯარის ძირითადი ნაწილი კვლავ თბილისში დააბრუნეს.

1832 წლის ნოემბერში შეთქმულები კვლავ გააქტიურდნენ, აჯანყების მოსამზადებლად პრაქტიკული ნაბიჯები გადადგეს და კონკრეტული გეგმაც შეიმუშავეს, რომელსაც „პირველი ღამის განკარგულება" უწოდეს. ამ გეგმის თანახმად, აჯანყება 1832 წლის 20 ნოემბერს, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოსა და წინამძღოლთა არჩევნების დღეს უნდა დაწყებულიყო. ლუარსაბ ორბელიანის სახლში მიწვეულ სტუმრებს, რომელთა შორის საქართველოს მთავარმართებელი და სხვა სამხედრო თუ სამოქალაქო მაღალჩინოსნები იქნებოდნენ, შუაღამისას დაატყვევებდნენ. ამას შეიარაღებული რაზმების მიერ ქალაქის ყველა სტრატეგიული ობიექტის დაკავება უნდა მოჰყოლოდა.

რუსეთის მოხელეებისა და ჯარის განდევნის შემდეგ ნავარაუდევი იყო თავდაცვის გარკვეული სისტემის შექმნა. გეგმა ითვალისწინებდა დარიალის ხეობის ჩახერგვას, შავი და კასპიის ზღვების სანაპირო ზოლში შეიარაღებული რაზმების განლაგებას და სხვა საშუალებათა გამოყენებას რუსეთის კვლავ შემოსვლის აღსაკვეთად. არჩევნების დღე რამდენჯერმე შეიცვალა, შესაბამისად აჯანყების დაწყების თარიღიც იცვლებოდა.

მოვლენების განვითარებას წერტილი ფარული საზოგადოების ერთ-ერთმა წევრმა, იასე ფალავანდიშვილმა დაუსვა, რომელიც მისმა ძმამ – თბილისის სამოქალაქო გუბერნატორმა, ნიკოლოზ ფალავანდიშვილმა აიძულა გაეცა აჯანყება და ამით დაღუპვისაგან თავიც გადაერჩინა და თანამზრახველებიც. 1832 წლის 11 დეკემბრიდან დაწყებული დაპატიმრებები იანვარში, თებერვალსა და მარტში გაგრძელდა. შეთქმულთა საზოგადოების თითქმის ყველა წევრი დააპატიმრეს, გამოძიების შემდეგ 38 კაცი გაასამართლეს, სულ რეპრესიების ქვეშ 145 ადამიანი მოექცა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, სასიკვდილო განაჩენი შეთქმულების აქტიურ წევრებს გამოუტანეს, თუმცა იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა განაჩენი შეამსუბუქა და სიკვდილით არავინ დაუსჯიათ. შეთქმულების მონაწილეები სხვადასხვა ვადით რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებსა და მხარეებში გადაასახლეს. გადასახლებულთა შორის იყვნენ: ალექსანდრე ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი,

სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, სოლომონ რაზმაძე, გიორგი ერისთავი და სხვები.

1832 წლის შეთქმულებამ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ზოგადად, საქართველოს ისტორიაში. ნათელი გახდა, რომ ქართველობა იოლად არ შეურიგდებოდა ცარიზმის ასიმილაციისა და გარუსების პოლიტიკას. ეს მოვლენა სტიმულის მიმცემი აღმოჩნდა როგორც მომდევნო თაობებისათვის, ისე შემდგომი ეპოქის დიდი ეროვნული მოძრაობისათვის.

თავი XXV

რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომები და საქართველო

1805 წლიდან რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა საკმაოდ გართულებული იყო. იგი ორ ფრონტზე იბრძოდა – ნაპოლეონის საფრანგეთის წინააღმდეგ დასავლეთ ევროპაში და ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ ახლო აღმოსავლეთში.

ამ ომების მიმართ ქართველი ხალხის პოზიცია ერთგვაროვანი არ ყოფილა. სამეფოს აღდგენისათვის მებრძოლი ბაგრატიონები და მათი დასი დიდ სახელმწიფოთა წინააღმდეგობის გამოყენებას ცდილობდა, კერძოდ კი, ირან-ოსმალეთის დახმარებით საქართველოდან რუსთა ჯარის განდევნას იმედოვნებდა. ქართველთა ერთი ნაწილი რუსეთის მხარეს იბრძოდა. მართალია, ისინი კარგად ხედავდნენ რუსეთის ცარიზმის რეალურ მიზანს – გაეფართოებინა საკუთარი სახელმწიფოს ტერიტორია. მაგრამ ამავე დროს მიაჩნდათ, რომ ეს ოსმალთა მიერ დაპყრობილი საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის დაბრუნების ერთადერთი რეალური გზა იყო. სწორედ ამიტომ ამ ომებში რუსეთის მხარეს ქართველთა საკმაოდ დიდი ნაწილი მონაწილეობდა.

რუსეთ-თურქეთის 1806-1812 წლების ომი. საქართველოსთვის ეს ომი მეტად მნიშვნელოვანი იყო. ქართველები მასში აქტიურად მონაწილეობდნენ. 1809 წელს ფოთის აღებაში გადამწყვეტი როლი მამია გურიელისა და გრიგოლ დადიანის ლაშქარმა შეასრულა. ქართულმა მილიციამ 1810 წელს ახალქალაქისათვის ბრძოლაშიც ისახელა თავი. ომში მნიშვნელოვან როლს გლეხობაც ასრულებდა. იგი რუსეთის მოქმედ არმიას ტყვია-წამლითა და სურსათით ამარაგებდა.

ქართველთა ასეთი პოზიცია რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკისადმი შეგუებას და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე უარის თქმას სრულიადაც არ ნიშნავდა.

ომი 1812 წლის მაისში დამთავრდა. ბუქარესტის ზავის თანახმად, რუსეთმა ბესარაბია შეიერთა, ამიერკავკასიაში ბრძოლებით დაპყრობილი ფოთისა და ახალქალაქის დატოვება მოუხდა, მაგრამ იმერეთი და დასავლეთ საქართველოს სამთავროები შეინარჩუნა. რუსეთის ხელში გადავიდა სოხუმი და შავი ზღვის სანაპირო ბზიფიდან რიონამდე.

რუსეთ-ირანის 1804-1813 და 1826-1828 წლების ომები. რუსეთმა ირანთან 1804-1813 წლების ომში გაიმარჯვა. გულისტანის ზავის თანახმად, ირანმა აღმოსავლეთ საქართველოსა და აზერბაიჯანის სახანოებზე რუსეთის ბატონობა აღიარა. მის შემადგენლობაში გადავიდა ჭარ-ბელაქანიც, თუმცა ჯარების შეყვანა იმ ეტაპზე ვერ მოახერხა. ირანი აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაკარგვას, ბუნებრივია, ვერ შეურიგდა. 1826 წლის ივლისში რუსეთ-ირანს შორის ახალი ომი გაჩაღდა. ქართველები მონაწილეობდნენ 1826 წელს შამქორსა და განჯასთან გამართულ ბრძოლებში, რომლებიც რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. ქართველთა ცხენოსანმა მილიციამ თავი გამოიჩინა 1827 წელს ერევნისა და ნახიჩევნის სახანოების აღებაშიც. გენერალმა გიორგი ერისთავმა ქალაქ თავრიზისათვის ბრძოლებში ისახელა თავი, რისთვისაც იმპერატორმა მას ალექსანდრე ნეველის ორდენი უბოძა. 1828 წელს თურქმანჩაიში დადებული ზავის მიხედვით, რუსეთმა ერევნისა და ნახიჩევნის სახანოები შეიერთა. ამავე ზავმა დაადასტურა გულისტანის ზავის პირობა – ჭარ-ბელაქნის რუსეთის შემადგენლობაში გადასვლის შესახებ. რუსთა ჯარის ჭარში შესვლას ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტი მოჰყვა. ცარიზმმა აჯანყება სისხლში ჩაახშო და იქ რუსული მმართველობა დაამყარა. მოგვიანებით რუსებმა ჭარ-ბელაქნისა და ენისელის სასულთნო ზაქათალის ოკრუგში გააერთიანეს და ტფილისის გუბერნიას დაუქვემდებარეს. რუსეთმა ამიერკავკასიაში პოზიციები განიმტკიცა და კასპიის ზღვაზე კონტროლი დაამყარა.

რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლის ომი. რუსეთ-თურქეთის ამ ომის დაწყებისთანავე, საქართველო ფრონტისპირა ზოლში აღმოჩნდა. ომს შედეგად ოსმალთა ბატონობისაგან ქართული ტერიტორიების განთავისუფლება უნდა მოჰყოლოდა, ამიტომ ათასობით ქართველი მოხალისე რუსეთის არმიის მხარდამხარ იბრძოდა. ქართველი ცხენოსანი მილიცია მონაწილეობდა 1928 წელს ყარსის, ახალქალაქისა და ახალციხის აღებისათვის წარმოებულ სამხედრო ოპერაციებში. რუსთა და ქართველთა ჯარებმა გაათავისუფლეს ქალაქი ფოთი,

თავი ისახელეს ქობულეთის მიდამოებსა და 1829 წელს მუხაესტატესთან ბრძოლებში, რომლებიც თურქთა სასტიკი დამარცხებით დასრულდა.

1829 წელს ქალაქ ადრიანოპოლში დადებული ზავით რუსეთმა მიიღო შავი ზღვის სანაპირო ზოლი მდ. რიონის შესართავიდან მდ. ყუბანის შესართავამდე, შავ ზღვაზე თავისუფალი ნაოსნობისა და ბოსფორის სრუტის გამოყენების უფლება. რუსეთის მფლობელობაში გადავიდა ქალაქები: ფოთი, ახალციხე, ახალქალაქი, ასპინძა, აწყური, ხერთვისი, ქვაბლიანი, აბასთუმანი. ოსმალეთის მხარეს დაუბრუნდა ყარსი, ბაიაზეთი და არზრუმი. ომით შემოერთებულ ტერიტორიებზე რუსებმა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები ჩამოაყალიბეს, რომლებიც ტფილისის გუბერნიას დაუქვემდებარეს.

ოსმალურმა პროპაგანდამ და რუსეთის "ქრისტიანულმა" პოლიტიკამ თურქეთში მაჰმადიანი ქართველების მასობრივი გადასახლება გამოიწვია. კავკასიის მთავარმართებლის, გენერალ პასკევიჩის გადაწყვეტილებით, შემოერთებულ სამცხე-ჯავახეთში თურქეთიდან ლტოლვილი 30 ათასამდე სომეხი ჩამოასახლეს.

ყირიმის ომი. 1853 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ახალი ომი დაიწყო, რომელიც "ყირიმის ომის" სახელითაა ცნობილი. საომარი ოპერაციები ბალკანეთსა და ამიერკავკასიაში მიმდინარეობდა. კავკასიის ფრონტს რუსეთის გეგმებში მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ამიტომ აქ დამატებითი ჯარის ნაწილები არ გამოიგზავნა. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გამოყვანილ სახალხო ლაშქარს – "მილიციას" ენიჭებოდა.

ოსმალთა სარდლობის მთავარი მიზანი თბილისის აღება იყო. რუსთა და ქართველთა ჯარი 1853 წლის ოქტომბერში გურიის საზღვართან მომხდარ უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდა, მაგრამ ნოემბერში ახალციხისა და ყარსის ბრძოლებში გამარჯვება მოიპოვა. გენერალ ივანე ანდრონიკაშვილის ჯარმა, გორის მაზრის სახალხო რაზმმა, გენერლებმა ბებუთიშვილმა და ჭავჭავაძემ თავი განსაკუთრებით გამოიჩინეს.

1854 წლის მარტში რუსეთის წინააღმდეგ ომში ინგლისი და საფრანგეთი ჩაერთო. მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. გამხნევებულმა ოსმალეთმა ყარსისა და გურიისაკენ ახალი ძალები გამოგზავნა. ნიგოეთთან ბრძოლაში დასავლეთ საქართველოს სახალხო ლაშქარმა თურქთა საკმაოდ დიდი ჯარი, რომელიც ქუთაისისაკენ გაჭრას ცდილობდა, სასტიკად დაამარცხა. ამ გამარჯვებამ სელიმ ფაშა შეაშფოთა. მან დაკავებული ოზურგეთი დატოვა და

მრავალრიცხოვან ჯართან ერთად ხელსაყრელი პოზიცია მდ. ჩოლოქს გაღმა დაიკავა. ოსმალთა წინააღმდეგ გენერალმა ივანე ანდრონიკაშვილმა რუსთა ჯარის რამდენიმე ბატალიონი და იმერეთის, შიდა ქართლის, სიღნაღის, თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და სხვ. მილიციის ასეულები გააერთიანა. ოსმალები ახალციხიდან და გურიიდან წამოსული ჯარების ხაშურის მიდამოებში შეერთებასა და თბილისის მიმართულებით გალაშქრებას გეგმავდნენ. ივანე ანდრონიკაშვილის სწორად შედგენილი და ზუსტად განხორციელებული გეგმის წყალობით მტერი დამარცხდა.

1855 წლის ივნისში თურქთა არმიამ ყარსის ციხე-ქალაქისათვის წარმოებულ ბრძოლაში წარმატებას მიაღწია. შემდეგ აფხაზეთის გავლით სამეგრელოში შეიჭრა. ომარ-ფაშამ სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე ჭავჭავაძის გადმობირება სცადა, მაგრამ ამაოდ. სამეგრელოს მოსახლეობამ და მილიციამ გენერალ გრიგოლ დადიანის მეთაურობით მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ოსმალებს.

ნოემბერში ყარსი რუსებს დანებდა. ომარ-ფაშას მდგომარეობა კრიტიკული გახადა. რუსთა ჯარმა და ქართულმა მილიციამ ენერგიულად შეუტია თურქებს და ისინი ოკუპირებული ტერიტორიიდან განდევნა.

ყირიმის ომი 1856 წელს პარიზის საზავო ხელშეკრულებით დასრულდა. რუსეთმა ყირიმის ნახევარკუნძულის შესანარჩუნებლად ყარსის ციხე დათმო. თურქებმა დატოვეს სამეგრელოსა და აფხაზეთში დაკავებული ტერიტორიები. მტერმა სასტიკად ააოხრა სამეგრელო და აფხაზეთი, გადაწვა ზუგდიდი. ამ ომით ცარიზმმა კავკასიაში თავისი პოზიცია საბოლოოდ განიმტკიცა. ფაქტობრივად, ევროპის ქვეყნებმა კავკასიაზე რუსეთის იმპერიის უფლებები აღიარეს.

დასავლეთ საქართველოს სამთავროების გაუქმება. ყირიმის ომის დასრულებისთანავე რუსეთის იმპერიამ დასავლეთ საქართველოს სამთავროების გაუქმებისათვის მზადება დაიწყო, თუმცა ჯერ კიდევ 1829 წელს იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა გურიის სამთავრო გააუქმა. გურიაში რუსული მმართველობა დამყარდა. 1841 წელს გურულები აჯანყდნენ. კავკასიის ადმინისტრაციამ აჯანყება სისხლში ჩაახშო. რუსეთის ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკასთან ავტონომიური სამთავროების არსებობა შეუთავსებელი იყო. რუსეთმა ერთმანეთის მიყოლებით შეიერთა: 1857 წელს სამეგრელოს, 1858 წელს სვანეთის, ხოლო 1864 წელს აფხაზეთის სამთავროები. ამ ავტონომიური ერთეულების გაუქმებით, რუსეთის ადმინისტრაციული მმართველობა მთელ საქართველოზე გავრცელდა.

ამავე პერიოდში ცარიზმმა დაღესტნელი იმამის შამილის საბოლოო დამარცხება, სხვა კავკასიელი ტომების დამორჩილება და ყუბანის მხარის

ოკუპაცია მოახერხა. ასე დასრულდა რუსეთის 60 წლიანი ბრძოლა მთელი კავკასიის დაპყრობისათვის.

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი. 1875 წელს ოსმალთა წინააღმდეგ ბალკანეთის სლავები აჯანყდნენ. ბალკანეთიდან თურქთა განდევნა და შავი ზღვის სრუტეების ხელში ჩაგდება რუსეთის ხელისუფლების სტრატეგიული ამოცანა იყო. ცარიზმმა გამოიყენა რუსეთის საზოგადოებაში ჩამოყალიბებული მოძმე სლავების დახმარების იდეა და 1877 წელს ოსმალეთს ომი გამოუცხადა. რუსთა ჯარები ბალკანეთსა და ამიერკავკასია-ანატოლიაში შეტევაზე გადავიდა.

1875 წელს ოსმალეთის მთავრობამ აჭარლებს ჯარში წასვლა და აჯანყებულ სლავთა წინააღმდეგ გალაშქრება დაავალა. აჭარლები თურქთა მოთხოვნას არ დაემორჩილნენ და ანტიოსმალურ აჯანყებას შეუერთდნენ. ქართული საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდა ამ ფაქტს. ქართულ ლაშქარში უამრავი ადამიანი საკუთარი სურვილით ჩაეწერა. ბრძოლის ველზე დაახლოებით 30 ათასი ქართველი გავიდა. რუსეთის ჯარმა ქართველებთან ერთად ბრძოლა ოსმალთა ტერიტორიაზე გადაიტანა. 1877 წლის აპრილის ბოლოს მათ ჯერ ბაიაზეთი და არტაანი დაიკავეს, შემდეგ ბათუმს ოზურგეთის მხრიდან შეუტიეს, აიღეს მუხაესტატე და ხუცუბანი. მაგრამ ციხისძირთან ბრძოლაში თურქებმა გაიმარჯვეს. ამავე დროს ოსმალებმა დესანტი გუდაუთაში გადმოსხეს და სოხუმს შეუტიეს, რასაც გამაჰმადიანებულ აფხაზთა ანტირუსული აჯანყება მოჰყვა. გადამწყვეტი ბრძოლაში აჯანყებულები დამარცხდნენ. რუსებმა პოზიციები აღიდგინეს, თურქები განდევნეს და აფხაზეთის ტერიტორია დაიკავეს.

1877 წლის ნოემბერში რუსეთის ჯარებმა ყარსი აიღეს. ეს გამარჯვება კავკასიის ფრონტის ბედს არსებითად წყვეტდა. ამასთანავე, ბათუმისათვის სამხედრო ოპერაციები ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. დეკემბერში რუს-ქართველთა ჯარი შავშეთში შეიჭრა და არტანუჯიც დაიკავა. ომის საბოლოო ბედი მაინც ბალკანეთის ფრონტმა გადაწყვიტა.

1877 წელს სან-სტეფანოში გაფორმებული საზავო ხელშეკრულების თანახმად, რუსეთს სამხრეთ ბესარაბია, აგრეთვე, ოსმალთაგან ადრე მიტაცებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და დასავლეთ სომხეთის ტერიტორიები გადაეცა.

ბალკანეთზე რუსეთის გავლენის გაზრდა და სან-სტეფანოს ზავის პირობები ევროპის ქვეყნებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. მათი გადასინჯვის მიზნით, 1878 წელს ბერლინში საერთაშორისო კონგრესი იქნა მოწვეული. ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით რუსეთის მფლობელობაში აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი,

იმერხევი, კოლა-არტაანი და ოლთისი გადავიდა. ბათუმი „პორტო ფრანკოდ" (თავისუფალ ქალაქ-ნავსადგურად) გამოცხადდა. რუსეთის ჯარი და ქართველთა სახალხო ლაშქარი ბათუმში შევიდა. აჭარა დედასამშობლოს დაუბრუნდა. ქართველი ერის ისტორიაში ეს უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო.

ქართული მოსახლეობა სიხარულით შეხვდა ამ ფაქტს. მაჰმადიან ქართველებთან მჭიდრო კონტაქტის დამყარების მიზნით, მოწინავე ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფმა აჭარელთა დეპუტაცია თბილისში მოიპატიჟა. ამ შეხვედრის დროს ბევრი გულთბილი სიტყვა ითქვა. ილია ჭავჭავაძემ ქრისტიან ქართველებს მაჰმადიანი თანამოძმეების დასახმარებლად მოუწოდა.

ოსმალთა სულთნის აგენტები, რომელთა საქმიანობასაც რუსი მოხელეები გარკვეული მოსაზრებით ხელს არ უშლიდნენ, ცდილობდნენ მაჰმადიანი ქართველები დაერწმუნებინათ ოსმალეთში გადასახლებულიყვნენ. მართლაც, ქართველ მაჰმადიანთა ნაწილი, დაახლოებით 30 ათასი ადამიანი ამ პერიოდში აჭარიდან გადაიხვეწა. ეს მოვლენა ისტორიაში "მუჰაჯირობის" სახელითაა ცნობილი. "მუჰაჯირობამ" ფართო მასშტაბი აფხაზეთშიც მიიღო. თურქი და რუსი მოხელეების ხელშეწყობით 1878 წელს ოცი ათასი აფხაზი ოსმალეთში გადასახლდა.

თავი XXVI

თერგდალეულები. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი

რუსეთის კოლონიური პოლიტიკა. რუსეთის მიერ საქართველოს შეერთება ქვეყნის ოკუპაციის სახით განხორციელდა. რუსეთის ჯარის მთავარსარდალი საქართველოს მთავარმართებელიც იყო. საქართველო ადმინისტრაციულ ერთეულებად – მაზრებად დაიყო, რომელთა სათავეში სამხედრო პირები – კაპიტან-ისპრავნიკები ჩააყენეს. ქვეყანაში სამოქალაქო მმართველობისა და მართლმსაჯულების ფორმები რუსეთის გუბერნიების მმართველობის მსგავსად ჩამოაყალიბეს. ერთხანს პარალელურად ქართული ფეოდალური მართვა-გამგეობისა და სამართლის ელემენტებიც ძალაში დარჩა. მმართველობის ეს სისტემა ადგილობრივი მოსახლეობისათვის ახალი, გაუგებარი და მიუღებელი იყო, რასაც თვით რუსი მოხელეები აღიარებდნენ. ამ პრობლემის მოგვარებას ისინი

მოსახლეობის ასიმილაციისა და გარუსების პოლიტიკით აპირებდნენ. უმრავლესობა კრიზისის მიზეზს იმაში ხედავდა, რომ ახალი მართვა-გამგეობის სისტემაში ადგილობრივი ელემენტი შემორჩა, რაც, მათი აზრით, აძნელებდა ამ პროცესს. 1831 წელს მთავარმართებელმა პასკევიჩმა იმპერატორ ნიკოლოზ I-ს ამიერკავკასიის მართვა-გამგეობის მთლიანად რუსულ ყაიდაზე გარდაქმნის პროექტი წარუდგინა. მაგრამ პასკევიჩის შემცვლელმა – ბარონმა როზენმა ის მიუღებლად მიიჩნია. მისი აზრით, ამიერკავკასიაში წმინდა რუსული მმართველობის შემოღება ნაადრევი იყო.

პრობლემის მოსაგვარებლად რუსეთის სახელმწიფო საბჭოსთან კავკასიის კომიტეტი შეიქმნა, რომელსაც ამ მხარისთვის ადმინისტრაციული კანონის მომზადება დაევალა. საქმეში თვით ნიკოლოზ I ჩაერია. გადაწყდა სამოქალაქო საქმეების სამხედროსაგან გამიჯვნა. 1840 წლის კანონით, ამიერკავკასიაში სამსაფეხურიანი სამოქალაქო მმართველობა იქმნებოდა. ამიერკავკასიის ადმინისტრაციის სათავეში მთავარმართებელი რჩებოდა, რომელიც, ამავე დროს, კავკასიის კორპუსის სარდალიც იყო. მას ამიერკავკასიის გუბერნიებსა და რუსეთის სამინისტროებს შორის საშუამავლო ფუნქცია ეკისრებოდა. გუბერნიებს სათავეში სამოქალაქო გუბერნატორები ჩაუყენეს, მაზრებს – მაზრის უფროსები. იმპერიის ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ ახალი კანონი მმართველობასა და სასამართლოდან ადგილობრივი კანონების, ადათის და ენის განდევნას შეძლებდა, რითაც თვითმპყრობელობის პოზიციებს კიდევ უფრო განამტკიცებდა. ამან ხალხის დიდი უკმაყოფილება და ზოგიერთ რეგიონში აჯანყებაც გამოიწვია. რუსეთის იმპერატორმა და დიდმოხელეებმა საჭიროდ მიიჩნიეს ნაწილობრივ დათმობაზე წასულიყვნენ. გადაწყდა კავკასიის განსაკუთრებული თავისებური ავტონომიის მქონე ადმინისტრაციული ერთეულის შექმნა, რომელსაც მეფისნაცვალი (იმპერატორის ნაცვალი) უხელმძღვანელებდა.

ამიერკავკასიის პირველი მეფისნაცვალი მიხეილ ვორონცოვი (1844-1858 წწ.) წინა მმართველებზე უფრო განათლებული, გამოცდილი და მოქნილი ადმინისტრატორი აღმოჩნდა. მან რამდენადმე დააკმაყოფილა მაღალი წოდების ინტერესები და მათ გარკვეული ადგილი დაუთმო ადმინისტრაციასა და სასამართლოში. სამოქალაქო სამართლის სფეროში ერთხანს ქართული კანონები და ადათ-წესები დაუშვეს. ვორონცოვი არაფერს ეკითხებოდა თავის ქვეშევრდომებს, საკუთარი შეხედულებისამებრ განაგებდა რეგიონს და ანგარიშს მხოლოდ იმპერატორს აბარებდა. 1857 წელს მეფისნაცვლად ფელდმარშალი

ბარიატინსკი დაინიშნა, რომლის მმართველობის პერიოდში მეფისნაცვლის უფლებამოსილება კიდევ უფრო გაფართოვდა.

საგლეხო რეფორმა. XIX საუკუნის 30-50-იანი წლებში ქვეყნის ცხოვრებაში კაპიტალიზმის ელემენტები იჭრება და თანდათანობით ვითარდება, ფართოვდება ფულად-სასაქონლო ურთიერთობა. ასეთ ვითარებაში მემამულეები თავიანთი მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას გლეხთა ექსპლუატაციის ხარჯზე ცდილობდნენ. ახალი ეკონომიკური ურთიერთობები, ბუნებრივია, მთავრობის სოციალურ და საგადასახადო პოლიტიკაზე გავლენას ახდენდა. გლეხობას მძიმედ დააწვა რუსეთ-ოსმალეთის ომებთან დაკავშირებული ვალდებულებებიც. ყოველივე ამან მათი პროტესტი გამოიწვია. 1841 წელს გურიასა და იმერეთში აჯანყებამ იფეთქა. მღელვარება სამეგრელოს მეზობელ რაიონებსაც მოედო. 1842 წელს აჯანყებამ სიღნაღის მაზრის სოფ. ზიარი მოიცვა. 1845-1851 წლებში უკმაყოფილებას ქუთაისის მაზრის სოფ. ქვიტირის გლეხებიც გამოხატავდნენ. 1856-1857 წლებში სამეგრელოში უტუ მიქავას მეთაურობით გლეხთა მასობრივი გამოსვლა დაიწყო. 1857-1866 წლებში მღელვარებები იმერეთს, გურიასა და აფხაზეთს მოედო. აჯანყებები მარცხით დასრულდა. გლეხთა აჯანყებები რუსეთის იმპერიის ცენტრალურ გუბერნიებშიც არ ცხრებოდა. გლეხთა საერთო განმათავისუფლებელმა მოძრაობამ აიძულა საიმპერატორო კარი რეფორმების გზას დასდგომოდა – ბატონყმობა ზემოდან გაეუქმებინა.

ცარიზმმა რუსულ გუბერნიებში ბატონყმობა 1861 წელს გააუქმა. საქართველოში საგლეხო რეფორმის მომზადება დიმიტრი ყიფიანს დაევალა. 1862 წელს თბილისში გუბერნიის თავადაზნაურთა ყრილობა მოიწვიეს, სადაც მომავალი რეფორმის პროექტები შემუშავდა. უმრავლესობა მხარს უჭერდა გლეხთა პირად განთავისუფლებას, მიწაზე მემამულეთა საკუთრების შენარჩუნების პირობით. უმცირესობაში გლეხთა მიწიანად განთავისუფლების იდეაც გაჩნდა. საბოლოოდ კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღეს. გლეხი მიწიანად განთავისუფლდა, ოღონდ მას მცირე მიწა – ნადელი გამოეყო. აღსანიშნავია, რომ გლეხს ნადელი უნდა გამოესყიდა, მანამდე კი ის „დროებით ვალდებულ" გლეხად იწოდებოდა. ასე რომ გლეხის ექსპლუატაცია ჩვეულებრივ გაგრძელდა. ამგვარად, ბატონყმობის გაუქმებით გლეხმა მხოლოდ პირადი ანუ იურიდიული თავისუფლება მიიღო. ქვეყანაში თავისუფალი მუშახელი გაჩნდა, რამაც კაპიტალიზმის განვითარებას გარკვეული პირობები შეუქმნა.

ბურჟუაზიული რეფორმები. XIX საუკუნის 60-70-იან წლებში რუსეთში საერობო, სასამართლო, სასოფლო და საქალაქო მმართველობის რეფორმები

გატარდა. მათი მიზანი, ისევე როგორც საგლეხო რეფორმისა – არსებული საზოგადოებრივი წყობილების ბურჟუაზიულ ყაიდაზე გარდაქმნა იყო.

საქართველოში საერობო რეფორმა საერთოდ არ გატარებულა. ერობათა ნაცვლად ე.წ. "სასოფლო მმართველობა" იქნა შემოღებული, რომელსაც სათავეში მამასახლისი ედგა. სასოფლო მმართველობას უპირატესად საგლეხო გადასახადების აკრეფა ეკისრებოდა.

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ხასიათმა ყველაზე ნათლად სასამართლო რეფორმის გატარებაში იჩინა თავი. რუსეთში სასამართლო რეფორმა თავისი ხასიათით დემოკრატიული იყო: მოსამართლეებს ირჩევდნენ, დაწესდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. საქართველოში სასამართლო რეფორმა, რომელიც 1867 წლიდან შევიდა ძალაში, ამ სიახლეს არ ითვალისწინებდა. სასამართლო საქმეები კვლავ რუსულ ენაზე წარმოებდა. რაც მთავარია, ყველა ინსტანციის მოსამართლე, გარდა სოფლის მოსამართლისა, ინიშნებოდა. რეფორმის ერთადერთი დადებითი შედეგი ის იყო, რომ წოდებრივი სასამართლო საერთო სასამართლოთი შეიცვალა და სასამართლო პროცესში ადვოკატთა მონაწილეობა დაწესდა.

1874 წლიდან საქართველოში საქალაქო მმართველობის რეფორმის დანერგვა დაიწყო. ყველაზე სრულად სწორედ ეს რეფორმა გატარდა: შეიქმნა საქალაქო თვითმმართველობები – სათათბიროები, სადაც მოსახლეობის მიერ არჩეული დეპუტატები იყვნენ წარმოდგენილნი. სათათბიროს წევრებიდან გამგეობა კომპლექტდებოდა, რომელიც თავის მხრივ ქალაქის თავს ირჩევდა.

ქალაქის თვითმმართველობის ფუნქციებში კომუნალური მეურნეობა, არქიტექტურა, მშენებლობა, ბაზრები, ჯანდაცვასა და განათლებაზე ზრუნვა, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მოწესრიგება, ადგილობრივი მრეწველობისა და ვაჭრობის მეთვალყურეობა, გადასახადების აკრეფა და სხვ. შედიოდა. საქალაქო თვითმმართველობის ყველა დადგენილებას გუბერნატორი ეცნობოდა.

თერგდალეულთა გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე. XIX საუკუნის 50-60-იანი წლებიდან საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ეტაპი დაიწყო, რომელიც თერგდალეულთა მოღვაწეობას უკავშირდება. 60-იანელთა ეროვნული მოძრაობის აღიარებული წინამძღოლი ილია ჭავჭავაძე იყო, რომლის სახელს უკავშირდება ეროვნული პროგრამის შემუშავება.

ეროვნული მოძრაობის პროგრამა რამდენიმე მნიშვნელოვან დებულებას მოიცავდა. მათ შორის უპირველეს ამოცანად ილია დაკნინებული ეროვნული ცნობიერების აღორძინებას მიიჩნევდა. რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მიზანი ქართველის ეროვნული ცნობიერებიდან „ქართველისა" და „საქართველოს"

განდევნა, ქართული ენის დევნა-შევიწროება, ქართველების ასიმილაცია და რუსეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილად გადაქცევა იყო. ეროვნული ცნობიერების აღორძინებაში უმთავრესი ქართული ენის კანონიერ უფლებებში აღდგენა და ქართული ენის დაცვა იყო. ამ პრობლემის მოგვარებაში დიდი როლი განათლების საქმეს ენიჭებოდა. ამ მიზნით შეიქმნა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", რომელიც მრავალმხრივ საქმიანობას ეწეოდა. ქართული განათლების საქმეში განუზომელია იაკობ გოგებაშვილისა და მისი „დედა-ენის" როლი. ეროვნული ცნობიერების გამოცოცხლებას დიდად შეუწყო ხელი ქართულმა პრესამ, ქართული წიგნის გამოცემამ, ქართული ლიტერატურის ძეგლთა პოპულარიზაციამ. შელახული ეროვნული ღირსების აღდგენისათვის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს ისტორიის გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლას. ამ საკითხს შეეხო ილია პუბლიცისტური წერილების სერიაში „აი ისტორია" და ნაშრომში „ქვათა ღაღადი".

თერგდალეულთა მოღვაწეობის ძალზე საჭირო მიმართულება ქართული მიწის ქართველთათვის შენარჩუნების ბრძოლა იყო. ამ საკითხის მოსაგვარებლად ილიამ და მისმა თანამოაზრეებმა თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკები დააარსეს.

60-იანელების სამოქმედო პროგრამა წოდებათა შერიგებას, ეროვნული ღირსების დაცვისათვის ქართველი ერის ყველა წოდების, ყველა სოციალური ფენის გაერთიანებას, ეროვნულ მოძრაობაში საერთო ნიადაგის შექმნას ითვალისწინებდა.

ეროვნული მოძრაობის საბოლოო მიზანს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და ქართველი ერის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის მომზადება წარმოადგენდა.

როგორც აღვნიშნეთ, თერგდალეულთა მიზანი ორი ძირითადი პრობლემის მოგვარება – ეროვნულ-პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება და სოციალური საკითხის გადაჭრა იყო. ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრეები საქართველოს დამოუკიდებლობის სრულად აღდგენას უჭედნენ მხარს, რისთვისაც საერთო ეროვნული აჯანყების ორგანიზებასაც ცდილობდნენ. ნიკო ნიკოლაძეს ამგვარი რადიკალიზმი თავიდანვე სახიფათოდ მიაჩნდა და მხარს საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლას უჭერდა. 1862-1863 წლების პოლონელთა ეროვნული აჯანყების დამარცხების შემდეგ, თერგდალეულთა უმეტესობამ ნიკო ნიკოლაძის თვალსაზრისი გაიზიარა.

ქართული ინტელიგენცია რუსეთის იმპერიის ფედერაციულ საწყისებზე გარდაქმნის, საქართველოს ავტონომიურ სახელმწიფოდ მოწყობის იდეის პროპაგანდას ეწეოდა. ამ პროგრამას დამაჯერებლად ასაბუთებდა ილია. მას გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა მრავალეროვანი რუსეთის აბსოლუტურ-მონარქიული, უნიტარული სახელმწიფოს ფედერაციულ საფუძველზე რეორგანიზაცია, რომელშიც საქართველო და იმპერიის სხვა განაპირა ქვეყნები ავტონომიური სახელმწიფოებრივი ერთეულების სახით უნდა შესულიყვნენ.

მიზანი ძნელად განსახორციელებელი იყო. ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და მათი მიმდევრები ითვალისწინებდნენ ამას და საჭიროდ მიიჩნევდნენ ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის მომზადებას. ამ მიზნით მათ მთავარი ყურადღება ქართული ენისა და კულტურის აღდგენა-დაცვას მიაპყრეს. ისინი ეროვნულ და სოციალურ საკითხებს ეხებოდნენ, თუმცა პირველ ადგილზე მაინც ეროვნული პრობლემა ჰქონდათ წამოწეული.

თერგდალეულთა ერთმა ნაწილმა, რომლის მთავარი იდეოლოგები გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სერგი მესხი იყვნენ, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას უპირველესი მნიშვნელობა მიანიჭა. მათი აზრით, საქართველო გარდაუვლად უნდა დასდგომოდა კაპიტალისტური განვითარების გზას, ქვეყანაში ვაჭრობა-მრეწველობა უნდა აღორძინებულიყო. ეს საქმე ეროვნულ ბურჟუაზიას უნდა განეხორციელებინა. მათ ეროვნული თავისუფლება ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების გარეშე შეუძლებლად მიაჩნდათ.

ზოგიერთ საკითხში არსებული განსხვავებული პოზიციის მიუხედავად, თერგდალეულები ერთიან იდეურ მიმდინარეობას წარმოადგენდნენ. მათი ერთიანობის საფუძველს ეროვნული იდეა ქმნიდა.

ქართველი ხალხოსნები. ხალხოსნები ეროვნულ იდეაზე მაღლა სოციალურ საკითხებს აყენებდნენ. 1874 წელს ჟენევაში ჩატარებულ კავკასიელ დელეგატთა კონგრესზე მხოლოდ მათ დაგმეს რუსეთიდან გამოყოფისა და ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის იდეა. ქართველ ხალხოსანთა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე უცხოური თეორიები ახდენდა გავლენას. ამასთან მათ პრაქტიკულ საქმიანობაში ნათლად ჩანდა საქართველოს მწვავე პრობლემების მოგვარების დიდი სურვილი. ქართველ ხალხოსნებს სწამდათ, რომ არსებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების დამხობის შემდეგ ხალხის განუსაზღვრელი თვითმმართველობა დამყარდებოდა, ადამიანთა თანასწორობა და საზოგადოებრივი დოვლათის სამართლიანად განაწილების პრინციპი გაიმარჯვებდა.

1876 წელს ჟანდარმერიამ ხალხოსანთა ფარული საზოგადოება აღმოაჩინა. 80 კაცი პასუხისგებაში მისცეს. შემდგომში ქართველ ხალხოსანთა უმრავლესობამ თერგდალეულთა გავლენა განიცადა. მათ მეტი ყურადღება ეროვნულ საკითხს მიაქციეს, თავიანთ მოღვაწეობაში დიდი ადგილი საგანმანათლებლო საქმიანობას დაუთმეს.

XIX საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე რუსეთის იმპერიაში პოლიტიკურმა კრიზისმა კულმინაციას მიაღწია. 1881 წელს რუსმა ნაროდნიკებმა (ხალხოსნებმა) ალექსანდრე II მოკლეს. ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე III-მ აბსოლუტური რეჟიმის განმტკიცება და პროგრესულ ძალთა წინააღმდეგ რეპრესიები დაიწყო. იმპერიის განაპირა ერებს სეპარატიზმში დასდეს ბრალი. მათი ასიმილაცია-გარუსების პოლიტიკა გაძლიერდა.

კოლონიური პოლიტიკის გამკაცრება და თერგდალეულთა პრაქტიკული საქმიანობა. ცარიზმმა 1882 წელს ამიერკავკასიაში მეფისნაცვლის ინსტიტუტი გააუქმა და კვლავ მთავარმართებელის თანამდებობა აღადგინა. დანიშნული გუბერნატორები და გენერალ-გუბერნატორები ამიერიდან უშუალოდ ცენტრალურ ხელისუფლებას, რუსეთის სამინისტროებს დაექვემდებარნენ. მთავარმართებლად რეაქციონერი და შოვინისტი გენერალი დონდუკოვ-კორსაკოვი გამოიგზავნა, ეგზარქოსად – არქიეპისკოპოსი პავლე, სასწავლო ოლქის მზრუნველად – იანოვსკი. გაძლიერდა ცენზურა, ბრძოლა გამოუცხადეს ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, დაიწყო ქართული ენისა და კულტურის დევნა-შევიწროვება. რუსიფიკატორული პოლიტიკა განსაკუთრებით სკოლებში, სასულიერო სემინარიებსა და ეკლესიაში გამოიკვეთა.

ქართული ინტელიგენცია, საზოგადო მოღვაწეები – ილია ჭავჭავაძე, სერგი მესხი, დიმიტრი ყიფიანი, იაკობ გოგებაშვილი და სხვები რუს შოვინისტთა შემოტევის მოსაგერიებლად ყველა საშუალებას იყენებდნენ.

1875 წელს ილიამ თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი დააარსდა, რომლის თავმჯდომარეობა თავად იკისრა. ბანკი ქართულ თეატრს, დრამატულ საზოგადოებას, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" და სხვა ერონულ დაწესებულებებს აფინანსებდა.

1879 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" დაფუძნდა. მისი თავმჯდომარე ჯერ დიმიტრი ყიფიანი იყო, შემდეგ – ილია ჭავჭავაძე. საზოგადოების აქტიური წევრები იყვნენ: იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, რაფიელ ერისთავი და სხვები. საზოგადოების მრავალმხრივი მოღვაწეობის უმთავრეს ამოცანას

ეროვნული სკოლების დაარსება და მათზე ზრუნვა წარმოადგენდა. საზოგადოების ძალისხმევით შეგროვილი ქართულ ხელნაწერთა კოლექცია და წიგნსაცავი ქართული კულტურის უძვირფასეს საგანძურად იქცა. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" მატერიალური კულტურის ძეგლებზეც ზრუნავდა, თავგამოდებით იცავდა ეკლესია-მონასტრებში გადარჩენილ ეროვნულ განძს. ქართველმა მოღვაწეებმა რუსეთის მთავრობა აიძულეს საქართველოდან გაეწვია ეკლესია-მონასტრების ძარცვაში მხილებული ქუთაისის გუბერნატორი ლევაშოვი.

ახალი თაობის სწორი აღზრდისათვის იაკობ გოგებაშვილმა სახალხო სკოლებისათვის შეადგინა სახელმძღვანელოები – "დედაენა", "ბუნების კარი", "რუსსკოე სლოვო". იგი სასულიერო სემინარიებში ქართული ენის კათედრების დაარსებას მოითხოვდა, რადგან მიაჩნდა, რომ ეს კათედრები ქართული ენისა და ისტორიის მაღალ დონეზე სწავლებას უზრუნველყოფდა.

1879 წელს ქართულმა თეატრმა კვლავ განაახლა მოღვაწეობა. (ქართული თეატრი გიორგი ერისთავმა 1850 წელს აღადგინა). 1880 წელს შეიქმნა ქართული დრამატული საზოგადოება. 1890 წელს ქართულ თეატრში აკაკი წერეთლის "პატარა კახი" დაიდგა. იმ პერიოდის თეატრალური წარმოდგენები ქართველობაში პატრიოტულ სულისკვეთებას აღვივებდა.

ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაში დიდ როლს ქართული პერიოდული პრესაც ასრულებდა. მკაცრი ცენზურის მიუხედავად, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში თავისუფალი სიტყვა და რადიკალური აზრი მაინც ჩნდებოდა. ამ მიზეზით ხელისუფლებამ რამდენიმე გამომცემლობა დახურა, მათ შორის რუსულენოვანი "ობზორიც", ხოლო მისი რედაქტორი ნიკო ნიკოლაძე საქართველოდან გადაასახლა.

ცარიზმის რუსიფიკატორულ-კოლონიური პოლიტიკის გაძლიერებამ საქართველოს მოსახლეობის ყველა სოციალური ფენის უკმაყოფილება გამოიწვია. 1886 წლის 24 მაისს თბილისის მართლმადიდებელთა რუსული სემინარიის რექტორი, შოვინისტი ჩუდეცკი უსამართლო მოპყრობისათვის სემინარიიდან გარიცხულმა იოსებ ლაღიაშვილმა მოკლა. დეკანოზ ჩუდეცკის დაკრძალვაზე საქართველოს ეგზარქოსმა პავლემ ქართველი ერი დაწყევლა. აღშფოთებულმა დიმიტრი ყიფიანმა ეგზარქოსს საპროტესტო ბარათი გაუგზავნა და ქვეყნის დატოვება კატეგორიულად მოთხოვა. რუსეთის ხელისუფლებამ დიმიტრი ყიფიანი მკაცრად დასაჯა. იმპერატორის ბრძანებით, იგი ქართველი თავადაზნაურობის

მარშლობიდან გადააყენეს და სტავროპოლში გადაასახლეს, სადაც მთავრობის აგენტებმა ვერაგულად გამოასალმეს სიცოცხლეს.

დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და პატრიოტის მკვლელობამ ქართული საზოგადოება უკიდურესად აღაშფოთა. დიმიტრი ყიფიანის ცხედარი საქართველოში ჩამოასვენეს და მთაწმინდის მიწას მიაბარეს. მისი დასაფლავება ეროვნულ საპროტესტო მანიფესტაციად იქცა. დიმიტრი ყიფიანის ნათელ ხსოვნას აკაკი წერეთელმა ცნობილი ლექსი „განთიადი" უძღვნა.

"საქართველოს თავისუფლების ლიგა". საქართველოს სემინარია-გიმნაზიების მოსწავლეებსა და რუსეთის უნივერსიტეტების ქართველ სტუდენტებს შორის თერგდალეულთა იდეები ფართოდ გავრცელდა. 1889 წელს რუსეთის უმაღლეს სასწავლებელთა ქართველმა სტუდენტებმა ფარული საზოგადოება "საქართველოს თავისუფლების ლიგა" დააარსეს. პეტერბურგის, მოსკოვის, ვარშავის, კიევის, ხარკოვის, ოდესისა, ტარტუს უნივერსიტეტების ქართველმა სტუდენტებმა 1892 წლის 26-29 ივლისს ქუთაისში პირველი გაერთიანებული ყრილობა ჩაატარეს. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ: მიხეილ ხელთუფლიშვილი, გიორგი გვაზავა, ივანე ელიაშვილი, ვახტანგ ღამბაშიძე, ნიკოლოზ ჯაყელი, იაკობ ფანცხავა და სხვები, სულ 20 კაცი. ყრილობამ ორგანიზაციის ძირითად ამოცანად რუსეთის ბატონობისაგან საქართველოს განთავისუფლება დაისახა. მიზნის განხორციელების ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობად რუსეთის ცარიზმის დემოკრატიული მართვა-გამგეობით შეცვლა მიიჩნიეს. ყრილობის დელეგატთა უმრავლესობამ საქართველოში ფარული ორგანიზაციის შექმნა მოითხოვა, რომელიც გამაერთიანებელი ცენტრის როლს შეასრულებდა. ყრილობამ "თავისუფლების ლიგის" წესდება-პროგრამის შექმნის საჭიროებაც წამოაყენა. ეს საქმე ვარშავის წრეს დაევალა. 1893 წელს თბილისში "თავისუფლების ლიგის" მეორე ყრილობა გაიმართა. პროგრამა-წესდების პროექტის გარშემო ცხარე კამათი გაიმართა. უმრავლესობამ მხარი იმ თვალსაზრისს დაუჭირა, რომელიც ქართველთა რევოლუციურ საქმიანობას სრულიად რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელ ნაწილად მოიაზრებდა.

სამწუხაროდ, "თავისუფლების ლიგას" პრაქტიკული მუშაობის დაწყება არ დასცალდა. 1893 წელს ჟანდარმერიამ ლიგის 22 აქტიური წევრი დააპატიმრა.

კაპიტალიზმის განვითარების დასაწყისი საქართველოში. მრეწველობა. ისევე როგორც ყველა ქვეყანაში, საქართველოში რკინიგზა სამრეწველო აღმავლობის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. რკინიგზის მეშვეობით საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს შორის კავშირ-ურთიერთობა გაფართოვდა. თბილისი ბაქოს გავლით

რუსეთს დაუკავშირდა. რკინიგზა თავად იყო დიდი კაპიტალისტური საწარმო. თბილისში ორთქმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა გაიხსნა, ხაშურში – რკინიგზის სახელოსნო.

რკინიგზამ ქვანახშირის ტრანსპორტირების ხარჯები შეამცირა და ამით მისი მოხმარების არეალი გააფართოვა. მსოფლიო ბაზარზე ფერომანგანუმის მოხმარების სწრაფი ზრდის პარალელურად მანგანუმის მრეწველობა სწრაფად განვითარდა. 1879 წელს დაიწყო ჭიათურის მანგანუმის მადნის ექსპლოატაცია. ამ საქმის ინიციატორი აკაკი წერეთელი იყო. ქართული მანგანუმი მთლიანად მსოფლიო ბაზარზე გადიოდა. ალავერდსა და შამბლულში წარმატებით მიმდინარეობდა სპილენძის მადნის მოპოვება-გამოდნობა. 1888 წელს წარმოება ბერძენ ოსტატთა ამხანაგობიდან ფრანგული კომპანიის ხელში გადავიდა. შედეგად, საგრძნობლად გაიზარდა მადნის წარმოების მოცულობა და გაუმჯობესდა ტექნოლოგია. 70-80-იან წლებში ბათუმიდან ბაქოს ნავთობის ექსპორტირება და მასთან დაკავშირებით საექსპორტო ჭურჭლის წარმოება დაიწყო. ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ლითონგადამამუშავებელი ქარხნების რიცხვი და მათ მიერ გამოშვებული პროდუქცია. თანდათან გაფართოვდა მანქანათმშენებლობა.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ხე-ტყის მრეწველობაში ორთქლის ძრავის ფართოდ გამოყენება დაიწყო. ქალაქთმშენებლობის ზრდამ აგურ-კრამიტის წარმოების გაფართოება მოითხოვა. 1870-1875 წლებში თბილისში გაიხსნა: ბამბეულის ძაფსართავი და საქსოვი ფაბრიკა, ტყავის ქარხანა, ქეჩისა და ფეხსაცმლის ფაბრიკები. ფაბრიკული ხასიათი მიიღო თამბაქოს წარმოებამ. 80-იანი წლების ბოლოდან ბორჯომის მახლობლად სპირტის მწარმოებელი ქარხანა დაარსდა. ამ კუთხით შემდგომ წლებში დავით სარაჯიშვილის მიერ გახსნილი სპირტსახდელი და კონიაკის ქარხანა გამოირჩეოდა. სარაჯიშვილის ტექნოლოგიით დამზადებული სპირტი და კონიაკი დიდი რაოდენობით იყიდებოდა ცენტრალურ რუსეთსა და უცხოეთში, სადაც მას სავაჭრო ფირმები ჰქონდა გახსნილი.

კომუნიკაციის საშუალებების გაუმჯობესებამ დიდად შეუწყო ხელი ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების აღმავლობას. შესაძლებელი გახდა საქართველოს სამხედრო გზისა და სხვა გზატკეცილების კეთილმოწყობა, ყურადღება ნაოსნობის განვითარებასაც მიექცა. საგრძნობლად გაუმჯობესდა კავშირგაბმულობის საშუალებანი. XIX საუკუნის II ნახევარში საქართველოსა და ამიერკავკასიის მთავარი ქალაქები ერთმანეთსა და რუსეთის ცენტრებს ტელეგრაფის საშუალებით დაუკავშირდა.

სოფლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობის დარგებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მემინდვრეობა იყო. ყანების ფართობი ტყეებისა და სათიბ-საძოვრების ხარჯზე თანდათანობით გაიზარდა. აღმოსავლეთ საქართველოში წამყვანი კულტურები პური და ქერი იყო, დასავლეთ საქართველოში – სიმინდი. თუმცა XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე ქართული პურეულის წარმოება ბაზრისათვის უკვე ხელსაყრელი აღარ იყო. ამიტომ, შედარებით მსხვილი მეურნეობები ნათესების ფართობს თანდათან ამცირებდა და სოფლის მეურნეობის უფრო რენტაბელური დარგების დანერგვას უწყობდა ხელს.

მევენახეობა-მეღვინეობის ყველაზე მნიშვნელოვან რეგიონად კვლავ კახეთი რჩებოდა. აქაური ღვინო რუსეთშიც გადიოდა. შემდგომში ქართლისა და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში მევენახეობა-მეღვინეობას მეტი ყურადღება მიექცა.

თანდათან ფართოვდებოდა და სასაქონლო ხასიათს იღებდა მეხილეობა და მებოსტნეობა. სუბტროპიკულ რაიონებში ინერგებოდა უცხოეთიდან შემოტანილი ახალი კულტურები – ჩაი, ციტრუსები, ბამბუკი და სხვა. 1877 წლიდან სწრაფად განვითარდა მეთამბაქოეობა, რაც უცხოურ პროდუქციაზე დადებული ბაჟის მკვეთრად გაზრდით იყო განპირობებული. თავდაპირველად მეთამბაქოეობის წამყვან რეგიონებად კახეთი და იმერეთი ითვლებოდა, შემდეგ აფხაზეთიც დაწინაურდა.

საქართველოს მთიანეთში სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს ტრადიციულად მეცხოველეობა წარმოადგენდა. დასავლეთ საქართველოს ბარი მეფრინველეობით გამოირჩეოდა. შინაურ და საგარეო ბაზარზე მოსახლეობის მიერ წარმოებული აბრეშუმის პარკიც გადიოდა.

ფინანსები. ამრიგად, XIX-XX საუკუნეებში სამრეწველო გადატრიალება საქართველოშიც განხორციელდა. საგრძნობი გახდა სამრეწველო კაპიტალის კონცენტრაციის ტენდენცია, რაც აქციონერული საზოგადოებების, კომპანიების როლისა და მნიშვნელობის ზრდაში გამოიხატა. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების სასაქონლო პროდუქცია კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელ მოცულობას აღწევდა. საქართველო მსოფლიო საქონელბრუნვაში ჩაერთო. ამავე ხანებში საკმაოდ გააქტიურდა ადგილობრივი სავაჭრო კაპიტალი. 1866-1874 წლებში თბილისში რუსეთის სახელმწიფო ბანკის განყოფილება გაიხსნა (შემდგომში მისი განყოფილებები ბათუმსა და ქუთაისში დაარსდა), დაფუძნდა თბილისის კომერციული ბანკი, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო და ქუთაისის საადგილმამულო ბანკები.

თავი XXVII

საქართველო XX საუკუნის დასაწყისში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა

პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება. სოციალ-დემოკრატიული პარტია. საქართველოში მარქსისტული იდეები როგორც დასავლეთ ევროპიდან, ისე რუსეთიდან შემოდიოდა. მაგრამ პირველ ხანებში, ქართველ სოციალ-დემოკრატთა ფორმირებაზე, დიდ გავლენას საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები ახდენდა.

XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ახალი თაობა: ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ვლადიმერ დარჩიაშვილი, ისიდორე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე, ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია, რაჟდენ კალაძე და სხვები. მათ სახელს უკავშირდება "მესამე დასის" ჩამოყალიბება, რომელშიც თავიდანვე ორი მიმართულება გამოიკვეთა. ნოე ჟორდანია ახლოს იდგა წოდებათა შერიგებისა და კლასთა თანამშრომლობის იდეასთან, რასაც ილია ჭავჭავაძე წლების განმავლობაში ქადაგებდა. იგი არ იზიარებდა სოციალისტური რევოლუციისა და ბურჟუაზიული წყობილების დამხობის იდეას. ჟორდანიას თვალსაზრისით, ერისა და პიროვნების განთავისუფლება, სოციალური სამართლიანობის დამკვიდრება კაპიტალისტური წყობილების პირობებშიც შეიძლებოდა. 1894-1897 წლები მან საზღვარგარეთ გაატარა, კარგად შეისწავლა დასავლეთ ევროპული სოციალიზმის (რეფორმიზმის) მოდელი და ამ მიმართულებით თავისი სოციალური და დემოკრატიული პროგრამა საკმაოდ სრულყო. ნოე ჟორდანია და მისი მიმდევრები გმობდნენ ეროვნულ ჩაგვრას. ისინი ეროვნულ ბრძოლას საერთო დემოკრატიული ბრძოლის ნაწილად განიხილავდნენ. ამასთანავე, სოციალური და დემოკრატიული სამართლიანობისათვის ბრძოლაში ბურჟუაზიის, გლეხობისა და მუშების გაერთიანებას დასაშვებად მიიჩნევდნენ.

ნოე ჟორდანიასაგან განსხვავებით, ფილიპე მახარაძესა და სილიბისტრო ჯიბლაძეს წოდებათა შერიგება, კლასთა ბრძოლის თავიდან აცილება შეუძლებლად მიაჩნდათ. მათი აზრით, სოციალური ანტაგონიზმი და კლასთა ბრძოლა თანდათან ძლიერდება და ამ ბრძოლაში მუშათა კლასის გამარჯვებაზე კაცობრიობისა და ცალკეული ქვეყნების პროგრესული განვითარება იყო დამოკიდებული. ისინი კატეგორიულად უარყოფდნენ ნიკო ნიკოლაძის იმ

თვალსაზრისს, რომელიც ძალმომრეობას ბოროტებად აცხადებდა. ფილიპე მახარაძისა და სილიბისტრო ჯიბლაძის თანახმად, კაპიტალისტური წყობილება სოციალისტურს აუცილებლად უნდა შეეცვალა. ამ პოლიტიკოსებს შეუძლებლად მიაჩნდათ პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის კომპრომისი, საერთო ეროვნულ ნიადაგზე მათი გაერთიანება.

1901 წელს საქართველოში ცალკეული სოციალ-დემოკრატიული წრეების გაერთიანება მოხდა. 1903 წლის ივლის-აგვისტოში რუსეთის იმპერიაში არსებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გამაერთიანებელი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი ყრილობა გაიმართა. ყრილობაზე ამ ახლადშექმნილი ორგანიზაციის მენშევიკურ და ბოლშევიკურ ფრაქციებად გათიშვა მოხდა. ფრაქციებად სოციალ-დემოკრატების გაყოფა საქართველოში არსებულ ორგანიზაციასაც შეეხო. მენშევიკური ფრაქციის ლიდერი ნოე ჟორდანია გახდა, ბოლშევიკურისა – იოსებ სტალინი. საქართველოს სოციალ-დემოკრატებმა ორგანიზაციული დამოუკიდებლობა დაკარგეს და ცენტრის დიქტატის ქვეშ მოექცნენ. ამიერიდან მათ ყურადღება ინტერნაციონალიზმის პრინციპებსა და რუსეთის იმპერიის მუშათა მოძრაობის ერთიანობაზე გაამახვილეს. თავი იჩინა ეროვნული საკითხის უგულებელყოფამ. დაიწყო ეროვნული მიმართულების პარტიებთან მათი დაპირისპირება.

სოციალისტ-ფედეალისტთა პარტიის ჩამოყალიბება. XIX საუკუნის 90-იან წლებში გაზეთ "ივერიასა" და ჟურნალ "მოამბეში" პატრიოტ მოღვაწეთა ახალი თაობა მოვიდა. "ივერიელთა" ლიდერი გიორგი ლასხიშვილი და მისი თანამოაზრეები: ვასილ წერეთელი, კიტა აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, ილია ნაკაშიძე, ილია აღლაძე, ანდრია და გიორგი დეკანოზიშვილები და სხვები კაპიტალიზმს პროგრესულ მოვლენად აცხადებდნენ. ამასთანავე ყურადღებას რუსული და უცხოური კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროებაზე ამახვილებდნენ. მათ ეს საკითხი ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაწილად გამოაცხადეს. „ივერიელებს" პირველი რიგის ამოცანად საქართველოში დაპირისპირებული დასების გაერთიანება, გარეშე მტრების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის ორგანიზება მიაჩნდათ. ისინი სოციალ-დემოკრატთა "კვალის" პუბლიცისტებს დაუპირისპირდნენ, დაგმეს კლასობრივი ბრძოლის თეორია, რომელიც, მათი აზრით, ერის ერთიანობას უშლიდა ხელს.

ახალგაზრდა "ივერიელები" "ივერიის" ძველ თაობასაც გაემიჯნენ. ისინი აღიარებდნენ თერგდალეულების დიდ დამსახურებას ქართველთა ეროვნული

თვითცნობიერების ამაღლებაში, მაგრამ მიაჩნდათ, რომ ახალ პირობებში "ნაციონალური პრინციპი" გაცილებით ფართო ნიადაგს უნდა დაფუძნებოდა, ის უფრო კონკრეტული უნდა გამხდარიყო.

"მოამბის" მოღვაწეობას ტონს აძლევდნენ გიორგი მაიაშვილი და იაკობ ფანცხავა. მათთან ნიკო ნიკოლაძეც თანამშრომლობდა. ეს ჯგუფი კაპიტალიზმისა და ეროვნული ბურჟუაზიის განვითარებისათვის დიდად იღწვოდა. ამ ორი მიმდინარეობის წარმომადგენლები ეროვნულ საკითხშიც ერთგვაროვან პოზიციაზე იდგნენ. იდეურ-პოლიტიკურმა ნათესაობამ ორივე მხარეს გაერთიანებისკენ უბიძგა. ახალი მთავარი ორგანოს გაზეთ "ცნობის ფურცლის" სახელწოდების მიხედვით მათ "ცნობის ფურცლის ჯგუფი" ეწოდათ. ჯგუფმა თავი თერგდალეულთა იდეურ მემკვიდრედ გამოაცხადა.

1901 წელს "ცნობის ფურცელში" არჩილ ჯორჯაძე მივიდა. იმავე წელს მან "საერთო მოქმედების ნიადაგის თეორია" ჩამოაყალიბა. არჩილ ჯორჯაძის აზრით, მეფის რუსეთის დიდმპყრობელური პოლიტიკა, საქართველოს კოლონიური მდგომარეობა მოკამათე ჯგუფების ერთობლივი პრაქტიკული მოქმედებისათვის თავისთავად ქმნიდა საერთო ნიადაგს. მან დასახა ხუთი საერთო ეროვნული ამოცანა, რომლებიც ქართველთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმდინარეობებს ერთობლივი მოქმედებით უნდა გადაეწყვიტა: 1. ქართული ენისა და კულტურის დაცვა; 2. საქართველოს მიწის ფონდისა და მეურნეობის ქართველთა ხელში შენარჩუნება; 3. ქვეყანაში ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება; 4. საქალაქო თვითმმართველობის ორგანოებში ქართველთა წარმომადგენლობის გაფართოება; 5. ქართველი ინტელიგენციის მიერ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის გაფართოება.

ცენზურის გამო "ცნობის ფურცელში" ქართველ მოღვაწეთა ეროვნული პროგრამის გამოქვეყნება ვერ მოხერხდა. არჩილ ჯორჯაძე და მიხეილ დეკანოზიშვილი იძულებულნი გახდნენ უცხოეთში წასულიყვნენ. 1903 წელს პარიზში მათ გაზეთ "საქართველოს" გამოცემა დაიწყეს. გაზეთის პირველსავე ნომერში მათ განაცხადეს, რომ ისინი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიური სახელმწიფო სტატუსის მოპოვებისათვის იბრძოდნენ.

ანარქისტები. ანარქიზმი, როგორც პოლიტიკური მოძღვრება XIX საუკუნის 40-იანი წლების ევროპაში აღმოცენდა. ანარქიზმი სახელმწიფოს ყველა ფორმას უარყოფდა და პიროვნების აბსოლუტურ თავისუფლებას ქადაგებდა. იგი ადამიანთა საზოგადოების ეკონომიკურ საფუძვლად კერძო საკუთრებას მიიჩნევდა. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ანარქისტულ მიმდინარეობას მიმდევრები საქართველოშიც

გამოუჩნდნენ. მათგან განსაკუთებით აღსანიშნავია ვარლამ ჩერქეზიშვილის, მიხაკო წერეთლის, შალვა და კომანდო გოგელიების მოღვაწეობა. ევროპელი და რუსი ანარქისტებისაგან განსხვავებით, ქართველ ანარქისტთა წამყვანი ჯგუფის საქმიანობაში ძირითადი მაინც ეროვნული საკითხი იყო. ისინი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

ესერები. 1901 წელს ნეონაროდნიკული წრეების გაერთიანების ნიადაგზე ესერთა პარტია ჩამოყალიბდა. მისი თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ მიხეილ ყიფიანი, სტეფანე ჭრელაშვილი, ივანე ჯაბადარი და სხვები. საქართველოში ესერთა ორგანიზაცია რამდენადმე მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად არ გადაქცეულა.

ეროვნულ-დემოკრატები. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ეროვნულ-დემოკრატიულად განწყობილი მოღვაწეები "ცნობის ფურცლის" ჯგუფში გაერთიანდნენ. ისინი ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეებად აცხადებდნენ თავს და საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ავტონომიის მინიჭების გზით მოითხოვდნენ. 1905 წელს სოციალური მოძრაობის აღმავლობამ ეროვნულ-დემოკრატები დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის შექმნის გადაწყვეტილებამდე მიიყვანა. 1905 წელს ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ინტელიგენციის კრება შედგა. ილია ჭავჭავაძის წინადადებით, შეკრებამ პარტიის შექმნის გადაწყვეტილება მიიღო. პარტიის შექმნის ინიციატორთა შორის იყვნენ: ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი გვაზავა, ნიკო თავდგირიძე და სხვები. მაგრამ ამ ეტაპზე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნის საქმიანობა არ გაგრძელებულა.

1904 წლის აპრილში ჟენევაში საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენელთა კონფერენცია ჩატარდა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: გაზეთ "საქართველოს" ჯგუფი, ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია, ანარქისტები, ესერები და სოციალ-დემოკრატები. კონფერენციაზე ერთ-ერთ ძირითად საკითხად საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნის საკითხი განიხილებოდა. სოციალ-დემოკრატების გარდა ამ მოთხოვნას ყველა პარტიამ მხარი დაუჭირა. ჟენევის კონფერენციამ ორ მიზანს მიაღწია – საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მომხრეთა შეკავშირება მოახდინა და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია საბოლოოდ დააფუძნა.

საქართველო რუსეთის პირველი რევოლუციისა და რეაქციის წლებში. XX საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის იმპერია სოციალურმა კრიზისმა მოიცვა, რაც 1904-1905 წწ. იაპონიასთან ომში რუსეთის დამარცხების შემდეგ განსაკუთრებით

გამწვავდა. 1905 წლის 9 იანვარს ცარიზმის მხრიდან მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტა კი, მოვლენების კულმინაციად იქცა. ხელისუფლების ავტორიტეტი საბოლოოდ დაეცა, ცარიზმი ყველა უბედურებისა და უსამართლობის წყაროდ აღიქმებოდა. 1905 წლის იანვარში, რუსეთის პირველი რევოლუციის დაწყებისთანავე, გაფიცვები თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებს მოედო. მალე პოლიტიკური გაფიცვები და დემონსტრაციები თბილისის გარდა ქუთაისში, ფოთში, ტყიბულსა და შორაპანში დაიწყო. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ერთდოულად გლეხთა გამოსვლები მიმდინარეობდა. ამ მხრივ განსაკუთრებული აქტიურობით გურია გამოირჩეოდა. კავკასიის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, იქ ორჯერ გაიგზავნა დამსჯელი ექსპედიცია. გურიის დასაცავად მთელი საქართველო აღსდგა. ორივეჯერ ქართული საზოგადოების მტკიცე პოზიციამ ეს კუთხე განსაცდელისგან იხსნა. სოციალური პროტესტი გარკვეულწილად ეროვნულ ხასიათს ატარებდა. ამასთანავე, 1905 წელს ლოკალური გამოსვლები საყოველთაო შეიარაღებულ აჯანყებაში არ გადაზრდილა. მომდევნო წლის დასაწყისისათვის რევოლუციური ტალღა მინელდა.

კავკასიაში რევოლუციური აღმავლობით შეშფოთებულმა საიმპერატორო კარმა, მხარის "დაშოშმინების" მიზნით საგანგებო ზომების გატარება განიზრახა. კავკასიაში აღდგა მეფისნაცვლობა. მეფისნაცვლად გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი დაინიშნა. იგი კავკასიის ხალხებს რეფორმების გატარებას დაჰპირდა. ამავდროულად იმპერატორის მთავრობა აგრძელებდა ბრძოლას რევოლუციური და ეროვნული მოძრაობის ჩასახშობად.

რევოლუციის წლებში ილია ჭავჭავაძის "ივერია" განაგრძობდა რუსეთის მრავალეროვანი იმპერიის ფედერაციულ სახელმწიფოდ გარდაქმნის იდეის პროპაგანდას. "ივერიელთა" აზრით, ავტონომიის მოთხოვნა მთელი ქართული საზოგადოების ინტერესებს შეესაბამებოდა, რადგან ამ ვითარებაში ხელისუფლება კლასთა ურთიერთობის დარეგულირებას, საერთო ეროვნული ინტერესების დაცვას შეძლებდა. ამ კონცეფციას მხარს სოციალისტ-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატები უჭერდნენ. სოციალ-დემოკრატები ავტონომიის მოთხოვნას იმ მოტივით ეწინააღმდეგებოდნენ, რომ ავტონომია, მათი აზრით, ძირს გამოუთხრიდა რუსეთის პროლეტარიატის ინტერნაციონალურ ერთობას.

ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელი ნაწილი გახდა. 1905 წლის პირველ ნახევარში რუსეთის მინისტრთა კომიტეტის წინაშე იმერეთის, გურია-სამეგრელოსა და აღმოსავლეთ საქართველოს ეპარქიების სამღვდელოებამ

არაერთხელ დასვა საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე. ოქტომბერში მთავრობას ანალოგიური საერთო მოთხოვნა ქართველმა თავადაზნაურობამ, თბილისისა და ქუთაისის ქალაქის თავებმა, საეგზარქოსოს ოთხივე ეპისკოპოსმა წარუდგინა.

მართალია, საქართველოს ეგზარქოსი ქართველ "ავტოკეფალისტთა" არგუმენტაციას არ იზიარებდა, მაგრამ რევოლუციით შექმნილი დაძაბული სიტუაციის გათვალისწინებით, სინოდს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება შესთავაზა. თუმცა სინოდმა და რუსეთის მთავრობამ ქართულ სამღვდელოებაზე კონტროლის ხელიდან გაშვება შეუძლებლად მიიჩნია. ამ საკითხის გასარკვევად სპეციალური კომისიაც შეიქმნა, რომელსაც სინამდვილეში საქმის გაჭიანურება დაევალა.

1905 წლის ოქტომბერში რევოლუციამ იმპერიის ცენტრალურ და განაპირა გუბერნიებში მწვავე ხასიათი მიიღო. მეფის მთავრობა იძულებული გახდა გარკვეულ დათმობებზე წასულიყო და 17 ოქტომბერს გამოაქვეყნა მანიფესტი, რომლითაც ხალხს სამოქალაქო-პოლიტიკურ თავისუფლებასა და კონსტიტუციას დაჰპირდა. გადაწყდა სახელმწიფო სათათბიროს მოწვევაც.

1906-1907 წლებში რუსეთის ორი სახელმწიფო სათათბირო იქნა მოწვეული. არჩევნების შედეგად პირველ სათათბიროში ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა 5 კაცი გაიყვანეს, სოციალისტ-ფედერალისტებმა, კადეტებმა და მემერჯვენეებმა – თითო-თითო. მეორე სათათბიროში მხოლოდ სოციალ-დემოკრატები გავიდნენ. ქართველი სოციალ-დემოკრატები ორივე სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში წამყვან როლს ასრულებდნენ. 1907 წლის 7 აპრილს ილია სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს. სახელმწიფო სათათბიროს სხდომებს ის ხშირად ესწრებოდა და აქტიურად მონაწილეობდა ავტონომისტ-ფედერალისტთა ფრაქციის საქმიანობაში.

1907 წლის 3 ივნისს ნიკოლოზ II-მ რუსეთის II სახელმწიფო სათათბირო დათხოვნილად გამოაცხადა. ამით რუსეთის პირველი რევოლუცია დასრულდა.

რევოლუციის შემდგომმა პოლიტიკურმა რეაქციამ საქართველოში ფართო ხასიათი მიიღო. ქვეყნის ყველა კუთხეში სამხედრო-საველე სასამართლოები მძვინვარებდა. მოსახლეობის დარბევაში განსაკუთრებით "შავრაზმელები" (რუსი ხალხის კავშირი) აქტიურობდნენ. 1907 წელს თბილისიდან და ქუთაისიდან რამდენიმე ათასი ადამიანი გადაასახლეს. ამასთანავე, 1908-1915 წლებში საქართველოში 66 ათასი რუსი ჩამოასახლეს. მეურნეობის მოწყობაში მთავრობა მათ ყოველგვარ დახმარებას უწევდა.

რეაქციის წლებში საქართველოში არათუ მინელდა, არამედ კიდევ უფრო გამძაფრდა დებატები მომავალი ქართული სახელმწიფოს სტატუსის გარშემო. 1907 წელს ქართველ მოღვაწეთა ერთმა ჯგუფმა ცარიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო სამართლის გამოყენება სცადა. მათ ჰააგის საერთაშორისო კონფერენციას გადასცეს "პეტიცია", რომელშიც რუსეთის დაპყრობითი, კოლონიური და რუსიფიკატორული პოლიტიკა იყო მხილებული. ამ დოკუმენტის შემდგენლები საერთაშორისო კონფერენციას ქართველი ერისათვის 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენაში დახმარების გაწევას სთხოვდნენ. თუმცა კონფერენციის დელეგატთა მხრიდან საქმე სოლიდარობის გამოცხადებას არ გასცილებია.

საერთაშორისო ასპარეზზე წარუმატებლობას მალე ეროვნული ტრაგედიაც დაემატა. 1907 წლის 30 აგვისტოს წიწამურთან ქართველი ხალხის მტრებმა მოკლეს უდიდესი ქართველი პატრიოტი ილია ჭავჭავაძე. ამ ამბავმა ეროვნული ძალების აღშფოთება და მრისხანე პროტესტი გამოიწვია. ხალხმა არა მხოლოდ დაიტირა დიდი საზოგადო მოღვაწე, არამედ უდიდესი გულისწყრომა გამოხატა საზარელი ტერორისტული აქტის ორგანიზატორთა მიმართ.

პირველი მსოფლიო ომის დაწყება. 1914 წლის აგვისტოში პირველი მსოფლიო ომი დაიწყო. მასში 33 ქვეყანა აღმოჩნდა ჩაბმული. ეს ქვეყნები ორ ურთიერთდაპირისპირებულ დაჯგუფებას წარმოადგენდა. ერთ მხარეს გერმანია, ავსტრია, უნგრეთი, თურქეთი, ბულგარეთი გაერთიანდნენ, მეორე მხარეს – ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, ამერიკა და სხვ.

ომის ვითარებაში საქართველოში ეროვნული იდეალის განხორციელების შესაძლებლობას ახალი პესპექტივა გადაეშალა. ეროვნულ ძალთა ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ რუსეთის იმპერიის დამარცხება ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენას გააადვილებდა. ამ მიზნით მათ ორიენტაცია გერმანიასა და მის მოკავშირეებზე აიღეს. ქართველ პატრიოტთა ერთმა ჯგუფმა საქართველოში ანტირუსული აჯანყების მოწყობა გადაწყვიტა. ჟენევაში ჩამოაყალიბებული "საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" აქტიური წევრები – ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხაკო წერეთელი, გიორგი მაჩაბელი, პეტრე სურგულაძე და სხვები 1915 წელს ჯერ გერმანიაში, შემდეგ თურქეთში ჩავიდნენ. ამ ქვეყნების მთავრობების წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით მიიღეს გარანტია, რომ წარმატების მიღწევის შემთხვევაში, მათგან ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და საქართველოს ისტორიული საზღვრების ცნობის საკითხში სრულ მხარდაჭერას მიიღებდნენ. ამ იდეას ყველა ქართველი

პოლიტიკოსი არ იზიარებდა. ზოგიერთი მათგანი კვლავ რუსეთის იმპერიის ფარგლებში საქართველოს ავტონომიის მოთხოვნის თვალსაზრისზე რჩებოდა.

კავკასიის ფრონტზე თურქეთის ჯარის წარმატება ეპიზოდური აღმოჩნდა. რუსეთის არმია შეტევაზე გადავიდა და ტრაპიზონს მიუახლოვდა. ასეთ პირობებში ანტირუსული აჯანყების იდეამ მიმზიდველობა დაკარგა. ამასთანავე, 1915 წლის მეორე ნახევარში საქართველოს ეროვნული მიმართულებისა და სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს შორის დამოუკიდებლობის საკითხში შეთანხმება მაინც შედგა. მისი ინიციატორი საზღვარგარეთიდან ჩამოსული გიორგი მაჩაბელი იყო.

რუსეთის 1917 წლის რევოლუცია და საქართველო. გაჭიანურებულმა ომმა რუსეთის ეკონომიკის დაცემა და პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია. 1917 წლის თებერვლის ბოლოს იმპერიის დედაქალაქი პეტროგრადი რევოლუციურმა მღელვარებამ მოიცვა. იმპერატორი ნიკოლოზ II იძულებული გახდა ტახტიდან გადამდგარიყო. ხელისუფლება დროებითი დემოკრატიული მთავრობის ხელში გადავიდა. დიდი ძალაუფლება მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებმაც მოიპოვეს.

ცარიზმის დამხობას, დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებას აღტაცებით შეხვდა საქართველოს მოსახლეობა. თბილისში ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით ჩამოყალიბდა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო. მალე საქართველოსა და ამიერკავკასიაში საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტები შეიქმნა. რუსეთის დროებითმა მთავრობამ მხარის მართვა-გამგეობისათვის ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი (ოზაკომი) ჩამოაყალიბა.

საქართველოს სამღვდელოებამ ცარიზმის დამხობის მომენტი კარგად გამოიყენა. 1917 წლის 12 მარტს მღვდელმთავრებმა სვეტიცხოვლის ტაძარში შეკრებილი მრავალრიცხოვანი საზოგადოების წინაშე საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა საზეიმოდ გამოაცხადეს. რუსეთის დროებითი მთავრობა კი ეროვნული საკითხის გადაწყვეტას არ ჩქარობდა. იგი კვლავ "ერთიანი და განუყოფელი რუსეთის" დოქტრინას იცავდა. რუსეთის განაპირა ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაძლიერდა. მის წარმატებას, რასაკვირველია, ობიექტურად შეუწყო ხელი 1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკურმა გადატრიალებამ, სამოქალაქო ომის ესკალაციამ და რუსეთის იმპერიის ფაქტობრივმა დაშლამ.

15 ნოემბერს ამიერკავკასიის პოლიტიკური პარტიების მოთხოვნით, ოზაკომი გადადგა და ჩამოყალიბდა დროებითი მთავრობა – ამიერკავკასიის კომისარიატი. ამ მოვლენამ საქართველოს პოლიტიკურ ძალთა ეროვნულ ნიადაგზე გაერთიანების პროცესი დააჩქარა. მოგვიანებით, 1918 წლის თებერვალში მოწვეულ იქნა

ამიერკავკასიის პარლამენტი – სეიმი, რომელშიც სოციალ-დემოკრატები უმრავლესობით იყვნენ წარმოდგენილნი. მათვე ახალი მთავრობის ფორმირება დაევალათ. 1917 წლის ნოემბერში მოწვეულმა საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ ეროვნული საბჭო აირჩია, რომელმაც აღმასრულებელი კომიტეტი ჩამოაყალიბა. შეიქმნა საქართველოს პოტენციური პარლამენტი და მთავრობა, საფუძველი ჩაეყარა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას.

ამ დროს სამხრეთ კავკასიის ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ძალა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია იყო. საბჭოთა რუსეთის ცნობაზე უარის თქმითა და ამიერკავკასიის გამოყოფის პოზიციაზე დადგომით, მან თითქმის ყველა პარტიის ნდობა დაიმსახურა.

ამიერკავკასიის ახალი ხელისუფლება საკმაოდ რთულ შიდაპოლიტიკურ და საერთაშორისო პირობებში შეუდგა მუშაობას. საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გერმანიასა და მის მოკავშირეებთან სეპარატისტული საზავო მოლაპარაკება დაიწყო. თურქეთის დელეგაციამ რუსეთისაგან ბათუმისა და ყარსის ოლქების დათმობა მოითხოვა. ბრესტის საზავო კონფერენციას ამიერკავკასიის მთავრობის წარმომადგენლობა არ დასწრებია. მიუხედავად ამისა, ზავის პირობების თანახმად, რუსეთმა თურქეთს, ფაქტობრივად, ბათუმის, არტაანისა და ყარსის ოლქები გადასცა. 1918 წლის მარტ-აპრილში თურქეთის ჯარებმა შეტევითი ოპერაციები განახორციელა. მათ დაიკავეს ბათუმ-ყარსის ოლქები, ახალციხე-ახალქალაქის მაზრებისა და ერევნის გუბერნიის ნაწილი. მართალია, ქართული და სომხური მოსახლეობა ოკუპანტების წინააღმდეგ საბრძოლველად აღსდგა, მაგრამ მთავრობის მაორგანიზირებელი როლი ნაკლებად გამოჩნდა.

სამხედრო მარცხმა ამიერკავკასიის მთავრობა აიძულა ეცნო ბრესტის ზავის პირობები. მან თურქეთს სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყება შესთავაზა. თურქეთის მთავრობამ ამის წინაპირობად ამიერკავკასიის სუვერენულ სახელმწიფოდ გაფორმება მიიჩნია. 1918 წლის 22 აპრილს სეიმმა თითქმის ერთხმად მიიღო დეკლარაცია ამიერკავკასიის დამოუკიდებლობისა და დემოკრატიულ-ფედერაციულ რესპუბლიკად მისი გამოცხადების შესახებ. 11 მაისს თურქეთთან საზავო მოლაპარაკება განახლდა. სამხედრო წარმატებებით გათამამებულმა თურქებმა ბათუმის, არტაანისა და ყარსის ოლქებთან ერთად ერევნის გუბერნიის ორი მესამედი და თითქმის მთელი ახალციხე-ახალქალაქის მაზრები მოითხოვეს. ზავის ასეთ პირობებზე თანხმობა მხოლოდ აზერბაიჯანის დელეგაციამ განაცხადა. სომეხი და ქართველი პოლიტიკოსები კი ბრძოლას განაგრძობდნენ.

აშკარა გახდა, რომ ამიერკავკასიის ფედერაციული კავშირის ერთიანობას ძირი გამოეთხარა. მის საფუძველზე სამი დამოუკიდებელი რესპუბლიკა უნდა შექმნილიყო, თუმცა ამ დამოუკიდებლობისა და უშიშროების დაცვა საკუთარი ძალებით შეუძლებელი ჩანდა. ასეთ სიტუაციაში აზერბაიჯანმა თურქული ორიენტაცია აირჩია, სომხეთმა – ინგლისური, საქართველომ – გერმანული. ამ ნიადაგზე სეიმის ფრაქციებს შორის საერთო ენის გამონახვა ვერ მოხერხდა. 26 მაისს, დილის 11 საათზე ჩიხში მოქცეულმა ამიერკავკასიის პარლამენტმა, თავისი უკანასკნელი დეკრეტით თვითლიკვიდაცია და ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლა გამოაცხადა. იმავე დღის 17 საათზე საქართველოს ეროვნული საბჭოს დავალებით, ნოე ჟორდანიამ მთავრობის სასახლეში შეკრებილ მრავალრიცხოვან საზოგადოებას საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი გააცნო.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა

პირველი ნაბიჯები საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციაში ნათქვამი იყო: "1. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა; 2. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა; 3. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო ნეიტრალური სახელმწიფოა; 4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყაროს; 5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანაბრად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის პოლიტიკურ და სხვ. უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სქესისა და სოციალური მდგომარეობისა; 6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყოველ ერს განვითარების ფართო ასპარეზს ანიჭებს; 7. დამფუძნებელი კრების მოწვევამდე საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო და დროებითი მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია ეროვნული საბჭოს წინაშე".

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დაუყოვნებლივ დაიწყო საკანონმდებლო საქმიანობა. ჩამოყალიბდა დროებითი კოალიციური მთავრობა. მის თავმჯდომარედ სოციალ-დემოკრატი ნოე რამიშვლი აირჩიეს (ერთი თვის შემდეგ იგი ნოე ჟორდანიამ შეცვალა). მთავრობაში უმრავლესობა სოციალ-დემოკრატები იყვნენ, მაგრამ სხვა პარტიათა წარმომადგენელი მინისტრები საკმაოდ დიდ გავლენას ახდენდნენ ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის განსაზღვრაში. საქართველოს პირველ რესპუბლიკაში სოციალ-დემოკრატებმა ბოლომდე შეინარჩუნეს წამყვანი

პოზიცია, მაგრამ ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ პრინციპული ბრძოლით მმართველ პარტიაზე დიდი გავლენა მოახდინა. მან საგრძნობლად შეცვალა თავის სამოქმედო პროგრამა – უარი თქვა ვიწრო კლასობრივ და პარტიულ პოზიციაზე; გაატარა დემოკრატიული ხასიათის რეფორმები, რამაც საგრძნობლად შეამცირა სოციალური შუღლი და კლასობრივი ბრძოლა; ხელი შეუწყო ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციას.

1919 წლის იანვარში დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა ახალი აგრარული კანონი, რომლის ძალით, გლეხების სანადელო მიწები მათ საკუთრებად გამოცხადდა. მაგრამ მთავრობას ხელი არ აუღია მიწის მუნიციპალიზაციის კურსზე. აიკრძალა მიწის ყიდვა-გაყიდვა. აღნიშნულის მიუხედავად, საქართველოში მძიმე ეკონომიკური ვითარება შეიქმნა. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დაქვეითებაზე მნიშვნელოვანი გავლენა საქართველოს ეკონომიკაში რუსული კაპიტალის მონაწილეობის შეწყვეტამ და რუსეთის ბაზრის დახურვამ მოახდინა.

1918 წლის 1 ოქტომბერს მიღებულ იქნა კანონი ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების შესახებ. განათლების სფეროში მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა. ჩამოყალიბდა დაწყებითი და საშუალო სკოლების სისტემა. 1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა. უნივერსიტეტის პირველ რექტორად პეტრე მელიქიშვილი აირჩიეს. პირველი ლექცია უნივერსიტეტში 1918 წლის 30 იანვარს ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა. 3 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული კანონით ქართულ უნივერსიტეტს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსი მიენიჭა. 1919 წელს თბილისში სახელმწიფო კონსერვატორია დაარსდა.

ხელისუფლებას კარგად ესმოდა დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის შეიარაღებული ძალების დიდი მნიშვნელობა. სპეციალური კანონმდებლობის საფუძველზე ჩამოყალიბდა სახალხო გვარდია, რეგულარული 20-30 ათას კაციანი არმია, რომელიც ორი წლის განმავლობაში წარმატებით იცავდა ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას.

ხელისუფლება, ბუნებრივია, ცდილობდა შიდაეროვნულ ურთიერთობათა დარეგულირებას. 1918 წლის დასაწყისში აფხაზმა სეპარატისტებმა თავისი ეროვნული საბჭო ჩამოაყალიბეს და საკუთარი სახელმწიფოებრიობის შექმნაზე პრეტენზია განაცხადეს. მაგრამ საქართველოს ეროვნული საბჭოს ლიდერებმა აფხაზთა სეპარატისტულ მისწრაფებებს მხარი არ დაუჭირეს. მათი გეგმით, აფხაზეთს საქართველოს ფარგლებში ავტონომიური ერთეულის სტატუსი უნდა მისცემოდა. ამ საკითხზე შეთანხმებაც გაფორმდა. მაგრამ ბოლშევიკებმა ეს

შეთანხმება, ფაქტობრივად, ჩაშალეს, როდესაც სოხუმში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. რაკი მშვიდობიანი მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა, აფხაზეთში წესრიგის დამყარების ფუნქცია საქართველოს შეიარაღებულ ძალებს დაეკისრა. ქართულმა ჯარმა სოხუმი დაიკავა და ივნის-ივლისში ქალაქი გუდაუთა, გაგრა, სოჭი და ტუაფსე აიღო. ნოე ჟორდანიას განცხადებით, საქართველოს ჯარი ტუაფსემდე არა ქვეყნის ტერიტორიების გაფართოების, არამედ საქართველოს დაცვის, მისი მთლიანობის შენარჩუნების, ბოლშევიკებისაგან მომდინარე საფრთხის თავიდან აცილების სურვილმა მიიყვანა.

საქართველოს ხელისუფლებამ არაკანონიერად არჩეული აფხაზთა ეროვნული საბჭო დაშალა და აფხაზეთის მრავალეროვანი საბჭო ჩამოაყალიბა. მანვე "აფხაზეთის ავტონომიის აქტი" შეიმუშავა.

1918 წლის გაზაფხულზე მდ. ლიახვის ზემო დინების მხარეში აგრარული მოძრაობა დაიწყო, რომელსაც ბოლშევიკებმა პოლიტიკური მიმართულება მისცეს და საქართველოს დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ წარმართეს. ოსმა აჯანყებულებმა ცხინვალი აიღეს და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. საქართველოს ჯარმა გაათავისუფლა ცხინვალი და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა შეინარჩუნა, თუმცა ოსების ანტიქართული მოძრაობა სხვადასხვა ფორმით კიდევ დიდხანს გაგრძელდა. ამას ბოლშევიკებისაგან პროვოცირებული ქართველ გლეხთა აჯანყებები ემატებოდა. ივნის-ივლისში ანტისამთავრობო გამოსვლები არაგვის ხეობაშიც განხორციელდა, რომელიც მალევე იქნა ლიკვიდირებული.

საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლების პირველი საერთაშორისო აქტები თურქეთთან და გერმანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებები იყო. თურქეთთან დადებული ზავით საქართველომ სამუსლიმანო საქართველო დაკარგა. ოპტიმიზმის საფუძველს მხოლოდ მოკავშირის – გერმანიის ჯარის საქართველოში შემოსვლა იძლეოდა.

1918 წლის შემოდგომაზე გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა კაპიტულაცია გამოაცხადეს. საქართველოში გერმანიის ადგილი ინგლისის ჯარმა დაიკავა. ამავე პერიოდში, მუდროსის დროებითი ზავის თანახმად, თურქეთმა ამიერკავკასიის ოკუპირებული ტერიტორიები დატოვა. როგორც კი თურქთა ჯარის ნაწილები საქართველოს კუთვნილი ლორეს რაიონიდან გავიდა, იქ სომხეთის შეიარაღებული ძალები შეიჭრა. გაჩაღდა ომი. ქართულმა ჯარმა აგრესიული მეზობლისაგან ოკუპირებული ტერიტორიის დიდი ნაწილი გაათავისუფლა. ამ კრიტიკულ მომენტში სომხეთს დიდი ბრიტანეთი მიეშველა. მისი შუამავლობით მიღებული შეთანხმების

საფუძველზე, სადავო ტერიტორია ორივე მხარის ჯარებმა დატოვა. შეიქმნა ე.წ. “ლორეს ნეიტრალური ზონა”. სამწუხაროდ, ამ შეთანხმებაში ქართული მხარის გამარჯვება საერთოდ არ აისახა. ამ ვითარებას ოპოზიციური ძალების მხრიდან მთავრობის მკვეთრი კრიტიკა მოჰყვა. 1919 წლის 4 იანვრის პარლამენტის სხდომაზე ეროვნულ-დემოკრატმა სპირიდონ კედიამ ამ შეთანხმებას “მიუღებელი” უწოდა. მისი განცხადებით, ეს ხელშეკრულება ქვეყნის სუვერენულ უფლებას მისი ტერიტორიის ერთ ნაწილზე უხეშად ხელყოფდა. საქართველოს მთავრობა თავადაც აცნობიერებდა, რომ სამმხრივი შეთანხმება ქვეყნის ინტერესებს ზიანს აყენებდა, მაგრამ მას ძალა არ შესწევდა, წინ აღდგომოდა ძლევამოსილი ანტანტის წამყვან სახელმწიფოს. მეტიც, მთავრობა იძულებული გახდა თბილისში მოკავშირეთა ორი ბრიგადის, ხოლო ბათუმსა და მის ოლქში ინგლისის ჯარების განთავსებაზე დათანხმებულიყო.

ამავე პერიოდში საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შეტაკება დონისა და ჩრდილოეთ კავკასიაში მყოფ დენიკინის სამხედრო შენაერთებთანაც მოუხდა, რომელიც ანტანტის მფარველობაში იმყოფებოდა. დენიკინის ე.წ. მოხალისეთა არმიამ ტუაფსე და სოჭი დაიკავა, 1919 წლის იანვარში კი საქართველოს ჩრდილო-დასავლეთის საზღვარი გადმოლახა და აფხაზეთის ტერიტორია მდ. ბზიფამდე დაიპყრო. მუხადირთან მომხდარ ბრძოლაში საქართველოს ჯარმა სერიოზული დარტყმა მიაყენა მტერს, მაგრამ ინგლისის ჩარევამ ქართველთა შეტევა შეაჩერა. მოხდა დაზავება. სადემარკაციო ხაზი მდ. ბზიფზე გადავიდა.

დამფუძნებელი კრების არჩევა. 26 მაისის დეკლარაცია საქართველოს დამფუძვნებელი კრების მოწვევას ითვალისწინებდა. ამ იდეას მხარს პოლიტიკური პარტიები უჭერდნენ. მართალია, ეროვნულ საბჭოში თითქმის ყველა პოლიტიკური ძალა იყო წარმოდგენილი, მაგრამ ის საყოველთაო და თანასწორი არჩევნების გზით არ შექმნილა.

დამფუძნებელი კრების არჩევნები 1919 წლის თებერვალში ჩატარდა. ხმების აბსოლუტური უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებმა მოიპოვეს. სოციალის-ფედერალისტებმა, ეროვნულ-დემოკრატებმა და სოციალისტ-რევოლუციონერებმა ამ ორგანოში მცირერიცხოვანი ფრაქციები შექმნეს. მთავრობის თავმჯომარედ ნოე ჟორდანია აირჩიეს. მან მინისტრთა კაბინეტი მთლიანად სოციალ-დემოკრატებით დააკომპლექტა.

საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში თითქმის ყველა მაზრაში ჩამოყალიბდა და მოქმედებდა საერობო თვითმმართველობები.

კონსტიტუციის მიღება. ერთწლიანი მუშაობისა და რამდენიმე განხილვის შემდეგ, 1921 წლის 22 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს კონსტიტუციის პროექტი დაამტკიცა. ამ დოკუმენტით საქართველო თავისუფალ, დამოუკიდებელ, განუყოფელ სახელმწიფოდ, რესპუბლიკად გამოცხადდა.

კონსტიტუციაში დაფიქსირებულია დებულებები მოქალაქეთა უფლებების, წოდებრივ განსხვავებათა მოსპობის, კანონის წინაშე ყველას გათანასწორების შესახებ. აღიარებულია მოქალაქის სინდისის და რწმენის თავისუფლება, შეკრების, კავშირების შექმნის, გაფიცვების უფლება. ძირითად კანონში ისიცაა აღნიშნული, რომ კანონის დარღვევისა და დანაშაულებრივი ქმედების შემთხვევაში, პიროვნება პასუხს მხოლოდ სასამართლოს წინაშე აგებს.

1921 წლის კონსტიტუცია განსაზღვრავდა პარლამენტის, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების უფლება-კომპეტენციას. კონსტიტუცია ითვალისწინებდა სოხუმის, ბათუმის ოლქისა და ზაქათალის ოკრუგისათვის ავტონომიის მინიჭებას.

ზრუნვა მოქალაქეთა ღირსეულ არსებობაზე კონსტიტუციამ სახელმწიფოს უპირველეს მოვალეობად გამოაცხადა. მოქალაქისათვის საკუთრების ჩამორთმევა, ისიც საზღაურის გაცემის პირობით, იმ გამონაკლის შემთხვევაში დაიშვებოდა, თუ ამას სახელმწიფოსა და საზოგადოების საერთო ინტერესები მოითხოვდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია იმდროინდელი დემოკრატიული მსოფლიოს სამართლებრივი მეცნიერების დონეზე იდგა. საბჭოთა რუსეთის აგრესიამ მისი ამოქმედება შეუძლებელი გახადა.

ბრძოლა საქართველოს საერთაშორისო აღიარებისათვის. საქართველოს პოლიტიკური ძალების ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს უცხო სახელმწიფოების მიერ რესპუბლიკის ცნობა და რუსული იმპერიალიზმისგან თავის დასაცავად მათგან სამხედრო-პოლიტიკური დახმარების მიღება წარმოადგენდა. საქართველოს მთავრობამ დასავლეთის სახელმწიფოებში და ვერსალის საზავო კონფერენციაზე დიპლომატიური წარმომადგენლების სახით ზ. ავალიშვილი, დ. ღამბაშიძე, კ. ჩხეიძე და ი. წერეთელი გაგზავნა. მათ ცალ-ცალკე ნოტებით მიმართეს ინგლისის, საფრანგეთის, აშშ-ის მთავრობებს, ანტანტას, გამარჯვებულ მოკავშირეებს და მათგან საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა, საელჩოების გაცვლა მოითხოვეს. მაგრამ ეს ნოტები უპასუხოდ დარჩა. ანტანტის სახელმწიფოები საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისაგან თავს იკავებდნენ. 1919 წელს გამარჯვებულ მოკავშირეთა ძირითადი მიზანი რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების დამხობა და ბურჟუაზიული წყობილების აღდგენა იყო. ისინი მთელ იმედს გენერლების:

კოლჩაკისა და დენიკინის არმიებზე ამყარებდნენ. გენერლებს რუსეთის ძველი იმპერიის აღდგენა სურდათ. ისინი, ბუნებრივია, არ ცნობდნენ იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს. ნათელი იყო, რომ მოკავშირეები ეროვნული რესპუბლიკების საკითხის განხილვას "საერთო რუსული" პრობლემების გადაწყვეტას უკავშირებდნენ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1919-1920 წლების მიჯნაზე საბჭოთა რუსეთის არმიამ თითქმის მთლიანად გაანადგურა დენიკინის ჯარი და სამხრეთ კავკასიას მოადგა, დასავლეთის სახელმწიფოებმა საჭიროდ ჩათვალეს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის "დე ფაქტო" ცნობა და მათთვის სამხედრო დახმარების გაწევის საჭიროებაზე ალაპარაკდნენ. მაგრამ ყოველივე ეს ჯერ კიდევ საკმაოდ ბუნდოვანი და არასაიმედო იყო.

მას შემდეგ, რაც წითელი არმია კავკასიის ქედს მოადგა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ საზღვრების დაცვას მეტი ყურადღება მიაქცია. მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა 1920 წლის აპრილის ბოლოს, როდესაც საბჭოთა რუსეთმა აზერბაიჯანის ძალდატანებითი გასაბჭოება მოახდინა. მისმა ახლადშექმნილმა საბჭოთა მთავრობამ, ბოლშევიკური რუსეთის კარნახით, საქართველოს წინააღმდეგ ომი დაიწყო. მიზანი ერთი იყო: თბილისის აღება და საქართველოს გასაბჭოება. მაგრამ რუსეთ-პოლონეთს შორის ომის დაწყებამ ეს პროცესი შეაჩერა. რუსეთმა ორ ფრონტზე ბრძოლას თავი აარიდა და დაეთანხმა საქართველოს მთავრობის წინადადებას სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყების შესახებ.

1920 წლის 7 მაისს რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება გაფორმდა. ხელშეკრულების პირველი მუხლით, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა ცნობდა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და ნებაყოფლობით უარს ამბობდა ქართველი ხალხის მიმართ რუსეთის ყველა სუვერენულ უფლებაზე; მეორე მუხლით, რუსეთი ვალდებულებას იღებდა არ ჩარეულიყო საქართველოს საშინაო საქმეებში. ორივე მხარე ვალდებულებას იღებდა, რათა არ დაეშვა საკუთარ ტერიტორიაზე მეორე მხარისადმი მტრულად განწყობილი ორგანიზაციებისა და შეიარაღებული ძალების მოქმედება. ხელშეკრულების საიდუმლო დამატებაში საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანიზაციებს ლეგალური მუშაობის უფლება ეძლეოდათ. 7 მაისის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ კომუნისტური ორგანიზაციები საქართველოში სწრაფად გამრავლდა და საბჭოთა რუსეთის მძლავრ აგენტურად იქცა. საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობისათვის ბრძოლა მათ აშკარად დაიწყეს.

ხელშეკრულების მთავარი ღირსება ის იყო, რომ მას დასავლეთის სახელმწიფოების მიერ საქართველოს რესპუბლიკის ცნობა უნდა დაეჩქარებინა. მოგვიანებით, 1921 წლის იანვარში საქართველოს რესპუბლიკა "დე იურე" გერმანიამ, ინგლისმა, საფრანგეთმა, ბელგიამ, იტალიამ, იაპონიამ, პოლონეთმა, ავსტრიამ, რუმინეთმა, ლუქსემბურგმა და მექსიკამ სცნეს. ამას უკვე დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან რუსეთ-პოლონეთის ომის დამთავრებისთანავე დასავლეთის დიდმა სახელმწიფოებმა კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა შეწყვიტეს. მათ რუსეთის გავლენის ზონიდან თავის შეიარაღებული ძალების გაყვანა დაიწყეს. ინგლისმა თავისი ჯარები საქართველოდანაც გაიყვანა. ბათუმის ოლქზე საქართველოს იურისდიქცია აღსდა.

თავი XXVIII

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა

საქართველოს დაპყრობა რუსეთის წითელი არმიის მიერ. მას შემდეგ, რაც 1920 წლის აპრილში აზერბაიჯანში, ხოლო ნოემბერში სომხეთში საბჭოთა ხელისუფლებები დამყარდა, საქართველო საბჭოთა რესპუბლიკების გარემოცვაში აღმოჩნდა. ამას ერთგვარი დისონანსი შეჰქონდა ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. რუსეთის კომპარტიის კავკასიის ბიურომ დღის წესრიგში საქართველოს გასაბჭოება დააყენა. საქართველოში შემოჭრის საბაბად საბჭოთა მთავრობამ ბოლშევიკების მიერ ლორეს ნეიტრალურ ზონაში ინსპირირებული აჯანყება გამოიყენა. აჯანყებულთა "დასახმარებლად" საომარ ოპერაციაში აზერბაიჯანის მხრიდან შემოსული მე-11 წითელი არმია ჩაება. სომხეთიდან შემოსულმა წითელარმიელებმა ხელთ იგდეს სადახლოს რაიონი და გეზი თბილისისაკენ აიღეს. საბჭოთა რუსეთის ჯარებმა საქართველოს სოჭიდან, მამისონისა და დარიალის უღელტეხილების მხრიდანაც შემოუტიეს. 13 თებერვალს რუსთა ჯარები წითელ ხიდს დაეუფლნენ, კახეთი დაიკავეს და თბილისს მოუახლოვდნენ. 14 თებერვალს ქვეყნის ახალ მთავარსარდლად გიორგი კვინიტაძე დაინიშნა. თბილისის დამცველებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს გაცილებით მრავალრიცხოვან მტერს. გმირულად იბრძოდნენ ქართველი გენერლები, ჯარისკაცები და იუნკრები. ერთკვირიან ბრძოლებში უპირატესობა საქართველოს შეიარაღებული ძალების მხარეს იყო, მაგრამ რუსთა მოქმედ ჯარს ახალი დივიზიები ემატებოდა, თბილისის დამცველი ქართული ჯარის რეზერვები კი

იწურებოდა. 25 თებერვალს რუსეთის მე-11 წითელი არმია თბილისში შემოვიდა. საქართველო საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადდა. ამის მიუხედავად, გორის მიდამოებში, სურამის ქედზე, ზემო იმერეთის ვიწრო ხეობებში ბრძოლები გრძელდებოდა. ლენინმა საჭიროდ მიიჩნია, საქართველოს მოსახლეობისა და ხელისუფლების მიმართ გარკვეულ დათმობაზე წასულიყო. ნოე ჟორდანიამ და მისმა თანამებრძოლებმა კომუნისტთა მარიონეტობაზე უარი თქვეს. თუმცა მთავრობამ საქართველოსათვის ერთ საჭირბოროტო საკითხთან დაკავშირებით რუსეთთან საუბარს თავი არ აარიდა. საქმე ისაა, რომ რუსეთ-საქართველოს ომის დროს თურქეთმა აჭარაში ჯარი შემოიყვანა. ბათუმის ოლქის კვლავ თურქეთის შემადგენლობაში მოქცევის საფრთხე შეიქმნა. რუსეთთან შეთანხმების გზით, წითელარმიელებმა და საქართველოს ჯარმა გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით თურქებს ერთობლივად შეუტია და აჭარა გაათავისუფლა. ამის შემდეგ ნოე ჟორდანიას მთავრობამ სრული უნდობლობა გამოუცხადა ოკუპანტებს, საქართველოს ტერიტორია დატოვა, საფრანგეთს შეაფარა თავი და ემიგრანტული მთავრობის სტატუსი მიიღო.

ამრიგად, კომუნისტურმა რუსეთმა დაარღვია რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება, საქართველოს წინააღმდეგ პირდაპირი აგრესია განახორციელა, დაამხო ქართველი ხალხის მიერ არჩეული ლეგიტიმური ხელისუფლება, მოახდინა საქართველოს ფაქტობრივი ანექსია და ძალდატანებითი გასაბჭოება.

გასაბჭოების პირველი წლები. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ხელისუფლება რევკომის ხელში გადავიდა, რომელიც ჯერ კიდე 1921 წლის 16 თებერვალს მოსკოვის მიერ იქნა დანიშნული. ხელისუფლების სხვა ორგანო – საქართველოს კომპარტია – რუსეთის კომპარტიის შემადგენელი ნაწილი იყო. თავის მოქმედებებში იგი მთლიანად პარტიის კავკასიის ბიუროზე იყო დამოკიდებული. სწორედ ეს ორგანო და მე-11 არმიის რევოლუციური-სამხედრო საბჭო წარმოადგენდა საქართველოს ფაქტობრივ ხელისუფლებას. უკვე 25 თებერვალს საქართველოს საგანგებო კომისია (ე.წ. «ЧК») შეიქმნა, რომელიც, უშუალოდ მოსკოვს ექვემდებარებოდა და რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს არავითარ ანგარიშს არ უწევდა. დემოკრატიული საქართველოს არმიისა და სახალხო გვარდიის დაშლის შემდეგ, წითელი არმია ჩამოყალიბდა. გაუქმებული სამინისტროების ნაცვლად სახალხო კომისარიატები შეიქმნა.

რევკომი საბჭოთა ხელისუფლებაზე გარდამავალი საფეხური იყო. 1922 წლის თებერვლის პირველ ნახევარში საქართველოში საბჭოები აირჩიეს. საბჭოების 380 დეპუტატიდან 272 კომუნისტი იყო.

საქართველოში ქვეყნის სახელმწიფო საზღვრების მოწყობის საკითხმა მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. ახალმა ხელისუფლებამ, კრემლის კარნახით, თურქეთს ქართული ტერიტორიის ნაწილი, კერძოდ, ყოფილი ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი (მაჭახელა, ბორჩხა, მაკრიალი), ართვინის და არდაგანის ოლქები გადასცა. თვითნებურად, ისტორიული სამართლიანობის სრული დარღვევით განხორციელდა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა შიდა საზღვრების გადასინჯვაც. სომხეთის საკუთრებაში საქართველოს კუთვნილი ლორეს რაიონი გადავიდა, აზერბაიჯანის – ზაქათალის ოლქი, გარეჯის ველი და ქვემო ყარაიაზის სექტორი, ელდარი. რსფსრ-ს აფხაზეთის ტერიტორიის ნაწილი მიეკუთვნა.

1921 წლის 21 მაისს საქართველოს ძირძველი მხარე – აფხაზეთი დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადდა. მოგვიანებით აფხაზეთსა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის სამხედრო, პოლიტიკური და ფინანსურ-ეკონომიკური ხელშეკრულება დაიდო. სექტემბრის დასაწყისში კი, საქართველოს კუთვნილ მიწა-წყალზე ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ დადგენილება იქნა მიღებულ. საბჭოთა ხელისუფლებამ შიდა ქართლისა და რაჭის ტერიტორიები "სამხრეთ ოსეთად" "მონათლა". ამ ყოვლად უკანონო "გადაწყვეტილების" შედეგებს დღეს განსაკუთრებული სიმწვავით ვიმკით. 16 ივლისის დეკრეტის თანახმად, ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი აჭარასაც მიენიჭა.

ეს პროცესი საბჭოთა კავშირის ფორმირებას დაემთხვა. მანამდე კი, ამიერკავკასიის ფედერაცია შეიქმნა. ამრიგად, საქართველო ისევე, როგორც სომხეთი და აზერბაიჯანი ორმაგ დაქვემდებარებაში მოექცა. ამ მოვლენებთან დაკავშირებით, 1922 წლის 22 ოქტომბერს საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი შემადგენლობა ე.წ. "ნაციონალ უკლონისტები" გადადგნენ. ისინი ვერას გახდნენ კავბიუროსთან ჭიდილში, რომლის ტაქტიკის სულისჩამდგმელი სერგო ორჯონიკიძე იყო. მას ზურგს რუსეთის კომპარტიის ცეკა უმაგრებდა. "ნაციონალ უკლონისტები" გონივრულ და დემოკრატიულ პოზიციებზე სხვა საკითხებშიც იდგნენ.

საქართველოს რევკომმა ამინისტიის შესახებ ჯერ კიდევ 1921 წლის 25 თებერვალს მიღებული დეკრეტით სცადა ანტისაბჭოთა პარტიების "შემორიგება", თუმცა სულ მალე მათთან ბრძოლის გზას დაადგა. მოგვიანებით, 1923 წელს

არაკომუნისტური პარტიების ე.წ. “თვითლიკვიდაცია” განხორციელდა. ეს იყო ხელისუფლების მიერ ორგანიზებული კამპანია, რომელმაც მთელი საბჭოთა კავშირი მოიცვა. თავად პარტიების ბირთვი თავს ლიკვიდირებულად არ ცნობდა. მიუხედავად ამისა, ამ კამპანიის დროს ე.წ. “ანტისაბჭოთა პარტიებს” ძალიან ბევრი ადამიანი ჩამოშორდა.

არაკომუნისტური პარტიები საქართველოს გასაბჭოებისა და ახალი ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულების საკითხში ორ ნაწილად გაიყო. ამ ნიადაგზე განხეთქილება პარტიებს შიგნითაც განხორციელდა. სოციალ-დემოკრატებმა, ეროვნულ-დემოკრატებმა, სოციალისტ-ფედერალისტებმა და სოციალისტ-რევოლუციონერთა “მემარჯვენე” ნაწილმა, სპეციალურად მოწვეულ თავყრილობებზე საბჭოთა ხელისუფლებისადმი აშკარა შეურიგებლობა გამოხატა, თუმცა ქვეყნის კულტურულ-საადმშენებლო საქმიანობაში მონაწილეობა არ გამორიცხა. სოციალისტ-ფედერალისტთა და სოციალისტ-რევოლუციონერთა მეორე – “მემარცხენე” ფრთამ, “მაშვრალთა კავშირმა” და “სხიველებმა”, რომლებიც სოციალ-დემოკრატიულ პარტიას გამოეყვნენ, საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გზა არჩიეს. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებმა საბჭოთა არჩევნებშიც მიიღეს მონაწილეობა. ამასთანავე, უკლებლივ ყველა პარტიის ერთ-ერთ ძირითად მიზნად კვლავ საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის დაცვა რჩებოდა.

არაკომუნისტური პარტიები ლეგალური და არალეგალური საშუალებებით კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ ახალი ხელისუფლების ანტიეროვნულ და დიქტატორულ პოლიტიკას. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელიც კვლავ ყველაზე მრავალრიცხოვან და გავლენიან პოლიტიკურ ძალად რჩებოდა, საქართველოში თავისუფალი არჩევნების ჩატარების მოთხოვნა წამოაყენა. მაგრამ თავიდანვე გამოიკვეთა და დროთა ვითარებაში კიდევ უფრო მეტად გაცხადდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება არანაირ დათმობაზე წასვლას არ აპირებდა.

გასაბჭოების პირველსავე წლებში საქართველოში ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლა დაიწყო. 1921 წლის შემოდგომაზე სვანეთის მოსახლეობა აჯანყდა. ეს წინააღმდეგობა მომდევნო წლის გაზაფხულზე იქნა ჩახშობილი. 1922 წლის აპრილ-მაისში გენუაში საერთაშორისო კონფერენცია მიმდინარეობდა. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ სპეციალური მემორანდუმი გაუგზავნა კონფერენციას და საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიქცევა სცადა. ამ ფაქტს ამბროსი ხელაიას

დაპატიმრება მოჰყვა. ერთი წლის შემდეგ, 1923 წლის გაზაფხულზე, კათალიკოს-პატრიარქის დასაფლავება მძლავრ ანტისაბჭოთა დემონსტრაციად იქცა.

პატრიოტული ძალების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. 1922 წლის სექტემბრის დამდეგს აჯანყდა კახეთი და ხევსურეთი, საპასუხოდ ხელისუფლებამ დამსჯელი ჯარი გამოაგზავნა და სოფლების აოხრება დაიწყო. რეპრესიებიც გაძლიერდა. მიუხედავად ამისა, საყოველთაო აჯანყების მოსამზადებლად ანტისაბჭოთა ძალებს ძალისხმევა არ შეუჩერებიათ. ამ მიზნით 1922 წელს "დამოუკიდებლობის კომიტეტი" შეიქმნა, რომელსაც მთელი მუშაობის კოორდინირება დაევალა. აჯანყების სამხედრო მომზადებისთვის "სამხედრო ცენტრი" შეიქმნა. გატარდა ღონისძიებები კავკასიის ხალხების ერთდროული საპროტესტო გამოსვლისათვის. აჯანყებისათვის ქართული ემიგრაციაც ემზადებოდა. შეთქმულთა დასახმარებლად საქართველოს ყოფილი მთავრობის რამოდენიმე წევრი ჩამოვიდა. აჯანყების დღედ ჯერ 1924 წლის 17, შემდეგ 29 აგვისტო დაინიშნა. ამასობაში აჯანყების ამბავი გამჟღავნდა. თბილისსა და ბათუმში რეპრესიები დაიწყო. დააპატიმრეს არალეგალური ორგანიზაციების მრავალი წევრი. 12 აგვისტოს ვალიკო ჯუღელმა საპატიმროდან შემოთვალა, რომ აჯანყება გამჟღავნებულია და მის დაწყებას აზრი აღარ აქვსო. აჯანყების ხელმძღვანელებმა ეს ცნობა ყურად არ იღეს. ვერ მოხერხდა კავკასიის რესპუბლიკებთან ერთდროული გამოსვლის ორგანიზებაც. კოორდინაციის სისუსტის გამო ჭიათურაში აჯანყება 28 აგვისტოს, ანუ დათქმულზე ერთი დღით ადრე დაიწყო. ამან მთავრობას ხელები გაუხსნა, რომ უსასტიკესი რეპრესიები დაეწყო.

29 აგვისტოს აჯანყდა კახეთი, გურია, სამეგრელო, იმერეთი. სვანეთში თავმოყრილმა ძალებმა ქუთაისის აღებაც კი სცადა, მაგრამ უშედეგოდ. ქაქუცა ჩოლოყაშვილის "შეფიცულთა რაზმმა" დუშეთი დაიკავა, მაგრამ თბილისზე შეტევა ვერ განახორციელა.

აჯანყების დამარცხებას ქვეყნის მთელი მასშტაბით სასტიკი რეპრესიები მოჰყვა. მარტო სამეგრელოში 451 კაცი დახვრიტეს, ჭიათურაში ვაგონებში გამომწყვდეული 95 კაცი ჩაცხრილეს. სერგო ორჯონიკიძემ ერთ-ერთ პარტიულ თავყრილობაზე განაცხადა, რომ 1924 წლის აჯანყებას 980 კაცი შეეწირა.

XX საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიები. 1924 წლის აჯანყების მარცხმა ხელისუფლებასთან შეიარაღებული დაპირისპირების უპერსპექტივობა აშკარად ცხადჰყო. ამიტომ თითქმის ყველა პოლიტიკურმა ძალამ, პატრიოტულად განწყობილმა ინტელიგენციამ მშვიდობიანი ბრძოლის ტაქტიკა აირჩია. თუმცა ამას

ქვეყანაში მშვიდობის დამყარება არ მოჰყოლია. მთელ კავშირსა და საქართველოშიც "მემარცხენე ტროცკისტულ" და "მემარჯვენე" ოპოზიციასთან ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო. კომპარტიაში მიმდინარე დაპირისპირება საზოგადოების ცხოვრებაზე უარყოფითად აისახა. კიდევ უფრო გამკაცრდა დამოკიდებულება ინტელიგენციის მიმართ. ნაციონალიზმსა და ანტიმარქსიზმში დადანაშაულებას ამჯერად პოლიტიკური იარლიყებიც დაემატა.

XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან საბჭოთა ქვეყანაში ეკონომიკის მშენებლობა დაიწყო, რაც ქვეყნის "ინდუსტრიალიზაციისა" და სოფლის მეურნეობის „კოლექტივიზაციის" გზით უნდა განხორციელებულიყო. ამ რთულ გზაზე ხელისუფლება ებრძოდა ყველას, ვისაც ნამდვილ თუ სავარაუდო ხელისშემშლელად მიიჩნევდა. მკაცრი ზომები გატარდა მეტნაკლებად შეძლებული გლეხობის, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა, ყველა სხვა კატეგორიის ადამიანთა წინააღმდეგ. რეპრესიებმა ათეული ათასი ადამიანი იმსხვერპლა.

მილიონობით ადამიანის თავდადებულმა შრომამ 30-იანი წლების მეორე ნახევრისათვის პირველი ეკონომიკური წარმატებები უზრუნველყო. ეს 1936 წელს მიღებულმა კონსტიტუციამ დაადასტურა, რომელიც ამავე დროს აცხადებდა, რომ ადამიანები, ძველი კლასების წარმომადგენლებიც კი, შემობრუნდნენ საბჭოთა ხელისუფლის მხარეს, ურთიერთუნდობლობა შეცვალა ნდობამ, შესაბამისად დააკანონა, იმ დროისათვის, უპრეცენდენტოდ დემოკრატიული საარჩევო სისტემა. უმნიშვნელოვანესი იყო ამ კანონის ძალით ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმებაც. ამიერიდან საქართველო სსრკ-ს შემადგენლობაში მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსით შევიდა. უფრო ადრე, 1931 წელს აფხაზეთის საბჭოთა რესპუბლიკა საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკად გადაკეთდა.

ამის შემდეგ მოვლენები სრულიად საპირისპიროდ განვითარდა – მთელ კავშირსა და საქართველოში უსასტიკესი რეპრესიები დაიწყო. საბჭოთა რეჟიმი რეპრესიებს მიზნის მიღწევის ადვილ საშუალებად მიიჩნევდა და მას ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან მიმართავდა. 1937 წელს ამ მეთოდის გამოყენებამ პიკს მაღწია. არასრული მონაცემებით, ამ დროს საქართველოში 12 ათასი კაცი დაისაჯა. რეპრესიების გაჩაღებაში დიდი როლი შეასრულა საბჭოთა ქვეყნის რთულმა საგარეო-პოლიტიკურმა მდგომარეობამ, რასაც თან დაერთო საბჭოური სოციალიზმის მანკიერებიდან გამომდინარე ობიექტური ნაკლოვანებები ცხოვრების სხვადასხვა, განსაკუთრებით ეკონომიკის სფეროში. ომის მოლოდინში ხელისუფლებამ იმგვარი საზოგადოების შექმნა განიზრახა,

რომელშიც არა თუ მტრული ან ოპოზიციური, არამედ რამდენადმე უკმაყოფილო, პირადი დამსახურების მქონე ძალებიც კი არ დარჩებოდა. ამიტომ დამსჯელი ღონისძიებები სხვადასხვა კატეგორიის ადამიანებზე გავრცელდა.

ამავე პერიოდში არსებითად შეიცვალა ხელისუფლების დამოკიდებულება იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ხალხების ეროვნული ღირებულებების მიმართ, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება. დიდი ქართველი ისტორიკოსების: ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის მიერ დაიწერა საქართველოს ისტორიის ახალი სასკოლო სახელმძღვანელო. შეიცვალა დამოკიდებულება ისტორიული მოღვაწეებისადმი. დიდი ზეიმით აღინიშნა შოთა რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის იუბილეები. გაძლიერდა ყურადღება ეროვნული კულტურის დარგებისადმი. დიდი აღმავლობით ჩატარდა და მაღალი სამთავრობო ჯილდოებით დაგვირგვინდა ქართული კულტურის დეკადა მოსკოვში.

მეორე მსოფლიო ომი და საქართველო. 1939 წლის შემოდგომაზე II მსოფლიო ომი დაიწყო, რომელშიც მალე ათეულობით სახელმწიფო აღმოჩნდა ჩათრეული. 1941 წლის 22 ივნისს გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. საქართველოს 3 მილიონიანმა რესპუბლიკამ 1941-1944 წლებში ფრონტზე 700 ათასამდე მეომარი გაგზავნა, რომელთა ნახევარი უკან აღარ დაბრუნებულა. ამას გარდა, ქვეყანა წარმატებით ართმევდა თავს ყველა ამოცანას, რასაც საომარი მდგომარეობა ზურგის რესპუბლიკის წინაშე აყენებდა. ფრონტისა და თავდაცვის ამოცანებს წარმატებით ემსახურებოდნენ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანები, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის სხვა სფეროების წარმომადგენლები.

ქართველი მეომრები ფრონტის ყველა უბანზე იბრძოდნენ, მაგრამ განსაკუთრებული იყო მათი თავგანწირვა ქერჩისა და ყირიმის ნახევარკუნძულზე, სადაც 70 ათასზე მეტი ქართველი დაიღუპა. ქართველმა მეომრებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს კავკასიის დაცვაში. მათ თავი ისახელეს უკრაინის, ბელორუსიის, ყირიმის ტერიტორიებზე მოქმედ პარტიზანულ რაზმებში.

არაერთმა ქართველმა მეომარმა გაითქვა სახელი ევროპის ქვეყნების წინააღმდეგობის მოძრაობაში. მათ შორის: საფრანგეთში – ოთარ იშხნელმა, დიმიტრი ამილახვარმა, ივანე დანგაშვილმა; იტალიაში – ფორე მოსულიშვილმა, ნოე კუბლაშვილმა და სხვ; ჰოლანდიაში, კუნძულ ტექსელზე ქართველ ტყვეთა აჯანყებას 528 ქართველის სიცოცხლე შეეწირა. ქართველმა ხალხმა ფაშიზმზე გამარჯვებაში ღირსეული წვლილი შეიტანა.

სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, საბჭოთა კავშირი ომიდან მნიშვნელოვნად გაძლიერებული და განმტკიცებული გამოვიდა. საბჭოთა ქვეყანა ჭრილობების მოშუშებასა და აღმშენებლობას შეუდგა. მიუხედავად რიგი სიძნელეებისა, მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული დონე მნიშვნელოვნად ამაღლდა, ადამიანებს უკეთესი მომავლის იმედი ჩაესახათ, მაგრამ ეს ამაღლებული განწყობა რეპრესიების ახალმა ტალღამ გაანელა. მკაცრი ზომები გატარდა ტყვეობაგამოვლილი პირების მიმართ. ხელისუფლებამ ერთი ნაწილი გადაასახლა, დანარჩენის მიმართ კი მკაცრი ზედამხედველობა დააწესა.

მძიმე იყო საქართველოსათვის 1951 წლის 25 დეკემბერიც, როდესაც სრულიად მოულოდნელად და გაუფრთხილებლად, უცხოეთთან რაიმე კავშირის მქონე ათასობით ოჯახი შუა აზიაში გადაასახლეს. ამავე ხანებში კიდევ ერთი, სრულიად გაუგებარი რეპრესია განხორციელდა: პარტიულ ელიტაში შემავალი, მეგრული კუთხის წარმოშობის პიროვნებათა ერთი ჯგუფი საქართველოს თურქეთთან მიერთების მომზადების აბსურდული ბრალდებით დააპატიმრეს.

საქართველო 50-80-იან წლებში. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისი. 1953 წლის 5 მარტს იოსებ სტალინი გარდაიცვალა. ხელისუფლებისათვის ბრძოლაში გამარჯვებული ნიკიტა ხრუშჩოვი გამოვიდა. მან დაგმო წინა მმართველობის დიქტატორული ხასიათი და რეპრესირებულთა მნიშვნელოვანი ნაწილის რეაბილიტაცია მოახდინა. სხვა რესპუბლიკებთან ერთად საქართველომაც იგრძნო ამ მოვლენის დადებითი შედეგები. ქართველებს დაუბრუნდათ მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, სანდრო ახმეტელის, ევგენი მიქელაძისა და სხვა რეპრესირებულ ხელოვანთა თუ მეცნიერთა სახელები. ათასობით ოჯახმა "ხალხის მტრის", "მავნებლის" და სხვა მძიმე იარლიყი მოიცილა.

მაგრამ დემოკრატიის გამოცოცხლების ნიშნები ეროვნულ საკითხზე არ გავრცელებულა. ახალმა ლიდერმა ცვლილებების პოლიტიკა სტალინის კულტის კრიტიკით დაიწყო. სამწუხაროდ, "პიროვნების კულტის" დაგმობას სტალინის სამშობლოსა და ქართველი ხალხის მიმართ შეურაცხმყოფელი გამოხდომები მოჰყვა, რასაც ქართველმა ხალხმა, განსაკუთრებით, ახალგაზრდობამ, პროტესტით უპასუხა. 1956 წლის 5-9 მარტს თბილისში სტალინის სახელობის სანაპიროზე გრანდიოზული პერმანენტული მიტინგები გაიმართა. თავდაპირველი მიზანი გალანძღული დიდი თანამემამულისათვის პატივის მიგება იყო, მაგრამ თანდათან შეკრების პათოსმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათი შეიძინა. საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გასვლის მოთხოვნის საკითხიც დაისვა.

ვითარება დაიძაბა. მოძრაობა მთელ საქართველოს მოედო. დედაქალაქისკენ სხვადასხვა კუთხეებიდან მოსახლეობა დაიძრა. ხელისუფლებამ მშვიდობიან მომიტინგეებს საბჭოთა არმიის ნაწილები დაუპირისპირა. 150-ზე მეტი ადამიანი სიცოცხლეს გამოასალმეს. ამ ტრაგედიას ნოვოჩერკასკის, პოლონეთის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის მოვლენები მოჰყვა.

1956 წლის 9 მარტმა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ ეტაპს დაუდო საფუძველი. ამის შემდეგ ანტიიმპერიული ეროვნული მოძრაობა საქართველოში აღარ შეწყვეტილა.

"უძრაობის" წლები. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ტალღა. 1964 წლის ოქტომბერში ნიკიტა ხრუშჩოვი ლეონიდ ბრეჟნევმა შეცვალა. ქვეყანაში "დათბობის" პერიოდი "უძრაობის" პერიოდით შეიცვალა. საბჭოთა იმპერია წარმოუდგენელმა განუკითხაობამ მოიცვა. ქვეყნის ხელმძღვანელობა ეროვნული პრობლემისადმი რეაქციულ დამოკიდებულებას იჩენდა, რაც ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობას განსაკუთრებით აძლიერებდა.

საქართველოში თავისებური ვითარება შეიქმნა. ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ავტონომიურ ერთეულებში კრემლის მიერ ანტიქართული სეპარატისტული მოძრაობები იქნა ინსპირირებული.

ერის ინტელექტუალური ნაწილი თავისუფლებისათვის ბრძოლის აქტიური მზადების პოზიციაზე დადგა. მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ საბჭოთა იმპერია აშკარა კრიზისის ფაზაში იმყოფებოდა და მალე დაინგრეოდა.

რადიკალურად განწყობილმა ახალგაზრდებმა, რომელთა სათავეში მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია იყვნენ, არალეგალური ჟურნალები: "ოქროს საწმისი", "საქართველოს მოამბე", "საქართველო", "მატიანე" დაარსეს. ისინი არალეგალური პრესის ფურცლებზე გმობდნენ კომუნისტურ იდეოლოგიასა და მის ფუნქციონერებს, საუბრობდნენ ეროვნულ იდეალებზე. XX საუკუნის 70-იან წლებში მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია არაერთგზის დააპატიმრეს და გადაასახლეს.

XX საუკუნის 70-იან წლებში სსრ კავშირი ჰელსინკის შეთანხმებას შეუერთდა, რასაც ერთის მხრივ, ერთგვარი ლიბერალიზაცია, ხოლო მეორეს მხრივ, ეროვნულ ღირებულებებზე მორიგი შეტევა მოჰყვა. საპასუხო რეაქციამ არ დააყოვნა: საქართველოში პირველი არაფორმალური ორგანიზაციები – "ჰელსინკის კავშირი" და "ილია ჭავჭავაძის საზოგადოება" დაარსდა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ახალი ძალით 1978 წელს იფეთქა, როდესაც საქათველოში ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა

დაიწყო. საქმე ეხებოდა ქართული ენის სახელმწიფოებრივ სტატუსს, რომელიც ახალი კონსტიტუციის პროექტში სრულიად უგულვებელყოფილი აღმოჩნდა. ბუნებრივია, რომ მშობლიური ენისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ ქართველი ხალხის მღელვარება გამოიწვია. 1978 წლის 12 აპრილიდან გრანდიოზული დემონსტრაციები დაიწყო თბილისში. რუსთაველის გამზირზე ახალგაზრდებმა "მჯდომარე გაფიცვა" მოაწყვეს. 14 აპრილს მანიფესტანტთა დიდი ჯგუფი გარს შემოერტყა საქართველოს მთავრობის სასახლეს და კატეგორიულად გამოაცხადა, რომ სისხლით დაიცავდა მშობლიური ენის სახელმწიფოებრივ სტატუსს. საკავშირო მთავრობა იძულებული შეიქმნა დათმობაზე წასულიყო. საბჭოთა კავშირის ისტორიაში ეს პირველი ეროვნული გამოსვლა იყო, რომელიც ხალხის გამარჯვებით დასრულდა.

კრემლმა საპასუხო რეაქცია არ დააყოვნა და აფხაზეთში ანტიქართული მოძრაობა წააქეზა. საჩქაროდ ორგანიზებულ თავყრილობაზე, აფხაზებმა საქართველოდან გამოყოფა და რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლა მოითხოვეს. რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მდგომარეობის განმუხტვა დიდი ძალისხმევითა და დათმობებით მოახერხა. სამწუხაროდ, იმჯერად დაშვებული დათმობები მომავალში უფრო დიდი გართულებების საფუძველი გახდა.

თავი XXIX
საქართველოს III რესპუბლიკა

"გარდაქმნის" ეპოქა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა. 1985 წელს საბჭოთა იმპერიის სათავეში შედარებით ახალგაზრდა და ლიბერალურად განწყობილი ლიდერი მიხეილ გორბაჩოვი მოვიდა. სოციალისტური სისტემის კრიზისიდან გამოყვანა მან დემოკრატიის გაფართოებით სცადა. 1986 წელს გორბაჩოვმა საბჭოური ფედერაციის სრულყოფის საკითხიც დააყენა. მაგრამ მიღებულმა ზომებმა შედეგი ვეღარ გამოიღო. დაიწყო სსრ კავშირის დაშლის შეუქცევადი პროცესი. საბჭოთა რესპუბლიკებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაჩაღდა. ბრძოლის ავანგარდში საქართველო აღმოჩნდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის საშიშროებამ ხელისუფლებას ახალი რეაქციული ნაბიჯების გადადგმისაკენ უბიძგა. 1988 წლის ნოემბერში სსრკ

კონსტიტუციის დამატებებისა და შესწორებების პროექტი გამოქვეყნდა, რომელიც ფაქტობრივად კრძალავდა რესპუბლიკების თვითგამორკვევის უფლებას. ამ ფაქტმა საქართველოში საერთო აღშფოთება გამოიწვია. 1988 წლის 12 ნოემბერს თბილისში მასობრივი მიტინგი დაიწყო, რასაც შიმშილობის აქციაც მოჰყვა. მართალია, საკავშირო ხელისუფლება იძულებული გახდა უარი ეთქვა კონსტიტუციაში დიდმპყრობელურ-შოვინისტური კორექტივების შეტანაზე, მაგრამ საქართველოში მიმდინარე პროცესებზე ცენტრის საპასუხო რეაქციამ არც ამჯერად დააყოვნა. 1989 წლის მარტში სოფელ ლიხნში ჩატარებულმა აფხაზთა რამდენიმე ათასიანმა თავყრილობამ მიმართვა მიიღო, რომელშიც აფხაზთა ისტორია და ქართულ-აფხაზური ურთიერთობანი სრულიად ყალბად იყო წარმოდგენილი. აფხაზეთმა დამოუკიდებლობა კვლავ მოითხოვა. ამავე ხანებში ოსი სეპარატისტებიც გააქტიურდნენ. ამგვარი ანტიქართული მოძრაობის საპასუხოდ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებმა 1989 წლის 4 აპრილიდან გრანდიოზული მიტინგი-დემონსტრაცია გამართეს, უფრო მეტიც, საქართველოს სრული დამოუკიდებლობა და რესპუბლიკიდან რუსული საოკუპაციო ჯარების გაყვანა მოითხოვეს. ცენტრის რეაქციამ არ დააყოვნა. საქართველოში სპეციალური დამსჯელი რაზმები შემოიყვანეს. 1989 წლის 9 აპრილის განთიადი ტრაგიკული შდეგებით დასრულდა. ამ ვანდალურმა აქტმა 19 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, რომელთა შორის უმრავლესობა ქალები და ბავშვები იყვნენ. ქიმიური გაზით მოწამლულთა რაოდენობამ 2 ათასს გადააჭარბა.

9 აპრილის ტრაგედიამ მსოფლიო საზოგადოების საყოველთაო პროტესტი გამოიწვა. საბჭოთა მთავრობის საერთაშორისო პრესტიჟი მინიმუმამდე დაეცა. საქართველოს კომპარტია და მთავრობა იძულებული გახდა მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნები დაენიშნა. არჩევნებში გაიმარჯვა ზვიად გამსახურდიას მიერ დაფუძნებულმა საარჩევნო ბლოკმა "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო". მან უზენაეს საბჭოში დეპუტატთა მანდატების 62 პროცენტი მიიღო, ხოლო კომპარტიამ არაუმეტეს 26 პროცენტისა.

ეროვნული მოძრაობის ნაწილმა არჩევნებს უნდობლობა და ბოიკოტი გამოუცხადა. გაი ჭანტურიამ, ირაკლი წერეთელმა და მოძრაობის სხვა ლიდერებმა სახალხო კონგრესის არჩევნების ჩატარება მოითხოვეს. ისინი ვარაუდობდნენ, რომ ეს ორგანო საქართველოს დეოკუპაციასა და დეკოლონიზაციას მშვიდობიანი საშუალებებით შეძლებდა. დიდი წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ სახალხო კონგრესის არჩევნებიც ჩატარდა. შეიქმნა პარლამენტგარეშე ოპოზიცია. მხარეებმა სცადეს შეთანხმება, მაგრამ უშედეგოდ. ერის გამთლიანება ვერ მოხერხდა.

1991 წლის 31 მარტს ჩატარებულ რეფერენდუმზე საქართველოს მოსახლეობის 97 პროცენტმა საქართველოს დამოუკიდებლობას მისცა ხმა. 9 აპრილს უზენაესმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია გამოაქვეყნა. მალე ზვიად გამსახურდია ხმების 93 პროცენტით საქართველოს პრეზიდენტად იქნა არჩეული.

ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენა და დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირება. საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა წარმატებით დაიწყო, მაგრამ პოლიტიკურ ძალებს შორის საერთო ენა ვერ გამოინახა. "მრგვალი მაგიდის" პარტიათა ერთიანობის შენარჩუნებაც ვერ მოხერხდა. თენგიზ სიგუამ მთავრობის თავმჯდომარის პოსტი დატოვა. პროტესტის ნიშნად ოპოზიციაში აღმოჩნდა გვარდიის სარდალი თენგიზ კიტოვანიც. 1991 წლის 22 დეკემბერს ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყო. მთავრობის სასახლეში გამაგრებულ პრეზიდენტ ზვიად გამასახურდიას ზუგდიდის ბატალიონი და მოხალისეთა რაზმი იცავდა. პრეზიდენტსა და მის მომხრეებს ეროვნული გვარდია (კიტოვანის მეთაურობით) და „მერაბ კოსტავას საზოგადოება" დაუპირისპირდა. მას შემდეგ, რაც ბრძოლაში ჯაბა იოსელიანი და "მხედრიონი" ჩაერთო, გამარჯვების სასწორი ოპოზიციის მხარეს გადაიხარა.

1992 წლის 6 იავარს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დატოვა მთავრობის სასახლე და საქართველო. მან თავი ჩეჩნეთს შეაფარა. ოპოზიციამ "სამხედრო საბჭო" შექმნა, რომელსაც სათავეში სამეული – თენგიზ სიგუა, თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი – ჩაუდგა. სიტუაცია საქართველოში დამძიმდა. მოკლე დროში საქრთველოს ეკონომიკა მოიშალა. გაძლიერდა ბანდიტიზმი და მაფიოზური კლანების თარეში. ვითარება ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში დღითიდღე მწვავდებოდა... გადაწყდა, რომ დახმარებისათვის იმ დროს მოსკოვში მყოფი დასავლეთსა და აშშ-ში აღიარებული სახელმწიფო მოღვაწისათვის – ედუარდ შევარდნაძისათვის მიემართათ.

1992 წლის 7 მარტს ედუარდ შევარდნაძე თბილისში ჩამოვიდა. სამხედრო საბჭო სახელმწიფო საბჭოდ გადაკეთდა და ახალი წევრებით შეივსო. 11 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის არჩევნები ჩატარდა. შეიქმნა მრავალპარტიული პარლამენტი და მის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა. ხელისუფლება კვლავ ლეგიტიმური გახდა, რამაც საქართველოს საერთაშორისო აღიარება, მისი "დე იურე" ცნობა მნიშვნელოვნად გააადვილა. ზვიად გამსახურდიას მიმდევრებმა ახალი ხელისუფლება უკანონოდ გამოაცხადეს და მის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი გეგმაც შეიმუშავეს.

საქართველოს რეგიონებში სეპარატისტული მოძრაობა უფრო და უფრო გაღრმავდა. 1992 წლის 14 აგვისტოს დასავლეთ საქართველოს სატრანსპორტო მაგისტრალის დაცვის მიზნით გაგზავნილი სამხედრო ნაწილი, აფხაზეთის რეგიონში ომში ჩაბმული აღმოჩნდა. დაიწყო ძმათამკვლელი დაპირისპირება. აფხაზმა სეპარატისტებმა ქვეყნის გარედან მოწვეული დაქირავებულ მკვლელთა რაზმებისა და რუსეთის დიდი დახმარებით გამარჯვებას მიაღწიეს. 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა.

საქართველოს 300 ათასამდე მოქალაქე იძულებული გახდა დაეტოვებინა მამაპაპათა ტერიტორია. აფხაზეთში ქართველების უპრეცენდენტო გენოციდი განხორციელდა. აფხაზეთი – საქართველოს ძირძველი მხარე „დე-ფაქტო" დამოუკიდებელი გახდა. იგივე ბედი ეწია ცხინვალის რეგიონსაც.

ზვიად გამსახურდია ჩეჩნეთიდან საქართველოში დაბრუნდა. 1993 წლის ოქტომბრის პირველ ნახევარში ექსპრეზიდენტმა და მისმა მომხრეებმა დაიკავეს მთელი სამეგრელო, ფოთი, სუფსა, ლანჩხუთი, ოზურგეთი, სამტრედია და გეზი ქუთაისისაკენ აიღეს. ედუარდ შევარდნაძემ სათანადო ზომები მიიღო და შეტევის მოსაგერიებლად მოემზადა. გამსახურდიას ჯარში პანიკა და დემორალიზაცია დაიწყო. 25 ოქტომბერს გამოქვეყნდა ედუარდ შევარდნაძის მოწოდება შინაომის შეწყვეტისა და შერიგების შესახებ. სამოქალაქო ომი არსებითად დასრულდა. 1993 წლის 30 დეკემბერს ზვიად გამსახურდიამ სიცოცხლე ტრაგიკულად დაასრულა.

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა ახალი კონსტიტუცია მიიღო. სახელმწიფოს ტერიტორია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით განისაზღვრა, რაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპის აღიარების დაკანონებას ნიშნავდა. კონსტიტუციის მიხედვით, ქვეყანაში საპრეზიდენტო მმართველობა დამყარდა. 1995 წელს ქვეყნის პრეზიდენტად ედუარდ შევარდნაძე იქნა არჩეული.

90-იან წლებში საქართველო რამდენიმე საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციის წევრი ან მონაწილე გახდა. 1992 წლის ივლისში იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაწევრიანდა. იმავე წელს ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს წევრი გახდა. 1994 წელს ჩრდილო-ატლანტიკური კავშირის (ნატო-ს) პროგრამას "პარტნიორობა მშვიდობისათვის" ხელი მოეწერა. 1993 წლის დეკემბერში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) შევიდა. 1999 წელს საქართველო ევროპის საბჭოს სრულუფლებიანი წევრი გახდა. გაერთიანდა მსოფლიო სავაჭრო და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაში (ეუთო), ასევე

ორგანიზაციებში: შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა (ბისეკი), ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი (ტრასეკა), დიდი აბრეშუმის გზა და ა.შ. უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ევროპის საბჭოს 1999 წლის სტამბულის სამიტის გადაწყვეტილება: ვაზიანიდან, ბათუმიდან და ახალქალაქიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ.

ასე მიიწურა XX საუკუნის მშფოთვარე, პოლიტიკური კატაკლიზმებით აღსავსე 90-იანი წლები. XXI საუკუნეს საქართველო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დიდი გარდაქმნების იმედით შეხვდა.

თავი XXX

ქართული კულტურა

§ 1. რელიგია

წარმართობა. უძველეს ხანაში ცალკეულ ქართველურ ტომებსა თუ თემებს თავიანთი მფარველი ღვთაებები ჰყავდათ. ისინი აღმერთებდნენ ბუნების ძალებს, საგნებს, მოვლენებს. მაშინდელი ადამიანების წარმოდგენით, ეს ღვთაებები აღჭურვილნი იყვნენ ზებუნებრივი ძალითა და თვისებებით – ისინი ამყარებდნენ წესრიგს ბუნებასა და საზოგადოებაში, შეეძლოთ სიცოცხლის განახლება და აღორძინება. მათ პატივსაცემად რელიგიური რიტუალები და ცერემონიები იმართებოდა. ერთ-ერთი ასეთი რიტუალური სცენა თრიალეთის ვერცხლის თასზეა გამოსახული (ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანები). ასეთივე გამოსახულებებს არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებულ სხვა ნივთებსა და იარაღებზეც ვხვდებით. ზოგი ამ რელიგიური რიტუალიდან ხალხურ ყოფასა და ტრადიციებშია შემორჩენილი. უკანასკნელ დრომდე საქართველოში იმართება სახალხო წარმოდგენები, დღესასწაულები, დღეობები – ბერიკაობა (ყეენობა), ხატობები, რაც ამ უძველესი რელიგიური რიტუალების სახეშეცვლილ გადმონაშთებს წარმოადგენს. უძველესი რელიგიური წარმოდგენები ძველ ქართულ მითებსა და ზღაპრებშიცაა შემორჩენილი.

ქართველ ტომთა სახელმწიფოებრივი გაერთიანებების წარმოქმნასთან ერთად ხდება მათი რელიგიური წარმოდგენების დაახლოება-შერწყმა, ცალკეულ ღვთაებებს შორის გარკვეული წესრიგის დამყარება. განვითარების გარკვეულ

ეტაპზე საქართველოში ასტრალური კულტები, ციურ მნათობთა თაყვანისცემა (ბერძნულად aster – ვარსკვლავს ნიშნავს) წარმოიშვა.

ასტრალური კულტების აღმოცენებას ხელს უწყობდა მიწათმოქმედების განვითარება. ქართველებმა დაიწყეს ციურ მოვლენებზე დაკვირვება, რომელთა მიხედვით მდინარეების ადიდების დროსა და ხანგრძლივობას ადგენდნენ.

საქართველოში უძველესი დროიდან დამკვიდრდა დიდი დედის – ნანას კულტი. განვითარების ასტრალურ საფეხურზე მან მზის ღვთაების სახე მიიღო, რომელსაც „ქარბარბალი" ეწოდებოდა. განვითარების შემდგომ საფეხურზე, მეცხოველეობის წინსვლასთან ერთად, ქართულ ასტრალურ პანთეონში პირველ ადგილზე მთვარის ღვთაება გადადის. სიტყვა „ღმერთს" აკავშირებენ „ღამ"-ესთან, როგორც მთვარის მოძრაობის ასპარეზთან. ქართველ ტომებს მთვარე მეომარი მამაკაცის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი. მის წმინდა ცხოველად ხარი ითვლებოდა, ამიტომ მას ხშირად ხარს სწირავდნენ. ხარის რქები ნახევარმთვარის ფორმისაა. ამიტომ ძველ საკულტო შენობებში, ასევე ჩვეულებრივ საცხოვრებელ სახლებშიც, ხშირად ხარის რქების გამოსახულებებს ანდა თვითონ ხარის თავებს ვხვდებით. ხარის კულტის ასეთი გავრცელება საქართველოში მიწათმოქმედების განვითარების შედეგი იყო. ხარი-მხვნელი მიწათმოქმედებას განასახიერებდა, ხარი-მწარმოებელი (ბუღა) – ნაყოფიერებას.

ქართული საისტორიო ტრადიციით (ლეონტი მროველი), ქართლის პირველმა მეფემ ფარნავაზმა თავი გააღმერთა და მთავარ ღვთაებად, თავისი სახელის მიხედვით, არმაზი გამოაცხადა: „და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისისა: ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქუა. აღმართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა და მიერითგან ეწოდა არმაზი კერპისა მისთვის".

არმაზი იგივე ძველი ქართველების მთვარის ღვთაება იყო, მხოლოდ ამჯერად, იგი სხვა ღვთაებების თვისებებითაც აღიჭურვა. „არმაზის" სახელს მკვლევრები ხეთურ არამასთანაც აიგივებენ, რაც მთვარის ღვთაებას ნიშნავს.

ვარაუდობენ, რომ არმაზის კულტი, ისევე როგორც ბევრი სხვა კულტურული ელემენტი ქართლში მცირე აზიიდან მოსულმა მესხებმა შემოიტანეს. საინტერესოა, რომ მეცნიერები ტოპონიმ „მცხეთის" გაჩენას ასევე მესხების საკუთარ სახელს (მესხეთა→მცხეთა) უკავშირებენ, ისევე როგორც „სამცხე"-ში „სამესხეს" ხედავენ.

არმაზის ქანდაკება მცხეთის პირდაპირ ქართლის მთაზე აღიმართა. შემდეგ მას „არმაზის მთა" (დღევ. ბაგინეთი) ეწოდა. ის იყო სპილენძისაგან ჩამოსხმული მეომარი მამაკაცი ოქროს აბჯრითა და მუზარადით, რომელსაც თვალების

მაგივრად ძვირფასი ქვები ჰქონდა ჩასმული და ხელთ მახვილი ეპყრა. არმაზის დღეობა ზაფხულის ბოლოს ტარდებოდა. მას მსხვერპლად სწირავდნენ ბავშვებს, მათ შორის, სეფეწულებსაც (უფლისწულებს). არმაზის ღვთაების მარჯვნივ კაცის გამოსახულების ოქროს კერპი გაიმ იდგა, ხოლო მარცხნივ ვერცხლის კერპი გა (გაცი). არმაზული ღვთაებების ტრიადა საოცარ მსგავებას იჩენს ხეთურ ღვთაებათა ტრიადასთან. არმაზის მთის მოპირდაპირე მთაზე ზადენის კერპი აღიმართა. დღევანდელი ზედაზნის სახელწოდებაში „ზედა ზადენის" შინაარსია ჩადებული.

ქართული ასტრალური კულტები სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხის თაყვანისცემასთან იყო დაკავშირებული. ხე ღვთაებათა – მნათობთა სადგომად ითვლებოდა.

წინაქრისტიანულ საქართველოში ისეთი რელიგიებიც იყო გავრცელებული, როგორიცაა იუდაიზმი, მითრაიზმი და ზოროასტრიზმი (ცეცხლთაყვანისცემა).

ქრისტიანობა. საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება IV საუკუნის 20-30-იან (326 წ.) მოხდა. ქრისტიანობის პირველი მქადაგებლები საქართველოში უკვე I საუკუნეში გამოჩნდნენ – ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი და მატათა. მათ ქრისტიანობა აჭარაში, მესხეთსა და დასავლეთ საქართველოში იქადაგეს. სვიმონ კანანელი აფხაზეთში აღესრულა. იგი ნიკოფსიაშია დაკრძალული.

სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადება IV საუკუნეში წმ. ნინოს სამისიონერო მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული. წმ. ნინო წარმოშობით კაპადოკიელი ბერძენი იყო. ნინოს მამა იმპერატორ მაქსიმიანეს მხედართმთავარი ყოფილა. შემდეგ მას სამსახურისათვის თავი დაუნებებია და იერუსალიმში წასულა, სადაც ცოლად იერუსალიმის პატრიარქის – იუბენალის და სუსანა შეურთავს. ბოლოს ბერად აღკვეცილა, სუსანა კი გლახაკთა სამზრუნველოს მსახური გამხდარა. იერუსალიმიდან ნინო იმპერატორ კონსტანტინე I-ის კარზე მოხვედრილა, სადაც დედოფალ ელენესა და სეფე ქალებს ქრისტიანობას უქადაგებდა. ნინო ერთ ღვთისმოსავ ქალს – სარა ნიაფორს მსახურობდა. სწორედ მან ქრისტეს შესახებ საუბრისას ქალაქი მცხეთა ახსენა, სადაც იქაურმა ებრაელებმა (ელიოზმა) ქრისტეს წამების შემდეგ უფლის კვართი (სამოსი) წაასვენეს. მცხეთელ მკვიდრ ქალს, ელიოზის დას – სიდონიას ქრისტეს კვართი გულში ჩაუკრავს და დიდი განცდისაგან გარდაცვლილა. სიდონიას გულში ჩაკრული კვართი ვერაფრით ვერ მოაშორეს. მაშინ იძულებულნი გახდნენ კვართიანად დაემარხათ.

იმდენად დიდი იყო სარა ნიაფორის თხრობისაგან მიღებული შთაბეჭდილება, რომ სრულიად ნორჩმა ნინომ თავისი ცხოვრების მიზნად მცხეთის მოხილვა და იქ ქრისტიანობის ქადაგება დაისახა.

წმ. ნინო ჯავახეთში, ფარავნის ტბასთან მცხეთელ მწყემსებს შეხვედრია, რომელთა რჩევით ჯავახეთის მტკვრის გზას დადგომია და ჯერ ქალაქ ურბნისში მისულა, შემდეგ მცხეთაში.

მცხეთაში, თავის სადგომში ნინოს სალოცავად ვაზის „ნასხლევისაგან" (ტოტისაგან) გაკეთებული ჯვარი აღუმართავს, რომელიც თავისი თმებით შეუკრავს (ეს ჯვარი დღემდე თბილისის სიონის ტაძარშია დაცული). ქადაგებითა და სამკურნალო ხელოვნებით ნინოს მოსახლეობის სიყვარული დაუმსახურებია. ნინოს წყალობით მცხეთაში ქრისტიანობას მრავალი მიმდევარი გასჩენია. მცხეთაში მისვლიდან მეექვსე წელს ნინომ ქართლის დედოფალი ნანა გააქრისტიანა, ხოლო შემდეგ – მეფე მირიანი.

გადმოცემის თანახმად, მირიანის გაქრისტიანების უშუალო საბაბი მეფის ნადირობა გამხდარა. მეფესა და მის ამალას მცხეთის მახლობლად, მუხრანის ტყეში, თხოთის მთაზე უეცრად მზე დაუბნელდათ. მირიანი არმაზისა და ზადენის კერპებს შველას ამაოდ ევედრებოდა. წყვდიადი მხოლოდ მაშინ გაქრა და განათდა, როცა მეფემ დახმარება „ნინოს ღმერთს" სთხოვა. მირიანმა ქრისტე ღმერთად აღიარა. ნინოს რჩევით მეფეს იმპერატორ კონსტანტინესთან სამღვდელოების ჩამოსაყვანად და მოსანათლად მოციქულები გაუგზავნია. ნინოს სამისიონერო მოღვაწეობა ქართლის სამეფოს სხვა კუთხეებშიც გაუგრძელებია. ერისთავის, სამღვდელოების და ჯარის თანხლებით წმ. ნინო არაგვის ხეობაში ასულა და ადგილ წობენში (ქალაქ ჟინვალის სანახები) მთის მოსახლეობა: ფხოველნი, ჭართალელნი, გუდამაყრელნი, წილკანელნი მოუხმია, მათი კერპები დაულეწია და ჯარის დახმარებით მთიელები ქრისტეს რჯულზე მოუქცევია. ერწო-თიანეთსა და შიდა კახეთში სამისიონერო მოღვაწეობის დროს წმ. ნინო ავად გამხდარა და სოფელ ბოდინში (ახლანდელი ბოდბე) გარდაცვლილა, სადაც საეპისკოპოსო კათედრალში ახლაც განისვენებს.

დასავლეთ საქართველოში, რომთან უფრო მჭიდრო კავშირისა და მასთან გეოგრაფიული სიახლოვის გამო, ქრისტიანობა ადრიდანვე გავრცელდა. 325 წელს ქალაქ ნიკეაში გამართულ პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებას ბიჭვინთის ეპისკოპოსიც ესწრებოდა. სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა ეგრისში IV საუკუნეში გამოცხადდა.

საქართველოს გაქრისტიანება ბერძნულ-რომაული ქვეყნებთან მისი ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგი იყო. ირანსა და რომთან დამოკიდებულების მრავალწლიანი ისტორია ქართლის მესვეურებს უჩვენებდა, რომ მათთვის რომთან კავშირი უფრო ხელსაყრელი იყო, რადგან ირანი, ფაქტობრივად, სპობდა მეზობელ ქვეყნებში მეფობას, ადგილობრივ „რჯულს" და ირანის რელიგიას – ცეცხლთაყვანისმცემლობას ავრცელებდა. ამან და სხვა არაერთმა მიზეზმა ქართლი რომის სახელმწიფოსთან საბოლოო კავშირამდე მიიყვანა. აქვე შემდეგიც უნდა აღინიშნოს: ქრისტიანობას ქართული საზოგადოებრიობა მისი წარმოშობის დროიდანვე იცნობდა. ერთი მხრივ, საქართველოში მოსახლე ებრაელებისა და ბერძენ-რომაელი მოხელეების და, მეორე მხრივ, ქართველი მოლაშქრე არისტოკრატების წყალობით. III საუკუნის შუა წლებში ქართველი წარმართი მეფე რევი სახარებას უკვე იცნობდა. ქრისტიანობის გავლენით რევს ზოგიერთი წარმართული ჩვეულება აუკრძალავს, ღარიბთათვის დახმარების პრაქტიკა შემოუღია.

საქართველოს საზოგადოებაში ჩანასახში მყოფ ფეოდალურ ურთიერთობებს წარმართობაზე მეტად ქრისტიანული რელიგია შეესაბამებოდა. იგი აჩქარებდა ფეოდალიზმის დამკვიდრებას. ქრისტიანობა წიგნიერი რელიგიაა და ხელს უწყობდა ერთიანი ქართული კულტურის, ენისა და ლიტერატურის განვითარებას. ქართულმა დამწერლობამ უკვე ამ დროიდან მიიღო საბოლოოდ ჩამოყალიბებული, დახვეწილი სახე. იგი ფართოდ გავრცელდა მთელს საქართველოში. ქრისტიანული ღვთისმსახურების საჭიროებისათვის სხვადასხვა ენიდან, უმთავრესად ბერძნულიდან, ქართულად ითარგმნა წმინდა წიგნები.

საქართველოში IV საუკუნეშივე უნდა დაწყებულიყო „ბიბლიის" თარგმნა. ყოველ შემთხვევაში V საუკუნეში დედოფალ შუშანიკს უკვე აქვს „ევანგელია" (სახარება, ახალი აღთქმის წიგნი). ქართულ ენაზე შეიქმნა, როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური მდიდარი ლიტერატურა, დაიწერა საისტორიო ნაწარმოებები, ფილოსოფიური ნაშრომები; შეიქმნა ქრისტიანული არქიტექტურა, მხატვრობა, ჭედურობა, მუსიკა და სხვა. საერთო-საეკლესიო ქართულმა ენამ, საერთო-საკულტო წეს-ჩვეულებებმა კულტურულად შეაკავშირა ქვეყნის სხვადასხვა კუთხე. სამშობლოს ცნება გაფართოვდა და იმ ტერიტორიას ეწოდა, სადაც წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე ტარდებოდა. ტერმინი „ქართლი" მთელ საქართველოს გულისხმობდა (შეადარე - „ქართლის ცხოვრება"). სწორედ ამ დროს შემუშავდა ფორმულა, რომელიც გიორგი მერჩულემ 951 წელს გაახმოვანა: „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და

ლოცვა ყოველი აღესრულების". აქ მკაფიოდაა გამოკვეთილი „ქართლის" (ქრისტიანული ქართლის) ისტორიული მისია და ამ ცნების კულტურულ-ისტორიული და პოლიტიკური ღირებულება, რაც X საუკუნის მეორე ნახევარში ტერმინით „საქართველო" გამოიხატა.

ქართლში პირველი საეპისკოპოსო კათედრა სამეფოს დედაქალაქ მცხეთაში დაარსდა. ქართლის ეკლესიის მეთაური მთავარეპისკოპოსის ტიტულს ატარებდა. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია V საუკუნემდე იერარქიულად ჯერ კონსტანიტინოპოლის, შემდეგ ანტიოქიის საპატრიარქოებს ექვემდებარებოდა. 466-468 წლებში, ვახტანგ გორგასალის მეფობის დროს, ქართლში ერთდროულად 12 საეპისკოპოსო დაარსდა, ხოლო ეკლესიის მეთაურმა კათალიკოსის ტიტული მიიღო (კათედრა სვეტიცხოვლის ტაძარში). ქართული ეკლესია ამ დროიდან დამოუკიდებელი (ავტოკეფალური) გახდა. ქრისტიანული ეკლესიის განმტკიცებას VI საუკუნის საქართველოში ხელი შეუწყო ე.წ. „ასურელ მამების" მოღვაწეობამ, რომლებმაც 16-ზე მეტი მონასტერი დაარსეს. XI საუკუნის 20-იან წლებში დაარსდა საქართველოს საპატრიარქო – რიგით VI საპატრიარქო მსოფლიოში. დავით აღმაშენებლის დროს ეკლესია სახელმწიფოს დაექვემდებარა.

XIII-XVIII საუკუნეებში გამწვავებული საგარეო ურთიერთობისა და დამაქცეველი ომების გამო, ქართული ეკლესიის ძლიერება და გავლენა უაღრესად დაქვეითდა. განსაკუთრებით დამღუპველი იყო თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღება (1453 წ.) – ქრისტიანული საქართველო მაჰმადიანურ გარემოცვაში მოექცა. XVI-XVIII საუკუნეებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში – სამცხე-ჯავახეთში, აჭარაში ადგილი ჰქონდა მოსახლეობის გამაჰმადიანებას. 1811 წელს რუსეთის იმპერიამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა. ქართული ეკლესია რუსეთის ეკლესიის საეგზარქოსოდ იქცა.

1917 წლის 12 მარტს ქართულმა ეკლესიამ აღიდგინა ავტოკეფალია და კათალიკოს-პატრიარქი აირჩია.

კათოლიკობა საქართველოში. დასავლეთ ევროპაში კათოლიკობა ცალკე მიმდინარეობად ჩამოყალიბდა და გაბატონებულ სარწმუნოებად იქცა მას შემდეგ, რაც 1054 წელს ქრისტიანობა ოფიციალურად ორ ძირითად მიმართულებად – კათოლიკობად და მართლმადიდებლობად გაიყო. მაგრამ ქრისტიანული ეკლესიის გათიშვის შემდეგაც ქართულ მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიებს შორის ურთიერთობა თითქმის არ შეწყვეტილა.

XIII საუკუნის 30-იან წლებში საქართველოს მეფე რუსუდანი რომის პაპ გრიგოლ IX-ს მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას თხოვდა და

საქართველოს ეკლესიის რომის ეკლესიასთან შეერთებას აღუთქვამდა. რომთან ამგვარი ურთიერთობის შედეგად საქართველოში კათოლიკე მისიონერები შემოვიდნენ. პირველი მისიონერები ფრანცისკელთა ორდენის წევრები – ე.წ. მონორიტები (მორჩილი ძმები) იყვნენ. იაკობ როგსანელის ხელმძღვანელობით მისიონერებმა თბილისში მონასტერი დააარსეს და კათოლიკობის პროპაგანდა დაიწყეს. 40-იან წლებში საქართველოში დომინიკელთა ორდენის წევრები გამოჩნდნენ, რომლებმაც ასევე თავიანთი მონასტერი დააარსეს თბილისში.

1329 წელს რომის პაპ იოანე XXII-ის ბრძანებით თბილისში კათოლიკური საეპისკოპოსო ცენტრი დაარსდა. იგი სპარსეთში შექმნილ ე.წ. „სულთანიეს საეპისკოპოსოს" ემორჩილებოდა. XV საუკუნის 50-იან წლებში ოსმალეთის საფრთხის თავიდან ასაცილებლად ევროპაში კოალიციური ლაშქრობის მომზადებას შეუდგნენ. ქართველი მეფე-მთავრები პაპის ელჩს გაკათოლიკებასა და ომში მონაწილეობას შეჰპირდნენ, დასავლეთ ევროპაში ელჩები გააგზავნეს და თავიანთი მზადყოფნის შესახებ აცნობეს. მაგრამ დასავლეთმა უკან დაიხია. XVI საუკუნის დასაწყისში ოსმალეთმა ბოსფორ-დარდანელის სრუტეები ჩაკეტა და აშკარა შეტევაზე გადავიდა. ამის შედეგად გაუქმდა თბილისის კათოლიკური საეპისკოპოსო, შემცირდა მრევლი. დომინიკელები და ფრანცისკელები საქართველოში შემოსვლას ვეღარ ბედავდნენ. ერთხანს მათი ადგილი ნახჭევანიდან გადმოსულმა სომეხმა უნითორმა ბერებმა დაიკავეს, მაგრამ მცირე ხნით.

XVII საუკუნის 10-იანი წლებიდან ევროპასთან ურთიერთობები გამოცოცხლდა. 20-იანი წლების დასაწყისში მეცნიერი მოგზაურის, პიეტრო დელა ვალეს მოხსენების შემდეგ საქართველოს ცხოვრებითა და მასთან ეკონომიკური ურთიერთობით დაინტერესებულმა რომმა მისიონერებად თეატინელთა ორდენის წევრები – ავიტაბილე, არქანჯელო ლამბერტი, ჯუდიჩე მილანელი, ქრისტოფორო კასტელი და სხვები გამოაგზავნა. თეატინელთა სამოღვაწეო ასპარეზი მთელი საქართველო იყო, განსაკუთრებით ქართლი, გურია და სამეგრელო. XVII საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოში ფრანცისკელთა ორდენის მისიონერები ე.წ. კაპუცინები ჩამოვიდნენ, რომლებიც, ფაქტობრივად, საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალის აგენტები იყვნენ. ქართველები კათოლიკობას უკავშირებდნენ საქართველოს გაერთიანებისა და გამოხსნის საქმეს. XVII-XVIII საუკუნის ქართველი პოლიტიკოსები პაპის ავტორიტეტისა და საფრანგეთის დახმარებით კავკასიის დიდი ნაწილის ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ შეკავშირებას ცდილობდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ევროპაში

ქართველების ჩასვლას და საქმიანობას – XV საუკუნის 90-იან წლებში ნილოსის, XVII საუკუნის 20-იან წლებში ნიკოლოზ ირბახის (ჩოლოყაშვილი) და XVIII საუკუნის 10-იან წლებში სულხან-საბა-ორბელიანის ელჩობებს. თუმცა ამ დიპლომატიურ მცდელობებს რეალური შედეგები არ მოჰყოლია.

კათოლიკე მისიონერები საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებასა და კულტურულ საქმიანობაში აქტიურად ჩაებნენ. ისინი მეფე-მთავართა მრჩევლები, ელჩები, საიდუმლო აგენტები იყვნენ. ევროპასთან კათოლიკობის გზით ურთიერთობას დიდი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა. შემოსულ მისიონერებს შორის იყვნენ მწერლები, ექიმები, მხატვრები, ინჟინრები, გეოგრაფები. კათოლიკეთა მიერ გახსნილ სკოლებში (თბილისი, გორი, ახალციხე, გურია, სამეგრელო) ქრისტიანულ მოძღვრებასთან ერთად ქართული, იტალიური, ლათინური, ფრანგული ენები, მათემატიკური დისციპლინები ისწავლებოდა.

ჩვეულებრივ, ქართველ კათოლიკეთათვის მღვდელსმსახურების ენა ლათინური იყო. XVI საუკუნიდან ლათინურის გვერდით თანდათან ფეხი მოიკიდა კავკასიის კათოლიკეთათვის ვატიკანის მიერ დამტკიცებულმა სომხურენოვანმა რიტმა (ტიპიკონმა). სომხურენოვანი ტიპიკონის დანერგვას, ხშირ შემთხვევაში, ამ რიტის შესაბამისად ქართველ კათოლიკეთა სახელისა და გვარის შეცვლა მოსდევდა. ეს ვითარება სამომავლოდ ბევრ გაუგებრობას იწვევდა. XIX საუკუნის 40-იან წლებში ფრანცისკელთა მისიონი გაუქმდა. ამის შემდეგ კათოლიკურ მრევლს ადგილობრივი და სომეხი ბერ-მონაზვნები უძღვებოდნენ. XIX საუკუნის 50-იან წლებში ქართველმა კათოლიკე ბერებმა, რომლებიც სომეხ მხითარისტთა ძმობას (ვენეციაში) გამოეყვნენ, სტამბულში ქართულენოვანი რიტით თავიანთი კონგრეგაცია დააარსეს. კონგრეგაციას ჰქონდა თავისი სტამბა და სკოლა, სადაც ქართულ სახელმძღვანელოებს, ლექსიკონებს, მხატვრულ ლიტერატურას ბეჭდავდნენ. ამჟამად თბილისში, ივანე ჯავახიშვილის (ყოფილი კალინინის) ქუჩაზე კათოლიკური ეკლესია ფუნქციონირებს.

ქართველი გრიგორიანელები. სომხური მოსახლეობა საქართველოში ადრიდანვე სახლობდა. საქართველოს ტერიტორიაზე სომეხთა გადმოსახლება მასობრივ ხასიათს XV საუკუნიდან იღებს, როდესაც ოსმალეთის იმპერიის შექმნის შემდეგ, მომთაბარეებმა სომხეთში საარსებო ფართობები თითქმის მთლიანად დაიკავეს. სწორედ ამ დროიდან მომრავლდა სომხური ეპიგრაფიკული ძეგლები საქართველოში. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ შიდა ქართლიდან მომდინარე სომხური წარწერებიანი ქვები, განსაკუთრებით XVII-XVIII საუკუნეების (მით უმეტეს XIX საუკუნისა), ყოველთვის დამწერთა ეთნიკურ ვინაობაზე კი არ

მიუთითებს, არამედ მათ კონფესიურ (რელიგიურ) კუთვნილებაზე. ხშირ შემთხვევაში ისინი ქართველი მონოფიზიტების ანუ გრიგორიანელების მიერ უნდა იყოს დამზადებული. საქმე ისაა, რომ მახლობელ აღმოსავლეთსა და საქართველოში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის გამო, ქართველს ვაჭრობაში წარმატების მიღწევა მხოლოდ გრიგორიანული მრწამსის მიღების შემდეგ შეეძლო.

XVII-XVIII საუკუნეებისათვის მახლობელ აღმოსავლეთში რუსეთის, ირანის, ოსმალეთისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების გადახლართვამ, რუსთა და ქართველთა რელიგიური ერთობა ირან-ოსმალეთისათვის მიუღებელი გახადა. მათთვის შედარებით მოსათმენი ჩანდა რუსული მართლმადიდებლობისაგან განსხვავებული სომხური მონოფიზიტობა და დასავლური კათოლიციზმი. ირანის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, შაჰი აღმოსავლური ტრადიციების მქონე სომხურ ეკლესიას მფარველობდა. ამის გამო, ირანში მყოფ ქართველებს ქრისტიანობის შენარჩუნება მხოლოდ გასომხების გზით შეეძლოთ. გასაგებია, რომ ირანთან დაკავშირებულ ქართველ ვაჭრებს სომხური სარწმუნოების მიღება მრავალმხრივ აწყობდათ, პირველ რიგში კი ეკონომიკური ინტერესების გამო, რადგან ამგვარი რელიგიური არჩევანი მათ საერთაშორისო ასპარეზზე სავაჭრო საქმიანობას უადვილებდა.

სომხურ სარწმუნოებაზე ანუ გრიგორიანელობაზე არა მხოლოდ საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმული ქართველ ვაჭართა ფენა გადადიოდა, არამედ თვით საქართველოში ადგილობრივ დასაქმებული ქართველ ვაჭარ-ხელოსანთა გარკვეული ნაწილიც. XVII საუკუნის 30-იან წლებში თბილისში მოწვეულ საგანგებო კრებაზე ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი აღნიშნავდა: „ყოველდღე ჩვენის თვალით ვხედავთ, რომ მრავალნი ქართველნი სომხდებიან, უფრო მომეტებული მათგანი კი მაჰმადის სარწმუნოებას ღებულობს...”

საქმე ისაა, რომ ამიერკავკასიის ქალაქების პროფესიულ გაერთიანებებში სარწმუნოებრივ მომენტს ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. მაგალითად, ამქრებში სარწმუნოებით გათვალისწინებული ზნეობრივი ნორმების დარღვევა თვით ხელობის სიწმინდის შელახვას ნიშნავდა. მსგავს ვითარებას ადგილი ვაჭართა გაერთიანებაშიც უნდა ჰქონოდა. აშკარაა, ქართული ქალაქების პროფესიული გაერთიანებები, ვაჭრობაში სომეხთა უპირატესობის გამო, უმთავრესად მონოფიზიტურ ეკლესიასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ამიტომ ამ გაერთიანებებში შესვლა და მათ საფუძველზე გარკვეული

პრივილეგიების მიღება, გასაგებია, მხოლოდ სომხურ სარწმუნოებაზე გადასვლით შეიძლებოდა.

XIX საუკუნეში ეკონომიკურად დიდად გაძლიერდა ეჩმიაძინის სომხური საპატრიარქო, რომელმაც ფართო საეკლესიო მშენებლობა და ეკონომიკური დივერსია აწარმოა ყველგან, სადაც სომხური დიასპორა იყო, მათ შორის საქართველოში (ქვემო და შიდა ქართლი). აქ ადგილი ჰქონდა ქართველობის სომხურ წესზე მონათვლას, კონფესიურად სომხებად ჩაწერას. XX საუკუნეში, საპასპორტო რეჟიმის დამკვიდრებასთან ერთად, კონფესიურად გრიგორიანელი ქართველების დიდი ნაწილის სომხური ეროვნების მოქალაქეებად ჩაწერა მოხდა. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო ამ ორ-სამ საუკუნოვანი შეცდომის გამოსწორება და ქართულ „გასომხებულ" მოსახლეობას დაუბრუნდა თავისი ძველი ქართული გვარი და ქართული ეროვნება.

§ 2. განათლება და ქართული კულტურის ცენტრები

ძველი ბერძენი ისტორიკოსების ცნობები მოწმობს, რომ ანტიკური ხანის საქართველოში არაერთი „გიმნასიონი" (გიმნაზია) ფუნქციონირებდა. ანტიკური განათლების გავრცელებასა და მეცნიერული აზრის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა ფაზისის (ფოთის), ანუ კოლხეთის უმაღლესმა რიტორიკულმა სკოლამ (აკადემიამ), რომელიც III-VI საუკუნეებში არსებობდა. ამის შესახებ პირდაპირი ცნობა მოიპოვება ბერძენი ფილოსოფოსის თემისტიოსის (317-388 წწ.) წერილში, სადაც აღნიშნულია, რომ თემისტიოსის მამას, ევგენიოსს და თვით თემისტიოსსაც რიტორიკული (ორატორული) განათლება ფაზისის სკოლაში მიუღიათ. თემისტიოსი სკოლის დამაარსებელს „ბრძენს" და „სათნოს" უწოდებს. იგი იმასაც ამბობს, რომ ფაზისის სკოლაში მეზობელ ბარბაროსთა მსგავსად, ისართა ტყორცნა და ჯირითი კი არ ისწავლებოდა, არამედ აქ აღსაზრდელებს ორატორულ ხელოვნებას აზიარებდნენ და ისინი ელინთა დღეობებზე განსაკუთრებით ბრწყინავდნენ. ეს ცნობა სკოლის აღზრდილების ბერძნულ ენაში გაწვრთნილობასა და კლასიკურ ბერძნულ ლიტერატურაში საფუძვლიან განსწავლულობაზე მეტყველებს. კოლხეთის აკადემიაში ლიტერატურას, ასტრონომიას, მუსიკას, მათემატიკას, ფილოსოფიას და სამართალს ასწავლიდნენ. რიტორიკულ (ორატორულ) ხელოვნებას იმდროინდელ საქართველოში დიდი პრაქტიკული გამოყენება ჰქონდა. ბიზანტიელი ისტორიკოსის აგათია სქოლასტიკოსის (536-582 წწ.) თხზულებაში დაცულია ცნობა ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების აიეტისა და ფარტაძის

ბრწყინვალე ორატორული გამოსვლების შესახებ. ცხადია, მათი ორატორებად ჩამოყალიბება, ნიჭიერებასთან ერთად, თანმიმდევრული და საფუძვლიანი სწავლის შედეგი იყო.

VI-X საუკუნეებში ქართველებს საკუთარი კულტურისა და განათლების ცენტრები საქართველოშიც ჰქონდათ და მის ფარგლებს გარეთაც – პალესტინაში, სინას მთაზე, შავ მთაზე (ანტიოქიაში, სირიაში). X საუკუნეში საბერძნეთში, ათონის მთაზე დიდებული ქართული მონასტერი დაარსდა. ქართული კულტურის ისტორიაში დიდი როლი ითამაშა პალესტინაში არსებულმა საბაწმინდის ლავრამ, სადაც VIII-X საუკუნეებში ქართველთა სალიტერატურო მოღვაწეობა ჩქეფდა. უმეტესი ნაწილი იმ ხელნაწერებისა, რომლებიც დღეს სინას მთაზე ინახება, საბაწმინდის ლავრაშია შექმნილი. აქედან მომდინარეობს 864 წლით დათარიღებული „სინური მრავალთავი", რომელიც 52 სხვადასხვა ნაწარმოებს შეიცავს. პალესტინაში ქართველებს მეორე ცენტრი – ხარიტონის ლავრაც ეკუთვნოდათ.

ქართველების მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრი სინას მთაზე მდებარეობდა, სადაც ქართველები უკვე X საუკუნეში მოღვაწეობენ. IX-X საუკუნეებში არაბებისაგან შევიწროებული საბაწმინდის ლავრაში მოღვაწე ქართველები იძულებულნი გამხდარან სინას მთაზე გადასულიყვნენ, სადაც უძველესი ქართული ხელნაწერებია შემონახული. სინას მთის მოღვაწეთა შორის განსაკუთრებით ცნობილია იოანე ზოსიმე, ავტორი სახელგანთქმული თხზულებისა „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ". მცირე აზიაში, ბითვინიაში, IX საუკუნეში ილარიონ ქართველი ქართულ მონასტერს აარსებს. საკუთრივ საქართველოში კულტურის უმნიშვნელოვანესი ცენტრები – ტაო-კლარჯეთში (დღევ. თურქეთის ტერიტორია) იყო, სადაც სამონასტრო მოძრაობა VIII-IX საუკუნეებში ფართოდ გაიშალა. ეს მოვლენა გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების სახელთანაა დაკავშირებული. ამის მოწმობაა: ოპიზა, შატბერდი, ტბეთი. ოშკი, წყაროსთავი, პარხალი, ხანძთა, ბანა, ბერთა და სხვა.

ოპიზაში გრიგოლ ხანძთელის გარდა მიქელ პარეხელი, გიორგი მაწყვერელი და სერაპიონ ზარზმელი მოღვაწეობდნენ. IX საუკუნეში ოპიზა აშოტ კურაპალატის ვაჟმა გუარამმა განაახლა. ქართული კულტურის ერთ-ერთი უდიდესი კერა შატბერდი იყო. ამ საგანმანათლებლო სკოლაში X საუკუნით დათარიღებული ე.წ. „შატბერდის კრებული" შეიქმნა, რომელიც სხვა ნაწარმოებებთან ერთად ქართული ისტორიოგრაფიის ისეთ უმნიშვნელოვანეს ძეგლებს შეიცავს, როგორიცაა „მოქცევაჲ ქართლისაჲ" და „ნინოს ცხოვრება".

შატბერდშივეა გადაწერილი X საუკუნის სხვა მნიშვნელოვანი წერილობითი ძეგლები – ჰადიშის, ჯრუჭის და პარხალის სახარებები.

VIII საუკუნეშივე არსებულა ტბეთის მონასტერი, რომელიც X საუკუნის დასაწყისში საეპისკოპოსო კათედრალად გადაქცეულა. მის მოღვაწეთა შორის „გობრონის მარტვილობის" ავტორს სტეფანე მტბევარს სრულიად გამორჩეული ადგილი უკავია.

IX-X საუკუნეების მიჯნაზე ადარნასე კურაპალატმა ოშკის დიდებული მონასტერი ააშენა, სადაც ერთ-ერთი უძველესი ქართული ბიბლია და იოანე მოსხის „ლიმონარი" (სამოთხე) იქნა გადაწერილი.

ქართული კულტურის ისტორიაში ტაო-კლარჯეთის მონასტრებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. აკადემიკოს კ. კეკელიძის სიტყვით, „აქ ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეთის საგანგებო სალიტერატურო სკოლა, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული, რომელმაც შეიმუშავა თავისი საკუთარი გრამატიკა, ენა, ხელი და მიმართულება".

XI-XIII საუკუნეების საქართველოს კულტურის მაღალ დონეზე სწავლა-აღზრდის აღმავლობაც მიუთითებს. ამ პერიოდში სკოლები არსებობდა ეკლესია-მონასტრებთან და ცალკეც, როგორც დამოუკიდებელი დაწესებულებები. ადრეული ხანის დიდ მონასტრებთან ხშირად გვხვდება ფართო მოცულობის შენობები, რომლებსაც მონასტრებთან არსებული სემინარებისთვის განკუთვნილად მიიჩნევენ. აქ ისწავლებოდა თეოლოგია (ღვთისმეტყველება), ჰიმნოგრაფია (გალობა), ლიტურგიკა (საეკლესიო-სამღვდელო მომსახურების წესები), ქართული მწიგნობრობა.

უფლისწულები და დიდი ფეოდალები სახლებშიც იღებდნენ განათლებას (მაგალითად, თამარ მეფის აღზრდას მისი მამიდა რუსუდანი მეთვალყურეობდა). XI-XII საუკუნეებში დიდგვაროვანი ქართველები განათლების მისაღებად ბიზანტიაში მიემგზავრებოდნენ. გიორგი მთაწმინდელმა ბიზანტიაში სწავლის მისაღებად 80 ქართველი ყმაწვილი გაგზავნა. XII საუკუნის საქართველოში არსებობდა უმაღლესი სკოლები – აკადემიები. დავით აღმაშენებელს გელათის მონასტრის დაარსებისას შორეული მიზანი ჰქონდა დასახული – ის საფუძველს უმზადებდა და ქმნიდა არა მხოლოდ რელიგიურ, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-სამეცნიერო ცენტრსაც. დავითის ისტორიკოსი გელათის აკადემიის შესახებ წერს, რომ იგი არის „ყოვლისა აღმოსავალისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისად, მოძღურად სწავლულებისად,

სხუად ათინად, ფრიად უაღრესი მისსა საღმრთოთა წინა წესთა, დიაკონად ყოვლის ეკლესიისა შუენიერებისად".

დავითის ისტორიკოსის მოწმობით, გელათი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელ აღმოსავლეთს „ჰფენდა" ქრისტიანულ სწავლას და მეცნიერებას. „მეცნიერების სწავლების ცენტრი სჭირდებოდა ახალ ქრისტიანულ ქართულ პოლიტიკურ ერთეულს, რომელიც ახლო აღმოსავლეთში ბიზანტიის მონაცვლეობას ლამობდა" (ნ. ბერძენიშვილი).

XII საუკუნეში გელათი ქართული რენესანსის ერთ-ერთ მძლავრ კერად იქცა. მეფემ გელათის აკადემიაში ცნობილი ქართველი მეცნიერები – იოანე პეტრიწი, თეოფილე ხუცეს-მონაზონი, იოანე ტარიჭისძე მოიწვია, რომელთაც გელათში მეტად ნაყოფიერი სამეცნიერო-ფილოსოფიური მოღვაწეობა გაშალეს. არსებობს ცნობა, რომ XII საუკუნის საქართველოში აკადემია იყალთოშიც არსებობდა, რომელსაც არსენ იყალთოელი ხელმძღვანელობდა. გადმოცემით, უმაღლესი სკოლა უნდა არსებულიყო გრემშიც. გელათისა და იყალთოს აკადემიებში გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია, ასტრონომია და მედიცინა ისწავლებოდა.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, დავითი არა მარტო საქართველოს, არამედ საზღვარგარეთის ქართული კულტურის კერებზეც ზრუნავდა, რომლებიც საბერძნეთში, მთაწმინდაზე, ბულგარეთში, სირიაში, კვიპროსზე, შავ მთასა და პალესტინაში იყო განლაგებული. ქართულ სავანეებზე დიდ მზრუნველობას თამარ მეფეც იჩენდა.

ამ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი საზღვარგარეთული ცენტრებია: ივერიის მონასტერი ათონის მთაზე, შავი მთა სირიაში, ჯვრის მონასტერი პალესტინაში და პეტრიწონის ანუ ბაჩკოვოს მონასტერი ბულგარეთში.

ათონის ივერიის მონასტერი X საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი ქართველი მოღვაწეების იოანე და ექვთიმე ათონელების მიერაა დაარსებული. XI საუკუნეში, გიორგი ათონელის დროს, მონასტერი ლავრად (ათონის აკადემიად) გადაიქცა. აქ თავმოყრილი იყო ქართველთა საუკეთესო კულტურული ძალები, რომელთაც მიზნად ჰქონდათ დასახული თავიანთი თანამემამულეთათვის გაეცნოთ დასავლეთის ლიტერატურული მდიდარი მემკვიდრეობა. სწორედ აქ ითარგმნა და გადაიწერა უმთავრესი ნაწილი იმ ლიტერატურული განძეულობისა, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი ძველი მწერლობის ისტორია. აქ, ათონზე შეიქმნა და ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო, საგრამატიკო და საკალიგრაფო სკოლები, რომელთაც წარუშლელი კვალი დატოვეს ჩვენს

ისტორიაში. არც ერთ სამონასტრო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორც ათონის ივერიის მონასტერს (კ. კეკელიძე).

გიორგი ათონელისა (მთაწმინდელის) და ათონის მთაზე მოღვაწე სხვა ქართველი სწავლულების მეცადინეობის შედეგად, XI-XII საუკუნეებში ჩვენში უკვე თარგმნილი იყო მსოფლიო კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლები.

XI საუკუნეში ათონზე მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი ჰიმნოგრაფები – ეზრა, ბასილი, ზოსიმე. გიორგი მცირემ გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობის ამსახველი დიდებული ნაწარმოები „ცხოვრება გიორგი მთაწმინდელის" შექმნა. ათონის სკოლამ თავისი საქმიანობით დიდად შეუწყო ხელი XI-XII საუკუნეებში ქართული კულტურის აყვავებას. ათონის ივერთა მონასტერი მუდამ წარმოადგენდა ბიზანტიაში ქართული ეროვნული იდეის მატარებელ ფორპოსტს. XI-XII საუკუნეებში ქართული კულტურის დიდ აღმავლობას ნაყოფიერი ნიადაგი სწორედ ათონის ლავრის მოღვაწეობამ მოუმზადა. მის გარეშე ჩვენი კულტურის ისტორიას, შეიძლება სხვა მიმართულება და ხასიათი მიეღო. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველთა სამონასტრო კოლონიას შავ მთაზეც, სადაც XI საუკუნეში დიდი ფილოლოგი და ფილოსოფოსი ეფრემ მცირე მოღვაწეობდა.

ქართული კულტურის ისტორიაში უდიდესი როლი ქრისტიანული სამყაროს ცენტრში – იერუსალიმში დაარსებულმა ჯვრის მონასტერმაც შეასრულა.

საქართველოს ურთიერთობას პალესტინასთან უძველესი ტრადიციები გააჩნია. XVIII საუკუნის ქართველი მეცნიერისა და მწერლის ტიმოთე გაბაშვილის ცნობით, ჯვრის მონასტრის ადგილი წმ. ნინოს მიერ იერუსალიმში წარგზავნილმა მირიან მეფემ მოიპოვა. მართალია, ეს გვიანდელი ნახევრად ლეგენდარული ცნობა ჯვრის მონასტრის აშენების პროცესშია შექმნილი, მაგრამ იგი კარგად ასახავს პალესტინა-საქართველოს ურთიერთობების უძველეს ტრადიციებს. ცნობილია, რომ ქართველები ჯერ კიდევ V საუკუნიდან მონაწილეობდნენ პალესტინის საბაწმინდის ლავრის სამონასტრო ცხოვრებაში. ამ ურთიერთობის დადასტურებაა პეტრე იბერის მიერ პალესტინაში რამდენიმე ქართული მონასტრისა და სასტუმრო სახლის დაარსებაც. IX-X საუკუნეებში არაბთა ძალმომრეობის გამო ქართველები საბაწმინდის ლავრიდან სინას მთაზე გადასულან. არაბთა მოძალება პალესტინის ქართული კულტურის კერებისა და ქართველების მიმართ XI საუკუნის დასაწყისიდან თანდათან შენელებულა, რამაც კვლავ გააძლიერა ქართველების პალესტინით დაინტერესება. მათ კვლავ დაიწყეს იქ საკუთარი ეკლესია-მონასტრების დაფუძნება, რის კულმინაცია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის

დაარსებაა. ამ ფაქტმა დიდი როლი ითამაშა ქართული მწერლობის განვითარებაში, ხელი შეუწყო ქართული სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდას და განმტკიცებას. ჯვრის მონასტერი პალესტინაში ყველა ქართული მონასტრისა და ეკლესიის ადმინისტრაციული და სულიერ-კულტურული ცენტრი იყო.

ჯვრის მონასტერი პალესტინაში ქართველების მიერ XI საუკუნის 40-50-იან წლებში აიგო. იგი ექვთიმე მთაწმინდელის ბრძანებით აუშენებია პროხორე ქართველს, რომელსაც მატერიალურ დახმარებას მეფე ბაგრატ IV და მისი დედა – მარიამ დედოფალი უწევდნენ. ჯვრის მონასტერში იმ თხზულებათა გადაწერა წარმოებდა, რომელთაც შემდეგ საქართველოში ავრცელებდნენ. ჯვრის მონასტერი საუკუნეთა მანძილზე პალესტინის ქართველთა საიმედო თავშესაფარს და დასაყრდენს წარმოადგენდა. დავით აღმაშენებლი და თამარი დიდად ზრუნავდნენ ჯვრის მონასტრის კეთილდღეობაზე და დიდ შესაწირავებს უგზავნიდნენ მას. იერუსალიმში ჯვაროსანთა ბატონობის ხანაშიც ჯვრის მონასტერი ისევ ქართველთა ხელში იყო. თუმცა ლათინთა სამეფოს არსებობის ბოლო პერიოდში (1180-იანი წწ.), ლათინები მას მძიმედ ბეგრავენ.

1187 წელს იერუსალიმი მაჰმადიანებმა დაიპყრეს. თამარ მეფის აქტიური ჩარევით, ჯვრის მონასტერს დაკარგული მამულები დაუბრუნდა.

XIII საუკუნის მეორე ნახევარში იერუსალიმის ჯვრის მონასტერი ხელთ მუსულიმებმა იგდეს, ხოლო მთავარი ტაძარი მეჩეთად აქციეს. ქართველებმა ჯვრის მონასტერი მხოლოდ 1305 წელს დაიბრუნეს.

XVII საუკუნის 40-იან წლებში ჯვრის მონასტრისა და გოლგოთის მთის წინამძღვარი ნიკიფორე ქართველი (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი) ყოფილა, რომელსაც 1643 წელს ოდიშის მთავრის ლევან დადიანის თაოსნობით ჯვრის ფრესკული მხატვრობა განუახლებია. დღეს იერუსალიმის ჯვრის მონასტერი ბერძნების გამგებლობაშია. მონასტრის მთავარ ტაძარში ერთ-ერთ კედელზე მოხუცი შოთა რუსთაველის პორტრეტია გამოსახული, რომელსაც XXI საუკუნის უცნობმა ბარბაროსებმა დიდი ზიანი მიაყენეს. ზოგი მეცნიერის აზრით, რუსთაველის საფლავი ჯვრის მონასტერშია საძიებელი.

ქართული კულტურის ისტორიაში უაღრესად დიდი იყო პეტრიწონის (ბაჩკოვოს) მონასტრის მნიშვნელობაც. იგი ბულგარეთში 1083 წელს ბიზანტიის დიდმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, წარმოშობით ქართველმა გრიგოლ ბაკურიანისძემ ააგო. მანვე მონასტერთან ქართველი ახალგაზრდობისათვის სემინარია დააარსა. პეტრიწონის სემინარიაში ოცი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა ცნობილი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი. იგი ამ სემინარიის პირველი რექტორი იყო. იოანე

პეტრიწმა თავისი თავისუფალი ფილოსოფიური მოძღვრების გამო ოფიციალური წრეების მხრიდან დევნა განიცადა. ამ მიზეზით, იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა პეტრიწონი და საქართველოში დაბრუნებულიყო.

პეტრიწონის ლიტერატურულმა სკოლამ კიდევ უფრო დაახლოვა ქართული და ბიზანტიური მწერლობა. პეტრიწონში ჩამოყალიბდა ორიგინალური სალიტერატურო სკოლა, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება დოგმატიკური და ფილოსოფიური ხასიათის თხზულებათა დამუშავებას ეთმობოდა. ამან უდავოდ შეუწყო ხელი ქართული ფილოსოფიური ენისა და ტერმინოლოგიის შექმნას. პეტრიწონის სკოლამ ქართულ მწერლობასა თუ ფილოსოფიაში მთელი ეპოქა შექმნა. 1189 წელს ჯვაროსნებმა პეტრიწონის მონასტერი გაძარცვეს და დაარბიეს, მაგრამ იქ ქართული ძლიერი გავლენა XIV საუკუნეშიც გრძელდებოდა. ქართული კულტურის რამდენიმე კერა ფუნქციონირებდა კონსტანტინოპოლში. დიდი ლიტერატურული და შემოქმედებითი მუშაობა იყო გაშლილი კუნძულ კვიპროსზე არსებულ ქართულ მონასტერში – „ჟალია" („ღალია").

ქართველი ახალგაზრდობა არა მხოლოდ ქართულ სავანე-მონასტრებში იღებდა სწავლა-განათლებას, არამედ ცნობილ ბიზანტიურ კულტურულ კერებშიც. XI საუკუნეში კონსტანტინოპოლში სახელგანთქმული მანგანის აკადემია დაარსდა, რომელშიც განათლება შემდეგში ცნობილმა ქართველმა მეცნიერებმა – იოანე პეტრიწმა, ეფრემ მცირემ, არსენ იყალთოელმა მიიღეს.

მონღოლთა ასწლოვანი ბატონობისა და თემურ-ლენგის რვაგზის ლაშქრობის შემდეგ ქართული კულტურის მრავალი ძეგლი განადგურდა, კერა მოიშალა, მაგრამ შენელებული კულტურული ცხოვრების მაჯისცემა მაინც გრძელდებოდა. XIII საუკუნეში თბილისი კვლავ კულტურის ცენტრად რჩება.

XIV საუკუნეში ქსნის ხეობაში კულტურის მნიშვნელოვან კერას სამონასტრო ცენტრი – ლარგვისი წარმოადგენდა. აქ უნიკალური საგვარეულო მატიანე „ძეგლი ერისთავთა" შეიქმნა, დაიწერა და მოიხატა (მინიატურული მხატვრობა) მრავალი სასულიერო წიგნი. მძოვრეთში, ძამას ხეობაში, XV საუკუნეში ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილმა სამედიცინო ლიტერატურის შედევრი – „კარაბადინი" (სამკურნალი წიგნი) შექმნა.

მონღოლთა ბატონობის შედეგად შექმნილი მძიმე ვითარების მიუხედავად, საქართველო და, კერძოდ, კახეთი XIII-XIV საუკუნეებში კვლავ ავრცელებს თავის კულტურულ გავლენას ჩრდილო კავკასიაზე, დაღესტანზე, რასაც ერთმნიშვნელოვნად მოწმობს ჰალასა და ხუნძახში აღმოჩენილი XIV საუკუნის

ქართული წარწერები. XIII-XIV საუკუნეებში ქართულიდან სომხურად თეოლოგიურ-ფილოსოფიური თხზულებები ითარგმნებოდა.

XIV საუკუნეში კვლავ ძლიერდება ქართველთა გავლენა იერუსალიმში. მეფე გიორგი V ბრწყინვალის დიდი დახმარებით, ქსნის ერისთავის ვაჟი პიპა იერუსალიმში ქრისტეს საფლავის სალოცავის გასაღებს მოიპოვებს, რომელიც ქართველებს საბოლოოდ ფრანცისკანელებმა მხოლოდ XV საუკუნის შუა წლებში ჩამოართვეს.

XV საუკუნეში იერუსალიმში ქართველთა გავლენაზე იმდროინდელი მოგზაურის ბართლომე დე სალინიანოს ის ცნობა მიგვითითებს, რომლის თანახმადაც, იერუსალიმში სალოცავად მისული ქართველები საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულ ცხენებსა და აქლემებზე სხედან, გაშლილ-აფრიალებული ეროვნული დროშებით თავისუფლად შედიან ქალაქში და სხვებივით სულთანს ამისთვის დაწესებულ გადასახადს არ უხდიან. მისივე განცხადებით, ეგვიპტისა და ოსმალეთის სულთნებს ქართველების შიში და რიდი ჰქონდათ. ეგვიპტის მამლუქთა მეთაურის ბრძანებით, ქართველ მომლოცველთა დასაცავად და მათი უშიშროების უზრუნველსაყოფად ქართველთა ჯვრის მონასტერთან საგანგებო არაბი მოხელე იმყოფებოდა, რომელიც მოვალე იყო ქართველ მლოცველებს ალეპოში დახვედროდა, იერუსალიმამდე გაჰყოლოდა და ისინი ალეპოში დაბრუნებისას ამგვარადვე გამოეცილებინა.

XIII-XIV საუკუნეებში საქართველოში სასკოლო განათლება საგრძნობლად შეფერხდა, მაგრამ არ მოსპობილა. სკოლები არსებობდა ეკლესია-მონასტრებთან, სამეფო-სამთავროთა რეზიდენციებსა და მსხვილ ფეოდალთა სასახლეებთან. XVII საუკუნეში მეფე-პოეტმა არჩილმა პედაგოგიური კონცეფცია შეიმუშავა, რომლის თანახმადაც, სწავლა-აღზრდის საქმეში მთავარი როლი მასწავლებელსა და სახელმძღვანელოს უნდა მიენიჭოს. XVII საუკუნის 60-70-იან წლებში ყველაზე უფრო ნიჭიერ ახალგაზრდებს რომში სასწავლებლად აგზავნიდნენ. თბილისის გარდა, სწავლის გასაგრძელებლად კათოლიკე მისიონერებმა სკოლები გორში, ქუთაისსა და სხვა ქალაქებში დაარსეს. თბილისი კლვავ რჩებოდა მეცნიერებისა და კულტურის ცენტრად. გიორგი XI-ს დავალებით მდივანმა ბეგთაბეგ თანიაშვილმა 1680 წელს „ვეფხისტყაოსნის" ძვირფასი ხელნაწერი დაამზადა. გიორგი XI-მ სულხან-საბა ორბელიანს ქართული განმარტებითი ლექსიკონის შედგენა შეუკვეთა.

კულტურულ-ლიტერატურული ცენტრები არსებობდა გრემში, თელავში, ქუთაისში, სამეგრელოსა და გურიის მთავრების კარზე. სამეგრელოს მთავრის

კარზე, იქ ტყვედ ჩავარდნილმა მამუკა თავაქარაშვილმა 1648 წელს „ვეფხისტყაოსნის" ილუსტრირებული ხელნაწერი შექმნა, რომელიც დღეისათვის ამ ძეგლის უძველესი თარიღიანი ხელნაწერია. განათლება-კულტურის მნიშვნელოვან ცენტრებად კვლავ მონასტრები და საეპისკოპოსოები რჩებოდა. განსაკუთრებით დიდი წვლილი დავით გარეჯის მონასტრებს მიუძღვის. არაერთგზის დარბევა-აოხრების მიუხედავად, ეს კულტურული ცენტრი საბოლოოდ არ მოიშალა და განსაკუთრებულ აყვავებას XVII საუკუნეში მიაღწია.

სამხრეთ საქართველოს კულტურული ცენტრებიდან ზოგი XV-XVII საუკუნეებშიც აგრძელებდა არსებობას, მაგრამ XVII საუკუნის დასაწყისიდან აქ საბოლოოდ შეწყდა ქართული კულტურის მაჯისცემა. საზღვარგარეთის კულტურის კერათაგან შემოქმედებითი ცხოვრების პატრუქი მხოლოდ პალესტინის ჯვრის მონასტერსა და ათონის ივერიის მონასტერში ენთო.

ჩვენამდე ქართული ზღაპრების პირველმა უძველესმა კრებულმაც მოაღწია, რომელიც 1670-1679 წლებში საქართველოში მყოფ იტალიელ მისიონერ ბერნარდე ნეაპოლელს შეუდგენია. კრებული 12 ზღაპარს ითვლის.

XVIII საუკუნის დასაწყისიდან საქართველო ირანისა და თურქეთის ძლიერ პოლიტიკურ და სულიერ ზეგავლენას განიცდიდა. საქართველოს მესვეურებს ესმოდათ, რომ ქართველებისათვის ეროვნული სახის შენარჩუნება, გარდა ფიზიკურ არსებობაზე ზრუნვისა, მის კულტურასა და სულიერებაზე ზრუნვასაც მოითხოვდა. ვახტანგ VI-მ თავის ირგვლივ მოწინავე ქართველების მთელი დასი დარაზმა, რომელთაც დიდი როლი შეასრულეს ქართული ენის, ლიტერატურის, კულტურისა და მეცნიერების ასაღორძინებლად. ივანე ჯავახიშვილი ამ პერიოდს ქართული მწერლობის „ენციკლოპედიურ ხანას" უწოდებს, რომელსაც სულხან-საბა ორბელიანი და ვახუშტი ბაგრატიონი აგვირგვინებენ. XVII-XIX საუკუნეებში დიდად გამორჩეულია მოსკოვის ქართველთა კოლონიის კულტურული საქმიანობა. ქართულ კოლონიას საფუძველი XVII საუკუნის 90-იან წლებში ჩაეყარა. მისი ფუძემდებელი ვახტანგ V-ის ვაჟი, იმერეთის მეფედ ნამყოფი – არჩილი იყო. 1691 წელს რუსეთის მთავრობამ არჩილის ოჯახს მოსკოვში სასახლე უბოძა. მალე მათ საკუთრებად მოსკოვის სანახებში მდებარე სოფელი ვსეხსვიატსკოე და ნიჟნი-ნოვგოროდის მაზრაში ყმა-მამულები მიიღეს. რუსეთში მყოფ ქართველთაგან იმ დროს განსაკუთრებით დაწინაურდა პეტრე I-ის უახლოესი მეგობარი, არჩილის ვაჟი, ალექსანდრე. მას უცხოეთში სამხედრო განათლება ჰქონდა მიღებული. ცოდნა მან რუსეთში არტილერიის შექმნას მოახმარა.

1724 წლიდან მოსკოვის ქართული კოლონია უფრო მრავალრიცხოვანი გახდა. ქართლიდან წასული ვახტანგ VI-ის ამალის მეტი წილი მოსკოვს დასახლდა. ვახტანგს თან ახლდნენ სულხან-საბა ორბელიანი, ვახუშტი ბატონიშვილი, მამუკა ბარათაშვილი და სხვები. ვახტანგმა მოსკოვში სამფლობელოდ „კიტაი-გოროდში", პრესნასა და არბატზე, აგრეთვე სოფელ ვსეხსვიატსკოეში რამდენიმე სასახლე მიიღო. მდინარე პრესნის ორივე ნაპირზე ქართველთა დასახლებები დაარსდა. მოსკოვში ქართველებთან დაკავშირებული ქუჩა-მოედნების სახელები: „ბოლშაია გრუზინსკაია", „მალაია გრუზინსკაია", „გრუზინსკი ვალ", „გეორგიევსკაია პლოშჩად" და სხვა სახელწოდებები გაჩნდა.

ვახტანგ VI-ის გარდაცვალების შემდეგ, 1738 წელს ქართველ ემიგრანტთა დიდი ნაწილი რუსეთის არმიის „ქართულ ასეულში" ჩაირიცხა. ეს სამხედრო შენაერთი, რომელიც მალე „ქართველთა პოლკად" გადაკეთდა, 1769 წლამდე არსებობდა. ქართულმა კოლონიამ რუსეთის დედაქალაქში ლიტერატურული და მეცნიერული მოღვაწეობა ფართოდ გაშალა. 1737 წელს მოსკოვში ქართული სტამბა ამუშავდა, რომელმაც 1737-1744 წლებში 12 წიგნი დაბეჭდა, მათ შორის „ბიბლია". მოსკოვში შეიქმნა არჩილის რამდენიმე პოეტური ნაწარმოები, ითარგმნა „მსოფლიო ისტორია", ზუსტ მეცნიერებებში ევროპული ენებიდან ქართულად ითარგმნებოდა სახელმძღვანელოები. 1756 წელს დაარსებულ მოსკოვის უნივერსიტეტის დამფუძნებელთა შორის ვახუშტი ბაგრატიონიც იყო.

1755 წელს თბილისში სასულიერო სემინარია დაარსდა. ისწავლებოდა ღვთისმეტყველება, ქართული ენა, გრამატიკა, ფილოსოფია, გალობა, ლოგიკა, ფიზიკა, მათემატიკა. 1795 წელს თბილისის სემინარია აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამ გაანადგურა. 1758 წელს თელავში გაიხსნა სასულიერო სასწავლებელი, რომელიც შემდეგ ფილოსოფიურ სემინარიად გადაკეთდა. მას გაიოზ რექტორი ხელმძღვანელობდა. ანტონ კათალიკოსმა ქართული სემინარიებისთვის ორიგინალური სახელმძღვანელოები შექმნა. სახელმწიფო სასწავლებელთა გარდა, ქართლ-კახეთში კერძო სასწავლებლებიც არსებობდა. თბილისის კერძო სკოლებში განათლებას არა მხოლოდ ქართველები იღებდნენ, არამედ სომხები და სხვები. ცალკე იყო კათოლიკეთა კერძო სკოლა, რომელმაც არსებობა 1755 წელს შეწყვიტა, თეიმურაზის მიერ კათოლიკების ქართლ-კახეთიდან განდევნის შემდეგ. სასწავლო წიგნებზე დიდი მოთხოვნილების გამო, იესე ბარათაშვილმა წიგნის გადამწერთა მთელი დასი ჩამოაყალიბა. 1799 წელს იოანე ბატონიშვილმა თბილისში, გორსა და თელავში უმაღლესი სასწავლებლების გახსნის წინადადება წამოაყენა.

კულტურის კერებს საკუთარი წიგნსაცავები ჰქონდა. ბიბლიოთეკები გააჩნდა დავით გარეჯის მონასტერს, თბილისის სიონს, დოდოს, მცხეთის, შიომღვიმისა და სხვა მონასტრებს. მდიდარი იყო მცხეთის საკათალიკოსო ბიბლიოთეკა. ანტონ კათალიკოსის წიგნსაცავი კი 7000 ტომს ითვლიდა. იგი 1795 წელს მთლიანად განადგურდა. ბიბლიოთეკები არსებობდა ქუთაისში, გელათში, მარტვილში, ზუგდიდში, ოზურგეთში, შემოქმედში.

1801 წლიდან 1918 წლამდე ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრება ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენისათვის ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობდა. XIX საუკუნის პირველ წლებში რუსეთში წარჩინებულთა ოჯახების იძულებით გადასახლებით ქართული კულტურის კერები მოიშალა, თბილისსა და თელავში სასწავლებლები დაიხურა.

მოსკოვსა და პეტერბურგში გადასახლებული ქართველი ბატონიშვილები არ კარგავდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იმედს და იქ დიდ კულტურულ საქმიანობას ეწეოდნენ: წერდნენ წიგნებს საქართველოს ისტორიაზე, თარგმნიდნენ უცხოურ ლიტერატურას, ადგენდნენ სახელმწიფოებრივი გარდაქმნის პროექტებს. იოანე ბატონიშვილმა ენციკლოპედიური ნაწარმოები „კალმასობა" იგივე „ხუმარსიტყვაობა" დაწერა, რომელშიც XIX საუკუნის დასაწყისის საქართველოს სინამდვილეა აღწერილი.

1804 წელს თბილისში რუსული სკოლა გაიხსნა, რომელიც 1830 წელს გიმნაზიად გადაკეთდა. იმავე წელს ქალთა სკოლა-პანსიონატიც დაფუძნდა. 1817 წელს სასულიერო სემინარია, ხოლო 1850 წელს თბილისში მეორე გიმნაზია დაარსდა. ქუთაისში, გორში, ახალციხეში, სიღნაღში საერობო სკოლებმა დაიწყო ფუნქციონირება.

დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო თბილისში 1819 წელს ქართული გაზეთის დაარსება. 1818-1832 წლებში სოლომონ დოდაშვილის რედაქტორობით გაზეთი - „თბილისის უწყებანი" გამოდიოდა. 1832 წელს დაარსდა პირველი ლიტერატურული გაზეთი „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი", რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეებს ავრცელებდა. დიდი მოვლენა იყო 1846 წელს ქართული საჯარო ბიბლიოთეკის, ხოლო 1852 წელს კავკასიის მუზეუმის დაარსება.

ქართული კულტურის აღმავლობა ცარიზმს, ბუნებრივია, ხელს არ აძლევდა. მთავრობის მიერ საქართველოში დაარსებული რამდენიმე სასწავლებელი რუსიფიკაციის პოლიტიკას ახორციელებდა. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის საპირისპიროდ, იზრდებოდა ხალხის მისწრაფება განათლებისაკენ. საქართველოში

ფრიად მომრავლდა კერძო პანსიონები, სამონასტრო და საოჯახო სკოლები. თერგდალეულთა ძალისხმევით ქუთაისსა და თბილისში ქართული გიმნაზიები გაიხსნა. სახალხო განათლების ხაზით უდიდესი მუშაობა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ" გასწია. დიდი მოვლენა იყო წინამძღვრიანთ კარში სასოფლო-სამეურნეო სკოლის დაარსებაც. ქართველ ეროვნულ მოღვაწეთა დამსახურებაა, რომ საქართველო XIX საუკუნის ბოლოსთვის, მთელს რუსეთში წერა-კითხვის ცოდნის მხრივ პირველ ადგილზე იდგა. იაკობ გოგებაშვილს გვერდში გამოჩენილ პედაგოგთა მთელი პლეადა – ილია წინამძღვრიშვილი, პეტრე ოცხელი, ნიკო ჯანაშია, ივანე როსტომაშვილი, კონსტანტინე გვარამაძე, ივანე ნიჟარაძე ამოუდგა. ქართულ ინტელიგენციას ეროვნული უმაღლესი სასწავლებლის გახსნაც სურდა, მაგრამ ცარიზმი ამ ღონისძიებას წინ იმ საბაბით ეღობებოდა, რომ თითქოს უმაღლესი სკოლისათვის ქართული საზოგადოებრიობა ინტელექტუალურად უმწიფარი იყო (!).

ცარიზმი საქართველოში, ისე როგორც თავის სხვა განაპირა კოლონიებში, ზღუდავდა სახალხო განათლებას. განსაკუთრებით ეროვნულ სკოლებს ებრძოდა. 1901-1902 წლებში თბილისის გუბერნიაში 197 დაწყებითი სკოლა არსებობდა, ქუთაისის გუბერნიაში – 223. სასკოლო ასაკის ბავშვთა 67% სკოლის გარეთ იყო დარჩენილი. მთავრობის მიერ თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში გახსნილ გიმნაზიებში სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. XX საუკუნის პირველ ოცწლეულში მშობლიურ ენაზე წიგნის გამოცემის საქმე წინ წავიდა. 1900-1920 წლებში 3000-ზე მეტი ქართული წიგნი გამოიცა.

XX საუკუნის 90-იან წლებამდე გვარწმუნებდნენ, რომ 1918-1921 წლები, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის წლები, ქართული კულტურის დაცემისა და დეგრადაციის ხანას წარმოადგენდა. ისტორიული სინამდვილე კი, სრულიად საწინააღმდეგოა. სწორედ ეს პერიოდია ქართული კულტურის დიდი აღორძინების ხანა. ცარიზმის არტახებისგან გამოხსნილ საქართველოში თავისუფალი შემოქმედების, ეროვნულობის დამკვიდრების უდიდესმა პოტენციამ ამოხეთქა. ქართული მხატვრული და მეცნიერული აზრის აფეთქება ბოთლში გამომწყვდეული გოლიათის განთავისუფლებას ჰგავდა. იმ პერიოდის საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა სკოლებში მშობლიური ენის დამკვიდრება იყო, რამაც რუსიფიკაციას საფუძველი საბოლოოდ მოუშალა. სკოლების რაოდენობის გაზრდასთან ერთად, განხორციელდა მათი თვისებრივი გარდაქმნაც. 1914 წლისათვის საქართველოში 864 სკოლა მოქმედებდა, 80 000 მოწაფით. 1920 წლისათვის სკოლათა რიცხვი 1924-მდე, ხოლო მოსწავლეთა

რაოდენობა 161 000-მდე გაიზარდა. დაიწყო ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების შედგენა; ფართოდ გაიშალა ტერმინოლოგიური ძიებანი. მაზრებში გაიხსნა მასწავლებელთა სემინარიები. დიდი ყურადღება მიექცა აგრონომიულ და ტექნიკურ განათლებას.

ქართული კულტურის აღორძინების უდიდესი ფაქტორი ქართული უნივერსიტეტის დაარსება იყო. ისტორიული მოვლენა 1918 წლის 26 იანვარს, დიდი ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით განხორციელდა. ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებისათვის გაჩაღებულ მოძრაობაში მთელი ქართული ინტელიგენცია ჩაება. უნივერსიტეტის პირველ პროფესურას დიდებული მეცნიერები – ივ. ჯავახიშვილი, პ. მელიქიშვილი, ე. თაყაიშვილი, შ. ნუცუბიძე, გ. ჩუბინაშვილი, ა. რაზმაძე, დ. უზნაძე, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, კ. კეკელიძე შეადგენდნენ. ისინი მსოფლიოს ნებისმიერ უნივერისტეტს დაამშვენებდნენ. კერძო თაოსნობით გახსნილი უნივერსიტეტი 1918 წელსვე საქართველოს მთავრობამ თავის მფარველობაში მოაქცია და ავტონომიური უფლების შენარჩუნებით სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსი დაუმკვიდრა. უნივერსიტეტის დამფუძნებლებმა მათემატიკის, ფიზიოლოგიის, გეოლოგიის, ფსიქოლოგიის, ისტორიის, ფილოსოფიის, ლიტერატურის ქართული სამეცნიერო მიმართულებანი – სკოლები შექმნეს.

1920 წელს სახალხო განათლების სამინისტრომ ევროპაში 75 ნიჭიერი ახალგაზრდა უმაღლესი განათლების მისაღებად გაგზავნა. ამათგან ნაწილი დემოკრატიული მთავრობის დამხობის შემდეგ ევროპაში დარჩა, ხოლო სამშობლოში დაბრუნებულებმა მძიმე რეპრესიები განიცადეს.

უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო თბილისის კონსერვატორიის დაარსებაც. 1917 წლის 2 მაისს თბილისის სამუსიკო სასწავლებლის ბაზაზე სახელმწიფო კონსერვატორია დაფუძნდა. ქართული სამეცნიერო ცხოვრების შესანიშნავ ფაქტს წარმოადგენდა 1917 წელსვე კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის დაარსება. ამავე ხანაში ვითარდება ქართული მწერლობა, მხატვრობა, თეატრი.

XX საუკუნის 20-30-იან წლებში კომუნისტური იდეოლოგია სოციალიზმის აშენების მთავარ პირობად, ინდუსტრიალიზაციასა და კოლექტივიზაციასთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, კულტურულ რევოლუციას მიიჩნევდა, რაც ე.წ. „საბჭოთა ინტელიგენციის" ჩამოყალიბებას გულისხმობდა. კომუნისტურმა პარტიამ კულტურული რევოლუციის დანიშნულება მისი იდეოლოგიისადმი ყველა საბჭოთა ადამიანის მონურ ერთგულებამდე დაიყვანა. საქართველოშიც კულტურის ფრონტზე „დაკვრითი ღინისძიებანი" განხორციელდა. სწრაფად იზრდებოდა საშუალო და უმაღლესი სკოლების რაოდენობა. 1940 წლისათვის საქართველოში

5000-მდე სკოლა და 19 უმაღლესი სასწავლებელი იყო. 40-80-იან წლებში საქართველოს სკოლა, მიუხედავად რიგი ნაკლოვანებებისა, ახალგაზრდობას ფართო ზოგად განათლებას აძლევდა.

§ 3. ქართული ენა, დამწერლობა, ლიტერატურა, წიგნი

ქართული ენა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი ენაა. იგი ჩვენი ხალხის, მისი კულტურის თვითმყოფადობის უმთავრესი ნიშანია. ქართული ენა საუკუნეების მანძილზე ერთიანობას განსაზღვრავდა. ქართველური ენები შედგება საკუთრივ ქართულის, მეგრულ-ჭანურისა და სვანურისაგან. წინარექართველური ან პროტოქართული ენა სამხრეთ კავკასიაში ძვ.წ. V ათასწლეულში ჩამოყალიბდა. მას ძვ.წ. III ათასწლეულში სვანური ენა გამოეყო, ხოლო ძვ.წ. II ათასწლეულში – მეგრულ-ჭანური.

თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენისათვის დამახასიათებელია ყველა ფუნქცია, რაც პოლივალენტოვან სალიტერატურო ენას შეიძლება ჰქონდეს. ქართული ენით გამოიხატება ნებისმიერი მხატვრული და მეცნიერული აზრი. ამ ენაზე შეიქმნა ილიას უმდიდრესი მხატვრული, ორიგინალური და ნათარგმნი სამეცნიერო და პოლიტიკური ლიტერატურა. ქართულ ენაზე დამუშავებულია ორმოცზე მეტი სახის სამეცნიერო ტერმინოლოგიის ლექსიკონი. სალიტერატურო (სამწერლობო) ქართული ენა მრავალსაუკუნოვანი ქართული სულიერი კულტურის პროდუქტიცაა და ამ კულტურის განვითარების მძლავრი იარაღიც. უკვე XI-XII საუკუნეებისათვის ქართული ენა იმდენად იყო განვითარებული, რომ ფილოსოფიურ თხზულებათა ქართულად თარგმნა და ინტერპრეტაცია შეუფერხებლად ხდებოდა (ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი).

სალიტერატურო ქართულ ენაში ძველ ქართულ, ახალ ქართულ და ხშირად საშუალო ქართულ (XII-XVIIIსს.) ენებს გამოყოფენ. უკანასკნელი მხოლოდ გარდამავალი საფეხურია ძველსა და ახალ ქართულს შორის. ძველი ქართულის უძველეს ძეგლებად ითვლება პალესტინაში იუდას უდაბნოს წარწერები (430წ.) და წარწერა ბოლნისის სიონზე (V ს-ის ბოლო მეოთხედი). ზოგი მკვლევარი უძველეს ქართულ წარწერებად მიიჩნევს ნეკრესისა და ურბნისის წარწერებს. ბოლნისის სიონის წარწერის მსგავსად, VI-VII საუკუნეების ზოგიერთი წარწერაც ხანმეტია. პირველი თარიღიანი ქართული ხელნაწერი 864 წლის სინური მრავალთავია. თარიღიან ოთხთავებში (სახარებებში) ყველაზე ძველი ადიშის ოთხთავია (897წ.) XII საუკუნეების საერო ლიტერატურა (ვეფხისტყაოსანი, მეხოტბეთა პოეზია,

საისტორიო მწერლობა, ნათარგმნი პროზა) ახალი ქართული ენის დასაბამს ქმნის. XVIII საუკუნეებში ახალი ქართულის ჩამოყალიბების პროცესი დამთავრებულია (დავით გურამიშვილი, სულხან-საბა ორბელიანი). ანტონ კათალიკოსისა და მის მიმდევართა მიერ დაკანონებულმა სამი სტილის თეორიამ და შესაბამისმა ხელოვნურმა ნორმებმა მთელი საუკუნით (XVIII ს-ის 60-იანი წლებიდან მოკიდებული XIX ს-ის 60-იან წლებამდე) შეაფერხა სალიტერატურო ქართული ენის ბუნებრივი განვითარება. ილია ჭავჭავაძის და მის თანამოაზრეთა მწვავე ბრძოლის შედეგად სალიტერატურო ქართულის ნორმალური განვითარების პროცესი აღდგა.

საუკუნეთა მანძილზე ძველი ქართული ახალი ქართულით შეიცვალა. ცვლა დაეტყო ლექსიკასა და გრამატიკას. მაგრამ ეს ცვლილებები არაარსებითია. არათუ „ვეფხისტყაოსანი", არამედ „შუშანიკის წამება" და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" სრულიად გასაგებია თანამედროვე კულტურული მკითხველისათვის. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ თავსართებსა და ბოლოსართებს გრამატიკული ფუნქცია აქვს. მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც ის უნდა იყოს, რომ საუკუნეთა მანძილზე სალიტერატურო ქართულს საყრდენი დიალექტი არ შეუცვლია. ქართლის მეტყველება და ნაწილობრივ მასთან ახლოს მდგომი კახური საყრდენი (ფუძე) დიალექტი იყო და ისეთად დარჩა, რომლითაც, ძირითადად, საზრდოობს ქართული სამწერლობო ენა (თუმცა არაა გამოსარიცხი ფშაური, მოხეური, თუშური, გურული, იმერული, ჯავახური დიალექტების სალიტერატურო ქართულზე მოქმედების კვალი). საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ქართული ენის დიალექტებს შორის დიდი სხვაობა არაა.

დიდებული ქართული ენის ფასი და ყადრი ყოველთვის იცოდნენ საქართველოში. ადრეულ შუა საუკუნეებში (V-Xსს.) სასულიერო (ლიტურგიული ლიტერატურა) უპირატესად ბერძნულიდან ითარგმნებოდა ქართულად. ბერძნული ენა წალეკვით ემუქრებოდა ქართულს. და აი, X საუკუნეში, როდესაც იწყება ქართული ფეოდალური მონარქიის გაერთიანების პროცესი, მოწინავე ქართველობა იგრძნობს საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლის მძლავრი იარაღის – ქართული ენის დაცვისა და დაფასების საჭიროებას. X საუკუნეში სინას მთაზე მოღვაწე დიდი პატრიოტი ბერი იოანე ზოსიმე ქმნის ქართული ენის სადიდებელს - „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ". ამ თხზულების აზრი ასეთია: მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენა, ბერძნულთან შედარებით დღეს „მდაბალი და დაწუნებულია", ლაზარესავით „დამარხული" და „მძინარე", ის „შემკული და კურთხეულია"; ის ისეთივე „მეგობარი" ან თანასწორია ბერძნულისა, როგორი

მეგობრებიც იყვნენ ნინო და ელენე, რომელთაგან ერთმა უქადაგა სახარება ქართველებს, ხოლო მეორემ – ბერძნებს, ისინი „დებია", როგორც მართა და მარიამი. ქართულ ენას ბერძნულთან და სხვებთან უპირატესობაც აქვს: მეორედ მოსვლისას მაცხოვარი ამ ენაზე განიკითხავს და ამხილებს მსოფლიოს: „დამარხულ არს ენა ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რაჲთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა".

იოანე-ზოსიმეს მაღლა ეჭირა ეროვნული თვითშეგნების და ღირსების დროშა და თამამად უპირისპირებდა ერთიმორეს ქართულსა და ბერძნულ კულტურას და პირველს მეორის წინაშე უპირატესობას ანიჭებდა.

ილია ჭავჭავაძე ქართული ენის „წახდენას" ერის დაცემის ტოლფასად მიიჩნევდა. ჩვენს დროში ქართულ ენას ბრწყინვალე ლექსი უძღვნა ლადო ასათიანმა („ქართული ენა". იხ. ლადო ასათიანი, რჩეული, თბილისი, 1986, გვ. 89); ხოლო იერუსალიმის ჯვრის ქართულ მონასტერში შოთა რუსთაველის ფრესკისა და, იქნებ თვით საფლავის, აღმოჩენით აღფრთოვანებულ პოეტ ირაკლი აბაშიძეს კატამონის ქართულ მონასტერთან მოესმა რუსთაველის ხმა, რამაც შეაქმნევინა შედევრი - „ხმა კატამონთან" – ქართული ენის დიდებული საგალობელი (იხ. ირაკლი აბაშიძე, რჩეული, თბილისი, 1969, გვ. 143-145).

ქართული ანბანი, დამწერლობა. ქართული ანბანი ერთ-ერთია მსოფლიო 14 ორიგინალურ დამწერლობათა შორის. იგი წერის დამოუკიდებელი სისტემაა, რომელიც გადმოსცემს ქართული მეტყველების ბგერით შემადგენლობას და ქმნის ეროვნული ქართული ენის წერილობით და ბეჭდვით ფორმას. ანბანური დამწერლობა მით უფრო იდეალურად ითვლება, რამდენადაც თითოეული ასო (გრაფემა) ზუსტად შეესატყვისება სათანადო ბგერას (ფონემას). ამ მხრივ, მსოფლიოს ანბანთა შორის ქართული ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილია. აქ თითოეული ფონემა სათანადო გრაფემით აღინიშნება. ქართულ ანბანში არ არის შემთხვევა, რომ რამდენიმე ნიშანი ერთ ფონემას აღნიშნავდეს ან კიდევ – გამოყენებული იყოს ფონემათა ჯგუფის აღსანიშნავად (როგორც ამას ადგილი აქვს მსოფლიოს ანბათა უდიდეს უმრავლესობაში). გამონაკლისია „უ", რომელიც ორი ასოთი აღინიშნებოდა.

მეცნიერები გამოყოფენ ქართული დამწერლობის განვითარების სამ საფეხურს: ძველს (V ს-დან IX ს-მდე), საშუალოს (IX ს-დან XI ს-მდე) და ახალს (XI ს-დან დღევანდლამდე). ამ სახეობათა სახელწოდებებია: მრგვლოვანი ანუ ასომთავრული, ნუსხური ანუ ნუსხა-ხუცური, მხედრული ანუ საერო. მრგვლოვანისგან წარმოიშვა ნუსხური, ხოლო ნუსხურისაგან – მხედრული.

ჩვენამდე მოღწეული ასომთავრული ხელით შესრულებული პირველი წერილობითი ძეგლები ეპიგრაფიკული წარწერებითაა წარმოდგენილი. ასომთავრულით, ანუ მრგვლოვანითაა დაწერილი, აგრეთვე, პალიმფსესტები და მხატვრული ნაწარმოებები. მრგვლოვანის გრაფიკულ განვითარებას ნუსხური წარმოადგენს. იგი წერის კუთხოვანი სახეობაა. ასომთავრულთან შედარებით კუთხოვანი ოდნავ მარჯვნივ გადახრილი დამწერლობაა. დახრილობა მთლიანად ასოს და უპირატესად, ასოთა ზედა და ქვედა ტანს ემჩნევა. ხაზების გადაკვეთის ადგილას კუთხეები კეთდება. პირველად კუთხოვანი ასოებით დაწერილი ტექსტი გვხვდება ანდერძში, რომელიც 864 წლის გადაწერილ სინურ მრავალთავს ახლავს. მრგვლოვანთან შედარებით ნუსხური ეკონომიურია.

კუთხოვანი ნუსხა-ხუცურისაგან წარმოიშვა მრგვლოვანი ნუსხა-ხუცური, რომლისთვისაც ასოთა მომრგვალების გარდა, ასოთა გადაბმულობაა დამახასიათებელი. მხედრულ დამწერლობაში ასოების კუთხიანი ფორმები დამრგვალდა და ასოები საერთოდ გასწორდა. XI საუკუნის ისტორიულ დოკუმენტებში მხედრული და ნუსხური დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს. ანბანის გარდაქმნა ეპოქის მოთხოვნებით იყო გამოწვეული: XI-XII საუკუნეების საქართველოს ინტენსიური კულტურული ცხოვრება სწრაფ და ეკონომიურ წერას მოითხოვდა, რასაც მხედრული ანბანი უფრო შეესაბამებოდა.

ქართული დამწერლობის სახეობები შემდგომ საუკუნეებში პარალელურად იხმარებოდა. საეკლესიო წიგნებს ასომთავრულით და ნუსხა-ხუცურით წერდნენ, ხოლო მეფეთა ბრძანებებს, სამართლის ძეგლებს და მხატვრულ ლიტერატურას – მხედრულით. მხედრულმა წერამ საეკლესიო წრეებშიც შეაღწია. ძველი აღთქმის XVI საუკუნის მნიშვნელოვანი ნუსხა მხედრულითაა დაწერილი. ვახტანგ VI-მ 1709 წელს თბილისის სტამბაში რამდენიმე სასულიერო ხასიათის წიგნი დაბეჭდა. ზოგი მათგანი მხედრული შრიფტითაა შესრულებული. მხედრული ასოებითაა დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის" პირველი გამოცემაც (1712წ.). პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნების შემდეგ მხედრული შრიფტი სტაბილიზებულია და ერთ მთლიან სახეობად ჩამოყალიბებული.

ქართული დამწერლობის წარმოშობის პრობლემა ჯერ კიდევ გადაუჭრელია. ქართული ანბანის სამივე სახეობის გრაფიკა სრულიად თავისებურია და მას აშკარა პარალელები მსოფლიოს არცერთ ანბანში არ მოეპოვება. უეჭველია, ქართული ანბანი შექმნილია იმ ადამიანის მიერ, რომლისთვისაც ქართული ენა მშობლიური იყო. ძველ ქართულ ენაში არსებული ყველა ბგერა (ფონემა) ანბანში საოცარი სიზუსტითაა ასახული. ანბანის ავტორი იცნობს თავისი დროის

გრამატიკულ სისტემებს, რამდენადაც ანბანში ასოთა თანამიმდევრობისა და დალაგების პრინციპი ემთხვევა იმდროინდელ ანბანთა სისტემებს, ხოლო ბოლოშია მოქცეული ქართული ენისათვის სპეციფიკური ბგერების აღმნიშვნელი ასოები (გრაფემები).

ქართული საისტორიო ტრადიციით (XI ს-ის ისტორიკოსი ლეონტი მროველი), ქართული ანბანი შეიქმნა ძვ.წ. III საუკუნეში, ფარნავაზის მეფობის დროს. ზოგი მეცნიერი ქართული ანბანის წარმოშობის თარიღად ძვ.წ. VII ან ძვ.წ. V საუკუნეს მიიჩნევს, ზოგს კი იგი ქართული ქრისტიანული კულტურის პროდუქტად ესახება. მეცნიერთა უმრავლესობა ასაბუთებს, რომ ჩვენამდე რეალურად მოღწეული უძველესი დამწერლობის ძეგლები (IV-Vსს.) არ შეიძლება მივიჩნიოთ ქრონოლოგიურად პირვანდელ ნიმუშებად. ქართული ანბანი წინაქრისტიანულ ხანაში უნდა იყოს წარმოშობილი. მეცნიერებაში არაა ერთსულოვნება ქართული ანბანის წარმოშობის პირველწყაროს შესახებ. ქართულ ანბანს ზოგჯერ ფინიკიურ, არამეულ და ბერძნულ დამწერლობებს უკავშირებენ.

1984 წელს არაგვის ხეობის სოფელ დავათის ეკლესიაში V-VI საუკუნეებით დათარიღებული (ზოგი მას VIII-X სს-ითაც ათარიღებს) ქვასვეტი (სტელა) აღმოჩნდა. მის ერთ გვერდზე რთული გამოსახულებაა: მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზებს ხელთ უპყრიათ გრაგნილი, რომელზეც თანმიმდევრულადაა ამოკვეთილი ქართული ასომთავრული ანბანი – ანიდან ჰაემდე, რაც ქართული ანბანის (ენის) ამაღლების სცენას უნდა წარმოადგენდეს. სტელის ქვემო ნაწილში მამაკაცის ორი ფიგურაა დამოწმებული, რომლებშიც მკვლევარნი ფარნავაზს (ქართული ანბანის შემომღებს) და მირიანს (ქართული ანბნის გამაქრისტიანებელს) ხედავენ. სტელაზე გამოსახული ანბანის ზოგ ასოზე თანდართული ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობის შეკრებით 5320 წელს იღებენ, რომელიც შეესაბამება ძვ.წ. 284 წელს, რაც, ზოგი სპეციალისტის აზრით, ფარნავაზის მიერ ქართული ანბანის შემოღების თარიღია. ამგვარად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ დავათის სტელაზე გამოსახული რელიეფის ავტორმა ხორცი შეასხა „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ"-ში განცხადებულ იდეას ქართული ენის განსაკუთრებულობის, მეორედ მოსვლის ჟამს მისი პრიორიტეტის შესახებ.

ქართული ლიტერატურა. ცნობილია, რომ სამწერლობო ლიტერატურამდე ზეპირსიტყვიერი, ანუ ფოლკლორული ლიტერატურა იქმნება. ამ მხრივ, გამონაკლისი არც ქართველი ერია, რომელმაც ზეპირსიტყვიერების უმდიდრესი ნიმუშები შექმნა დაწყებული ძვ.წ. III-II ათასწლეულებიდან ვიდრე XXI საუკუნემდე.

ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ეპიკური ძეგლი „ამირანიანია", რომლის კვალი ნივთიერი კულტურის ძეგლებზეცაა აღბჭდილი (თრიალეთის ვერცხლის თასზე გამოსახული მონადირეთა დღესასწაული; ყაზბეგის განძის ითიფალური ფიგურები; ნადირობის კომპოზიცია სამთავროს ბრინჯაოს სარტყლებზე). ამირანი მარადიული გმირის თვისებებითაა შემკული – ებრძვის ბოროტ ძალებს, ადამიანებისათვის მოაქვს ცეცხლი, აფუძნებს წყვილთა ოჯახს. იგი ღმერთთან მებრძოლი გმირია, რისთვისაც კლდეზე მიჯაჭვით ისჯება.

ამირანთან ბევრ საერთოს პოულობს კავკასიასა და ხმელთაშუაზღვის რეგიონში გავრცელებული მიჯაჭვული გმირის შესახებ თქმულებები. განსაკუთრებით ახლოა მასთან ბერძნული მითი ტიტან პრომეთეს შესახებ, რომელსაც ადამიანებისათვის ცეცხლის მიტანის გამო ზევსი კავკასიონის ქედზე მიაჯაჭვებს. მითები ამირანისა და პრომეთეს შესახებ ერთმანეთთან თუ გენეტიკურად არა, ტიპოლოგიურად მაინცაა დაკავშირებული, რაც ძველი ქართველებისა და ბერძნების აზროვნებისა თუ შემოქმედებითი ფანტაზიის ერთგვაროვნებასა და ურთიერთმსგავსებას უსვამს ხაზს.

უმდიდრესი ქართული ზეპირსიტყვიერებიდან ამჯერად შევჩერდები მხოლოდ „ეთერიანზე", რომლის ჩვენამდე მოღწეული ვარიანტი X-XI სს-ით თარიღდება. მასში გადმოცემულია უფლისწულ აბესალომისა და მდაბიო ქალის – ეთერის უზადო ტრაგიკული სიყვარულის ამბავი. „ეთერიანში" გატარებული იდეით, სიყვარული ბოროტებასა და თვით სიკვდილზეც იმარჯვებს. ქართული „ეთერიანი" თამამად შეიძლება გვერდში დაუდგეს ისეთ ლიტერატურულ შედევრებს, როგორიცაა „ტრისტანი და იზოლდა" და „რომეო და ჯულიეტა". „ეთერიანის" საფუძველზე ზაქარია ფალიაშვილმა გენიალური ოპერა „აბესალომ და ეთერი" შექმნა (1919წ.).

ძველი ქართული ლიტერატურის ჩვენამდე მოღწეული პირველი ძეგლი იაკობ ხუცესის (ცურტაველის) „შუშანიკის წამებაა". საქართველოში სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადების შემდეგ, ჩვენში მდიდარი სასულიერო მწერლობა განვითარდა. ინტენსიური მთარგმნელობითი მუშაობის პარალელურად, იქმნებოდა ორიგინალური სასულიერო მწერლობა. ავტორიტეტული, მსოფლიო სახელების მქონე მეცნიერების – ა. ჰარნაკის, ნ. მარის, კ. კეკელიძის მართებული თვალსაზრისით, დღეს შეუძლებელია მსოფლიო ქრისტიანული სასულიერო მწერლობის ყველა ასპექტის წარმოდგენა ქართულ ენაზე არსებული უნიკალური სასულიერო მწერლობის მდიდარი მემკვიდრეობის გათვალისწინების გარეშე.

ქართულ თარგმანებს არაერთი ისეთი ძეგლი შემოუნახავს, რომლის დედნები ამჟამად დაკარგულად ითვლება; ბევრი თხზულებისა და ავტორის არსებობა დღეს მხოლოდ ქართული მასალით დასტურდება.

ქართული სასულიერო ლიტერატურის დიდებული ძეგლები „შუშანიკის წამება", „ნინოს ცხოვრება", „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა", „აბოს წამება", „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება", „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" და სხვა, იმავე დროს უბრწყინვალესი ქართული საისტორიო თხზულებებია, რომლებიც შესანიშნავად ასახავენ თანადროულ პოლიტიკურ, სოციალურ თუ კულტურულ ცხოვრებას.

ქართული კულტურის ურთიერთობას მეზობელი ხალხების კულტურასთან ორმხრივი ხასიათი ჰქონდა. ამ თვალსაზრისით, ნიშანდობლივია „ბალავარიანის" ისტორია. „სიბრძნე ბალავარისი" – შუა საუკუნეების პოპულარული ჰაგიოგრაფიულ-მორალური ხასიათის სასულიერო რომანის „ბალავარიანის" ქართული რედაქციაა. თხზულება ინდური წარმოშობისაა. ქართულად იგი არაბული ენიდან უნდა იყოს გადმოკეთებული. მასში ინდოეთში ქრისტიანობის გავრცელების ამბავია მოთხრობილი. „ბალავარიანის" ქართული ვერსია რომანის პირველი ქრისტიანული გადამუშავება უნდა იყოს. ნაწარმოები ქართულიდან ბერძნულად X-XI საუკუნეების ქართველმა მოღვაწემ ექვთიმე მთაწმინდელმა თარგმნა. „ბალავარიანი" ბერძნულიდან ლათინურად ითარგმნა, ხოლო ბერძნულ-ლათინურის წყალობით ფართოდ მთელს დასავლეთში, მათ შორის სლავურ ქვეყნებშიც გავრცელდა.

XII საუკუნის შუა წლებში სპარსულიდან ქართულად თარგმნილი გორგანის რომანის „ვის ო რამინის („ვისრამანის") ქართული ვერსია იმდენად სრულყოფილი აღმოჩნდა, რომ იგი მეცნიერებმა თვით სპარსული დედნის აღსადგენად გამოიყენეს. XII საუკუნე და XIII საუკუნის პირველი მეოთხედი ძველი ქართული ლიტერატურის კლასიკური პერიოდია. მისი უმთავრესი ნიშანია საერო მწერლობის წარმოშობა და მძლავრი განვითარება. ძნელბედობით გამოწვეულ ქარტეხილებს მრავალთაგან მხოლოდ ხუთი ნაწარმოები გადაურჩა – „ამირანდარეჯანიანი", „ვისრამიანი", „აბდულმესია", „თამარიანი" და „ვეფხისტყაოსანი".

ქართული პოეტური კულტურის მიუწვდომელი მწვერვალი და მსოფლიო ლიტერატურის შედევრი, რასაკვირველია, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანია", რომელიც XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე შეიქმნა.

რუსთაველმა გაუსწრო თავის ეპოქას, გასცდა შუასაუკუნოვან იდეოლოგიას, კაცობრიობას პოეზიის ენით უქადაგა ჰუმანიზმი, ადამიანის ამქვეყნიური

იდეალები. თუმცა რუსთაველი, თავისი მრწამსით, ქრისტიანია. იგი სხვა რელიგიების შემწყნარებლობასაც (ტოლერანტიზმს) ქადაგებს. რუსთაველი ევროპული რენესანსის წინამორბედია. მაგრამ რუსთაველი არაა გამონაკლისი ქართულ კულტურაში. მას მხარს უმშვენებს თავისი ეპოქის რენესანსული იერის მქონე ქართული მხატვრობა – ყინწვისის ანგელოზის ფრესკა და ბექა და ბეშქენ ოპიზარების ჭედური ხელოვნება.

აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი ქართული კულტურის დედაბოძებად, ჰიპოსტასებად სახარებას, „ვეფხისტყაოსანს" და „ქართლის ცხოვრებას" თვლიდა. ამასთანავე იგი ბრძანებდა: „იდეური განვითარების თვალსაზრისით ჩვენ 600 წელიწადს (XIII-XVIII სს.) ფეხი არ წაგვიდგამს წინ. შოთა მხოლოდ ფორმის ვირტუოზულობით კი არ გახდა გადაულახველი და მუდამ მისაბაძი, არამედ იდეათა მოწინავეობითაც. შემდგომი დროის საზოგადოებას (იმავე ადგილის უილაჯოდ მტკეპნელს) არაფერი ჰქონდა სათქმელი, რომ ახალი ეთქვა. შოთას გადაულახველობა მარტო მისი სიდიადე-სიმაღლის მაჩვენებლი როდია, ეს მაჩვენებელია ქართული ფეოდალური საზოგადოების განვითარების შეფერხებისა, მისი სტაგნაციისა... შექსპირი გადალახეს და დანტე... მხოლოდ სპარსეთია, სადაც ფირდოუსი და ხაიამი დღესაც მიუწვდომლობის ცოცხალი ნიმუშია... მაგრამ ეს გარემოება ამდენადვე ირანის ჩამორჩენილობის მკაფიო ნიშანია".

ქართულმა მწერლობამ, მიუხედავად დიდი ისტორიული ქარტეხილებისა, „ვეფხისტყაოსნის" შემდეგაც შეძლო განვითარება. რუსთაველის შემდგომი ქართული ლიტერატურა მის უდიდეს გავლენას განიცდის (თეიმურაზ I, არჩილი, იოსებ თბილელი, ფეშანგი, „ვეფხისტყაოსნის" გამგრძელებლები), მაგრამ უკვე დავით გურამიშვილი ქართულ ლიტერატურაში სრულიად ახალ სიტყვას ამბობს. სწორედ „დავითიანიდან" იწყება ახალი ქართული ლიტერატურა. დავით გურამიშვილია ჩვენში რეალიზმის და, მეტიც, კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებელი. იგი, ამ მხრივ, წინ უსწრებს ევროპულ მწერლობას, სადაც ეს მიმართულება მხოლოდ XIX საუკუნეში ყალიბდება.

თავისი ხალხისა და ქვეყნისადმი კრიტიკული დამოკიდებულება ახალი ქართული ლიტერატურის დამახასიათებელი თვისებაა. რად ღირს ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!" და „ბედნიერი ერი", ან თუნდაც დავით კლდიაშვილის მოთხრობები. აქ არის სარკაზმიც, ირონიაც და ღიმილიც, ცრემლიანი თანაგრძნობაც თავისი დაბეჩავებული ხალხისადმი.

რუსთაველს ღირსეული მემკვიდრენი გამოუჩნდნენ. რად ღირს ბარათაშვილის რამდენიმე გენიალური რომანტიკული ლექსი. მხოლოდ ერთი სტროფი გავიხსენოთ:

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა
უნდა კიდეცა მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა:
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს".

XX საუკუნემ არაერთი დიდებული ქართველი პოეტი შვა: გალაქტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი (კვირკველია), ლადო ასათიანი. თუ გრანელის ყოველი სტროფი მოახლოვებული სიკვდილის განცდით სუნთქავს, ლადო ასათიანის ყოველი ლექსი სიცოცხლისადმი მიძღვნილი დიდი ჰიმნია:

„რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს,
სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ
და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს,
როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე!"

აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ სულმნათი აკაკი, დიდი პროზაიკოსები: ალექსანდრე ყაზბეგი, ნიკო ლორთქიფანიძე, გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, თამაზ და ოთარ ჭილაძე; ხოლო პოეტთაგან – კოლორიტული იოსებ გრიშაშვილი, ვაჟკაცური ტიციან ტაბიძე, სიტყვაბარაქა გიორგი ლეონიძე. XX საუკუნის ქართული ლიტერატურის მიმოხილვა ბევრს დაკარგავდა თუ არ ვახსენებდით შალვა დადიანის, ვასილ ბარნოვის, ირაკლი აბაშიძის, ნიკო სამადაშვილის, ლევან გოთუას, მირზა გელოვანის, გურამ რჩეულიშვილის, მურმან ლებანიძის, მუხრან მაჭავარიანის, შოთა ნიშნიანიძის, მორის ფოცხიშვილის, არჩილ სულაკაურის, რევაზ ინანიშვილის, ოტია იოსელიანის, ჭაბუა ამირეჯიბის, გურამ დოჩანაშვილის, ტარიელ ჭანტურიას, გურამ გეგეშიძის და სხვათა სახელებს.

ქართველმა ერმა შექმნა დიდი ლიტერატურა – ცურტაველიდან რუსთაველამდე და რუსთაველიდან ანა კალანდაძემდე.

ქართული წიგნი. ქართული წიგნის გამოცემის საქმეს დიდი ისტორია აქვს. წიგნის სტამბური წესით შექმნას, ჩვენში წინ ხელნაწერი წიგნები უსწრებდა, რომელთა პირველი ტყავფურცელი (პალიმფსესტი) VI საუკუნით თარიღდება, ხოლო უძველესი თარიღიანი ხელნაწერი წიგნი – სინური მრავალთავი 864 წელსაა გადაწერილი. აღსანიშნავია ხელნაწერი წიგნების გადამწერთა, ამკინძავთა, შემმოსავთა, დამკაზმავთა ოსტატობა, კალიგრაფიის სინატიფე, დეკორატიული

შემკულობა, ფერადი კომპოზიციები, მინიატურული დასურათება. ამის ნათელი დადასტურებაა ადიშის, ალავერდის, ჯრუჭის, ლარგვისის ოთხთავები; მიქაელ მოდრეკილის საგალობლები, ტბეთის, წყაროსთავის ოთხთავები, რომელთა ყდის ოქროჭედურობანი უზადო ხელოვნებითაა შესრულებული ბექა და ბეშქენ ოპიზარების მიერ.

პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი – „ქართულ-იტალიური ლექსიკონი", რომელიც სტეფანე პაოლინიმ ნიკიფორე ირბახის (ჩოლოყაშვილი) დახმარებით შეადგინა, რომში 1629 წელს გამოიცა. ამავე წელს რომშივე ცალკე წიგნად გამოქვეყნდა „ქართული ანბანი ლოცვებითურთ", 1643 წელს – ფრანცისკო მარია მაჯოს „ქართული ენის გრამატიკა", ხოლო 1741 წელს – დ. ტულუკაშვილის „საქრისტიანო მოძღვრება".

1703 წელს არჩილ II-მ ამსტერდამიდან მიღებული საგანგებოდ შეკვეთილი, ქართული შრიფტით სტამბაში ქართული წიგნის სამბეჭდაო გამართა და 1705 წელს „დავითნი" გამოსცა. 1709 წელს ვახტანგ VI-მ თბილისში გახსნა ევროპულ ყაიდაზე მოწყობილი სტამბა, სადაც დაიბეჭდა „სახარება", „სამოციქულო", „კონდაკი", „ლოცვანი" და „ჟამნი", 1712 წელს კი – „ვეფხისტყაოსანი". ვახტანგის სტამბამ 1723 წლამდე იარსება, ოსმალთა მიერ თბილისის აღებამდე. ვახტანგის სტამბაში სულ 20 წიგნი დაიბეჭდა. ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ (1737წ.), მისი საქმე რუსეთში ლტოლვილმა მისმა შვილებმა: ბაქარ და ვახუშტი ბატონიშვილებმა განაგრძეს. XVIII საუკუნის 30-იანი წლების დამლევიდან სხვადასხვა დროს მოსკოვსა და პეტერბურგში, აგრეთვე, რუსეთის სხვა ქალაქებში, ქართული წიგნის გამოცემის საქმეს სათავეში ქრისტეფორე გურამიშვილი, იოსებ სამებელი, ათანასე ამილახვარი, გაიოზ რექტორი, რომანოზ რაზმაძე ედგნენ. ერეკლე II-ის და ანტონ ბაგრატიონის მეცადინეობით 1749 წელს ნანგრევებიდან აღდგინეს და განახლდა თბილისის სტამბა, რომელიც ხელმეორედ 1795 წელს, აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრების დროს განადგურდა.

1797-1799 წლებში, სოლომონ II-ის თაოსნობით ქუთაისში ქართული სტამბა გამართეს. 1800 წელს აქ გამოსცეს „დავითნი". სტამბები მოუწყვიათ აგრეთვე, სოფლებში – წესსა და საჩხერეში. XIX საუკუნის პირველ ნახევარში თბილისში 19 ქართული და ერთი რუსულ-ქართული წიგნი დაიბეჭდა. XIX საუკუნის 60-80-იან წლებში ფართო საგამომცემლო მუშაობა, თბილისის გარდა, ქუთაისში, სენაკში, ბათუმში, გორში, ოზურგეთში, ფოთში, ზესტაფონში გაიშალა. XIX საუკუნის 30-იანი წლების დამდეგს ქართული წიგნები გამოიცა პარიზში, 60-80-იან წლებში – ვენეციაში, კონსტანტინოპოლში; უფრო მოგვიანებით – ბერლინსა და ლონდონში.

საგამომცემლო საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის 1879 წელს დაარსებულ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას” და 1887 წელს შექმნილ „წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობას”.

XX საუკუნეში ქართული წიგნის ბეჭდვითი საქმის კულმინაციაა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისა” (1950-1964წწ.) და „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის” გამოცემა (ტტ.1-11), დამატებითი ორი სპეციალური ტომით (1975-1987წწ.).

§ 4. ქართული ხელოვნება

არქიტექტურა. ქართველი ხალხის შემოქმედებითი პოტენციალი განსაკუთრებით სრულად ხელოვნებაში გამომჟღავნდა. საქართველოს მიწა-წყალზე შემორჩენილია ათასობით ნაგებობის ნაშთი (საცხოვრებელი, თავდაცვითი, საკულტო, სამეურნეო), კედლის მხატვრობისა და მოზაიკის, ხელნაწერთა მოხატულობის, ოქრომჭედლობის, ჭედურობის, მინანქრის, ხეზე კვეთის, ქსოვილებისა და ნაქარგების, ლითონისა და კერამიკული ჭურჭლის შესანიშნავი ნიმუშები.

საქართველოს რელიეფი წარმოუდგენელია ბუნებასთან ორგანულად შერწყმული ციხეებისა და ეკლესიების გარეშე, რომელნიც დღეს ფუნქცია დაკარგულები, ქართველი ერის იმ დიდ კულტურულ-აღმშენებლობით მოღვაწეობაზე მეტყველებს, რომელიც საუკუნეთა მანძილზე დუღდა და ისტორიის მსახვრელ ქარტეხილებს გადაურჩა. რა იქნებოდა დღეს ჩვენი ქვეყანა უფლისციხისა და ნარიყალას, მცხეთის ჯვრისა თუ სვეტიცხოვლის, ბაგრატისა თუ ალავერდის სილუეტების გარეშე?!

ქართველი შემოქმედი არქიტექტურაში ხელოვნებისადმი დამოუკიდებელ მიდგომას, მხატვრულ გემოვნებასა და სიმწიფეს ამჟღავნებს. სამშენებლო ხელოვნების ადრეული ნიმუშები ძვ.წ. VI-III ათასწლეულებს მიეკუთვნება. შულავერის, გორისა და იმირის გორის ნასახლარებზე შემორჩენილია ალიზით ნაგები 2,5-3 მ. დიამეტრის მრგვალი ოთახები, კონუსური გადახურვით, შუაში კერით და კვამლის გასასვლელი სარკმლით, ხოლო ურბნისის მახლობლად ქვაცხელებზე მეგარონის ტიპის სადგომები. ძვ.წ. II-I ათასწლეულებს მიეკუთვნება დასახლებები ხელოვნურად გამაგრებულ გორაკებზე (ცხინვალის ნაცარგორა, კასპის რაიონში –ხოვლეგორა). გავრცელებული იყო, აგრეთვე, მეგალითური ანუ ციკლოპური მშენებლობა, ყორღანული სამარხები და დოლმენები. მცხეთასა და ვანში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინა მნიშვნელოვანი

არქიტექტურული ძეგლები (სასახლეები, ტაძრები, მავზოლეუმი), რომლებშიც ბერძნულ-რომაულ გავლენებთან ერთად, ძლიერი ადგილობრივი ტრადიციებიც ჩანს. ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში უნდა დაწყებულიყო კლდეში ნაკვეთი ქალაქის უფლისციხის მშენებლობა, რომელიც, ასევე, დიდ როლს თამაშობდა შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. უფლისციხის ზოგი დარბაზის არქიტექტურული დამუშავება (კესონებიანი კამარები) რომაული არქიტექტურის ნიმუშებს უახლოვდება. ვანში, დედოფლის მინდორსა (არადეთთან) და ციხიაგორაზე (კავთისხევი) აღმოჩნდა ანტიკური ტაძრები, რომლებშიც, ასევე იგრძნობა ქართული ხუროთმოძღვრების თვითმყოფადი ხასიათი.

საქართველოში საშენ მასალად ხეს, თიხას, ქვას იყენებდნენ. განსაკუთრებით მაღალ დონეს აღწევს ქვის დამუშავების ტექნიკა. ადრეულ ეპოქებში ქვის მშრალი წყობა იხმარებოდა, ქვები ერთმანეთთან რკინის სამაგრებით იყო დაკავშირებული. შუა საუკუნეებში კი კედლები უკვე კირის დუღაბით შენდება. საცხოვრებელი ნაგებობებისათვის ოდითგანვე დამახასიათებელი იყო გეგმის ცენტრულობა, საცხოვრებელი უჯრედის ორგანიზაცია არა შიდა ეზოს გარშემო (როგორც ეს მესოპოტამიასა და საბერძნეთ-იტალიაში იყო), არამედ ერთიან მასივად, რომელიც გარეთკენაა გახსნილი (როგორც მითანისა და ხეთების ქვეყანაში იყო).

ქართული არქიტექტურის განვითარებაში ახალი ეტაპი IV საუკუნიდან იწყება, როდესაც ქართლმა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად აღიარა. ახალი იდეოლოგია, რომელსაც მხარს უჭერდა ცენტრალური ხელისუფლება, ფეოდალიზმის მტკიცე დასაყრდენად იქცა. IV-XVIII საუკუნის მთელი ქართული ხელოვნება ქრისტიანობის ნიშნითაა შექმნილი.

საქართველოში, ისევე როგორც ევროპასა და მახლობელ აღმოსავლეთის ქვეყნებში, საეკლესიო ნაგებობათა ორი უმთავრესი სახეობა იყო გავრცელებული: წაგრძელებული უგუმბათო (ბაზილიკები) და ცენტრალური-გუმბათოვანი. ბაზილიკური ტიპი, რომელსაც ოფიციალური ეკლესია პალესტინის ნიმუშების მიხედვით ნერგავდა, ქართული ხუროთმოძღვრებისათვის ახალი იყო. რაც შეეხება ქართულ ცენტრალურ-გუმბათოვან ტაძრებს, ისინი გენეტიკურად უკავშირდება აღმოსავლეთის ძველი ხუროთმოძღვრების ანალოგიურ კომპოზიციებს და ქართული ხალხური არქიტექტურის ტრადიციებს (საცხოვრებელი სახლი „დარბაზი”).

თავდაპირველად შენდებოდა მცირე ზომის, მარტივი ეკლესიები. ასეთები შემორჩენილი გვაქვს ნეკრესის მონასტერთან, ძველი შუამთის მონასტრის

კომპლექსში, მატანის ცხრაკარზე და სხვაგან. მაგრამ V საუკუნიდან უკვე დიდი ნაგებობები შენდება. ესენია ე.წ. ბაზილიკები – ორფერდა სახურავიანი, სვეტებით ნაწილებად (ნავებად) გაყოფილი ნაგებობები. მისი ნიმუშია ბოლნისის სიონის ტაძარი. იგი ხუთი წყვილი სვეტის რიგებით გაყოფილ სამნავიან ბაზილიკას წარმოადგენს. კარგი პროპორციებითა და მკაცრი სისადავით. უძველეს ბაზილიკურ ნაგებობებს განეკუთვნება ურბნისის ტაძარი, ხაშმის სამება, თბილისის ანჩისხატი, ატენის ხეობის, ვერეს ეკლესია და სხვები.

VI საუკუნიდან უმთავრესი მნიშვნელობა მოიპოვა ცენტრალურ-გუმბათოვანმა ეკლესიებმა. ქართული ეკლესიის ბირთვს გუმბათქვეშა კვადრატი წარმოადგენს, რომლის გარშემო განლაგებული ოთხი მკლავი ჯვრის ფორმას ქმნის. გარედან ჯვარი ზოგჯერ სწორკუთხედშია ჩასმული (მცხეთის ჯვრის მცირე ტაძარი, იყალთო), ზოგჯერ სწორკუთხა მკლავების სახითაა გამომჟღავნებული (შიომღვიმის VI ს-ის და სამწევრისის VII ს-ის ეკლესიები), ზოგჯერ კი რვაწახნაგშია ჩასმული (მანგლისის ეკლესია თავდაპირველი სახით – V ს.). ამ ეკლესიებში შიგნით მხოლოდ აღმოსავლეთის მკლავს აქვს ნახევარწრიული აფსიდი. სხვა მკლავები სწორკუთხაა. განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა ტეტრაკონქის (ოთხაფსიდიანი ეკლესია) თემამ: ძველი გავაზი (VI ს.), ნინოწმინდის კათედრალი (VI ს.).

ამ ხუროთმოძღვრულ ძიებათა დამაგვირგვინებელია და ყველაზე სრულად განმასახიერებელი – მცხეთის ჯვრის დიდი ტაძარი (VI-VII სს-ის მიჯნა). მის არქიტექტურაში დასრულებული სახითაა წარმოდგენილი ქართული ადრეფეოდალური ხანის ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი: ინტერიერისა და ექსტერიერის მონუმენტურობა, პროპორციების დახვეწილობა, დეკორატიული სისტემის და მორთულობის ძუნწი, ზომიერი გამოყენება, შიდა სივრცისა და გარეგნული სახის მხატვრული შესატყვისობა, გარემოსთან ორგანული შერწყმა. ჯვარი ფრიალო კლდეზეა აგებული და ბუნებრივად აგვირგვინებს მაღალი მთის სილუეტს. მცხეთის ჯვარმა სათავე დაუდო „ჯვრის ტიპის" ძეგლებს (მარტვილის ტაძარი, ატენის სიონი, ძველი შუამთა და რიგი ძეგლები სომხეთში).

VII საუკუნის 30-იან წლებში აგებული ტაძარი ბევრ ახალ ნიშანს შეიცავს, რომელიც ქართული საეკლესიო არქიტექტურის განვითარების მომავალ ეტაპზე გვხვდება. გეგმით ტაძარი ე.წ. „ჩახაზული ჯვრის" ტიპს განეკუთვნება მანამდე აგებული ეკლესიებისაგან განსხვავებით, გუმბათი აქ კედლებს კი არ ეყრდნობა, არამედ ოთხ ცალკე მდგომ სვეტს. აფსიდი მხოლოდ ერთია, რომელიც

აღმოსავლეთით მდებარე საკურთხეველს ქმნის. იგი აქვე მდებარე კედლის სწორი სიბრტყითაა დაფარული. ფასადის მხარეს, იქ სადაც საკურთხევლის აბსიდი გვერდით სადგომებს ებჯინება, კედლის სისქეში ორი ღრმა ნიშია ჩაწერილი. ამ ხერხს კონსტრუქციული მნიშვნელობის გარდა, მხატვრული ეფექტიც აქვს: ეს ორი თაღოვანი ნიში, საკურთხევლის დიდ სარკმელთან ერთად, თავს უყრის და იქვემდებარებს მთელ ფასადს. სამკუთხა ნიშების მოტივმა დიდი ხნით მოიკიდა ფეხი ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში, ხოლო ჯვრის ოთხივე მკლავის, ე. ი. ოთხივე ფასადის შუა ნაწილების, ფრონტონით დაგვირგვინება წრომის შემდეგ ქართულ არქიტექტურაში საბოლოოდ დამკვიდრდა. წრომის საკურთხევლის კონქი ეკლესიის თანადროული მოზაიკით იყო შემკული, რომლისგანაც მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტები გადარჩა.

ადრინდელი ფეოდალური ხანის სამოქალაქო არქიტექტურის ძეგლებია – თბილისის, უჯარმის, ჭერემის, კლდემაღალის, მთაქართლის, ბერციხის, წირქოლის, ლოწობნის ციხეები.

VIII-IX საუკუნებში ქვეყანას ბრძოლა არაბ დამპყრობლებთან უხდება. დიდი ზიანი განიცადა ქვეყნის ბარმა. მის მთისწინეთსა და მთიან ნაწილში კი გრძელდება შემოქმედებითი მოღვაწეობა. იქმნება მთელი რიგი შესანიშნავი ძეგლებისა: ქსანზე სამი მცირე გუმბათიანი ნაგებობა (არმაზის, წირქოლისა და ყანჩაეთის ეკლესიები), საქართველოში ერთადერთი ორგუმბათიანი ეკლესია გურჯაანში, ნახევრადგამოქვაბული ტაძარი ბიეთში და სხვა.

VIII-X საუკუნეებში ქართლის მთასა, ხევსა და რაჭაში შენდება დარბაზული ეკლესიები, რომელთაც ჩვეულებრივი ნახევარწრიული აბსიდის ნაცვლად, გეგმაში სწორკუთხოვანი საკურთხევლის მოხაზულობა აქვთ. სწორკუთხა საფუძვლიდან კონქის ნახევარსფეროზე გადასვლა ირიბად დადებული ქვის ფილების ანდა ტრომბების საშუალებით ხორციელდება. ეს ხერხი გენეტიკურადაა დაკავშირებული ქართული დარბაზის გვირგვინოვანი გადახურვის ხერხთან და გუმბათოვანი ტაძრების კონსტრუქციასთან (ტრომპი).

საქართველოს ტერიტორიაზე შემორჩენილი მრავალრიცხოვანი არქიტექტურული ძეგლებიდან გამოირჩევა სვანური კოშკები და კოშკი, რომელთაც მოსახლეობა „ზურგიან" კოშკებს უწოდებს. იგი ოთხკუთხა გეგმის კოშკთაგან იმით განსხვავდება, რომ ერთი მხარე (ზურგი) მომრგვალებული აქვს. ზურგიანი კოშკის გარეშემოწერილობა ნალის ფორმას უახლოვდება, ხოლო ინტერიერის გეგმა ნალისებური ან ოთხკუთხაა. ზოგ კოშკში ეკლესიაა მოთავსებული. ასე რომ

ერთ ნაგებობაში როგორც თავდაცვითი, ისე საკულტო ფუნქციაა შერწყმული. ზურგიანი კოშკის იდეა მარტყოფის სვეტიდან მოდის.

ზურგიანი კოშკი, ძირითადად, შიდა ქართლის მთისწინეთსა და მთიან ნაწილშია გავრცელებული. აქაა მისი წარმოშობის არე. ჩატარებული ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვების შედეგად, გაფართოვდა ზურგიანი კოშკების გავრცელების საზღვრები. ისინი მრავლად გვხვდება ქსნის, არაგვის, მეჯუდისა და პატარა ლიახვის ხეობებში. გავრცელებულია, აგრეთვე, ხევში, ლოპოტში (კახეთი), სამცხე-ჯავახეთში, რაჭაში. ამ კოშკების უდიდესი უმრავლესობა V-X საუკუნეებით თარიღდება. XV-XVIII საუკუნეებში მხოლოდ მათი ერთეული ცალები აშენდა.

ზურგიანი კოშკი ქართული ორიგინალური საერო ხუროთმოძღვრების კუთვნილებაა. იგი მხოლოდ საქართველოში გვხვდება; თვით კავკასიაშიც მხოლოდ საქართველოს ხუროთმოძღვრებისთვისაა დამახასიათებელი. ამიტომ, სავსებით ბუნებრივია, რომ ზურგიან კოშკს „ქართული კოშკი" ვუწოდოთ.

X საუკუნიდან XIII საუკუნის 30-იან წლებამდე პერიოდი ქართული კულტურის მძლავრი აღმავლობით ხასიათდება. საკულტო ხუროთმოძღვრებაში უმთავრეს ადგილს იჭერს გუმბათოვანი ტაძრის ტიპი მკაფიოდ ხაზგასმული გრძივი ღერძითა და მასებით, რომელიც სივრცეში ჯვრის ფორმას ქმნის. ჯვრის მკლავების გადაკვეთის ადგილას მაღალყელიანი გუმბათია აღმართული, რომელიც ოთხ სვეტს ეყრდნობა. თვალსაჩინოა ნაგებობების ზემოთკენ სწრაფვა. ამას ხელს უწყობს მრავალწახნაგა გუმბათის ყელის აზიდული პროპორცია და მისი სახურავის წვეტიანი პირამიდა. ფასადები დეკორატიული თაღების მთელი სისტემითაა მორთული. ლავგარდანი, კარ-სარკმელთა საპირები და სათაურები ქვაზე ნაკვეთი სახეებითაა შემკული. ფასადების კომპოზიციაში ჩართულია ჯვრები, როზეტები, კვადრატები, ფიგურული რელიეფები.

ეპოქის ყველაზე თვალსაჩინო ნაგებობა მცხეთის საკათალიკოსო ტაძარი სვეტიცხოველია (1010-1029 წწ.), რომელიც გორგასლისეული ტაძრის (Vს.) ნანგრევებზე კათალიკოს მელქისედეკის თაოსნობით ხუროთმოძღვარმა არსუკიძემ ააგო. ეპოქალურად სვეტიცხოველთან ახლოს დგას ბაგრატისა და ალავერდის ტაძრები, ხოლო ოდნავ წინ მათ ოშკის კათედრალი უსწრებს. სვეტიცხოვლის მახლობლად სამთავროს ტაძარი (XI ს-ის I ნახევარი) დგას. მის გეგმაში თავს იჩენს მიდრეკილება უფრო კომპაქტური სივრცის შექმნისაკენ: გეგმა დამოკლებულია, ნაცვლად ოთხისა, დარჩენილია ორი თავისუფლად მდგომი გუმბათქვეშა ბოძი. ფასადები მდიდრულადაა მორთული.

სამთავისის ტაძარი (1030 წ.) საყურადღებოა არა მარტო განსაკუთრებული მხატვრული ღირსებებით – პროპორციათა ჰარმონიულობით, ვირტუოზულად შესრულებული მორთულობით, არამედ იმითაც, რომ აქ თავს იჩენს ზოგი თავისებურება, რომელიც საფუძვლად ქართული ხუროთმოძღვრების შემდგომ განვითარებას დაედო. გეგმაში იგივე ტენდენცია ჩანს, როგორც სამთავროს ტაძარში: გამარტივება, დამოკლება. მართალია, აქ ჯერ კიდევ დატოვებულია გუმბათქვეშა ოთხი ბოძი, მაგრამ აღმოსავლეთის ორი ბოძი ძალიან მიახლოვებულია საკურთხეველთან. მეტად მნიშვნელოვანია სამთავისის აღმოსავლეთ ფასადის მხატვრული დამუშავება (დეკორატიული ნიშები, დიდი ჯვარი, წყვილი რომბი), რომელმაც ხანგრძლივი გავლენა მოახდინა შემდგომი ხანის ქართულ ხუროთმოძღვრებაზე (ლერწმისხევის ტაძარი სელევკიაში, იკორთა, კოჯრის კაბენი, ყანჩაეთის რეკონსტრუირებული ტაძარი, ხოფა, ქვათახევი). სამთავისის თემა იმდენად ორგანული იყო ქართული არქიტექტურისათვის, რომ, როცა XIX საუკუნის მიწურულს დაისვა საკითხი თბილისში ქაშუეთის ძველი ტაძრის ნანგრევების ადგილზე ახალი ეკლესიის აშენებისა, ახალ ტაძარში სამთავისის არქიტექტურა თითქმის მთლიანად გაიმეორეს.

ტაო-კლარჯეთში VIII-IX საუკუნეებში გრიგოლ ხანძთელი დიდ სამონასტრო მოძრაობას იწყებს. მის და მომდევნო ხანაში შენდება ისეთი ძეგლები, როგორიცაა ოპიზა, ხანძთა, შატბერდი, ანჩა, მიძნაძორი, ოთხთა ეკლესია, პარხალი, ოშკი, ხახული, ვაჩეძორი, აფხაზეთში ბიჭვინთისა და მოქვის კათედრალები, ჯავახეთში – კუმურდოს (X ს.), რაჭაში – ნიკორწმინდის (XI ს.), ქართლში – მანგლისის (XI ს.) ტაძრები, იმერეთში – გელათის მონასტერი, შიდა ქართლში – თიღვისა (XII ს.) და იკორთის (XIIს.) ეკლესიები. XII-XIII საუკუნეებით თარიღდება: თბილისის ლურჯი მონასტერი, ბეთანიის, ქვათახევის, ფიტარეთის, წუღრუღაშენის, გუდარეხის, საფარის, ზარზმის, თბილისის მეტეხის არქიტექტურული ძეგლები. XII საუკუნეში შეიქმნა ვარძიის უნიკალური კლდეში ნაკვეთი სამონასტრო ანსამბლი. ამავე ხანაში გაიშალა და სრულყოფილებამდე მივიდა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც VI საუკუნეში ჩაისახა.

X-XIII საუკუნეებში ინტენსიური მშენებლობა გაიშალა ქალაქებში – გორში, თბილისში, ქუთაისში, დმანისსა და სამშვილდეში. შენდებოდა ხიდები (ბესლეთის, რკონის და სხვა), არხები, წყალსადენები, აბანოები, ქარვასლები, სამეფო სასახლეები (გეგუთის სასახლე ქუთაისის მახლობლად), ციხე-სიმაგრეები (ხერთვისი, ოძრხე, ოქროციხე, თმოგვი, აწყური, ხორნაბუჯი).

XV საუკუნეში, ძირითადად, თემურ-ლენგის შემოსევათა დროს დაქცეულ სახლებსა და ეკლესიებს რუდუნებით აღადგენდნენ. XVI-XVIII საუკუნეებში მშენებლობა მიდიოდა უკვე პოლიტიკურად დაქუცმაცებულ ქვეყანაში. ამით აიხსნება ბევრი ახალი ფეოდალური რეზიდენციისა და მათთან დაკავშირებული ეკლესიების აგება. თბილისის გარდა, ინტენსიური მშენებლობა მიმდინარეობდა თელავში, გრემში. აშენებდნენ ახალ ციხე-სიმაგრეებს (ანანური, XVII ს; ახალგორი, XVII-XVIII სს.; ქოლაგირის ციხე, XVIII ს.), აგებდნენ ხიდებს (გატეხილი ხიდი მდ. ქციაზე), აშენებდნენ სასახლეებს (ძალისა, ნინოწმინდა). აღმოსავლეთ საქართველოს სასახლეთა მშენებლობაში თავი ირანულმა გავლენამ იჩინა, რაც უმეტესად მორთულობაში გამოვლინდა. ეპოქის უმთავრესი ძეგლებია: ბატონის ციხე თელავში (XVII-XVIII სს.), ანანურის ბრწყინვალე ანსამბლი (XVII ს.), მჭადიჯვრის ეკლესია (XVII ს.), ახალი შუამთის, გრემის, ჭიკაანის ეკლესიები კახეთში (სამივე XVI ს-ით თარიღდება), ბარაკონის ეკლესია რაჭაში (XVIIIს.), თბილისის სიონი (რესტავრირებულია 1710 წელს), ნინოწმიდნის (XVI ს.) და ანჩისხატის (XVII ს.) სამრეკლოები; მრავალრციხოვანი ციხე-კოშკები და გალავნები ქართლ-კახეთში, რომლებშიც მოსახლეობა ლეკიანობის დროს იხიზნებოდა.

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიის ფარგლებში საქართველოს მოქცევამ დიდი გავლენა მოახდინა ქართული ხუროთმოძღვრების შემდგომ ბედზე. საუკუნის პირველ ნახევარში თბილისში აშენდა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობები, იმ დროს იმპერიაში გავრცელებული ე. წ. გვიანდელი რუსული კლასიციზმის სტილით. მაგალითად, მთავარმართებლის სასახლე (ყოფილი სამხედრო შტაბის შენობა), ი. ზუბალაშვილის სახლი (დღევანედელი ხელოვნების მუზეუმის შენობა), სიონის სამრეკლო. თბილისში, თელავის, სიღნაღის, გორის, ახალციხის ორ-სამ სართულიანი შენობების არქიტექტურაში ადგილობრივ სამშენებლო ტრადიციებთან (ფართო აივნები, მოხარატებული მოაჯირები, თაღური გადახურვა, აზიდული პროპორციები) ორგანულად იყო შერწყმული კლასიცისტური ფორმები და ელემენტები.

XIX საუკუნის II ნახევარში, კაპიტალიზმის ინტენსიური განვითარების პირობებში, რუსეთისა და ევროპის მიბაძვით საქართველოს ქალაქების არქიტექტურაში ეკლექტიზმი (სხვადასხვასტილთა აღრევა) გაბატონდა, რომლის ნიმუშებია ყოფილი ქარვასლისა და თეატრის შენობები თანამედროვე თავისუფლების მოედანზე, ყოფილი ქალაქის საბჭოს (დღევანდელი მერიის) შენობა, სახაზინო თეატრი (დღევანდელი ზაქარია ფალიაშვილის სახელობის

ოპერისა და ბალეტის თეატრი), დიდების ტაძარი (დღევანდელი სამხატვრო გალერეა), არტისტული საზოგადოების შენობა (დღევანდელი შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი), ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია (დღევანდელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), სასტუმრო „მაჟესტიკი" (დღევანდელი სასტუმრო „თბილისი მარიოტი"), ქაშუეთის ეკლესია (1910წ.), სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი (დღევანდელი ეროვნული ბიბლიოთეკა).

ქართული არქიტექტურისათვის დამახასიათებელია მონუმენტურობა, სისადავე, სილაღე, ორნამენტის ზომიერი, გემოვნებით გამოყენება, ფუნქციონალური თუ ცრუ თაღების სიუხვე, სიმაღლისაკენ (ცისკენ) ლტოლვა, გაწონასწორებული პროპორციები, თავისუფალი ფართობისადმი (სადა კედლისადმი) ტრფიალი, შიდა და გარე ფორმებს შორის სრული შესატყვისობა-ჰარმონია, განვითარების მთელ მანძილზე (მცხეთის ჯვრიდან და ხერთვისიდან გრემსა და ანანურამდე) გარემომცველ ბუნებასთან ძეგლის საოცარი შერწყმა, ნაგებობათა ხალისიანი, მაჟორული იერ-სახე, მოსაპირკეთებელი მასალის დიდი გემოვნებით შერჩევა (ქარვისფერ-ყვითელი, ფირუზისფერ-ცისფერი და მოწითალო ტუფის გამოყენება), შირიმის ქვით მნიშვნელოვანი არქიტექტურული დეტალების აქცენტირება, საკულტო ძეგლებისათვის საპარადო, საზეიმო, თუ შეიძლება ითქვას, საერო (მიწიერი) იერის მიცემა. ქართულ არქიტექტურაში ქართველი კაცის დახვეწილი გემოვნება სრულყოფილადაა წარმოჩენილი.

სახვითი ხელოვნება (მხატვრობა, ქანდაკება). არქეოლოგიური კულტურების მიმოხილვისას ზოგადად შევეხეთ საქართველოში აღმოჩენილ ქრისტიანობამდელ სახვითი ხელოვნების ძეგლებს. ამ ხელოვნების განვითარების ახალი ეტაპი საქართველოში ქრისტიანობის მიღების შემდეგ იწყება. განსაკუთრებით დაწინაურდა მონუმენტური ფერწერა, ლითონის პლასტიკური დამუშავება, მინიატურული ფერწერა, რელიეფური ქანდაკება და სხვა. საქართველოში ჩვენამდე მოღწეული ქრისტიანული ხანის მონუმენტური ფერწერის ძეგლებია ბიჭვინთის ტაძრის იატაკის მოზაიკა (IV-V სს.) და შუხუთის აბანოს მოზაიკა (V-VI სს.). მათი სტილი ადგილობრივი სახელოსნოების არსებობაზე მიუთითებს.

აღმოსავლურ-ქრისტიანული ძეგლების ანალოგიით, ადრეშუასაუკუნეებში საქართველოში წმინდა გრაფიკული დეკორი (VII ს-ის წრომის ტაძრის მოზაიკა) გავრცელდა. VIII-IX საუკუნეებში გაბატონებული ადგილი ფრესკამ დაიკავა. მიმდინარეობდა ადგილობრივი ტრადიციების საფუძველზე ანტიკური მხატვრული მემკვიდრეობის ძირეული გადამუშავება. ფორმას სიბრტყობრივად წყვეტდნენ.

ძირითადი მნიშვნელობა ენიჭებოდა ორნამენტულ-დეკორატიული ხასიათის ნახატს – თელოვანის ჯვარპატიოსანი (VIII-IX სს), ქსნის არმაზი (864 წ.), დავით გარეჯის მოხატულობანი –საბერეები (IX-X სს), დოდოს მონასტერი (IX ს.).

საქართველოში ადრექრისტიანული ხანიდან ფართოდ გავრცელდა ქვის რელიეფური ქანდაკება. V საუკუნიდან მოყოლებული ტაძრების დეკორში ორნამენტული კვეთის გვერდით გარკვეული ადგილი რელიეფებს, მათ შორის სიმბოლური მნიშვნელობით გააზრებულ ზოომორფულ მოტივებს ეთმობოდა. მაგ., ბოლნისის სიონი (Vს.), აკაურთა (V-VII სს.), ატენის სიონი (VII ს.). მათში წინააზიურ გავლენებთან ერთად, ადგილობრივ წარმართულ კულტთან დაკავშირებული მხატვრული სახეებიც (ხარის თავები ბოლნისის სიონსა და სვეტიცხოველში) გვხვდება. ქრისტიანული თემებიდან პოპულარულია ჯვრის (ქრისტეს) ამაღლებისა და ღვთისმშობლის განდიდების თემები.

VI საუკუნის ბოლოს ფასადების გაფორმების პრობლემამ ბრწყინვალე გადაწყვეტა ჰპოვა მცხეთის ჯვრის ტაძრის ბარელიეფებზე. შენობის აღმოსავლეთ და სამხრეთ ფასადებზე დიდი ადგილი დაეთმო მონუმენტურ ფიგურულ რელიეფს. სიბრტყობრივ-გრაფიკულმა გადაწყვეტამ მთლიანად განსაზღვრა VIII-IX საუკუნეებში ქანდაკების განვითარება. ქვაზე ზოგადადაა ამოჭრილი ფიგურის სქემატური მოხაზულობა, ხოლო რელიეფის ბრტყელი ზედაპირი დეკორატიულ-ორნამენტური ნახატითაა გაცოცხლებული.

პერიოდი X საუკუნის დასასრულიდან XIII საუკუნის ჩათვლით ქართული მონუმენტური მხატვრობის აყვავების ხანაა. მის პირველ ეტაპზე (X-XII ს-ის შუა წლები) დამახასიათებელია კავშირის შესუსტება სირიისა და პალესტინის კულტურულ ცენტრებთან და უფრო ინტენსიური კონტაქტები ბიზანტიურ ხელოვნებასთან. ტაძრის ძირითადი ნაწილის მოხატულობისთვის ძველ ადგილობრივ სქემებს იყენებდნენ. ჩამოყალიბდა ქართველ წმინდანთა ცხოვრების ციკლები, მთლიანად მოიხატა ეკლესიათა შიდა კედლები. ამ პერიოდში შეიქმნა ქართული მონუმენტური მხატვრობის სამი დიდი სკოლა – ტაო-კლარჯეთის, დავით გარეჯისა და სვანეთის.

მცირე ეკლესიების მოხატვასთან ერთად, მეფეთა და მათთან დაახლოებულ პირთა დაკვეთით, იქმნება პარადული ხასიათის მოხატულობა. გვხვდება როგორც ადგილობრივი ტრადიციებისათვის დამახასიათებელი თავშეკავებული ფერადოვანი გამა, ისე უფრო მდიდარი ფერებით (ლაჟვარდის გამოყენებით) შესრულებული ფრესკები. მონუმენტური მხატვრობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლი ატენის სიონია.

ქართული მონუმენტური მხატვრობის მეორე ეტაპისათვის (XII ს-ის მეორე ნახევრიდან XIII ს-ის შუა წლებამდე) დამახასიათებელია ნახატის უფრო მეტი დეკორატიულობა და კომპოზიციის დინამიკურობა, რაც მკაფიოდ ვლინდება ბეთანიის, ტიმოთესუბნის, ბერთუბნის, ახტალის, ვარძიის, ფავნისის, იკორთის და, განსაკუთრებით, ყინწვისის მხატვრობაში.

XIII საუკუნის მეორე ნახევარში, მონღოლთა ბატონობის ხანაში, კედლის მხატვრობაში, ძირითადად, ძველი ტრადიციები გრძელდება, თუმცა მოხატულობაში უკვე იგრძნობა ახალი, ე. წ. პალეოლოგთა (ბიზანტიური) სტილის ნიშნები (დავით-გარეჯა, გელათის მონასტერი, საფარა, ზარზმა, მარტვილი, ლიხნი). ამ სტილის თვალსაჩინო ნაწარმოებებია უბისის, სორის, წალენჯიხისა და ნაბახტევის მხატვრობა.

XV-XVI საუკუნეებში ალავერდის კათედრალი ხელახლა მოხატეს. ზემო სვანეთში საერო შინაარსის მხატვრობის შესანიშნავი ნიმუშებია შემონახული (ლაშხვერისა და ცაჟაშის ეკლესიების ფასადების მოხატულობა).

X-XI საუკუნეების ქართული ქანდაკება ადამიანის სხეულის მოცულობითი ფორმებით გადმოცემის ხერხებს ეძიებს. პირველ ნიმუშთაგან აღსანიშნავია აშოტ კუხის გამოსახულება ტბეთში, წყაროსთავის, ვალეს, ქოროლოს რელიეფები. განვითარების უფრო მაღალი საფეხურია ოშკის ტაძრის რელიეფები. დიდი ადგილი ეთმობა ისტორიულ პირთა – ქტიტორთა (მშენებლობის დამკვეთთა) ფიგურების გამოხატვას. მშენებლობის მთელ ციკლს – ქვის მოტეხვა-დამუშავებიდან ეკლესიის მშენებლობამდე ქოროლოს რელიეფები (მდ. მთიულეთის არაგვის სათავეებში) ასახავს.

X-XI საუკუნეებში საქართველოს საკულტო არქიტექტურაში ჩამოყალიბდა ფასადების დეკორატიული გაფორმების მხატვრულად დასრულებული სისტემა, რაც ნიკორწმინდის ტაძრის რელიეფებში (XI ს-ის დასაწყისი) საუკეთესოდაა ასახული. აქ კომპოზიციათა ერთობლიობა ქრისტეს დიდების გადმოცემას ემსახურება. ქანდაკების განვითარების შემდგომი ეტაპია კაცხის, სვეტიცხოვლის, სამთავისის ტაძრების რელიეფები (XI ს-ის I ნახევარი). X-XI საუკუნეებში დიდ განვითარებას მიაღწია მცირე ფორმის ქანდაკებამ, სახელდობრ, კანკელთა რელიეფებმა (კანკელის ზღუდე ინტერიერში იდგმებოდა და საკურთხეველს ეკლესიის სივრცისაგან გამოყოფდა). ქართული ქანდაკების დიდებული ძეგლებია აგრეთვე, ხეზე კვეთის მაღალმხატვრული ნიმუშები.

მომდევნო საუკუნეებში ქართული ქანდაკების განვითარება შეფერხდა. ფიგურულ რელიეფებს ეკლესიებისა და კანკელის დეკორში უმნიშვნელო ადგილი

უჭირავს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანობის დოგმატიკა (განსხვავებით, კათოლიკურისაგან) ქანდაკების განვითარებას ხელს არ უწყობდა. ქართულმა ქრისტიანულმა ქანდაკებამ, მიუხედავად გარკვეული ტენდენციების არსებობისა, მრგვალი ქანდაკების შექმნას ვერ მიაღწია (ფიგურა რომ მოშორებოდა კედლის ან ჭედური ხატის ზედაპირს). ეს მისია ქართულ ხელოვნებაში იაკობ ნიკოლაძეს (XIX-XX სს-ის მიჯნა) ერგო, რომელმაც განთქმული ფრანგი მოქანდაკის – ოგიუსტ როდენის სკოლა გაიარა.

XVI საუკუნეში მხატვრობა გამოცოცხლდა. შეიქმნა ახალი და განახლდა ძველი მოხატულობანი. მხატვრობის მრავალი ძეგლი შეიქმნა გელათის, სამთავროს, ნეკრესის, გრემის, ახალი შუამთის, ალვანის, ალავერდის ტაძრებში. იწვევენ ბერძენ (ნეკრესი, გრემი) და რუს მხატვრებს (სამთავრო, სამება, ალავერდი). აღსანიშნავია, რომ ადრეულ ხანებში, კერძოდ, X-XI საუკუნეებში პირიქით, რუსეთში (კიევის პეჩერის ლავრა და სხვა) ქართველ მხატვრებს იწვევდნენ.

ინტენსიურად მიმდინარეობს ეკლესიათა მოხატვა XVII საუკუნეში. სწორედ მაშინ მოიხატა გელათის, ხონის, წალენჯიხის, მარტვილის, ნიკორწმინდის ეკლესიები, აგრეთვე – სვეტიცხოველი, სამთავისი, ბობნევი, ბოლნისი. 1643 წელს ქართველმა და ბერძენმა ოსტატებმა განაახლეს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მოხატულობა, რომელიც ისტორიულ პორტრეტებს, მათ შორის შოთა რუსთაველის პორტრეტსაც შეიცავდა. ამ პერიოდის მხატვრობაში მეტია პირობითობა, ხოლო კოლორიტში ჭარბობს ნაცრისფერი, ყავისფერი და ლურჯი ტონები. ფორმათა მოდელირება სქემატურობით გამოირჩევა. კედლის მხატვრობაში მნიშვნელოვანი ადგილი საერო პორტრეტს უჭირავს.

XIX საუკუნიდან, მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა, ქართული კულტურა რუსულ და დასავლეთ ევროპულ კულტურებს მჭიდროდ დაუკავშირდა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენში ყალიბდება დაზგური მხატვრობა, რომელიც საქართველოში, თუ არ ჩავთვლით ხატწერას, მანამდე უცნობი იყო. XIX საუკუნის შუა წლებში თბილისში ჩამოყალიბდა საკუთარი ფერწერული სკოლა. პირველი ქართველი მხატვარი, რომელმაც განათლება პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში მიიღო, გრიგოლ მაისურაძე (XIX ს-ის მეორე ნახევარი) იყო. 1880-იან წლებში ასპარეზზე გამოვიდნენ დემოკრატიული მიმართულების ქართველი მხატვრები: რ. გველესიანი, ა. ბერიძე, გ. გაბაშვილი, ა. მრევლიშვილი, მ. თოიძე.

XIX საუკუნის დასასრულს მოღვაწეობდა გენიალური თვითნასწავლი მხატვარი ნიკო ფიროსმანაშვილი (1862-1918 წწ.), რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა ქართული მხატვრობის და, საერთოდ, კულტურის ისტორიაში. ფიროსმანს არა თუ სპეციალური სამხატვრო, არამედ საერთოდ ზოგადი განათლებაც არ მიუღია. იგი თვითნაბადი ტალანტი იყო, რომელიც მხატვრად დაიბადა და გენიალური ბავშვის უშუალობით აღიქვამდა და ხატავდა გარემომცველ ბუნებასა და პერსონაჟებს. ფიროსმანის სწორუპოვარ ფერწერულ ტილოებზე საუკუნოდაა აღბეჭდილი საქართველოს და, განსაკუთრებით, თბილისის განუმეორებელი კოლორიტი და ტიპაჟი. ფიროსმანის ტილოები XIX-XX საუკუნეების საქართველოს გაუხუნარი ფერწერული დოკუმენტებია. განსაცვიფრებელია ფიროსმანის საოცრად შეკრული კომპოზიციები. როგორც წესი, ფიროსმანი შავ მუშამბაზე („კლიონკაზე") ხატავდა, ამიტომ მის ნახატებში დომინირებს შავი ფერი. მაგრამ შავი ფერი მის შემოქმედებაში სამგლოვიარო ფერი როდია. იგი ხაზს უსვამს, ამძაფრებს სიცოცხლის დამამკვიდრებელ – წითელ, ლურჯ, ცისფერ, უამრავი ტონალობის ყვითელ ფერს. ფიროსმანი სულ ორი-სამი ფერის შეხამებითა თუ გამოყენებით უაღრესად დიდ კოლორიტულ ეფექტს აღწევს. ფიროსმანს ადარებენ ფრანგ „პრიმიტივისტ" მხატვარს – ანრი რუსოს. მაგრამ ფიროსმანის პრიორიტეტი ამ მართლაც დიდ მხატვართან ისაა, რომ ა. რუსომ „პრიმიტიული" მანერით ხატვა შემოქმედების ბოლო პერიოდში, ხელოვნურად დაიწყო, როცა მას აკადემიური სკოლა და აკადემიურ სტილში ხატვა მოყირჭდა. ის რაც ა. რუსოსთვის ხელოვნური, მანერული იყო, ფიროსმანისთვის ბუნებრივი და ორგანულია. ფიროსმანს მხოლოდ განგებამ, ღმერთმა დაამადლა უნიკალური შეგრძნება და ხილულის გადმოცემის ნიჭი. ფიროსმანი თავისი განცდის უშუალობით და კოლორიტით ადრეული აღორძინების ხანის (XIV ს-ის I ნახევარი) გენიალურ იტალიელ მხატვარს ჯოტოს შეიძლება შეედაროს.

ფიროსმანი უდიდესი ანიმალისტი (ცხოველების ამსახველი) მხატვარია. არც ერთ მხატვარს ცხოველები არ აღუჭურვავს ისეთი სულიერებით, ანუ ადამიანურობით (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით!), როგორც ფიროსმანს. ნიკალას არასდროს დაუხატავს ავტოპორტრეტი. მისი ავტოპორტრეტები მის მიერ დახატული ცხოველებია, მისი სულის მოძრაობა მისი ცხოველების თვალებითაა გადმოცემული. ფიროსმანის ცხოველები თითქოს ადამიანის თვალებით იყურებიან. ფიროსმანის მიერ დახატული ცხოველები რეალურნიც არიან და ირეალურნიც – ლამაზი ზღაპრებიდან, ოცნებიდან ამ ცოდვილ მიწაზე გადმოსულნი. ფიროსმანის არწივი – მეფეა და არა მხოლოდ ფრინველთა სამყაროსი, მისი ღორი გოჭებით –

საერთოდ დედა-შვილობის იდილიის გამოხატველია. საოცრებაა ფიროსმანის ჟირაფი. განსაცვიფრებელია საბრალო დათვი მთვარიანი ღამის ფონზე. ფანტასტიკურია და იმავე დროს რეალურიც ფიროსმანის მიერ დახატული ცა. ასეთი ცა მხოლოდ საქართველოშია და მხოლოდ ფიროსმანმა დახატა.

ფიროსმანმა უდიდესი გავლენა მოახდინა XX საუკუნის ქართულ მხატვრობაზე და საერთოდ – ქართულ კულტურაზე (ლადო გუდიაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, კოკა იგნატოვი, გივი ყანდარელი, ჯემალ ხუციშვილი და სხვები). ფიროსმანი ერთადერთი ქართველი მხატვარია, რომლის პერსონალური გამოფენაც საფრანგეთში, ლუვრში მოეწყო. ფიროსმანის გრაფიკული პორტრეტი პაბლო პიკასოს ერთ-ერთი უკანასკნელი ნამუშევარია (ასე შეხვდა ლუვრში ერთმანეთს საუკუნის ორი გენიოსი).

XX საუკუნის საქართველოში დიდი მხატვრობა შეიქმნა. საკმარისია დავასახელოთ: ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის, ელენე ახვლედიანის, სერგო ქობულაძის, უჩა ჯაფარიძის, ქეთევან მაღალაშვილის, ირაკლი თოიძის, ზურაბ ნიჟარაძის, ედმუნდ კალანდაძის, ჯიფსონ ხუნდაძის, ირაკლი ფარჯიანის და სხვათა სახელები.

იაკობ ნიკოლაძე (1876-1951 წწ.) საფუძველს უყრის ქართულ რეალისტურ ქანდაკებას. მისი და აგრეთვე ნ. კანდელაკისა და გ. სესიაშვილის შემოქმედება ძირითადად, პორტრეტული ქანდაკებით განისაზღვრება. სიცოხცლის ბოლოს ი. ნიკოლაძე ქმნის XII საუკუნის ქართველი პოეტის, ჩახრუხაძის პორტრეტს, რომელიც, ფაქტობრივად, მოქანდაკის ავტოპორტრეტია.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულებში ქართულ ქანდაკებაში დიდი წარმატებით მუშაობდნენ მერაბ ბერძენიშვილი, ელგუჯა ამაშუკელი, ჯუნა მიქატაძე და სხვები. მერაბ ბერძენიშვილის დიდი ნიჭიერება პირველად მის მიერ შექმნილ დავით გურამიშვილის ძეგლში გამოჩნდა. სწორედ ამ ნაწარმოებში ხდება პირველად ქართულ ქანდაკებაში რეალისტური ანდა ნატურალისტური ქანდაკების კანონების მსხვრევა და თემისა თუ მასალისადმი განზოგადოებული, სტილიზებული მიდგომა. შემდეგში მერაბ ბერძენიშვილი ქმნის ისეთ დიდებულ ნაწარმოებებს, როგორიცაა „გიორგი სააკაძე" (კასპში, შემდეგ თბილისში), „მუზა", „კიდევაც დაიზრდებიან", „ზაქარია ფალიაშვილი", ქუთაისისა და დიდგორის მემორიალები. მერაბ ბერძენიშვილის ნაწარმოებებით ქართული მონუმენტური ქანდაკება მსოფლიო სტანდარტების დონეზე ავიდა.

ჭედური ხელოვნება. საქართველოში ჭედურ ხელოვნებას უძველესი დროიდან მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ჩვენში ქრისტიანული სარწმუნოების დამკვიდრების

შემდეგ იგი ახალ საფეხურზე ადის. VIII-IX საუკუნეების ჭედური ხელოვნების ნაწარმთა დიდი რაოდენობაა შემორჩენილი. VIII-IX საუკუნეების ჭედური ხელოვნების ძეგლებისათვის დამახასიათებელია გამოსახულების სიბრტყობრივ-ხაზობრივი გადმოცემა, პირობითობა, ექსპრესიულობა, დეკორატიულობა. X-XI საუკუნეები ქართული ჭედურობის ისტორიაში ყველაზე ნაყოფიერი ეპოქაა. ამ პერიოდის ძეგლებში (იშხანის, მარტვილის, ბრეთის საწინამძღვრო ჯვრები, ბედიის ოქროს ბარძიმი) ჩანს ოსტატის სწრაფვა გამოსახულების სწორად გადმოცემისადმი, დეტალიზაციისადმი. ეს პერიოდი მნიშვნელოვანია, აგრეთვე, მხატვრული ხერხების გამოყენების მრავალფეროვნების თვალსაზრისითაც. ძირითადი მასალა ვერცხლია, ხშირად მოოქრული. მოსევადებული, ძვირფასი თვლებითა და ტიხრული მინანქრით მორთული. დეკორატიულობა XII საუკუნეში ძლიერდება. ამ პერიოდის ძეგლებზე (ხახულის ხატი, ბექა ოპიზარის ანჩისხატის ჩარჩო და სხვა) ოსტატის ყურადღება ორნამენტული დეკორის შესრულებისაკენაა მიმართული. XIII საუკუნეში ქართულ ჭედურ ხელოვნებაში ახალი არაფერი შექმნილა, სჯერდებოდნენ განმეორებას და ინტერესს იჩენდნენ ორნამენტული დეკორისადმი (გელათის მაცხოვრის, ხობისა და ვარძიის ღვთისმშობლის ხატები). XIV-XV საუკუნეები ქართული ჭედური ხელოვნებისათვის (ანჩისხატის კარედის შემკობა XIV ს-ში) საკმაოდ მწირი პერიოდია. XV საუკუნეში შტამპური ტექნიკა ვრცელდება. თუ ადრე X-XI საუკუნეებში შტამპური წესით მხოლოდ ორნამენტს ქმნიდნენ, ახლა მთავარი გამოსახულებები ასეთივე ტექნიკით სრულდება. XVI საუკუნის ჭედური ხელოვნება ახალი აღმავლობით ხასიათდება. ჩნდება სხვადასხვა მხატვრული ხერხი და მიმართულება, ახალი თემები და მოტივები. მაღალი ოსტატობით აღინიშნება მხატვარ მამნეს ნამუშევრები (მაგალითად, სადგერის საკურთხევლის წინამდებარე ჯვარი).

ქართველი ოქრომჭედლები ლითონის დამუშავების ორ ტექნიკას ფლობდნენ: ჭედურს, როდესაც გამოსახულება ლითონის ფირფიტაზე ზურგის მხრიდანაა მოჭედილი რელიეფურად და გრავირებას, როცა ნახატი მსუბუქი ხაზითაა დატანილი ფირფიტის წინა პირზე. XVI საუკუნის მეორე ნახევარში პირველად იქნა გამოყენებული ირანიდან შემოსული ტექნიკა – ლითონზე ორნამენტის ამოჭრა ფონის ამოცლის ხარჯზე. ასეთი ნაკეთობები, ძირითადად, კახეთში გვხვდება. მათთვის დამახასიათებელია ძვირფასი ქვების უხვად გამოყენება, ფერადოვნება (აწყურის ღვთისმშობელი ყრმით, ალავერდის მაცხოვარი, შუამთის ღვთისმშობელი). XVI-XVII საუკუნის ჭედურ ნიმუშებს ახასიათებთ ეკლეკტურობა, საერთო დონის დაქვეითება. XVIII-XX საუკუნეებში მომძლავრდა ევროპული და

რუსული გავლენა (შესრულების ტექნიკა, ორნამენტაცია, იკონოგრაფია), თუმცა არის ჯგუფი ხატებისა, რომლებიც მხოლოდ ქართულ ეროვნულ ტრადიციებზეა შექმნილი: პ. მეუნარგიას, ტ. კედიას, ვ. ძაძამიას ნამუშევრები.

XIX საუკუნის დასასრულს ქართული ჭედური ხელოვნების ნიმუშები ფაბრიკული წესით დამზადებულმა ნაწარმმა შეცვალა. ფაქტობრივად, ამ დროს დამთავრდა ქართული ჭედური ხელოვნების დამოუკიდებელი განვითარების გზა. ქართული ჭედურობა კვლავ აღორძინდა XX საუკუნის 50-იან წლებში, რაც განაპირობა საერთოდ დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების აღმავლობამ და ქართულ ხელოვნებაში ადგილობრივი ტრადიციების განვითარების შინაგანმა მოთხოვნილებამ. ამ პერიოდის ჭედურობა, ძირითადად, ქანდაკებიდან საზრდოობს. ამიტომ, იგი დიდი მოცულობით ხასიათდება. გრაფიკა კი მას ხაზოვანი მკაფიოობით ასაზრდოებს. ძირითად მასალად სპილენძს, ალუმინს, თითბერს ხმარობენ. მათი გამოწვითა და განსაკუთრებული დამუშავებით მხატვრულ ეფექტს აღწევენ. განვითარდა დაზგური და მონუმენტური ჭედურობა. აღორძინებული ქართული ჭედურობის სათავეებთან იდგნენ ი. ოჩიაური, კ. გურული, ნ. შავგულიძე და სხვები. XX საუკუნის 60-70-იან წლებში საქართველოში ჭედურობის ბუმი შეიქმნა – ყველა ჭედავდა, ვისაც ჰქონდა თუ არა ამის ნიჭი. მომძლავრდა ხელოსნური და არა ხელოვნების ნაწარმი, რამაც კვლავ ჩაკლა ჩვენი კულტურის ეს ტრადიციული და უძველესი დარგი.

მუსიკა. მუსიკა, მუსიკალური ენა ადამიანის სალაპარაკო (დიფერენცირებული) ენაზე უფრო ძველი და უფრო გამძლეა (კონსერვატული). იგი, ადამიანის მეტყველებასთან ერთად, ეთნოსის, ხალხის თვითმყოფადობის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მახასიათებელი ნიშანია. ქართული მუსიკა, ხალხური მუსიკა ქართველი ხალხის უდიდესი კულტურული მონაპოვარია, მისი თავისთავადობის და განუმეორებელი სახის მაჩვენებელი.

ქართული მუსიკის უპირველესი ნიშანი მისი მრავალხმიანობაა (პოლიფონიურობა), თუმცა ისტორიულად ექვსხმიანი ქართული სიმღერაცაა ცნობილი. ქართული პოლიფონიური მუსიკა დღეს კავკასიაში კუნძულივითაა შემორჩენილი. იგი ერთხმიანი აშუღურ-ბაიათური მუსიკითაა გარემოცული. მიუხედავად უდიდესი ქარტეხილებისა და კატასტროფებისა, ქართულმა პოლიფონიურმა მუსიკამ გაუძლო ჟამთასვლას და დღემდე თითქმის უცვლელი სახით მოაღწია.

ქართული მუსიკის მრავალხმიანობა სასიმღერო და აკომპანიმენტური (საკრავიერი) მუსიკის ურთიერთკავშირითა და ურთიერთმოქმედებითაა

განპირობებული. სწორედ საკრავიერმა მუსიკამ (ჩანგი, ჩონგური, ფანდური) განსაზღვრა მისი თანხლება (ბანი), რაც შემდეგ განუმეორებელ ვოკალურ ბანად გადაიქცა.

ქართულმა მუსიკალურმა ენამ სამეტყველო (სალაპარაკო) ენის ბედი გაიზიარა. ისევე როგორც წინარექართველური ენა, არსებობდა წინარექართველური მუსიკალური ენა, რომელსაც ათასწლეულების მანძილზე სხვადასხვა მუსიკალური კილო – სვანური, მეგრული, რაჭული, იმერული, გურული, აჭარული, მესხური, ჯავახური, ქართლური, კახური, მოხევური, ფშაური, აჭარული, ხევსურული, თუშური გამოეყო. მათ შორის მსგავსება უფრო დიდია, ვიდრე განსხვავება.

არქეოლოგიური გათხრებით დადასტურებულია ჩვენი მუსიკალური კულტურის უძველესი ფესვები. მცხეთაში აღმოჩნდა ძვ.წ. XV-XIV საუკუნეებით დათარიღებული გედის წვივის ძვლისაგან დამზადებული სამთვლიანი სალამური. ძვ.წ. VII-VI საუკუნეების „ყაზბეგის განძში" ჩანგზე დამკვრელი კაცის ფიგურა დადასტურდა და სხვ.

აღმოსავლურ ქართული სამხმიანობისთვის დამახასიათებელია ჰარმოფონიული და ჰომოფონიურ-პოლიფონიური აღნაგობა. ერთ შემთხვევაში, ორი ზემო ხმა მელოდიას პარალელური მოძრაობით ავითარებს, მეორე შემთხვევაში ან პირველი ხმაა მთქმელი და მეორე მოძახილი, ან პირუკუ, რაც მათ შორის კონტრაპუნქტულ (შეწყობილ) შეფარდებას ქმნის. ბანი ყველა შემთხვევაში ჰარმონიულ ფუნქციას ასრულებს. არსებობს, აგრეთვე, სხვა სტრუქტურის სამხმიანობაც.

თავისი ფორმის, კილოური საფუძვლის, მუსიკალურ გამომსახველობის საშუალებათა მრავალფეროვნებით, რიტმულ-ინტონაციური სიმდიდრით, სამოდულაციო ხერხების ორიგინალობით ქართლ-კახური გრძელი სუფრული სიმღერები: „მრავალჟამიერი", „ჩაკრულო", „შემოძახილი", „ჩონგურო", „ზამთარი" და სხვა – ქართული ხალხური მუსიკის კლასიკური ნიმუშები გამოირჩევა. ამ სიმღერების ფართოდ გაშლილ-განვითარებული მელოდია ორ მთქმელს მიჰყავს, ხან პარალელურად, ხან მორიგეობით, რაც ხმებს შორის იშვიათ პოლიფონიურ შეხამებას ქმნის, თანდათან აძლიერებს დინამიკას და სიმღერა საზეიმო ხასიათს ღებულობს. ბანი აქაც ჰარმონიული საფუძველია.

ქართული მუსიკალური ფოლკლორის დიადი გამოვლენაა სვანური სიმღერები, რომელნიც ამჟამად, ძირითადად, სამხმიანობით არის წარმოდგენილი. ამ სიმღერების ზვიადი, მედიდური განწყობილება კარგად ერწყმის სვანეთის

ბუნებას. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ქმნის სვანური სიმღერების მეტრო-რიტმის მონაცვლეობა, ხმათა სიმჭიდროვე, მკაცრი, დიადი ხმოვანება, დისონანსური შეხამება („ლილე", „ჰიმნი ორმუზდს", „ზარი"), რომელიც სვანურ სიმღერას მუდამ თან სდევს და კიდევ უფრო ამძაფრებს მის ჟღერადობას. მისთვის დამახასიათებელია ძირითადი სამხმოვანებით დაღმავალ-აღმავალი კომპლექსური მოძრაობა, რაც თავისებურ კოლორიტს ანიჭებს სიმღერას („ორდიაშუ", „თამარ დედოფალ"). სვანეთში, ძირითადად, საგმირო-საისტორიო, საწესო, საფერხულო ჟანრებია გავრცელებული.

სტილისა და ჟანრების მიხედვით, მდიდარი და მრავალფეროვანი მეგრული სიმღერები სამხმიანი სატრფიალო, საყოფაცხოვრებო, სახუმარო ვოკალის შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენს. ისინი გამოირჩევა სინატიფით, ლირიზმით, გამჭვირვალე ფაქტურით („ჩელა", „სისატურა", „ერეხელი", „ნანა"). მათ უპირისპირდება მოძრავი, დრამატიზირებული საქორწინო, საცეკვაო, შრომის სიმღერები („კუჩხი ბედნიერი", „ვოისა", „ოდოია"), რომლებიც თვითმყოფადი ვოკალური პოლიფონიის საფუძველზე ვითარდება. მეგრულ სიმღერებს ახასიათებს საოცარი სინაზე და ტკბილხმოვანი მელოდიურობა.

იმერული სიმღერებისათვის მხნე, ხალისიანი განწყობილება, მელოდიასთან ერთად, ზოგჯერ, ბანის მდიდარი რიტმულ-ინტონაციური მოძრაობაა („მხედრული", „ცხენოსნური") დამახასიათებელი. ფორმა უმეტესად კუპლეტურია. გამონაკლისს წარმოადგენს შრომის სიმღერა „ნადური", რომელიც ფორმის სირთულით, ხმათა ფართო განვითარებით, პოლიფონიური საფუძვლის თავისებურებებით გამოირჩევა.

ხალხური პოლიფონია მთელი თავისი სიმდიდრით წარმოდგენილია გურულ სიმღერაში, რომელიც უნიკალურ მოვლენას წარმოადგენს არა მარტო ქართულ, არამედ საერთოდ, მსოფლიო მელოსში. გურული სიმღერისათვის და აჭარულისათვის განსაკუთრებით სპეციფიკურია ე.წ. კრიმანჭული (მაღალი ხმა), რომელიც მომღერლისაგან მამაკაცის ხმისათვის უჩვეულო მაღალ რეგისტრს და ხორხისმიერი ბგერით რთული ფიორიტურების შესრულების უნარს მოითხოვს. კრიმანჭული და კრინი ქართულ ქალაქურ სიმღერაში, არათუ სისუსტისა და სინაზის, არამედ სიძლიერის, ვაჟკაცურობის გამომხატველია, ისევე როგორც პუანტებზე (ცერებზე) მოცეკვავე ქართველი ვაჟკაცი არა თუ მინაზებულ, მანერულ ბალერინას ემსგავსება, არამედ ფოცხვერს, ლეოპარდს. კრინი (კრიმანჭული) და ცერული – მაღალ რეგისტრში გამოსახული ვაჟკაცური შემართებაა, მამრული საწყისის დახვეწილი გამოხატვა.

გურულ სიმღერაში მესამე ხმა – ფართოდიაპაზონიანი მოქნილი ბანი – აქტიურ მონაწილეობას იღებს სიმღერის მხატვრული სახის შექმნაში. გურული სიმღერის თავისებურებაა მელოდიკის სიუხვე, რიტმისა და დინამიკის სიმძაფრე, თვითმყოფი, ურთულესი პოლიფონიური ელემენტების კომპლექსთა ფართო გამოყენება, იმპროვიზაციულობა, ტემპერამენტი, ვოკალური მახვილგონიერება, რაც მთელი მშვენიერებით სიმღერებში – „ნადური" და „შავი შაშვი" ვლინდება.

ქართული ხალხური სიმღერა, რომელშიც ყველაზე სრულყოფილად გამოვლინდა ქართული სულიერი კულტურის ფენომენი, თანამედროვე მსოფლიოს ხალხთა მუსიკალურ ფოლკლორში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს.

როდესაც XX საუკუნის ერთ-ერთმა უდიდესმა კომპოზიტორმა იგორ სტრავინსკიმ ქართული ხალხური სიმღერების ჩანაწერები მოისმინა, განაცხადა, რომ უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე, ეს იყო მისი ყველაზე დიდი შთაბეჭდილება და განცვიფრება.

საქართველოში, ქრისტიანული რელიგიის გავრცელების შემდეგ, ქართული მუსიკის მეტად მნიშვნელოვანი განშტოება – სასულიერო გალობა განვითარდა, რამაც ბერძნული საეკლესიო ტექსტების ქართულად თარგმნა და შესაბამისი ქართული საგალობლების შექმნა განაპირობა. ცნობილია, რომ ბერძნული საეკლესიო საგალობლები ერთხმიანია. ქართულ მღვდელმსახურებაში მათმა დანერგვამ ანალოგიური ქართული საგალობლების წარმოშობა გამოიწვია, რომელიც ქართული მრავალხმიანი საერო სიმღერის წყალობით, სულ მალე პოლიფონიურ საგალობლებად იქცა. ქართულმა სასულიერო მუსიკამ დამოუკიდებლად, ეროვნულ ნიადაგზე განაგრძო განვითარების გზა. გელათსა და იყალთოში, აგრეთვე, ქართული კულტურის საზღვარგარეთულ კერებში, სასულიერო სემინარიები და აკადემიები გაიხსნა, რომლებიც ეროვნულ მუსიკალურ ცენტრებად იქცა. ჩამოყალიბდა სხვადასხვა გუნდი, ვოკალური ანსამბლი, მოხდა ხმათა სისტემატიზაცია, შემუშავდა სამუსიკო დამწერლობა, შედგა საგალობელთა კრებულები, განვითარდა მგალობლების, ჰიმნოგრაფების, თეორეტიკოსების, კომპოზიტორების, დირიჟორების მოღვაწეობა (გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელები, იოანე მინჩხი, გიორგი მერჩულე, კათალიკოსი იოანე). განსაკუთრებით გამორჩეულია მიქაელ მოდრეკილი, რომელმაც თავი მოუყარა IX-X საუკუნეების ქართულ ლიტურგიკულ ლიტერატურას, ქართული ჰიმნოგრაფიის მონაპოვარს და უზარმაზარი კრებული „იადგარი" (Xს.) – ძველი ქართული ლიტურგიკული ლიტერატურის შედევრი შექმნა. საკუთარ ნაწარმოებთა გარდა, მან კრებულში სხვა ავტორთა ჰიმნებიც შეიტანა, რომელთაც მუსიკალური

დამწერლობის ნიშნები (ნოტები) დაურთო. XII საუკუნის დიდი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის ცნობით, ქართული სიმღერის, გალობის ჰარმონიის საფუძველს სამი ხმა შეადგენდა, რომელთაც ქართული სახელები ერქვა (მზხარ, ჟირ, ბამ), რაც სამხმიანობის ეროვნულ წარმოშობას მოწმობს.

ქართული კულტურის განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო თბილისში 1851 წელს საოპერო თეატრის (იტალიური დასი) დაარსება, რომელსაც აღფრთოვანებული სტრიქონები უძღვნა იმ პერიოდში კავკასიაში მყოფმა ალექსანდრე დიუმამ (მამამ). 1880-იან წლებში თბილისში მუშაობა დაიწყო რუსულმა საოპერო დასმა. 1905 წელს ჩამოყალიბდა ქართული ფილარმონიული საზოგადოება, ხოლო 1917 წელს თბილისის კონსერვატორია გაიხსნა. 1897 წელს პეტერბურგში შესრულდა ნაწყვეტები მელიტონ ბალანჩივაძის ოპერიდან „თამარ ცბიერი". ეს ოპერა სახელწოდებით „დარეჯან ცბიერი" 1926 წელს დასრულდა და თბილისში დაიდგა კიდეც.

ქართული კულტურისათვის უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო 1919 წელს ზაქარია ფალიაშვილის გენიალური ოპერის „აბესალომ და ეთერის" თბილისის საოპერო თეატრში დადგმა. ზაქარია ფალიაშვილი დაეყრდნო რა ქართულ ხალხურ მელოსს, იგი კლასიკური ოპერის კანონების ბრძმედში გაატარა და შედეგად მივიღეთ ქმნილება, რომელიც სამართლიანად ითვლება ამ ჟანრის შედევრად.

საოცარი იყო ჩვენი მუსიკისთვის და, საერთოდ, კულტურისათვის 1919 წელი, როცა „აბესალომ და ეთერთან" ერთად დიმიტრი არაყიშვილის მელოდიური ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე" და კომიკური ოპერის მარგალიტი, ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე" დაიდგა. 1923 წელს ზაქარია ფალიაშვილის მეორე შედევრის – „დაისი" პრემიერა შედგა, ხოლო მოგვიანებით ოპერისა – „ლატავრა". XX საუკუნეში ქართველმა კომპოზიტორებმა მნიშვნელოვან შედეგებს მუსიკის ყველა ჟანრში მიაღწიეს. ჩამოვთვლით ყველაზე მკაფიო სახელებს: ა. ბალანჩივაძე, ა. მაჭავარიანი, შ. მშველიძე, დ. თორაძე, ა. ბუკია, ვ. გოკიელი, ი. ტუსკია, გ. კილაძე, რ. გაბიჩვაძე, ს. ცინცაძე, გ. ყანჩელი, ა. კერესელიძე, რ. ლაღიძე, გ. ცაბაძე, ს. მირიანაშვილი, ს. ნასიძე, შ. მილორავა, ბ. კვერნაძე, ვ. აზარაშვილი და სხვები. XX საუკუნის ქართული მუსიკის ისტორია წარმოუდგენელია დები იშხნელებისა და ქართველ მომღერალთა თუ მუსიკოს-შემსრულებელთა უნიჭიერესი პლეადის გარეშე.

ცეკვა. ქართველი კაცის უპირველეს თვისებად უცხოელები მკვეთრად გამოხატულ არტისტიზმს ანუ თეატრალურობას მიიჩნევენ. არტისტიზმში კი სამი

ძირითადი კომპონენტია: მიმიკა, მეტყველება და პლასტიკა. სწორედ ეს უკანასკნელია მთავარი მახასიათებელი ქართველი კაცისა და, მით უმეტეს, ქართველი მსახიობისა. არათუ ქართველ მოცეკვავეებში, არამედ დრამატულ მსახიობებშიც დომინირებს პლასტიკა. გავიხსენოთ თუნდაც ვერიკო ანჯაფარიძის, გიორგი შავგულიძის, ელენე ყიფშიძის, სოფიკო ჭიაურელისა და სხვათა სცენური მოძრაობა და ცეკვა.

ქართული ცეკვა ათასწლეულთა სიღრმიდან მოდის. ჩვენამდე მოღწეული არქეოლოგიური და წერილობითი ძეგლებით დასტურდება, რომ ქართული ხალხური ქორეოგრაფიის უძველესი გამოვლენა ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი სამონადირეო ცეკვა-ფერხული ყოფილა. მის რიტუალურ ხასიათს ადასტურებს ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებით დათარიღებული, თრიალეთში აღმოჩენილი ვერცხლის თასზე გამოსახული ნიღბოსან არსებათა (ალბათ, მონადირეთა) ფერხული, რაც ზოგი მეცნიერის აზრით, სვანური ნადირობის ღვთაების – დალისადმია მიძღვნილი. სვანეთში დღემდეა შემორჩენილი „სამონადირეო ფერხული", „ბეთქილის ფერხული" და სხვა. შემდეგ პირველყოფილ სამონადირეო ცეკვაში რიტმული ვარჯიშისა და საბრძოლო ილეთები შეიჭრა და შეიქმნა დიდებული მხედრული პოემა – ცეკვა „ხორუმი", რომელიც სამადლოში აღმოჩენილი ძვ.წ. V-IV საუკუნეებით დათარიღებულ ქვევრის ზედაპირზეა ასახული. ფიქრობენ, რომ ნაყოფიერების ღვთაების ტაძრებთან იმართებოდა ქალთა ცეკვა, რომლის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა წარმართული დროის ცეკვამ „სამაია". იგი ძეობის ოჯახურ დღესასწაულზე სრულდებოდა.

მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარებას ახალი ადათ-წესების შექმნა მოჰყვა, რომლებიც აისახა მაგიური ხასიათის რიტუალურ ცეკვებში - „მელია-ტულეფია", „ფერხული" და სხვა მასობრივ ცეკვებთან ერთად, ძველთაგანვე არსებობდა ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული წყვილთა ცეკვა. მისი განვითარებისათვის ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა სინთეზური თეატრალური სანახაობა „სახიობა", რომელიც დიდი დღესასწაულების თანმხლები ელემენტი იყო. მისი განვითარების პროცესში ჩამოყალიბდა რომანტიკული შინაარსის დუეტი, რომელიც სრულდებოდა სალექსო იმპროვიზაციით, ე.წ. ქალ-ვაჟიანით. ჩვენამდე მოღწია წყვილთა ცეკვის შედევრმა „ქართულმა", რომელიც ქართული ხალხური ქორეოგრაფიის უმაღლესი მწვერვალია. ეს ცეკვა ძველად სხვადასხვა სახელით იყო ცნობილი - „სადარბაზო", „სანადიმო", „საარშიყო", „დავლური". მას „ლეკურადაც" კი ნათლავდნენ, რამაც თავის დროზე გრიგოლ რობაქიძის გულისწყრომა გამოიწვია. დიდი მწერალი „გველის პერანგში" წერდა: „ცეკვავენ

„ლეკურს”, ეს სახელი შეუსაბამოა: ლეკს აქ რა უნდა? ეს ცეკვა ქართულია და გარდა ქართველისა, მას ვერ იცეკვებს ვერავინ: რასსა არ ეყოფა”. სწორედ გრიგოლ რობაქიძისა და, მის კვალობაზე, ილიკო სუხიშვილის დამსახურებაა, რომ ამ დიდებულ ცეკვას დაუმკვიდრდა სახელწოდება „ქართული”.

XX საუკუნეში ქართული ხალხური ცეკვის აღორძინება-პოპულარიზაციაში დიდი დამსახურება მიუძღვით გამოჩენილ ქორეოგრაფებს ჯ. ბაგრატიონსა და დ. ჯავრიშვილს. ამ მხრივ, განსაკუთრებულია ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ღვაწლი, რომელთა მიერ შექმნილმა ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლმა ქართული ცეკვის დიდება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში გაიტანა.

სიმღერასთან ერთად, ქართველი კაცის პლასტიკა (ცეკვა) სრულიად განსაკუთრებულია. იგი ჩაწერილია ქართველის გენეტიკურ კოდში, რომელიც ათასწლეულთა სიღრმიდან მოდის. ამიტომ, სავსებით კანონზომიერია, რომ როდესაც XX საუკუნეში, ამისი პირობები შეიქმნა, ორმა გენიალურმა ქართველმა – ჭაბუკიანმა და ბალანჩინმა (გიორგი ბალანჩივაძე), მსოფლიო საბალეტო, როგორც საშემსრულებლო, ასევე საბალეტმაისტერო ხელოვნებაში გადატრიალება მოახდინა.

ბალანჩინის სახელთანაა დაკავშირებული ამერიკული კლასიკური ბალეტის შექმნა. მანვე ჩაუყარა საფუძველი ე.წ. სიმფონიურ ბალეტებს. ბალანჩინის ქორეოგრაფის წვდომა მუსიკაში იმდენად ღრმა იყო, რომ გრჩებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ერთდროულად უსმენდი და უყურებდი კიდეც მუსიკას. ბალანჩინის ქორეოგრაფია ამაღლებული და საზეიმოა.

ვახტანგ ჭაბუკიანი თავისი ჯადოსნური ცეკვითა და ქორეოგრაფიით მსოფლიო კლასიკური ბალეტის რეფორმატორია. ჭაბუკიანამდე ბალეტის ცენტრში ქალი იდგა, ხოლო მამაკაცს მხოლოდ მისი პარტნიორის, დამხმარე პერსონაჟის როლი ჰქონდა დაკისრებული. ჭაბუკიანი ეყრდნობოდა რა ქართული ხალხური ცეკვის საწყისს, კლასიკური ბალეტის ცენტრში კაცი – მამაკაცი მოაქცია. მას, მის ვნებებს, მის მისწრაფებებს კლასიკური ბალეტის ყველა კომპონენტი დაუქვემდებარა. ჭაბუკიანიდან იწყება გმირული (ჰეროიკული) სტილი კლასიკურ ბალეტში. სცენაზე ჭაბუკიანი იყო ვაჟკაცურის, მამრობითი საწყისის სიმბოლო. სავსებით მართებულია თვალსაზრისი, „რომ არ ყოფილიყო ჭაბუკიანი, არ იქნებოდა თანამედროვე მსოფლიო ბალეტი. ისეთი მოცეკვავენი როგორიც ჭაბუკიანია, ათასწლეულში ერთხელ იბადებიან”. ვახტანგ ჭაბუკიანმა გარდა იმისა, რომ მსოფლიო კლასიკურ საბალეტო სპექტაკლებში მამაკაცის პარტიები

თვისებრივად ახალი ფუნქციით აღჭურვა, ორიგინალური საბალეტო სპექტაკლები შექმნა - „მთების გული", „ლაურენსია", „სინათლე", „გორდა", „მშვიდობისათვის", „ოტელო", „დემონი", „ჰამლეტი" და სხვა., რითაც, ფაქტობრივად, დააფუძნა და განავითარა ქართული კლასიკური ბალეტი. ჭაბუკიანის გვერდით ბრწყინავდნენ – დიდი ბალერინა ვერა წიგნაძე და შესანიშნავი მსახიობი და მოცეკვავე ზურაბ კიკალეიშვილი. ამ სამეულის შემოქმედების გვირგვინია ალექსი მაჭავარიანის ბალეტი „ოტელო".

პლასტიკაში განცხადებულმა ქართულმა გენმა თვისებრივად ახალი ძალით ნინო ანანიაშვილში იფეთქა. ნინო ანანიაშვილი მსოფლიო დონის პრიმაბალერინაა. მსოფლიოს საბალეტო სცენებზე იმართება გალაკონცერტები სახელწოდებით: „ნინო ანანიაშვილი და მსოფლიოს ბალეტის ყველა ვარსკვლავი". მის გვერდით ცეკვა ყველა მოცეკვავისათვის დიდად პრესტიჟულია. ნინო ანანიაშვილთანაა დაკავშირებული ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის ბოლო წლების დიდი წარმატებები.

თეატრი. სიტყვა „თეატრი" მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „თეატრონ", რაც სანახაობისთვის განკუთვნილ ადგილს, სანახაობას ნიშნავს. თეატრი ერთ-ერთი ყველაზე ძველი ხელოვნებაა. იგი სათავეს უძველეს ხალხურ დღესასწაულებში, წეს-ჩვეულებებსა და თამაშობებში იღებს. მათ საფუძველზე შექმნილი პირველი ტრადიციული სანახაობები (მისტერიები), დრამატულ სიუჟეტს და კონფლიქტის ელემენტებს შეიცავს. მათში ჩართული იყო საგუნდო სიმღერები, ცეკვები, დიალოგები. ისინი თანდათან გამოეყო საკულტო-საწესჩვეულებო ცერემონიალს და სპექტაკლად, სანახაობად იქცა. ამან განაპირობა ლიტერატურული დრამის შექმნა, დღესასწაულის მონაწილეთა დაყოფა მსახიობებად და მაყურებლებად. ეს პროცესი მკაფიოდ გამოვლინდა ძველ საბერძნეთში, სადაც ძვ.წ. V საუკუნიდან თეატრი საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა. გიგანტურ ამფითეატრებში თეატრალურ წარმოდგენებზე ათიათასობით მაყურებელი იყრიდა თავს. ბერძნული ტრაგედიის ჟანრს ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე ემსახურებოდნენ, ხოლო კომედიას – არისტოფანე.

ძველ საქართველოში თეატრალურ წარმოდგენათა წინამორბედი დღესასწაულები დადასტურებულია არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებულ ნივთებზე (თრიალეთის ვერცხლის თასი) და ხალხურ ეპოსში. წინარეანტიკურ ხანაში კოლხეთში, ქუთაისთან აშენებული იყო არენა, სადაც ეწყობოდა სპორტული შეჯიბრებები და სხვა სანახაობები. ბიზანტიელი ისტორიკოსის

პროკოპი კესარიელის ცნობით, კოლხურ ქალაქ აფსარუნტში იყო თეატრის შენობა და იპოდრომი. მართლაც გონიოში იპოდრომის ნაშთებია აღმოჩენილი. არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული დიონისესა და მისი თანმხლები სილენეს, სატირებისა და სხვ. მოზაიკური და სკულპტურული გამოსახულებანი, ბრინჯაოსა და გამომწვარი თიხის სარიტუალო ნიღბები ცხადყოფს, რომ ძველ საქართველოში გავრცელებული იყო დიონისეს კულტი, რომელსაც თან სანახაობა – მისტერიები ახლდა. კლდეში ნაკვეთ ქალაქ უფლისციხეში შემორჩენილია ანტიკური თეატრის ნაშთი. შუა საუკუნეების ქართულ წერილობით ძეგლებში ძველი ქართული დრამატული პოეზიის ფრაგმენტები და ელინისტური პერიოდის პანტომიმურ წარმოდგენათა ვრცელი აღწერაა დადასტურებული. ამავე ძეგლებში დაცულია უმდიდრესი ქართული თეატრალური ტერმინოლოგია, რაც იმის მოწმობაა, რომ საქართველოში არსებობდა ანტიკური თეატრის მიღწევებისა და საკუთრივ ქართული ორიგინალური თეატრალური სანახაობის შერწყმის შედეგად შექმნილი თეატრალური ხელოვნება.

IV საუკუნიდან ჩვენში საეკლესიო თეატრი და დრამა უკვე არსებობს. პარალელურად „ბერიკაობაც" ფუნქციონირებს. ბერიკაობა ქართული ხალხური იმპროვიზაციული ნიღბების თეატრია. იგი განაყოფიერებისა და შვილიერების კულტის სადიდებელი სანახაობაა. ბერიკაობას ბერიკები ასრულებდნენ. დროთა ვითარებაში ბერიკაობამ დაკარგა საკულტო-რელიგიური დანიშნულება და ხალხის ცხოვრების, მისი მისწრაფებების გამომსახველ სანახაობად იქცა. ბერიკაობის მრავალი სიუჟეტი ქართველი ხალხის უცხო დამპყრობლებთან ბრძოლის სურათებს შეიცავს. ჩვენამდე ბერიკაობის ასზე მეტი სიუჟეტია მოღწეული. ბერიკაობა სამგვარი იყო: კარდაკარ სასიარულო, მოედანზე სათამაშო და სადარბაზო.

შუა საუკუნეების საქართველოში განვითარდა სასახლის კარის თეატრი, ანუ სახიობა – ნიღბოსანთა წარმოდგენები მუსიკის თანხლებით. ისინი იმართებოდა სპეციალურად განკუთვნილ შენობებში და სასახლის დარბაზებში. XVII საუკუნეში მეფეები თეიმურაზ I და არჩილი სპეციალურ პოემებს ქმნიან თეატრისათვის. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში თბილისისა და თელავის სემინარიებში იმართება სასკოლო წარმოდგენები. მათი სულის ჩამდგმელი სემინარიის ხელმძღვანელი დავით რექტორი იყო.

XVIII საუკუნის 90-იან წლებში ერეკლე II-მ სასახლის კარზე საერო თეატრი შექმნა. მისი დასი დ. მაჩაბელის მეთაურობით, მთლიანად შეეწირა 1795 წელს აღა-მაჰმად ხანის წინააღმდეგ ბრძოლას. 1845 წელს თბილისში დაარსდა რუსული

დრამატული თეატრი, ხოლო 1850 წელს გიორგი ერისთავის თაოსნობით აღორძინდა პროფესიული ქართული თეატრი, რომელიც გიორგი ერისთავის, ზურაბ ანტონოვის, ალექსანდრე ცაგარელის პიესებს დგამდა.

XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში ქუთაისში მუშაობდა დრამატული თეატრი დიდი მსახიობის ლადო მესხიშვილის ხელმძღვანელობით. რევოლუციამდელ ქართულ თეატრს ამშვენებდნენ ისეთი სახელები, როგორიცაა ნუცა ჩხეიძე, ვასო აბაშიძე, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ნიკო გოცირიძე. ქართული თეატრის ისტორიაში ახალი ეპოქა კოტე მარჯანიშვილის სახელთანაა დაკავშირებული, რომელმაც რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ რუსთაველის სახელობის თეატრში 1922 წელს ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო" დადგა. ამას მოჰყვა ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში" და უ. შექსპირის „ჰამლეტი", რომელშიც დიდებული უშანგი ჩხეიძის განუმეორებელმა ტალანტმა გაიელვა. 1926 წელს კოტე მარჯანიშვილი რუსთაველის თეატრიდან წავიდა. თეატრს სათავეში ასევე დიდი რეჟისორი სანდრო ახმეტელი ჩაუდგა.

1928 წელს კოტე მარჯანიშვილმა ქუთაისში ახალი თეატრი დაარსა, რომელსაც რეჟისორის თბილისში გადმოსვლის შემდეგ მისი სახელი ეწოდა.

1929 წელს კოტე მარჯანიშვილმა კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტას" დადგა, რომელიც ქართული თეატრისათვის საეტაპო სპექტაკლად იქცა. აქ დასმული პრობლემები – აზროვნების, სინდისის, რელიგიის თავისუფლების, ადამიანობისა და მგზნებარე სიყვარულის ზეიმისა – მახლობელი და აქტუალური იყო მაყურებელთა რამდენიმე თაობისათვის. კოტე მარჯანიშვილის ნოვატორულ დადგმასთან, პეტრე ოცხელის სცენოგრაფიასა და თ. ვახვახიშვილის მუსიკასთან ერთად, ვერიკო ანჯაფარიძისა და უშანგი ჩხეიძის ბრწყინვალე თამაში მაყურებელზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა.

ივდითის როლიდან დაიწყო ქართულ სცენაზე XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მსახიობის ვერიკო ანჯაფარიძის ტრიუმფალური სვლა. მსახიობის მიერ შექმნილი მარგარიტა, კლეოპატრა, მარია სტიუარტი, ეუხენია, ფრუ ალვინგი, ფატი გურიელი – გმირების მთელი გალერეაა, რომელიც ქართული და მსოფლიო თეატრის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა. XX საუკუნის 30-იან წლებში სანდრო ახმეტელი რუსთაველის სახელობის თეატრში ზედიზედ დგამს ნოვატორულ სპექტაკლებს: „ანზორი", „რღვევა", „ყაჩაღები", „ლამარა", რომელთა საგასტროლო ჩვენებამ არაქართველი მაყურებელი გააოცა და აღაფრთოვანა.

ქართულ რეჟისურას ამკობს ისეთი დიდი სახელები, როგორიცაა დიმიტრი ალექსიძე, მიხეილ თუმანიშვილი, ვასო ყუშიტაშვილი, ვახტანგ ტაბლიაშვილი,

არჩილ ჩხარტიშვილი, ლილი იოსელიანი, გიგა ლორთქიფანიძე, რობერტ სტურუა, თემურ ჩხეიძე.

ქართული თეატრის ისტორიაში ახალ თავს იწყებს პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე" რობერტ სტურუას დადგმითა და მთავარ როლში რამაზ ჩხიკვაძის მონაწილეობით. უკვე აქაა მოცემული მედროვისა და ტირანის პრობლემა, რომელსაც ბრწყინვალე რეჟისორულ-მსახიობური ტანდემი სტურუა-ჩხიკვაძე განავითარებს ბერტოლდ ბრეხტის „კავკასიურ ცარცის წრეში", უილიამ შექსპირის „რიჩარდ III"-სა და „მეფე ლირში". უკანასკნელი ათწლეულები ქართული თეატრის მსოფლიოს საგასტროლო სცენებზე ტრიუმფალური სვლის პერიოდია. დიდი საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს რუსთაველის სახელობის, კინომსახიობთა და კოტე მარჯანიშვილის თეატრებმაც.

ქართული თეატრის მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის ისეთი სცენური სახეების შექმნის ფაქტს, როგორიცაა: აკაკი ხორავას ოტელო და ოიდიპოსი, აკაკი ვასაძის იაგო და ფრანცი, შალვა ღამბაშიძის მეჯღანუაშვილი და გოროდნიჩი, სესილია თაყაიშვილის ელისაბედ დედოფალი და ბებია, თამარ ჭავჭავაძის ლაურენსია და მადამ სანჟენი, სერგო ზაქარიაძის ოიდიპოსი და კრეონტი, ვასო გოძიაშვილის რიჩარდ III და ლუარსაბი, გიორგი შავგულიძის ხარიტონი და კეისარი, ცეცილია წუწუნავას ხორეშანი და დარეჯანი, მედეა ჯაფარიძის ჯულიეტა და ელიზა დულიტლი, სალომე ყანჩელის ალბა და ხანუმა, პიერ კობახიძის ურიელი და არმანი, მედეა ჩახავას ამარანტა და ფეფელა, ზინა კვერენჩხილაძის ფედრა და ანტიგონე, ეროსი მანჯგალაძის ზიმზიმოვი და ფანტიაშვილი, ოთარ მეღვინეთუხუცესის სირანო დე ბერჟერაკი და ფიროსმანი, გიორგი გეგეჭკორის ბარათაშვილი და პლატონი, სოფიკო ჭიაურელის ჰარა და სარე, კოტე მახარაძის ანდარეზი და კვაჭი, ნოდარ მგალობლიშვილის თეიმურაზ ხევისთავი და ოსვალდი...

XX საუკუნის ქართული თეატრი იყო და არის მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა დიდი რეჟისორებითა და მსახიობებით.

კინო. კინო, კინემატოგრაფია ხელოვნების ყველაზე ახალგაზრდა დარგია. კინოს ისტორია ორ საუკუნეს ითვლის. იგი 1895 წელს ძმები ლიუმიერების კინემატოგრაფის პარიზული პრემიერით იწყება. მეორე წელსვე თბილისში ჩატარდა პირველი კინემატოგრაფიული სეანსი, სადაც ლიუმიერის ფილმები უჩვენეს. ქართველმა ენთუზიასტებმა: ვასილ ამაშუკელმა, ალექსანდრე დიღმელოვმა, ალექსანდრე წუწუნავამ, შალვა დადიანმა საფუძველი ჩაუყარეს ქართულ კინემატოგრაფს. 1912 წელს ვასილ ამაშუკელმა შექმნა „აკაკის მოგზაურობა რაჭა-

ლეჩხუმში“, რომელიც თავისი მხატვრულ-პროფესიული დონით მაშინდელი მსოფლიო დოკუმენტური კინოს ერთ-ერთი უნიკალური ძეგლია. 1916 წელს რეჟისორი ალექსანდრე წუწუნავა იღებს პირველ ქართულ მხატვრულ ფილმს „ქრისტინე“, 1921-1926 წლებში რეჟისორი ი. პერესტიანი – „არსენა ჯორჯიაშვილს”, „წითელ ეშმაკუნებსა” და „სამ სიცოცხლეს“.

XX საუკუნის 20-იანი წლების ქართულ კინოში დიდი ყურადღება ქართული კლასიკური ლიტერატურის ნაწარმოებთა ეკრანიზაციას ექცევა. ალექსანდრე წუწუნავა იღებს ფილმებს: „ვინ არის დამნაშავე?“, „ჯანყი გურიაში“, ხოლო 1923 წელს ნილოლოზ შენგელაია „ელისოს“ – 20-იანი წლების ქართული კინოს ყველაზე მნიშვნელოვან ფილმს. XX საუკუნის 20-30-იანი წლების ქართული კინოს ნამდვილი ვარსკვლავია ნატო ვაჩნაძე. 20-იანი წლების ბოლოდან რეჟისორობას იწყებს მიხეილ ჭიაურელი („საბა“, „უკანასკნელი მასკარადი“, „არსენა“, „გიორგი სააკაძე“, „ოთარაანთ ქვრივი“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“). 1948 წელს რეჟისორი ვახტანგ ტაბლიაშვილი ქმნის მუსიკალურ კინოშედევრს „ქეთო და კოტე“, რომლის მხატვრული ხიბლი დღემდე გაუხუნარია.

1955 წელს თენგიზ აბულაძე და რეზო ჩხეიძე იღებენ „მაგდანას ლურჯას“ – ქართული კინოს საეტაპო ნაწარმოებს. აქედან იწყება ქართულ კინემატოგრაფიაში აღმავლობის ხანა. „მაგდანას ლურჯას” მოჰყვა ფილმები: თენგიზ აბულაძის „სხვისი შვილები“ და „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, რეზო ჩხეიძის „ჯარისკაცის მამა“, „ნერგები“, გიორგი შენგელაიას „ალავერდობა“, ოთარ იოსელიანის „გიორგობისთვე“ და „იყო შაშვი მგალობელი“.

XX საუკუნის 60-80-იან წლების ქართული ფილმებისათვის იგავური ფორმა და ქართული სინამდვილისადმი სუპერკრიტიკული დამოკიდებულება იყო დამახასიათებელი. ამ მხრივ აღსანიშნავია თენგიზ აბულაძის ტრილოგია „ვედრება“, „მონანიება“, „ნატვრის ხე“, განსაკუთრებით ეს უკანასკნელი. თავისი მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულებებით „ნატვრის ხე” ქართული კინოს შედევრია და მსოფლიო კინემატოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენი. იგავის ჟანრშია გადაღებული ელდარ შენგელაიას „შედრეკილები“ და „ცისფერი მთები“, გიგა ლორთქიფანიძის „დათა თუთაშხია“.

ქართველმა მსახიობებმა კინემატოგრაფიაში შექმნეს მნიშვნელოვანი, მაღალმხატვრული სახეები. ქართული კინოს ოქროს ფონდში შევიდა: აკაკი ხორავას გიორგი სააკაძე, ვერიკო ანჯაფარიძის ოთარაანთ ქვრივი, სერგო ზაქარიაძის ჯარისკაცის მამა, სესილია თაყაიშვილის ბებია, ოთარ მელვინეთუხუცესის დათა თუთაშხია, სოფიკო ჭიაურელის ფუფალა და სხვ.

XX საუკუნის 80-იან წლებში თამურ ბაბლუანის ფილმით „ბედურების გადაფრენა" ქართულ კინოში ახალი ტალღა იწყება. ეს არის მკაცრი, რეალისტური, თითქმის ნატურალიზმამდე მისული სურათი. რეჟისორი ამ ხაზს აგრძელებს ფილმში „უძინართა მზე", რომლის გმირები სისასტიკით, ულმობელობით, სიმკაცრით, პირქუშობით გამოირჩევიან. თითქოს ყველაფერი პოეტური გაქრა და იმძლავრა ბოროტებამ, ავკაცობამ, ურთიერთმტრობამ, გაუტანლობამ. ყოველივე ეს ჩვენი მკაცრი, ულმობელი, საშინელი სინამდვილის ასახვაა. მაგრამ არსებობს კულტურისა და ხელოვნების გაუხუნარი ფასეულობანი. აკი პოეტი ბრძანებს:

„თუ ყველაფერი არის სიზმარი,
თუ ბინდისფერი არის ყოველი,
მაშინ რატომ დგას დღეს მცხეთის ჯვარი,
რატომ დგას ისევ სვეტიცხოველი?"

დასკვნის მაგიერ
(XX საუკუნე)

XX საუკუნეში ქართველმა ხალხმა შექმნა დიდი კულტურული ფასეულობანი – ლიტერატურაში, მეცნიერებაში (ენათმეცნიერება, ფილოსოფია, ისტორია, მათემატიკა, ფსიქოლოგია, ფიზიოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობის სკოლები), მუსიკაში, მხატვრობაში, თეატრში, ბალეტში, კინოსა და სპორტში. და ეს, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ვცხოვრობდით და ვმოღვაწეობდით შედარებით მშვიდად. რა თქმა უნდა, არ უნდა დაგვავიწყდეს I და II მსოფლიო ომები, 20-30-იანი წლების რეპრესიები, სისხლიანი 1956 და 1989 წლები... მაგრამ მაინც საუკუნის უმეტეს მონაკვეთებში საქართველოში მშვიდობა სუფევდა. საუკუნეზე მეტი ხნის თავისუფლებადაკარგულ ერში დიდი შემოქმედებითი პოტენციალი იყო შემონახული, რომელმაც მთელი ძალით 1918-1921 წლებში იფეთქა და მერეც ტონი მისცა შემდგომ კულტურულ ცხოვრებას.

ჩვენ, ქართველები, გეოგრაფიულად და ხასიათით აზიელები ვართ, თუმცა ევროპის საზღვარზე მოსახლე აზიელები. ჩვენი კულტურა თავისი ფესვებით ძველაღმოსავლურ, წინააზიურ კულტურაში მიდის. მთელი ქართული კულტურის ისტორია ორი დიდი ცივილიზაციის – აღმოსავლეთისა და დასავლეთის შესაყარზე ვითარდებოდა, ყოველივე საუკეთესოს ორივესგან ისრუტავდა და საკუთარს ქმნიდა. მაგრამ უკანასკნელი 200 წლის მანძილზე ჩვენი კულტურული ორიენტაცია

აშკარად ევროპულია. XX საუკუნეში კომუნიკაციების განვითარებამ ქართველობას საშუალება მისცა ზიარებოდა ყოველივე საუკეთესოს, რაც მსოფლიო ცივილიზაციამ შექმნა. დარჩა რა აზიური ფესვი თუ საფუძველი, იგი განუხრელად დაადგა ევროპული განვითარების გზას და შექმნა ფენომენი, რომელსაც XX საუკუნის ქართული კულტურა ეწოდება.

შინაარსი

რედაქტორისაგან---------- 3

თავი I. საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული და
ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება---------- 5

თავი II. არქეოლოგიური კულტურები საქართველოში---------- 11

თავი III. ქართველთა წარმომავლობისათვის---------- 24

თავი IV. ქართველ ტომთა ადრეკლასობრივი გაერთიანებები და
უძველესი სახელმწიფოები საქართველოს ტერიტორიაზე---------- 31

თავი V. დიდი ბერძნული კოლონიზაცია და კოლხეთის (ეგრისის) სამეფო------ 36

თავი VI. ქართლის (იბერიის) სამეფო ---------- 40

თავი VII. ქართული სახელმწიფოები I-II საუკუნეებში---------- 48

თავი VIII. საგარეო-პოლიტიკური ვითარება III-IV საუკუნეებში.
ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება---------- 53

თავი IX. ქართლი V საუკუნეში. ვახტანგ გორგასალი---------- 60

თავი X. საქართველო VI საუკუნეში---------- 65

თავი XI. საქართველო VII საუკუნეში. არაბტა ბატონობის დამყარება---------- 73

თავი XII ახალი ქართული სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბება---------- 81

თავი XIII. ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის. ბაგრატ III.
გიორგი I. ბაგრატ IV ---------- 86

თავი XIV. თურქ-სელჩუკთა შემოსევები. „დიდი თურქობა"---------- 95

თავი XV. ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა.
დავით IV აღმაშენებელი ---------- 97

თავი XVI. საქართველოს ოქროს ხანა. თამარის მეფობა---------- 104

თავი XVII. საქართველო XIII საუკუნეში. მონღოლთა ბატონობა---------- 108

თავი XVIII. საქართველო XIV საუკუნეში. გიორგი V ბრწყინვალე.
თემურ ლენგის შემოსევები---------- 117

თავი XIX. საქართველო XV საუკუნეში. ერთიანი სახელმწიფოს დაშლა
სამეფო-სამთავროებად---------- 122

თავი XX. ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის
XVI საუკუნეში---------- 126

თავი XXI. საქართველო XVII საუკუნეში---------- 131

თავი XXII. საქართველო XVIII საუკუნის I ნახევარში---------- 140

თავი XXIII. საქართველო XVIII საუკუნის II ნახევარში---------- 150

თავი XXIV. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დაპყრობა
რუსეთის მიერ. ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის დასაწყისი----------160
თავი XXV. რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომები და საქართველო------- 172
თავი XXVI. თერგდალეულები. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის
ახალი ეტაპი---------- 177
თავი XXVII. საქართველო XX საუკუნის დასაწყისში.
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა---------- 188
თავი XXVIII. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა---------- 203
თავი XXIX. საქართველოს III რესპუბლიკა---------- 213
თავი XXX. ქართული კულტურა ---------- 216
§ 1. რელიგია---------- 216
§ 2. განათლება და ქართული კულტურის ცენტრები---------- 225
§ 3. ქართული ენა, დამწერლობა, ლიტერატურა, წიგნი---------- 238
§ 4. ქართული ხელოვნება---------- 248
სარჩევი---------- 276

იბეჭდება ავტორთა მიერ წარმოდგენილი სახით

გადაეცა წარმოებას 01.05.2009. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.05.2009. ქაღალდის ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 15,5. ტირაჟი 500 ეგზ.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77

Verba volant,
scripta manent